ISSN 0132-6023
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

11

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გილოცავთ!

გაცხადდა ქართველი ხალხის ნება — მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების წყალობით დღეიდან ერს თავისი არჩეული პარლამენტი ჰყავს, ჩვენი სახელმწიფოებრივობის აღდგენისა და სანუკვარი თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე გადაიდგა პირველი დიდი ნაბიჯი! „ცისკარი“, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, შეძლებისდაგვარად, სწორედ ეროვნული სულისკვეთების გაღვივებისათვის იბრძოდა. და ეს გამარჯვება ჩვენი იდეალების გამარჯვებაა, იმ იდეალებისა, „რასაც დღედაღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

11

ნოემბერი

1990

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 300, გამოცემის 34-ე წელი

# შინაარსი

## პოეზია და პროზა


3. **შოთა ჭავთარაძე** — ლექსები
6. **ლადო ავალიანი** — „რუსული სასწაული“. მოთხრობა
11. **მედეა კახიძე** — ლექსები
13. **სოლომონ დემურხანაშვილი** — მოთხრობები
19. **მარინე ხმალაძე** — ლექსები
21. **ამირან კალაძე** — ლექსები
24. **ვახტანგ ახვლედიანი** — ხომ გამოვედი კაცი. ნოველა
29. **ნინო მამფორია** — ლექსები
32. **ამირან ახახიძე** — ლექსები
33. **ნოდარ კობერიძე** — რომ გაიმარჯვო, ერეტიკოსი უნდა იყო. რომანი. დასაწყისი
57. **დავით კვიცარიძე** — ლექსები
59. **გრიგოლ ჯულუხიძე** — ლექსები


## ახალი თარგმანები


61. **ვასილი გროსმანი** — „ყველაფერი იცვლება...“ დასაწყისი. თარგმნა **ეთერ ბალიაშვილმა, ლია შარვაშიძემ**
104. **უილიამ შექსპირი** — ვნებააშლილი პილიგრიმი (ნაწყვეტები). ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ**


## წერილები


107. **ლია სტურუა** — იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს. დასაწყისი
123. **სოსო სიგუა** — ფიქრი და მუსიკა
128. **ნარგიზა ფხაკაძე** — ივანე ჯავახიშვილი — საუნივერსიტეტო განათლების სულისჩამდგმელი
134. **ბიძინა ნანობაშვილი** — ქიზიყის საფლავის ძეგლთა საკითხისათვის
140. **ანდრო გობოლაძე** — დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის


## ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“


145. **სოფიო სარჯველაძე** — „სულისა“ და „სამშვინველის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ძველი აღთქმის წიგნთა ქართულ თარგმანებში


## ისტორიის თეთრი ფურცლები


150. **გერმან ნაზაროვი** — იაკობ სვერდლოვი — სამოქალაქო ომისა და მასობრივი რეპრესიების ორგანიზატორი. თარგმნა **ე. მეტრეველმა**


## ჩვენი მილოცვა


159. **გრიგოლ აბაშიძე** — ოთარ ჩხეიძე



მთავარი რედაქტორი
**იორამ ქემერტელიძე**

სარედაქციო კოლეგია:
**გივი ალხაზიშვილი**
**თედო ბექიშვილი**
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
**გივი გეგეჭკორი**
**დათო მაღრაძე**
**რევაზ მიშველაძე**
**გიგი სულაკაური**
**მორის ფოცხიშვილი**
**ჯარჯი ფხოველი**
**ჯანსუღ ღვინჯილია**
**ნუგზარ შატაიძე**
**მანანა ჩიტიშვილი**
**ვაჟა ჩორდელი**
(პასუხისმგებელი მდივანი)
**ვახტანგ ხარჩილავა**
**მირონ ხერგიანი**
**ტარიელ ჭანტურია**
**ზაქა ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი
**დავით მჭედლური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა ქავთარაძე

●

როგორ განმიდგა ჟამი მუხთალი!
დიდი ცხოვრების ჟინი წამართვა.
გადამიკეტა გზა საკუთარი —
მონა დამარქვა.
მაგრამ იმედის ხე იფოთლება,
მზეში ჩნდებიან ნედლი კვირტები,
კვლავ საბრძოლველად
წამოიმართნენ
ბალვაშები და ლიპარიტები.
კვლავ ახმიანდა ციხე ხერთვისის,
ისევ მოედო ქუჩებს ყიჟინა.
ამ მიწამ უცხო ვერ შეითვისა
და სამწყსო მტერმა ვერ შემიშინა.
გვირაბის ბოლოს შუქი გამოჩნდა,
სხეულს სიბნელის
ლაქა შორდება,
ისევ იწყება ჯიშის გამოცდა
და ხერხემალი ისევ სწორდება.
დედამიწაზე ჩემი ადგილი
საგულდაგულოდ მოხაზა ღმერთმა,
და ბრძოლებს რწმენა
გამიადვილებს —
ჩემს ნიშში
ჩემი სანთელი ღვენთავს.

## დილა

სოფლები, მშობლიურ მიწაზე
მოფენილი.
მერცხალი, შორი ქვეყნიდან
მოფრენილი.
დილა, სიცოცხლის ხმაურით სავსე,
ხის ჩრდილი, ანკესივით
გადაგდებული გზაზე.
ჰაი, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, დედა,
ხეობაში მოვარდნილი
მდინარეს ვხედავ.

ნისლიდან გამოდის
მთა მთაზე ჩასკვნილი,
გორიდან მიცინის თავცეცხლა
ასკილი.

●

ვერ გაიგებ, ვინ სად არი,
ვის ვინ უყვარს,
ვისთვის დნება,
რას გვიპირებს ეს ზამთარი,
მისი წყნარი გარინდება.
ისე, ვითომც არაფერი,
მიდი-მოდის ხალხი ჩუმად,
სიძულვილის ქარაფებზე
ქარიშხალი გაყუჩულა.
რას არ იტანს დედამიწა,
სავსე არის სივრცე კვნესით,
თვითონ ღმერთიც ვერ დაგიცავს —
განმგებელი უმაღლესი.
იჩეკება შურზე შური,
გული დიდხანს როგორ ევნოს,
სჯობს, რომ გასკდეს როგორც
ჭურვი,
სამუდამოდ დაისვენოს.

●

გადამიბირა წვრილმანმა გზნებამ,
ვითომ მიზანმა,
ვითომ ძიებამ,
ასე ვიცხოვრებ ხვალაც და ზეგაც
და არაფერი მეპატიება.
სულ ერთად მომთხოვს იანვრის
ღამე,
ამ ბორიალში
დამტვრეულ ტოტებს,
საგულდაგულოდ დამითვლის წამებ

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩემს ცთუნებებს ქვეყანას
მოსდებს.
ვაი, რომ ვიცი სიცოცხლის ფასი —
წყნარად მივყვები ფიქრის
დინებას...
და ვგრძნობ, რომ ახლაც უმწეო
ბრაზით
და ტკივილებით დამეძინება.

## დაისი

შენს გზას დაემუქრა ბედი
საკვირველი.
ალვაზე შემოჯდა
დაღლილი ფრინველი.
დგახარ მომლოდინე,
გზაგადაკეტილი,
განქარდა სივრცეში
ოცნება კეთილი.
ამ ღამეს ვინ გასტეხს,
ამ ღრუბლებს ვინ არევს,
ყინულის ლოგინში
იძინებს მდინარე.
მთა გადავლილია,
ზვავი-მოვარდნილი,
ნელა იბუტება
სიცოცხლის წადილი.

## წინათგრძნობა

მიახლოვდება რაღაც მძიმე
და უცნაური,
ჯერ კარგად არ ჩანს,
მაგრამ უკვე ისმის ხმაური.
პატარა ჩრდილი გადარბის გზაზე,
შეშინებული აწყდება კედლებს,
მაისი-წვიმის ნაცრისფერ ხაზებს,
ილენავს მკერდზე.
დგება სიბნელის, მოლოდინის
წუთები ავი,
ქარი გრიალებს,
ხეობაში ილვიძებს ზვავი.
გიახლოვდება
რაღაც მძიმე და უცნაური,
ჯერ კარგად არ ჩანს,
მაგრამ უკვე ისმის ხმაური —

## სხვადასხვა გზაზე

მინდორზე ტოკავს თეთრფეხა რაში.
ჩეროში ვსხედვართ,
მასპინძელს ვუცდით,
გამოტანტალდა პარმაღზე ბავშვი,
მოკლე პერანგით,
ფუმფულა მუცლით.
შეგვხედა რაღაც გულგრილი
მზერით,
ის გრძნობდა,
რითაც გვჯობნიდა ყველას.
ჩვენ გვაშორებდა წელი და წელი
და ბედის ავი მოგვდევდა წყევლა.
ის კი სიცოცხლის კარებთან იდგა
ჯანმრთელი,
სუფთა, იმედით სავსე...
და ვუყურებდით ერთმანეთს ჩუმად,
უკვე შემდგარნი სხვადასხვა გზაზე.

## წუხილი

როგორ დაკარგე სრულყოფის ნიჭი!
რა ლამაზ დღეებს
ეცვალა ფერი...
წელზე ქამარი გიჭერს და გიჭირს,
მოკეთეებზე მეტი გყავს მტერი.
სადღაა ვაჟი ამაყი, ურჩი,
შენი აღდგომის არავის სჯერა —
ვერვინ ალავსებს
დაბღერტილ ხურჯინს,
ვერვინ ალანთებს მინავლულ
მზერას.

## შენი სიყვარული

რა დროს დამეწია შენი სიყვარული!
მზე გადაიწვერა,
დაგრძელდნენ ჩრდილები,
მოდგა შემოდგომის სიმყუდროვე,
თავი სამშვიდობოს დავიგულე.
რა დროს დამეწია შენი სიყვარული!
ჩაწყნარდნენ წვიმები,
მხრები შევიმშრალე,
გზისპირს ჩამოვჯექი
ხიფათგამოვლილი.

ლექსები
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ დროს დამეწია
შენი სიყვარული! —
ქორივით დამეცა,
ზეზე წამომაგდო,
ისევ ციცაბოებს შემიყენა.

❁

მე ჩემი თავი დავსაჯე, ლია,
სათოფედ აღარ ვეკარები სუფრას
და ღვინოს.
მონანიების გზაზე მწვანე ფოთლები
ყრია,
რომ გავიარო,
ჭრილობებში რომ ჩავიფინო.
მეც კარგად ვიცი,
რომ არ შემფერის,
ეს შეთამაში,
ეს ბავშვური აცუნდრუკება,
მაგრამ კვლავ ელტვია სილამაზეს
გული ბებერი,
და ავიწყდება —
რა უხდება, რა არ უხდება.
ჩამოიპენტა ღამე იებით,
ბოჰემის ჟამი,
სივრცე ასე შმაგად მბრუნავი.
...მე მიდგას წამი მონანიების,
შენ კი, შენ ღმერთმა
პატიების მოგცეს უნარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო ავალიანი

# „რუსული სასწაული“

მოთხრობა

**ქუჩაში** სულიერის ჭაჭანება არ ჩანს, თუმცა უკვე ცხრა სრულდება. რაა გასაკვირი, პირველი იანვრის უთოვლო დილაა; ღამეგათეულ და ნაბახუსევ ხალხს ჯერ კიდევ სძინავს.

ნაცნობ სარდაფს ჩავყურებ... ისეთი კიბეა, ფეხიზელსაც კი სიფრთხილე და სიმარჯვე მართებს. სარდაფში ღვინის სუნი ტრიალებს. ჭერში, მიღრეცილ-მოღრეცილ მოკლე მავთულზე ერთი საცოდავი ნათურა ჰკიდია შიშვლად; თანაც ისე მჭიდროდაა დაწინწკლული ბუზებისაგან, რაღა სინათლემ უნდა გამოაღწიოს...

ორი კაცი სარდაფს ემსახურება, ოთხიოდე, ღვინის საყიდლად მოსულა... მეოთხეს, მე, მეხუთე, ისე ამოვუდექი ზურგში, ნაცნობ მეღვინეს არ მივსალმებივარ. სალმისთვის არც იმას სცალია... თვალს ვერ აშორებს რეზინის რაღაც უხეირო, მოკლე მილს რომლითაც ღვინოს უსხამს ვიღაც მოხუცს ვებერთელა ბოცოში. ჭურჭელი ისე ნელა ივსება, მისი ცქერა გულს გიწვრილებს. დროდადრო აქეთ-იქით კი იცქირები, მაგრამ აქ, გულს რაზედ გადააყოლებ... ვინმე ლაპარაკობდეს მაინც. სამარისებური სიჩუმეა. ამ ნახევრად ბნელში, ადამიანებიც რომ მოჩვენებებს ჰგვანან! სარდაფის ათიოდე საფეხურიანი, გვირაბივით ჩამოსასვლელი უცებ ჩამობნელდა. ავიხედე... კიბეზე ვიღაც უცხო ჩამოდის, უფრო, მობობღავს... ცალ ხელს კედელზე აბჯენს და მძიმე-მძიმედ მოაბიჯებს. ყურებიანი ბეწვის ქუდი დაუდევრად, ცოტა უკან გადაწეული ახურავს. მეტისმეტად სრული, უცნაურად აჯაჯული რაღაც ქურქის მსგავსი აცვია, რომლის მარჯვენა კალთას ცალი ხელით მარცხნივ ექაჩება, კიბეზე ფეხებში რომ არ გამოებლანდოს. ქუდს ქვემოდან მიშლილ-მოშლილი თმა უჩანს, ასე, ალბათ, ერთი კვირის წვერმოშვებული იქნება. შესივებულივით წამობურცულ ქუთუთოებში თვალის გუგების ფერი ახლოდანაც კი ძნელი გასარჩევია. — ნაცრისფერია, თუ უფრო ჭუჭყგარეული მოლურჯო. განიერ, დაბალ შუბლზე ერთი ღრმა ხნულივით გავლებული ნაოჭი მკაფიოდ აჩნია. ზომაზე მეტად გრძელი ცხვირი, შუაზე ცოტა ჩაჭყლეტილი, მხოლოდ ბოლოშია აპრეხილი, ნესტოები კი შესივებულივით უშველებელი აქვს. საცოდავი ნათურის სინათლეზე არც ისე მკაფიოდ, მაგრამ მაინც ჩანს უცხო კაცის საულვაშეზე ხმელი ჩალისფერი ჩხირები. მისი ქურქის ცალი გულისჯიბე თვალშისაცემადაა გამობერილი; ჩანს, უბეში რაღაც უშველებელი უდევს. კიბე-კიბეა და, სწორეზედაც რომ უჭირს სიარული... გაჭირვებით მობობღავს; ახლა მკლავებიც ისე აქვს განზე გაშვერილი, თითქო ჯამბაზივით თოკზე მიაბიჯებდეს.

როგორც იქნა, ჩამოვიდა, მიიხედ-მოიხედა, დაწყნარდა, ცხვირ-ტუჩიც მარცხენა ხელისგულით დაუდევრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიხოცა-მოიხოცა, მერე ის ხელი, თითქოს რამეს მალავსო, უჩუმრად მიისვა-მოისვა ქურქზე. დრო იხელთა და თითით სარდაფის ამ წუთას თავისუფალ მოსამსახურეს თავისთან უხმო. მოსამსახურე ერთი უხმოდ გაიღრიჯა და სამიოდე ნაბიჯზე ხლება არ დაამადლა „მუშტარს." უცხომ რაღაც ყურში უჩურჩულა, მერე თვითონ იქვე ახლოს დაყუდებულ კასრთან მივიდა და ოდნავ წინ წახრილი, ხელებით ისე დაეყრდნო, გეგონებოდათ, მრგვალი მაგიდააო...

ამასობაში ჩემი ჯერიც მოსულიყო, წნულში ჩასმული ბოცო კასრამდე, სადაც ნაცნობი მეღვინე იჯდა, ფეხით მივაჩოჩე — რამდენიმე დღის წინ რომ მოვაკითხე. ნაცნობი მეღვინე უკმაყოფილოდ დაიღრიჯა და ბოღმიანად გამოსცრა ლოჯებში: — დროზე ვერ მამაწოდეს... თუ ახალწლის დილით მომაკითხავ, ყვარლიდან კასრები უკვე მიღებული მექნება. — მერე ნათქვამს კიდევ ერთხელ თავისებური ღრეჯით დაუმატა: — ახალ წელს „სამტრესტით" შეეგებე, ყვარულით... გააცილე! აი, მოვედი, როგორც დამიბარე და, ეს ბოცო ამივსე-მეთქი; ამას კი ვამბობდი, მაგრამ იმ უცხოს თვალს არ ვაშორებდი. წელან ვისაც უხმო, იმან ერთი პირთამდე სავსე თლილი ჭიქით დაუდგა არაყი კასრზე, ახლა მრგვალი მაგიდის მაგივრობას რომ სწევდა. უცხომ სარდაფის მოსამსახურეს თავი დაუკრა მადლობის ნიშნად, მერე უბიდან ამოაძვრინა უშველებელი, ჭუჭყიანი შეკვრა. კარგა ხანი გავიდა, სანამ წალმა-უკულმა, რაღაც ბედოვლათურად შეხვეულ შეკვრას გახსნიდა, მგონია, ამ უბრალო ამბავს ხუთ წუთზე მეტიც მოანდომა. ბოლოს იმ შეკვრას კასრზე პირი შემოუსწორა და აღმოჩნდა, რომ შიგ პურის ნატეხები, ხორცისა და ძეხვის ნაჭრები ჰქონია გამოკრული; როცა ამ საქმეს მორჩა, „სუფრა" გააწყო, ცოტა სული მოითქვა და კასრიდან ნახევარი ნაბიჯით უკან დაიხია: რამდენადაც ამის საშუალებას ქურქი აძლევდა, წელში გასწორდა, მარჯვენა ხელით პირჯვრის გადაწერის მსგავსი მოძრაობა გააკეთა. მერე ნაბიჯი ისევ წინ წადგა, რატომღაც წელში მოიხარა, თითქოს რამეს ეპარებაო და, ნელი მოძრაობით თითებმოკრუნჩხული ხელი ჭიქისაკენ წაიღო, რომელიც კასრის შუაგულში იდგა, „ხორაგეულის" წინ. ჭიქა ხელის კანკალით, ოდნავ ასწია... ცოტა, მაგრამ, არაყი მაინც გადმოეღვარა თითებზე. სარდაფის მომსახურეს ბარაქიანი ჭიქა პირთამდე აევსო.

— ვასია! კ ტებე ობრაშჩაიუს ია, ვ ეტუ ტორჟესტვენნუიუ მინუტუ! — გაისმა ხმადაბლა, მაგრამ საზეიმოდ, ოდნავ ხრინწგარეული ხმით წარმოთქმული ეს სიტყვები. — ჟელაიუ ვსეღო, ვსეღო... — დანარჩენი უკვე ძნელად გასარჩევი იყო, რადგან ჩურჩულით წარმოთქმულსაც ველარ დაარქმევდი, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა... ეს იყო რაღაც აღსარებისა, ვედრებისა, თუ მონანიების ლალადისი. დროდადრო სახე ისე შეეჭმუხნებოდა, შესივებულივით წამობურცული ქუთუთოები ტკივილამდე მოეჭუჭებოდა, მერე უცებ გაეხსნებოდა, და იმავ წამს, თითქოს თვალი სინათლემ მოსჭრაო, ჩვეულებრივ მდგომარეობას უბრუნდებოდა. ბოლოს, ვასიამ ჭიქა ხელის კანკალით, როგორც იყო, პირთან მიიტანა, სქელი ტუჩები წინ უსაშველოდ წაიშვირა და არაყი ხმიერად მოხვრიპა. ცოტა შეყოვნდა, ტუჩები ენით გაილოკა, ნერწყვი გადაყლაპა, მერე ჭიქა ისევ კასრზე დადგა და მოულოდნელად, მთელი ტანით ქურქში ისე შეინძრა, თითქოს ძალუმად შეაჟრჟოლაო... აშკარა იყო, არაყის ის ერთი ყლუპიც არ ესიამოვნა. მცირედი დაყოვნების შემდეგ, ხორცის ნაჭრის გასინჯვა დააპირა, აიღო, პირთან ისე მიიტანა, თითქოს ძალას ატანენო და... რატომღაც, უკან დადო. აღარ იცოდა, რა ექნა; ქურქი ჯერ გაიხსნა, თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს სული ეხუთებაო. მერე ისევ შეიკრა შუათანა ღილზე და ცოტაოდენი დახანების შემდეგ, თავისი ხორაგის შეხვევას ხელების შესამჩნევი კანკალით შეუდგა... ეს ყველაფერი ერთდროულად ტრაგიკულადაც და კომიკურადაც აღიქმებოდა. მაგრამ აქ საკვირველი ის იყო, რომ ამ კაცის მოქმედებას მხოლოდ სიბრალული თუ შეიძლებოდა გამოეწვია. უნებლიეთ, და, ალბათ, ბუნებრივადაც, იბადებოდა ათასი საჭირბოროტო კითხვა... რუსი რომ არის, ეს ყველა სხვა ვარაუდს გამორიცხავს, მაგრამ მაინც ვინაა, აქ საიდან, რა გზით მოხვედრილა... ვინ იცის, რამდენი უხეტიალნია, სად, არ ყოფილა და ასე ყველაფერს და ყველას მოწყვეტილი, ახალ წელს მაინცდამაინც საქართველოში ხვდება! მაგრამ ეს შეხვედრაა?!. იცის კი თვითონ, გაუცნობიერებია განა, სად, ვის და რას ხვდება საერთოდ? თუმცა იქნებ არცთუ მთლად ასეა საქმე... გული მხოლოდ შეიძლება სიბრალულით აგევსოს, ადამიანის მოდგმის ამ კიდევ ერთი გაუბედურებულის ხილვით! რა იცი, ვინ არის, რამ მოიყვანა ამ სავალალოზე უარეს მდგომარეობამდე...

ამას წინათ, ბაზართან, იმ ერთი, შემთხვევით გაცნობილის არ იყოს („სპიჩეკ ნეტუ?“).. სევასტოპოლის ჯოჯოხეთი რომ გადაუტანია სამამულო ომის დროს; თურმე არაერთხელ დაჭრილა; ჰოსპიტლის, უმეტესად უზეწრო ლეიბები თვეობით უტკეპნია; ჰოსპიტლიდან ცოცხალს კი გამოუღწევია, მაგრამ... ადამიანს, და, მით უმეტეს, ბედისწერას. რას გაუგებ! ახლა მაწანწალაა... დადის ქალაქიდან ქალაქში... ღამეებს ათევს ხან მრავალსართულიანი სახლების სხვენში, ხან სადარბაზოებში... ჩანს, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ერი, მით უფრო უჭირს თავისი შვილების მოვლა. მით უფრო გაუფასურებულია თვითოეული მათგანის სიცოცხლე... ეს, ალბათ, მცირერიცხოვანი ერის შვილმა შეიძლება იგრძნოს. მაგრამ ვინ დაუჯერებს!..

აი, ახლაც ამ ვიღაც ვასიას თვალი რომ გავაყოლე. კიბის ყოველ საფეხურზე აბობღებას ძლივძლივობით რომ ახერხებს. წელან პირჯვარი. რომ გადაიწერა. მადლობა ღმერთს. ის მაინც არ დავიწყებია. ქრისტიანი რომაა! მერე გაფრთხილების ნიშნად. თითქოს თითი დაექნიოს. იმ კილოთი რომ მიმართა თავის თავს — კასია. კ ტებე ობრაშჩაიუს ია-ო! — მერე ყველა სიკეთეც რომ უსურვა — ჟელაიუ ვსეღო. ვსეღო-ო. მაგრამ რაღაც უსიამოვნო გრძნობამ. თუ ტკივილმა სახე ერთბაშად რომ შეუჭმუხნა და სათქმელი აღარ დაამთავრებინა... ან კი, რაღა ჰქონდა დასამთავრებელი...

ასვლას ორჯერ მეტი დრო მოანდომა იმ საცოდავმა... შუა ქუჩაში შეჩერებული ხან წინ იხედებოდა, ხან უკან... თვითონვე ველარ მიმხვდარიყო, რა უნდოდა, ველარ გადაეწყვიტა. საით წასულიყო...

ვიღაც ორ გამვლელს. ყმაწვილები რომ აღარ ეთქმოდათ, სიცილი რომ აუტყდათ მის დანახვაზე. მიდიოდნენ და წამდაუწუმ უკან იხედებოდნენ, ერთხელ კიდევ რომ დამტკბარიყვნენ მაწანწალას ხილვით... ამ ადამიანის არსებაში მარტო სასაცილოს რომ ჭვრეტდნენ... ახლა. კაცმა რომ თქვას, მეტი არც მოეთხოვებოდათ საკმარისად ნაბახუსევებს...

მე კი ამ უშველებელი ბოცოს სიმძიმე, უკვე. აღარაფრად მეჩვენებოდა იმ სიმძიმესთან. ჩემს სულში რომ დასტოვა კიდევ ერთი, გაურკვეველი მიზეზით და გარემოებებით გაუბედურებული ადამის ძის ხილვამ.

რა საკვირველია. ამ მცირერიცხოვანი. მაგრამ დიდი ერის შვილებმა გულთან ახლოს რომ უნდა მივიტანოთ. განვიცადოთ ყველა სულიერის გასაჭირი.

უკან აღარ მიმიხედავს. იმ კაცის იერი; გარეგნობა. რატომღაც ისე მკა-

ფირდ ალიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ალბათ, კარგა ხანს ძნელად თუ რამე ამოშლიდა...

როგორც ჩვენთან წესად არის, ახალი სტილით დაწყებული ახალწელიწადი ძალაშია ხოლმე მისი ძველი სტილით დადგომამდე, ეს კი მთელ ორკვირას უდრის... იმ დღეებში ყველა შენი სასურველი სტუმარია და ასევე ყველას სასურველი სტუმარი ხარ! სასმელ-საჭმელი საკმარისადაა ყველა ოჯახში. „პრობლემა“ მხოლოდ ის არის, ამ სიუხვით მადადაკარგულებში ისეთი კაცი იპოვო, ვინც პურმარილზე უარს არ გეტყვის და სასურველ „კამპანიასაც“ გაგიწევს.

მეც ვერ ვუთხარი უარი ერთ ჩვენს თანამშრომელსა და მეგობარს შინ თავაზიან მიპატიჟებაზე.

სამსახურედან ხუთნი ვესტუმრეთ მის ოჯახს. სამიოდე საათი მაინც ვისხედით და უფრო სჯა-ბაასით ვიქცევდით თავს, ვიდრე პურ-მარილით... ბოლოს, ერთი თანამესუფრის მოულოდნელ წინადადებას — გვეყოფა ამდენი ჯდომა. ერთი, აგერ ახლოს მაინც გავიაროთ, კინოთეატრი „კოლხიდა“ რომაა, იქ გერმანელი დოკუმენტალისტების ფილმს უჩვენებენ. მოდით, ვნახოთო.

— თუ კაცი ხარ, ისეთი რა ფილმია, ამ საუბრის, ამ სუფრის დასატოვებლად ღირდეს, ა?! — ბუნებრივია, იუცხოვა მასპინძელმა ასეთი „უადგილო“ წინადადება.

— მაინც, რა ფილმია, ისეთი?.. — ვკითხე მეც.

— რა ფილმია და... „რუსული სასწაული“!

— ბიჭოს! — თითქმის წამოყვირებამდე ხმის აწევით შესძახა მასპინძელმა.

ყველანი მას მივაჩერდით, ვერ გავიგე, მისი წამოძახილი ირონიას განეკუთვნებოდა, თუ დაინტერესებას.

— სასწაული თუ არა, ერთბაშად ის არ გაჩვენონ, ნოვოჩერკასკში ნიკიტამ რომ „ივაუკაცა“ ამ ორიოდე წლის წინ... ათას ცხრაას სამოცდაორში! — ეს მოულოდნელი შენიშვნა ეკუთვნოდა ჩვენი უწყების იმ ახალგაზრდა თანამშრომელს, — სახელი დამავიწყდა, — სულ ჩუმად რომ იყო, რაც სუფრას ვუსხედით, სადღეგრძელოებსაც კი მუნჯივით სვამდა.

არავინ ვიცოდით, რა „ივაუკაცა“ ორიოდე წლის წინ ნიკიტამ.

წინადადება უმრავლესობის მიერ მცირე ყოყმანის შემდეგ მიღებულ იქნა; მასპინძელსაც სხვა რა გზა ჰქონდა, დაგვემორჩილა და ფილმის სანახავადაც ყველანი ერთად წავედით.

ბოლო სეანსი ათიოდე წუთის დაწყებული იყო, მაინც შეგვიშვეს. სიბნელეში ხელის ფათურით და თვალის ცეცებით, რომელიღაც რიგში მოვკალათდით. რაც მართალია, მართალია, არა მარტო იმიტომ, რომ ცოტა მაინც ნაბახუსევი ვიყავით, რაც ეკრანზე ხდებოდა, იმისთვის დიდი გულისყურით თვალი არ გვიდევნებია... ეს ყველაფერი საკმაოდ ნაცნობი და არაერთგზის ნანახი გვქონდა მეტ-ნაკლებად, დაწყებული — რუსეთში სამოქალაქო ომის ამსახველი კადრებით, გაგრძელებული გრანდიოზული მშენებლობებით, როგორიც კუზნეცკი და დნეპროჰესია და დამთავრებული გაგარინის კოსმოსში გასვლით, მასთან ტრიუმფალური შეხვედრით, აგრეთვე ნიკიტას ქონმორეული და გასივებული თავის არაერთგზის მსხვილი პლანით ჩვენების „სიამოვნებით“. თავის დროზე ეს ყველაფერი მართლაც იყო სასწაულის ტოლი მოვლენები, მაგრამ რაც ფილმის ნახვის შემდეგ ქუჩაში გამოსულებს გველოდა, ის უკვე ყოველგვარ სასწაულს და მოულოდნელობას აღემატებოდა...

კინოთეატრიდან გამოსული ხალხის ერთი ჯგუფი, ქუჩის გადაღმა შექუჩებულიყო და რაღაცაზე გულიანად იცინოდა, თავს იქნევდა და მხიარული სტოვებდა იქაურობას. იმ ჯგუფს მე-

ორე, მეორეს მესამე ენაცვლებოდა. ჩვენც, რასაკვირველია, დავინტერესდით, მივედით და... რას ვხედავთ... ვიღაც მაწანწალას, კინოთეატრის წინ გამოდგმული, მაღალი, ასე — მეტრნახევარი სიმაღლის და ცოტა ნაკლები სიგანის ხის ჩარჩოდან გამოუჭრია ტილოს აფიშა, რომელზედაც უშველებელი ასოებით ეწერა — „«русское чудо» და, ქვის ერთსაფეხურიან კიბესთან, მაღაზიის მყუდრო კუთხეში მიწოლილს, ზედ საბანივით გადაუხურავს... მარტო ცალი ფეხი უჩანს წვივის შუამდე გადასაფარებლიდან გამოყოფილი.

დავხედე. წარწერა, რასაკვირველია, მეც თვალში მეცა, გამეცინა, მერე რაღაც უცნაურად დაეჭვებული დავიხარე, საბანივით გადაფარებული ტილოს აფიშის ყური ფრთხილად ავწიე და... ღრმა ძილში წასულ მაწანწალას რომ შევავლე თვალი, უმალ ვიცანი ის — შუაზე ცხვირჩაჭყლეტილი, წინ უშველებელ ტუჩებწაშვერილი ვასია, რომელსაც ამ რამდენიმე დღის წინ შევხვდი იქ... ღვინის სარდაფში...

წელში გავიმართე... ერთხელ კიდევ მომხვდა თვალში უშველებელი წარწერა... აღარ გამცინებია. რა იყო ეს? შემთხვევითობა, თუ რაღაც გამოუცნობი კანონზომიერება!!! მაინც, რაღა ეს აფიშა გამოჭრა ჩარჩოდან და საბანივით გადაიფარა ესოდენ მრავლისმეტყველი წარწერით?!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მედეა კახიძე

## მაინც იმედის ტყვე ვარ

გულს აქვს იმედი ხვალის,
თუმც წლებს იმედი ცვეთავს,
და მტკვარი როგორც ხმალი
წელზე არტყია მცხეთას.
წამისწამობით რადგან
ცილისწამებით გვრთავენ,
დარაჯად უნდა ვედგეთ
თავად საკუთარ თავებს.
ვიცი, გაჩენის დღიდან
ღმერთი გულგრილად მსჯიდა
და გულაჩრეკელს ბედზე
არ გარდამომხსნის ჯვრიდან.
ტირის და მოთქვავს წნორი,
ნატირლებს გზა-გზა ვწონი,
და ველარ ვხვდები სწორედ
გზა მრუდეა თუ სწორი.
თურმე იმედიც ტყდება
ვით ამოწვდილი ხმალი,
მაინც იმედის ტყვე ვარ
კვლავ მკლავს იმედი ხვალის!

დატოვებენ ლაქაშში
სასიკვდილოდ ფრთაგაშლილს.
ცრემლის ტბაში დალტობილს
შორს დარჩება ტატნობი.
გუნდი კვლავაც სიმხნევით,
ძველი წესის მიხედვით, —
გადაივლის მდუმარედ
მდელოებს და მდინარეს,
მაგრამ ერთხელ გვრიტების
გუნდს მეც შევესხლიტები.
დავეცემი ზედიზედ,
თუკი ფრთები ვერ ვზიდე.
გუნდი ზეცას გაკრული,
არცთუ მთლად გულნაკლული
წავა, უკან გაყვება
ზეცა გადავარსკვლული.
დამტოვებენ მოხავსილ
ლაქაშებში ჩამხობილს,
არცა ცრემლი მოყვასის
არც ძახილი მახლობლის...
ვიცი, ერთხელ გვრიტების
გუნდს მეც შევესხლიტები!

## ვიცი

ხვნეშას მოუმატებენ
ხევში ქარაშოტები,
წალიკ-წალიკ ბატები
ცაზე გააბოტებენ.
მაგრამ ვიცი უტყუვრად
რომელიმე ბედდავსილს
გზებზე ფრთები უმტყუნებს
და ძირს დასცემს ხელდასმით
დაეცემა უგეშოდ
უქმოდ და უნუგეშოდ.

•

მოვა ცულის კაკუნით
დეკემბერი-ბრიყვი თვე
და ტყე სულგაკანკული
დაიმართებს სიყვითლეს.
ჩამოცვივა ფოთოლი
ხიდან აუჩქარებლად,
რომ მოფინონ თრთოლ-თრთოლით
მინდვრებს ჩაუქ ქარებმა.
ქარი-თავაწყვეტილი,
ტყეში ნაფათურები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლში მრავალწერტილად
კურდღლის ნათათურები.
ცაზე სანთელ-საკმელი
მინდვრის თეთრი დაირა,
ზამთარს ჩემი სარკმლიდან
ვხედავ ასეთნაირად.

❁

შეიხვეწება ქარი კვლავ
ჭალაში ღამე დგომით,
ვიცი, ჩქარა თავს დაგვიკრავს
წვიმები შემოდგომის.
ტბა არის სარკე ცოცხალი,
დაღვრილი ალმასჩქერად,
შიგ იცქირება ცოცხნარი
მალვითა და ალმაცერად.
ტბა მზეზე თბება უწყინრად,
უხდება მზეში ბრწყინვა...
ტბა მუდამ მოწყენილია,
განა დღეს მოიწყინა.
ტბა ველარ იტევს ამდენ ცრემლს,
გლოვებით შემოგროვილს,
და ცრემლიან თვალს აცეცებს
წვიმები შემოდგომის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ დემურხანაშვილი

# მოთხრობები

## ჩინგიზ ხანის ანდერძი

ეს ცხოვრება უცნაურობებით არის დახლართული, მაგრამ ამქვეყნად ყველაზე დიდ უცნაურობად მიმაჩნია ჩინგიზ ხანის მთელი ცხოვრება და მისი ანდერძი, უცაბედი სიკვდილის დროს რომ დაიბარა.

ნახევარი მსოფლიო იპყრე, დიდო ჩინგიზ, და მაინც დაუოკებლად ილტვოდი მთელი მსოფლიოს დასამონებლად, რამეთუ ვერლა გაძღა შენი ხარბი გული. მონობის სურვილისკენ მიდრეკილმა ადამიანებმა ღმერთად გრაცხეს და შენი კერპები აღმართეს სისხლით შეფერილ თავიანთ ტახტებთან.

ვინ იცის, ჯერ კიდევ მხნე და ძლევამოსილი რამდენ სისხლს დაღვრიდი მორიგ ლაშქრად მიმავალი, ანაზდეული სიკვდილი რომ არ წამოგწეოდა.

უთვალვი სიკვდილის გამჭედელს, სადღაც, ახლად ამწვანებულ ულამაზეს ველზე აფთარივით დაგაცხრა სულთამხუთავი და შენ, ნახევარი დედამიწის მპყრობელი, ისეთივე უმწეო აღმოჩნდი მის წინაშე, ვითარცა შენგნით დამონებული ათასობით უბრალო მოკვდავი.

სულსა ღაფავდი მაღალი, ლურჯად მოკაშკაშე ცის ქვეშ, მწვანე მინდორზე და, ვინ იცის, რას გეჩურჩულებოდა გაზაფხულის გრილი, საამო და ნაზი სიო.

მომაკვდავმა ანდერძად დაიბარე: იმ განმარტოებული ხის ძირას დამმარხეთ, ათიოდ დღის წინ პურის საჭმელად რომ შევისვენეო და ის ხე მიანიშნე შენს ჭირისუფალთ.

სიკვდილის ჟამს რომ გაგახსენა, სადღაც, ტრიალ მინდორში ეულად მდგარი ხე, რომლის ჩრდილში, ხასხასა ბალახზე ოდესღაც შეგისვენია დასანაყრებლად. რამ გაგახსენა იმ განცალკევებული ხის საამოდ მოშრიალე ფოთლები, ვერც ერთი სასახლის მორთულობა რომ ვერ შეედრება.

რა უბრალო ნატვრა გქონია გულში, ჩინგიზ!

ო, ზეციერო! თუ ამ დიდი ჯალათის სულში ეგზომ სათუთი გრძნობა ღვიოდა, რაღად გასწირე, რად გაუმრუდე ცხოვრების არსი, რად აღებინე ხელში მახვილი და ამდენ ცოდვას რად აზიარე?

ეჰ, დიდო ჩინგიზ ხან, შენ, ვინც შვიდი კლიმატის იმპერიაში ვერ ეტეოდი, შვიდი ლაჯი მიწა და შვიდი წყრთა სუდარა მოგიზომა არსთაგამრიგემ. შენგან რაღა დარჩა? მტვერი და პაწია ნატვრა. ოღონდ ვერ გავიგეამ პაწია ნატვრას მსოფლიოს მპყრობელობა რად უნდოდა? ვინ დაგამადლიდა მინდორში, იმ განმარტოებული ხის ძირას დამარხვას?

სხვისი რა მოგახსენო, დიდო ჩინგიზ, მაგრამ შენი ანდერძით ასჯერ უფრო ამაღლდი ჩემს თვალში, ვიდრე შენი ცოდვით მოჭედილი ტახტითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთვარე

დიდი ქალაქის გარეუბანი ძილს მისცემია. კარგა ხანია მანქანების დამქანცველი გუგუნი შეწყდა. არსაიდან ჩქამი არ ისმის. სადღაც, შორს, ალბათ, ძალიან შორს, ბეჯითად ყეფს გოშია ძაღლი. ფიქრში გახლართულს, ჩვეულებისამებრ, ძილი გამკრთობია და ყურს ვუგდებ იმ ძაღლის ყეფას. ნეტავ, რა აყეფებს ასე თავგამოდებით?.. კარგად ვიცი, არც ნადირი ეძალება, არც ყაჩაღი, რადგან არც ერთი არ არსებობს. მაშ რად იწუხებს თავს პატარა ძაღლი? იქნებ ეს პირველყოფილი სიჩუმე აშინებს და თავის დასაზღვევად უხილავ, არარსებულ მომხვდურს ამცნობს წინასწარ,მე აქა ვარ და არ მომეკაროო. ერთი რამ კი ცხადია, უმიზნოდ არ ირჯება პატარა ძაღლი, ან იქნებ პატრონს ამცნობს, არ გეგონოს, ამაოდ მაჭმევდე ლუკმას, ხომ ხედავ, მთელი ღამე როგორ ვფხიზლობ და როგორ ვილვწიო. თუ ასეა, ბარაქალა შენ, პატარა ძაღლო, რადგან საიმისო სინდისი შეგრჩენია, რომ შენი ლუკმის საფასური რაღაცით მაინც აანაზღაურო, რამეთუ მუქთად საჭმლის მნთქმელ და ფუფუნებით მოყირჭებულ ადამიანთაგან უმეტესობას პაწია სინდისიც არა ჰქენჯნის.

აგერ ჩემი სტუმარიც მოადგა ფანჯარას, ჩემი მუდმივი თანამგზავრი — სავსე მთვარე. იგი ყოველი თვის მიწურულს შუაღამით მესტუმრება ხოლმე ერთი საათით. ასე გრძელდება რამდენიმე დღე, ვიდრე არ მიილევა და ცის ტატნობზე ადგილს არ მოინაცვლებს.

ო, ნათელო, სავსე მთვარევ, შენ ხომ ორმოცი წლის წინათაც ჩემი სტუმარი იყავი, მას შემდეგ თანა მსდევ, სადაც უნდა წავიდე.

დაბინდებულზე ჩემს ფანჯარას მოადგებოდი დიდი, დაირასავით მრგვალი და გატანჯულ თვალებში ჩამხედავდი. მაშინ ბევრი ძაღლი ჰყეფდა სოფელში. ოღონდ მათ შიმშილი და გაჭირვება აყეფებდათ. იმ დროს სოფელში ქურდიც დაძრწოდა და ნადირიც, რადგან ყველგან შიმშილი დაწანწალებდა.

შიმშილისგან კუჭი მეწვოდა და ძილს არ მაკარებდა. შენ კი მოადგებოდი ჩემს ფანჯარას და მაშინვე იმას ვინატრებდი, ნეტავ ახლა ამოდენა ხაჭაპური ან ნაზუქი მომცა-მეთქი. რა ბედნიერი ვიქნებოდი, რადგან სამი მშიერი დავნაყრდებოდით, მე, ჩემი და და დედაჩემი.

მეორე დღეს ეს ნატვრა ნაწილობრივ ამიხდებოდა, დედაჩემი რაღაც სასუსნავს გამიჩენდა ხოლმე.

ამიტომაც მიხაროდა შენი მოსვლა, რამეთუ კარგად მყავდი დაცდილი და მეგონა, შენ გედო დიდი წილი ამ მადლში.

ახლა, ორმოცი წლის შემდეგ, გიყურებ და მაგონდება ჩემი უზენაესი ნატვრა.

ახლა, ორმოცი წლის შემდეგ, გიყურებ და ერთადერთ რამეს ვნატრობ: ყოვლად ძლიერო ღმერთო, დამაბრუნე ორმოცი წლით უკან; მაშინდელივით მომაშიე და კიდევ მანატრებინე იმ მთვარისტოლა ხაჭაპური და ნაზუქი.

რა პატარა და ადვილად ასახდენი სანატრელი მქონია მაშინ, და რა დიდი და აუხდენელი ნატვრა მომძალებია დღეს.

## საუჯო კარი

შუა საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში ყოველ ორშაბათს, ანუ მთვარის დღეს, როგორც მაშინ ეძახდნენ, ზარდახანის მწიგნობართან და მოლარესთან ერთად დაჯდებოდა საჯო კარის ვაზირთა უპირველესი, მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელი და განიკითხავდა ობოლთა, ქვრივთა, საპყართა და მიმძლავრებულთაგან ჩაგრულთ.

იქვე, იმ დღისითვე, ზარდახანის მოლარის ხელით უხვად ურიგებდა დრაჰკანებს, ბოტინატებსა და პერპერებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას აქეთ რვა-ათი საუკუნე გავიდა. მთელი კაცობრიობა და მათ შორის ჩვენც, ქართველები, მეოცე საუკუნის ცივილიზაციასა და ჰუმანიზმს ვეზიარენით და აღარ უნდა გაგვიკვირდეს თუ დღეს საჯარო კარზე მოსულ გაჭირვებულთ, ობოლთა და ხეიბართ უფრო დახვეწილი და ჰუმანური მეთოდებით განვიკითხავთ.

ამის დასამტკიცებლად თუნდაც ის ამბავი გამოდგება, ჩვენთან, ჩორჩანში რომ მოხდა.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ჩორჩანის პატარა სოფელ ივრეთში, იგი უეჭველად შენიშნავდა სოფლის ქიპში, თემშარაზე ჯოხით მიმავალ ბრგე ტანის შუახნის კაცს, თვალები რომ დოლბანდით ჰქონდა ახვეული. მიწაზე ჯოხის ფათურით მიიკვლევდა გზას და ყველამ იცოდა, რომ სოფლის მაღაზიისკენ ჰქონდა გეზი აღებული.

— მათეს გაუმარჯოს! — მიესალმებოდა ვიღაც ჩამვლელი და უსინათლო მათეც მყისვე მიაგებებდა:

— სალამი, ბონდო, ოქროს კაცო!

ხმაზე ყველას სცნობდა მათე, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს.

თავის სახლიდან მაღაზიამდე ზუსტად ორას ორმოცი ნაბიჯი ჰქონდა გადათვლილი მათეს. ამ მანძილს ისე გაივლიდა, მანქანის სავალ ნაწილზე ფეხი არ გადაუცდებოდა. ორას მეორმოცე ნაბიჯზე შეჩერდებოდა, ყურს მიუგდებდა, მანქანის გუგუნი ხომ არ ისმისო და როცა ირგვლივ მყუდროებას დაიგულებდა, მოასფალტებულ გზას გადაჭრიდა და მაღაზიაც იქვე იყო.

სოფლის მაღაზიასთან თითო-ოროლა კაცი ყოველთვის იპოვებოდა. მოცლილობის ჟამს აქ იყრიდნენ თავს ივრეთელები. ისინი ბრმას ხალისით მიიპატიჟებდნენ, სკამს გაუჩენდნენ და მყისვე საუბარში ჩაიზიარებდნენ.

აქ ჰკენკავდა უსინათლობით დაშრეტილი მათეს ცნობისწადილი ქვეყნის ამბებს. წიგნიც ეს იყო მისთვის და გაზეთიც, კინოც და თეატრიც.

მათეს უგრძნეულად დაატყდა თავზე უბედურება. ოცდახუთი წლის ბიჭი იყო მაშინ, ჯან-ღონით სავსე, ურა კვიცივით მორბედი და დაუღალავი. კოლმეურნეობის სახერხზე მუშაობდა, მოულოდნელად ელექტროხერხი გასკდა და ნამსხვრევები თავ-პირში ეცა.

იმ შავბედითი დღიდან მათეს მუდმივ თანამგზავრად იქცა შავი დოლბანდი და ყოველთვიური პენსია-ორმოცდახუთი მანეთი.

გადიოდა დრო, ბრუნავდა ყოვლის მომსრველი წუთისოფლის ბორბალი და ბოლოს მათეც დაობლდა. ბუნება თავისას მოითხოვდა, ბრმა მათეს პატრონი სჭირდებოდა, ცხოვრების დაუწერელი კანონია, მიცვალებულსა და უკიდურესად გაჭირვებულს, ვინც ვერარასოდეს გაუწევს ადამიანებს მეტოქეობას, ჭირისუფალი და გულშემატკივარი ბევრი გამოუჩნდება ხოლმე.

ახლაც ასე მოხდა, დატრიალდნენ გულშემატკივარნი, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და რომელიღაც სოფელში ერთი ცალხელა ქალი ამოაჩინეს. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, გაიხსენეს ძველი ნათქვამი და ის ქალი მათეს გაურიგეს.

ქალი ისეთი ყოჩაღი აღმოჩნდა, სოფელი გააოცა. ცალი ხელით ძროხასაც სწველიდა, არც საკაცო საქმეზე იხევდა უკან და, წარმოიდგინეთ, იმისთანა სარეცხს გაჰფენდა ხოლმე, რომ ივრეთის დედაკაცები გაკვირვებისგან პირს აღებდნენ.

ხუთი შვილი გააჩინა ქალმა და, ღმერთის გაჩენილს ღმერთი დაარჩენსო, ტყუილად კი არ უთქვამთ, ხუთივე ისე წამოიჩიტა, ფრჩხილი არ ასტკენიათ. სოფელი თბილია, ობოლთ და გაჭირვებულთ მხარში ამოუდგება ხოლმე. მათეს ბავშვებსაც ხელგაშლილი ხვდებოდნენ მეზობლები, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკმას ზოგავდა მათთვის ვინმე და არც ჩასაცმელს.

და აი, ერთხელ (იმ წელიწადს სოფელში მოსავალი არ იყო), სოფელსაც გაუჭირდა და მათეს ოჯახსაც. პირუტყვის გამოკვებაც გაჭირდა და ადამიანისაც.

მათეს ცალხელა ცოლმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რამდენჯერმე სთხოვა დახმარება (როგორც კოლმეურნეობის პენსიონერის ცოლმა), მაგრამ ვერ იქნა და ვერ დასწერა პირჯვარი. აი, მაშინ ვიღაც მადლიანმა ურჩია ცალხელას, ჩორჩანის თავკაცს მიმართე, მრავალშვილიანი დედა ხარ და უეჭველად დაგეხმარებიანო. იმ მადლიანმა თვითონვე დაუწერა განცხადება, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მათე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაბრმავდა, რომ ცოლიც და ქმარიც არიან ამა და ამ ჯგუფის ინვალიდები, სამშობლოს უზრდიან ხუთ შვილს, განიცდიან გაჭირვებას და კოლმეურნეობისგან ითხოვენ სამას კილოგრამ სიმინდის მარცვალს.

ეს განცხადება იმ კეთილისმყოფელის რჩევით, წაიღო ქალმა ჩორჩნის თავკაცთან.

რატომღაც დღესაც (როგორც შუა საუკუნეების საქართველოში) ორშაბათობით სხდებიან სააჯო კარზე ძლიერნი ამა ქვეყნისანი და მათ შორის ჩორჩანის თავკაცნიც.

დიდი ხნისა და დამქანცველი ლოდინის შემდეგ, ცალხელა ქალმა, როგორც იყო, შეაღწია ჩორჩნის თავკაცის ვეება კაბინეტში, სადაც ასევე ვეება მაგიდასთან იჯდა პირქუში, კოხტად გამოწყობილი ბრგე კაცი და ყოველ შემსვლელს მკაცრი თვალებით ბურღავდა.

ისედაც ჩია ტანის ქალი მის დანახვაზე მთლად დაილია, მუხლმოკვეთილმა ძლივს მიაღწია მაგიდამდე და მდუმარე, პირქუშ კაცს მოწიწებით დაუდო წინ განცხადება.

ჩორჩანის თავკაცმა განცხადება გადაიკითხა, ზედ რაღაც წააწერა და სამად სამი სიტყვა გამოიმეტა:

— მიაკითხე კოლმეურნეობას, დაგეხმარებიან.

ცალხელა ქალი ფრთებშესხმული გამოვიდა კაბინეტიდან და ივრეთში ლამის ფრენით ჩავიდა, რომ ოჯახის წევრები გაეხარებინა.

ერთი კვირის შემდეგ კოლმეურნეობიდან შემოუთვალეს, ჩამოდი და სიმინდი წაიღეო. ქალმა მეზობელს ფორანი გაამართვინა და კოლმეურნეობის საწყობს მიადგა. ლიპიანმა საწყობის გამგემ ჯერ ფორანს შეხედა ალმაცერად, მერე ტომრებს, ცალხელას საღსამალათ ხელზე რომ გადაეკიდა და უგერგილოდ ამოღერღა:

— თქვენ გამოყოფილი გაქვთ ოცდახუთი კილოგრამი სიმინდი.

ქალს ელდა ეცა. ფერი მიუხდა. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა.

საწყობის გამგემ განცხადება გაუწოდა. გაოგნებულ ქალს დიდხანს ეჭირა ხელში რეზოლუციებით აჭრელებული ქაღალდი:

„რაიაღმასკომის თავმჯდომარეს სირბილაძეს: გაეცით ორასი კილოგრამი სიმინდი". სირბილაძე, თავის მხრივ, აგრომრეწვის უფროსს სწერდა: „გაეცით ასი კილოგრამი სიმინდი". აგრომრეწვის უფროსი, კომლეურნეობის თავმჯდომარეს: — „გაეცით ორმოცდაათი კილოგრამი"; თავმჯდომარე საწყობის გამგეს: — „გაეცით ოცდახუთი კილოგრამი სიმინდი".

ქალს უღონოდ ჩამოუვარდა ხელი და გაფითრებულმა უმწეო თვალები მიაპყრო ლიპიან საწყობის გამგეს.

დიახ, ასეა, შუა საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში ყოველ ორშაბათს სააჯო კარზე დაბრძანდებოდა ვაზირთა უპირველესი ჭყონდიდელი და იმავე დღეს უხვად განიკითხავდა ქვრივ-ობლებსა და ხეიბრებს. დღეს კი ჰუმანიზმთან ჯვარდაწერილ ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველებს აღარ უნდა გვიკვირდეს თუ უფრო დახვეწილი მეთოდებით განვიკითხავთ ობლებსა და ხეიბრებს, მრავალშვილიანებსა და გაჭირვებულებს.

იმ საღამოს, როცა იმედგაცრუებულმა დედამ შინ მიიტანა ოცდახუთკილოგრამიანი პატარა ფუთა, ცალხელა ქალის განცხადებაზე რეზოლუციების წამწერი ავტორები ნაირნაირი ხორაგით დაზურგულ მაგიდასთან ისხდნენ, ვეება ყანწებით სვამდნენ საქართველოს სადღეგრძელოს და ერთმანეთს ჭეშმარიტ ქართველებად და მამულიშვილებად რაცხავდნენ.

ვაგლახ, რომ დღეს ეგრე მომრავლდნენ ამნაირი მამულიშვილები!

## სამი ძმა

„ძმაო, ძმითა ხარ მაგარი, თორო მტერ მოგერეოდაო...“ ეგრე ჩაიღიღინა ვიღაცამ თავიდან და ხალხშიც ეგრე დამკვიდრდა, მაგრამ მავანსა და მავანს, ეტყობა, სიტყვა „მაგარი“ რატომღაც არ ეპიტნავა, „მდაბიურად“ ჩათვალა და, თავისი ჭკუით, უფრო დახვეწილი და გაკეთილშობილებული სიტყვა „ძლიერი“ ჩაწერა.

ძმა რომ ძმით მაგარიც არის და უძლეველიც, წელგამართულიცა და გულადიც, ამაში ეჭვი ვის ეპარება, ოღონდ ეს მაშინ, თუ ძმობის ჭაპანს ორივე მხარე ეწევა. თუ ძმები ერთმანეთს ძმობას უწევენ, თუ ერთი ძმა მეორეს სახლში არ ეჭრება და არა ცდილობს საკუთარი ჭერი წაართვას, მაგრამ თუ შენ ძმას ძმობას უწევ და ის კიდევ გმტრობს, ეს დაქცევა და ღადუპვაა, რამეთუ მტერი იმის მეათასედს ვერ გავნებს, რასაც მტრად გადაქცეული ძმა.

ერთი ძველი ამბავი უნდა გავიხსენო.

ვეება მთებით შემოსაზღვრულ ერთ სოფელში სამი ძმა ცხოვრობდა, უფროსს თოღასარი ერქვა. შუათანას სუბედაი, ხოლო უმრწმესს — ჯებე. სამივეს თითქმის თანაბარი მიწა ჰქონდა. ლამაზი ტყეებით, ველ-მინდვრებითა და საგარაკო მთა-გორებით დამშვენებული.

ვინაიდან ნაბოლარა ჯებე ყველაზე კეთილი და ხელგაშლილი მასპინძელი იყო, მიწა-წყალიც შედარებით უკეთესი ჰქონდა და ძმობაც სწამდა, ორივე ძმის მრავალრიცხოვანი ჯალაბი ხშირად სტუმრობდა მასთან. ისიც ხელგაშლილი ხვდებოდა ძმებსა და ძმების ჯალაბს, ეხვეწებოდა, დარჩით, აქ იყავით, ისიამოვნეთ, ნუ წახვალთ, ხომ ხედავთ, ჩემი მიწა-წყალი თქვენსაზე უკეთესიაო. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს და ბოლოს ორი ძმის ჯალაბს ჭკუაში დაუჯდა ჯებეს რჩევა და გულკეთილობა. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, ეს ჩვენი ძმა მარტო კეთილი კი არ უნდა იყოს, ცოტა ბრიყვიც არისო და ჯერ დროებით დაიდეს ბინა მის კარ-მიდამოზე და მერე, როცა დაატყეს, მართლა აქაურობა სჯობია და აქ გაცილებით უკეთ ვგრძნობთ თავს, ვიდრე საკუთარ სახლშიო, იხუვლა ორივე ძმის ჯალაბმა და კალიებივით მოედვნენ ჯებეს მიწა-წყალს. იწყეს იქ სამუდამოდ დასახლება და გამრავლება. პირველხანებში უმრწმესი ძმა ვერ ხვდებოდა. რა საშიშროება ელოდა ძმებისგან და ბოლოს, როცა სტუმარი მასპინძლად იქცა და თანაც ისე მომრავლდა, რომ მისთვის და მისი შთამომავლობისათვის ადგილი აღარ დარჩა, მიხვდა, რომ ძმები მტრებად გადაქცეულიყვნენ. მაგრამ თითზე კბენანი უკვე გვიან იყო.

ახლა ძმებით შეწუხებული, სულის მღაფავი ჯებე ადრინდელივით ვეღარა ღიღინებს, ძმაო, ძმითა ხარ მაგარიო, ფარ-ხმალდაყრილი საგონებელში ჩავარდნილა და ვეღარ მიმხვდარა, რით დაიხსნას ძმებისგან თავი.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედინაცვალი

თავიდან ასე მომეჩვენა, რომ ფუტკართა სოფელში ყველაფერი თავის რიგზე იყო, არც ერთ ოჯახს გასაჭირი არ ედგა. მაგრამ, როცა ბოლო სკასთან მივედი, საშინელი ორომტრიალი დამხვდა. შეშფოთებული ფუტკრები უწესრიგოდ ირეოდნენ და ზოგიერთები დასაკბენადაც კი მეტანებოდნენ. მაშინვე მივხვდი, ოჯახს რაღაც დიდი უბედურება ეწვია და იმან ააფორიაქა.

ნეტავ რა უბედურება უნდა სწვეოდა ფუტკართა ოჯახს?

სკა გავხსენი და შიგ ჩავიხედე. დედა მოკვდომოდათ, დედა, რომელიც მთელ ოჯახს წინამძღვრობს და ურომლისოდაც, როგორც წესი, მთელი ოჯახი უნდა დანელდეს.

ასეა, თუ ოჯახში დედა ფუტკარი მოკვდა, უდედოდ დარჩენილი ფუტკრები ან უგზო-უკვლოდ დაიფანტებიან და ისე დაიღუპებიან, ან ერთმანეთს შემუსრავენ.

ახლა უწინამძღვროდ დარჩენილები და ერთმანეთისადმი უნდობლობით განმსჭვალულები ელოდნენ, ერთმანეთს როდის დაერეოდნენ.

რა უნდა მექნა, უდედოდ ოჯახი იღუპებოდა, ახალი დედა რომ ჩამესვა, ანუ დედინაცვალი, არ იგუებდნენ, მაშინვე გასრესდნენ, ამიტომ ნაცად ხერხს მივმართე. დედინაცვალი გამჭვირვალე პატარა კოლოფში მოვათავსე, რათა არ მოეკლათ და სკაში ისე ჩავსვი.

გავიდა ორი დღე, დიახ, ორად ორი დღე და მოხდა ის, რასაც ველოდი.

პირველ დღეს ცდილობდნენ დედინაცვლის მოკვლას, მაგრამ ვერ მოახერხეს, მეორე დღეს უკვე თვალი მიაჩვიეს და ჯიგარიც მოუბრუნდათ ახალი დედისკენ. მესამე დღეს კი გამალებით ფიქრობდნენ, დიახ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ფიქრობდნენ, რაზე ვიღუპებით, აგერ არის ქალბატონი, ვინც დედობას და წინამძღვრობას გაგვიწევს, მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი გადარჩენა. მაშინ რაღად უნდა ვთქვათ უარი დედაზე და წინამძღვარზე?

უკვე დაწყნარებულები, მშვიდად უვლიდნენ გარშემო ახალ დედას და ცხოვრებისკენ შემობრუნებულები, ელოდნენ როდის უწინამძღვრებდათ იგი.

დედინაცვალი კოლოფიდან ამოვიყვანე და ისე ჩავსვი. ოჯახში ჩვეული წესრიგი დამყარდა. დედა ფუტკრის ირგვლივ დარაზმულები ჩვეულ შრომას და ცხოვრებას შეუდგნენ.

ასე გადარჩა ფუტკართა ოჯახი დაღუპვას. დედა ფუტკარი ნამდვილ დედობას უწევდათ და, ალბათ, ოჯახის არც ერთ წევრს არ მოსვლია აზრად, რომ მათ ნამდვილი დედა კი არა, დედინაცვალი წინამძღვრობდათ.

რა იქნება, ადამიანთა შორისაც ასეთი ერთგულება და ნდობა იყოს, როცა ოჯახში დედინაცვალი შემოდის.

ღმერთო დიდებულო! ნუთუ ფუტკრებს უფრო გონივრულად აქვთ მოწყობილი ცხოვრება და უფრო სათნოები არიან, ვიდრე ადამიანები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარინე ხმალაძე

●

წვიმავ, გამილალე ყვავილები!
ჰოი, ეს რამდენი დავითვალე,
აგრემც მათ სიყვარულში დავილევი,
მზეო, მზე აკლიათ ხარისთვალებს!
მინდვრის ნესტანები, დალილები,
მერცხლებს მიბანგავენ
თვალგიშერებს,
წვიმავ, გამილალე ყვავილები,
ყვავილო, საქართველო დამიმშვენე!

## ყოველდღე ისმის რუსთაველიდან...

(ციკლიდან „აპრილის სევდა".)

ჩამომხლეჩია ვაგლახად მხარი,
გადამგლეჯია მკერდი,
ცრემლად მაცვივა სხივები მთვარის,
ვაი, გიკვდები, დედი!
თითებში ჟონავს აპრილის ღამე,
მიწაში-სისხლის წვეთი,
ღია ჭრილობას ვაზომებ მტკაველს,
ვით გამიმეტეს, დედი!
ხომ მაპატიებ,
ბოლო დროს მგონი,
წერილსაც ველარ გწერდი,
კარგია, შემრჩა ბოლომდის გონი,
რა დაგამშვიდებს, დედი!
ბოროტს მიეზღოს ბოროტის წილი,
კეთილმა უძმოს კეთილს,
ასე გაზარდე შენ ჩემი შვილი,
მე ასე მზრდიდი დედი!
შემოგტირებენ ალბათ ჩემს
სიკვდილს,
უთხარ, მშურს ჩემივ ბედი,
თან სატკივარი წავილე დიდი,
საქართველოსი, დედი!
თვალს ჩაეყინა აპრილის ღამე,
მიწას კი — სისხლის წვეთი.
და ცხელი ცრემლი ჩამოსდის
მთვარეს,
ვაი, აღარ ვარ, დედი!

## საღამო მთებში

(ციკლიდან „გვიდაქის ზმანებანი")

...და ვნახე მზე —
მთებზე ჩამომდნარი,
ხომლებივით კიაფობდნენ მთები.
ნება-ნება მოარხევდა ქარი
მწუხრის ფერებს.
ციდან დაფეთებით
მოშხუოდა ბინდისფერი ფრთებით
მთის არწივი,
ჩრდილს არაგვში ჰბანდა
და...
რას ელი ცუდუბრალო თმენით,
შენ რად აღარ აიჭრები ცადა
გულო ჩემო,
შენ ხომ ისევ გჯერა
რაც გჯეროდა,
გავსებდა და გზრდიდა?
მადლი უფალს, არწივები ჯერაც
არ გამქრალან საქართველოს ციდან!

## ნაწისქვილარზე

წყალმა ჩამომსხიპა, ხევებში
ჩამკაფა,
რჯულამდის მომდია ზათქით და
ხველებით,
— აკურთხე უფალო და ჩემ თავ
ჯანდაბას,
სამშობლოს წყალია,
არ დაიწყევლებისׂ!

## ხმელი ხე...

იმდენი მდრიკე, გადამამტვრიე!...
კარგი, წუხილი უკვე არა ღირს...
ოხვრით დავასკდი გათოშილ იებს
და გადავთელე სველი ბალახი!..
მაგრამ შეუნდე ცოდვილთ, უფალო,
რამეთუ ყველას გვღუპავს ცდუნება
და არა ვუწყით, რომ სამწუხაროდ
ხმელი ხე უკვე არ ილუნება!

## სხვა რაღა მინდა

ო, საქართველოს დიდო წარსულო,
ამ ჩემს ლექსებშიც თუ
გაცოცხლდები,
მეტი რა მინდა,
ჟამგადასული
მოსთქვამენ ბებერ ციხის ლოდები
და დახავსნული, დამდნარ ხელებით
ხსოვნას და გლოვას ერთად
მიწვდიან,
ფიქრებს მოსდევენ ჭენებ-ჭენებით
არაგველები,
ცოტნე,
მინდია,
დგას წმინდა ნინო ვაზის ჯვრით
ხელში
მკერდდაშანთული დედოფლის
ლანდთან,
აყმუვლებულა ნადირის გეში,
დუღს შეძახილი ჯართა და სპათა,
დგას სერაფიტა დამდნარ თითებით,
ვეფხვებს აურვებს ჯიქთახათუნი,
ლომის ტორებით თიბავს მთიბველი,
უბეში უდევს დროშა ქართული
და არსაკიძის ნაჩეხი მკლავი
ქართული ვაზის ჩუქურთმას
კვეთავს,
კრწანისის ველზე კვლავ სისხლი
ჰყვავის
და გზებზე დაქრის აპრილის სევდა!
უკვე გადამწვარ, შერუჯულ მიწას
უბეში სიმწრით იყრის ქაქუცა,
წამომეშველე,
მამულო, ღირს მყავ
ამგვარ ვაჟკაცთა,
ამგვარ ქალწულთა!
დიდო წარსულო, — ჭრილობავ
ფიქრთა,
შენ რას დაგიტევს ჩემი წიგნები?
ო, მომავალო,
სხვა რაღა მინდა,
თუ შენც ასევე დიდი იქნები!

## პასუხი

ზღვაც მიყვარს, მაგრამ:. . . .
რა ვიცი.
მთას სულ სხვა ხიბლი ჰფენია,
იქ წყალი მოდის და მიდის,
მთა კი აქა სდგას, ჩვენია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამირან კალაძე

## ციკლიდან: „შევსებული მრავალწერტილი“

●

ერთი მერცხალი გაზაფხულს
ვერ მოიყვანსო...

ალმაცერად გვიცქერიან
მედროვენი...
ძმანო ჩემნო,
შიში მათი
აღარ გქონდეთ!
და თუ საქმე
უარესად აღარ მიდის
სწორედ ე მაგ
თითო მერცხალს
ვუმადლოდეთ!

### დაშიფრული ბარათი დატყვევებულ არწივს

ფრთების დაკეცვაც უნდა ისწავლო,
თუ გსურს იხილო
ზვიადი მთები...
ამ სიბნელიდან
ვიწრო სარკმელში
გაშლილი ფრთებით
ვერ გაფრინდები!..

●

როგორც მაძღართა
ბჭობა შიმშილზე
არის გონების
ფუჭი თამაში —
თავისუფლებაც
სხვაა მეჯლისზე,
სხვაა წიგნებში
და სხვა საკანში!

### ექსპრომტი ვ. რასპუტინს

სსრკ მწერალთა X ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის საპასუხოდ

დიახ, ავად ვართ
ჩვენ, ქართველები
დიდი ხანია თქვენით!
და ღმერთმა ნუ ქნას,
და ღმერთმა ნუ ქნას —
განუკურნელი სენით!

●

გინდა სიტყვით დაგიჭრივარ,
გინდ ხანჯლით და რაპირით...
აქ, ზურგსუკან ორმოს მთხრელი
იქ შემხვდები რა პირით!

### ფიქრი თოხნის დროს

სალამოა.
გრაფიკიდან ამოვარდნილი
მატარებელი
იმერეთის პეიზაჟზე მიიკლაკნება...
რკინიგზის სადემარკაციო ზოლში
ქილისქუდიანი კაცი
ყანას მარგლავს და
ახლა მთავარია არა ეს,
არამედ ის,
თუ რას ფიქრობს
ქილისქუდიანი კაცი
თოხნის დროს.

ასი წლის წინ ჩამოსაწერი
ვაგონის ფანჯარასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის მთვრალი პოეტი და
განა ისაა მთავარი, რომ
პოეტი იგი
შიგადაშიგ
ნაფიც კრიტიკოსთა
გამაღიზიანებელ ლექსებს წერს —
არამედ ის, რომ
მას მაინცა და მაინც
ის აინტერესებს,
თუ რას ფიქრობს კაცი
თოხნის დროს.

●

რაც დღეს სწორდება ლარზე
ხვალ გამოჩნდება მრუდად...
ვიღაც წაღმართად ნათლავს
რაც დღეს უკუღმა ბრუნავს!

და სანამ ჩვენივ ნებით
ეშმაკის გზებით დავალთ —
შავს დავინახავთ თეთრად,
თეთრს დავინახავთ შავად!

## შუაღამის მისტერია

შემომეფეთა უცაბედად შუაღამისას
ბალანგაცვენილი,
მაწანწალა ძაღლი, რომელმაც
წუთის წინ ცალფეხაწეულმა
ყოვლად უხამსად
კვლავ შეურაცხმყო
და წაბილწა ჩემი საფლავი...
საბრალო ძაღლი გაიტანა
იმავ სასწრაფომ,
რომელიც წელან
ჩემს საშველად მოიჩქაროდა...
ძაღლი ვინც მოჰკლა
მანვე გადაათრიოსო —
მუქარით შემახსენა
კეთილგანწყობილმა მილიციელმა და
მოსალოდნელი
დაუმორჩილებლობის მოტივით
დამატუსაღა...
საკანია ნესტიანი სიზმრით
შეთითხნილი,
კედელზე ღაღადებს
ნახშირის ავტოგრაფი:
„ადამიანი ყოველდღე იბადება!
ადამიანი ყოველდღე კვდება!
ადამიანი მაიმუნის წინაპარია!"

(მხატვრული გაფორმება —
ისარგარჭობილი გული)
„ტყისთვის სულერთია
ყვავი და ბულბული,
ტყემალი აყვავდება თუ აღარ
აყვავდება...
ბრბოსთვის სულერთია
მისთვის ვინ ეწამა,
პირველად ვინ იყვირა —
მეფე შიშველია!"
(მხატვრული გაფორმება — ზორბა
ნიუ)
„აქ ვიჯექით მე და
რაულ ვალენბერგი,
რომელმაც გამაცნო
იან პალახი და „სტოროჟევოის"
კაპიტანი
ვალერი საბლინი!"
(მხატვრული გაფორმება — თავის
ქალა.)
საფლავი წაბილწულია.
ძაღლი გადათრეულია.
ხელფასის შესაფერისი
სიფხიზლით
საკანის საჭურეტზე
თვალმობჯენილი
მილიციელი ცალი თვალით თვლემს.
მუსიკა.
ფარდა.
მქუხარე ტაში.
შუაღამის მისტერია
დამთავრებულია.
Se non E vero,
E ven trovato!*

* (იტალ.) „ეს თუ სიმართლე არაა. კარგად მოგონილი მაინცაა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაიგონე სისხლო ჩემო!

ზვიად გამსახურდიას

ეს ლექსი ათი წლის წინაა დაწერილი. გულსაწყვეტი ისაა, რომ აქ დღესაც ბევრი რამაა აქტუალური.

მოგვეძალა მტერი უხმლოდ,
ვეფხი ფასობს კატის კნუტად!..
დრო გადის და კიდევ კარგი
კრინტის ძვრაა კანტიკუნტად...
ვინაც ყვირის თავგანწირვით
ვიცით სულ რომ ეულია,
არვის ესმის მღერა ყმისა
ბევრი რულმორეულია!
გადამთიელს დავუსხლტებით,
ბოლო ჩვენი კეთილია...
მტრის გარმონზე რომ კუნტრუშებს
იმ ქართველის მეშინია,
თორემ ისე, მთქმელს თუ არა,
რა გამოლევს გამგონესა,
ბევრი მტერი დაუმხია
ქართულ გონსა და ღონესა!
გაიგონე სისხლო ჩემო,
ძნელბედობის შარაგზაზე
რუსთაველის ტკბილქართულით
იფიქრე და მოისაზრე,
თორემ ბანგი მოგვერია
და ზოგზოგი იმდენს ბედავს
რომ დუშმანის საამებლად
უკადრისობს ედდაენას!

რახანია ვარდისფერად
მოგვაჩერჩეს შავი ფერი,
ქართველი რომ ქართველია
მავანია დათვის ბელი...
ას ენაზე იწერება
ახლა ქართლის ჭირის სია...
შენი აღარ გეგონება
თბილისი რომ თბილისია!
მიწით ჩარჩობს მოღალატე,
სიმართლის თქმა აუგია,
შუა ქართლში თათრის ბინა
ქართველს ქირით აუღია!
ახლა სხვებსაც დამიხედეთ,
ჩემს მიწასაც მედავება!
ვაგლახ! უკან ვიხევთ, თორემ
ენა კი არ მექავება!...
დღეს სამშობლოს მომავალი
ეკალბარდის ლობეშია...
ჰა სალათამ შეაღწია
ჩვენს საბრალო სოფლებშიაც...
სანაქებო ყურთასმენა
უფლისგან რომ მიუღიათ,
საქართველოს პულსის ნაცვლად
კურანტებზე მიუპყრიათ!
მეკობრენო, დიდოელის
ნაბადივით გასაძელნო
ჰაი-ჰაი რომ ღვთის ნებით
კვლავ აღსდგება საქართველო!

1979 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ახვლედიანი

# ხომ გამოვედი კაცი!..

## ნოველა

იყო ერთი პატარა სოფელი. პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი, მაღალ მთის კალთაზე შეფენილი. არა, შეფენილი კი არა, მიჭუჭკული. სწორედ რომ მიჭუჭკული ჩნდა, შორიდან რომ გახედავდი. იმ სოფლის იქით ძეხორციელი აღარ ჭაჭანებდა. შარაგზაც იქა წყდებოდა. ბორცვიდან ბორცვზე, ფერდობიდან ფერდობზე, კალთიდან კალთაზე, მთიდან მთაზე გადაიოდა ეს გზა და შედიოდა სოფელში...

ერთი მხრიდან უფსკრული ესაზღვრებოდა სოფელს, ისე ღრმა იყო ის უფსკრული, რომ მის ძირს მზის სხივები ძლივს აღწევდა. გადმოხედავდი და, თუ თავბრუ არ დაგესხვეოდა და შიშისაგან მუხლები არ მოგეჭრებოდა, დაბლა, ბინდბუნდში, დაინახავდი თეთრი ძაფივით მიკლაკნილ-მოკლაკნილ მდინარეს, რომელიც შუა ზაფხულში ისე პატარავდებოდა, რომ იფიქრებდით, სადაცაა გაქრება, უზარმაზარ ლოდებს შორის გაუჩინარდებაო. ადრიან გაზაფხულზე და წვიმიანობის ჟამს იცოდა გადარევა. ისე გადაირეოდა, ი-სე, რომ მტრისას!.. აქაურებმა კარგად იცოდნენ მისი ბუნება და სიახლოვეს არ ეკარებოდნენ მაშინ.

სოფლის განაპირას, სიპი კლდის თავზე, ძველისძველი ციხე იდგა. თუმცა რაღაი ციხე... ნანგრევებიღა იყო დარჩენილი. შეხედავდი და, ეს ნანგრევებიც კი ზვიადად, ამაყად გადაჰყურებდა ხეობებს. თავისი ტყეც ჰქონდა სოფელს. ტყეცაა და ტყეც. იქ რომ ხეები ხარობდა, ცის ტატნობს ეხებოდა კენწეროებით. ეს ტყე სოფლის მფარველი იყო. ყველაზე დიდთოვლიანი ზამთრის დროსაც მშვიდად იყვნენ აქაურები. იცოდნენ, რომ მწვერვალებიდან დაძრულ ზვავებს ხალ კლდესავით ხვდებოდა ფესვებძლიერი და ტანდაძაგრული ხეები.

სოფლის ბოლოს, სწორედ ამ ტყის პირას, იდგა ერთი პატარა ფიცრული სახლი. იქ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სახლობდა. სიყვარულით შეუღლდნენ ისინი. იმ სოფელში ყველა სიყვარულით ქორწინდებოდა. სხვანაირად ვერც წარმოედგინათ ოჯახის შექმნა, ამიტომაც ცხოვრობდნენ ასე ტკბილად იქაურები, ჭირიცა და ლხინიც ერთი ჰქონდათ.

გადიოდა დრო.

ნელ-ნელა ნაღველი შეეპარა ცოლ-ქმარს.

რატომ?

შვილი არ უჩნდებოდათ და იმიტომ.

ძალიან-ძალიან უნდოდათ, რომ მათს პატარა ოჯახშიც დაგორებულიყო ლოყებფუნჩულა ჩვილი, დაგორებულიყო და ეჭყლოპინა, ეღრიალა... მერე ებაჯბაჯა ოთახიდან ოთახში...

აბა, ის ოჯახი რა ოჯახია, შვილი რომ არ ჭყლოპინებს და ბაჯბაჯებს!

—ღმერთო, გთხოვთ, გევედრებით, ერთი ბიჭი გვაჩუქე, სიბერეში უპატრონოდ რომ არ დავრჩეთ, ღმეეეერთო!—ისე უმუდარებოდნენ, მამაზეციერს ისე, რომ სიბრალულისაგან გული გადაგიბრუნდებოდა კაცს.

ის იყო, თითქმის გადაწყვიტეს იმედი, რომ...

— დეე-დაა!.. — შესძახა ერთ დღეს ქალმა და მუცელზე იტაცა ხელები. ბალჩაში იყო მაშინ და კეჟერა მხალს ტეხდა. ყველა საჭმელს კარგად ამზადებდა ქალი, მაგრამ მხალს — უუმ!.. თითებს ჩაიკვნეტდი. უყვარდა კაცს ცოლის გაკეთებული მხალი. მშრალი კი არა, წვნიანი, ტყემლით, ნიგვრით, პილპილით და სხვადასხვა მწვანილით შეზავებულ-შეკაზმული. — დეედაა!.. — მხალი ძირს დაუცვივდა. მაგრამ ამაზე ვიღა ფიქრობდა. — ღმერთო, ნუთუ შეისმინე ჩვენი ვედრება, დაილოცა შენი სახელი!.. — ხელები ნაზად აისვ-დაისვა მუცელზე. — გაფაჩუნდი, ჰო, გაფაჩუნდი კიდევ!..

ჩვილმა, თითქოს გაიგონა დედის ხმა, კიდევ უფრო ძლიერად გაიქნია ფეხები.

— ასე, ჩემო ვაჟკაცო, ასე, გეტყობა, კაი გოლიათი უნდა დაიბადო! კიდევ, გენაცვალე, კიდევ!..

— რას ბუტბუტებ, დედაკაცო, — თავს წამოადგა ქმარი. — ხომ არაფერი მოგელანდა, ნეტავ?

— შვილი გვეყოლება, შვიი-ლიიი!

— რა თქვი? — შეეკითხა ქმარი, იფიქრა, მომეყურაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვილო!.. — ქალი იცინოდა, ლოყებზე კი დაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

მათს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოთმინება არ ჰყოფნიდათ, თითებზე ითვლიდნენ დღეებს.

რა იცოდნენ საბრალოებმა, რომ... ეეჰ!..

და აი, მათ ფაცხაშიც დაიბადა ვაჟი. ისეთი იყო, ისეთი, რომ, როგორც იტყვიან ხოლმე, ავ თვალს არ ენახებოდა.

სხვები თუ თვეობით იზრდებოდნენ, იგი დღეებით და საათობით იზრდებოდა. ხუთი წლისა, ათი-თხუთმეტისას ჰგავდა. ძალ-ღონე მოზვრისა ჰქონდა, მადა-ზვიგენისა, გული-ქვისა, სიჯიუტე კი-ვირისა.

დღე ისე არ გავიდოდა, რომ მეზობლის ფანჯრები არ ჩაემტვრია, ერთი-ორი ბიჭისათვის ცხვირ-პირი არ დაესისხლიანებინა, ღობეზე არ გადამძვრალიყო და ხილი არ მოეპარა, გოგონები ნაწნავებით არ დაეთრია, დედაბრები არ გამოეჯავრებინა, კალატოზებისათვის ქვები არ დაეშინა, ძროხები კუდებით არ გადაება ერთმანეთზე...

იმ სოფელში მანქანებიც აღარ შედიოდნენ, რადგან ყველა მძღოლმა იცოდა, რომ ბიჭს გზაზე ლურსმნები ჰქონდა ჩაწყობილი...

მოსვენება დაეკარგა ხალხს.

ასეთი უჯიშო საიდან გაჩნდა ჩვენს სოფელში?! — გაკვირვებით კითხულობდნენ მეზობლები.

— შენ მოესპე და ამოუვარდი დედაშენს! — წყევლიდნენ დედაბრები.

— შენს დაბადებას, ერთი კრამიტი გაჩენილიყო ნეტავ! — დაადევნებდნენ კალატოზები.

— შენგან კაცი არ დადგება, შვილო! — ეტყოდნენ ვაჟს გულდათუთქული მშობლები.

სკოლაში კიბო გაუჩინა დამრიგებელს, ნერვიულ შოკში ჩააგდო დირექტორი, რომელსაც ამ დამსახურებულ კაცს განათლების განყოფილებაში სასტიკი საყვედური მიაკერეს, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისათვის.

საბრალო მშობლები თითქმის ათენ-აღამებდნენ სკოლის კიბეზე.

გადაიღალნენ მასწავლებლებიც, მაგრამ რა ექნათ, ყველას ეცოდებოდა უკვე დაავადებული და ნაადრევად დაბერებული მშობლები და ხათრით უწერდნენ ვაჟს სამიანებს.

ასე დაამთავრა სკოლა.

— შენგან კაცი მაინც არ დადგებაო! — მილოცვის ნაცვლად წამოსცდა დირექტორს, როცა ვაჟს სიმწიფის ატესტატი გადასცა.

სოფელში ქორწილი არ ჩატარდებოდა, რომ ჩხუბი და აყალმაყალი არ აეტეხა. ახალგაზრდა ქალებს გზაზე გამოჩენა ვერ გაებედათ. მოკლედ, მისი შიშით დაბლა ჭიანჭველა ველარ დაცოცავდა და მაღლა ჩიტი ველარ ფრენდა.

თვით მილიციელებიც კი იმალებდნენ, როდესაც ჩხუბს შეესწრებოდნენ. ზედმეტი კბილი, აბა ვის ჰქონდა?!

სადმე თუ სუფრა გაიმართებოდა, დაუკითხავად მიუჯდებოდა. შრომა სასტიკად ეჯავრებოდა. უკანასკნელ გროშებს წაგლეჯდა მშობლებს და რამდენიმე დღით გადაიკარგებოდა.

ერთ დღეს კი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

მოისვენა სოფელმა. ტოტებზე თამამად ფრთხიალ-ტკრციალებდნენ ჩიტები, ორღობეებში მხიარული სიცილ-კისკისი ისმოდა.

მაგრამ, აბა, რომელი მშობელი გაუძლებს შვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვას? მდუღარე ცრემლებით ტიროდნენ გულდამწვარი მოხუცები.

თვეს მისდევდა თვე, სუსხიან ზამთარს კეკლუცი გაზაფხული ცვლიდა. გადიოდა წლები.

ერთ დღეს სოფლის ცალთვალა ფოსტალიონმა მათი უკვე მორყეული სახლის კარი შეაღო.

რომელიღაც ქალაქიდან მოფრენილიყო წერილი.

მამას უხმობდა შვილი.

— მე, მოხუცი და უილაჯო, როგორ წავიდე ამხელა გზაზე?! — დაიკვნესა მამამ.

— ღმერთო, ღმერთო, დაილოცა შენი სახელი! — ჩიფჩიფებდა კუთხეში დედაბერი. — შენი სახელის ჭირიმე, შენი! კვლავ რომ ისმინე ჩვენი ვედრება. ჩვენი შვილი გამოჩნდა, ცოცხალი ყოფილა! წადი, მოხუცო, წადი, უჭირს, ალბათ...

— ჩვენზე გაჭირვებული ვინაა ამ ქვეყანაზე! — თქვა ბერიკაცმა.

— შვილი, საკუთარი შვილი გიხმობს, ბერიკაცო, შენი სისხლი და ხორცი. ლოგინიდან წამოდგომა რომ შემეძლოს, მეც თან გამოგყვებოდი.

— ამხელა გზაზე მგზავრობას ხარჯიც რომ დიდი უნდა?.. — ამოიოხრა კაცმა.

— სოფელი დიდია, მეზობელი — გულუხვი, შვილისაკენ მიმავალი გზა კი — დალოცვილი, ამბობდა დედაბერი. — წადი, წადი, მოხუცო!

— მერე, შენ?..

— ჩემზე ნუ იდარდებ. აკი გითხარი, სოფელი დიდია-მეთქი.

დაისესხა ბერიკაცმა ფული და მეორე დღეს, დილაუთენია, გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა რკინიგზის სადგურს. სალაროსთან ხალხი ირეოდა. მოხუცი მათ უკან ამოუდგა.

— ამა და ამ ქალაქამდე მინდა ბილეთი, — მიმართა მოლარეს.

— მაგ ქალაქში ჩვენი მატარებელი არ ჩადის, — მიუგო ქალმა.

— აბა, რა ვქნა?

— ამა და ამ ქალაქამდე იმგზავრეთ. მერე იქიდან სხვა მატარებელზე გადაჯდებით და ჩახვალთ.

— აბა, მაშინ ჯერ მაგ პირველ ქალაქამდე მომეცით.

— საიდან მოგცეთ, თუ არ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს, როგორ არ არის?..

— ისე, არ არის და მორჩა. იყო და აღარ არის. გა-ი-ყი-და!

— შვილო, ამხელა მატარებელში ერთი ადგილიც როგორ არ იქნება მოხუცისათვის? — თვალებზე ცრემლები მოადგა ბერიკაცს.

— ადგილი ადგილია, მოხუცებისათვის ცალკე არ იყიდება.

— შვილთან მივდივარ. ვინ იცის, რა უჭირს...

— მორჩი ახლა წუწუნს. არ არის და, რა ვქნა! — მკვახედ ესროლა მოლარემ. უცებ დაუთბა მზერა. — თუმცა...

— ა?! — გამოცოცხლდა მოხუცი.

— არის ერთი გამოსავალიც... გამცილებელს მოელაპარაკე...

გამცილებელი მოლარეზე ბევრად ყურადღებიანი აღმოჩნდა. იგი მაშინვე შევიდა მოხუცის მდგომარეობაში და წუთში გამოუნახა თავისუფალი კუპე.

— ღვთისნიერი კაცი ყოფილხარ, შვილო, — დალოცა იგი მოხუცმა, — მარაა... ამდენი თავისუფალი ადგილი თუ იყო, ი მოლარე რას იძახდა...

— ბევრი გეცოდინება, ადრე გაქიმავ ფეხებს! — მიუგო გამცილებელმა. — მაგ ფილოსოფიას გიჯობს, მე რაც მერგება, ჩამომიყაჯო!

მოხუცმა აკანკალებული ხელებით ძლივს გახსნა შვიდჯერ გახვეული-გაკოჭილი ცხვირსახოცი და დაჭმუჭნილი მანეთიანები გადაუთვალა. ახმახმა გამცილებელმა ფული ჩაიჯიბა და კუპეს კარი გაიჯახუნა.

დიდხანს იწრიალა ლოგინში. ბოლოს, როგორც იქნა, ჩასთვლიმა. უეცრად კარზე ბრახუნი გაისმა.

— გააღეთ! — ბრძანებდა ვიღაცის ხმა.

მოხუცი სწრაფად წამოდგა და საკეტი გადაატრიალა. კუპეში სამი კაცი შემოვიდა.

— ბილეთი! — მიმართა მას ბოხხმიანმა. ეტყობოდა, უფროსი უნდა ყოფილიყო.

— მე.. მე არა მაქვს...

— როგორ თუ არა გაქვს?

— რათ, შვილო, რა ბრძანე?

— სახელმწიფოს ხარჯზე გსურს იმგზავრო?

— როგორ გეკადრება, ბატონო... აგერ გამცილებელს გადავუხადე.

— დაბერებულხარ ვიღაცა ხარ, და სინდისიც დაგიკარგავს! — გაწიწმატდა გამცილებელი, — ქენი ამის მერე მადლი... მამისტოლა კაცი შევიცოდე, ადგილი გამოვუნახე და ახლა ჩირქსა მცხებს პატიოსან მუშაკს. — მიუბრუნდა იგი უფროსს.

— ახლავე გადაიხადე, თორემ ჩამოგსვამთ! — უბრძანეს მას.

— რას მერჩით, რა გსურთ ჩემგან.

— ლაპარაკი! ფული!..

— გამცილებელს ხომ გადავუ...

— ფუ-ლი!

— სინდ...

— ფუ-ლი!

მოხუცმა კვლავ გახსნა შვიდჯერ გახვეული-გაკოჭილი ცხვირსახოცი და ცრემლმორეულმა გადაუთვალა დაჭმუჭნილი მანეთიანები. უფროსმა ფული ჩაიჯიბა და მხლებლებს ანიშნა, მომყევითო.

— კიდევ რომ მოვიდეს ვინმე და ბილეთი მთხოვოს, რაიმე საბუთი მაინც დამიტოვეთ, — კალთაში ხელი ჩაავლო ბერიკაცმა.

უფროსმა ულვაშის ერთი ღერი ამოიძრო და მოხუცს გაუწოდა.

— ა, ბატონო, თუ გაგიჭირდეს რამე, ამოიღე არჩევე და ჩამოგეხსნებიან

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს.

მეორე დღეს მატარებელი ქალაქის სადგურში შევიდა. მოხუცი დაბნეული იდგა ვაგზლის მოედანზე და არ იცოდა, საით წასულიყო.

მოულოდნელად მის წინ ვიღაც უცნობი აისვეტა. მაღალი იყო და გრძელცხვირა. გამხდარგაჩაჩხული თითებით, ჩამოფოცხილი თმითა და წვეტიანი ნიკაპით ნამდვილ ჯადოქარს ჰგავდა.

— საით გაგიწევია, ბერიკაცო? — ჩურჩულით შეეკითხა იგი.

— ამა და ამ ქალაქში მივდივარ, შვილი უნდა ვნახო.

— მატარებელი მაგ მიმართულებით მხოლოდ ხვალ გადის.

— ხვალამდე სად გავათიო ღამე?

— პ-პე, არ იცი, სად?.. სასტუმროში. ბაბუ, აგერაა, ქუჩის გადაღმა.

— მიმიღებენ?..

ჯადოქარი გამქრალიყო.

— მივლინება გაქვთ? — შეეკითხა მოხუცს სასტუმროს ადმინისტრატორი.

— კი, შვილო, ა!

— მასხრად მიგდებ, ბერიკაცო?

— როგორ გეკადრებათ...

— ეგ ხომ წერილია.

— ამაზე მეტი მივლინება რა იქნება. ღვიძლი შვილი მიხმობს. უჭირს, ალბათ...

— ადგილები არა გვაქვს.

— აბა, სად წავიდე?

— ეგ ჩემი საქმე არ არის...

— ბერიკაცი ვარ, შვილო, გარეთ ხომ არ გამაგდებ!

— ეს ჩემი დუქანი კი არ არის. სახელმწიფო დაწესებულებაა. სა-ხელ-მწი-ფო და-წე-სე-ბუ-ლე-ბა! გაიგე?

— გავიგე. — დაიკვნესა მოხუცმა.

უცებ ვიღაცის ფრთხილი შეხება იგრძნო. მიიხედა. წეღანდელი უცნობი იყო.

— ჯადოს გასწავლი. — წასჩურჩულა მან.

— მართლა ჯადოქარი ხარ?

— კი.

— აბა, მიშველე რამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგას, მოხუცო, ამდენი მიეცი და ყველაფერი რიგზე იქნება. — თითები გაუჩაჩხა ჯადოქარმა.

— მართლა? — გაუხარდა ბერიკაცს. — რომ არ იკადროს?

— იკადრებს. პასპორტში ჩაუდე და ისე მიაწოდე.

ადმინისტრატორმა ილუზიონისტის ოსტატობით გამოაძვრინა პასპორტიდან ფული და თვალსა და ხელს შუა გააქრო. მოხუცმა მადლიერი თვალებით მოუხედა ჯადოქარს. მაგრამ იგი კვლავ გამქრალიყო.

ტკბილად იძინა იმ ღამით. დილაადრიან კვლავ თავის ბოხჩას დაავლო ხელი და ვაგზლისაკენ გაეშურა.

— იმ ქალაქისაკენ დღესაც არ გავა მატარებელი. — მკვახედ მიუგო მოლარემ.

— აბა?..

— ხვალ... ან თვითმფრინავით იმგზავრეთ.

— თვითმფრინავი სადაა?

— აეროდრომზე.

— აეროდრომი?

— იქვეა.

— გადი, კაცო! — უყვირეს რიგიდან, — საშაუიროდ მოსულა ვიღაცაა.

უჯიკავეს და ბურთივით ისროლეს.

კვლავ მოედანზე გავიდა და უმწეოდ თვალების ცეცება დაიწყო.

— შენ საით, მოხუცო?

— აეროდრომზე.

— აბა, აგერ ჩემი მანქანა...

— აგაშენა ღმერთმა.

— ოღონდ, ამდენს თუ მომცემ...

— სად მაქვს მაგდენი, შვილო.

— აბა...

— მოიცადე.

— აჰა, გიცდი.

— დამიკელ ცოტა.

— ჩემი სიტყვა სიტყვაა. ბასტა!

— შვილთან მივდივარ, ფული მეზობლებში დავისესხე... სინდისი არა გაქვს?

— ფული და სინდისი ერთმანეთს ვერ იტანს, ბაბუ. ცხოვრება უნდა ყველას.

— კარგი, რაღა გაეწყობა, — ამოიოხრა მოხუცმა და გულის ჯიბიდან გაკოჭილი ცხვირსახოცი ამოიღო...

— ჯავშანი გაქვს? — ჰკითხა აეროპორტის მოლარემ.

— რა, შვილო?

— ჯავშანი თუ გაქვს-მეთქი.

— პაპაჩემისა მაქვს... სადღაც მიგდია სახლში. რაში დაგჭირდათ?

— დამცინი, ბაბუ?

— როგორ გეკადრება, შვილო.

— ჯავშნის გარეშე არაფერი გამოვა.

მოხუცს თვალებზე ცრემლები მოადგა.

— კარგი. შევეცდები გავახერხო რამე. — შეეცოდა ქალს.

— შენ იცი და შენმა ქალობამ!..

— ბედი გქონია, ბაბუ, ზუსტად ერთი ადგილი ყოფილა თავისუფალი.

— ა, ბატონო, ვიცი მაგ ერთი ადგილის ფასი.

— როგორ გეკადრებათ, ვინ გგონივართ! აიღეთ ბილეთი და, ბედნიერი მგზავრობა!

— გაიხარე, შვილო!

რამდენიმე საათის შემდეგ თვითმფრინავი სწორედ იმ ქალაქში ჩაფრინდა, სადაც მოხუცის ერთადერთი ვაჟი ცხოვრობდა. ქალაქი დიდი იყო. ქუჩებში უამრავი ხალხი ირეოდა. ყველა სადღაც მირბოდა. ყველას სადღაც ეჩქარებოდა.

— ამ მისამართს ხომ ვერ მიმასწავლით? — მიმართა მოხუცმა ერთ გამვლელს და კონვერტი გაუწოდა.

მას ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე ჩაუარა გვერდით.

— ეს მისამართი მიმასწავლეთ!..

— მისამართი...

— მისამ...

საგონებელში ჩავარდა ბერიკაცი, არავის ესმოდა მისი. უფრო მეტიც, ზედაც არ უყურებდნენ. თითქოს, არც არსებობდა.

ბევრი იხეტიალა თუ ცოტა, ბოლოს ერთ ჯიხურს მიადგა. „ქალაქცნობა" — ეწერა ზედ.

— ეგ დაწესებულება ამა და ამ რაიონის ამა და ამ ქუჩაზეა, — უპასუხა „ქალაქცნობამ",— შეგიძლიათ დაჯდეთ ავტობუსზე ან ტროლეიბუსზე. უფრო უკეთესი იქნება, თუ მეტროთი იმგზავრებთ, მთლად კარგი — თუ ტაქსს იქირავებთ.

— ეჰ, ტაქსის ფული სადღა მაქვს შვილო, — თავი ჩაქინდრა მოხუცმა.

ბევრი ეძება თუ ცოტა ეძება, მშიერ-მწყურვალი და დაღლილ-დაქანცული, ქვაზე ჩამოჯდა დასასვენებლად...

უცებ ნაცნობი ჯადოქარი გამოეცხადა.

— ვერ მიაგენ? — შეეკითხა მოხუცს.

— ვერა.

— მე დაგეხმარები.

— მიშველე რამე, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს! — დაეღრიჯა.

— ღმერთი? — ჩაიქირქილა ჯადოქარმა. — ღმერთი?

— ფული აღარა მაქვს და...

— აბა, დახუჭე თვალები! — უბრძანა ჯადოქარმა მოხუცს, მერე მხრებში ჩაავლო ხელები და ბუმბულივით აიტაცა ჰაერში. უცებ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, სადღაც თვალისმომჭრელად იელვა და შემზარავად დაიგრგვინა. შესცივდა მოხუცს, აძაგძაგდა.

— აი, მოვედით კიდევაც. — ჩაესმა ჯადოქრის შემპარავი ხმა. — ამ სახლს ხომ ხედავ. მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე მაღალ სართულზე ზის შენი შვილი. ჰა, გაახილე თვალები!

უბრძანა და ძალუმად შეანჯღრია.

მოხუცმა თვალები გაახილა. მის წინ მილიციელი იდგა.

— აქ ძილი არ შეიძლება, თანაც ხომ ხედავთ, ამინდი შეიცვალა, გაცივდებით.

— აბა, სად წავიდე?

— სახლში.

— ჩემი სახლი ცხრა მთას იქითაა, შვილო.

— აქ რაღას აკეთებთ?

— შვილს დავეძებ. აი, მისამართი. იქნებ მიმასწავლოთ? — დაეღრიჯა.

მილიციელმა კონვერტი გამოართვა, წაიკითხა და უცებ სიცილი აუვარდა.

— თქვენ უკვე მოსულხართ, — თქვა მან და მაღალ შენობაზე მიუთითა.

— ეს როგორ, მაშ სიზმარი არ იყო?

— აბა, კარგად იყავი, მოხუცო!..

— მოიცადე!.. — შეჰყვირა ბერიკაცმა, მაგრამ იქ უკვე აღარავინ იყო.

შენობაში შევიდა და პირველივე შემხვედრს ჰკითხა, ჩემი შვილი სად შეიძლება ვნახოო?

უცნობმა ამრეზით შეათვალიერა... შენი შვილი ვინ არისო?

ესა და ესაო.

ერთბაშად შეიცვალა უცნობი. ჯერ გაწითლდა, მერე გათეთრდა, გამწვანდა... ენაც ველარ მოიბრუნა, მხოლოდ თითი გაიშვირა.

იარა, იარა მოხუცმა და ერთ დერმანტინიან კარს მიადგა.

თრთოლვით შეაღო.

შორს, დარბაზის თავში, დიდ მაგიდას ზონზროხა მუტრუკი უჯდა და პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. კედლებს აკრული ხალხი შიშისაგან თრთოდა და ოთხად იკაკვებოდა. უცებ ერთს დაავლო ხელი გოლიათმა და გადაყლაპა. იყო კაცი და აღარ არის...

მოხუცის დანახვაზე შეკრთა მუტრუკი. წკიპურტით ანიშნა ყველას, მომწყდით თავიდანო.

— მამა! — დაიგრგვინა მან, — მიცანი?

— გიცან, შვილო.

— ხედავ?! — ამაყად გაშალა ხელები გოლიათმა, — ყველაფერს ხედავ?

— ვხედავ.

შენ კი სულ მეუბნებოდი, შენგან კაცი არ დადგებაო. ყველა მეუბნებოდით, ყვე-ლა!

— გეუბნებოდით.

— ხომ გამოვედი კაცი, ა?! ჰა-ჰა-ჰააა!.. ახლა რაღას იტყვით?! ჰა-ჰა-ჰაა!..

დიდხანს ხარხარებდა ვაჟი. ხარხარებდა და ქათქათა ცხვირსახოცით იწმენდდა ცრემლებს. სიცილით გული რომ იჯერა, დაინახა, რომ დარბაზში მოხუცი აღარ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო მამფორია

●

იყო და არა იყო რა,
არა იყო და იყო რა,
ღარიბმა თავი დაკარგა,
ისიც მდიდარმა იპოვა.
სიბნელე ნათელს ებრძოდა,
სინათლე თან გაიყოლა,
უწყლოდ დაიხრჩო სიკეთე,
ბოროტმა წყალი იპოვა.
მშიერი დარჩა მშიერად,
მაძღარი ამოიყორა
იყო და არა იყო რა,
არა იყო და იყო რა...

## შეუმდგარი თვითმკვლელობა

მაინც და მაინც,
დაამახსოვრდა ის დღე
რომლის დავიწყებაც გადაწყვიტა.
მაინც და მაინც გაუღიმა იმას,
ვისაც შემდგომში უნდა ეტირა,
მაინც და მაინც იმ უცნობს შეხვდა,
ვისაც ცოტა ხანში გაშორდებოდა
მაინც და მაინც მას უერთგულა,
ვისაც დაუნდობლად უნდა ეღალატა.
მაინც და მაინც, მაინც და მაინც
სიცოცხლე ამ ქვეყნად
იმ დღეს შეუყვარდა,
როდესაც თავის მოკვლა განიზრახა.

●

ზოგი აგროვებს
    უძველეს მარკებს,
ზღვის ფერად კენჭებს,
    მშვენიერ მარჯნებს,
დამზრალ სურათებს,
    ფერწასულ ხატებს,
ხავსიან ქვებს და
    წინაპართ ხანჯლებს.
ზოგიც აგროვებს
    ნაძვის ხის გირჩებს,
პეპლების ფრთებს და
    ბალახის ღეროს
მე კი ვაგროვებ
    ცრემლების ძივებს,
რომელიც ცვივა
    დღეს საქართველოს...

## შავი სანთლები

და ეშვებოდნენ ძირს სანთლები
დანთებული ლოცვის გარეშე.
„უფალო, იესო ქრისტეო,
შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი“
— ამბობდა ბავშვი.
მე შემეშინდა პირველად შიშის
მომწყურდა მეთქვა აღსარება,
მაგრამ ეკლესია,
სადაც უნდა შემედგა ფეხი
იქ აღარ დამხვდა.
მხოლოდ ეყარნენ იქ ალაგას
შავი სანთლები,
დანთებული ლოცვის გარეშე...

## შეუცნობელი მოლოდინი

ჩვენ ყველანი შეუცნობლად ველით
    იმ ღამეს
როცა ვიღაცა დაგვიკაკუნებს
და ასე გვეტყვის:
ხედავთ, სულ ვკანკალებ
შემიცოდეთ, გამათბეთ...
იცით, როგორ მშია,
მოდით, დამაპურეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხეთ, ვარ შიშველი,
მრცხვენია, დამფარეთ.
მერე კი ფართოდ გამიხსენით
ეგ სხეული,
ეს მე ვარ, — ვერ მიცანით?
სიყვარული!
ღმერთისგან ბოძებული მზითვებით
შემოვდივარ თქვენში
და ყველანი შეუცნობლად
ველით ამ ღამეს.

## პირველი მარცხი

ტელეფონის აცუნდრუკება.
მივიწყებული ხმა.
აკვიატებული ფიქრი:
პირველი სიყვარული მაინც
უკანასკნელია.
ძებნა ძველისძველი ფეხსაცმლისა,
რომლითაც პირველად შევხვდი მას.
მხოლოდ პირველი მარცხი
არაა ალბათ უკანასკნელი!..
ცალ ფეხსაცმელს ქუსლი
გასძვრომოდა.
დავრჩი სახლში.

## უხმო განაჩენი

ვიწრო სარდაფში ენთო სანთელი
და ბერიკაცი, ვინაც გვიან ირწმუნა
ღმერთი
შეუჩერებლივ ლოცულობდა.
გაშავებული ხელები აღეპყრო
ცისკენ,
ცოდვებისგან დამძიმებული
თვალებიდან
ცრემლი სდიოდა.
მათგან ერთ-ერთი სანთელს დაეცა!
გაქრა ალი, ჩაქრა სანთელი,
ეს განაჩენი სიკვდილიაო,
— თქვა ბერიკაცმა,
და განუტევა სპეტაკი სული.
იმ სიბნელეში კენტად დარჩა სუსტი
სანთელი,
ვერ მიმხვდარიყო შეცდომას მიაას
და დაღვენთილი ელოდებოდა,
ელოდებოდა განაჩენს ღვთისას.

## შინაბერა

ჩამოუხმა უსუსური მხრები,
ხის მაგიერ მხოლოდ ტოტი დარჩა,
ვერ იპოვა მომნუსხველი სხივი
და ძირს გდია ჩაუცმელი ფარჩა.
იყო გზა და მერე გაჩდნენ გზებიც,
საბოლოოდ ყველა ერთურთს აცდა.
ეს ცხოვრება ვითარც გაკვეთილი
არ მოვიდა არავინ და გაცდა.

## გუბურა

თუმც შეუწყვეტლივ იმ ღამეს
წვიმდა,
მაინც ამოშრა ციცქნა გუბურა
და ის ტირიფიც, რომელიც მუდამ
თმას ივარცხნიდა ამ წყლის სარკეში
უცებ ჩამოხმა,
შეღონდა წვიმა.
მას მხოლოდ სურდა საზრდო მიეცა,
მაგრამ დაღუპა ციცქნა გუბურა,
რადგანაც იგი წყალი კი არა,
დაგუბებული მზის ცრემლი იყო.
სიზმარეთი
გარდამავალ შუქთა ძალას
მიაქროლებს სიზმარეთი.
სიტკბოება თავა იწონებს,
სამკაულით სიმწარეთის.
ერთხელ ვბედავთ გაელვებას,
მერე გვტოვებს სიტყვის ღმერთი.
ოღონდ იყოს სიახლე და
ვხარობთ ცუდი სიახლეთიც.
ჩრდილი უსწრებს ცოცხალ სხეულს,
გვხიბლავს თავის სიანცეთი.
გარდამავალ შუქთა ძალას
მიაქროლებს სიზმარეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მოიხსენი დაჟანგული გრძნობის სადავეები
და ნუ ავსებ თვალთა გუგებს
მობეზრებულ ხედებით.

სინამდვილეს მოეფერე გადაკაწრულ ხელებით
და შეგშურდეს მხოლოდ ერთის
გაჭენებულ ცხენების!

●

ჩაქრა სიწითლე ყაყაჩოების,
დაუნახავი აორთქლდა ზოლი...
მეც გავურბივარ ჩემს თანატოლებს,
რომელნიც უკვე წასულან შორით.
გაქრა ბავშვობა!

ფრთების ძებნაში გადაილალნენ,
თმა გაუთეთრდა ლოდინის იქვებს,
ჩაქრა სიწითლე ყაყაჩოების,
მოციქული ვარ ამაოების.
ფეხისწვერებზე დგება სიჩუმე...

## ნეტარების ველი

გადათელეს ნაადრევად ნეტარების ველი,
მიმატოვა სიმარტოვემ, არც ახლობელს ველი.
თეთრ ფიფქებად იფერფლება გაზაფხულის ზეცა,
აფრენილმა სიყვარულმაც ფრთები მოიკვეცა.
ცის ნათელი უცებ გახდა გასაოცრად ბნელი
და სიკვდილშიც ლოცვას აღვლენს დაბნეული მრევლი.
გადათელეს ნაადრევად ნეტარების ველი...

## ნაბიჯი

გვიძლვნიდნენ მელოდიებს...
სწორედ ამ დროს,
ჩვენ ვდგებოდით და გავრბოდით
იმ ადგილიდან, სადაც გვნატრობდნენ
და კმაყოფილნი შევდიოდით იქ,
სად არც კი გველოდნენ.
(მაგრამ შედარებით ვითომდა რომ
თბილად გვხვდებოდნენ).
თვალს ვაცეცებდით და გვეგონა მართლა ვხედავდით!
ნაწყენი დაგვრჩა საბოლოოდ ორთავე მხარე.
რად ვერ ვარჩევდით
რომელს ვუყვარდით და რომელს ვძულდით.
ჩვენ ხომ გვერჩივნა ნილბიანი სახის სირბილე
გაუხეშებულ და ბანჯგვლიან კანის სიმაგრეს.
ნუთუ ასეთნი ვიბადებით დედის მუცლიდან
და რომ შეცდომის ჩადენამდე მივხვდეთ შეცდომას
ალარ შევცდებით? არ გადავდგამთ შეუმცდარ ნაბიჯს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ამირან ასანიძე

## აპრილი

ფრაგმენტი. დედას...

კვლავ გაზაფხულდა და ლაჟვარდები
გადმოღელვარა მიწას ჩქერებად,
კვლავ ვერ დავასწარ ბუნებას, ჩემო,
შენზე ლექსი და ყელმოღერება.

მომირთმევია აპრილი შენთვის,
მზეში გაშლილი ჟივილ-ხივილად,
მე ტკივილით მშვი, მაღლაა
ღმერთი,
ბოლომდე უნდა შეგრჩე ტკივილად,

მეტი რა გითხრა ჩუმსა და
უთქმელს,
შენ, ჩემო გულით დასაფიცარო,
მადლობელი ვარ, რომ ვსუნთქავ
ვიდრე,
სულ სიყვარულით უნდა ვიწვალო...

## შვილებს

როგორ ხასხასებთ ჩემი ყლორტები,
ჩემი პატარა მტრედის ხუნდები,
მე თქვენს კვირტებში
გამოვიზამთრებ
და ამ მიწაზე კვლავ დავბრუნდები.

ისევ ამ მთებზე გადმოვშვავდები,
ამ ქედებს ისევ გადმოვევნთები,
რომ აუვსიათ ღრუბლების გუდა,
ხუთკუნჭულებით და ლეგენდებით...

თითქოს ნაშლილა დარო და
მანძილი
და გულის ლხენად, სულის
სილაღედ —
ჯვარი, სამთავრო და ზედაზენი
მე სანთლებივით შემოგინახეთ.

ბრიალებს ქარში მათი ზღაპარი —
არ დაგიდევენ ავდარს სრულებით,
მაგრამ თქვენ მაინც შემოაფარეთ
ხანდახან თქვენი ხელისგულები.
მკერდს სახმილიმც ნუ
გაგინელდებათ,
ქვა რომ ამღერდეს თქვენგან
ნაკოდი,
ბოლომდე უნდა შეგრჩეთ
ღმერთებად
სნო და ალგეთი, ფცა და არხოტი;

გულზე დაიჭდეთ სიპზე ნაწერი,
თუ გზა რომელი საითკენ მიდის,
რად არ თავდება ბნელთან ნათელის
შებმა — კვეთება-ჭიდილი დიდი...

დღეს კი ხასხასებთ ჩემი ყლორტები
და მხოლოდ მზესთან ფოფინს
უნდებით,
მე თქვენს კვირტებში
გამოვიზამთრებ
და ამ მიწაზე კვლავ დავბრუნდები.

## მამული

ვაი
ბადაგის ბრალიო,
ოდეს
ყველა მას ესწრაფა,
მაგრამ
ზღვა კოვზმა დალია,
ის კი —
ვერცერთმა ვეშაპმა.

●

გიორგი ხატიძეს.

დედოფლად სიჩუმეა
სამეფოში სილურჯის...
კბილ-კბილ შემოგარსული
ღამის მთებით ღამის ცა —.
ნეტა ვის დარჩენია
საოცარი ნაგლეჯი
ზღაპრული უფლისწულის
ზღაპრულ მოსასხამისა...

ნოდარ კობერიძე

# რომ გაიმარჯვო, პრაქტიკოსი უნდა იყო

რომანი

I

სადარბაზოსთან შეკრებილ ხალხს აუარა, მანქანის ჩასაყენებლად ადგილი გამოძებნა; საათზე დაიხედა. „პაპაჩემიდი ეკვე დამთავრდებოდა, კარგ დროს მოვედი", — გაიფიქრა. ერთ-ორ ნაცნობს მოჰკრა თვალი, არავის ხასიათზე არ უნდოდა. სადარბაზოს შესასვლელთან მამუკა მონიავას შეეჩეხა.

— ახლა მოდიხარ?

— ჰო, სამსახურიდან ვერ გამოვეტიე.

— ამისთანას რას მუშაობთ, ცხრა საათზეც რომ იქ ხარ?

— ისეთი არაფერი, მაგრამ, ხომ იცი, ახალი მისული ვარ, იქ კი მუშაობა და გაძლება სწორედ სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იწყება. შენც ახლა მოხვედი?

— კი, ახლახანს გავიგე.

ბინის შესასვლელში ხალხი იდგნენ. მიუხამძიმრეს მამუკა მონიავამ გზა დაუთმო. სამგლოვიარო მუსიკა წუთით შეწყდა და ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფდა. ოთახში მძიმედ შეაბიჯა.

„როგორ მოგწონს შენი ძმაკაცი, ზაალ მინდიაშვილო, როგორ ხომ კვლავ ამაყია, ამაყი!" — დიდი რუსუდანის ხმამ ტანში ჟრუანტელად დაუარა, კუბოს დაჰყვა, თვალი გაუსწორა სიკვდილის მეგობრის გაჭამებულ სახეს. ცრემლი წასკდა.

„ეს რა გიყოთ, როგორ გიღალატათ, ბიჭებო".

კუბოს ისე შემოუარა, ვერც მოიხაზრა, ვინმესთვის მიესამძიმრებინა. ახლა თავად იყო სამძიმარსათქმელი. წინკარში შედგა. გვერდით ოთახში მეგობრებს მოეყარათ თავი. მაგიდასთან ჩამოჯდა.

— რატომ არ გამაგებინეთ, რას მიმალავდით.

— რა ვიცი, აბა, — დევი ძნელაძემ მხრები აიჩეჩა.

— ახალი ნაავადმყოფარი ხარ და... — მამუკა მონიავამ ფარდა გაახწორა.

— მაინც როგორ მოხდა, რა მოელანდა.

— ეგ მარტო, აი, იქ იციან, — ნიკა ლომთაძემ მზერა ზევით აღაპყრო.

— რას გაიგებ, — დევი ძნელაძემ დინჯად წამოიწყო, — წინა ღამეს ფანჯრები დაუღურსმია, ალბათ, რომ არ გადამხტარიყო.

— ღამის ორ საათამდე ოთხთავი უკითხავს, ბოლოს მაგ დროს ნახა შვილი რუსიკო დეიდამ. მერე გრანელის ლექსების წიგნი გადმოუღია — დილით სავარძელზე იდო. ექსპერტიზის დასკვნით, დილის ხუთ საათზე მომკვდარა, თორემ, ადვილი შესაძლებელია, ერთი საათი მაინც ცოცხალი ყოფილიყო, წარმოგიდგენია. მთელი საათი დალეწილი ეგდო, თანაც აბსოლუტურად საღ აზრზე. გაკვეთაზე ვიყავი. აშკარაა, აზროვნების უნარი ბოლო წამამდე არ დაუკარგავს. საცოდავი, რა ტანჯვას გამოივლიდა! წარმოდგენაც მზარავს — ლევან ჩიქობავამ ტუჩები მოკუმა, წამოდგა, ფანჯრის რაფას მიეყრდნო.

— თქვენთან მოიყვანეს? — ნიკა ლომთაძემ სიგარეტი გაუწოდა.

— ჰო, ოღონდ მანამდე ნანულიმ დამირეკა.

— ნუთუ ხმაური მაინც არ შემოესმა ვინმეს, რაც უნდა იყოს, მეორე სართულიდან გადმოხტა.

— რა ვიცი, აბა, — დევი ძნელაძემ ჩაახველა.

— შენ როგორა ხარ, კაცის ფერი აღარ გადევს. წადი, დაწექი, შენც არ დაგვემატო.

ზაალ მინდიაშვილმა თვალი სარკმელში არეკლილი ორეულისკენ გააპარა.

— შენი საქმე როგორ მიდის?

— მიდის რა, ჯერ არ მიჭერენ, — ცხვირსახოცი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო.

— ძალიან იგვიანებენ, მაგრამ, იმედია, ბევრს აღარ გაჭიანურებენ, — ოდნავ შესამჩნევმა ღიმმა გადაურბინა სახეზე. — ხვალ რომელ საათზე იკრიბებით?

— ათისთვის.

— კარგი, მეც ამოვალ, ახლა წავედი, თორემ რაღაც ცუდად მიბჟუის თავი. აბა, ხვალამდე.

* საჟურნალო ვარიანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბეზე დოდიკა ალექსიძე დაეწია.

— ზაალ, საქმე მაქვს შენთან, — ხელი გამოსდო.

ნაოჭადქცეული ქუთუთოებიდან მომზირალი დაღლილი თვალებიდან წუხილი გამოსჭვიოდა, წუხილი, რომელიც რენტგენის სურათივით ააშკარავებდა ამ კაცში ჩაბუდებულ სენს.

„ამანაც ვერააწყო ცხოვრება", — გაიფიქრა.

— დაბლა ჩავიდეთ. რა არყის სუნითა ყარხარ.

— ოჰ, ბოდიში, ბატონო, ბოდიში, — დოდიკა ალექსიძეს გაღიზიანების დაფარვა არც უცდია.

ზაალ მინდიაშვილმა მანქანის კარი გამოაღო.

— დაჯექი. აქ ვილაპარაკოთ.

— არა, მეჩქარება, ზაალ. ერთ კაცს უნდა შეგახვედრო.

— ვინ არის? ვიცნობ?

— ცნობით არ იცნობ, ისე, თუ გახსოვს, ერთხელ გელაპარაკე — მედიუმია.

— კი, რაღაც მახსენდება. აქ მოვა?

— არა, არსად არ დადის.

— როგორ თუ არსად არ დადის?

— მეხუთე წელია, ეზოს არ გასცილებია. სახლში ზის, მუსიკას წერს და მოწაფეების გარდა არავის ღებულობს.

— მერე მე მიმიღებს?

— შენ კი, თვითონვე აინტერესებს შენი ნახვა.

— რაშია საქმე, რით დავიმსახურე ასეთი პატივი?

— მე და სანდრიკამ ვუამბეთ რაღაცეები, მერე შენი ლექსების კრებულიც წაიკითხა და... სანდრიკა თვითმკვლელობის წინაღამესაც იმასთან იყო.

— ოო, ეგ უკვე საინტერესოა. ესე იგი, ერთი ქვა იმასაც უსვრია?! თუმცა ჯერ ეს მითხარი, ჩემზე რა აზრი აქვს იმ თქვენს მედიუმს?

— თუ არ შევეშველე, მალე სატანა დაეუფლება და გაორებულს დაღუპვა არ ასცდებაო.

ზაალ მინდიაშვილი უსიამოდ შეიშმუშნა.

— მაშ, გადარჩენას მპირდება? — არ გაიტეხა იხტიბარი.

— ნუ ხუმრობ, მართლა მაგარი ვინმეა.

— აა, გამახსენდა, მგონი, კუბოში იძინებს, არა?

— ჰო, თან სიმფონიურ მესას წერს.

— სიმფონიური მესა... პირველად მესმის. საინტერესოა?

— ეგ ჯერ არავინ იცის.

— მაინც ვინ არის, რა უნდა, ეგ კიდევ რა წესია — კუბოში განცხრომა?

— განდობილი ამ გზით უკავშირდება უზენაესს. ეკლესიას და ქრისტიანულ დოგმებს არ სცნობს და, საერთოდ, კუბოში შემოქმედებითი ტრანსის დროს ძინავს.

— საინტერესოა. როდის შემახვედრებ?

— იქითა შაბათს მივიდებო, ნაშუაღამევს.

— იქითა შაბათს? ეგრე იყოს! მართლა, განდობილად რატომ იწოდება? დოდიკა ალექსიძეს თვალები აუციმციმდა.

— ნუ ხარ მოუთმენელი, — ნახავ და მიხვდები.

— კარგი. შენ საით მიდიხარ? დაჯექი, წაგიყვან.

— არა, არ მინდა. მშვენიერი საღამოა. ფეხით გავივლი.

— შამპანური გეგულება სადმე?

— ნუ ხარ მწარე. აბა, ნახვამდის.

— ერთი შეკითხვაც და თავისუფალი ხარ, — მუშაობ რამეზე?

— ახლა არა. წლის ბოლოს მოთხრობების კრებული გამოვა.

— მიხარია, გულწრფელად მიხარია, მაგრამ ცოტა ამ სასმელსაც მოერიდე, თორემ ცხოვრება უცბად გაივლის: ერთ დღეს მოიხედავ და უკან სიბნელისა და სიმთვრალის ზმანების მეტს ვერაფერს დაინახავ.

— „ნეტარ არიან წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ".

— რახან შენ იტყვი. წავედი.

სევდა შემოაწვა, მოსვენება დაუკარგა, ააფორიაქა, რაღაც გაურკვეველმა დაალონა, შებოჰა, დანაშაულის შეგრძნებამ მოიცვა. ძალიან, ძალიან მოუნდა, მომხდარიყო ისეთი რამე, რაც ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა, ყველაფერს დაავიწყებდა და სიცოცხლის უსაზღვრო ტრფიალს დაუბრუნებდა.

. . . . . . . . . . . . . . . .

## ზაალ მინდიაშვილის დღიურიდან

21 სექტემბერი.

თავი რომ არ გამისკდეს, საფეთქლებზე ხელები მაქვს შემოჭდობილი, მაგრამ გულის ზათქებს რაღა მოვუხერხო; კეფასთან რაღაც ისე მაწვება, თითქოს ადუღებული ლავა გზას ეძებდეს. გარეთ, გარეთ მინდა გასვლა. მოგონებები მევახშის ვალივით მაწევს და მოსვენებას მიკარგავს. ადამიანთა უმრავლესობა წარსულით ცხოვრობს, წარსული ხომ მომავლის იმედს აღგვიძრავს, მე კი ყველაზე მეტად სწორედ წარსული მზარავს, არადა, აბეზარია ეს მოგონებები, ჰიდრას თავებივით, ერთს მოიშორებ, მეორე გამოგეცხადება და ასე დაუსრულებლივ. ჩემს ცხოვრებაში ხომ ყოველი წარმატება, წარმატება საზოგადოებრივი კიბის იერარქიის გაგებით, უზარმაზარი წვალების ფასად მოდიოდა, თუმც უკმარისობის მწვავე შეგრძნება არასდროს მტოვებდა. ყველანაირად ვცდილობდი, ჩამეხრჩო, ცეცხლით ამომეშანთა ამბოხის ყოველი მცდელობა. რა უნდოდა, რატომ არ მასვენებდა ან ახლა მაინც რატომ არ მასვენებს?

„აბა, გახედე შენი ცხოვრების სასაფლაოს, ვის არ გადააწყდები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეეხ, მართლაც და, ყველაფერია იქ: გულჩაწყვეტა, წყენა, უმადურობა, ზურგშექცევა, ცოდვები, ჩემს მიერ ჩადენილი პატარ-პატარა მზაკვრობა, რომელთა გახსენებაზე ახლაც სიწითლე გადამკრავს ხოლმე.

„ხომ იცი, ეგ სიწითლე ჯოჯოხეთის ცეცხლის ალია".

ვიცი და ამიტომ მაფრთხობს, მაგრამ სხვანაირად ვერ ვიცხოვრებდი. გუშინ ნანინანატრს დღეს ფასი აღარ ჰქონდა, თანაც ყველაფერს იმხელა მსხვერპლი ჭირდებოდა, რომ სიხარულად აღარც ღირდა. ამიტომაც ყოველთვის ხვალინდელ დღეს ველოდი, ხვალინდელი დღისა მჯეროდა. ჩემი ცხოვრება ფორტუნასთან ჯიბრში დგომაა (რომელსაც, უნდა ვთქვა, მოწყალე თვალით არასდროს შემოუხედავს) და, ეს ვერ მოვუგე, არც წამიგია. დასვენება, შეჩერება წამითაც არ მიფიქრია. ყველაზე საცოდავი გაჩერებული კაცია. მე კი მაგისთვის ვერც ვერასდროს მოვიცალე და არც მაქვს სურვილი. საწყალ სანდრიკა გეგეშიძის მაგალითი მაინც არ მედოს წინ. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ღრმად მეუფლება ტრაგიკული შეგრძნება რაღაც დიდი დანაკარგისა. საჭიროა, სიკვდილი ვისწავლოთო, უთქვამს რილკეს. სანდრიკას აღსასრულმა მეც ბევრი რამ დამანახა და უფრო შემამზადა გარდაუვალთან შესახვედრად. ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი და საოცარი კანონი მოულოდნელობაა. შეიძლება, ყოველივე ისე უცებ დამთავრდეს, რომ გაოცებაც ვერ მოასწრო.

ეეხ, რეებს ვლაპარაკობ. ცხოვრება ჯერ კიდევ წინ არის და...

„რატომ გაჩუმდი, ოღონდ წარმატებას მიაღწიო, მზად ხარ, ფაუსტივით თვით სატანასთან მოახდინო გარიგება, არა? მაგრამ ეს რომ არ კმარა".

კიდევ რას მოითხოვ ჩემგან, განა ცოტაა! სული ხომ ეშმაკს უნდა მივყიდო.

„მერედა, როგორ გგონია, სატანას რამეში ჭირდება შენი წაწყმედილი სული?"

წაწყმედილი — რისგან?!

„ურწმუნოებისგან!"

ჰმ, მაშ მწვალებელიც ვყოფილვარ? ეგ ნაღდად არ ვიცოდი. იქნებ ამიხსნა.

„განა შენი სულის, გონის, პიროვნების გაორება არ გაფიქრებს?"

მწარედ მეღიმება. ანდერსენის ერთი ზღაპარი მახსენდება — ბავშვობიდან მომხიბლა, ჩამაფიქრა, სამუდამოდ ჩამისახლდა სულში და ისეთი იარა გამიჩინა, დღეს რომ კომპლექსი ჰქვია:

ბოროტმა ძალამ ცხრა ძმა უფლისწულს ოინი უყო: ძმები დღისით გედის სახეს ღებულობდნენ, ღამით — ადამიანისას. ერთადერთი და ჰყავდათ, რომელმაც ხსნის გზას მიაგნო: ჭინჭრისგან თითოეულისათვის პერანგები უნდა მოექსოვა, ოღონდ, ვიდრე ყველას არ მოქსოვდა, მდუმარება უნდა დაეცვა. დაიწყო საწყალმა გოგომ მუშაობა, მთელი დღე იჯდა, ართავდა ჭინჭრისგან ძაფს და ქსოვდა. დის ასეთი საქციელი ძმებსაც ვერ აეხსნათ და აბა, შეყვარებული პრინცი რას მიხვდებოდა. იძულებით წაიყვანა სასახლეში და ჯვარი დაიწერა. დრო გადიოდა, ქალი კი ხმას არ იღებდა — იჯდა ძველებურად და თავის საქმეს აკეთებდა. საცოდავს ქმრის ღალატი, ბოროტ ძალებთან კავშირი დასწამეს. განაჩენმაც არ დააყოვნა — კოცონზე დაწვა გადაუწყვიტეს.

მიჰყავთ ქალი კოცონზე დასაწვავად. მოულოდნელად გედები მოფრინდნენ და განწირულს წრე შემოარტყეს. ვიშვიშებენ გულჩაწყვეტილნი, მაგრამ რა შეუძლიათ. განაჩენი გამოტანილია და აი, აგიზგიზებული კოცონიც გამოჩნდა. ამ დროს განწირულმა ხელის ერთი მოქნევით გადააცვა გედებს სამოსი, რომლებიც წამს მშვენიერ ვაჟკაცებად იქცნენ. ქალმა გაიღიმა და პრინცს ყველაფერი უამბო.

სამეფოში ზეიმი გაიმართა. ზეიმობდა დიდი და პატარა, მხოლოდ ქალის უმცროსი ძმა იყო მოწყენილი, რადგან ბედმა მწარე ხვედრი არგუნა: ერთგულ დაიკოს მისთვის პერანგის სახელოს მოქსოვა ვერ მოესწრო და ახლა ღამით სრულქმნილ ვაჟკაცს დღისით ცალ მხარეს გედის ფრთა უფართფატებდა. შემდგომ როგორ იცხოვრა პატარა უფლისწულმა, ზღაპარი არაფერს გვეუბნება.

ახლა ვხვდები, იმ ცალფრთამოფართფატე უფლისწულში მე არაცნობიერად საკუთარი მომავალი შევიცანი.

ასე რომ, ჩემში ჩაბუდებული თანალრება უკეთურობიდან კი არა, ბედისწერის დამღიდან მოდის. ცხოვრებაში სატანურის, ზნედაცემულობის რა ნაირსახეობას არ შევხვედრივარ, ზოგიერთის დაცვაც მიკისრია... რას იზამ, ასეთი პროფესია მაქვს.

„იფ, იფ, იფ!"

რა გახითხითებს? გგონია, ადვოკატობა პასუხისმგებლობიდან თავის დასაძვრენად მოგიშველიე? ნუ ჩქარობ. ყველაფერს თავისი რიგი აქვს. სამწუხაროდ, ჩვენმა ეპოქამ, ეპოქამ ყოვლისმომცველი ინფორმაციისამ, ადამიანი დაიმონა. პიროვნებამ, როგორც ერთეულმა, დეგრადაცია განიცადა. კურდღელივით დაფრთხა, მერე იმდენი უძახეს, დაღუპვა არ აგცდებაო, რომ შიშისგან სახიერება სულ დაკარგა და გამოთაყვანდა; ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს და ჯოგივით, თითქოს ბალახის მოსაძოვად მიმჰყავდეთ (დაპირებით, იცოცხლე, არნახულ ჭეჯილს ჰპირდებიან), საითაც უნდათ იქით გადარეკავენ. თანაც ყოველივეს სიკეთის სახელით აკეთებენ. მე კი არ მსურს ასეთი ვიყო და, ამავე დროს, მინდა, ისინიც დავიცვა ადამიანის სახით მოვლენილი ბოროტებისაგან, და-

ვუბრუნო ადამიანურობის ყველაზე წმინდა ნიშანი — პიროვნულობა!

„ეს უკვე შიშია".

რისი შიში, რაღაცას ურევ.

„შიში ხვალინდელი დღისა. გეშინია, უცბად რომ გაჩერდე და მიმოიხედო, შეიძლება, ისეთი საზარელი სიცარიელე დაინახო, რომ სანდრიკას ხვედრი სანატრელი გაგიხდეს".

. . . . . . . . . . . .

მანქანას ვაჩერებ. რა მინდა აქ, ამ ხეივანში, ვეკითხები თავს. ახლაღა ვამჩნევ დედაცხის ასვეტილ გოდოლებს, დაბლიდან წყლის ხმაურიც მესმის. ვხვდები, ეს ბოტანიკური ბაღის ჩანჩქერის ხმაა. აღარც მახსოვს, ბოლოს როდის ვიყავი აქ. როგორც იტყვიან, საუკუნე გავიდა. მამის ნათქვამი მახსენდება: ფეხი აქ, ამ მიდამოში ავიდგი თურმე. მას შემდეგ... არა, არ ვარ ახლა იდეალიზებულ-სენტიმენტალურ მოგონებათა განწყობაზე. ირგვლივ უკუნეთია და სულიერი არ ჭაჭანებს. ორი სრულდება. ეეხ, დავიღალე, დავიღალე. მაშუქებს ვთიშავ. სავარძლის თავზე დამაგრებულ საყრდენს კეფას ვაბჯენ, თვალს ვხუჭავ, რულმორეული ღრმად ვისუნთქავ ლელვთახევის ჩამოტანილ კოჯრის ნიავს. ნეტავ, შეიძლებოდეს, რომ სულ ასე... უცბად მთელი არსით შევიგრძნობ, რომ მანქანაში ვიღაც ზის. მაყრუოლებს, თვალს სარკისკენ ვაპარებ. ნელ-ნელა მხარს, ვიქცევ, ვბრუნდები. ჩამავალ მზესავით მოთიანათე ქალი მიღიმის. გარკვევით ვარჩევ ოპიზარის ჩუქურთმასავით ათლილ ტანს და ახლაღა ვხვდები, რომ შიშველია. სხეულზე და სახეზე გაჩენილი ნაოჭები ჭეშმარიტებას მამცნობს.

„წლები დატყობია", — ვფიქრობ და ჩურჩულით ვიმეორებ:

— წლები დაგტყობია.

ზურმუხტისფერი თვალები ფოსფორივით უელავს.

— ჰო, უკვე ორმოცი წლისა ვარ.

— თუ ორმოცი საუკუნის? — გადამიარა ელვამ. ისიც იღიმის.

— მიცანი?

— როგორ არა, სატანა ხარ.

— ევა მქვია. ხომ არ შეშინდი? — სახეზე მწარე ღიმილი დათამაშებს.

ქალის გემოს შევიგრძნობ — ოჰ, რა ტკბილია. კვირისტავებს ხელს ვუთათუნებ. ხარბი მზერა ქალის ძუძუებს ნთქავს.

— მთელი ცხოვრება გელოდი.

— თვალმაისა.

— ის ხომ ოცნებით შექმნილი ბუტაფორიაა, ოცნება კი ადამიანის მოგონილი ტყუილია, ამქვეყნად გასაძლებად რომ ჭირდება. შენ კი... რახან მოხვედი, აღარაფერი მიჭირს.

— ჩემი წლები?

— განა გაზაფხულს ძალუძს შემოდგომის ულამაზესი კაბით შეიმოსოს. გაზაფხულის გამა მწვანეა, შემოდგომის, მართალია, ოდნავ ნაღვლიანი, მაგრამ ათასფერადი. გაზაფხული არ ჩქარობს, შემოდგომამ კი იცის, თუ არ მოასწრო, მერე გვიან იქნება. კარს უკან ხომ ზამთარი დარაჯობს, ამიტომაც ბოლომდე გიშლის სულს. აი, ასეთ შემოდგომას კი ვერანაირი გაზაფხულის ზმანება ვერ შეედრება.

ქალის ყელი რქაწითელის დაშაქრული მტევანივით მიზიდავს.

— ახლა ხომ ჩემი ხარ.

ფართოდ გახელილ თვალთაგან გადმოსული სხივი მეალერსება.

— კი, დღეიდან კი.

— აქამდე სად იყავი?

— დრომ ახლა მოაწია, თანაც დღეს დავქვრივდი.

ქუთუთოებს ხრის, მანქანიდან გადადის. თვალს ვაყოლებ.

უცბად ბნელდება. დაფეთებული თვალებს ვაჭყეტ, შიშისგან ვიწურები. პირჯვარს ვისახავ. მანქანას სასწრაფოდ ვქოქავ. ხელები მიკანკალებს. საჭეს, რომ დავიმორჩილო, მთელი ძალით ვეჭიდები. ქალაქში ჩამოსულს ნელ-ნელა მეუფლება სიმშვიდე, თუმცა გონებიდან კვლავ ვერ მომიცილებია ქალის სახე, თვალები... უფრო მშვენიერი არაფერი მინახავს. პირველად ახლა ვწვდები პლატონის ნათქვამის არსს — მშვენიერება სხვა იდეებზე მაღლა არ დგას, მაგრამ იგი თვალებიდან გამოკრთის, ჩვენი გრძნობების ყველაზე ნათელი ორგანოდან, ის კი უფრო ნათელია სხეულის ყველა დანარჩენ იდეებზე.

ნუთუ მართლა სატანა იყო? არ ვიცი. ეს კია, ასეთი სრულქმნილების ხილვისათვის თავის გაწირვაც შეიძლება და სულისაც; არასდროს ვყოფილვარ ასე ტერფიდან თმის ძირამდე მოხიბლული, ვნებით აღვინიზებული, სიყვარულის წყურვილით ატაცებული...

ნუთუ მარტო ხილვა იყო?

ნუთუ არ მიწერია პირისპირ შეხვედრა?

სიჩქარის მაჩვენებელი ას ოთხმოცს უახლოვდება.

∵

ზაალ მინდიაშვილი ხუთ წელიწადს გადასახლებაში იზრდებოდა. უკან დაბრუნებულებს ერთი ნესტიანი ბინა მისცეს, სადაც არათუ რაიმე კომფორტი, უბრალოდ, ელექტროგაყვანილობის ხსენებაც არ იყო. მაგრამ, თავი მაინც ბედნიერად იგრძნო. საერთოდ, ბავშვობიდან დიდი მეოცნებე ვინმე გახლდათ და ოცნების ტრფიალი არც აროდეს განელებია.

მთელი სტუდენტობა დარდიმანდს თამაშობდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ კაცს ბავშვივით წყენია გული ჰქონდა. თამადობისას ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით დეკლამირებდა. სუფრაზე თითქმის მუდმივი თამადა სადღეგრძელოსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღეგრძელოს შორის ერთდროულად რამდენიმე ქალს თავდავიწყებით ეფიცებოდა სიყვარულს. მაგრამ დიპლომის აღებისთანავე, როცა კათედრაზე დარჩენის შანსი გამოჩნდა, ძველ ცხოვრებას უცებ დაუსვა წერტილი. საქმე, საქმე და საქმე! — ეს სიტყვა მარად თან სდევდა და მხოლოდ მას ემონებოდა. ხუთ წელიწადში დისერტაცია დაიცვა, ლექსების პატარა კრებულიც გამოსცა და ცხოვრებაში პირველად იგრძნო კმაყოფილება (იმ საღამოს დიდხანს ცეკვავდა სარკის წინ, ჩოხაში გამოწყობილი). მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა და სულ მალე, საკანში მომწყვდეული პატიმარივით, კვლავ დაეუფლა მოუსვენრობის მახრჩობელა შეგრძნება.

თბილისში სასურველ სასიძოდ ითვლებოდა, მაგრამ ცოლი არ მოუყვანია, ხოლო ქალს, რომელმაც შვილი გაუჩინა, ვისთანაც ცხოვრების ნახევარს ატარებდა, ჯიუტად არ უწოდებდა ცოლს, თუმცა სალომე ნათესავებსაც და ახლობლებსაც ძალიან ჰყავდათ მიღებული.

ამ ქალს მართლაც მოულოდნელად, წერასავით გადაეყარა. ერთ სკოლაში სწავლობდნენ, ოღონდ სალომე სამი კლასით წინ იყო და, რა თქმა უნდა, ზაალს არ იცნობდა. სკოლის თვალსაჩინოს, ფერიასავით ჰაეროვან გოგონას მთელი ფიქრისგორა ეთაყვანებოდა. სანიმუშო მოწაფე, დეკლამატორი, სკოლის ყველა ღონისძიების სულისჩამდგმელი და უბადლო მომღერალი როცა რაიმე სიმღერას ასრულებდა, ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ევტერპეს ნათელი ადგა. ლირიკული სოპრანოს ევფონია ყველაზე ბელიდან წასულ ადლაბიკებსაც კი ნუსხავდა. ჰოდა, ამ ქალმა ცხოვრებაში ტოლი ვერ იპოვა (ალბათ, უფრო, არ ისურვა). შემდგომ ყელის ტუბერკულოზი განუვითარდა და იძულებული გახდა, ოპერის სოლისტის ბრწყინვალე კარიერას დამშვიდობებოდა. ამ ფაქტმა კი უცბად მოტეხა, დარდად აქცია, დააბერა.

ახლაც თვალწინ უდგას პირველი შეხვედრის დღე. იმ დილით მანქანა ლოდიკას ათხოვა, ტაქსიც არა და არ გამოჩნდა და ტროლეიბუსში ავიდა. მოწყენილი სალომე ფანჯარასთან იჯდა და რაღაც წერტილს უაზროდ მისჩერებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო გამოცვლილი, ალბათ, ნოსტალგიაშეპარულ მზერას შეავლებდა და კვლავ თავის ფიქრებს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ახლა დაიბნა. ერთიხანობა შეეჭვდა: ის იყო თუ არა, მაგრამ თვალებში ჩახედა თუ არა, ყოველგვარი ეჭვი გაქრა. ეჭვი გაქრა, მაგრამ უცბად აირია, სალომე ტიროდა. ეს მარად მოღიმარი ქალიშვილი (ბავშვობიდან ხომ ასეთი ახსოვდა) დღეს ტიროდა. თუ ცდებოდა... არა, ცრემლები აშკარად კიაფობდნენ ქალის ბრიალა თვალებში. მიუახლოვდა და ისე მიაჩერდა, თითქოს საოცრება რამ ყოფილიყოს. დაუძლეველი გზნება დაეუფლა — მიხვდა, მთელი ცხოვრება სალომეს გაცნობა სურდა.

სალომემ კაცის დაჟინებული, ხარბი მზერა იგრძნო, თვალი აარიდა, მაგრამ კაცის თვალებიდან გადმოსულმა აზავთებულმა სხივმა ააფორიაქა. ერთხანს იწრიალა, მერე ველარ მოითმინა:

— რატომ მიყურებთ ასე?

— თქვენ ხომ სალომე ხართ?

— დიახ, — ხმაში ოდნავი დაბნევა გამოსჭვიოდა.

— ნუ ცდილობთ, მაინც ვერ გამიხსენებთ. ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ოღონდ თქვენ სამი კლასით წინ იყავით და, აბა, სად გქონდათ იმის დრო, ყურადღება მიგექციათ თქვენით აღტაცებული უმცროსკლასელისთვის. მით უფრო, ჩემნაირი იმდენი იყო... მთელი სკოლა ხომ თქვენს ნიჭს აღმერთებდა, — რაღაც მოუხეშავი ღიმი აუთამაშდა.

სალომემაც გაიღიმა, ოღონდ წარსულის სევდამ იძალა ღიმილშიც.

— სამაგიეროდ, ახლა სხვები მღერიან, მე კი ისღა დამრჩენია, რომ ვუსმინო.

— ნუ მიწყენთ, ერთი რამ მინდა გკითხოთ: რატომ ტიროდით? იქნებ შემიძლია რაიმეთი დაგეხმაროთ.

— მეე?! — წრფელი გაოცება აღებექდა, — არა, არ ვტიროდი.

— არა, არა, ნამდვილად ტიროდით, არ მომჩვენებია, თქვენს თვალში ცრემლი კიაფობდა.

— აახ, შეიძლება, მართალიც ხართ. დღეს ვიწრო წრისთვის, მრავალი წლის „შესვენების" შემდეგ, „გალა კონცერტს" ვმართავ და, ალბათ, იქ ვიყავი.

— რას მღერით?

— შუბერტს, ფალიაშვილს... შორს წაგვიყვანს.

— თვალი გასასვლელისკენ გააპარა.

— ხომ არ ჩადიხართ? — ზაალი უცბად მიუხვდა. — ერთი თხოვნა ამისრულეთ და მარად თქვენს მოვალედ მიგულეთ.

ტროლეიბუსი გაჩერდა. ზაალმა წამომდგარ ქალს ხელი შეაშველა.

ერთხანს უხმოდ იარეს.

— გისმენთ, ბრძანეთ, — დაარღვია სიჩუმე სალომემ.

— თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ, ნება მომეცით, მოგისმინოთ.

სალომე შედგა, შეათვალიერა, თითქოს თავით ფეხამდე აზომა.

— კეთილი, მობრძანდით.

ზაალმა კვლავ დაინახა თვალებში ჩაღვრილი სევდა, ცდუნებას ძლივს გაუძლო, მოფერების წადილს შეეპყრო.

— სად გნახოთ?

— ხუთ საათზე, აი, ამ ადგილზე.

— მანქანით ვიქნები.

— კი, ბატონო.

— მეუღლე ხომ არ იეჭვიანებს?

— მე არ გავთხოვილვარ.

— სისულელე გკითხეთ. ეს, ალბათ, ასეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ყოფილიყო. თქვენ ხომ ყველასთვის ღმერთქალს განასახიერებდით შორეულს, მიუწვდომელს..

სალომეს ყურებში გაზავებულმა ფერმა გადაურბინა.

— ალბათ, მაგიტომაცაა. მარტო რომ დავრჩი და ახლა ჩუმად ვტირი ხოლმე.

— დამერწმუნეთ, დღეიდან მაგის უფლებას აღარ მოგცემთ.

— აბა, თქვენ იცით.

— მაშ, შევთანხმდით, ხუთზე აქ გელით.

— შევთანხმდით.

— ჰო, მართლა, მე ზაალი მქვია: ადვოკატი ზაალ მინდიაშვილი, — ხმაში ირონია შეეპარა.

— ოჰ, პროფესია შესაფერი გქონიათ.

კონცერტს, რომელიც საკმაოდ მინორულ ტონში დაიწყო, თითქმის სულ ქალები ესწრებოდნენ და, როგორც სალომემ იხუმრა, ყველანი გათხოვების შანსდაკარგულები იყვნენ. ზაალი უცებ მოერგო სიტუაციას, გულუხვად აფრქვევდა კომპლიმენტებს. კონცერტი დასასრულს უახლოვდებოდა, სალომე ეთერის არიას მღეროდა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო რომ იმ დღეს სალომე მეორედ დაიბადა. ზაალმა შამპანურისკენ გააპარა თვალი და ამ დროს ჯერ მკვეთრი „ყიყლიყო" გაისმა, მერე კი... სალომემ თვალები საცოდავად გადმოატრიალა და ოთახიდან გავარდა. ზაალი სადარბაზოს გასასვლელში დაეწია, ხელი მოხვია, მანქანაში თითქმის ძალით ჩასვა.

ერთიხანობა უაზროდ იბოდიალეს ქალაქის ქუჩებში, მერე მანქანა გააჩერა, ქალს ხელი მოხვია, მიიზიდა... დაქცეული ქალი ანგარიშმიუცემლად დაჰყვა.

ის ღამე ერთად გაათენეს. შემდგომ დღეებში ზაალი წამითაც არ მოშორებია, ცხადი სიზმრად უქცია, ქალობა დაუბრუნა: სალომეს ხშირად ეგონა, რომ ყველაფერი ტკბილი ზმანება იყო და განშორებისაც ეშინოდა. ნუკი რომ არა, შეიძლება ეჭვიც შეპარვოდა იმ დღეების რეალობაში, თორემ შემდგომი წლები ლოდინის, მარტოობის, ეჭვიანობისა და დაგვის წლები იყო. სიყვარული დიდი ხანია სადღაც ფარდის მიღმა მიმალულიყო, მაგრამ ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს, რომ სხვაგვარად ცხოვრება ველარ წარმოედგინათ (იქნებ ესეც სიყვარულის ერთ-ერთი ფორმა იყო). ამ სამი წლის წინ კი სალომეს მარჯვენა ძუძუ მოჰკვეთეს. ამან მთლად გაანადგურა ქალი. იმ დღიდან ზაალთან სარეცელი აღარ გაუყვია. ერთადერთი სანთელი მის ცხოვრებაში ნუკილა ენთო. თავად ზაალის ყოფაში თითქმის არაფერი შეცვლილა.

გარეშემყოფებთან ურთიერთობის დამყარება არ უჭირდა. მეგობრობდა თითქმის ნახევარ ქალაქთან, არც ისეთი ცოდვები ჰქონდა, სინდისის ქენჯნას ძილი რომ დაეფრთხო (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე თვლიდა). მაგრამ ზოგიერთები მაინც გარეწარს ეძახდნენ. ვინც ასე თუ ისე კარგად იცნობდა, ყველას ახსოვდა მისი მეგობრობა იუზა სანებლიძესთან. სიამის ტყუპებივით განუყრელნი იყვნენ, არაფერში ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. ეს კია, იუზა ზნეობრივი სისპეტაკის განსახიერება იყო. ზაალი კი ერთ მშვენიერ დღეს თავისმა ბედმაბედაურმა ისე სწრაფად გააჭენა სხვა მიმართულებით, რომ მეგობარს არც გამომშვიდობებია. წლებს იუზა არ შეუცვლია, ცხოვრების ტალახში არ ამოსვრილა, ალბათ, ამიტომაც არის, ზაალი სათოფეზე აღარ ეკარება სიყრმის მეგობარს და, იუზას შევხვდებიო, სკოლის დამთავრების ოცი წლისთავზეც არ მივიდა.

სანდრიკა გეგეშიძის სიკვდილი კი ისეთი თავზარდამცემი იყო, თავსაც ვერ უმხელდა, რომ სანდრიკას ასეთი აღსასრულის ერთ-ერთი ფუძის ჩამყრელი ზაალ მინდიაშვილის ავადმცინავი მიმიკაც იყო. სხვა მხრივ საქმე თითქოს აწყო. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს, ეს, რა თქმა უნდა, დიდ ავტორიტეტს უქმნიდა კოლეგებში. ბოლო დრომდე ლექციებსაც კითხულობდა. კომპრომისზე ძნელად მიდის, ამიტომაც მოსამართლეებს არ უყვართ იმ პროცესის წარმართვა, სადაც დამცველი ზაალ მინდიაშვილია.

მამასთან მეგობრობდა, ძმასთან როგორღაც ცივად ეჭირა თავი, თუმცა კარგ მეოჯახეს ყოველთვის ანგარიშს უწევდა. ერთადერთ დას ბავშვობაში აღმერთებდა, მაგრამ ახლა იმის სახელს ვერავინ უხსენებს. ვერ აპატია შაქრის ავადმყოფობისაგან ნახევრად სინათლედაკარგული ქმრისა და ქალიშვილის მიტოვება. ნასიძართან კი ახლაც მეგობრობს. აქ ისეთი კატეგორიულობა გამოიჩინა, რომ დედაც კი ვერ ბედავდა ხმის დაძვრას და ყველამ იცოდა: ოჯახურ თავყრილობაზე თუ ზაალი ესწრებოდა, იქ ცირა ფეხს ვერ მიადგამდა.

ფული იშოვა, სახლი აიშენა, რემონტიც დაასრულა. ეზრდება ქალიშვილი, რომელიც სიგიჟემდე უყვარს. ცხოვრებაზე სამდურავი თითქოს არ ეთქმის, მაგრამ უკმარისობის შეგრძნება მაინც მარად თან სდევდა. კონკრეტულად რა უნდოდა, ეს თავადაც არ იცოდა, ალბათ, ამიტომ ღმერთი მხოლოდ გაჭირვებისას ახსენდებოდა, თორემ ისე უფრო ეშმაკს უკრავდა თვალს და უჩუმრად მოძალებულ სურვილს გაქცევისას პასიანსს ეთამაშებოდა. ეს გაქცევა საით უნდა მომხდარიყო, რა აზრით, ამას არ დაგიდევდათ: მთელი იდეა გაქცევაში იყო და სულის სიღრმეში ღრმადაც სწამდა: აუცილებლად გაიქცეოდა!

. . . . . . . . . . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზაალ მინდიაშვილის დღიურიდან:

(რიცხვი გადაშლილია)

მე იმ პერიოდში ვიზრდებოდი, როცა ბელადები ბაქანზე ჩამომდგარი მატარებლებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. დაბნეულ ხალხს ჯერ ერთის „სიდიადე" ვერ გაეცნობიერებინა, რომ უკვე მეორესთვის უნდა ექმია გუნდრუკი. არადა, მონურ ფსიქოლოგიას სხვაგვარად ვეღარც წარმოედგინა ცხოვრება. ამის მიღწევა სტალინს მართლაც რომ დიდ ჯაფად დაუჯდა. ბევრის ბათაუვა თავს დღესაც არ უნდა, გაიგოს, რა ხდებოდა მაშინ და გულში კვლავ სტალინისტად რჩება, იმ დროს მისტირის. თუმცა მათზე რა გული უნდა მოგივიდეს, როცა საკუთარი ოჯახის მაგალითი მიდევს წინ. ბელადის გარდაცვალების ხმა გადასახლებულთა ოჯახებში უცბად გავრცელდა, მაგრამ არავინ იჯერებდა, ვიდრე ექვს მარტს, სადამოხანს, ყველა, დიდიან-პატარიანად, არ დაგვამწკრივეს და მეტად ტრაგიკული ხმით არ გამოგვიცხადეს ეს სამწუხარო ამბავი. ყველა, აბსოლუტურად ყველა, გამონაკლისის გარეშე, ატირდა. მე მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, ამიტომ მომხდარი „უბედურება" როგორღაც კარგად ვერ აღვიქვი.

რა გატირებს-მეთქი, ვკითხე დედას.

„სტალინი მოკვდა, შვილო, სტალინი", — მიპასუხა, ქვითინს უმატა.

„მერე ეს რას ნიშნავს?" შევკუმპრუნე კითხვა.

თავზე ხელი გადამისვა და კულამოკარგნილმა მიპასუხა: თავისუფლებასო.

ახლა სულ დავიბენი (იმდენს მივხვდი, „თავისუფლება" სახლში დაბრუნებას რომ ნიშნავდა და...), კვლავ ვკითხე:

„მაშინ რაღა გატირებს?"

„სტალინი მოკვდა, შვილო, სტალინი მოკვდა" — გამიმეორა გულდათუთქულმა.

იმ წლებში ხალხმა პირველად იგრძნო დიქტატორული სადავეების მოშვება და გალაღდა, ეეხ... მერე და მერე, როგორღაც შეუმჩნევლად, სიმღერამ თავისი ხიბლი დაკარგა. თითქოს გავიზარდეთ, გავმკაცრდით, გავუხეშდით, გავითავისეთ ცნობილი სიბრძნეც, რომ სამართლიანობა სადავოა და საკამათო, ძალა კი უდავო და ულმობელი. გაჩნდა პირობითი რეფლექსი. ოცნებას ჩალიჩი ვამჯობინეთ, კაცურ სიტყვას — პირფერობა.

„ისე, ჩვენში დარჩეს და, მაგ დროს შენც ნარცისივით ბიჭი იყავი და ნარცისივით გინდოდა გეცხოვრა. უკმარისობის გრძნობა მერე მოვიდა, გვიან".

ვერ დაგეთანხმები, მე მაშინ მიზანი, იდეა მქონდა, რომელიც უდავოდ კეთილშობილური იყო, ამიტომ კომპრომისზე წასვლაც მიწევდა. ხომ გახსოვს გოეთე: „იცხოვრე იდეით, ნიშნავს შეუძლებელი ისე ჩათვალო, თითქოს ის შესაძლებელი იყოს". სხვა გზა არ მქონდა. გვერდში ისეთი არავინ მედგა, ვინც გაჭირვების დროს ლელოს გამატანინებდა, მარტო-ბიჭი კი სხვაგვარად გავიწირებოდი.

„მიუთარჯე შენი უზნეობა სიტუაციას, მიუთარჯე. როგორაა? მდგომარეობა ქმნის შეგნებას, არა? ხომ არ ვცდები?"

ნუ მიყვირი, თუ გიყვარდე, მე ჩემიც მყოფნის.

„ერთზე მაინც მიპასუხე: რა იდეა გქონდა ამისთანა ან რა უყავი?"

ჰმ, რა ადვილი კითხვა მომეცი! შევეცდები, მაინც გიპასუხო. მჯეროდა, რომ ადამიანმა ჯერ გარკვეულ სიმაღლეს უნდა მიაღწიოს, რომ შემდგომ სიკეთე... არა, ბანალური გამომდის, მოკლედ, უნდა გაიგო. ერთი მაინც ვისწავლე: სადაც სინდისი და პასუხისმგებლობა გიკრძალავს მოქმედებას, იქით გადადგმული ყოველი ნაბიჯი არამზადად გაქცევს. ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, ყველაფერს პირში მოგახლი, თორემ მერე გადამივლის და ისევ უთქმელი დარჩება.

„აბა, შენ იცი, შემომკარი ტაბლაკი".

არ გეგონოს, ალსარებას ვამბობდე. აღსარება მონანიე და უძლური კაცის საქმეა. რაც იყო, იყო. შეცდომები ვის არ მოსვლია. ახლაც, ზოგან რომ მადმერთებენ, ზოგან ინფექციის წყაროდ მთვლიან. სანდრიკა გეგეშიძემ თვითონ გამოიჭრა ყელი და მე ტყუილად მადანაშაულებ. აბა, რა ეგონა, პრიმადონასავით უკარება, ცხვირაბზუებული ამ ცხოვრებაში მარტო თავისი პრინციპებით გავიდოდა ფონს? ჯერ კიდევ შექსპირის ეპოქაში ბეკონი ასწავლიდა სანდრიკასნაირ ბრიყვებს: ის, რაც არსებობის ღირსია, შეცნობის ღირსიცაა. აბა, როგორ გინდა: რადგან არსებობს მოცემულ სიტუაციაში, ესე იგი, აუცილებელიცაა. მანამ ქვეყნად ლუციფერი დაძრწის, უნდა შეიცნო და, თუ საჭიროა, დროებით კომპრომისზეც წახვიდე, რომ შემდგომ...

„მოიცა, მოიცა, ჩემო ბატონო, ზაალ, აკი წეღან ხელაღებით უარყოფდი ყოველივეს, ახლა ზნეობრივი პასუხისმგებლობა „მაღალ იდეალებს" დაუქვემდებარე?"

დამაბნიე... მაგრამ ერთი რამ გავიხსენოთ. სანდრიკამ თავისი ბედი მაშინ გადაწყვიტა, ნანულის რომ გადაეყარა. ხომ ყველამ ვიცოდით ნანულის ავანჩავანი, თავად სანდრიკაც ნანულისთან კავშირში შორსმიმავალ პერსპექტივებს ვერ ხედავდა.

„როგორ შეიძლება სარეცელი და „შორსმიმავალი პერსპექტივები" ერთმანეთს დაუკავშირო?"

შენ წარმოიდგინე, რომ შეიძლება და ყოველთვის შეიძლებოდა, როგორ ჩრდილსაც უნდა გვაყენებდეს ეს ფაქტი. ძალიან გთხოვ, ნუ მაწყვეტინებ.

ტრაგედიამდე ორი დღით ადრე ჩემთან მოვარდა, თვალებს შმაგივით აბრიალებდა, სუნთქვა ეკვროდა.

„ზაალ, მგონი მღალატობს ის წუნკალი, მღალატობს!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მიხვედრა უნდოდა, ვის გულისხმობდა. განა ჩვენს ქალაქს რაიმე რჩება შეუმჩნეველი?!

„მერე რით გიშველო?“ — რატომღაც თავიდანვე ულმობელი პოზიცია დავიკავე.

„ახლახან დამირეკეს: თამბაქოს მაღაზიასთან ჰქონია პაემანი. მარტო წასვლა არ შეიძლება...“

ერთხანს უარის თქმა დავაპირე, მაგრამ ისეთი უმწეო სახით შემომყურებდა... მართლაც თავდავიწყებით უყვარდა.

დანიშნულ დროს ნანული ნარნარით მობრძანდა, კუროს ხელკავი გამოსდო...

ხედავ, ხედავ!“ — შეჰყვირა გაწირული ხმით, მანქანიდან ისკუპა. წყვილს უცბად აეტმასნა.

ნანულის ერთი კი ეცვალა ფერი, მაგრამ ჩქარა გონს მოეგო და თავის მართლებას მოჰყვა. სანდრიკამ შეუტია. ქალმა ზურგი შეაქცია. სანდრიკა ძაღლივით აედევნა, მკლავში მისწვდა. სწორედ ამ დროს კავალერმა ერთი რიგიანი პანღური დაადევნა. სანდრიკა გადაფითრდა. მზად იყო, ყელში სწვდომოდა, მაგრამ ჩემს დამცინავ სახეს თვალი რომ ჰკიდა, ადგილზე გაშეშდა. იმ წუთის შემდეგ სანდრიკა ცოცხალი აღარ მინახავს. შემეკითხები, რატომ დავცინე.

„შენ მაინც სიმართლეს არ მეტყვი. ამიტომ მე მომისმინე. ბავშვობიდან მოყოლებული თქვენს შორის რაღაც შინაგანი კონფლიქტი არსებობდა და იმ წამს იგრძენი, რომ გაიმარჯვე. თანაც ისე, რომ გადათელე, გაანადგურე, დაასაჰყურისე“.

აქ შეიძლება უამრავი ვერსია წამოვაყენოთ. ერთი კი უნდა დამიჯერო: სანდრიკა კაცი იყო. ხოლო ნაღდი კაცისთვის, თვითშემუსვრის გარდა, მსგავსი სიტუაციიდან გამოსავალი არ არსებობს. ასე რომ, მოვრჩეთ ამაზე კამათს და სხვებს მივხედოთ. წინ კიდევ უამრავი ზღურბლია. მინდა, სწორად გამიგო. ცხოვრებაში იქნებ ბევრი რამ სწორადაც არ გამიკეთებია, მაგრამ უნამუსოდ არასოდეს მოვქცეულვარ.

დღეს რომ მკორავენ, ლევან ჩიქობავას ძმის საქმეში ფული იშოვაო, ხომ იცი, რომ ცილისწამებაა. ეგ საქმე თავიდანვე თარსად აეწყო. ისეთი მოსამართლე შეხვდა, ვიცოდი, უფულოდ საკუთარ ძმას არ გაუკეთებდა არაფერს. მანამდე არც ერთი შემთხვევა არ მქონია, მოსამართლისთვის ფული შემეთავაზებინა, თუმცა ზოგს ჩვენში ეს ადვოკატის მთავარ მისიად და მის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნია. ამიტომაცაა მოდაში მოსამართლედ ნამყოფი დამცველები, ისინი ხომ ყველგან შინაურებად ითვლებიან. ერთი სიტყვით, ვატყობდი, საქმეს პირწმინდად ვაგებდი. აქეთ ლევანის ნათესაობა და ნაცნობ-უცნობი შემომიჩნდა. მეც მხნეობა მოვიკრიბე და მოსამართლეს სახლში მივაკითხე. ჩემი მისვლა ხომ გაუკვირდა, მაგრამ უნდა გენახა, როგორი სიამოვნება აღებეჭდა სახეზე. აშკარად მაგრძნობინებდა, რომ ვძულდი და ნეტარებდა, რომ დამჭირდა. კარგა ხანს ჭნავარდა ჩემს ნერვებზე. არც ერთი წამით არ შემიმჩნევია უნდობლობის ჩრდილი მის სახეზე. ბოლოს და ბოლოს ისეთი თანხა დამისახელა, თუ არ დავუფშტვენდი, არ მეგონა. რა ამბავია-მეთქი, გადმომხედა. პასუხი კონკრეტული და ლოგიკური იყო: ჯერ ერთი, მომავალ არჩევნებზე ჩემი კანდიდატურა აღარ იქნება, ამიტომ, რაც საშოვნელია, ახლა უნდა მოვასწრო; მეორეც: რაც ამ წლებში დამაკელი, იმისი პროცენტიც იანგარიშეო. რა მექნა, ფული დამენანა? რა გარანტია მქონდა, რომ სხვა მოსამართლე, იმის შიშით, ჩირქი არ მომეცხოსო, მაქსიმუმს არ მიუსჯიდა, ეს კი მუხლის შეცვლას და მინიმუმს მპირდებოდა.

ღამე თეთრად გავათენე, დილით კი ლევანი და მისი ახლობელი დამადგნენ თავს. მივედ-მოვედე, რაღაც უაზროდ ვიბოდიალე და ძლივს ამოვღერღე ის უშველებელი თანხა. ეჭვიც იმ წამსვე გაჩნდა, რადგან ჩემს სიტყვებს არ ჰქონდა რწმუნების ძალა. სამი დღე ითხოვეს, სამ დღეში ფული გადავეცი, საქმესაც ეშველა, მაგრამ ეჭვი ეჭვად დარჩა. ჭკუა კი ვისწავლე: კაცმა საქმეს ისე არ უნდა მოჰკიდო ხელი, თუ ღრმად არა გწამს, რომ შესძლებ გარშემომყოფები შენს სიმართლეში დაარწმუნო. დღეს უკვე ვიცი, როგორ მოვერგო სიტუაციას, ამიტომაც გავტეხე სიტყვა და რამაზ გაგუას საქმეს მოვკიდე ხელი.

„წელან ამბობდი, ჩემი სიმპათია ყოველთვის დამარცხებულის მხარესააო. იქნებ ეგეც თამაშია?“

ნაღდად არა!

„ნეტავ ლეო ონიანთან გადატანილ თავგადასავლებში ვის მხარეს დგები?“

ოო, ლეო ონიანი ნაღდად ანომალიაა ჩემს „ანბანივით ჩამოწიკწიკებულ“ ცხოვრებაში. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების დროს გავიცანი. ჩემზე სამი წლით უფროსი იყო. ასეთ მიზანდასახულ და დაუნდობელ კაცს ბევრს არ შევხვედრივარ, ალბათ. შორს წავიდოდა, მაგრამ ქალებმა დაღუპეს. არავითარი ზნეობრივი ნორმები! მთავარია გამარჯვება, მიზნის მიღწევა — აი, მისი ცხოვრების კრედო. თუ შენს მხარეს იყო, იცოდი, არ დამარცხდებოდი.

ლეოს კიდევ ერთი თვისება ჰქონდა, რომელსაც აღტაცებაში მოვყავდი. მოწინააღმდეგესთან (მოწინააღმდეგეს კი თითქმის ყველაში გამოძებნიდა) ურთიერთობაში იშვიათი სტრატეგი იყო. ყოველთვის ზუსტად იცოდა, როდის უნდა გაეკეთებინა სვლა, რომლითაც მსხვერპლს დაუნდობლად დასცემდა ძირს. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის არ იყოს, მუდამ ჭრელი ხალხი ეხვია გარს. შემდგომ, როცა ასპარეზიდან გაქრა, ყველა ისინი, ვით ვირთხები გადარჩენილი გემის ტრიუმებში, უცბად გაუჩინარდნენ.

ადრე დაობლებული ბიძამ და მამიდამ გაზარდეს. აღმზრდელებმა არათუ რამე დააკლეს, პირიქით, ყველაფერი ილონეს, რომ მათი ხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერა ქვეყნის დამაქცევარი გაზრდილიყო. თავად ლეოს დიდი ორატორის ნიჭი ჰქონდა თანდაყოლილი. შემდგომ ეს ხელოვნება ისე ღრმად შეისწავლა, ყველა სიტყვის ემოციური გამ იცოდა და დაუღალავად სარგებლობდა. გარშემომყოფთაგან მხოლოდ მე მერიდებოდა.

„შენც კაი გარეწარი იყავი და იმიტომ".

ერთხანს მართლა ამიყოლია. სტუდენტობისას ბევრისთვის გაგვიმწარებია დღეცისმარე. მაგრამ საქმის მოთავე არასდროს ვყოფილვარ. რა თქმა უნდა, ქალებს არ ვგულისხმობ. აკი უკვე ვთქვი, ლეოს სტიქია მბრძანებლობა, ორგანიზაციული მუშაობა, მოქმედება იყო. ყველა ეს თვისება კარგია მამაკაცთა საზოგადოებაში. ქალებთან კი, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი ვერაფერი ხეირის მომტანია. არადა, ქალებისთვის ჰკუას კარგავდა. არა, ისე არ გამიგო, თითქოს მისთვის ძალლივით ყველა სულ ერთი იყო. ასე რომ ყოფილიყო, ორგანოში მომუშავე კაცს კაბაების დივიზიონი შეეძლო გაეჩინა. თუ სალონური მანერები, ორიგინალური თავისებურება და რაღაც გამორჩეული მიმზიდველობა არ ახლდა, ქალს ზედაც არ შეხედავდა. ასეთი ქალები კი ყოველთვის გაურბოდნენ. შეიძლება აქ თავდაცვის ინსტინქტიც მოქმედებდა: ვინც დაუახლოვდა, ყველამ ხიგიყემდე შეიყვარა. ლეოსთვის კი ისინი „განვლილ ეტაპს" წარმოადგენდნენ. უბედურები მთელი ცხოვრება ერთგული პირუტყვივით თვალებში შესციცინებდნენ და მზად იყვნენ, ლეოს ერთი თითის დაქნევაზე მიეტოვებინათ ყველაფერი, ხელი აეღოთ ოჯახზე, სახელზე, საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. თუმცა კარგად იცოდნენ, სულ მალე ისევ კარისკენ მიუთითებდნენ.

ვატყობ, თავი შეგაბეზრე. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ. კონფლიქტი, როგორც ახეთი, თითქოსდა მოულოდნელად გაჩნდა. მაგრამ დღეს რომ ვუფიქრდები, კარგა ხნის მომწიფებული იყო, ხომ ცნობილია: ძალაუფლება, სიყვარული, დიდება... არ იყოფა. ისინი პიროვნულია და ერთს უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენს შორის მეორედ ყოფნას ვერც ერთი ვერ შეეგუებოდა და ადრე თუ გვიან შეჯახება გარდაუვალი იყო. შეიძლება გკითხო, ადრეც ხომ გრძნობდი ამას. კი, ვგრძნობდი, მაგრამ, დაგასწრებ, ტახტისკენ ჯერ გზა არ იყო თავისუფალი და ჩვენი მეკავშირეობა, რომელსაც სილამაზისთვის ძმობას ვეძახდით, ცხოვრების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. მიზნის მისაღწევ გზაზე ერთმანეთი გვჭირდებოდა. ისეთი წლებიც იყო, როცა სულაც ჩემთან გადმოსახლდა და ჩემმა ოჯახმა საკუთარი შვილივით შეიყვარა.

საერთოდ, ყველაფერი გრანდიოზული მიწისძვრასავით მოულოდნელად ხდება. ალბათ, ამიტომაც არის მისი შედეგი ხშირად ყოვლისმომცველი. ჩვენს ურთიერთობას საფრთხე თითქოს არსაიდან ემუქრებოდა. ჩვენი ძმობა მოყვარეს ახარებდა. მტერს თვალში ნაცარს აყრიდა. ლეო ამ დროს დიდების ზენიტში იყო. მილიციის განყოფილებაც ჩააბარეს და ეს თავმომწონე კაცი პატივმოყვარეობით აივსო. ჩემი ლექსების კრებული ისე გამოვიდა, მანამდე არც ლეოსთვის და არც სხვა ვინმესთვის არ მითქვამს. ხასიგნალო ეგზემპლარი რომ გამომქონდა, სტამბასთან ქეთინო დეკანოსიძე შემხვდა. იმ დროს ორივე ვეტრფოდით და არაფერს ვიმჩნევდით. გამარჯვების მოსაპოვებლად. ბოლო დროს, ვატყობდი, ლეოსკენ იხრებოდა, ჰოდა, ასეთ მომენტს გავუშვებდი?! კრებული დითირამბებით აღსავსე წარწერით მივუძღვენი და შამპანურზე დავპატიჟე. რესტორნიდან რომ გამოვედით, უკვე „ქვემეხები სალუტს ისროდნენ". გვიან საღამოთი ლეომ დამირეკა: ზღვაზე ვარ რესტორანში და ამოდიო. დავთანხმდი.

კუპეში ხუთნი ისხდნენ. მათ შორის ქეთინო დეკანოსიძე რომ შევნიშნე, აშკარად ღალატის სუნი შევიგრძენი. ლეომ ხელები გაშალა.

— ოოო, მოსპარნასის საუფლოს კიდევ ერთ ხელდასხმულს, ჩემს ძმას, ზაალ მინდიაშვილს გაუმარჯოს!" — ჯიბიდან ქეთინოსათვის მიძღვნილი ჩემი წიგნი ამოიღო, ააფრიალა, შამპანური დაისხა, — ბევრს რომ იჯგიმები, აი, ვინ არის სიყვარულის ღირსი. სწორია, მაგრამ, შე უსინდისო, ამის დამალვა შეიძლებოდა? განა მე პირველს არ უნდა მქონოდა შენი წიგნი! კარგი, რაც იყო, იყო, მოდი, მოგილოცო". — ჩემი სახე ხელისგულებში მოიქცია, შუბლზე მეამბორა. მადლობის სათქმელად მოვემზადე და... დავიზაფრე. შური, გაბოროტებული შური, ადამიანის ხატად ქცეული შური მიყურებდა.

ავიწყურე. ცხოვრებამ კიდევ ერთი რამ მასწავლა: „მეგობრობა, როგორც ყველაფერი „სულიერი", იბადება, იზრდება, განიცდის აყვავების ხანას, მერე კი აუცილებლად კვდება, ოღონდ, სიცოცხლესავით, არავინ იცის, როდის შეწყდება.

უცბად შეიშმუშნა, ალბათ, შეიგრძნო, რომ გაიყიდა. მერე ბოკალიც ხასწრაფოდ შეავსო, მომაწოდა, პათეტიკურად მომმართა:

„ჩვენი ძმობის კიდევ ერთ დიდ წარმატებას ვადღეგრძელებ — იხარე, პეტრო, მოკვდი მტერო!" — სულმოუთქმელად გამოსცალა. ასეთმა გაგრძელებამ უხერხულობა მაგრძნობინა, დამნაშავესავით ვიდექი, გარშემომყოფთ გადავხედე

„მაგათ რას უყურებ, ეგენი მონები არიან! მთავარი გმირი აქ ხამია, სამს კი „ბოლივარი" განა წაიყვანს?" — ო'მენრის ცნობილი ნოველის პერიფრაზმა ყველა ეჭვი გამიფანტა: დღეიდან მტრებად ვშორდებოდით. „აბა, ვქეიფობთ, ვქეიფობთ!" — შესძახა, ვაზიდან ხილი გადმოყარა, ღვინით აავსო.

„მოდი, ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს" — თვალი გამიშტერა. მერე ქეთინოს გადახედა, გადაიხარხარა, ვაზა სულმოუთქმელად დაცალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წუთს ისიც ვიგრძენი, ქეთინო ლეოს ბედისწერა იყო და შემდგომში ეს წინათგრძნობა გამიმართლდა კიდეც.

ლეო ონიანი მთვრალი იყო, მტრად მოსული მთვრალი, დაუნდობელ მტრად მოსული. ეს აშკარად ვიგრძენი, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე.

ვაზა გამოვცალე.

„პოეტო, ხომ ვერ ამიხსნი, რას მივაწეროთ შენი და ბიძაჩემის ასეთი დაახლოება!" — შემომიტია.

„გააჩნია, რა გაინტერესებს", — უკან აღარ დავიხიე.

„კარგად მოგეხსენება".

ბიძა-ძმისშვილს შორის ბოლო დროს უთანხმოება ჩამოვარდა. ბატონი ზურაბი მართლა იყო ჩემთან, მთხოვა, იქნებ ლეო დაითანხმო, მესტიაში მამაპაპეული არ გაყიდოსო. მალე პენსიაზე გავალ და რაიონში ვაპირებ დაბრუნებასო. ლეო ისეთი კაცი იყო, თუ რაიმეს დაიჟინებდა, ვერა ძალა ვერ გადაათქმევინებდა. სწორედ ამ ამბის გამო ჰქონდათ გაუთავებელი უთანხმოება. წინა დღეებში ლეოს სიტყვა გადავუკარი, თითქოს დავიყოლიე კიდეც ზურაბის სათხოვარზე და აი, ახლა შარად აქცია.

„ახლა არაა მაგის დრო და, საერთოდ, თუ რამე გაწუხებს, პირდაპირ მითხარი".

შევეცადე, გაღიზიანება შეძლებისდაგვარად დამეფარა, მაგრამ ამან უფრო დაასხა ცეცხლზე ნავთი.

„რეებს ბლუყუნებ, ერთი შემომხედე და ამოღერღე", — სისხლად ქცეული თვალები მომაშტერა. „დაიმახსოვრე: წინ გადამიდგები, პეპლის წუთისოფელი გიწერია. გამიგე, რა გითხარი?"

ჯიქურ შევხედე. ბოლმად ქცეული მიყურებდა. წამოვიმართე თუ არა, ქეთინომ იყვირა:

„რას შვრებით, დაგიჟდით, დაცოფდით?!"

ლეოს სახეზე სარკაზმმა დიპლიპიტო დაუარა. ქეთინოს სილა სტკიცა, „მონებს" დედის სული ამოუტრიალა, გარეთ გაყარა. ჯიბიდან მანქანის გასაღები ამოიღო, გამომიწოდა:

„მე მაგარი მთვრალი ვარ, საჭესთან შენ დაჯექი".

მთელი გზა მდუმარება წამით არ დაგვირღვევია. თითქოს ყელაფერი მთავრდებოდა, ერთი მოსახვევიც და ქალაქში შევიდოდით, რომ უცბად საჭეზე ხელი ამიკრა. მუხრუჭს ფეხი დავაჭირე, მაგრამ იქვე მდგარ ბოძს მაინც შევასკდი. რაღაც წამები გავითიშე, გონს რომ მოვედი, გახეთქილი ტუჩიდან სისხლი მოვიწმინდე და...თვალს ვერ დავუჯერე: ლეო ონიანი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. რა შეგრძნება დამეუფლებოდა, გასაგებია.

იმ ღამეს თვალს რომ ვერ მოვხუჭავდი, ამას თქმა არ უნდა. ოთახიდან ოთახში დავბორიალებდი, მერე ხმის გამცემი? არა, იმ წუთებში ქალის სიყვარული, ქალის თანადგომა მჭირდებოდა. შეიძლება მკითხო, რატომ ვითომ მაინც დამაინც ქალისაო. ყოველთვის ვთვლიდი, ნაღდი მეგობრობა მხოლოდ უნგაროდ სარეცელგაყოფილ ქალს შეუძლია. მასთან ხომ ყოველივე გარკვეულია და სათვალთმაქცო არაფერი გაქვს.

„არსებობს ვინმე ისეთი, ვისაც ამ შუაღამისას ჩემი ხმის გაგონება გაუხარდება?" ვკითხე თავს და გული ჩამწყდა. ასეთი ქალი ამ დუნიაზე არ დადიოდა. ჰმ, თურმე სალომეს თავდადება ვერ დამინახავს, უმადური ვარ. ამ ქალმა ხომ ჩემს გამო ოჯახი მიატოვა, მთელი ნათესაობა მოიმდურა და საყვარლად დამიჯდა. ეს ახლაა, რომ საზოგადოება თითქოს შეეგუა მის ასეთ ყოფას (ჩემმა ნათესავებმა ხომ ძლივს აღიარეს), თორემ მაშინ, ვინ იცის, როგორ არ გესლავდნენ, დღეცისმარეს უმწარებდნენ. სალომეს კი ერთ ჟესტითაც არ უგრძნობინებია არც სინანული, არც საყვედური. სალომეს ხომ არ დავურეკო?

„როგორა ხარ, სალომე?"

„ხომ მშვიდობაა?" — როგორ შეშფოთდა. გულში სითბო ჩამეღვარა.

„მომენატრე და დაგირეკე".

„მოხვალ? რაღაც გჭირს..."

„არა, მალე გამოვჩნდები. ნუკის სძინავს?"

„კი".

„კარგი, დროებით".

ეჰ, სენტიმენტალობამ დამრია ხელი. მაშინ კი ის წყეული ღამე თეთრად გავათენე. დილით თათრის მოედანზე ხაშს ასი გრამი დავაყოლე. მერე თავადაც ვერ გავიგე, როგორ აღმოვჩნდი ლეოს სამსახურთან. ნერვიულ ცახცახშეპყრობილი ველოდი.

ლეო რომ გამოჩნდა, წინ ავესვეტე. სახეზე ნაცრისფერმა გადაუარა.

„ოჰ, ზაალ, ამ დილაუთენია რამ მოგიყვანა", წაისხვათაშორისა.

„აირჩიე, შეფურთხება გიჯობს თუ ჰიტლაჟი?"

დუმილი.

ლეოს თანამშრომლები შორიდან გვითვალთვალებდნენ, ახლოს მოსვლას ვერავინ ბედავდა.

„შენ რა, გგონია, გუშინ გეხუმრე? გირჩევნია, ახლა თავიდან მომწყდე, თორემ..."

„საძაგელა ყოფილხარ! მაგრამ ასე საზალხოდ თავის მოსაჭრელად მაინც არ მემეტებ ოღონდ იცოდე, დღეიდან შენც მერიდე!"

ავად ჩაიცინა. ისიც დავიჭირე: შვება იგრძნო, ასე რომ გადარჩა. ზურგი შემაქცია. ზიზღით გადავაპურჭყე და წამოვედი.

ერთი კვირა ლეოსგან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ერთი კვირის თავზე კი ჩემს სამუშაო ოთახში ქრთამის აღებისთვის დამაპატიმრეს.

ეს საქმე დიდებულად ჩამიწყო. იმ დღეს ლეოს ბიძა ისევ მესტუმრა. გადამკოცნა, შენმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო, ლეო სახლს აღარ ყიდის, მოკლედ, მეშველა და ეს შენი დამსახურებააო, გამომშვიდობებისას მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიგე. რაღაცაზე წაკინკლავებულხართ. თუ გიყვარდე, ეს ფული გამომართვი და ჩემს სახელზე შერიგების შამპანური დალიეთო. ჯიბეში ასმანეთიანი ჩამიცურა. შევიცხადე, მაგრამ ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ვიდრე ვლაპარაკობდი, ხელი დამიქნია და ოთახიდან გავიდა. ის იყო, ლაპარაკს მოვრჩი, ოთახში ექვსი „ნაგაზი“ შემოიჭრა. ხელები გამიკავეს. კედელთან ამაყუდეს.

„სად წაიღე?“ — შემომიღრინა ერთმა.

პირველად ვერც კი გავიაზრე, რა ხდებოდა. მერე უცბად ჩავხვდი სიტუაციას: ჯიბისკენ ვანიშნე. ექსპერტიზამ ხელის თითებზე „დანომრილი“ ფულის კვალი ვერ აღმოაჩინა. ჰმ, როგორ მარტივად, მაგრამ ვერაგულად მოაწყო ეს საქმე! წინა დღეს ბიძამისისთვის მოულოდნელად გამოუცხადებია (ყოველივე შემდგომ მიამბო ბატონმა ზურაბმა), ბინას აღარ ვყიდით და თან შეაპარა, მე და ზაალს პატარა უსიამოვნებები გვაქვსო. ბატონ ზურაბს შეწუხება რომ შეატყო, დაუმატა: ხვალ გაუარე, ერთი ასმანეთი ჩაუდე ჯიბეში, შენს სახელზე შევუხებ... რავთო. ღამით ფული დანომრილი ბანკნოტით შეუცვალა, მეორე დღეს კი, ზურაბი რომ მესტუმრა, ლეომ სადაც ჯერ არის, განაცხადა, მინდიაშვილი მოხუცს ფულს სძალავსო.

დანარჩენი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

რაც მე იქ მირტყეს!.. საზეზე ცელოფანჩამოფარებულს ერთი ისეთი მომხვდა, რომ მარჯვენა ყურში კარგა ხანს ალარაფერი მესმოდა. კიდევ კარგი, ბატონი ზურაბი დადგა მაგრად (ისე, შანტაჟი არც მას დააკლეს — ქრთამის მიმცემსაც ხომ სჯის კანონი!), ძველი დამსახურებაც წამოეშველა და გადავრჩით. სამი დღის შემდეგ საგამომძიებლო სამმართველოს გამოსასვლელში დიდხანს მეფერებოდა ცრემლმომდგარი ბატონი ზურაბი.

ეჰ, ისე ვიყავი გათელილი, სადმე ლეო ონიანი რომ დამენახა, თუ ქუჩის მეორე მხარეს გადავასწრებდი, ხომ კარგი, თუ არა და, ალბათ, ადგილზე მიმსხვრეპლებდა ინფარქტი. დღესაც, ამდენი ხნის შემდეგ, ხშირად მესიზმრება წინასწარი პატიმრობის საკანში გადატანილი კოშმარი. გამოღვიძებული შეშინებული ბავშვივით ვცახცახებ. კასიუს კლეის თავში ძლიერი დარტყმებისაგან პარკინსონის დაავადება დამართნია. არა ნაკლები ძალისაა ასეთი ხილვების დროს მიღებული სტრესები. ყველაზე საშინელი მაინც უსუსურობის შეგრძნებაა, როცა გინდა, უპასუხო, თავი დაიცვა, მაგრამ არაფერი შეგიძლია. ძაბუნად ჩამოგიყრია თუ ლაყი ხელები და, ლამისაა, ტვინში სისხლი ჩაგექცეს.

მაშინ კი, ერთი კვირის თავზე ქეთინო ლეკანოსიძემ ლეოს კაბინეტში ტანზე შემოიხია (იქნებ მართლა შემოახია კიდეც, გახაკვირია?) და ლეო ონიანიც იძულებული გახდა სანწრა ფოდ ცოლად შეერთო. ორგანოდან მაინც დაითხოვეს. ცხოვრებაში სხვაც ბევრი უსიამოვნება შეხვდა, მაგრამ ლეო ონიანი რის ლეო ონიანი იქნებოდა, ასე ადვილად დაენარცხებინათ. ახლა მოსკოვში სამტრესტის კონიაკის ქარხნის არასაუწყებო დაცვის უფროსია. ამბობენ, გვარიანი ფული იშოვა და ხარჯვაშიც ტოლს არავის უდებსო. ჩვენი გზები კი მერე აღარ გადაკვეთილა, მაგრამ ვიცი, აუცილებლად შევხვდები. მის მიმართ რაღაც გაორებული გრძნობა მაქვს, რომლის გარკვევა, სიმართლე გითხრა, არც მიცდია და აზრიც არა აქვს. ყველაფერი მაშინ გამოჩნდება, თუ ოდესმე გადავეყარე, მანამდე კი ღმერთმა ხელი მოუმართოს.

„გამიანგელოზდი, არა? ფრთებიღა გაკლია. მგლები, მგლები ხართ ყველა და, თუ დაგშირდათ, ისე გამოღადრავთ ყელს ერთმანეთს, წამითაც არ შეფერხდებით. იმათზე რას იტყვი, ვისთანაც ისევ „ძმობის“ პერიოდი გაქვს, განა მომენტს კარგავთ, რომ ქილიკით ერთმანეთს გული არ ატკინოთ. საბრძოლო მანევრებია, არა, რათა საწამლავმა ძალა არ დაკარგოს და სატევარი არ დაბლაგვდეს“.

ნეტავი ახლა ვინ გაგახსენდა?

„მამუკა მონიავა, იუზა სანებლიძე... დანარჩენებიც“.

მამუკა მონიავა, მამუკა მონიავა. აი, კაცი, რომელიც მეცნიერადაა დაბადებული. თუ არა ვცდები, თერთმეტი საავტორო უფლება აქვს და მაინც გამოხეული შარვლით დადის“.

იუზა სანებლიძეც მიხსენე, არა? მახსოვს: ალმასკომში ჩემი ბინით დაკმაყოფილების საკითხი უნდა განეხილათ. თავმჯდომარეს იმ პერიოდში ძალიან ვჭირდებოდი (მის ძმისშვილს ვიცავდი პროცესზე). ასე, რომ საკმაოდ დაასლოებული ვიყავი და მის კაბინეტში მოხვედრა არ გამჭირვებია.

„ზაალ, შენი საქმე გადაწყვეტილია“, — მომახარა. მაგიდაზე იუზა სანებლიძის განცხადებას მოვკარი თვალი.

„ჩემს მეგობარსაც აკმაყოფილებთ?“ — ვკითხე და განცხადებაზე მივანიშნე.

„იცნობ, რა კაცია?“

„კი, სკოლის მერხიდან; ახლა მასწავლებლად მუშაობს, უზადო პიროვნებაა“.

„მერე ეგ უზადო პიროვნება საჩივრებით რომ გვიკლებს?!“

„ძალიან ვიწროდ ცხოვრობს — ერთ ოთახში, თუ არა ვცდები, ხუთნი არიან“.

„მე ვიცი მაგათი სივიწროვე — უამრავი პინგვინი ეყოლება და თითოსგან ათას მანეთს აიღებს. სხვაგანაც ექნება ბინა — გვაქვს სიგნალები“.

მხრები ავიჩეჩე.

„არ ვიცი, არა მგონია“.

„არის სიგნალები, არის... მაგრამ შენი ხათრით დავეხმარებით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„კარგს იზამთ“.

„ჰო, სიგნალებს არ გავეკიდებით და არაფერს გამოვუჩხრეკთ. შენც ურჩიე: მაგისთვის სჯობია გაჩერდეს და გვაცადოს ცოტა ხანს“.

„რამდენი ხანია ალრიცხვაზეა...“

„ხუთიოდე წელია. მაგრამ, ხომ გეუბნები, მალე ეშველება. რა ვქნათ, მაგაზე გაჭირვებულებიც არიან“.

„სხვა რა გზის აქვს, მოიცდის“.

ჩემი საკითხი, მართლაც, მალე გადაწყდა, იუზა კი ჯერ კიდევ ელის. არა, გულით მინდოდა, დავხმარებოდი. ჩემს ბინასაც კი დავუთმობდი, მაგრამ ვინ დაუმტკიცებდა!

„იქ, თავმჯდომარესთან, რატომ გაკვრით მაინც არ თქვი არაფერი?“

ხომ ვთქვი, აზრი არ ქონდა, არ დაუმტკიცებდნენ-მეთქი.

„ჰმ“.

ნუ მომკალი კაცი. აი, ნახავ, დავეხმარები. ახლა ხომ უფრო მეტი შემიძლია.. ვილაც რეკავს.

დოდიკაა: სად დაიკარგეო. დოდიკა, დოდიკა ალექსიძე... კაცი, რომელსაც ღვინის გარდა ყველაფერი ცალ ფეხზე ჰკიდია. დასცინიან, სია აქვს შედგენილი, ვის რომელ რიცხვში უნდა ესტუმროსო. გზაში ტყუილად რომ არ მოცდეს, წინასწარ ტელეფონით ამოწმებს, მასპინძელი ხომ ნამდვილად შინ არის. თუ დარწმუნდა „მსხვერპლი“ ადგილზეა, ყურმილს კიდებს და სრულიად მოულოდნელად ეცხადება საკუთარი პერსონით.

უდავოდ ნიჭიერი მწერალია. მაგრამ, რად გინდა, ბოლო ხანს მისი გაკეთებული არავის არაფერი უნახავს. სამაგიეროდ, გესტუმრება, დათვრება, დაალებს პირს და ლოგიკურად დაგიმტკიცებს, რომ სახიერებადაკარგული ნაძირალა ხარ. არა, თუ უხასიათოდ არის, მაშინ ხდება აუტანელი, თორემ ტკბილად მოჯუკჯუკე დოდიკას ვინ შეედრება! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პირდაპირ გულისხმიერების განსახიერებაა, ამიტომაცაა, ყველა სულში იძვრენს და ბევრსაც პატიობენ.

მახსოვს, ბაქოში დისერტაციის საქმეზე მომიწია წასვლამ. ეს ის დრო იყო, ჯიბეგახვრეტილი რომ დავლაყლაყებდი. სასტუმროში ვილაცამ დამირეკა და მითხრა, თქვენთან თბილისიდან ბარათი გამომატანესო. გავოცდი: ვის უნდა გავხსენებოდი, კონვერტზე დოდიკას ხელი რომ ვიცანი, ავფორიაქდი. რამე უბედურება ხომ არ მოხდა-მეთქი. გულისფანცქალით გავხსენი: ორად გაკეცილ ქაღალდში ოთხი ოცდახუთმანეთიანი იდო, ქაღალდზე ოთხად ოთხი სიტყვა ეწერა: „ზაალ, ეს შენ დაგჭირდება“. კინაღამ ავტირდი.

დოდიკა, დოდიკა... წელან ვამბობდი, მეგობრობაც ბერდება-მეთქი. არა! ცხოვრებაში რაც უნდა მოხდეს, რამდენმა წყალმაც უნდა ჩაიაროს, ჩემი დოდიკა მაინც ჩემ დოდიკად დარჩება. ოჯახშიც რაღაც არა მგონია... თუმცა, ცოლი რომ არ უყვარდეს, დოდიკას იმასთან გაჩერებ?! ყოველ მისვლაზე კი გაუთავებელ კინკლაობას რომ არ შევესწრო, არ იქნება. თუ კარგად არ იცნობ, ნიჰილისტადაც მონათლავ. წამდაუწუმ აფრქვევს ცინიკურ „სიბრძნეებს“, მაგრამ დოდიკას მოთხრობებით ჟამთარში გათბები, სიცოცხლე, სიყვარული მოგწყურდება. თავად კი რა მოუვიდა, არავის უმხელს. რას იზამ: როგორც ქართველთა უმრავლესობა, „შემოდგომის აზნაურივით“ ამპარტავანია. ერთს ხუთასი მანეთი აჩუქა, „მადლიერმა“ კი გამოგვიცხადა: დედიმისისამ, ეგეც მარტო ჰონორარით ცხოვრობს, იმით გვიკეთებს საჩუქრებსო. ხმა არ გამიცია. ასეთი კაცის მოკვლაც ცოტაა. დოდიკა კი მეცოდება, მაგნაირ კაცს ცხოვრებამ არ უნდა უმუხთლოს.

„შენ, შენ თავად როგორა თვლი, აიწყე პირადი ცხოვრება?“

ოჰახს გულისხმობ? სალომესთან ჩემი ურთიერთობა, მართლაც, საოცრად წარიმართა. იმ ღამეს, კონცერტიდან გამოქცეული, შეშინებული ბელურასავით მომენდო. მაგრამ, ოთახის კარი მივხურე თუ არა, მყისვე გარდაიქმნა. ჯერ გახელებული მკოცნიდა. მერე საწოლიდან მიხტებოდა, ერთ წამს რომ მდუღარე ტუჩებით მთუთქავდა, უცბად გახევდებოდა და უაზრო თვალებით მომჩერებოდა. ყველაფერი რომ მორჩა, ისტერიკამ მოუარა. ატყდა, თავი უნდა მოვიკლაო. როგორც იყო, დავაწყნარე, მუხლებზე დაემხო და შემეხვეწა: მცემე, ზაალ, მცემეო. წამოვაყენე, თვალები შეშლილივით გადაატრიალა. გამეტებით გავარტყი. გაოგნებულმა ორივე ხელი კისერზე შემომაჭდო და ქადაგად დავარდა: „მიყვარხარ, მიყვარხარ... ნუ მიმატოვებ, ხომ არ მიმატოვებ, უშენოდ მოვკვდები... მიყვარხარ...“ როგორც იქნა, დავაწყნარე, ჩავიცვი, სინათლე ავანთე, ცოტა დამშვიდდა — რა ძალა აქვს ნათელს. მაცივრიდან კონიაკი გამოვიღე, უაზროდ დალია, მერე გული აერია. სახე ცივი ტილოთი გავუწმინდე.. ერთხანს ჩათვლიმა, გაღვიძებული ახალი ცეცხლით შემომენთო...

ასე გაგრძელდა თითქმის ნახევარი წელი. ამ ხნის მანძილზე წლობით დაგროვილ ვნებებში ჩაინავლა ქალი: ფერი დაკარგა, ლანდივით გაიცრიცა. ამას ფეხმძიმობაც დაერთო — მთელი ცხრა თვე მეძახა, მეზიზღებიო. ნუკი რვა წლის იყო, მარჯვენა ძუძუში სიმსივნე აღმოაჩნდა. დიდხანს უარობდა, ბოლოს მაინც დაგვთანხმდა ამპუტაციაზე. ცოლად გამოყოლაზე თავიდანვე უარი განმიცხადა. ნუკი რომ გაჩნდა, მიზეზი მაშინ ამიხსნა.

„შენ ჩემი სამყარო, რომელსაც მრავალი წელი ვესათუთებოდი, მესაფლავე ხარ, ეს ამბავი რაღაც მწვალებლურ სიამოვნებასაც მანიჭებს, მაგრამ, საკმარისია, მარტო დავრჩე, დათრგუნვილი, საბელშემობმული სული წამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანყდება. სიგიჟემდე მძულხარ, თუმცა მაშინაც ვიცი, უშენოდ გაძლება არ შემიძლია. მუდამ შენთან რომ ვიყო, მოგწამლავ, — კუდიანივით ჩაიცინა, — ასე რომ, ჩემს შვილთან ცხოვრება მირჩევნია, შენ კი, როცა მოგესურვება, ყოველთვის შეგიძლია გვესტუმრო". მივხვდი, სიყვარული ვერ მორიგებოდა ამპარტავან სულს; ოპერაციის შემდეგ ხომ ქორწინებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

„იქნებ თავადაც ასე გინდოდა, თორემ, მშვენივრად ხვდებოდი, სალომეს გატეხვას, წამოჩოქებას ბევრი არაფერი უნდოდა. ისიც ხომ მოგეხსენებოდა, სალომეს გვარის ქალები ან სიყვარულით უნდა დადაგო, კუტად აქციო, ანდა ნებაზე უნდა მიუშვა".

ეეხ, რა გითხრა.. მარტო დედაკაცის სიყვარული ხომ არაა ცხოვრება, თანაც, სალომე ის ქალია, რომელიც თაყვანისცემისთვის დაიბადა. მე კი აქეთ მინდა კერპივით მეთაყვანებოდნენ. ამან თავიდანვე ისეთი შინაგანი კონფლიქტი წარმოშვა, რომ ვიგრძენი, ოლად ვერ მოვრიგდებოდით. ძუძუს ამპუტაციის შემდეგ ხომ...

„ვითომ! იქნებ რაღაც ზიზღისმაგვარი შეგრძნება დაგეუფლა?"

მაყრუოლებს.

გაჩუმდი, ეგრე ლაპარაკის უფლებას არ მოგცემ!

პირველ ხანებში... არა, არ გვინდა ამაზე, გთხოვ. .წინ მთელი ცხოვრებაა და აგერ ხვალ უკვე რამაზ გაგუასთვის მომიწევს ბრძოლა. შველით, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვუშველი, მაგრამ იქნებ ცოტა შეღავათი მივაცემინო. შეეშვი იმ ღახაწვავ სამსახურს, ჩავარდები-მეთქი, რამდენჯერ ვუთხარი. პასუხად, წადი, კოჰი გააგორეო, ღიმილით მეუბნებოდა. შემოიკრიბა კაზპები, მოასუქა ეგ უნიფხვო რეგვნები, ალაზევა ათასი ჯურის აფერისტი და არამზადა, ახლა რომ მომდგარან და კუთხე-კუთხე ჭორაობენ: აბა, რა ეგონა, შერჩებოდა, ფულებით რომ კოჭაობდათ, რას იზამ, ხელმძღვანელის სტილი გადამდებია.

ტელეფონთან მივდივარ, ნომერს ვკრეფ.

„სალომე, მე ვარ. რას შვრებით, როგორა ხართ?"

„სად დაიკარგე, ნუკი სულ შენს კითხვაშია".

„პროცესისათვის ვემზადები, ვწერდი რაღაცას".

„მერე, ვერ დარეკე? მართალია, ცოლი არა ვარ, მაგრამ რაღაც უფლებებით მეც უნდა ვსარგებლობდე".

„ნუ გარეკე შენებურად. გინდათ რამე?"

„არაფერი არ გვინდა. თავად როგორა ხარ, ტელეფონთან მაინც გეკადრა მისვლა, იქნებ რა მოხდა".

„ჰო, თქვი, რა მოხდა? გგონია, არ ვიცი სანდრიკას ამბავი?"

„იყავი?"

„ვიყავი. ნუკიმ გაკვეთილების შემდეგ სკოლასთან მომიცადოს, მე წამოვიყვან".

მაგიდიდან „ტაზეპამის" კოლოფს ვიღებ. მერე ჩაიდანში პიტნას ვყრი, ვსვამ. პიტნა ტონუსს მიწევს. საქაღალდეებს პორტფელში ვაწყობ, მანქანას ვქოქავ.

დღეს რაღაც ცივა. ნეტავ ახლა იქ არ ვიყო მისასვლელი და...

დერეფანში დაბარებულივით ნაწული მეჩეხება. კაზაა შავებში მორთულა. მძულვარე მზერას არც ერთი არ ვფარავთ. სამზარეულოში ნიკა ლომთაძეს ვამჩნევ. ის პატრონობს ყველაფერს.

— კარგია, რომ მოხვედი. — მეუბნება მისალმებისთანავე. — გამომძიებელთან რაღაც ფორმალობაა მოსაგვარებელი და შენ გელოდით.

— სხვა არაფერში გჭირდებით?

— არა. გეჩქარება?

— სასამართლოში შევირბენ, დღეს პარასკევია, რამაზის საქმეს უნდა მივხედო. იქნებ პროცესი გადავადებინო.

— გამოვა რამე?

— პროცესუალური ნორმები არაა დაცული, ძიებაშიც რაღაც უზუსტობები დავიჭირე. საქმე თუ დავაშლევინე, არის მუხლის შეცვლის შანსი.

— შენ იცი, აღარ დაგაყოვნებ.

თვალი კუბოსკენ გამირბის. კიდევ კარგი, დახურულია. სანდრიკას სურათს ვაკვირდები, გული მეკუმშება. კიბეზე დამძიმებული ჩამოვდივარ — სანდრიკას განწირულ გამოხედვას ვერ ვიშორებ. ნუთუ მართლა არ იყო სხვა გზა?!

. . . . . . . . . . . . . . .

3

შორიდანვე შევნიშნა: დოდიკა ალექსიძე მოუსვენრად ტკეპნიდა ერთ ადგილს. „რა კაცია, ჯერ არ მახსოვს, ორი წუთი ერთ ადგილზე გაჩერებულიყოს". მანქანა დაამუხრუჭა.

— გველოდება შენი ზეკაცი?

— ყველაფრის აგდება ხომ არ შეიძლება. გააგიჟებთ კაცს, რა ხალხი ხართ, აღარ ვიცი პირდაპირ.

— ჰო, კარგი, ნუ ბუზღუნებ. წავედით.

მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ. მაღალმესერშემოვლებულ ერთსართულიან სახლს რომ მიადგნენ, კარგად გაარჩია ყვითელი ფოთლებით დაფარული ეზო. სიდღაც კატამ უსიამოდ წაუკნავლა. ზაალს ტანში გააჟრჟოლა, საათს დახედა — ისრები შუაღამეს უჩვენებდნენ.

სახლის კარი ღია დახვდათ. წინკარში დოდიკამ მორიდებით დააკაკუნა. მობრძანდითო, მოისმა ხმა.

ოთახის შუაში დადგმული შავსარჩულიანი კუბოს და კუთხეში მიყუჟული თეთრი როიალის კონტრასტმა შეაკრთო. იგრძნო, ცნობიერი კონტროლს კარგავდა, აიწურა.

— მე თქვენზე ბევრი მსმენია. მოხარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ, რომ მესტუმრეთ. — კარის მოპირდაპირედ გოლიათი იდგა. ხუჭუჭა თავი, ლამის იყო, ჭერისთვის მიებჯინა, ხავისებურ... ამოღამებულ თვალებში აშკარად დაინახა ნათელი. სადაც ორი უზარმაზარი შავი ფერტილი დაცურავდა. მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა.

„დემონი, დემონი!" — გაუელვა ზაალ მინდიაშვილს, როგორც კი ხელზე მხურვალე ხელის შეხება იგრძნო.

— იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით და გაიზიარებთ ჩემს ღარიბულ ტრაპეზს. — მასპინძელმა პატარა მაგიდაზე გაწყობილ სუფრას ტილო ახსნა. — დაბრძანდით, — მიუთითა ვაშლის ჩუქურთმით გაწყობილ მუხის სავარძელზე. თავად ოთახის კუთხისკენ შებრუნებულმა ილოცა, მერე ლავაში გატეხა, ღვინო დაასხა.

— ვადიდოთ უფალი, რამეთუ ჩვენ, მოკვდავნი, არარას წარმოვადგენთ მისი წყალობის გარეშე, განდობილმა ჭიქა გამოცალა, თევზი გადაიღო.

ზაალმა ერთხანს ჭიქას უკირკიტა, მერე მასპინძელს ჯიქურ მიაჩერდა. რაღაც ჯერ კიდევ გაუცნობიერებელმა ყოველგვარი შეპირკეთება მოუხსნა, ფონოგრამაზე ჩაწერილი აგიტატორის სიტყვასავით, თავისდაუნებურად, ორაკულივით არაკრაკდა:

— არისტოტელე ამბობდა, რომ პიროვნებას საზოგადოების გარეშე ისევე არა აქვს მნიშვნელობა, როგორც ორგანიზმიდან მოწყვეტილ ნაწილს. პიროვნებისადმი ასეთი მიდგომა ჩემშიც, და, მე მგონი, ყველა ეპოქის მოაზროვნე ადამიანში პროტესტს იწვევდა. გასაგებია, რომ სამყაროში, სადაც ყოველ წამს მილიონობით გალაქტიკა იბადება და ქრება, მთელი ყურადღების გადატანა ერთ მოკვდავზე სასაცილოდაც ეღირს. მაგრამ, აბა, ჰკითხეთ იმ ერთ მოკვდავს, მისთვის კი აქვს მნიშვნელობა იმ გალაქტიკათა ბედს? ანდა ვინ დამიმტკიცებს, რომ ერთი კაცის თუნდაც ყველაზე მწირი სამყარო ნაკლებად რთული, მშვენიერი და მიმზიდველია, ვიდრე მთელი ის არეალი, რომელშიც ვცხოვრობთ. ადამიანი შემქმნელსაც უტოლდება, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვება შეიძლო და ამ დამოუკიდებლობაშია მისი ბედნიერების გასაღები, ხოლო რაც შეეხება საიდუმლოს საწყისის საწყისს, მოკვდავი მას ვერასოდეს ჩაწვდება.

ზვიად განდობილს ჩრდილმა დაუფარა სახე, მხოლოდ წამით გაუსწორა თვალი, მერე თავი დახარა.

— რაც თქვენ ახლა აქ თქვით, დიდ ხანია, ცნობილია. — დინჯი ბარიტონი ნელ-ნელა იძენდა მომნუსხავ ძალას. — რა თქმა უნდა, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სამყაროს აბსოლუტური ობიექტური ხედვა. აკი ყოველივე სუბიექტის „ობიექტური" თვალითაა დანახული. დროის ერთი ფორმა მეორეს ხომ მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში შორდება. ამიტომაც ვამბობთ, რომ პიროვნება მთელის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ არის ჩვენი დამოუკიდებლობა მოჩვენებითი, ამიტომაც ვართ ბედისწერის მონებად ქცეულნი.

— მაგრამ მისი მარწუხებისგან ხსნის საშუალებას ხომ მივაგენით.

ზაალმა თავი უსუსურად იგრძნო — გალიზიანების დაფარვა არც უცდია.

— მიგიხვდით, თვითმკვლელობას გულისხმობთ. მაგრამ იქნებ ესეც ბედისწერაა?

— მაშინ რატომაა თვითმკვლელი ღვთისაგან შეჩვენებული, — ზაალმა დემაგოგის მაშველ ძაფს მიაგნო. — რატომ? იქნებ ღვთაება ამბოხს ხედავს თვითმკვლელობაში? ხოლო, თუ ამბოხის საშუალება არსებობს, მარადიული კანონების დარღვევაც ყოფილა შესაძლებელი და მაშინ დამოუკიდებლობაც რეალურად გვქონევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინ მოგვცემდა იმ კანონთან გადასინჯვის უფლებას?

— ამაზე იმ ქვეყნად ვაგებთ პასუხს.

— სისულელეა, ადამიანმა ის ქვეყანა იმიტომ მოიგონა, რომ სიკვდილი გაიადვილოს. ხოლო მას შემდეგ, რაც აზროვნება შესძლო, გადატრიალებაც მოაწყო. ამიტომაცაა აზროვნება რეგლიგიის გაჩენის პირველსავე დღეს უდიდეს ცოდვად გამოცხადებული. ხსნა ბრმა მორჩილებაშიაო. განა არ გახსოვთ, საუკუნეების განმავლობაში გვიმტკიცებდნენ. ახლა რა შეიცვალა?

— გასაგებია, საითაც უმიზნებთ. მაშ, აზროვნება დამოუკიდებლობის აუცილებელი წინაპირობაა? იქნებ ახსნა ეს ღვთისაგან მონიჭებული გონითი უნარი. შეუძლებელია, არა? შეუძლებელია! იმიტომ, რომ ღვთის საიდუმლოა, დიდზე დიდი საიდუმლო. სწორედ მანდაა ღვთის მადლი, ამიტომ უნდა ვიწამოთ უზენაესი.

— იმას ხომ მაინც ვერ უარყოფ, ამ ქვეყნის ბატონ-პატრონები დავხდით. ყოველივე ჩვენს ნებას ემორჩილება.

— ვითომ? მაშ, სტიქიას რატომ ვერაფერი მოვუხერხეთ, სტიქიას, რომლის წინაშე შეშინებული დედლებივით თრთით და კანკალებთ?

— სამაგიეროდ, სიკეთის კეთებას ვსწავლობთ, რაც აგრერიგად დაგვამადლა მამაზეციერმა.

— კარგა ხანს კი მოუნდით! იქნებ სიკეთის საწყისი თავიდანვე იყო ადამიანში ჩადებული, მერე კი Homo Sapiens-მა სატანის წყალობით სამუდამოდ დაივიწყა. მას შემდეგ მთელი საუკუნეები იხსენებს, იხსენებს და ვერ გაუხსენებია. სწორედ მაგით ვართ ღვთისაგან დასჯილები, სწორედ მაგიტომ ვერ გაგვიგნია გზა უკან — ღვთისაკენ, — ზვიად განდობილის მავმა გამოხედვამ ადგილს მიაჯაჭვა. — მაგრამ ღმერთი მოწყალეა და, ალბათ, შეგვინდობს. მე კი იმისთვის გიხმე, რომ ღვთაებას დიდი ნიჭი დაუმადლებია, რომელსაც ახლა სატანა განაგებს და ვიდრე შენს სულს საბოლოოდ დაეუფლებოდეს, მინდა, ხსნის გზა გიჩვენო.

ზაალ მიანდრიაშვილმა ისევ იგრძნო, რაღაც ძალამ როგორ დამუხტა. საზარლად გაიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემაგოგის ძაფს უფრო მაგრად ჩაავლო ხელი.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ თქვენს მოწყალე ღმერთს მუხლის მოდრეკა, შესაწირავი, სანთელი... რამ შეაყვარა. ამას ხომ ჩვენს ყოველდღიურობაში ქრთამი ჰქვია და დამნაშავე საკმაოდ მკაცრადაც ისჯება. მერე, თუ ყველაფერი წინასწარ დაღდასმულია ბედისწერის ნიშნით და არაფერი ეშველება, რაღას გვაწვალებს, რატომღა ითხოვს თაყვანისცემას? თავის დესპოტურ სულს ანეტარებს? პასუხი, ვიცი, წინასწარ გაქვს მზად. მეტყვი, ეს ყველაფერი ეზოტერიულია, მაგრამ შენ ხომ განდობილი ხარ, განდობილი! ქრისტემ საიდუმლოს მთელი არსი თავის უახლოეს მოწაფეებსაც კი არ გაანდო. იქნებ ამის მიზეზი მაინც ამიხსნა, თუ ახლა თავად იჩემებ წინასწარმეტყველის მაცდუნებელ მისიას? თუ ასეა, იქნებ საწყალი ცოდვილი დააბრუნოთ ჭეშმარიტ გზაზე.

ზვიად განდობილს სახე მწარე ღიმილმა დაუფარა.

— ვხედავ, სატანა როგორ მომძლავრებულა, თორემ ღვთაებრივი ხომ ცხოვრების ყოველ არსში ჩანს. თუნდაც მუსიკა... ხშირად დემონურს ეძახიან, არადა, ის ხომ ღვთაებასავით უსაგნო და ხელშეუხებელია. შენ ჭკვიანი კაცი ხარ და დაუფიქრდი: მისი თორმეტი ტონი ხომ თორმეტ ზოდიაქოს შეესაბამება, ხოლო შვიდი ოქტავა — შვიდ დღეს. აბა, მითხარი, რაა აქ უფრო მეტი — ღვთიურობა თუ დემონიურობა. მაგრამ, იცი, რაშია საქმე? დღეს, კოსმიური პროგრესის ეპოქაში ინფორმაციის სიუხვემ ღმერთთან დამაკავშირებელი გზები დაგვიხშო. ბეთჰოვენი რომ გაიგო, ამისთვის, სულ ცოტა, ორი რამაა საჭირო: სრული გონითი მობილიზება და დრო, დრო უნდა გქონდეს. მერე თუ ჩაწვდები, იმდენად არარად შეიცნობ საკუთარ ცხოვრებას, რომ შინაგანმა სტრესმა, შესაძლოა, გაგვანადგუროს; აი, პოპ მუსიკაში კი ყოველივე გაშიშვლებულია და ლაბირინთებში გზის გაგნება არავის უჭირს. უნდა დავფიქრდეთ, სანამ დროა, სანამ სატანამ საბოლოოდ იზეიმა გამარჯვება, თორემ ღმერთი არ გვაპატიებს.

— ის ღმერთი რა ღმერთია, რომელსაც პატიება არ ძალუძს?

ზაალ მინდიაშვილმა ზვიადის თვალებში ცეცხლოვანი ისრები რომ შენიშნა, თავი დახარა.

— სახლში მისულმა შვილს ჩახედე თვალებში და მიხვდები, რატომ არ გვაპატიებს ღმერთი, ჩახედე და მიხვდები!

— მაინც რატომ?

— ისიც რომ არ დაადგეს სატანის გზას, რომ არ იმრუშოს, არ თესოს ბოროტება, არ გასწიროს მოყვასი და მერე პილატესავით არ დაიბანოს ხელი.

— დაგიჯერებდი, მაგრამ, — თავი გადააქნია, — ადამიანი დასაბამიდან ხომ ცოდვის ჩასადენად გაჩნდა. არ მითხრა ახლა, სატანამ აცდუნა ადამი და ევაო. ზღაპარია! ღმერთს ისინი ცდუნებისათვის რომ არ შეექმნა, განა ორ სხვადასხვა სასქესო ორგანოს დააყოლებდა? უბრალოდ, აიღებდა და გააჩენდა ორ უსქესო არსებას და ადამიანიც გადარჩებოდა იმ პირველი ცოდვის სიმძიმეს, რაც აგრერიგად გვტანჯავს საუკუნეები. ყველაფერი მის ხელთ არ იყო? რაში დასჭირდა ედემში ასეთი შეთქმულების ჩაწყობა? ეჰ, ძალიან არ გვინდა, ვაღიაროთ, მაგრამ ჭეშმარიტებას ვერსად გავექცევით: ღმერთმა ადამიანი სიმრუშისთვის გააჩინა. საერთოდ, მგონია, მამაზეციერმა სიმრუშე და ადამის მოდგმა ერთ წამს შექმნა თუ, რა თქმა უნდა, მანამდე თავად არ მრუშობდა. წმინდა წერილი აკი ამბობს: ღმერთმა ადამიანი თავისი სახის შექმნაო.

— ღიმილმა გადაურბინა. ზარის მოთამაშის გუმანით იგრძნო: ამ გაგორებაზე მოიგო. — თუ ასეა, ყველაფერი ნათელი ყოფილა, მაგრამ მაინც მინდა, ერთ შეკითხვაზე მიპასუხო: ამბობ, ღმერთი ყოვლისშემძლეაო; შეუძლია ღმერთს ისეთი რამ შექმნას, რომელსაც თავად ვერ მოერევა? თუ ვერ მოერევა, მაშინ ყოვლისშემძლე არ ყოფილა და თუ ვერ შექმნის, არც მაშინ გამოდის ყოვლისშემძლე. ჩაფიქრდა... მე კი გიპასუხებ: ასეთი შექმნა ღმერთმა ის, ადამიანი და იგი ამქვეყნად აბსოლუტურად დამოუკიდებელი და უსაზღვროდ თავისუფალია!

ზაალმა სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, ზვიად განდობილმა იქუხა:

— ბელზებელო, ბელზებელო, ბელზებელო!

— ბოროტო სულო, ბოროტო სულო, ბნელეთის მოციქულო! — ზაალმაც იღრიალა, — ვერ მოგართვეს ჩემი სული შენს მრავალფეროვან კოლექციაში, ვერ მოგართვეს!

უცბად დოდიკას გამყინავმა სისინმა ორივე გამოაფხიზლა.

— ვერ შეთანხმდით? — დოდიკა ალექსიძეს სახე არეოდა, — ვერც შეთანხმდებით, ვერც ვერასოდეს ვერ შეთანხმდებით!

კარი მთელი ძალით მიიჯახუნა. ერთბაშად გამოფხიზლდნენ, ისეთი შეგრძნება დაეუფლათ, თითქოს შიშვლები იდგნენ. უხმოდ მიუსხდნენ მაგიდას. ზაალმა ღვინო ჩამოასხა.

დოდიკა და მცხეთელი ჰუმანისტი რესტორნის წინ მელიან, დაბადების დღეს მილოცავენ.

დარბაზში შევდივართ, ოფიციანტს წითელ ღვინოს და საჭმელს ვუკვეთავ.

— შენს წნევას წითელი ღვინო ნაღდად მოუხდება, — დევი ძნელაძე საფეთქელთან თითს იტრიალებს.

წავიყრუე. დოდიკას ვაკვირდები. ახლა ჩემს ყოველ სიტყვას თავისი ემოციური გამა თუ არ დაჰყვა, საკუთარ ცნობიერთან გამართულ ბრძოლას ნაღდად წავაგებ. დოდიკას დაქარული სახე ნელ-ნელა ემსჭვალება თანაგრძნობით მახსენედება დეპრესიის დღეები, თვითშეჰმუსვრის ქიმერული იდეა. თავის ქალის ქვეშ რომ დაედო ბინა. მაყრუოლებს. ღვინოს ვისხამ, ჭიქას სინათლეზე ვწევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიცოცხლის სადღეგრძელო მინდა დავლიო, — სახეზე ალმური ამდის, — ხომ გინახავთ, ქვევრში როგორ დუღს ღვინო. ჩვენს ძარღვებშიც ასევე დუღს, დაჭრის და სიცოცხლეს გვანიჭებს... სიცოცხლეს გაუმარჯოს!

„გაუმარჯოს" — ერთდროულად შეხმიანებიან.

ჭიქებს ისევ ვავსებ. ღვინო მწყურია, საუკუნეა, პირი არ დამიკარებია. მომწყურდა, ქართულად მომწყურდა.

— მოდი, ახლა გამარჯვების ჟინს და მოპოვებულ გამარჯვებებს გაუმარჯოს. ამქვეყნად რა საქმეც არ უნდა წამოიწყო, თუ გამარჯვების ჟინი არ ახლავს, ყველაფერი განწირულია. არადა, ადამიანურად რომ იცხოვრო, ერთი დიდი გამარჯვება მაინცაა საჭირო.

აშკარად ვხედავ, დოდიკას დიდ, მელანქოლიაშეპარულ თვალებში როგორ ძალუძს დარდი, არადა, მათში აქამდე მუდამ შემართებას ამოიკითხავდით. ნუთუ დოდიკასაც უქრება ნაღვერდალი?! მახსენდება: ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ზღვაზე ჩავედით. ზღვა არეულ ხასიათზე დაგვხვდა. კარგა შორს ვიყავით გასულები, რომ უცბად დავოსდი. თვალნათლივ დავინახე თავს წამომართული შავი ჩრდილი; სასოწარკვეთილი თვალები დოდიკას მივაპყარი. დოდიკამ უცბად შეიგრძნო სიტუაციის მთელი ტრაგიზმი, თვალები დამიბრიალა და არაადამიანური, არგაგონილი ხმით იღრიალა. წამს ძალა მომეცა, მკლავი მოვუსვი და... ახლა ნათლად ვხედავ, რაღაც მსგავსი მასაც სჭირდება, მაგრამ რა ვქნა, რა მოვიმოქმედო. არადა, ვხვდები, ცოტაც და დავაგვიანებ.

ხანდრიკა გეგეშიძე მახსენდება. უკანასკნელ ხანებში თითქმის ყოველდღე სვამდა. ერთხელ დილაადრიან გამომეცხადა და ოცდახუთი მანეთი მთხოვა. არასოდეს მათხოვრისთვისაც არ მითქვამს უარი, აქ კი უაზრო პრინციპულობა გამოვიჩინე და უარი ვტკიცე. მის თვალებში ჩამდგარი წყენა ფეხებზე დავიკიდე. არადა, როგორ დამავიწყდება, ავტოკატასტროფის შემდეგ ჩემს სასთუმალთან საათობით რომ იყო ატუზული და ფეხმძიმე ქალის ხუშტურებივით უაზრო სურვილებს უსიტყვოდ მისრულებდა. მე კი... ქოფაკივით ვუღრენდი, მწარედ ვიგდებდი, იმას კი არ ვუფიქრდებოდი, რომ ყველაფერ ამას შეიძლებოდა გამოუსწორებელი შედეგი მოჰყოლოდა. ახლა კიდევ, ლამისაა, დოდიკაც შეჭამოს რაღაც გაურკვეველმა, უთქმელმა თანალრებამ. გამიგია, ქურდი მწყემსები თურმე სპეციალურად გაწვრთნილ თხებს ფარას შეაპარებენ. ისინიც ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გაიტყუებენ ცხვარს და ახალ პატრონს მიჰგვრიან. მეც ასე შემიტყუა ყოველდღიური ცხოვრების უაზრო ფორიაქმა და პრესტიჟული ყოფის მონად მაქცია. წეღან გამარჯვების სადღეგრძელო შევსვი. ჰმ, ეს გამარჯვებები და წარმატებები იმდენი დანაკარგის ფასად მოვიდა, რომ ოდეს-მე ვინმემ შეიძლება ჩვენი ინსტინქტები ცხოველურისგან ვეღარც განასხვავოს.

— ლატარიაში მოგებაც გამარჯვებად ჩაგეთვლება? — მცხეთელი ჰუმანისტი ანგლობს. — თქვე ბუზიკულაპიებო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით. აქ საქეიფოდ შემოვედით თუ პრობლემების გადასაჭრელად. აბა, ხმის ჩაწუწუნიც მოვიდა. ახლა ერთი ძაძიგურის „მაინც მიდიხარ" და ვცხინდები.

რეპლიკა უცებ მაფხიზლებს. დაბნეულობით ერთი საათი ანეკდოტების მოყოლითა და ერთმანეთის შაყირით ვიქცევთ თავს. სადღეგრძელოებიც რიგით მიდის. სანდრიკას ხსოვნისას ვამბობ, მერე უცებ ვცვლი საუბრის თემას.

— დოდიკ, ამ დღეებში მოსკოვში მომიწევს წასვლა. ხომ არ წამოხვიდოდი, რაღაც საქმე შენც ხომ გქონდა? — სიგარეტი მინდება, თავს ვერევი.

— რაზე მიდიხარ? — დოდიკა აშკარად დაინტერესდა.

— ერთი მოწმე მყავს სანახავი.

— ვინაა, რა კაცია?

— ჩვეულებრივი ნაძირალაა. ახლა „ნებაყოფლობითი ემიგრანტის" როლით ტკბება.

— ვნახოთ, ფინანსების საქმე როგორ იქნება, ცოტა იქნებ ვისესხო. ისე, მაგ ნებაყოფლობითი ემიგრანტების დანახვაზე გული მერევა.

— უჩემოდ არ წახვიდეთ, რაღაცეებს დაგაბარებთ, — ერთვება დევიკო. — ახლა კი ჩვენს დაზლა-არმოზლას გაუმარჯოს, ღმერთი გვწყალობდეს.

ჰუმანისტი რესტორნის ეზოშივე გვემშვიდობება. მე და დოდიკა ქუჩას მივუყვებით.

ტელეფონი დილიდან რეკავს. ისე ტკბილად მეძინა, პასუხის გაცემა არც მიფიქრია. მაგრამ ახლა სადარბაზოს ზარიც აზმუვლდა. ეს... ეჰვები, სპორტულ პიჟამას ვიცვამ. „მოვდივარ!" გავძახი. ზღურბლთან რაულ დარსაძე დგას. რაულის დანახვა მახარებს — წელიწადი მაინც იქნება, არ მინახავს. არადა, რა ჰქონს მჭამელია ეგ „კომბინატორი"? თუმცა არც იმდენს შოულობს, მაგრამ ზოგ-ზოგებივით ბელმოჭერილი არ არის და მაგისი ბამბაც ხშირობს.

რაული ლოჯიაში ტახტზე წვება.

— „ბორჯომი" გექნება, — ხმაში დაძაბულობას ვამჩნევ.

მაცივარს ვაღებ. — შენ ასეთ დროს უსაქმოდ დედაქალაქში არ ჩამოხვიდოდი. ლაბადა გაიძრე, ბიჭო.

— ჰო, ჰო, ამ წუთში, — ლაბადას ტახტზე აგდებს. — გუშინ რესპუბლიკის „ობხსს"-დან მესტუმრნენ.

— მერე?

— „ცეხი" დამილუქეს.

— რა ნახეს ასეთი რომ?..

— ერთმა შემიკლა ხელში: ბლოკი უნდოდა. გული რაღაცას მიგრძნობდა. ერთი ათჯერ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისტუმრე უკარით. ვიცი, რა კაციცაა, გადაკიდებული ჭყავს მთელი სოფელი. გუშინ დილით დაკითა დავტოვე. მე საქმეზე წაველი. ჰოდა, არ ნიუცია. ჩამოცვლილი არ ჰქონდა. დაწვეს...

— ადგილზე ვერ მოაჩრჩე საქმე?

— მე რომ მივედი, უკვე ყველაფერი დალუქული იყო, ვეღარ მოვუსწარი.

— ვინ იყვნენ, გვარები მაინც იცი?

— როგორ არა, აქტს ყველა აწერს ხელს. აი, ნახე.

— ახლა რა ვქნათ?

— თუ იცნობ რომელიმეს, მიმყევი. ალიაბალია, ეგ საქმე თხუთმეტი ღირს, მივცემ და შემეშვან. ჩემი გაფუჭება რაში არგიათ?

ვფიქრობ, ვის მივმართო. კოკა მახსენდება. ასეთ საქმეებში უნიკუმი მაკლერია. ვრეკავ. ბედად ადგილზე მხვდება. თხუთმეტ წუთში უკვე მასთან ვართ. როგორც კი საქმის ვითარებას ვაცნობ, წამს ვიჭერ წუწკ გამოხედვას. არ მიყვარს კოკა — მუდამ ხარბი და წუწურაქი იყო. იმ ამბის გახსენებაზე ხომ მუდამ ვცოფდები.

ზაფხული იყო. ქუჩაში შემხვდა. ქალაქში ჰამაკი ვერ ვიშოვე და მის მანქანაში რომ დავინახე, ვიფიქრე, მეშველა-მეთქი. ნეტავ არ მეკითხა, სად იშოვა. პასუხმა შემძრა. დღეს ერთი ავიყვანეთ და იმის მანქანაში იდოო. დაზაფრულმა ვუთხარი, ღვთის შიში მაინც არა გაქვს, მაგ ჰამაკში, ხვრისი პაწიასთვის რომ იყო განკუთვნილი, შენი შვილი როგორ უნდა ჩააწვინო მეთქი. პასუხად გაიღრიჯა, ასეა ეს ცხოვრებაო, მომიგდო.

ახლა, ამ წუთში საკუთარი თავიც მეზიზღება, ხელს რომ ვართმევ, მაგრამ რაულს რა ვუყო. კოკა ახლა ამ საქმეს მანამ არ მოეშვება, ვიდრე წურბელასავით თავისას არ გამოსწოვს. უკვე საათნახევარია კაბინეტიდან კაბინეტში დარბის. ჩვენ გარეთ ველოდებით. მომბეზრდა ეს გაუთავებელი ჩალიჩი — წიგნის წაკითხვა მენატრება. გამოვთაყვანდი. არაფერი აღარ მაინტერესებს.

ა, მოდის. როგორც იქნა. მანქანაში გაბღენძილი ჯდება.

— რაო? — ამასთან ბევრი ლაილაი საჭირო არაა.

— ველაპარაკე. ვეხვეწე.

— მერე?

— რა ვქნა, ძმაო, თხუთმეტზე ნაკლებ არ შვრებიან, — მეღიმება. რა ზუსტად იანგარიშა რაულმა, — ხვალ თორმეტ საათზე რუსთავის გზაზე ორგანოს მუშაკთა აგარაკები ხომ იცი, იქვე, ტრიალ მინდორზე, წყალი ამოდის. ფულს იქ მოიტან.

რაული აშკარად კმაყოფილია. დილით შენთან ვიქნებიო, მიბარებს და მიდის.

დოდიკას ვაკითხავ. ბარემ მოსკოვის ბილეთები ავიღოთ.

დოდიკა და მამუკა მონიავა დომინოს უტყლაშუნებენ.

— მოსულს მეფური სალამი! — დოდიკა ახვლობს, ესე იგი, იგებს.

— საქმე არა გაქვთ, არა?

— შენ „მთავარი საბუთი" თქვი, თორემ იმისთანა საქმეს გავაჩენთ, მრავალჟამიერს გაძახებინებთ.

— ჩემი „მთავარ საბუთთა" რაოდენობა ას მანეთს უდრის. მოდი, მართლა მოვილხინოთ. — უცბად მოვდივარ ქეიფის ხასიათზე. — ჩიქობავას დავურეკოთ. მერე კარგი სამწვადე ვიყიდოთ და...

— იფ, იფ, იფ, — დოდიკამ ხელები მოიფშვნიტა და საანგარიშოზე ათით მეტ ქულას ჩავიდა. მამუკამ შენიშნა, თვალს მიკრავს. ეს პარტია თუ წააგო, ორმოცდაათს ჩამოვა და დაკადაკა მერე ნახე!

— „ბორჯომი" არ დაგვავიწყდეს, — მამუკა ისევ ქვებს ჩაშტერებია.

— თუ მივდივართ, წავედით, — დომინოს ვურევ. — ჩიქობავას დაურეკეთ. რა ქნა, გამოძვრა ვალებიდან?

— შე კაი კაცო, მაგას თუ ყველა ქალის ალერსი ოთხი ათასი მანეთი დაუჯდა, მალე მონათა ბაზარზე გაყიდიან.

მეცინება.

ამას წინათ ლევანს ერთმა ყოფილმა პაციენტმა პრეტენზია წაუყენა: ან ცოლად შემირთავ, ანდა ციხეში ამოგაყოფინებ თავსო. ბევრი ვაჭრობის შემდეგ მისი „პატიოსნება" ოთხი ათას მანეთად შეფასდა და ლევანსაც ეშველა.

— რას შვრები, მოსკოვში მოდიხარ?

— მაშ, მაშ, — დოდიკა ადგილზე ცქმუტავს, თვალს მიკრავს, — დღეს რაღა იქნება და ხვალ კი ავიღოთ ბილეთები.

უჰ, ხალდი ლოთია — ოღონდ დაალევინე, არაფერს დაგიდევს.

ლევან ჩიქობავა ოპერაციაზეა, ვუბარებ, ჩემთან ამოვიდეს.

— რა გიჭირს, ჩემო ძმაო, შენ უნდა თქვა, ვცხოვრობო, — მეძახის მამუკა გასასვლელიდან, — ცოლ-შვილი ცალკე აპარტამენტებში გყავს, თავად მეორეში გრიალებ.

— გშურს? ძალიან კარგი. წავედით.

— წავედით, წავედით.

თითქოს ოცი წლის წინანდელი სიხალისე გვიბრუნდება. ეტყობა, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა.

ახდილი ქა ვერ შევნიშნე — ბეწვზე გადავრჩით.

— არ ეშველა ამ გზას, — ვამბობ ბრაზმორეული. — არადა, დღე და ღამე ქალაქის კეთილმოწყობაზე ლაქლაქებენ. თურმე მადრიდში კონკურსი იმართება ვინ უკეთ მორთავს საკუთარ აივანს. აბა, ჩვენსას გახედე — საცვლების გამოფენა გეგონება. თუმცა ისინი დამპალი კაპიტალისტები არიან, ჩვენ — კომუნიზმის მშენებლები.

— მანამ მუნიციპალიტეტში, ჩვენში ქალაქის

ეროვნული

საბჭოს რომ ეძახიან, ნამდვილად ხალხის რჩეულნი არ იქნებიან. იმ ხალხის რჩეულებს კი არამოქალაქეობრივი საქციელისთვის რეალურად არ დაემუქრებათ ძალაუფლების დაკარგვის საშიშროება, არაფერი გვიშველის.

— სწორი ხარ, — ვეთანხმები. — ოღონდ ის ხალხის რჩეულები ეკონომიკურადაც უნდა უზრუნველვყოთ.

ბაზარი უცებ მოვილიეთ. ის იყო, სუფრას მოვუსხედით, ლევანიც გამოჩნდა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგია, ძმა რომ არ დაივიწყეთ, — ღვინოს ისხამს, გემოს უსინჯავს, — არა უშავს, კარგი ღვინოა.

ცხრა საათია. ვიშლებით. დოდიკა დივანზე გაშოტილა, მამუკა გიტარაზე ამღერებს. ქუჩაში ხეტიალის სურვილი მეძალება.

რა მალე იძინებს ქალაქი. ადრე ხომ ასე არ იყო.

მეტროს გამოსასვლელთან ნინოს ვამჩნევ. ვეძახი, ვატყობ, თუ არ უხარია, ყოველ შემთხვევაში, არცა წყინს ჩემი დანახვა.

— საით გაგიწევია? — ვეკითხები.

— სად წავალ, სახლში. — ნინოს ხმაში სევდა გამოსჭვივის.

— მოდი, ფეხით გავიაროთ.

— კი, ბატონო, — ხელკავს მდებს. — საით წავიდეთ?

— გაგაცილებ.

მივსეირნობთ? არა, მივაბიჯებთ. ორივეს რაღაც იდუმალი დარდი შემოგვწოლია და ეს უფრო გვაახლოებს. ამ ცივ, ზამთარმოტანებულ შემოდგომის საღამოს, ვიცი, თავს არ ვიტყუებ, ეს მხოლოდ ამ ერთი ღამის სინამდვილეა. მაგრამ განა ცოტაა? განა ხშირია ასეთი თბილი საღამოები?

— ამოდი, ყავაზე გიმკითხავებ. — მიღიმის ნინო.

— მერე უხერხული არ იქნება?

— ჩემს ასაკში?..

ქალის ხმა ამ საღამოს სითბოს ანელებს და დარდად მაქცევს.

ნინოს ოთახში პირველად შესულს ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს აქ ჰარმონიას დაუვანებია. მაგრამ საკმარისია კარგად ჩავუკვირდე, ვგრძნობ, მარტოობის უნუგეშო სიცივე მეფობს. ჯერ ხეირიანად არ შემოვსულვარ, უკვე გაქცევაზე მიპირავს თვალი. კონიაკი ცოტა მამშვიდებს, სირჩებს ვავსებ, ნინოს ვადღეგრძელებ. ყავაც მზადაა. ხვალ თუ ავდექი, ვაჟკაცი ვყოფილვარ! ეჰ, რაც არის, არის, ყავის ჭიქას ვაბრუნებ, ნინოს ნაღვლიან თვალებს შევცქერი და ვერ დამიჯერებია, რომ ეს ის ქალია, რომელსაც სამსახურში ყველა კაპასად და ანჩხლად თვლის. ეტყობა, ყველა ქალის კერიას მამაკაცის სუნთქვა უნდა ათბობდეს.

ლაპარაკით თითქმის არ ვლაპარაკობთ, ხშირად თვალსაც კი ვარიდებთ ერთმანეთს, თუმცა ჩატოშლაც უსიტყვოდაც გვესმის ერთმანეთის. ყავის ჭიქას იღებს, რაღაც ორთოლვაშემარცულიხმით იწყებს:

— დიდი შვიდიანი ამოგივიდა. სურვილის ასრულება გაქვს.

თავს ვუქნევ, ხელს მუხლებზე ვადებ. სახე სისხლის სქელი ლაქებით უპრელდება, გათანგული თვალებით მიყურებს. ვეფერები, მესმის, რა გამალებით სცემს ვნებით ატეხილი სისხლი, თავად კი გახევებულა და კრინტსაც ვერ ძრავს. სექსუალური ალტკინების დროს მოზღვავებული ენერგიის გამოყენება რომ შეიძლებოდეს, ალბათ, მსოფლიოს ელექტროსადგურები აღარ დასჭირდებოდა. სახეს, ტუჩებს ვუკოცნი, კალთაში თითქმის ძალად ვისვამ, საწოლამდე მანძილს თვალით ვზომავ.

კარაქივით გამღვალი, მომჩვარული ქალი ერთთავად კანკალებს. მკერდს ვუშიშვლებ, თეთრ, ხორკლიან ძუძუებს ვნებაშეყრილი ვაცხრები. ყრუდ ჩამესმის ნინოს მავედრებელი ხმა, მაგრამ ახლა ჩემში ხვადი ძალობს და ვერავითარი ჰუმანიზმის კანონი ვეღარ დამაოკებს.

საწოლზე ვაწვენ, ტანსაცმლისგან ნელ-ნელა ვძარცვავ. კიდევ ერთხელ, უმწეოდ ცდილობს თავის დახსნას, მაგრამ ეს უფრო ინსტინქტია, ვიდრე გააზრებული წინააღმდეგობა. სიმწრისგან რომ არ იყვიროს, ვენერას ბორცვს კბილებს აჭდობს და ამდენი ხნის ნალოლიავებ ქალწულობას ემშვიდობება...

თვალს ვახელ. სარკმელში ალიონი ლიცლიცებს. ნინო კედლისკენ პირშებრუნებული წევს ვიცი, ღვიძავს, მაგრამ გატრუნული ელოდება, რას ვეტყვი. მე სიჩუმე მირჩევნია.

უხმოდ ვიცვამ და ვემშვიდობები, შემოგივლი-მეთქი, ვუბარებ და დაუვარცხნელ-დაუბანავი გამოვდივარ.

კარს უხმაუროდ ვაღებ, მაგრამ დოდიკა მაინც იღვიძებს.

— სად ბრძანდებოდი?

— არაა მაგი შენი საქმე. ჩემს ქალბატონს ხომ არ დაურეკავს?

— არა მგონია.

— მაშინ იწექი, მე წყალს გადავივლებ.

— დასალევი დაგვრჩა რამე?

— მე მგონი, კი.

— დგება. ჩაის ჭიქას ნახევრამდე ავსებს არაყით, უცბად ყლურწავს, მერე მუცელზე ხელს ისვამს და ნეტარებით ამბობს:

— გამათბო.

აბაზანიდან ხმაური მესმის.

— ვინ არის? — დოდიკას თვალს ვუკრავ.

— ერთი მშვენიერი მოყმე, ნასაყვარლარის აგრესიის მსხვერპლი. სიმ-სიმ, გამოდი! — დოდიკას თვალებში ათასი ეშმაკი სახლობს.

ოთახში სახედაკაწრული მამუკა რომ შემოდის, გაოცებას ვერ ვფარავ.

— ვეფხვს გადაეყარე, ბიჭო? — ვეკითხები.

— მთავარია ბრძოლის შედეგი, — დოდიკა დახეულ პერანგს დროშასავით აფრიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პურანგიც ვეფხვებთან ბრძოლაში დაეცა? — მხარს ვუბამ დოდიკას.

— ჩამიგდეთ, არა, ხელში, ყვავებო? — მამუკა არაყს სვამს;

— აჰ, ბიძია, ხაზაზე და გამოსაფხიზლებელი კი არა მაქვს. ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, რაშია საქმე? — ეჰ, რა ფუნიკო მხაზიობი ვარ, გაბრაზებული კაცის თამაშიც არ შემიძლია.

— ზაალ, ძმაო, ერთგან უნდა გამოგვეყვე. მაგრამ წინასწარ იცოდე, საქმე, ალბათ, ხელჩართულ ბრძოლამდე მივა. შეიძლება, სისხლიც დაიღვაროს, — დოდიკა რისი დოდიკა იქნება, ასეთი მომენტი ხელიდან გაუშვას. — ამიტომ კარგად აწონ-დაწონე, სანამ საბედისწერო შერკინებაში მონაწილეობის მიღებაზე დაგვთანხმდები. გატყობ საბრძოლო განწყობას. მაშ, მომისმინე. ჩვენი ძმა აქედან რომ გაეხეტა და ქუჩაში ეულად დარჩა, მარტოობის გრძნობამ დარია ხელი. ერთხანს უაზროდ იარა. გონს რომ მოვიდა ყოფილი გულისვარდის სარკმელთან იდგა. ერთხანს ასფალტი ტკეპნა. ბოლოს მაინც გადაწყვიტა და დააკაკუნა. კარი ვინ გააღო, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ოღონდ ეს კია, სიყვარულის სონეტი ყოფილმა სასიმამრომ გიტარის (რომელიც თვითონვე დაუტოვა ამ ათიოდე წლის წინათ, ვითარცა რელიკვია მარადიული ხსოვნისათვის) თავში ჩარტყმით შეაწყვეტინა. ყოფილი სასიდედრო კი ჰალსტუხში წვდა. რითაც ჩვენი ძმის სიცოცხლეს ხელყოფდა. ეს მე დადასტურებულ ფაქტად მიმაჩნია. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, ირგვლივ დამხმარე არმიაც მანევრირებდა სატრფოს ღების სახით. ბოლოს სატრფომაც გამოიდო თავი და ერთგული პრეტორიანელივით გადაეფარა ჩვენს გმირს. ის რომ არა, შეიძლება ახლა... — თავი დახარა, — მაგრამ დიდი არს ღმერთი და ახლა, როცა შურისგების დილა გათენდა, ფიცით შეკრულნი უნდა მივუხტეთ ვერაგ მტერს. შენ, ჩემო ზაალ, ყოფილი სასიდედრო გევალება — კედელს უნდაააკრა, ვითარცა მწვალებელი. მე მამამისს ჩავუტარებ მახრჩობელა ილეთს, ჩვენი ლევანი კი ჩვენს შორის იმანევრირებს და სამაგიეროს მიუზღავს აგრესორებს.

ასეთია ეს გეგმა და წყალი არ გაუვა! აბა, რა ეგონათ, ვინ შეარჩენს შეყვარებული რაინდის შეურაცხყოფას?

— გარეკე, არა? — მამუკაც იღიმის.

— როგორ გეკადრება — ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო, ხომ გაგიგია.

— მტერი ჩავარდა თქვენს ყბაში, თქვენ ეს მითხარით, სახლში რა ვთქვა.

— სიმართლე უნდა თქვა. ეგ უფრო აგამაღლებს ცოლ-შვილის თვალში, — დოდიკა ზარხოშის განწყობაზეა;

— ნუ გაახურე ახლა, გაგვიმარჯოს, — დოდიკას უცინის მამუკა.

ზარის ხმაა, რაულ დარნაძის გამოჩენა საერთო ოცდაცრას ბალეებს, იცვამ, ქეიფი განადგურებული აქვთ. ახლა რომ ვუყურებ, ისევ ძველი განცდა მეუფლება. ასე მგონია, ისევ დაუდევარი ბიჭები ვართ და ამდენ წელს არ ჩაუვლია.

რაული შეკრულ ფუთას მაწვდის:

— ყველა საბუთი ადგილზეა? — საათს დავცქერი: ათის ნახევარია.

— ეჭვი გეპარება?

— მაშინ სადმე წავისაუზმოთ და მერე გავვარდები.

მინიშნებულ შადრევანს უცბად ვპოულობ. მაგრამ იქ არავინ ჩანს. მთელი ნახევარი საათი ველოდები. არ ვდელავ, ვიცი, სადღაც აქვე არიან და მითვალთვალებენ. კუდი ხომ არ მომყვა. აგერ, კოკას მანქანაც.

— გამარჯობა. რას მელოდინებ. მე რა, საქმე არა მაქვს? — ვსაყვედურობ.

— მთელი ღამის უძინარი ვარ და დილით ველარ ავწიე თავი.

— სად იყავით, ვინ გააბედნიერეთ?

— წამლების ბარიგა.

— ნარკომანებს ამარაგებდა?

— არა, სამკურნალო წამლებით ვაჭრობდა. წარმოგიდგენია, ინოზინის ერთი ამპულა — ასი მანეთი!

— აბა, თქვენი წყალობით, გამხდარა დღეიდან ორასი მანეთი.

— რატომ ორასი, ხომ გეუბნები, დავიჭირეთ-მეთქი.

— აბა, რა ქნას იმან, ვისაც კრემლის საავადმყოფოში ნაცნობი არა ჰყავს. ახლა ვაჭრებშიც პანიკაა — არავინ არავის ენდობა. ნდობა გაძვირდა! ავადმყოფის პატრონი კი იძულებული გახდება, დღეიდან ქამარი უფრო მაგრად შეიკრას, ასე რომ, არც ისე დიდი გმირობა ჩაგიდენია, როგორც იბრიქები, — საბარგულს ვხსნი, ფუთას ვიღებ, — აჰა, შენ მთავარი საბუთი.

კოკა ფუთას ათამაშებს.

— ვისაც ეს უყვარდეს, იმის დედა ვატირე.

— ამინ! — ვუდასტურებ და მანქანისკენ ნასროლ ფუთას თვალს ვაყოლებ: ისე მოვდივარ, არც ვემშვიდობები.

ბიჭები „ივერიასთან" მელოდებიან.

— რა ქენი? — მეკითხება რაული.

— პროცესი მოგებულია, დამშვიდდი.

რაული რესტორანში გვეპატიჟება. მანქანას დავტოვებ-მეთქი, ხელიდან ვუძვრები. ნუკი მენატრება.

სალომეს გაქვავებულ თვალებს თვალს ვარიდებ. მე ვლაქლაქებ, ის კი ხმას არა სცემს. ლამისაა, თმაში ვწვდე. მხოლოდ ნუკის დანახვა მამშვიდებს.

— სალომე, სალომე! — გავძახი სამზარეულოში გახსულს. — აბაზანა მომიმზადე, ცოტას დავისვენებ და ნუკის ბავშვთა გალერეაში წავიყვან.

კიდევ კარგი, არ იცის, მოსკოვში რომ მივდივარ, თორემ შემჭამდა. უკვე მერამდენედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვატყუებ: არა, მომავალ ზაფხულს აუცილებლად წავიყვან.

ოთახში ხალომე შემოდის.

— თუ არ გინდივართ, გვითხარი და გვეცოდინება, თუ გგონია, კალთებს დაგახევთ, ცდები.

— რა მოხდა, რა ბზიკმა გიკბინა?

— ორი დღეა, გეძებ. ხალხი მირეკავს, შენი ქმარი სად არისო, რა ვუთხრა, ქმარი არ არის, საყვარელია, ამიტომ არაფრად მაგდებს-მეთქი?

— აღარ იტყვი, ვინ შეგაწუხა?

— შენმა ძმამ დარეკა...

— ზაქრომ?

— ჰო, ზაქრომ, სხვაც გყავს? მამა ყოფილა შეუძლოდ.

— ესლა მაკლდა... ვიდრე ტანზე გადავივლებ, მოემზადე.

აქაფებულ აბაზანაში გარინდული ვწევარ. ახლა არაფერი აღარ მინდა, სრულიად არაფერი. ისე, კაცმა რომ თქვას, რამდენ ენერგიას ვხარჯავ სრულიად უბრალოდ?! რატომღაც ზვიად განდობილი მახსენდება, ფორიაქი მიპყრობს. ბელზებელოო!.. რა ვიცი... ისე დავიღალე, აღარაფერი მაღელვებს. ონკანს ვუშვებ, ქაფქაფა წყალი მთენთავს.

ცივა. გაბუტული ხალომე ხმას არ მცემს. მანქანას შუქნიშანთან ვამუხრუჭებ და ხალომეს ვუყურებ. ბოლო ხანებში ძალიან ჭირვეულობს. ნუთუ გემზე ამბორი მზადდება?!

დედა საყვედურით მავსებს. ზაქროს ვუყურებ, როგორღაც მოტეხილა, ორმოცდაათი წლის კაცს გავს.

— რა მოუვიდა? — ვკითხულობ.

— ცირას გოგო თხოვდება და...

— რას ამბობ! ვის მიჰყვება? ხომ არ გაიპარა?
— ვაყრი დაბნეული.

— არა, ამ დღეებში აქვთ ქორწილი, ალბათ, დაგპატიჟებენ. ცირამ საჩუქარი გაუგზავნა, თამრიკომ კი არ მიიღო, უკან დაუბრუნა.

— ვენაცვალე ქალობაში! — სიამაყე მეუფლება.

— ერთი ჭურისა ხართ, — ჩაერთო დედაჩემი. — ცირა კინაღამ გადაყვა მაგ ამბავს, მამაშენმა კი სახლიდან დაითხოვა. ასე როგორ გამსგავსა, ცივსისხლიანებო!

— დედა მართალს ამბობს. რაც უნდა იყოს, დაა ჩვენი, უნდა გავუგოთ.

— შენ რა მცხეთელი ჰუმანისტივით მელაპარაკები. ამას წინათ ერთ წუნკალზე მეუბნება, უვარგისია, მაგრამ ჩემია და მიყვარსო. არა, ძმაო, არა ხართ სწორი. ეს იგივეა, შენს ორგანიზმში ჩაბუდებული ავი სენი გიყვარდეს.

დემონსტრაციულად ვშორდები.

მამასთან შევდივარ. რა ცუდი ფერი ადევს!

— როგორ გიკითხოთ, ბატონო შოთა?

ვკოცნი. ვხედავ, თვალებში ნათელი ჩაუდგა. მიღიმის, მოტყდა, მაგრამ ძველებური თავმომწონეობა არ დაუკარგავს.

— პიჯო, შვილი და შვილიშვილი დასანახად უნდა მენატრებოდეს? ხალომე, შვილო, სად მიდიხარ? — მიუბრუნდა უკვე კართან მისულს. — მე შენთან დასამალი არაფერი მაქვს.

— გავალ, დედას სადილის მომზადებაში მივეხმარები. ზაალი ამ დღებში მოსკოვისკენ აპირებს და გაცილება ხომ უნდა მოვუწყოთ, — ნაკვთებს მკვლელი ირონია უფარავს.

პირკატა მეცა. საიდან გაიგო? არ ვინდა ახლა თავის დაძვრენა?

— ბაბუ, მოდი, ჩემთან ჩამოჯექი, — ნუკის საწოლის კიდეზე სვამს. — დიდი ხნით მიდიხარ, ზაალ?

— არა, საახალწლოდ ჩამოვალ.

თვალებით მზურღავს. ფიქრობს, მისაყვედურის თუ არა, ხალომე და ბავშვი რომ არ მიმყავს.

— მაგათ ზაფხულში მოვატარებ მოსკოვსა და ლენინგრადსაც — ვასწრებ; ვაგრძნობინებ, რომ დიპლომატის მისია აკისრია — მასზეა დამოკიდებული, ომი იქნება თუ მშვიდობა.

თვითმფრინავის გასვლამდე მთელი ექვსი საათი რჩებოდა, მაგრამ სახლში ვერ მოისვენა, პირჯვარი გადაიწერა, ხელჩანთა აიღო და დოდიკას მიადგა.

ლიზიკოს ნამტირალევ სახეს თვალი რომ შეავლო, მიხვდა, ცოლ-ქმარს კიდევ ეჩხუბათ.

„ესენი დაასამარებენ ერთმანეთს", გაიფიქრა და დოდიკასთან შევიდა.

სკამზე ფეხებშემოწყობილი დოდიკა ბოდმიანად ეწეოდა, ტელევიზორს უაზროდ მიშტერებოდა.

— მოგწონს? კარგი სიმღერაა, ემოციური, — გამოერკვა.

— რა ვიცი, მე კი მაღიზიანებს ეს გაუთავებელი მოთქმა სიყვარულზე. იცი, ხანდახან მგონია, არავის არავინ არ უყვარს — ჰკეყნად მხოლოდ სექსი და მშობლიური ინსტინქტი არსებობს.

ზაალმა დაგმანულ კარზე ანიშნა, რა მოხდაო.

— რა და კომპლექსიან ქალთან ერთ დღეს არ უნდა გაჩერდე. რაც ჩემი ცოლი გახდა, შემჭამა. სიცოცხლე მომაძულა, მალე ინფარქტი მომიღებს ბოლოს. ერთი მოიზარდოს ჯემალი და, თუ ცოცხალი ვიქენი, მე მაგასთან გამჩერებელი არა ვარ. რა უნდა, ვერ გავიგე. სულ ჯიბრში მიდგას. რამე მაინც ესმოდეს. დაიჯერებ, რასაც ვაკეთებ, ყველაფერში გაფაციცებით ნაკლს ეძებს.

— ნუ გარეკე. ხომ იცი, აჰარბებ. ლიზიკო მშვენიერი დიასახლისია. ახლა ანგელოზად რომ გამომეცხადე. მარტო შენი ლოთიფოთი ხასიათი გაიხსენე! მეტყვი ახლა, ეგეც მაგის ბრალია. აბა, მითხარი, ბოლო დროს რამე თუ გაგიკეთებია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამას, ისე, ვალის მოსახდელად მეკითხები?

— ა. დებილი არა ხარ?!

— რა გიკვირს, ეს ხომ ნორმაა: მოვიკითხავთ ერთმანეთს და გულში ვფიქრობთ, ნეტავ მოკლედ მიპასუხოს ყოველ შემთხვევაში, ორი წუთის შემდეგ პასუხი აღარც გვახსოვს. კარგი, ნუ იბუტები, შენზე არ ვამბობ. რაღაც დეპრესიასავით მემართება. ჯერ წელიც არ გასულა, რაც სანდრიკა აღარაა ჩვენს შორის — თაროზე შემოდებულ სანდრიკას სურათს ერთდროულად ახედეს — და ხანდახან მგონია, რომ არც არსებულა.

ზაალ მინდიაშვილმა მაგიდიდან სიგარეტის კოლოფი აიღო, ერთხანს ხელში შეაყოვნა, მერე ერთი ღერი ამოიღო, მოუკიდა.

— გულზე მომხვდა. მეც იგივე მემართება. მარტო ცხოვრების ბრალი არ მგონია ეს. გულციობამ ერთიანად დაგვრია ხელი. მართლაც და, იყო კაცი, მეგობარი, ძმადნაფიცი და მერე... თითქოს არც ყოფილა. უცბად ამოვშალეთ ჩვენი ცხოვრებიდან, ალბათ, მეხსიერებიდანაც. ამაზე მეტი გადაგვარება რა გინდა? გუშინ მანქანით მოვდივარ, „ობლებთან“ აღმოვჩნდი. გახსოვს, მთელი სტუდენტობა იქ გავატარეთ. მომენატრა, მომენატრა, სიგიჟემდე მომენატრა. მერე საშინელი ფაქტი გაშიშვლდა: ვირწმუნე, რომ ყველაფერი მორჩა. კინაღამ დამახრჩო ყელში გაჩხერილმა ცრემლმა.

დოდიკა ალექსიძე წამოდგა, მეგობარს ხელი მოხვია.

— წამოდი, ერთი რამე უნდა გაჩვენო.

სარდაფში, დოდიკას სახელოსნოდ რომ ჰქონდა გადაკეთებული, ხელოვანისთვის უჩვეულო წესრიგი სუფევდა. ზაალი ტილოს საქანელა-სავარძელში ჩაეშვა.

დოდიკამ სურათს საფარი შემოაცალა თუ არა, ზაალი გაშტერდა, სულში მოგონებები ჩაელვარნენ და ააფორიაქეს.

ტილოზე გამოსახულ ტრამვაის ონავარი ბიჭები დაჰკიდებოდნენ. ზოგი ახლა მისდევდა შესახტომად, ზოგიც უკვე გადმომხტარიყო და ინერციით მირბოდა, ერთს კი (ზაალს თვალები გაუფართოვდა) ფეხი მოსხლტომოდა, წამიც და გაქანებული ტრამვაი ზედ გადაუვლიდა. ზაალს გაახსენდა: ამას წინათ აღმაშენებელზე სიყმაწვილის დოსტს მოჰკრა თვალი, ყავარჯნით მოდიოდა. იმანაც ასე თამაშისას დაკარგა მარცხენა ფეხი, რა ამბავი იყო! მშობლები მთელი კვირა კუდში დასდევდნენ, ბიჭებიც მთელი თვე ლიანდაგს ახლო არ გაჰკარებიან, მერე კი... მერე ყველაფერი ისევ ძველ კალაპოტს დაუბრუნდა.

— რა დაარქვი? — ზაალი წამოდგა, ნახატს შორიდან დააკვირდა.

— „დარდად გამოყოლილი მოგონებები“.

— კარგად მოგირტყამს. გახსოვს, როგორ ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო გაბედულ ნახტომს გააკეთებდა.

— რამდენი შეეწირა?..

— ჰო, შეეწირნენ. — ზაალს სახეზე გულდაწყვეტა აღბეჭდვოდა. — ახლაც, ქუჩაში ჩვენი თაობის ყავარჯნებიან კაცს რომ მოვკრავ თვალს, გული მიკვდება და ჩვენი ორმოცდაათიანი წლების მიწურულის თავგზაარეული ბავშვობა მაგონდება.

— ეს რა არის? — კედელზე აყუდებულ ტილოზე მიუთითა.

დოდიკა აირია.

— არაფერი... ჯერ არ დამიმთავრებია, თანაც ჩვენს ახლანდელ განწყობას ნაღდად არ შეეფერება.

— მაჩვენე, თუ ძმა ხარ...

— არ გინდა, რა?

— გთხოვ, რა მოგივიდა, როდის იყო, რამეს მიმალავდი.

— რახან არ იშლი...

დოდიკამ ტილო შემოაბრუნა.

სურათი იმდენად მუქ ფერებში იყო შესრულებული, ზაალმა პირველად ვერც აღიქვა, რა იყო გამოსახული. თანდათან თეთრი როიალი გაარჩია, შუაგულ ოთახში კუბო რომ დაინახა და მის კიდეებთან ჩამომჯდარი ორი აჩრდილის დაჩმეხილი, ნატანჯი ფიგურაც გაარჩია, რომელთაც სისხლჩამდგარი თვალები გაფართოებოდათ, ხელის მტევნები კრუნჩხვაშეყრილივით დაჭგრეხოდათ და როიალის კლავიატურას გასაცოდავებულები შეჰყურებდნენ, გონება შავი ნისლით დაებინდა.

— ამით რისი თქმა გინდა? — ძლივს ამოღერღა.

— ჯერ წესიერად მეც არ ვიცი, როგორც კი ჩემს საკუთარ პერსონასაც მივუჩენ ადგილს, უკვე ზუსტად მეცოდინება ჩემი ადგილი ცხოვრებაში.

— დიდი საქმე გდებია წინ.

— ჰო, მოსკოვში უფრო მაგიტომ მოვდივარ, მინდა, ცოტა ხანს ყველაფერს გამოვეთიშო.

— შენი საქმეა, მაგრამ, იცი, არც ისე ცუდადაა ჩემი საქმე, როგორც გიფიქრია... წავედით, ვიგვიანებთ.

— მანქანას აეროპორტში ტოვებ?

— ჰო, ზევით ნუღარ ამომიყვან, დროზე გამოდი.

— ასე დაგაფრთხო ჩემმა დანაიდამ? ისე, ყველაფერს შენ გაბრალებს, შენ მინგრევ, მოიცა, როგორ ამბობს, ჰო, ზეწრის სიგრძე ენით ოჯახს.

— რას იზამ, მშურს შენი.

— გეხუმრე, მართალი არ გეგონოს. პირიქით, ჩვენი ბიჭებიდან შენ ყველაზე მეტად უყვარხარ.

მანქანაში რატომღაც ნინო გაახსენდა. „უნამუსო ვარ“, გაიფიქრა. „სად არის ამდენ ხანს?“ ჩაიბურტყუნა და დაასიგნალა. სიგარეტის კოლოფს დაწვდა. კვამლი წელანდელივით ხისლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააწვა. გულის ცემა აუჩქარდა. სიგარეტი მოისროლა.

როგორც იქნა, დოდიკა გამოჩნდა. ზევით აიხედა. აივანზე ლიზიკო გადმომდგარიყო და ქმარს ხელს უქნევდა. ზაალმა მანქანიდან თავი გადმოყო, ლიზიკოს დაემშვიდობა. კარგად იყავი, მალე ჩამოვალთ, არ ინერვიულოო. ჩამოვარდნილი სიჩუმე კარგა ხანს არ დაურღვევიათ. ზაალმა მანქანა ბაზართან შეაჩერა.

ბაზრიდან ვარდების თაიგულით რომ დაბრუნდა, დოდიკა აშკარად დაიბნა.

— გმადლობთ. რატომ წუხდებოდით. ვისთვის მიგაქვს? — ვარდები ჩამოართვა.

— არაა მაგი შენი საქმე.

ზაალმა საათს დახედა. „ნეტავი სახლშია?" გაიფიქრა.

ზარი მეორედ რომ დარეკა და კარს იქით ფეხის ხმა შემოესმა, ნერვიული თრთოლვა დაეუფლა.

ნინოს თვალები გაფართოებოდა, გაოგნებული შესცქეროდა მოულოდნელ სტუმარს. ზაალმა წელზე ხელი მოხვია, აკოცა.

— არ მელოდი, არა? ხომ არ მელოდი, — კიდევ აკოცა, ცრემლის მწარე გემო შეიგრძნო — რა გატირებს, შე სულელო, აბა, დაწყნარდი, შენი ჭავრი არ გამაყოლო.

— სად მიდიხარ? — ნინომ ცრემლი მოიწმინდა.

— მოსკოვში, მაგრამ მალე დავბრუნდები. საახალწლოდ აქა ვარ!

— ახალ წელს გამომივლი? — ქალი ვედრებად იქცა.

— აბა, რას ვიზამ, ოღონდ ცრემლი აღარ დამანახო, თორემ კარგად მიგტყეპავ.

— მართლა მოხვალ ახალ წელს? — კისერზე ჩამოეკიდა.

— გითხარი, არა? — ზაალმა ქალის ტუჩები მოძებნა. — გავიქეცი, თორემ თვითმფრინავი გამასწრებს.

კიბის ნახევარი სირბილით ჩაათავა, მერე ნაბიჯი ნელ-ნელა დაუმძიმდა. ამოიოხრა. „მაგ საცოდავის გაუბედურება მინდოდა კიდევ?" სადარბაზოსთან შედგა, სიგარეტი მოიძია.

— „რამეთუ არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა" — დოდიკამ გაუღიმა. — დაჯექი, წავედით, თორემ მართლა დავიგვიანებთ.

— წავედით, — მანქანაში ჩაჯდა, — მიიწურა ეს წელიც, — უადგილოდ დაიწყო, — ისე კი დიდი თარსი წელი იყო.

— ჰო, ყველა მაგსა ამბობს. ახლა მე სხვა რამ მაწუხებს, დამიჯერებ, ბოლო ხანებში ახალი წლის მოსვლა აღარც მახარებს. ჩემი ცხოვრების უმეტესი წლები მწარე კიტრივით ხომ ერთმანეთის ალიანჩალიანია, თავისი გატყლარჭული, უაზრო დღებით, მაგრამ ახალი წლის მოსვლა მაინც მახარებდა. ნაძვის ხის ჯადოქრობისმა ყოველთვის იმედით მავსებდა. მჯეროდა, ახალი წლიდან ყველაფერი შეიცვლებოდა. ახლა... ეტყობა, ყველაფერი ასე უნდა დამთავრდეს. რომ დავბრუნდები, მხოლოდ საქმე! გარეთ ცხვირის გამომყოფი არა ვარ.

— იქნებ შენც განდობილივით მთელი წლით ჩაიკეტო?

— თუ თავს ვძლიე, ასეც მოვიქცევი. ყველაფერი მომბეზრდა და, რაც მთავარია, ოცნების უნარი დავკარგე. იქნებ დავბერე, მაგრამ როდის? სად? რატომ?

— ყველაფერს აზვიადებ და იმიტომ. შენისთანა ყურადღებიანი კაცი ბევრი არ მინახავს. მაგისთვის არ შეგარქვით „ნოლ სამი?" მართლა სასწრაფო დახმარებასავით ხარ. მესმის, ბევრი რამ ისე ვერ აეწყო, როგორც გინდოდა, მაგრამ, ერთი მითხარი, სხვას ვის გაუგორდა დუშაში? განა ამიტომ ცხოვრებაზე ხელი უნდა ავიღოთ და მომავალზე აღარ ვიზრუნოთ?

— დავიღალე, გესმის, დავიღალე. იქნებ მართლაც ვაზვიადებ, მაგრამ განა შეიძლება კაცს სულ თან სდევდეს დაუკმაყოფილებლობის, უკმარისობის გრძნობა? ხანდახან ვფიქრობ, რომ ხეირიანად არც ვიცი, რა მინდა. მეც ჩემი გმირებივით ვილევი, ვიდაგები, მაგრამ გამოსავალი ვერ მიპოვია. უმეტესობა ისე შემომეცალა ხელიდან, ვერც შევნიშნე. რომანზე ვმუშაობ. სულ იმის შიში ვარ, დავით ნატროშვილიც — ახალი გმირია — უცბად არ გამომეცალოს ხელიდან, დამიჯერეთ? მუშაობის დაწყების წინ ღმერთს ვევედრები, გადამარჩინე-მეთქი. ბატონი დავითი... იმანაც რომ ვერ იპოვოს გამოსავალი, წასულია ჩემი საქმე.

— მაშ, დღეს რესტორან „ბერლინში" ბატონ დავით ნატროშვილის სადღეგრძელოს ალევლენთ.

დოდიკას გაეღიმა.

— მოდის.

## ზაალ მინდიაშვილის დღიურიდან

26 დეკემბერი.

თბილისელი კაცისთვის მოსკოვის რიტმის შეჩვევა არც ისე ადვილია. აბაზანიდან გამოსვლას ვერ ვასწრებდით, დაქანცულებს უკვე გვეძინა. კვირის ბოლოს ცოტა გონს მოვეგეთ, მაგრამ ამ დროისთვის ჩვენი ბიუჯეტის ნახევარს უკვე ტაქსებმა მოუღეს ბოლო. დოდიკას საწყალი მაგიდის შოვნასაც არ დაადგა საშველი. აქაური „მოლვაწე" ქართველები კი გვპირდებიან „დასტავკით" გამოგზავნას, მაგრამ როგორ გინდა, ენდო.

ჰო, თანამემამულეზე გამახსენდა. იმ დღეს რესტორნის შესასვლელში ნაცნობი სახე შევნიშნე. „ლეო ონიანი!" — გამიელვა.

„და ისარგებლე მომენტით, „გულთბილად" ჩამოართვი ხელი".

მაგაშიც მამტყუნებ?!

უკვე დარბაზში ვაპირებდით შესვლას. ლეომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შეგვნიშნა, ადგილს მიეყინა. აშკარა იყო, მოსვლა უნდოდა და ვერ გაებედა. მერე მძიმე ნაბიჯით მოგვიახლოვდა. დოდიკა გადაკოცნა. ერთხანს მიჰყურა, მერე ხელი გამომიწოდა.

— გამარჯობა, ზაალ.

ვერ დავიმალავ: რაღაცნაირად კიდეც გამეხარდა მისი ნახვა. ამიტომაც ხელი მექანიკურად არ გამიწვდია.

— არ შევრიგდეთ? — შემომავედრა სიტყვა.

— რაღა აზრი აქვს, — ჩემმა პასუხმა მევე მატკინა გული.

— იქნებ აღარც შევხვდეთ, არ მინდა, დამდურებულებმა დავტოვოთ წუთისოფელი.

— რა აზრი აქვს, — გავიმეორე, — მე ნაღდად არ შემიძლია იმ ამბის დავიწყება, თუმცა დამიჯერე, გულითა მსურს, წარსულის თბილ მოგონებებს კი მოვუფრთხილდეთ. აბა, კარგად იყავი. — რაც შემეძლო, თბილად გავუღიმე, — დოდო, — მივუბრუნდი დოდიკას, — მე წავალ. რაღაც შეუძლოდ შევიქენი, უნდა დაგტოვოთ.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ნაღველმა შემაჩერა. უკან მივიხედე. ლეო ონიანი ურნასთან იდგა, სიგარეტს ექაჩებოდა და, რატომღაც მომეჩვენა თუ დავინახე კიდეც, თვალებში ცრემლი უელავდა. ჩემდა უნებურად ძლიერი სურვილი დამებადა, დამეძახა, გულში ჩამეკრა, მაგრამ მივხვდი, ვერ შევძლებდი, უაზრობა იყო, იქაურობას სწრაფად გავეცალე.

„სწორად მოიქეცი".

მაინც გული მწყდება. ის ხელის ჩამორთმევაც, ეტყობა, სამუდამო გამომშვიდობების ერთგვარი რიტუალი იყო.

„გულის ჩაწყვეტა მერე გენახა, ერთ მშვენიერ დილას რაღაც უმნიშვნელო საბაბის გამო რომ გაიღვიძებდა მთვლემარე სიძულვილი. მაშინ უკვე აღარც შენ დაინდობდი. ახლა კი სევდანარევი პატარა სიყვარულის ილუზია მაინც დაგყვება და თბილად იხსენებ. თუ დამიჯერებ, ასე ჯობია".

ალბათ...

სასტუმროში მტკიცე გადაწყვეტილებით მივედი — უნდა გავცლოდი იქაურობას. უგზოუკვლოდ გაუჩინარების სურვილმა შემიპყრო. ბარგი ჩავალაგე და ვნუკოვოსკენ გავეშურე. საით ვაპირებდი წასვლას? ყველგან, თბილისის გარდა, საითაც თვითმფრინავის ბილეთს ვიშოვიდი. თუნდაც სადმე ზღვისპირა ქალაქში. წარმოსახვით უკვე ვხედავდი უკაცრიელ ბულვარს, აი, მარტო ვსეირნობ, სასტუმროში ადგილობრივი ბიბლიოთეკიდან გამოტანილ კონკისტადორთა თავგადასავალი მელოდება; საღამო ხანს აივანზე ვდგავარ, პალმებს, მაგნოლიებს გადავყურებ, ამაზე მგონი მთელი სიჭაბუკე ვოცნებობდი. და ახლა, როცა ოცნების მინორული ხიბლი შესაძლებელი ხდებოდა, რეალური გამეხადა, უჩვეულო გრძნობამ შემიპყრო. ერთი სული მქონდა, აეროპორტში როდის მივიდოდი.

აქ კი ყოველივემ თავისი პროზაული ელფერი დაიბრუნა. ფრენა არ იყო. რა მექნა, აღარ ვიცოდი. მოსაცდელს ერთი-ორჯერ „საპატიო" წრე დავარტყი, ნელ-ნელა ძალობდა სასტუმროში დაბრუნების შეგნება. კიოსკში გაზეთები ვიყიდე. უცბად ჩემი ყურადღება წინ მიმავალმა ქალმა მიიპყრო. აშკარად მეცნო, მაგრამ ვერაფრით ვიაზრე საიდან. გადავუსწარი. სახეზე შევხედე. ჩავფლავდი. სახეს პირბადე უფარავდა. ქალმა თავისუფალი ადგილი შენიშნა, ჩანთა წინ დაიდო და დაჯდა. „სულიკოს" ღიღინით ჩავუარე, მის პირდაპირ სკამის კიდეზე ჩამოვჯექი. ჟურნალი გადავშალე. ცალი თვალი ქალისკენ გავაპარე, მიტყუპულ სწორ ფეხებს თვალი შევავლე და ისევ ავწრიალდი. ღმერთი-რჯული, ადრეც მენახა. ამ დროს ქალის ქართული მომესმა:

— თუ იცით, ტაქსოფონი მუშაობს?

— სახე გამოაჩინა თუ არა, ელდა მეცა. სატანა! არა, არ ვცდებოდი. თბილისში დედა-ცისხესთან გამოცხადებული სატანა მიყურებდა და პასუხს ელოდა. არ ვიცი-მეთქი, ჩავიბურდღუნე. ზურმუხტის თვალების ელვარებამ დამაბრმავა.

— თქვენ ევა გქვიათ? — პასუხის მოლოდინში გული კინაღამ ამომივარდა.

— დიახ, მაგრამ თქვენ რა იცით?! — ზურმუხტები ანათებდნენ და მატყვევებდნენ, — თითქოს მეც სადღაც მინახიხართ, მაგრამ ვერ გიხსენებთ.

დავმუნჯდი? დიდხანს ვუყურებდი. გაშეშებულს ხმა ვერ ამომეღო. ქალიც გაოცებული შემომყურებდა და ხმას ველარ მცემდა.

— ამ ოთხი თვის წინ დაქვრივდით?

კითხვამ უცბად აპოვნინა გამოსავალი.

— აა, ალბათ, ჩემს მეუღლეს იცნობდით, მეც მასთან გნახავდით. ძნელი ყოფილა ქვრივის ბედი, — ამოიოხრა, — ახლა ფოთში მივდივარ, ბინაც უკვე გადავცვალე. ქმრის ახლობლებმა გეშზე მომაწყვეს ექიმად, ივლი, ქვეყანას ნახავ, გულს გადააყოლებო.

— ფოთში რა ადგილზე იცხოვრებთ?

— მალაზია „ოკეანე" თუ იცით, — თავი დავუქნიე, — იმის პირდაპირ ოთხსართულიან სახლში გადავცვალე ბინა. თქვენ მოსკოვში ცხოვრობთ?

თავი გავიქნიე.

— არა, თბილისელი ვარ.

— მე მოსკოვში დავიბადე. დედა ფოთელი იყო, მამა აქაა გაზრდილი. ვიდრე ბებია ცოცხალი იყო, ხშირად ჩავდიოდით ფოთში, თბილისში კი სულ ორჯერ ვარ ნამყოფი. ახლა შინ ბრუნდებით?

მხრები ავიჩეჩე.

აქეთ რომ მოვდიოდი, დაახლოებით კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცოდი, მაგრამ ახლა დავიბენი, თქვენ დამაბნიეთ, — შევბედე, — სად წავიდე, აღარ ვიცი.

— აი, ტარიელმა კი იცოდა, — ევა ხუმრობის ხასიათზე დამდგარიყო

თვალი გავუსწორე. ქალის სახე ნელ-ნელა აირია, შეშფოთდა...

— არა, ეს შეუძლებელია... — ჩაიჩურჩულა.

— რაა შეუძლებელი? — გულისფანცქალით ჩავეკითხე.

ერთხანს გაოგნებული მიყურებდა.

— არა, ნამდვილად არ შევშლილვარ, თქვენ... თქვენ მე ოთხი თვის წინ მესიზმრეთ, სწორედ იმ ღამეს, ალექსი რომ დავკრძალეთ. იქნებ მომეჩვენეთ, ეგ არ ვიცი, მაგრამ ჩემთან რომ იყავით, ეს ნამდვილად ვიცი. რა დამავიწყებს იმ კოშმარად ქცეულ ღამეს. მოიცა, რას გეძახდით?

— ზაალი მქვია, — შევაშველე.

— არა, არა, — ევას ფერი ეცვალა, — გამახსენდა. თქვენ ბელზებელის იერით გამომეცხადეთ. დიახ, დიახ, ბელზებელი, ბელზებელი... მაგრამ ეს იმ ღამეს იყო, თორემ მე უფრო ადრე გიცნობდით. ოხ, ღმერთო ჩემო, — სახეზე ხელი აიფარა.

გვერდით მივუჯექი, — მომიყევი.

ბაგები დაუპატარავდა, თვალები დამფრთხალი ლიფსიტებივით აქეთ-იქით აწყდებოდნენ.

— არა, გთხოვთ, დამტოვოთ, არა!

ჩანთას ხელი დაავლო, გამშორდა, წამოვეწიე, ხელკავი გამოვდე.

გარეთ გამოვედით. ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა, მაგრამ ამას მაშინ ვინ დაგიდევდა!

— გევედრები, გევედრები, მომიყევი.

— რა გითხრა, სულ მთლად შიშველი გამომეცხადე, შეშინებული, კედელს ავეკარი. შენ ერთი გადაიხარხარე, ვერ მიცანი ბელზებელიო და დამეუფლე. ეს იმ ღამეს იყო, თორემ მანამდეც მე უფრო ერთგული მეგობარი არ მყოლია.

ქალი კანკალებდა.

თავი გადავუწიე, კისერში ვაკოცე. მისი ხხეულის სიმხურვალემ სუნთქვა შემიკრა. ასე ჩახუტებულები ვიდექით. სახეზე სისველე რომ ვიგრძენი, თავი ავწიე. ევა ტიროდა, გათოშილი მეკვროდა და ტიროდა.

როგორც კი თავისუფლება იგრძნო, დამფრთხალმა გაუბედავად უკან დაიხია, მერე შებრუნდა და გაიქცა.

სასტუმროში დოდიკას ერთი ფეხით მივასწარი. მთელი გზა ხალვადორ დალის ფრაზას ვბუტბუტებდი: „მე ვარ შეშლილი, გარდა ერთი პუნქტისა, სადაც მე არ ვარ გიჟი".

„ზღურბლთან იდექი, შეუცნობელ ზღურბლთან".

ნუთუ ვერ გადავაბიჯებ? იქნებ ისიც მომეჩვენა? რატომ მცრის იმის გაფიქრებაზე, რომ ფოთი თბილისთან სულ ახლოსაა? ანდა რას ნიშნავდა, რომ მითხრა, შენისთანა მეგობარი არ მყოლიაო? კითხვები, კითხვები... ხომ ვიცი, მათ ვერსად გავექცევი და ოდესმე უნდა ვუპასუხო.

დასასრული იქნება

ცნობილ ქართველ მწერალს **დავით კვიცარიძეს** დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. „ცისკრის" რედაქცია ულოცავს საიუბილეო თარიღს და უსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.

# დავით კვიცარიძე

## სიტყვა ქუთაისს

სიზმრით, ცხადით, სულით, ხორცით,
შენი ვარ და შენთანა ვარ მარად.
დარდით ნაღდით, ნაღვლით,
ლოცვით,
ფეხუცვლელად ვდგავარ მე შენს
ფარად.
გულით მთელით, სისხლით ცხელით,
შენი ძელქვის შტოცა ვარ და
ფესვიც.
მე ვარ მწუხრი,
მე ვარ ცრემლი —
დედის საფლავს მიწერილი ლექსის.
მნამდა ლხინის, ჭირის სუფრა,
სუფრის თავში მე თამადა —
ღმერთი.
შენი ჭირის ჭირისუფალს,
სადღეგრძელო მომენატრა ერთი.
ველარ მოვისტუმრე ვალი,
შემოდგომის ამდენ ღვთიურ ფერთა,
ავი კაცის ზნე და თვალი,
ავი ხელი აგაშოროს ღმერთმა.
ერთგული და ერთგულება,
ერთ კოცონზე ლუზლუზებს და
ინვის.
მსაჯული არ მეგულვება,
რომ გატეხვა არ შეეძლოს ფიცია.
სიმართლის ჯოხს გადახრიან,
(უკვე ვფიქრობ ჩემს სათუო ბედზე.)
და ცხელ ტყვიას დაგახლიან,
ლექსის მერცხლად ამოსაფრენ
მკერდზე.
წყალნი ვლიან,
ქარნი ქრიან,
ფიქრის ლოდი მანამ უნდა ზიდო,
სანამ მიწას დაგაყრიან,
შენი მონურ ერთგულების ჯილდოდ.
მორჩა წყენა-გულდათუთქვა,
ჰა, მოვიდა, მოეხეტა დაღლა.
ჩემს საფლავზე ქუთათურთა,
დაე, აჩნდეს ნაბიჯები დამლად.
ჩემა საფლავთან ქუთათურთა,
სიტყვანი და სიმღერანი მესმას.
სხვა რა მსურდა.
სხვა რა მწადდა...
საფლავიდან ამოვფრინდე ლექსად.

## ტაძარი

მიწა გვარჩენს და გვპატრონობს, —
მიწამ გვშობა და გაგვზარდა.
მას ვეკითხები; — ბატონო,
— ეს გზა მიგვიყვანს ტაძართან?

— არაო, — დამცა თავზარი,
— იქ მისვლა ძალზე ძნელია, —
საძებნელია ტაძარი
და ის გზაც საძებნელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სათაფლიაზე

სათაფლიაზე ლიკლიკა წყარო,
ბუტბუტებს ჩემს ფიქრს, —
ჩემს უთქმელ ლექსებს,
სათაფლიაზე ჩემი ხე ხარობს,
აქ ჩემი სული სიმშვიდეს ეძებს.

ტყე, ქარშოშინი, ზეცა კრიალა,
სად ვესახლები და ვეფუძნები.
ამიერიდან აქ იშრიალებს, —
ჩემი სიცოცხლის ბოლო ფურცლები.

●

სულ ნაბიჯ-ნაბიჯ,
სულ ბილიკ-ბილიკ,
მიჭირდა ასვლა დაღლილს კიბეზე.
რა ეშველება ჩემს ძველ სიყვარულს,
ობლად რომ მრჩება ბალის კიდეზე.
კვლავ ნაბიჯ-ნაბიჯ,
კვლავ ბილიკ-ბილიკ,
ახლა მშვიდობით დაშვებას ვნატრობ,
და მეკითხება ვიღაც ქილიკით;
ჩურჩულებს, მე კი მგონია ყვირის,
ჰეი, ბერიკაცო, იცინი? რატომ?
ვიცინი იმად, რომ არა ვტირი.

ცნობილ ქართველ პოეტს **გრიგოლ ჯულუხიძეს** დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა. „ცისკრის" რედაქცია ულოცავს პოეტს საიუბილეო თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.

# გრიგოლ ჯულუხიძე

## დამარცხებული საქართველო არავინ იცის!

ვინ იყავ დღემდე, ან რა ჰქვია შენს ფირუზ ტატნობს
სისხლი თუ ცრემლი,
თუ უთქმელი ოცნების დვრიტა?
მე ვარ დაღლილი,
გაჩენიდან ვოცნებობ, ვნატრობ...
და ოცნებისთვის,
ოცნებისთვის ყველაფერს ვიტან.

შეხსენით კარი ყველა მხრიდან გატეხილ ციხეს
გიზგიზებს ცეცხლი სიმართლის და უკვდავსანთები...
ქართვლის წყევლისგან საქართველოვ, ქართველი იხსენ,
აკურთხე იგი თავის ცოდვით,
ამ მზით,
ამ მთებით.

სულ ცოტა დავრჩით ქართველობა, სულ ცოტა დავრჩით,
შევუნდოთ მოძმეს ყველაფერი ღალატის გარდა...
ოთხივე მხრიდან ვიგინდარა მომდგარა ხანჯლით, —
ქართველი უნდა ქართველობდეს ოთხივე კართან!

მე ჩემი ჯიშის სისხლის წვეთებს გიხმობთ და გეძებთ,
ისმინოთ უნდა დედის ხმა და
ყივილი მიწის...
გამარჯვებული არ არსებობს ქართველი დღემდე,
დამარცხებული საქართველოც არავინ იცის!

## საუბარი შვილთან

შემოგიტყუე ლურჯ იებით, წითელ ძახველით...
მე კი დამერქვა მატყუარა მამის სახელი.
შენს წინ გრძნეულმა საიდუმლო გახსნა კედელი —
თვალები სულ სხვა სინამდვილეს გადაეყარა:
ჩაყვითლებულა შემოდგომის ფერით ედემი,
მკვდარი ჩიტები ფოთლებივით ათოვს ქვეყანას.

შემოგიტყუე პეპლის ფრთებით, ნუშის ყვავილით...
დღეიდან უკვე ბედნიერი შენ არ გაივლი.
ღრუბლის ცრემლებით იწრიტება გზებზე სინათლე, —
ნაღველით გავსებ, საოცნებოც მოგეც მცირედი...
და მაინც შენს ბედს მამაშენი ბევრჯერ ინატრებს,
სანამდე, შვილო, მოლოდინის არის იმედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისევ

მწვანე რომ იფეთქებს მარტში,
აპრილს, რომ იმღერებს გედი,
შავად შემოსილი ფარჩით
მტკივა საქართველოს ბედი.

ვაი, დაკარგულო მადლო,
ვაი, ჩაუმცხრალო სევდავ...
მე რომ ცხრა აპრილი მახსოვს, —
არ გაგვთენებოდა ნეტამც.

ისევ გზა-ბილიკი ბენვის,
ისევ სამზეოზე ნისლი...
ენვის საქართველოს, ენვის
აპრილს დადენილი სისხლი.

## მე და შენ

სანამ მოხვალ და გიხილავ
მე შენ — პატრონს ამ მთათა,
ჩუმად უნდა შეგაგუო
ნუთისოფლის ავდართან!

მაგ შენს სუნთქვას ღმერთო, მადლი,
მადლი ღმერთო, შენს მოსვლას,
მე თუ არა, შენ გეხილოს
ქართვლში ცისკრის შემოსვლა!

უნდა ვუხმო შენს ოფოფებს,
შევუძახო შენს ჭინკებს,
ვეფხის გული რომ გამოგყვეს,
ლომებს რომ დაეჭიდო!

ბრძოლით გამოგვინათდება,
მარტო თვლემა დაგვნისლავს,
სისხლით სისხლის გადარჩენა
ღმერთთან ღალატს არ ნიშნავს!

ჭრელი არის ეს სანუთრო,
ქვეყნის ხიფათს რა დალევს...
გავიხდი და შენ ჩაგაცმევ
აბჯარს ცეცხლში ნატარებს!

ასე, ჩემო მეციხოვნევ,
ასე, ჩემო ერთა მზევ,
ერთ ქვისაგან ნათალნი ვართ
და ერთნი ვართ მე და შენ!

მე რომ მიწად გადვიქცევი
შენ მის მცველად დაგტოვებ,
საქართველოს მერე პაპად
იგრძნობ და უპატრონებ!

## ვაი, რომ...

ვაი, რომ ბოროტს კეთილვქმენ,
ძმას ძმისთვის ეძმო ოლონდაც...
ჯვარს გავეკარი მე თვითვე,
გზას შემაყენეს გოლგოთას.

სხვას ვგუნდრუკობდი რაც უფრო,
ციურს ვკარგავდი ყოველ დღე...
გამინაწყენდა სანუთრო, —
გულისთქმას რისთვის მივენდე.

მე ჩემს სიბრმავეს არ ვტირი
და თუ საყვედურს მეტყვიან,
სიკეთისათვის სიკვდილი
ამ სიცოცხლეზე მეტია.

სულ მთლად რომ აღარ დაღამდეს,
მზეს ვუხატ არემარესა,
მე თავი აღარ მადარდებს
მშვიდობა ამა მხარესა!

ნახატ მზითა და ვარსკვლავთა
ხატვით ბიბინა მინდორთა,
სხვა არაფერი არ მწამდა,
მე გახსენება მინდოდა.

ვაი, რა ეკლის გზა ვნახე,
მეცხრე ზეციდან ჩემამდე...
ღმერთო, აზრ გამიბალახე
და გამძლეობა შემმატე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილი გროსმანი

# „ყველაფერი იცვლება...“

I

ხაბაროვსკის მატარებელი მოსკოვში დილის ათი საათისთვის ჩამოდიოდა. პიჟამიანმა ახალგაზრდამ აქოჩრილი თავი მოიფხანა და შემოდგომის ბინდიან რიჟრაჟს გახედა ფანჯარაში. მერე მთქნარება-მთქნარებით, გასასვლელში მდგომ სასაპნე და პირსახოცმომარჯვებულ ხალხს მიუბრუნდა:

— მოქალაქენო. ვინაა აქ ბოლო?

მას აუხსნეს, რომ იმ ძიას შემდეგ, რომელსაც ხელთ კბილის პასტისგაჭეჭყილი ტუბი და გაზეთის ნახევებმიწებებული საპნის ნაჭერი ეჭირა. კიდევ ერთ მოქალაქეს, მსუქან ქალს დაეკავებინა რიგი:

— კი მაგრამ, მარტო ერთი საპირფარეშოა გახსნილი? — ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ. — აკი ბოლო პუნქტს ვუახლოვდებით.. დედაქალაქს, გამცილებლები კი ისე არიან გართულნი ალებ-მიცემობით, რომ მგზავრების კულტურულად მომსახურებისათვის დრო აღარც რჩებათ.

რამდენიმე წუთში ხალათიანი მსუქანი ქალიც გამოჩნდა და ახალგაზრდა ახლა მას მიუბრუნდა:

— მოქალაქე, მე თქვენს მერე ვიქნები, მანამდე კი კუპეში შევალ, რომ გასასვლელში ტყუილად არ ვიბოდიალო.

კუპეში ახალგაზრდამ ნარინჯისფერი ჩემოდანი გახსნა და ჩალაგებულ ნივთებს თვალი ვეღარ მოსწყვიტა.

ერთ-ერთი მგზავრი ხვრინავდა, მელოტი და სახეგალაქლაქებული, პორტფელში ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა, მესამეს კი, გამხდარ მოხუცს, მუშტზე თავი დაებჯინა და ფანჯარას გასცქეროდა.

ახალგაზრდამ სახეგალაქლაქებულ თანამგზავრს ჰკითხა:

— მეტს აღარ წაიკითხავთ? წიგნი ჩემოდანში უნდა ჩავდო.

ახალგაზრდას ძალიან უნდოდა, რომ მეზობელსაც დაეხედა მისი ჩემოდნისათვის. აქ ეწყო ვისკოზის ხალათები. „მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონიც“, საბანაო ტრუსები და თეთრჩარჩოიანი მზის სათვალე. კუთხეში კი მცირეფორმატიანი რაიონული გაზეთით დაფარული გამომცხვარი სოფლური კვერები ეწყო.

მეზობელმა შენიშნა:

— ინებეთ! მე, ეს წიგნი „ევგენია გრანდე“. შარშან სანატორიუმში წავიკითხე.

— მაგარი რამეა, ვერაფერს იტყვი, — ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ და წიგნი ჩემოდანში ჩადო.

ზოგჯერ კუპეში ისინი პრეფერანსს თამაშობდნენ, ხოლო როცა სვამდნენ, მაშინ მხოლოდ კინოფილმებზე, ფირფიტებზე, ავეჯის გარნიტურებსა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე ლაპარაკობდნენ; გაუთავებლად კამათობდნენ იმაზე „სპარტაკის“ თავდასხმა სჯობდა თუ „დინამოსი“... სახელაქლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კა და მელოტი ერთ-ერთ საოლქო ქალაქში საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქტორი იყო. ქოჩორა ახალგაზრდა კი. შვებულება სოფელში რომ გაეტარებინა, მოსკოვში ბრუნდებოდა. სადაც რსფსრ-ს სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტში ეკონომისტად მუშაობდა.

მესამე მგზავრი, ციმბირელი სამუშაოთა მწარმოებელი, ახლა, ქვედა თაროზე რომ ხვრინავდა, დანარჩენებს არ მოსწონდათ უკულტურობის გამო. იგი იგინებოდა. ჭამის შემდეგ ერთთავად აბოყინებდა და რომ გაიგო, ქოჩორა ახალგაზრდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ეკონომიურ მეცნიერებათა განხრით მუშაობსო, ჰკითხა:

— პოლიტიკური ეკონომია ეს იმაზეა, როგორ მიდიან კოლმეურნეები სოფლიდან ქალაქში მუშებთან პურის საყიდლად, ხომ?

იგი ერთ-ერთ საკვანძო სადგურის ბუფეტში გვარიანად გამომთვრალიყო, იქ მისი თქმით, „ნაბახუსევზე" შეერბინა და დიდხანს თვალი არ მოახუჭინა მეზობლებს, ერთთავად ბუხუნებდა:

— ჩვენს საქმეში კანონით კაცი ვერაფერს მიაღწევს. გეგმის შესრულება თუ გინდა, ისე უნდა იმუშაო, როგორც ცხოვრება მოითხოვს. „შენ მე მომეცი, მე კი შენ მოგცემ". მეფის დროს ამას კერძო ინიციატივა ერქვა, ახლა კი ჩვენებურად ასე ამბობენ: მიეცი კაცს საშუალება, მას კარგად ცხოვრება უნდა. აი, ესაა ეკონომიკა! მეარმატურეების მთელი არმია მყავს. სანამ ახალი კრედიტი დაგვაჭერდა, ბავშვთა ბაგებში ძიძების მაგივრად აწერდნენ ხელს. კანონი ცხოვრების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, ცხოვრება კი თავისას მოითხოვს! თუ გეგმა შეასრულე, ინებე, დანამატი და პრემიაც. მაგრამ, სხვათა შორის, ამისთვის ათი წელიც შეიძლება მოგაკერონ. კანონი ცხოვრებას ეწინააღმდეგება, ცხოვრება კი — კანონს.

ახალგაზრდები დუმდნენ, მერე კი, როცა სამუშაოთა მწარმოებელი მიყუჩდა, უფრო ზუსტად კი, ხმამაღლა ახვრინდა, ერთხმად დაუწყეს კიცხვა:

— ასეთებზეც უნდა გქონოს თვალი, მოყვრის ნიღაბი აქვთ აფარებული.

— საქმოსანი, უპრინციპო, ერთი ვიღაც ხეპრეა და მეტი არაფერი.

ახალგაზრდები ბრაზობდნენ, რომ ეს უხეში, გადამთიელი კაცი მათ აგდებულად ექცეოდა.

— ჩემთან, მშენებლობაზე პატიმრები მუშაობდნენ, თქვენნაირებს ისინი შერეკილებს ეძახიან, დრო მოვა და კომუნიზმი ვინ ააშენაო რომ იკითხავენ, აღმოჩნდება, თურმე სულ თქვენ გიხნავთ-გითესიათ, — უთხრა მათ სამუშაოთა მწარმოებელმა და მეზობელ კუპეში გავიდა „დურაჩკას" სათამაშოდ.

მეოთხე მგზავრი, ეტყობოდა, არც ისე ხშირად მგზავრობდა პლაცკარტიანი ვაგონით, იგი უმეტესად იჯდა, ხელისგულები მუხლებზე დაეწყო, თითქოს შორეული საკერებლების დაფარვა სურსო. შავი სატინის ხალათის სახელოები გვარიანად დამოკლებოდა (სადღაც იდაყვსა და ხელის მტევანს შუა თავდებოდა), საყელოსა და გულზე დაკერებული თეთრი, პაწაწინა ღილები კი მას ბავშვურ იერს სძენდა, იყო რაღაც გულის ამაჩუყებელი და ღიმილისმომგვრელი ამ თეთრ, საბავშვო ღილებს, ჭაღარა საფეთქლებსა და ბებრული ნატანჯი თვალების მზერაში.

როცა სამუშაოთა მწარმოებელმა ბრძანების ჩვეული ხმით თქვა:

— მამილო, გადაჯექი, მე ახლა ჩაი უნდა დავლიოო, — მოხუცი ჯარისკაცურად წამოხტა და დერეფანში გავიდა.

მის საღებავდამსკდარ ჩემოდანში ხშირი რეცხვისაგან გაცვეთილი თეთრეული და ხმელი პურის გოგორა იდო. წუკოს ეწეოდა და პაპიროსს გააბოლებდა თუ არა, ტამბურში გადიოდა გასაბოლებლად, რომ მეზობლები კვამლს არ შეეწუხებინა.

ზოგჯერ თანამგზავრები ძეხვით გაუმასპინძლდებოდნენ ხოლმე, სამუშაოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარმოებელმა კი ერთხელ მოხარშული კვერცხი და სირჩა „მოსკოვურიც“ მიართვა. ყველაზე ახალგაზრდებიც „შენობით“ მიმართავდნენ, ხოლო სამუშაოთა მწარმოებელი ელაზღანდარებოდა, „მამილო“ დედაქალაქში თავს უცოლო კაცად გაასაღებს და ვინმე ცუგრუმელასაც შეირთავსო.

კუპეში კოლმეურნეობებზე ჩამოვარდა ლაპარაკი და ახალგაზრდა ეკონომისტი სოფლის ზარმაცების ქირდვას მოჰყვა:

— ჩემი თვალით ვნახე: შეიკრიბებიან გამგეობის წინ და იქექებიან. თავმჯდომარესა და ბრიგადირს სულ ჭირის ოფლი ასკდებათ, სანამ სამუშაოზე გარეკავენ. კოლმეურნეები კი ჩივიან, სტალინის დროს შრომადღეზე არაფერს გვიხდიდნენ და ახლაც კაპიკებს გვაძლევენო.

პროფკავშირების ინსპექტორმა, დაფიქრებული, კარტს რომ ურევდა, მას მხარი დაუჭირა:

— კი მაგრამ, რისთვისღა უნდა ვუხადოთ ფული იმ მეგობრებს, თუკი გეგმებს არ ასრულებენ. ისინი აი, ამით უნდა აღვზარდოთ, — თქვა მან და ჰაერში მუშაობას გადაჩვეული დიდი, თეთრი მუშტი აიქნია.

სამუშაოთა მწარმოებელმა მსუქან მკერდზე ორდენის გაქონილ ლენტებს დაუსვა ხელი.

— ფრონტზე პურით გაგვქონდა თავი, გამოგვკვება რუსმა ხალხმა, თუმცა კი ეს ხალხი არავის აღუზრდია.

— აი, ეს მართალია, — თქვა ეკონომისტმა, — მთავარი მაინც ისაა, რომ ჩვენ რუსები ვართ. ეხუმრები რუს კაცს!

გაღიმებულმა ინსპექტორმა თავის თანამგზავრ ახალ მეგობარს თვალი ჩაუკრა:

— ასე ვთქვათ: რუსი — უფროსი ძმაა, თანასწორთა შორის პირველი!

— ჰოდა, ამიტომაც მომდის ბრაზი, — ჩაილაპარაკა ახალგაზრდა ეკონომისტმა: — ეს რუსი ხალხია! გერმანელები ხომ არა. ერთი ამიხირდა: „ხუთი წელი ცაცხვის ფოთლები გვაღეჭინეს, ორმოცდაშვიდი წლიდან კი შრომადღეებზე არაფერი მიგვიღიაო“. მუშაობა კი არ უყვართ, ვერ გაუგიათ, ახლა ყველაფერი რომ ხალხზეა დამოკიდებული.

მან ჭაღარა მოხუცს გადახედა, რომელიც მდუმარედ უსმენდა საუბარს და თქვა:

— შენ, მამილო, ნუ ბრაზობ, არ ასრულებთ შრომით ვალდებულებებს, სახელმწიფო კი თქვენ შემოგცქერით.

— რას გააგებინებ, სიტყვა ჩაუკრა სამუშაოთა მწარმოებელმა. — შეგნება მაგათ არა აქვთ, ჭამა კი ყოველდღე უნდათ.

ეს საუბარიც, როგორც ყველა სხვა, არაფრით დამთავრებულა. კუპეში ავიაციის მაიორმა შემოიხედა, ოქროს კბილები აბრჭყვიალა და ახალგაზრდებს საყვედურით მიმართა:

— რას შვრებით, ამხანაგებო? ვიღამ უნდა იმუშაოს?

და ისინიც მეზობელ კუპეში გავიდნენ ბანქოს თალიის ჩასამთავრებლად.

მაგრამ, აი გაილია უზარმაზარი გზა... მგზავრები ჩემოდნებში საშინაო ფლოსტებს ინახავენ, მაგიდებზე კი პურის გამხმარ ნაჭრებს, ქათმის გაღრღნილ, ლურჯ ძვლებსა და ჩამუქებული ძეხვის ნაჭრებს ტოვებენ.

აგერ, პირქუშა გამცილებელმა ქალებმაც ჩაიარეს და დაჭმუჭნილი თეთრეული შეაგროვეს.

მალე დაიშლება მატარებლის სამყარო. დავიწყებას მიეცემა ოხუნჯობანი, მგზავრების სახეები და სიცილი, ერთმანეთისთვის ნაუცბათევად განდობილი საზრუნავიც და შემთხვევით გამოთქმული გულისტკივილიც.

სულ უფრო ახლოა ვეებერთელა ქალაქი, უდიდესი სახელმწიფოს დედაქალაქი. აღარ არსებობს მგზავრობისას წამოშლილი ფიქრი და წუხილი. დავიწყებას მიეცა მეზობელ ქალთან საუბარი ტამბურში, სადაც თვალწინ, დაბინდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მინების მიღმა. მიჰქრის უდიდესი რუსული ტრამალი. ზურგს უკან კი, რეზერვუარებში მძიმედ ბუყბუყებს წყალი.

დნება რამდენიმე დღეში ხალხის მიერ შექმნილი სავაგონო სამყარო. ყველა სხვა სამყაროსთან თანასწორი თავისი კანონებით. სწორხაზოვნად და მრუდედ რომ მოძრაობს სივრცესა და დროში.

დიდია ვეებერთელა ქალაქის ძალა. იგი მათ უდარდელ გულებსაც კი შეაშფოთებს დედაქალაქში სტუმრად, მაღაზიებში საწანწალოდ, ზოოპარკისა და პლანეტარიუმის სანახავად რომ ჩამოსულან. ყველა, ამ დამთრგუნველ ქაოსში მოხვედრილი, სადაც მსოფლიო ქალაქის ცხოველი ენერგიის უჩინარი ხაზები დაჭიმულა, უცებ შეიგრძნობს შეშფოთებასა და წუხილს.

ეკონომისტმა კინაღამ რიგი დაკარგა საპირფარეშოსთან. ახლა, თმის ვარცხნით თავის ადგილას დაბრუნდა და მეზობლებს გადახედა.

სამუშაოთა მწარმოებელი აკანკალებული თითებით (არცთუ ისე ცოტა ყლურწა გზაში) ხარჯთაღრიცხვის ფურცლებს ალაგებდა.

პროფსაბჭოს ინსპექტორს პიჯაკი ჩაეცვა. ხალხის ფუსფუსით აფორიაქებული, მიყუჩდა, დაირცხვინა. ნეტავ, რას ეტყვის საკავშირო პროფსაბჭოს ინსპექტორთა განყოფილების გამგე, ღვარძლიანი, პალარა ქალი?

მატარებილი კი მიჰქრის და უკან ტოვებს სოფლის ძელურ სახლებსა და აგურის ქარხნებს, კალისფერ კომბოსტოს მინდვრებს, სადგურის ბაქნებს, სადაც ასფალტზე წვიმისაგან რუხი გუბეები დამდგარა. ბაქნებზე, პალტოს ზემოდან მოცმული პლასტმასის ლაბადებით, მოსკოვის გარეუბნელი პირქუში ხალხი მოჩანს.

ლეგა ღრუბლების ქვემოთ მაღალვოლტიან გადაცემათა სადენები დაკიდებულა... სათადარიგო გზებზე რუხი, ავისმომასწავებელი ვაგონები დგანან: „სოლქო გზის სადგური — სასაკლაო“.

მატარებელი კი მიგრუხუნებს. მიჰქრის რაღაც ნიშნის მომგები სიჩქარით. ეს სიჩქარე მიაპობს სივრცესა და დროს.

მოხუცი მაგიდას მისჯდომოდა, ფანჯარას გასცქეროდა. საფეთქლებით მუშტს დაყრდნობოდა. დიდი ხნის წინ სწორედ ასე მიმჯდარიყო მესამე კლასის ვაგონის ფანჯრებთან თმებაბურძგნილი ახალგაზრდა. თუმცა, მაშინ მასთან ერთად რომ მგზავრობდა, ის ხალხი გამქრალიყო. მათი სახეები და აზრები დავიწყებას მისცემოდა, მისი ჭაღარით მოსილ თავში კი კვლავ გაცოცხლებულიყო ის, რაც დიდი ხანია აღარ არსებობდა თითქოს.

მატარებელი კი უკვე შევიდა პოდმოსკოვიეს მწვანე სარტყელში. რუხი დაფლეთილი კვამლი ნაძვის ხის ტოტებს ედებოდა. ჰაერის ნაკადისაგან შევიწროებული, აგარაკების მესრებს მიუყვებოდა. რა ნაცნობია ამ პირქუში, ჩრდილოური ნაძვების კონტურები, რა უცნაურად იმზირება მათ გვერდით ცისფერი, კოპწია მესერი, აგარაკების წვეტიანი სახურავები, ტერასების ნაირფერადი მინები და გეორგინების ყვავილნარი.

კაცმა კი, ვისაც ამ ხანგრძლივი სამი ათეული წლის განმავლობაში ერთხელაც არ გახსენებია, რომ ამქვეყნად არსებობდნენ იასამნის ბუჩქები, ქვაშამოყრილი ბაღის ბილიკები, გაზიანი წყლის ურიკები, მძიმედ ამოიოხრა, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, ამჯერად უკვე საბოლოოდ, რომ ცხოვრება უმისოდაც გრძელდებოდა.

## 2

ტელეგრაფმა რომ წაიკითხა, ნიკოლაი ანდრეევიჩს ფოსტალიონისათვის მიცემული გასამრჯელო დაენანა. ტელეგრამა მას არ ეკუთვნოდა, მაგრამ უცებ თითქოს რაღაც გაახსენდა, სახტად დარჩა. ტელეგრამა მისი ბიძაშვილის, ევანისგან იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშა! მაშა! — დაუძახა ცოლს.

მარია პავლოვნამ ტელეგრამა გამოართვა და ჩაილაპარაკა:

— შენ ხომ იცი, სათვალის გარეშე ვერაფერს ვხედავ. ერთი, სათვალე მომეცი...

— არა მგონია იგი მოსკოვში ჩაწერონ, — თქვა ქალმა.

— აჰ, რა დროს ჩაწერაა!

ნიკოლაი ანდრეევიჩმა ხელისგული წარბებზე გადაისვა და უთხრა:

— წარმოიდგინე, ჩამოვა ვანია და მხოლოდ საფლავები დახვდება. მხოლოდ საფლავები.

დაფიქრებულმა მარია პავლოვნამ თქვა:

— რა უხერხულია სოკოლოვებთან რომ ვეღარ მივდივართ, საჩუქარს კი გავუგზავნით, მაგრამ მაინც სირცხვილია. ორმოცდაათი წელი უსრულდება, განსაკუთრებული თარიღია.

— არაფერია, მე ავუხსნი.

— საიუბილეო სადილიდან კი მთელ მოსკოვს მოედება, რომ ივანი დაბრუნდა და ვაგზლიდან პირდაპირ შინ მოგადგა.

ნიკოლაი ანდრეევიჩმა მეუღლეს წინ ტელეგრამა აუფრიალა:

— შენ თუ ხვდები, ვინ არის ვანია ჩემთვის?

იგი ცოლზე ბრაზობდა: ეს სისულელე, მარია პავლოვნა რომ ეუბნებოდა, მანამდე მოუვიდა თავში, ვიდრე ქალი დაუწყებდა ლაპარაკს. ასე ხშირად ხდებოდა, ამიტომაც წამოენთებოდა, როცა საკუთარ სისუსტეს ცოლსაც შეამჩნევდა. მაგრამ იმას ვერ ხვდებოდა, რომ მარია პავლოვნას ნაკლი კი არ აწუხებდა, არამედ საკუთარი არასრულფასოვნება. ცოლთან ჩხუბში ან კამათისას მოგვრილი ბრაზი სწრაფად უნელდებოდა, რადგან თავი უყვარდა: ქალს რომ აპატიებდა, თავსაც ადვილად მიუტევებდა.

ახლა, მასაც ჯიუტად შესჯდომოდა თავში ის სულელური ფიქრი სოკოლოვის ორმოცდაათი წლისთავის გამო.

ნიკოლაი ანდრეევიჩი გააოგნა ბიძაშვილის უცნაურმა ჩამოსვლამ, თან სიმართლითა თუ სიცრუით სავსე საკუთარი ცხოვრებაც დაუდგა თვალწინ და ამიტომ შერცხვა, სოკოლოვის საზეიმო ვახშამსა და მათ სიმპატიურ არყის გრაფინზე რომ დასწყდა გული.

საკუთარ მოსაზრებათა უბადრუკობისა სცხვენოდა: აკი მასაც გაუელვა ფიქრმა, რომ ივანის ჩაწერაზე მოუწევდა ჯახირი, ფიქრმა, რომ მთელი მოსკოვი გაიგებდა ივანის დაბრუნებას, და ამ ამბავს იქნებ ემოქმედა კიდეც აკადემიაში მის არჩევაზე...

მარია პავლოვნა კი ჯერ კიდევ გამოუთქმელი ქმრის აზრებით განაგრძობდა ნიკოლაი ანდრეევიჩის წამებას, ხმამაღლა წარმოთქვამდა ამ აზრებს, ცხადზე უცხადესად წარმოაჩენდა.

— უცნაური ხარ, ჩაილაპარაკა კაცმა. — ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, ეს ტელეგრამა მაშინ მოსულიყო, როცა შინ არ იქნებოდი.

ეს სიტყვები მარია პავლოვნას შეურაცხყოფდა, მაგრამ იცოდა, რომ ახლა ნიკოლაი ანდრეევიჩი მოეხვეოდა და ეტყოდა:

— მაშა, მაშა, ერთად გავიხარებთ, თუ არა შენ, სხვამ ვინ უნდა გაიზიაროს ჩემი სიხარული.

და მართლაც, ქალი დამთმობი და უსიამო გამომეტყველებით იდგა, რაც ნიშნავდა: შენი თბილი სიტყვები სულაც არ მსიამოვნებს, მაგრამ ვითმენო.

აი, ამის შემდეგ კი მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა და სიყვარულმა ძლია ბოლმას.

ოცდარვა წელი ერთად იცხოვრეს. ძნელი გასაგები და ასახსნელია იმ ადამიანთა ურთიერთობა, რომელთაც საუკუნის თითქმის მესამედი ერთად გაუტარებიათ.

უკვე გაჭაღარავებული ქალი ფანჯარას მიუახლოვდა, უცქერდა როგორ ჯდებოდა ასევე ჭაღარა კაცი მანქანაში. ოდესღაც კი ბრონნაიაზე სადილობდნენ სასადილოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კოლია. — წყნარად თქვა მარია პავლოვნამ. — ივანს ხომ არასოდეს უნახავს ჩვენი ვალია. როცა ჩასვეს. ვალია ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო. ახლა კი. როცა ივანი ბრუნდება. ვალია უკვე რვა წელია მიწაშია...

და ამ ფიქრმა შეაძრწუნა ქალი.

3

ბიძაშვილის მომლოდინე ნიკოლაი ანდრეევიჩი საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრობდა და ივანთან ალსარებისათვის ემზადებოდა. წარმოიდგინა. როგორ აჩვენებდა ივანს სახლს. აი, თექის ხალიჩა სასადილოში, ეშმაკმა წაიღოს. შეხედე, ხომ ლამაზია! მაშას კარგი გემოვნება აქვს. ივანმა ხომ მშვენივრად იცის, ვინ იყო მაშას მამა, ძველ პეტერბურგში კი, მადლობა ღმერთს. იცოდნენ ცხოვრების ყადრი.

როგორ დაელაპარაკოს ივანს? აკი ათწლეულები მიიწურა, ცხოვრება გავიდა. არა, სწორედ ამაზე ისაუბრებენ: არ გასულა ცხოვრება! სწორედ ახლა იწყება იგი!

ჰო, აი, ეს იქნება შეხვედრა! ივანი საოცარ დროს ჩამოდის, რამდენი ცვლილებაა სტალინის სიკვდილის შემდეგ. ყველას შეეხო ეს ცვლილებები. მუშებსაც და გლეხებსაც. პურიც გამოჩნდა დახლებზე! და აი, ივანი დაბრუნდა ბანაკიდან და არა მარტო ეს, ნიკოლაი ანდრეევიჩის ცხოვრებაშიც ბევრი ძირეული გარდატეხა მოხდა.

სტუდენტობიდანვე არ სწყალობდა ბედი ნიკოლაი ანდრეევიჩს. და ეს უფრო იმიტომ ტანჯავდა. რომ უსამართლობად მიაჩნდა. განათლებული იყო. ბევრს კითხულობდა. მახვილგონიერ მთხრობელად ითვლებოდა და ქალებიც ჰკუას ჰკარგავდნენ მისთვის.

პატიოსანი. პრინციპული კაცის სახელით ამაყობდა. საერთოდ, უგემური მლიქვნელობაც უცხო გახლდათ მისთვის, უყვარდა მხიარული ანეგდოტები ვახშამზე. შესანიშნავად აჭაშნიკებდა მშრალ ღვინოებს და ხშირად, ღვინის ნაცვლად. არაყს უფრო ეტანებოდა.

როდესაც ნაცნობები ნიკოლაი ანდრეევიჩის ხასიათს აქებდნენ. მარია პავლოვნა ქმარს მხიარული. თან ბრაზიანი თვალებით მიაჩერდებოდა და იტყოდა:

— ერთ ჰერქვეშ გეცხოვრათ მაგასთან და გაიცნობდით თქვენ შესანიშნავ კოლენკას. დესპოტს. ფიცხსა და ისეთ ეგოისტს, ქვეყანას რომ არ უნახავს.

ზოგჯერ აუტანლად ალიზიანებდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს თავ-თავიანთი სისუსტისა და ყველა ნაკლის ცოდნით ხანდახან ისიც კი ეჩვენებოდათ. რომ უმჯობესი იქნებოდა. გაყრილიყვნენ. მაგრამ ეს მხოლოდ ეჩვენებოდათ. ჩანს. უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეეძლოთ ან ცალ-ცალკე ყოფნით უფრო დაიტანჯებოდნენ.

მარია პავლოვნა ჯერ კიდევ მოსწავლე იყო. ნიკოლაი ანდრეევიჩი რომ შეუყვარდა. ყველაფერი: ხმა. ფართო შუბლი. დიდი კბილები. ღიმილიც. ოცდაათი წლის წინ საოცარი და მშვენიერი რომ ეჩვენებოდა. წლების განმავლობაში უფრო საყვარელი გამხდარიყო.

ქმარსაც უყვარდა იგი. მაგრამ თავისებურად. ოდესღაც. რაც მათ ურთიერთობაში მთავარი ეგონათ. ახლა მეორეხარისხოვანი გამხდარიყო. მას კი. რაც ადრე ნაკლებმნიშვნელოვანი ეჩვენებოდათ. მთავარი ადგილი დაეჭირა.

მარია პავლოვნა ოდესღაც მშვენიერი იყო; მაღალი. შავთვალება. ახლაც კი მსუბუქი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. თვალებს კი ახალგაზრდული მშვენიერება შერჩენოდათ. მაგრამ ქალიშვილობაშიც და ახლაც. სახის მშვენებას ღიმილი უფუჭებდა. ღიმილისას წინწამოწეული ქვედა კბილები უჩანდა ხოლმე.

ნიკოლაი ანდრეევიჩი სტუდენტობიდანვე ავადმყოფურად განიცდიდა საკუთარ უიღბლობას. მისი ზედმიწევნით გულმოდგინედ მომზადებული მოხსენებები კი არა, წითურა როდიონოვის ან ლოთი პიჟოვის ნაჩქარევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები იწვევდნენ სტუდენტური სემინარების მონაწილეთა მღელვარებას...

ნიკოლაი ანდრეევიჩი ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი გახდა. ათეულობით ნაშრომი დაბეჭდა, სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა. მაგრამ მხოლოდ ცოლმა იცოდა რა ტანჯვა-წამებასა და დამცირებას იტანდა მისი თანამეცხედრე.

რამდენიმე კაცი, რომელთაგან ერთ-ერთი აკადემიკოსიც გახლდათ, ორს ნიკოლაი ანდრეევიჩზე გაცილებით დაბალი მდგომარეობა ჰქონდა, ერთმა კი საკანდიდატო ხარისხიც ვერ დაიცვა, — მისი მეცნიერების მთავარი სასიცოცხლო ძალა იყო... ისინი აფასებდნენ ნიკოლაი ანდრეევიჩს, როგორც კარგ მოსაუბრეს, პატივს სცემდნენ მის პატიოსნებას, მაგრამ სრულიად გულწრფელად და ალალად იგი მეცნიერად არ მიაჩნდათ.

იგი მუდმივად გრძნობდა დამაბულობისა და ალტაცების იმ ატმოსფეროს, რომელიც ამ ხალხს გარს ერტყა, განსაკუთრებით კი, მანდელშტამს.

ერთხელ, ლონდონის სამეცნიერო ჟურნალმა დაწერა მანდელშტამზე: „თანამედროვე ბიოლოგიის ფუძემდებელთა საქმის უდიდესი გამგრძელებელი", როცა ნიკოლაი ანდრეევიჩმა ეს ფრაზა წაიკითხა, გაიფიქრა: ერთი ჩემზე წამაკითხა ასეთი სიტყვები და მერე თუნდაც ბედნიერებისაგან მოვმკვდარიყავიო.

მანდელშტამი ცუდად იქცეოდა. ხან პირქუში და დათრგუნვილი ბრძანდებოდა, ხან კი მედიდურად, დამმოძღვრავი ტონით დაიწყებდა ლაპარაკს, სტუმრად ყოფნისას. ნასვამი ცნობილ მეცნიერებს დასცინოდა, უნიჭოებს უწოდებდა, ზოგს კი აფერისტებსა და თაღლითებს ეძახდა. მანდელშტამის ეს თვისება ნიკოლაი ანდრეევიჩს მეტად აღიზიანებდა. იგი ხომ მათ ლანძღავდა, ვისთანაც მეგობრობდა და შინაც ხშირად სტუმრობდა. და ნიკოლაი ანდრეევიჩი ფიქრობდა, რომ, ალბათ, სადმე სხვის სახლში სტუმრობისას, მანდელშტამი მასაც თაღლითსა და უნიჭოს ეძახდა.

მანდელშტამის ცოლიც აღიზიანებდა: მსუქანი, ოდესღაც ლამაზი, ახლა კი მხოლოდ აზარტულ თამაშობებსა და თავისი კოჭლი ქმრის სამეცნიერო სახელზე შეყვარებული ქალი.

ამავე დროს ნიკოლაი ანდრეევიჩს მანდელშტამი იზიდავდა. ამბობდა, ასეთ განსაკუთრებულ ადამიანებს ცხოვრებაში ძალიან უჭირთო.

მაგრამ როცა მანდელშტამი ქედმაღლური იერით დაუწყებდა დამოძღვრას, ნიკოლაი ანდრეევიჩი იბოღმებოდა, იტანჯებოდა და სახლში მისული მანდელშტამს მეტიჩარას ეძახდა.

მარია პავლოვნას ქმარი ძალზე ნიჭიერ კაცად მიაჩნდა. ნიკოლაი ანდრეევიჩი ცოლს თავისი ნაშრომებისადმი კორიფეების ქედმაღლურ გულგრილობაზე უამბობდა და ქალსაც სულ უფრო მეტად სწამდა მისი ნიჭის. ცოლის ალტაცება, მისი რწმენა ნიკოლაი ანდრეევიჩისათვის ისევე აუცილებელი გახლდათ, როგორც ლოთისათვის არაყი, მას სჯეროდა, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც ბედი სწყალობთ და არიან ისეთებიც, რომელთაც არ სწყალობთ. საერთოდ კი, ყველანი ერთნაირნი არიან. აი, მანდელშტამი რაღაც გამორჩეულად იღბლიანია — ბიოლოგიური მეცნიერების საჭეთმპყრობელი. როდიონოვს კი, საოპერო ტენორივით, თაყვანისმცემლები შემოჯარვია; თუმცა ცხვირპაჭუა ლაწვმაღალი როდიონოვი საოპერო ტენორს არაფრით არ ჰგავდა. თითქოს ისააკ ხავკინსაც უმართლებდა, თუმცა მას საკანდიდატო ხარისხი არ დაუმტკიცეს. ვიტალიზმში ექვმიტანილს, თვით ყველაზე მშვიდ დროსაც კი სამეცნიერო სანიტარულ-ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში მუშაობდა და დახეული შარვლით დადიოდა. მაგრამ მასთან სასაუბროდ აკადემიკოსები მიდიან და ისააკიც გასაცოდავებულ ლაბორატორიაში მეცნიერულ მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ეწევა, რომელზეც ბევრი ლაპარაკობს და კამათობს.

როდესაც ვეისმანისტების, ვირხოვიანელების და მენდელისტების წინააღმდეგ კამპანია გაჩაღდა, ნიკოლაი ანდრეევიჩს გული ატკინა იმ სისასტიკემ, მისი ზოგიერთი თანამშრომლის წინაღმდეგ რომ გამოიყენეს. ისიც და მარია პავლოვნაც შეწუხდნენ, როდესაც როდიონოვმა თავისი შეცდომების აღიარება არ ისურვა, როდიონოვი დაითხოვეს. ნიკოლაი ანდრეევიჩი მისმა უაზრო დონკიხოტობამ გააბრაზა და იმით ეხმარებოდა, რომ მისთვის ინგლისურიდან სათარგმნ მასალას შოულობდა.

პიჟოვს დასავლეთის თაყვანისცემაში დასდეს ბრალი და ჩკალოვის ოლქში საცდელ ლაბორატორიაში გააგზავნეს სამუშაოდ. ნიკოლაი ანდრეევიჩს მასთან მიწერ-მოწერა ჰქონდა, წიგნებს უგზავნიდა. მარია პავლოვნამ კი საახალწლოდ მის ოჯახს ამანათიც გაუგზავნა.

გაზეთებში ფელეტონების ბეჭდვა დაიწყეს, რომლებშიც ამხილებდნენ დიპლომიანი და სამეცნიერო ხარისხის მქონე კარიერისტებს, ყალთაბანდებს და თაღლითებს, ექიმებს, რომლებიც ავადმყოფ ბავშვებსა თუ მშობიარე ქალებს დანაშაულებრივი სისატიკით ეპყრობოდნენ და ინჟინრებს, სკოლებისა და საავადმყოფოების ნაცვლად, ნათესავებს აგარაკებს რომ უშენებდნენ.

ყველა მხილებული ებრაელი გახლდათ და გაზეთებიც მათ სახელსა და მამის სახელს ხაზგასმით აღნიშნავდა. „სრულ ნახმანოვიჩი... ხაიმ აბრამოვიჩი... იზრაილ მენდელევიჩი..." თუ რეცენზიაში იმ ებრაელის წიგნი იყო გაკრიტიკებული, ვინც რუსულ ლიტერატურულ ფსევდონიმს ატარებდა, იქვე, ფრჩხილებში, ავტორის ებრაული გვარიც იწერებოდა. თითქოს საბჭოთა კავშირში მხოლოდ ებრაელები ქურდობდნენ, ქრთამებს იღებდნენ, ავადმყოფის ტანჯვისადმი დანაშაულებრივად გულგრილნი იყვნენ. მხოლოდ ისინი წერდნენ მავნებლურ და არაფრისმაქნის წიგნებს.

ნიკოლაი ანდრეევიჩი ხედავდა, რომ ფელეტონები მარტო მეეზოვეებისა და გარეუბნის მატარებლის მთვრალ მგზავრებს როდი მოსწონდათ. ეს ფელეტონები მას ზიზღს გვრიდა, თანაც თავისი ებრაელი მეგობრების ქცევაც აღიზიანებდა, რომლებიც ამ ნათითხნს ისე მტკივნეულად განიცდიდნენ, თითქოს ქვეყნის დასასრული მოვიდაო. ისინი ჩიოდნენ, ნიჭიერ ებრაელ ახალგაზრდობას ასპირანტურაში, უნივერსიტეტის ფიზიკურ ფაკულტეტზე და მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებში სამუშაოდ არ იღებენო. თითქოს უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულ ებრაელებს განსაკუთრებით შორეულ პერიფერიაში გადაისროდნენ, ამბობდნენ, შემცირებაში მხოლოდ ებრაელები ხვდებოდნენო.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს სინამდვილეში იყო, მაგრამ ებრაელებს რალაც გრანდიოზული სახელმწიფო გეგმა ელანდებოდათ, რომლის მიხედვითაც ისინი საშიმშილოდ, ამოსაწყვეტად და სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი. ნიკოლაი ანდრეევიჩს კი უბრალოდ მიაჩნდა, რომ პარტიული და საბჭოთა მუშაკების ერთი ნაწილი ამრეზით უცქერდა ებრაელობას, კადრების განყოფილებები თუ უმაღლეს სასწავლებელთა მიმღები კომისიები კი ებრაელების შესახებ არავითარ ინსტრუქციას არ იღებდნენ. სტალინი ანტისემიტი არ გახლდათ და, ალბათ, არც ამ საქმეებისა იცოდა რამე.

აკი არა მარტო ებრაელები, სხვებიც დაზარალდნენ: მაგრამ მოხვდათ ბებერ ჩუკოვსკის, პიჟოვსაც და როდიონოვსაც.

მანდელშტამი, რომელიც ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილს უძღვებოდა, იმავე განყოფილების უბრალო თანამშრომლად აქციეს, სადაც ნიკოლაი ანდრეევიჩი მუშაობდა. მას კვლავ შეეძლო მუშაობის გაგრძელება, სადოქტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ხარისხის წყალობით კი ძველებურად დიდი ხელფასი ჰქონდა.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც „პრავდაში“ რედაქციის ხელმოწერილი სტატია გამოჩნდა კოსმოპოლიტ თეატრალურ კრიტიკოსებზე: გურვიჩზე, იუზოვსკისა და სხვებზე, რომლებიც თეატრს აბუჩად იგდებდნენ, კოსმოპოლიტების სამხილებელი ფართო კომპანია დაიწყო ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა სფეროში და მანდელშტამიც ანტიპატრიოტად გამოაცხადეს. მეცნიერებათა კანდიდატმა ბრატოვამ კედლის გაზეთში სტატიაც გამოაქვეყნა: შორეული მოგზაურობებიდან დაბრუნებულმა მარკ სამუილოვიჩ მანდელშტამმა დავიწყებას მისცა საბჭოთა რუსული მეცნიერების პრინციპებიო. ნიკოლაი ანდრეევიჩი შინ ეწვია მანდელშტამს. იგი მეტად გულნატკენი, ნაღვლიანი იყო და მისი მედიდური ცოლი ახლა ისეთი ქედმაღალი უკვე აღარ ჩანდა. მათ არაყი სვეს, მანდელშტამი თავის მოწაფეს, ბრატოვას, სულ დედ-მამის სულს უგინებდა და თმაზე ხელწავლებული დარდობდა, ჩემს მოსწავლეებს, ნიჭიერ ახალგაზრდა ებრაელებს, მეცნიერების კარს უხშობენო.

— რა ქნან, სავალანტერიო ფარდულებში ივაჭრონ? — კითხულობდა იგი.

— ნუ ღელავთ, ყველას ექნება სამუშაო: თქვენც, ხავკინსაც და წარმოიდგინეთ, ლაბორანტ გოგონას, ანიჩკა ზილბერმანსაც, — გაეხუმრა ნიკოლაი ანდრეევიჩი, — ყველაფერი მოგვარდება, ყველას ექნება პური, თანაც ხიზილალიანი.

— ღმერთო ჩემო, — თქვა მანდელშტამმა. — ნუთუ ხიზილალაზეა ლაპარაკი, აქ ადამიანურ ღირსებაზეა საუბარი.

მაგრამ ხავკინის შესახებ კი ნიკოლაი ანდრეევიჩი შეცდა. მას საქმე სულ უკუღმა წაუვიდა. მას მერე, რაც გაზეთში დამნაშავე ექიმებზე გამოჩნდა ცნობა, ხავკინი მალე დააპატიმრეს.

ცნობამ, რომ მეცნიერმა ექიმებმა და არტისტმა მიხოელსმა საშინელი დანაშაულებანი ჩაიდინეს, ყველას თავზარი დასცა. თითქოს შავი ნისლი დასწოლოდა მოსკოვს. ნისლი ყველაფერს ედებოდა: სახლებს, სკოლებს, ადამიანთა გულებშიც დავანებულიყო იგი.

გაზეთის მეოთხე გვერდზე „ქრონიკაში“ ნათქვამი იყო, რომ ყველა ბრალმდებელმა ექიმმა ძიებისას თავისი დანაშაული აღიარა, ესე იგი, ისინი უეჭველად დამნაშავენი იყვნენ.

და მაინც, ეს წარმოუდგენელი ეჩვენებოდა. ძნელია საქმის კეთება, სუნთქვაც კი, როცა იცი, რომ პროფესორები, აკადემიკოსები, ჟდანოვისა და შჩერბაკოვის მკვლელები, მომწამვლელები გამხდარან.

ნიკოლაი ანდრეევიჩს გაახსენდა ძვირფასი ვოვსი, შესანიშნავი მსახიობი მიხოელსი და დანაშაული, რაშიც მათ ბრალი დასდეს, დაუჯერებელი, წარმოუდგენელი ეჩვენა.

მაგრამ მათ ხომ აღიარეს! თუკი ბრალი არაფერში მიუძღვით და დანაშაული მაინც აღიარეს, მაშინ სხვა, უფრო საშინელ დანაშაულზე უნდა გვევარაუდა — მათ წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე.

ამაზე ფიქრიც საშინელება გახლდათ. მეტად გამბედავი უნდა ყოფილიყავ, რომ ადამიანების დანაშაულში ეჭვი შეგეპარვოდა. მაშინ დამნაშავენი სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელებია, დამნაშავეა — სტალინიც.

ნაცნობი ექიმები ჰყვებოდნენ, რომ საავადმყოფოში და პოლიკლინიკებში მუშაობა ძნელად ასატანი შეიქნა. ოფიციალური, საშინელი ცნობების გავლენით, ავადმყოფები ეჭვიანები გახდნენ. ბევრი ებრაელ ექიმთან მკურნალობაზე უარს აცხადებდა. მკურნალი ექიმები ამბობდნენ, რომ მოსახლეობისაგან უამრავი საჩივარი თუ დასმენა შემოდიოდა განზრახ არაკეთილსინდისიერი მკურნალობის შესახებ. აფთიაქებში მყიდველები ფარმაცევტებს ბრალს სდებდნენ შხამიანი წამლების შეჩერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მცდელობაში; ტრამვაიში, ბაზარსა თუ დაწესებულებებში ხალხი ქაქანებდა. მოსკოვში რამდენიმე აფთიაქი დაუკეტავთ, სადაც ებრაელი აფთიაქრები, ამერიკის აგენტები, გამხმარი მკბენარებით სავსე აბებს ჰყიდდნენო. იმასაც ამბობდნენ, სამშობიაროებში ახლადშობილებსა და მელოგინეებს სიფილისით აავადებენო, კბილის სამკურნალო ამბულატორიებში ავადმყოფებს ყბისა და ენის კიბოს უნერგავენო. ერთი მითქმა-მოთქმა იყო სასიკვდილო შხამიან ასანთებზე. ზოგიერთი თავისი დიდი ხნის გარდაცვლილ ნათესავის სიკვდილის გარემოებებს იხსენებდა. უშიშროების ორგანოებში განცხადებებს აგზავნიდნენ და გამოძიებასა და ებრაელი ექიმების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდნენ. განსაკუთრებით სამწუხარო ის გახლდათ, რომ ყველა ეს ჭორი არია მარტო მეეზოვეებს, უწიგნურ და ერთთავად გამობრუჟულ მტვირთავებსა თუ შოფრებს, არამედ ზოგიერთ მეცნიერებათა დოქტორს, მწერალს, ინჟინერსა და სტუდენტსაც სჯეროდა.

ეს საყოველთაო ეჭვიანობა ნიკოლაი ანდრეევიჩს აუტანელი ეჩვენებოდა. ლაბორანტი, დიდცხვირა ანნა ნაუმოვნა სამსახურში გაფითრებული და შეშლილი, გაფართოებული თვალებით მოდიოდა; ერთხელ, იგი მოჰყვა, რომ მის მეზობელ ქალს, აფთიაქში რომ მუშაობდა, თურმე შემთხვევით, დაბნეულობის გამო, ავადმყოფისათვის სხვა წამალი მიუცია და როდესაც იგი ახსნა-განმარტებისათვის გამოიძახეს, თავზარდაცემულმა თავი მოიკლა და ორი ობოლი დატოვა — მუსიკალური ტექნიკუმის სტუდენტი ქალიშვილი და მოსწავლე ბიჭუნა. ანნა ნაუმოვნა ახლა სამსახურში ფეხით მიდიოდა. ტრამვაიში მთვრალები ქადნოვისა და შჩერბაკოვის მკვლელ ებრაელ ექიმებზე ელაპარაკებოდნენ.

ნიკოლაი ანდრეევიჩს ინსტიტუტის ახალი დირექტორი რისკოვი ეზიზღებოდა. დრო, რუსული მეცნიერება არარუსი სახელებისაგან გავწმინდოთო, ამბობდა იგი და ერთხელ თქვა: „ბოლო მოეღო ურიების სინაგოგას, ნეტა იცოდეთ, როგორ მეზიზღებიან".

იმავე დროს ნიკოლაი ანდრეევიჩმა უნებურად სიხარული ვერ დაფარა, როცა რისკოვმა უთხრა: „ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგები აფასებენ თქვენს მუშაობას, დიდი რუსი მეცნიერის მუშაობას".

მანდელშტამი უკვე უნივერსიტეტში აღარ მუშაობდა, მეთოდისტად მოეწყო სამეცნიერო კაბინეტში. ნიკოლაი ანდრეევიჩი შინ ეპატიჟებოდა, ცოლს აიძულებდა ტელეფონით ესაუბრა მასთან; მანდელშტამი ნერვიული, ეჭვიანი გახდა და ნიკოლაი ანდრეევიჩს უხაროდა, რომ მარკ სამუილოვიჩი შეხვედრებს გაურბოდა, რადგან ეს შეხვედრები სულ უფრო და უფრო ძნელად ასატანი ხდებოდნენ. ასეთ დროს გაცილებით სასიამოვნოა სიცოცხლით სავსე ხალხთან ურთიერთობა.

როდესაც ნიკოლაი ანდრეევიჩმა ხავკინის დაპატიმრება შეიტყო, ტელეფონს მიხედა და ჩურჩულით უთხრა ცოლს:

— ოცდაათი წელია ვიცნობ და დარწმუნებული ვარ ისააკის უდანაშაულობაში.

უცებ ქალი მოეხვია, თავზე ხელი გადაუსვა.

— ვამაყობ შენით, — უთხრა მან, — სულითა და გულით ზრუნავ ხავკინსა და მანდელშტამზე და მხოლოდ მე ვიცი, რამდენი წყენა მოუყენებიათ მათ შენთვის.

დრო კი მძიმე იყო. ნიკოლაი ანდრეევიჩს მკვლელი ექიმების შესახებ გამართულ მიტინგზე გამოსვლამ და სიფხიზლესა და დოყლაპიობაზე მოუწია ლაპარაკმა.

მიტინგის შემდეგ, ნიკოლაი ანდრეევიჩი ფიზიოლოგიური ქიმიის სექტორის თანამშრომელს, მიტინგზე ასევე გრძელი სიტყვით გამოსულ პროფესორ მარგოლინს გამოელაპარაკა. იგი დამნაშავეთათვის სასიკვდილო განაჩენს ით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვდა და მიტინგზე მკვლელი ექიმების მამხილებლის, ლიდია ტიმაშუკის მასალების ტექსტიც წაიკითხა. მარგოლინმა მარქსისტული ფილოსოფია კარგად იცოდა. იგი ხელმძღვანელობდა „მოკლე კურსის" მეოთხე თავის შემსწავლელ მეცადინეობებს.

— ჰო, სამსონ აბრამოვიჩ, — თქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. — ძნელი დროება დაგვიდგა. მეც კი მიმძიმს და თქვენ რა დღეში ხართ, ალბათ, როცა ამ თემაზე გამოდიხართ?

მარგოლინმა თხელი წარბები აწკიპა, გაფითრებული ქვედა ტუჩი წინ წამოსწია და ჰკითხა:

— მომიტევეთ, ვერ გავიგე, რა გაქვთ მხედველობაში?

— ისე, საერთოდ, — თქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. — ხომ იცით, ვოვსი, ეტინგერი, კოგანი, ვინ იფიქრებდა? ვოვსისთან ვიწექი კლინიკაში, პერსონალს იგი უყვარდა, ავადმყოფებს კი მისი, როგორც მაჰმადისა, ისე სჯეროდათ.

მარგოლინმა გამხდარი მხარი ასწია, უფერული ნესტოები შეარხია და თქვა:

— ა, მესმის: თქვენ თვლით, რომ მე, ებრაელს, მეუხერხულება ამ ჯალათების დაგმობა, არა? პირიქით, განსაკუთრებით, სწორედ მე მძაგს ებრაული ნაციონალიზმი, და თუკი ამერიკის თაყვანისმცემელი ებრაელი კომუნიზმის გზაზე წინააღმდეგობის გასაწევად დგება, მაშინ მე არა მარტო საკუთარი თავი, ღვიძლი ქალიშვილიც კი არ მენანება.

ნიკოლაი ანდრეევიჩი მიხვდა. ტყუილუბრალოდ წამოროშა დოყლაპია ავადმყოფების ვოვსისადმი სიყვარულზე, კაცი რომ ღვიძლ ქალიშვილს არ დაინანებს, მასთან მკაფიო გამოთქმებითაა საჭირო საუბარი.

და ნიკოლაი ანდრეევიჩმა თქვა:

— მით უმეტეს, რომ ჩვენს მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობაში მტერი იმთავითვე განწირულია.

დიახ, ეს მძიმე დრო იყო და მხოლოდ ერთი რამ ამშვიდებდა ნიკოლაი ანდრეევიჩს: სამუშაო კარგად მიდიოდა.

თითქოს მან პირველად დააღწია თავი ვიწრო, კაბინეტურ სივრცეს და იმ ცხოველმყოფელ სფეროებში შეიჭრა, სადაც ადრე არავინ უშვებდა. ხალხი ახლა მისკენ ისწრაფოდა. მისი რჩევა სჭირდებოდათ და ნიკოლაი ანდრეევიჩის მიერ გამოთქმული აზრი მეტად ახარებდათ. ჩვეულებრივ გულგრილმა სამეცნიერო ჟურნალების რედაქციებმა ყურადღება მიაქციეს მის სტატიებს; ერთხელ უცხოეთთან კულტურულ ურთიერთობათა საკავშირო საზოგადოებიდანაც დაურეკეს. დაწესებულებიდან, რომელსაც არასოდეს მიუმართავს ნიკოლაი ანდრეევიჩისათვის, და სთხოვეს, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი წიგნის ხელნაწერი გაეგზავნა. საზოგადოებას წინასწარ სურდა მისი ნაშრომის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გამოცემის საკითხი დაესვა.

ნიკოლაი ანდრეევიჩი განსაკუთრებულად, მეტად მღელვარედ ხვდებოდა უეცარ წარმატებას. მარია პავლოვნა მასზე მშვიდად იყო. კოლენკას ის არგუნა ბედმა, რაც, მარია პავლოვნას აზრით, აუცილებლად ეკუთვნოდა.

ცვლილებები კი ნიკოლაი ანდრეევიჩის ცხოვრებაში სულ უფრო მატულობდნენ. ინსტიტუტის ხელმძღვანელი და მისი დამწინაურებელი ახალი ადამიანები კი ნიკოლაი ანდრეევიჩს მაინც არ მოსწონდა. მათი საძაგელი თვისებები: უხეშობა და არაჩვეულებრივი თვითდაჯერება, მათი ჩვეულება თავიანთი სამეცნიერო მოწინააღმდეგეებისათვის — კერპთაყვანისმცემლები, კოსმოპოლიტები, კაპიტალის აგენტები და იმპერიალიზმის დამქირავებლები ეწოდებინათ, აიძულებდა შორს დაეჭირა მათგან თავი. მაგრამ ახალ ხალხში მთავარის დანახვაც შეეძლო. ეს იყო, სითამამე, ძალა.

სხვათა შორის, მანდელშტამი ცდებოდა, როცა მათ უწიგნურ იდიოტებს და „დოგმატიკურ ულაყებს" უწოდებდა. მათში ამ ხალხში გონების სივიწროვე კი არა, სიცოცხლისაკენ მიმართული და

72 ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებით წარმოქმნილი ვნება და მიზანსწრაფვა იგრძნობოდა. ამიტომაც სძაგდათ თალმუდისტები, აბსტრაქტული თეორეტიკოსები.

ისინიც, ინსტიტუტის ახალი უფროსობა, გრძნობდნენ ნიკოლაი ანდრეევიჩი სხვა შეხედულებების და ჩვეულებების კაცი რომ იყო, მაგრამ მაინც კარგი თვალით უყურებდნენ, ენდობოდნენ მას, რუს კაცს! მან ლისენკოსაგანაც მიიღო თბილი წერილი. სადაც იგი დიდ შეფასებას აძლევდა ნიკოლაი ანდრეევიჩის ხელნაწერს და თანამშრომლობას სთავაზობდა.

ნიკოლაი ანდრეევიჩს არ მოსწონდა ლისენკოს თეორიები. მაგრამ ცნობილი აგრონომ-აკადემიკოსის წერილმა ძალზე გაახარა. არც ლისენკოს ნაშრომების უარყოფა იყო საჭირო ხელაღებით. ის მითქმა-მოთქმაც გაბუქებული უნდა ყოფილიყო, ვითომდა იგი მეტად საშიში გახლდათ თავისი სამეცნიერო მოწინააღმდეგეებისათვის და კამათში პოლიციის არგუმენტებისა და დასმენების გამოყენებაც უყვარდა თურმე.

რისკოვი ნიკოლაი ანდრეევიჩს სთავაზობდა ბიოლოგიური მეცნიერებიდან განდევნილი კოსმოპოლიტების მიმართ მამხილებელი სიტყვით გამოსვლას. ნიკოლაი ანდრეევიჩი უარობდა, თუმცა დირექტორის უკმაყოფილებასაც ხედავდა. მას სურდა, რომ საზოგადოებას უპარტიო რუსი მეცნიერების მრისხანე ხმა გაეგონა.

ამ დროს კი ხმა დაირხა, რომ აღმოსავლეთ ციმბირში, ვეებერთელა ბარაკების ქალაქი შენდებაო. ამბობდნენ, ბარაკებს ებრაელებისათვის აშენებენ. მათაც ისევე გაასახლებენ, როგორც ყალმუხებს, ყირიმელ თათრებს, ბულგარელებს, ბერძნებს, ვოლგისპირა გერმანელებს, ბალყარებსა და ჩეჩნებსო.

ნიკოლაი ანდრეევიჩი მიხვდა, ტყუილად პირდებოდა მანდელშტამს ხიზილალიან ბუტერბროდებს.

იგი ღელავდა დამნაშავე ექიმების პროცესის მოლოდინში. დილით გაზეთის ფურცლებს გადახედავდა — ხომ არ დაიწყო? სხვებივით, ისიც მარჩიელობდა: ღია იქნებოდა პროცესი თუ დახურული და ხშირად ეკითხებოდა მეუღლეს:

— როგორ ფიქრობ, პროცესს პროკურორის სიტყვით, დაკითხვებით ბრალდებულთა საბოლოო სიტყვით დაბეჭდავენ თუ მხოლოდ სამხედრო კოლეგიის ცნობას მოგვაწვდიან განაჩენზე?

ერთხელ, მეტად საიდუმლოდ, ნიკოლაი ანდრეევიჩს უთხრეს, წითელ მოედანზე ექიმებს სახალხოდ დასჯას უპირებენო, რასაც, ჩანს, ებრაელთა რბევაც მოჰყვებოდა და რომ ამ დროისათვის ამზადებდნენ ებრაელების გადასახლებას ტაიგასა და ყარაყუმში, თურქმენეთის არხის მშენებლობაზე. ეს გასახლება სამართლიანი, მაგრამ დაუნდობელი სახალხო მრისხანებისაგან ებრაელების დასაცავად ჩატარდება. ამ გასახლებაში განცხადდება მარად ცოცხალი ინტერნაციონალიზმის სული, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ესმის ხალხის მრისხანების, მაინც არ შეუძლია დაუშვას მასიური თვითგასამართლება და ანგარიშსწორებები.

როგორც სხვა დანარჩენი, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ეს სტიქიური აღშფოთებაც ებრაელების სისხლიანი დანაშაულის წინააღმდეგ წინასწარ ჩაფიქრებული, დაგეგმილი გახლდათ.

სწორედ ასევე ჰქონდა ჩაფიქრებული სტალინს უმაღლესი საბჭოს არჩევნები. წინასწარ აგროვებდნენ მონაცემებს, ინიშნებოდნენ დეპუტატები, შემდეგ კი გეგმისამებრ იწყებოდა კანდიდატების წამოყენება, ხალხში აგიტაციის გაწევა და, ბოლოს, ეწყობოდა საყოველთაო სახალხო არჩევნები. ასევე ინიშნებოდა საპროტესტო ბობოქარი მიტინგები, სახალხო მრისხანების აფეთქებები და ძმური სიყვარულის გამოვლინებები. სწორედ ასევე, სადღესასწაულო პარადებამდე რამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმე დღით ადრე, მტკიცდებოდა წითელი მოედნიდან გადმოსაცემი რეპორტაჟები. „ამ წუთებში მე გაქროლებულ ტანკებს შევცქერი და...“ სწორედ ასევე ინიშნებოდა იზოტოვის, სტახანოვის, დუსია ვინოგრადოვას პირადი ინიციატივა, მასიური შესვლა კოლმეურნეობებში, ინიშნებოდნენ და იცვლებოდნენ სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირები, იგეგმებოდა მუშათა მოთხოვნები სახელმწიფო სესხის გამოშვებაზე, უქმე დღეების გარეშე მუშაობაზე; სწორედ ასევე იყო განსაზღვრული საერთო სახალხო სიყვარული ბელადისათვის, წინასწარ ინიშნებოდნენ საზღვარგარეთის საიდუმლო აგენტები, დივერსანტები, ჯაშუშები, შემდეგ კი რთული, ჯვარედინა დაკითხვებისას იწერებოდა ოქმები, რომლებშიც, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ კონტრრევოლუციურ დამქაშებთან თავიანთი კავშირის არამცოდნე ბუხჰალტრები, ინჟინრები, იურისკონსულტები აღიარებდნენ საკუთარ მრავალწახნაგოვან ტერორისტულ-ჯაშუშურ მოღვაწეობას და ამას ხელის მოწერით ადასტურებდნენ. აი, ასევე დგებოდა წერილების ტექსტები, რომლებსაც დედები მიკროფონის წინ გაქვავებული ხმით კითხულობდნენ და თავიანთ ჯარისკაც შვილებს მიმართავდნენ. ასევე წინასწარ გახლდათ დაგეგმილი ფერაპონტ გოლოვატის პატრიოტული აღმაფრენა. წინასწარ ინიშნებოდნენ თავისუფალი დისკუსიის მონაწილენი, თუკი მაინცდამაინც საჭირო გახდებოდა თავისუფალი დისკუსია. გამომსვლელთა ტექსტი იმთავითვე შეთანხმებული და შედგენილი გახლდათ.

და უცებ ხუთ მარტს გარდაიცვალა სტალინი. ეს სიკვდილი მექანიზირებული ენთუზიაზმის, რაიკომების მითითებით დაგეგმილი სახალხო მრისხანებისა და სახალხო სიყვარულის გიგანტურ სისტემაში შეიჭრა.

სტალინი დაუგეგმავად, დირექტიული ორგანოების მითითების გარეშე მოკვდა. სტალინი თვით ამხანაგი სტალინის პირადი მითითების გარეშე გარდაიცვალა. ამ თავისუფლებაში, სიკვდილის თავისნება ჭირვეულობაში იყო რაღაც ფეთქებადი, რომელიც სახელმწიფოს ყველაზე ფარულ არსსაც ეწინააღმდეგებოდა. მღელვარებამ მოიცვა გონება და გულები.

სტალინი მოკვდა ზოგს მწუხარება შემოენთო: სკოლებში პედაგოგები ბავშვებს აჩოქებდნენ და ცხარე ცრემლის ფრქვევით კითხულობდნენ მთავრობის ცნობას ბელადის სიკვდილზე. დაწესებულებებსა და ქარხნებში გამართულ სამგლოვიარო შეკრებებზე ბევრს ისტერიკა ემართებოდა, ისმოდა ქალების შეშლილი წამოძახილები, ქვითინი. ზოგიერთს გულიც მისდიოდა. გარდაიცვალა უდიდესი ღმერთი, მეოცე საუკუნის კერპი და ქალები ქვითინებდნენ...

სხვები ბედნიერები იყვნენ. სტალინის ფოლადისებური ხელის ქვეშ წელგაწყვეტილმა სოფელმა შვებით ამოისუნთქა.

ზეიმობდა ბანაკების მრავალმილიონიანი მოსახლეობა.

..კუნაპეტ ღამეში დაპატიმრებულთა კოლონები სამუშაოდ მიდიოდნენ. ოკეანის ღმუილი ძაღლების ყეფას ახშობდა. და უცებ, თითქოს ჩრდილოეთის ციალივით გაიბრწყინა რიგებში: სტალინი მოკვდა! ათეული ათასობით პატიმარი ჩურჩულით გადასცემდა ერთმანეთს: „ჩაძაღლდა... ჩაძაღლდა:“ და ათასთა და ათასთა ჩურჩული ქარივით აგუგუნდა. შავი ღამე იდგა პოლარულ მიწაზე, მაგრამ ყინულოვანი ოკეანის ყინული უკვე ჩამტყდარიყო და ოკეანე ღმუოდა...

ცოტა როდი იყო ის ნასწავლი თუ მუშა ხალხი, რომელსაც ამ ცნობის მოსმენისას მწუხარებაც მოეძალათ და ბედნიერებისაგან ცეკვის სურვილიც გაუჩნდათ.

მღელვარება იმ წამს დაეუფლათ, როცა რადიო სტალინის ჯანმრთელობის ბიულეტენს აცხადებდა: „ჩეინ სტოკსის სუნთქვა... შარდი... პულსი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის წნევა...“ გაღმერთებულმა მეუფემ უცებ თავისი ბებრული, დაუძლურებული სხეული აღმოაჩინა.

სტალინი მოკვდა! იყო ამ სიკვდილში თავისუფალი მოულოდნელობა. ასე უსაზღვროდ უცხო სტალინური სახელმწიფოს ბუნებისათვის.

ამ მოულოდნელობამ სახელმწიფო შეაზანზარა. სწორედ ისე, როგორც 1941 წლის 22 ივნისმა.

მილიონობით ხალხს სურდა მიცვალებულის ნახვა. სტალინის დაკრძალვის დღეს კავშირთა სახლს არა მარტო მოსკოვი, არამედ ოლქები, რაიონები მიაწყდნენ. პერიფერიების სატვირთო მანქანების რიგი კილომეტრებზე გაიჭიმა. სერპუხოვომდე მოძრაობა ჩაიკეტა. მერე კი — სერპუხოვოსა და ტულას შორის შოსეზეც.

ფეხით მოსიარულეთა მილიონები მოსკოვის ცენტრისკენ მიდიოდნენ. ხალხის შავი ნაკადი, დგაფუნა მდინარეების დარად, ერთმანეთს ახლებოდა, ასფალტს ენარცხებოდა, ჰყლეტდა და ფშვნიდა მანქანებს, გლეჯდა თუჯის ჭიშკრებს. ამ დღეს ათასები დაიღუპნენ. მეფის კურთხევის დღე ხოდინკაზე, მიწიერი რუსი ღმერთის, გორელი ჩოფურა მეწაღის შვილის სიკვდილის დღესთან მთლად გაუფერულდა.

ხალხი თითქოს მონუსხული, ქრისტიანული თუ ბუდისტური მისტიკური განწირულებით მიემართებოდა დასალუპავად. თითქოს, სტალინი, დიადი მწყემსი, დაკლებულ ცხვრებს აგროვებდა და სიკვდილის შემდეგაც გამორიცხავდა შემთხვევითობის ელემენტს თავისი მრისხანე გენერალური გეგმიდან.

სხდომაზე შეკრებილი სტალინის თანამებრძოლები მოსკოვის მილიციისა და საცხედრეების გამაოგნებელ ცნობებს კითხულობდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. მათი დაბნეულობა დიადი სტალინის გარდაუვალი მრისხანების წინაშე შიშის უქონლობის ახალმა, მათთვის უჩვეულო გრძნობამ გამოიწვია. პატრონი მკვდარი გახლდათ.

5 აპრილს ნიკოლაი ანდრეევიჩმა დილაადრიან ცოლი გააღვიძა და სასოწარკვეთილმა უყვირა:

— მაშ! ექიმები უდანაშაულონი არიან! მაშ, მათ აწამებდნენ!

სახელმწიფომ აღიარა საშინელი დანაშაული. აღიარა, რომ დაპატიმრებული ექიმების დაკითხვებისას აკრძალული მეთოდები იქნა გამოყენებული.

ბედნიერების პირველი წუთების, საოცარი სულიერი სიმსუბუქის შემდეგ, ნიკოლაი ანდრეევიჩს მოულოდნელად უცნობი, სიცოცხლეში პირველად განცდილი ბუნდოვანი, მტანჯველი გრძნობა დაეუფლა.

ეს იყო დანაშაულის ახალი, უცნაური და განსაკუთრებული გრძნობა საკუთარი სულიერი სისუსტისათვის, მიტინგებზე გამოსვლის, კოლექტიურ წერილზე, რომელშიც მკვლელ ექიმებს გმობდნენ, ხელისმოწერისთვის, თავისი მზადყოფნისათვის უეჭველ სიცრუეს დათანხმებოდა, იმისათვის, რომ ეს თანხმობა მასში გულის სიღრმიდან, ნებაყოფილობით იბადებოდა.

სწორად ცხოვრობდა თუ არა იგი? მართლაც, ისეთი პატიოსანი გახლდათ, როგორც გარშემომყოფთ მიაჩნდათ?

სულში მონანიე, მტანჯველი გრძნობა იზრდებოდა და ძლიერდებოდა.

იმ დროს, როცა ღვთიურმა, შეუმცდარმა სახელმწიფომ თავისი დანაშაული აღიარა, ნიკოლაი ანდრეევიჩმა მისი მოკვდავი, მიწიერი სხეული შეიგრძნო, სახელმწიფოს, ისევე როგორც სტალინს, გულის ამოვარდნები და შარდში ცილა ჰქონდა.

უკვდავი სახელმწიფოს ღვთიურობა, შეუცდომლობა თურმე ადამიანს არა მარტო თრგუნავდა, არამედ იცავდა კიდეც, მის უძლურებას სალბუნს სცხებდა და არარაობას ამართლებდა, სახელმწიფოს თავის რკინისებურ მხრებზე გადაჰქონდა პასუხისმგებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ტვირთი და ადამიანებს სინდისის ქიმერისაგან ათავისუფლებდა.

და ნიკოლაი ანდრეევიჩმა თავი თითქოს დედიშობილა დაინახა. თითქოს ათასი უცხო თვალი მისჩერებოდა მის შიშველ სხეულს.

და რაც უფრო უსიამო გახლდათ, ისიც ბრბოში იდგა, თავის გაშიშვლებულ ტანს შესცქეროდა, სხვებთან ერთად ათვალიერებდა ქალივით დაკიდებულ ძუძუებს, მომჩვარულ, ბევრი ჭამისაგან გაბერილ მუცელსა და მსუქან, თახთახა ნაკეცებს გვერდებზე.

დიახ, სტალინს გულის ამოვარდნები და შენელებული პულსი აღმოაჩნდა. სახელმწიფო, თურმე, შარდსაც გამოყოფდა და ნიკოლაი ანდრეევიჩი ერთიანად შიშველი დარჩა თავის კოვერკოტის კოსტიუმში.

— ოჰ, რა უსიამოვნო გახლდათ ეს თვითდათვალიერება: აუწერლად საძაგელი იყო საზიზღარი სია.

მასში შედიოდა საერთო კრებები და სამეცნიერო საბჭოს სხდომებიც, საზეიმო სადღესასწაულო სხდომანი და ლაბორატორიული ხუთწუთიანებიც, სტატიები, ორი წიგნი, ბანკეტები და სტუმრად სიარული ცუდ, მაგრამ საჭირო ხალხთან, ხმის მიცემაც, ხუმრობებიც ქეიფზე, კადრების განყოფილებათა გამგეებთან საუბრები, წერილებზე ხელმოწერებიც და მიღებები მინისტრთან.

მაგრამ ნიკოლაი ანდრეევიჩის ცხოვრებაში ცოტა როდი გახლდათ სხვანაირი წერილებიც: ისეთები, რომლებიც არ დაწერილან, თუმცა კი უფალმა უბრძანა მათ შექმნა. დუმილი იყო იქ, სადაც უფალს სიტყვის თქმა ებრძანებინა, იყო ტელეფონი, რომლითაც აუცილებლად უნდა დაერეკათ, მაგრამ არ დარეკილა, იყო შეხვედრები, რომლებიც უსათუოდ უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ შემდგარა, იყო გაუგზავნელი ფულიც, ტელეგრამებიც, ბევრი, ბევრი რამ არ იყო ნიკოლაი ანდრეევიჩის ცხოვრებისეულ სიაში.

ახლა უაზრობა გახლდათ, შიშველს, იმით ეამაყა, რითაც მუდამ ამაყობდა, სახელდობრ: არასოდეს დაუსმენია, ერთხელ კი, როცა ლუბიანკაზე გამოიძახეს, უარი თქვა დაპატიმრებულ თანამშრომელზე მაკომპრომეტირებელი ცნობები მიეცა. ქუჩაში, გადასახლებული ამხანაგის ცოლისათვის, ზურგი კი არ უჩვენებია, ხელი ჩამოართვა და ბავშვების ჯანმრთელობა იკითხა.

რაღა იყო საამაყო...

მთელი ცხოვრება მხოლოდ დიადი მორჩილებისაგან შედგებოდა...

აი, ივანიც, სამი ათეული წლის განმავლობაში დაეხეტებოდა იგი ციხეებსა თუ ბანაკებში და ნიკოლაი ანდრეევიჩს, რომელიც მუდამ ამაყობდა იმით, რომ ივანზე უარი არ უთქვამს, ოცდაათი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მიუწერია მისთვის. როცა თვით ივანმა მოიწერა, ნიკოლაი ანდრეევიჩმა თავის ბებერ დეიდას სთხოვა ეპასუხა.

ადრე ეს ყველაფერი ბუნებრივად ეჩვენებოდა და ახლა კი უცებ შეშფოთდა, გული მოეწურა.

აგონდებოდა, რომ 1937 წლის პროცესებთან დაკავშირებულ მიტინგზე იგი რიკოვისა და ბუხარინის სასიკვდილო განაჩენს აძლევდა ხმას.

ჩვიდმეტი წელი იქნებოდა ეს მიტინგები არ გახსენებია და უცებ მოაგონდა ისინი.

იმ დროისათვის უცნაური და სიგიჟის ტოლი რამ გახლდათ, როცა სამთო ინსტიტუტის პროფესორმა, რომლის გვარი ახლა ნიკოლაი ანდრეევიჩს აღარ ახსოვდა, და პოეტმა პასტერნაკმა უარი თქვეს ბუხარინის სასიკვდილო განაჩენისათვის დაეჭირათ მხარი. აკი თვით იმ ავაზაკებმა აღიარეს პროცესზე ყველაფერი. მათ ხომ საჯაროდ დაჰკითხავდა განათლებული, უნივერსიტეტელი ანდრეი იანუარევიჩ ვიშინსკი. მათი დანაშაული ხომ ყველასათვის უეჭველი, ცხადზე უცხადესი გახლდათ!

მაგრამ აი, ნიკოლაი ანდრეევიჩს მოაგონდა, რომ ეჭვები ჰქონდა ოდ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ონდ მას თავი ისე ეჭირა. თითქოს არაფერი ხდებოდა. დარწმუნებული რომც ყოფილიყო გულში ბუხარინის უდანაშაულობაში. ხომ მაინც სასიკვდილო განაჩენს მისცემდა ხმას? ნიკოლაი ანდრეევიჩისათვის უფრო ადვილი გახლდათ არ დაეჭვებულიყო და ხმაც მიეცა. და ისიც თავს იტყუებდა. რომ არაფერი ეეჭვებოდა. ხმა რომ არ მიეცა. არც შეიძლებოდა. მას ხომ სჯეროდა ლენინ-სტალინის პარტიის დიადი მიზნებისა. ხომ სჯეროდა. რომ ისტორიაში პირველად აშენდა სოციალისტური საზოგადოება კერძო საკუთრების გარეშე. რომ სოციალიზმს სახელმწიფოს დიქტატურა სჭირდებოდა. ბუხარინის დანაშაულში დაეჭვება, ხმის მიცემაზე უარის თქმა ძლევამოსილ სახელმწიფოში. მის დიად მიზნებში დაეჭვებას ნიშნავდა.

მაგრამ ამ უწმინდეს რწმენაშიც ხომ, სადღაც, გულის სიღრმეში, ეჭვი დაფუთფუთებდა.

ნუთუ სოციალიზმია ეს — ამ საზარელი ბანაკებით. კოლექტივიზაციის დროს კაციჭამიობით და მილიონობით ადამიანის ხოცვით? ესეც ხომ ხდებოდა. რომ ცნობიერების სიღრმეში. რაღაც სხვაც შეიპარებოდა გულში. მეტად არაადამიანური იყო ტერორი. მეტად დიდი გახლდათ მუშებისა და გლეხების ტანჯვა.

დიახ. დიახ. თაყვანისცემაში. დიად მორჩილებაში გავიდა მისი ცხოვრება. შიმშილის. წამების. ციმბირული კატორღის წინაშე შიში. მაგრამ განსაკუთრებით ბილწი შიშიც ჰქონდა: მარცვლოვანი. შავი ხიზილალის ნაცვლად. წითელი არ მიელო. და ამ ხიზილალიან. ბილწ შიშს ემსახურებოდა სამხედრო კომუნიზმის დროინდელი სიჭაბუკის ოცნებები. ოღონდ კი არ დაეჭვებულიყო. ოღონდ კი უკან მოუხედავად მიეცა ხმა. ხელი მოეწერა. დიახ. დიახ. საკუთარი ტყავის გადარჩენისათვის შიში ასაზრდოებდა მის იდეურ ძალას.

და უცებ სახელმწიფო შეზანზარდა. ექიმებს ვაწამებდითო. აბლუკუნდა. ხვალ იგი აღიარებს. რომ ბუხარინს. ზინოვიევს. კამენევს. რიკოვსა და პიატაკოვს აწამებდა. რომ მაქსიმ გორკი ხალხის მტრებს არ მოუკლავთ. ზეგ კი სახელმწიფო იმაშიც გამოტყდებოდა. რომ მილიონობით გლეხი ტყუილად დაიღუპა.

და აღმოჩნდებოდა. რომ ყოვლისშემძლე. შეუმცდარი სახელმწიფო კი არ აიღებდა პასუხისმგებლობას ჩადენილზე. არამედ ნიკოლაი ანდრეევიჩს უნდა ეზღო ყველაფერი. ის კი არ ეჭვობდა. ყველაფერს ხმას აძლევდა და ხელსაც აწერდა. ისე გავარჯიშდა საკუთარი თავის მარჯვედ მოტყუებაში. რომ არავინ. არავინ. თვითონაც კი. ველარ ამჩნევდა ამას. გულწრფელად სჯეროდა თავისი რწმენის და პატიოსნებისა.

საკუთარი თავის სიძულვილი. ეს მტანჯველი გრძნობა იმდენად დიდი იყო. ხანდახან სახელმწიფოსადმი მწარე. გამყინავი საყვედურიც მოადგებოდა ენას. რატომ. რატომ აღიარა მან ყველაფერი! განა არ სჯობდა. გაჩუმებულიყო? მას არ ჰქონდა უფლება ეღიარებინა. დაე. ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო.

პროფესორი მარგოლინიც რა დღეში უნდა ყოფილიყო. როცა განაცხადა. რომ ინტერნაციონალიზმის დიადი საქმისათვის მკვლელ ექიმებს კი არა. საკუთარ შვილებს — ურიებსაც კი დახოცავდა.

აუტანელია მრავალი წლის მორჩილი სისაძაგლის საკუთარი სინდისით ზიდვა.

მაგრამ თანდათან ეს მძიმე გრძნობა მიყუჩდა. თითქოს ყველაფერი შეიცვალა და ამავე დროს. როგორც გამოირკვა. არაფერი შეცვლილა.

ინსტიტუტში მუშაობა შეუდარებლად ადვილი. მშვიდი გახდა. განსაკუთრებით ეს მაშინ იგრძნეს. როცა რისკოვმა თავისი უხეშობით მაღალი ინსტანციების უკმაყოფილება გამოიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია და იგი დირექტორის პოსტიდან მოხსნეს.

წარმატება, რომელზეც ნიკოლაი ანდრეევიჩი ოცნებობდა, ბოლოს და ბოლოს მოვიდა. ეს იყო არა საუწყებო, სამინისტროსეული, არამედ ნამდვილი, დიდი წარმატება. ის ბევრ რამეში იგრძნობოდა — საჟურნალო სტატიებში, სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეთა გამონათქვამებში, მეცნიერ-თანამშრომლებისა და ლაბორანტების ალტაცებულ მზერაში, წერილებში, რომლებსაც იგი იღებდა.

ნიკოლაი ანდრეევიჩი უმაღლეს სამეცნიერო საბჭოშიც შეიყვანეს. ცოტა ხანში კი აკადემიის პრეზიდიუმმა ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელად დაამტკიცა.

ნიკოლაი ანდრეევიჩს განდევნილი კოსმოპოლიტებისა და იდეალისტების მოწვევაც სურდა, მაგრამ კადრების განყოფილების უფროსის, საყვარელი და კარგი გარეგნობის, მაგრამ მეტად ჯიუტი ქალის, დარწმუნება შეუძლებელი შეიქნა: ერთადერთი, რისი გაკეთებაც შესძლო, სამუშაოდან დათხოვილებისათვის შტატგარეშე სამუშაოს მიცემა მოახერხა.

და ახლა, როცა მანდელშტამს შესცქეროდა, ნიკოლაი ანდრეევიჩი ფიქრობდა: ნუთუ ამ საცოდავ და უმწეო კაცს, რომელსაც ინსტიტუტში თარგმანებისა და ანოტაციების მთელი შეკვრა მოჰქონდა, რამდენიმე წლის წინათ საზღვარგარეთის პრესა უძლიერეს, თითქმის დიად მეცნიერსაც კი უწოდებდა. ნუთუ მისი შექება სწყუროდა ასე ნიკოლაი ანდრეევიჩს?

ადრე მანდელშტამი სულ აჩაჩულ-დაჩაჩული დადიოდა, ახლა კი ინსტიტუტში თავის საუკეთესო კოსტიუმში გამოწყობილი მობრძანდებოდა. ნიკოლაი ანდრეევიჩი ამაზე როგორღაც გაეხუმრა; და მანდელშტამმა უთხრა: „უმუშევარ მსახიობსაც, კარგად უნდა ეცვასო“.

და აი, ახლა, როცა ნიკოლაი ანდრეევიჩი, წარსულს იხსენებდა, მწარე და სასიხარულო იყო ივანთან შეხვედრაზე ფიქრი. ოდესღაც, ოჯახში, მტკიცედ დამკვიდრდა აზრი, რომ ვანია ყველა თავის თანატოლს აღემატებოდა გონებითა თუ ტალანტით და თვით ნიკოლაი ანდრეევიჩი, რომელსაც მაინცდამაინც ამისი არა სჯეროდა, გულის სიღრმეში კი საერთოდ უარყოფდა, ამ აზრს ემორჩილებოდა.

ვანია თვალისდახამხამებაში გადაიკითხავდა მათემატიკურ და ფიზიკურ წიგნებს, თანაც მათ მოსწავლისებურად, მორჩილად კი არ გაარჩევდა, არამედ ყოველთვის თავისებურად, უცნაურად. ბავშვობიდანვე ძერწვის ნიჭი გამოჰყვა. საკმაოდ კარგად გადაჰქონდა თიხაში ცხოვრებაში შემჩნეული სახის გამომეტყველება, უცნაური ჟესტი, განსაკუთრებით კი, მოძრაობა. მათემატიკის სიყვარულთან ერთად, და ეს უკვე მართლაც უჩვეულო გახლდათ, მას ძველი აღმოსავლეთი იზიდავდა, კარგად იცნობდა ლიტერატურას პარტიულ ხელნაწერებსა თუ ძეგლებზე.

მის ხასიათში ბავშვობიდანვე უცნაურად შერწყმულიყო ის თვისებები, რომლებიც თითქოს ერთ ადამიანში არასოდეს თავმოყრილა.

პატარა რეალისტმა ერთხელ ჩხუბში თავის მოწინააღმდეგეს, თავი გაუტეხა, რისთვისაც ორი დღე და ღამე დააკავეს. ამავე დროს იგი მორიდებული, მორცხვი და მგრძნობიარე გახლდათ. სახლის უკან, ერთ კუთხეში, დაგლახავებული ცხოველების მთელი საავადმყოფო ჰქონდა გამართული, რაღა არ ჰყავდა იქ: თათწაჭრილი ძაღლი, ბრმა კატა, სახსარამოგდებული და ფრთაჩამოგდებული ნაღვლიანი ჭკა.

სტუდენტობისას ივანი თავაზიანობისა, სიკეთესა და მორცხვობასთან ერთად, შეუბრალებელ უკმეხობასაც ავლენდა, რის გამოც შინაურებიც განაწყენებული ჰყავდა.

შესაძლოა, სწორედ ამ თვისებების გამო აერია ასე ცხოვრება და ახლობელთა მოლოდინიც გააცრუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოციან წლებში ბევრმა ახალგაზრდამ თავისი სოციალური წარმოშობის გამო სწავლა ვერ შეძლო. მემამულეთა, სამხედროების, მღვდლების, ფაბრიკანტებისა და ვაჭრების შვილებს უმაღლეს სასწავლებლებში არ იღებდნენ.

ივანი მიიღეს უნივერსიტეტში, იგი მშრომელი, ინტელიგენტური ოჯახიდან გახლდათ, კლასობრივი თვალსაზრისით სასტიკი საუნივერსიტეტო წმენდაც ადვილად გაიარა.

შესაძლებელი რომ გამხდარიყო და ივანს ცხოვრება თავიდან დაეწყო, ახლანდელი სასტიკი სიძნელეები, ანკეტის მეხუთე პუნქტთან, კერძოდ, ეროვნებასთან რომ იყო დაკავშირებული, სრულიადაც არ შეეხებოდა.

მაგრამ ივანს მართლაც ახლა რომ დაეწყო ცხოვრება, ალბათ, ისევ და ისევ მარცხიანი გზით ივლიდა.

მაშასადამე, ეს ყველაფერი სრულებითაც არ ყოფილა განსაზღვრული გარეგანი პირობებით. ივანის უიღბლო, მწარე ბედი თვით მასზე გახლდათ დამოკიდებული.

უნივერსიტეტის ფილოსოფიის შემსწავლელ წრეში ივანი გაცხარებული ეკამათებოდა დიამატის მასწავლებელს. კამათი გრძელდებოდა მანამ, სანამ წრე არ დაშალეს.

მაშინ ივანი აუდიტორიაში დირექტორის წინააღმდეგ გამოვიდა და განაცხადა, რომ თავისუფლება სიცოცხლის ტოლი სიკეთეა და მისი შეზღუდვა ადამიანებს იმ ნაჯახის დარტყმასავით ამახინჯებს, თითებსა და ყურებს რომ სჭრის; თავისუფლების მოსპობა კი მკვლელობის ტოლფასია. ამ სიტყვის შემდეგ იგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს და სამი წლით სემიპალატინსკის ოლქში გადაასახლეს.

მას შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ივანს თავისუფლებაში ერთ წელზე მეტი არ გაუტარებია. უკანასკნელად ნიკოლაი ანდრეევიჩმა იგი 1936 წელს ნახა, ხულახლა დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე. იმ დროიდან ივანმა ზედიზედ ცხრამეტი წელი გაატარა ბანაკებში.

ბავშვობის და სტუდენტობის დროინდელ ამხანაგებს დიდხანს ახსოვდათ იგი და ხშირად იტყოდნენ: „ახლა ივანი აკადემიკოსი უნდა ყოფილიყო". „ჰო, განსაკუთრებული კაცი იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ გაუმართლა", ზოგი კი ამბობდა: „არა, რაც უნდა იყოს, მაინც სულელია".

ანია ზამკოვსკაიას, ივანის საყვარელს, ყველაზე დიდხანს ახსოვდა იგი.

მაგრამ დრომ თავისი ჰქნა, და ანია, ახლა უკვე ავადმყოფური, გაჭაღარავებული ანნა ვლადიმიროვნა, თეატრში ან შემოდგომაზე გასპრაში შეხვედრისას აღარ კითხულობდა ივანს.

იგი წავიდა, მხოლოდ მალულად არსებობდა ადამიანთა ცნობიერებაში, მათ მხურვალე თუ ცივ გულებში. სულ უფრო ძნელად ამოტივტივდებოდა ნაცნობთა მეხსიერებაში.

დრო კი კეთილსინდისიერად, აუჩქარებლად მუშაობდა. თავდაპირველად ცხოვრებიდან ამოიშალა კაცი, ადამიანთა მახსოვრობაში გადაინაცვლა. მერე ხსოვნაშიც დაკარგა ადგილი, ქვეცნობიერებაში ჩაიკარგა და ახლა იშვიათად თუ წამოიმართებოდა ვანკა-სტანკასავით, თავისი უეცარი, წამიერი და მოულოდნელი გამოჩენით გაშინებდა.

დრო კი მუშაობდა და თავის საოცარ უბრალო მიწის სამუშაოს ასრულებდა. ივანმაც ფეხი მოიმარჯვა თავისი მეგობრების ქვეცნობიერების ბნელი სარდაფიდან სამუდამო საცხოვრებლად უსასრულობაში, სამუდამო დავიწყებაში გადასაბიჯებლად.

მაგრამ ახალი, სტალინის შემდგომი დროც დადგა და მას ბედმა კვლავ ისევ იმ ცხოვრებაში დაბრუნება არგუნა, რომელმაც ივანზე ფიქრს თავი ანება და მისი სახეც დაივიწყა.

4

იგი საღამოს მოვიდა.

ამ შეხვედრისას ერთმანეთში აირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხვი სადილის გაფუჭების გამო წყენაც, მღელვარებაც და გაჭაღარავებული თავის, ნაოჭებისა და განვლილი ცხოვრების შესახებ ჩივილიც. აუწყლიანდა თვალები ნიკოლაი ანდრეევიჩს — სწორედ ასე ახმაურდება ხოლმე ქექაქუხილის შემდეგ წყალი, მშრალ, თიხიან ხრამებში, და ატირდა მარია პავლოვნა, მეორედ გამოიტირა ვაჟი.

პარკეტიანი იატაკის, წიგნის კარადების, სურათებისა და ქაღების სამყაროს არ შეეფერებოდა მუქი, ნაოჭიანი სახე, დაბამბული ქურთუკი და უხერხულად გაბოტებული ჯარისკაცური წაღები ბანაკის სამყაროს კაცისა.

ივან გრიგორიევიჩი მღელვარების დამალვას ცდილობდა, ბიძაშვილს ცრემლებისაგან დანისლული, თვალებით უმზერდა და მერე უთხრა:

— ნიკოლაი, უპირველეს ყოვლისა, აი, რა: მე არაფერს გთხოვ: არც ჩაწერას, არც ფულსა და სხვა დანარჩენს. ჰო, მართლა, უკვე აბანოშიც ვიყავი და მკბენარს არ შემოგიყვან:

ნიკოლაი ანდრეევიჩმა თვალები მოიწმინდა და სიცილი აუტყდა.

— გათეთრებულა, ნაოჭი მორევია და მაინც ისეთივეა, ისეთივე, ჩვენი ვანია.

და მან ჰაერში ხელით წრე შემოხაზა, მერე კი ამ მოჩვენებით წრეს თითი ატაკა:

აუტანელი, პირდაპირი და თანაც, ეშმაკმა იცის შენი თავი, კეთილი.

მარია პავლოვნა ნიკოლაი ანდრეევიჩს შესცქეროდა, დილით იგი ქმარს უმტკიცებდა, რომ უმჯობესი იქნებოდა ივან გრიგორიევიჩს აბანოში ებანავა. აბაზანაში ხეირიანად ვერ იბანავებდა, თუმცა ბანაობის შემდეგაც ივანს მჟავით და თუთქითაც ვერ გარეცხდი.

არაფრისმთქმელ საუბარში მხოლოდ სიცარიელე როდი იყო: ღიმილი, მზერა ხელის მოძრაობანი და ჩახველებაც, ყველაფერი ეს ეხმარებოდათ გულის გადაშლაში, რაიმეს განმარტებასა თუ ახლად გაგებაში.

ნიკოლაი ანდრეევიჩს ძალიან უნდოდა თავის თავზე ეამბნა, იმაზე მეტად სურდა, ვიდრე ბავშვობა მოეგონებინა და გარდაცვლილი ნათესავები ჩამოეთვალა, ვიდრე ივანისათვის ეკითხა რაიმე, მაგრამ რაკილა კარგად აღზრდილი გახლდათ, ესე იგი, იმის გაკეთება და ლაპარაკი შეეძლო, რაც არ სურდა, მან თქვა:

— კარგი იქნებოდა, სადმე აგარაკზე წავსულიყავით, სადაც ტელეფონები არაა და გვესმინა შენთვის კვირაობით, ერთ-ორ თვეს.

ივან გრიგორიევიჩმა წარმოიდგინა, სააგარაკო სავარძელში ჩამჯდარი, ღვინის წრუპვით, როგორ მოჰყვებოდა ადამიანებზე, რომლებიც მარადიულ წყვდიადს შეერთვნენ. მრავალი მათგანის ბედი ისე საოცრად ნაღვლიანი იყო, რომ მათზე ნათქვამი ყველაზე ნაზი, ყველაზე ჩუმი და კეთილი სიტყვაც კი გაშიშვლებულ, დაფლეთილ გულზე ხორკლიანი, უხეში ხელის შეხებას ემსგავსებოდა. მათი ხელის ხლება არ შეიძლებოდა.

ივანმა თავი გააქნია და თქვა:

— ჰო, ჰო, ჰო, — ათას ერთი პოლარული ღამის ზღაპრები.

იგი აღელვებული იყო. სადღაა კოლია: ნუთუ ისაა, გაქექილი რატინის ბლუზაში, იღლიაში ამოჩრილი ინგლისური წიგნით, გონებამახვილი და თავაზიანი, თუ ეს — დიდი, თიმთიმალოყებიანი კაცი, ცვილისებური სიქაჩლით.

ივანი ყოველთვის ძლიერი გახლდათ. რაიმეს ასახსნელად, ნუგეშის მისაღებად მუდამ მას მიმართავდნენ. ზოგჯერ თვით ბანაკის სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბარაკის „ინდიის“ მკვიდრნიც კი თხოვდნენ სიტყვას. ერთხელ, ქურდებსა და „ძაღლებს“ შორის ატეხილი დანების ტრიალის შეჩერებაც შეძლო. სხვადასხვა ყაიდის ხალხი სცემდა პატივს: მავნებელი ინჟინრები და ჩამოძონძილი მოხუცი, ყოფილი კავალერგარდი, დენიკინის პოდპოლკოვნიკი — სისო ხერხის ოსტატი და ებრაულ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში ექვმიტანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მინსკელი ექიმი-გინეკოლოგი; ყირიმელი თათარი, რომელიც ერთთავად იმაზე წუწუნებდა, მისი თანამემამულენი თბილი ზღვის სანაპიროებიდან ტაიგაში რომ განდევნეს და კოლმეურნე, ერთი ტომარა კარტოფილი რომ აეწაპნა კოლმეურნეობაში, რათა პატიმრობის ვადის ჩათავების შემდეგ კოლმეურნეობას არ დაბრუნებოდა და ბანაკის ცნობით, ქალაქის ექვსთვიანი პასპორტი მიეღო.

მაგრამ ამ დღეს ივანს სურდა, ვილაცის კეთილ ხელს ზურგიდან ტვირთი ჩამოეხსნა მისთვის. და მან იცოდა, რომ მხოლოდ ერთი ძალა არსებობდა, რომლის წინაშე საოცარი და სასიამოვნოცაა ბავშვი და უმწეო გამოჩნდე — ეს გახლდათ დედის ძალა. მაგრამ დედა დიდ ხანია აღარ ჰყავდა და არავინ იყო ტვირთი შეემსუბუქებინა მისთვის.

ნიკოლაი ანდრეევიჩს სრულიად უნებურად უცნაური გრძნობა გაუჩნდა. ივანის მოლოდინში გულაჩუყებული ფიქრობდა ბოლომდე გულახდილი ვიქნები მასთან, ისე როგორც არავისთან ცხოვრებაშიო. მას სურდა აღსარება ეთქვა ივანისათვის, მორჩილად ეამბნა სინდისის ქენჯნაზე, თავის მწარე და საზიზღარ სისუსტეზე.

დაე, ვანიამ განსაჯოს იგი. თუ შეძლებს — გაუგებს, აპატიებს, არადა, ღმერთმა კარგად ამყოფოს. ნიკოლაი ანდრეევიჩი ღელავდა, ცრემლები თვალს უბურავდნენ. ხანდახან, თავისთვის, ნეკრასოვის სტრიქონებს იმეორებდა:

Сын пред отцом преклонился.
Ноги омыл старику.

მას სურდა ბიძაშვილისთვის დაემტკიცებინა: „ვანია, ვანეჩკა, სისულელეა, უცნაურია, მაგრამ მშურს შენი, მშურს, რომ იმ საშინელ ბანაკში არავინ გავალებდა ხელი მოგეწერა საძაგელ წერილებზე. უდანაშაულოთა სიკვდილის განაჩენისათვის ხმა არ მიგიცია, არც უნამუსო სიტყვებით გამოსულხარ..."

და უცებ, მოულოდნელად, როგორც კი ივანი დაინახა, სრულიად საწინააღმდეგო გრძნობა გაუჩნდა. ქურთუკდაბამბული, ჯარისკაცის წაღებიანი კაცი, ყინვითა და ბარაკის მხუთრით დანაოჭებული სახით, უცებ, უცხო, ბოროტი და მტრული ეჩვენა.

ასეთივე გრძნობა უჩნდებოდა საზღვარგარეთ მოგზაურობის დროსაც. ნაპატივებ უცხოელებთან თავის ეჭვებზე ლაპარაკი, გადატანილი სიმწარის განდობა უაზრობად ეჩვენებოდა. უცხოელებს თავის წუხილზე კი არა, მხოლოდ მთავარსა და უდავოზე ელაპარაკებოდა: საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიულ მიღწევებზე. ნიკოლაი ანდრეევიჩი თავს და სამშობლოს იცავდა მათგან.

როგორ იფიქრებდა ამგვარი გრძნობა თუ გაუჩნდებოდა ივანის დანახვისას? რატომ? რისთვის? მაგრამ სწორედ ასე კი მოხდა.

ეჩვენებოდა, რომ ივანი მისი ცხოვრებისათვის ხაზის გადასასმელად მოვიდა. აი, ახლა კი დაამცირებს, ქედმაღლურად, მედიდურად დაუწყებს ლაპარაკს.

და ნიკოლაი ანდრეევიჩს ძალიან სურდა გაეგებინებინა, აეხსნა ივანისათვის, რომ ყველაფერი შეიცვალა და გადასხვაფერდა, რომ ძველი შეფასებანი უარყოფილია და ივანი დამარცხებული, გატეხილია. მისი მწარე ბედი შემთხვევითობა არაა. დიახ, დიახ, ჰალარა, უილბლო სტუდენტი... რა გააჩნია, რა ელოდება წინ?

და, ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან, ასე ჯიუტად მოუნდა ნიკოლაი ანდრეევიჩს ივანისათვის ყველაფერი ეს მიეხალა, მან აშკარა საწინააღმდეგო რამ თქვა:

— მართლაც რა კარგია, რაც მთავარია, ვანია, ჩვენ თანასწორნი ვართ. და მინდა გითხრა: თუ დაკარგული ათწლეულებით, დალუპული ცხოვრებით გამოწვეულ სინანულსა გრძნობ, ახლა, როცა იმ ხალხს შეხვდები, ვისაც ეს წლები შეშისმჭრელად და მიწის მთხრელად არ უმუშავია და წიგნს წერდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ოდესმე აკეთებდა — მოიცილე ის სინანული! მთავარია, ვანეჩკა, რომ შენ მათი ტოლი ხარ, ვისაც მეცნიერება წინ მიჰყავს, ვინც ცხოვრებასა და შრომაში დაწინაურებულა.

და მან იგრძნო, როგორ აუკანკალდა აღელვებისაგან ხმა და გულიც ტკბილად შეუთრთოლდა.

ნიკოლაი ანდრეევიჩმა დაინახა როგორ შეცბუნდა ივანი, ისევ დაებინდა ცრემლებით მარია პავლოვნას თვალები.

ნიკოლაი ანდრეევიჩს ხომ უყვარდა ივანი, უყვარდა, მთელი ცხოვრება უყვარდ იგი. მარია პავლოვნას, ქმრის სულიერი ძალა ასე სრულად არასოდეს შეუცვნია, როგორც ახლა, ამ წუთებში, როცა მას უბედური ივანის გამხნევება სურდა. ქალმა კი იცოდა, ვინ იყო გამარჯვებული და ვინ დამარცხებული.

მართლაც საოცარია, მაგრამ იმ დროსაც კი, როცა „ზის“—ის მანქანამ ნიკოლაი ვნუკოვოს აეროდრომისაკენ გააქროლა ინდოეთში გასაფრენად, სადაც მას პრემიერ ნერუსათვის საბჭოთა მეცნიერთა დელეგაცია უნდა წარედგინა, მაშინაც კი არ შეუგრძვნია ასეთი სიღრმით მარია პავლოვნას საკუთარი წარმატებული ცხოვრებით მოგვრილი საზეიმო გრძნობა. ახლა იგი განსაკუთრებული იყო: დაღუპულ შვილზე დაღვრილი ცრემლებით, სიბრალულითა და ამ ჭაღარა, მოუხეშავფეხსაცმლიანი კაცისადმი სიყვარულით გაზავებული.

— ვანია,—უთხრა ქალმა. — მე თქვენთვის მთელი გარდერობი მოვამზადე. თქვენ და კოლია ხომ ერთი სიმაღლისა ხართ.

ძველ კოსტიუმებზე საუბარი მარია პავლოვნამ არც ისე დროულად წამოიწყო და ნიკოლაი ანდრეევიჩმა თქვა:

— ღმერთო ჩემო, რა საჭიროა ასეთ უბრალო რამეზე ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ვანია, მთელი გულით.

— აქ საქმე გულში როდია, — უთხრა ივან გრიგორიევიჩმა. — შენ ხომ სამჯერ უფრო სრული ხარ ჩემზე.

მარია პავლოვნამ ივანის ყურადღებიანი და თითქოს ცოტა თანამგრძნობი მზერა დაიჭირა. ქმარი მეტად მოკრძალებულად იქცეოდა, და, ჩანს, ეს უმლიდა ვანიას ნიკოლაი ანდრეევიჩისადმი ძველი, შემწყნარებლური დამოკიდებულება დაეძლია.

ივან გრიგორიევიჩმა არაყი დალია და სახეზე ლუქისებრი სიწითლე შეეპარა.

მან ძველი ნაცნობები მოიკითხა.

ნაცნობთაგან ბევრი ნიკოლაი ანდრეევიჩს წლების განმავლობაში არ შეხვედრია, უმრავლესობა ცოცხალი აღარ იყო. ყველაფერი, რაც აკავშირებდათ: საერთო მღელვარება, საქმე, წარსულს ჩაბარდა; გაიყარა გზები, აღარ იყო სინანული და ნაღველი მათ გამო, ვინც მიწერ-მოწერის ნებადაურთველად და სამუდამოდ წავიდა. მათი მოგონება ნიკოლაი ანდრეევიჩს არ სურდა.

მას იმ ხალხზე სურდა ლაპარაკი, რომელთაც ივან გრიგორიევიჩი არ იცნობდა. მათთან ხომ ნიკოლაი ანდრეევიჩის ცხოვრება იყო დაკავშირებული. ამ ხალხზე საუბრით იგი უმთავრესს მიადგებოდა: საკუთარ თავზე დაიწყებდა ლაპარაკს.

დიახ, სწორედ ამ წუთებში უნდა დაეღწია თავი ამ ინტელიგენტური მატლის, დანაშაულის გრძნობის და თავს რომ გადახდენია იმ საოცრებების, უკანონობის შეგრძნებისაგან. მონანიება კი არა, დამტკიცება სურდა.

და ისიც მოჰყვა იმ ხალხზე, რომელთაც მთელი გულით სძულდათ იგი, არ ესმოდათ და არც აფასებდნენ მას. ლაპარაკობდა იმ ადამიანებზე, რომელთა დასახმარებლად დღესვე მზად იყო.

— კოლენკა, — უცებ წამოილაპარაკა მარია პავლოვნამ. — შენ ანა ზამკოვსკაიაზე თქვი რამე.

და ცოლ-ქმარმა მაშინვე შეატყო ივან გრიგორიევიჩს მღელვარება.

ნიკოლაი ანდრეევიჩმა ჰკითხა:

— ის ხომ გწერდა წერილებს?

— უკანასკნელი წერილი თვრამეტი წლის წინათ მოვიდა.

დიახ, დიახ, ანა გათხოვილია. ქმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკო-ქიმიკოსი ჰყავს. მოკლედ. ატომის საქმეებზე მუშაობს. ლენინგრადში ცხოვრობენ. წარმოიდგინე, სწორედ იმ ბინაში, სადაც ადრე ახლობლებთან ერთად ცხოვრობდა. ჩვეულებრივ. შემოდგომობით, აგარაკზე ვხვდებით ხოლმე... ადრე ყოველთვის გკითხულობდა, ომის შემდეგ კი. სიმართლე რომ ვთქვა. აღარ ვეხსენებიან.

ივან გრიგორიევიჩმა ჩაახველა და ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა:

— მე კი. წერა რომ შეწყვიტა. ვფიქრობდი. გარდაიცვალა-მეთქი.

— ჰო, მანდელშტამზე ვლაპარაკობდი. — თქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. — გახსოვს მოხუცი ზაოზერსკი? მანდელშტამი მისი საყვარელი მოსწავლე იყო. ზაოზერსკი ოცდაჩვიდმეტ წელში ჩამოაგდეს. საზღვარგარეთ დადიოდა. თავისუფლად ხვდებოდა ემიგრანტებს: იპატიევს, ჩიჩიბაბინს... ჰო. მანდელშტამი ხელად დაწინაურდა. ფინალი კი უკვე მოგიყევი, როცა იგი კოსმოპოლიტად და ასე შემდეგ, გამოაცხადეს... ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა. სისულელეა. მაგრამ თუ სიმართლე გინდა. ზაოზერსკის წყალობით, ერთიანად ევროპულ და ამერიკულ სამეცნიერო კავშირებში იყო გახლართული.

ნიკოლაი ანდრეევიჩს ეგონა. რომ ყველაფერს ამას ივანის გულისათვის ჰყვებოდა. ივანი ხომ მოძველებული, ბავშვური წარმოდგენებით ცხოვრობდა, ხომ უნდა გაერკვია დღევანდელობაში, და იქვე გაუელვა: „ღმერთო, როგორ გამჯდომია ლაქუცი და პირფერობა“.

უცქერდა ივანის მორჩილ, ყავისფერ ხელებს და უხსნიდა:

— შენ. ალბათ. არც ისე კარგად გესმის ეს ტერმინოლოგია: კოსმოპოლიტიზმი, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, ანკეტის მეხუთე პუნქტი. კოსმოპოლიტიზმი დაახლოებით მონარქიულ შეთქმულებას შეესაბამება კომინტერნის პირველი კონგრესის ეპოქაში. თუმცა შენ ხომ ბანაკში ყველა გინახავს: ისინიც, ვინც მოხსნილებს სცვლიდნენ, მერე ხომ თვითონაც იხსნებოდნენ და სარებზე შენს მეზობლად მკვიდრდებოდნენ. მაგრამ. ახლა. ვფიქრობ. ეს აღარ გვემუქრება: ცვლის პროცესი დასრულებულია. ნაციონალურმა საკითხმა ჩვენს ცხოვრებაში ამ ათწლეულების განმავლობაში ფორმიდან შინაარსში გადაინაცვლა გრანდიოზულად. უბრალოდ. მაგრამ ბევრს არ ესმის ეს უბრალოება. იცით. როცა ადამიანს აპანღურებენ, მას არ სურს ეს ისტორიის კანონზომიერებად აღიქვას. იგი მხოლოდ უაზრობას. შეცდომას ხედავს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენმა მეცნიერებმა. ტექნიკოსებმა რუსული საბჭოთა თვითმფრინავები. რუსული ურანის ქვაბები და ელექტრომანქანები შექმნეს და ამ სუვერენობას პოლიტიკური სუვერენობაც უნდა შეესაბამებოდეს.

მერე ნიკოლაი ანდრეევიჩი მოჰყვა. როგორ სძულდა შავსიელები. იმავ დროს იგი ხედავდა რომ მანდელშტამი და სავკინი. ეს უდავოდ ნიჭიერი ადამიანები. თითქოს დაბრმავებულიყვნენ და რაც ხდებოდა ირგვლივ. ყველაფერს მხოლოდ იუდოფობიას მიაწერდნენ და სხვა არაფერს. ასევე არ ესმოდათ პიქოვს. როდიონოვსა და სხვებს. რომ საქმე მხოლოდ რისკოვის უხეშობასა და შეუწყნარებლობაში როდი იყო; აქ ლაპარაკია ნაციონალურ მეცნიერებაზე, რომელსაც სწორედ ეს ახალი ხალხი ამტკიცებს.

ივან გრიგორიევიჩი ყურადღებით უცქერდა მოლაპარაკეს და ნიკოლაი ანდრეევიჩს გულში შიში შეეპარა, ისეთი. როგორიც ბავშვობაში მოეძალებოდა ხოლმე. როცა დედის ნაღვლიან მზერას დაიჭერდა და ხვდებოდა, ისე არ ლაპარაკობდა. როგორც საჭირო იყო. ამ გაურკვეველი გრძნობის მისაყურადებლად იგი გაცილებით გულმოდგინედ და დამაჯერებლად მსჯელობდა.

— მე მრავალი გამოცდა გავიარე. — ნაღვლიანად და გულღიად თქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. — მძიმე, სასტიკი დრო გადავიტანე! რა თქმა უნდა. გერ-

ცენის ზარივით არ მიგუგუნის. ბერიასა და სტალინის შეცდომები არ მიმხილი-ბია; უაზრობაა მსგავს რამიზე საუბა-რიც კი.

ივან გრიგორიევიჩმა თავი ჩაჰკიდა და ვერ გაიგებდი, თვლემდა, რაღაც შორეულზე ოცნებობდა თუ ნიკოლაი ანდრეევიჩის სიტყვებს ჩაეფიქრებინა. ხელები მიძინებულიყვნენ, თავი მხრებ-ში ჩაერგო, აი, ასევე იჯდა გუშინ მა-ტარებელში და თანამგზავრებს უსმენ-და.

ნიკოლაი ანდრეევიჩი კი განაგრძობ-და:

— იაგოდასა და ეჟოვის დროსაც შავ დღეში ვიყავი, ახლა კი, როცა ბერია, აბაკუმოვი, რიუმინი, მერკულოვი და კობულოვი აღარ არიან, ნამდვილად წელში გავიმართე. ჯერ ერთი, მშვიდად მძინავს, ღამის სტუმრებს აღარ ველი. არა მხოლოდ მე, და უნებურად ფიქ-რობ: ტყუილად როდი გაგვივლია ის სასტიკი დრო. ახალი ცხოვრება შეიქ-მნა და ჩვენ ყველას მიგვიძღვის ამაში წვლილი.

— კოლია, კოლია... — ხმადაბლა თქვა ივან გრიგორიევიჩმა.

ამ სიტყვებმა მარია პავლოვნა გაა-ნაწყენა. ცოლქმარმა კარგად შენიშნა სტუმრის სიბრალულიანი და პირქუში გამომეტყველება.

ქალმა ქმარს საყვედურით უთხრა:

— რატომ გეშინია იმის თქმა, რომ მანდელშტამი და პიქოვი პატივმოყვა-რე ადამიანებია. ცხოვრებამ მათ თავი-სი ადგილი მიუჩინა და ამაზე წუხილი არ ღირს. მიუჩინა და, მადლობა ღმერთს.

იგი ქმარს საყვედურობდა, მაგრამ სინამდვილეში სტუმარს მიმართავდა. თან თავისი მკვახე სიტყვებით შეწუხე-ბულმა დაამატა:

— ახლავე საწოლს გავამზადებ. აქამ-დე ვერ მივხვდით, რომ ვანია ძალიან დაღლილია.

ივან გრიგორიევიჩმა კი, რომელიც მიხ-ვდა, რომ ბიძაშვილთან მოსვლამ ტვი-რთის შემსუბუქება კი არა, ახალი სიმ-ძიმე მოუტანა, პირქუშად ჰკითხა:

— ერთი მითხარი, შენ მოაწერე და-ნაშავე ექიმების დამგმობ წერილს ხე-ლი? ამ წერილზე მათგან მსმენია ბა-ნაკში, ვისი შეცვლაც უკვე მოასწრეს.

— ჩვენო საყვარელო შერეკილო... — თქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა და ენა და-ება, გაჩუმდა.

შეშფოთებისაგან ერთიანად გაიცია და თან იგრძნო, რომ ოფლმა დაასხა, გაწითლდა, ლოყები ეწვოდა.

— ჩემო მეგობარო, ჩემო მეგობარო, მარტო თქვენ კი არა იქ, ბანაკებში, ჩვენც ძალიან გვიჭირდა ცხოვრება.

— ღმერთმა დამიფაროს, — სწრაფად უთხრა ივან გრიგორიევიჩმა, — რომე-ლი შენი მოსამართლე მე მნახე, არც სხვებისა. რომელი მოსამართლე, რას ამბობ, რას ამბობ, პირიქით, კიდეც...

— არა, არა, მაგაზე როდი ვამბობ, — თქვა ნიკოლაი ანდრეევიჩმა. — იმის თქმა მინდოდა, რომ ამ წინააღმდეგო-ბებში, ამ მტვერსა და კვამლში მთავა-რია, არ დაბრმავდე და გზის დანახვა შეძლო. დაბრმავდები და შეიძლება ჭკუიდანაც შეიშალო.

ივან გრიგორიევიჩმა დამნაშავესავით ჩაილაპარაკა:

— იცი, ჩემი უბედურება იმაშია, რომ, ჩანს, მხედველობა სიბრმავეში მერევა.

— სად დავაწვინოთ, ვანია? — იკით-ხა მარია პავლოვნამ. — სად მოეწყობა უფრო ხეირიანად?

— არა, არა, გმადლობთ, თქვენთან ვერ დავრჩები.

— რატომ? მაშ, სადღა? მაშა, მოდი, გავბაწროთ.

ივან გრიგორიევიჩმა ჩაილაპარაკა:

— არაა საჭირო ჩემი გაბაწვრა.

ნიკოლაი ანდრეევიჩი გაჩუმდა, მოი-ღუშა.

— თქვენ მაპატიეთ, მაგრამ რაღაც სულ სხვაა, არა, უბრალოდ არ შემიძ-ლია, სხვანაირად... — თქვა ივან გრი-გორიევიჩმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, რა, ვანია... — უთხრა ნიკოლაი ანდრეევიჩმა და გაიცინა.

როცა ივანე გრიგორიევიჩი წავიდა, მარია [illegible] გაწყობილ მაგიდას და გამოწმენდ სკამებს გადახედა.

— მშვენიერად მივიღეთ, — თქვა ქალმა. — ნესმეიანოვებიც არ მიგვიღია ასე.

და მართლაც მარია პავლოვნამ, რაც ძუნწი ხალხისათვის იშვიათობაა, ამჯერად ხელგაშლილი ადამიანისათვის დამახასიათებელი გულუხვობით მოამზადა მდიდრული სადილი.

ნიკოლაი ანდრეევიჩი მაგიდასთან მივიდა.

— ჰოო, მართლაც, ადამიანი თუ შეშლილია, ასეთივე დარჩება ცხოვრების ბოლომდე, — თქვა მან.

ქალმა თავზე ხელები მოჰკიდა და როცა შუბლზე კოცნიდა, ჩაილაპარაკა:

— ნუ სწუხარ, არ გინდა, ჩემო გამოუსწორებელო იდეალისტო.

5

ივან გრიგორიევიჩმა გამთენიისას გაიღვიძა უპლაცკარტო ვაგონის თაროზე და ბორბლების ხმაურს მიაყურა, თვალები გაახილა და დილის ბინდბუნდს ჩააცქერდა, ფანჯარას რომ მოდგომოდა უკვე...

პატიმრობის ოცდაცხრა წლის განმავლობაში რამდენჯერმე ესიზმრა ბავშვობა ივანს; ერთხელ, პატარა ნავსადგური ეზმანა, ფსკერზე, წვრილი ქვებით მოფენილ ანკარა ნაკადში, წყალქვეშა, ჩუმი ნაბიჯებით გაირბინა რამდენიმე კიბორჩხალამ და წყალმცენარეებში შეიმალა... ივანი ნელა მიაბიჯებდა ქვებზე, ფეხისგულებზე ნაზი, წყალქვეშა სელი ელამუნებოდა. ვერცხლისწყლის ნაკადად ამოიფრქვა და დაიფანტა ათეულობით მოგრძო პატარა წვეთი, სკუმბრიის და სტავრიდის ლიფსიტები... მზემ წყალქვეშა მწვანე ნაძვნარი გაანათა; თითქოს მარილიანი წყლით კი არა, შუქით ავსებულიყო საყვარელი ნავსადგური.

ეს სიზმარი ეშელონის თბილახა ვაგონში ნახა. და თუმცა იმ დღიდან მთელი საუკუნე გავიდა, მას ცხადლივ ახსოვდა ის მწუხარება, რომელიც თავის ზამთრის შუქისა და დაპატიმრებულთა რუხი სახეების ცქერისას შემოაწვა. გარედან თოვლზე აჭრიჭინებული ჩექმების ხმა და ვაგონის ფსკერზე დაცვის ჩაქუჩების ყრუ კაკუნიც გაიგონა.

ხანდახან ზღვისპირა სახლს, სახურავზე გადახრილ ბებერი ბლის ტოტებსა და ჰას წარმოიდგენდა...

მეხსიერებას მტანჯველ სიმახვილემდე გაიმძაფრებდა და ახსენდებოდა მაგნოლიის სქელი ფურცლის ლაპლაპი, ბრტყელი ქვა ნაკადულის შუაგულში... აგონდებოდა თეთრად შეღებილი გრილი ოთახების სიმშვიდე, სუფრის ნაქარგი, ისიც, როგორ კითხულობდა წიგნს დივანზე ფეხმოკეცილი. სასიამოვნო სიგრილეს აფრქვევდა ზაფხულის ცხელ დღეებში დივნის მუშამბა. ზოგჯერ დედის სახის გახსენებას ლამობდა და გული ეწურებოდა, თვალს ხუჭავდა, მერე ცრემლები მოადგებოდა, სწორედ ისე, ბავშვობისას მზეს რომ გაუსწორებდა თვალს.

მთები ზუსტად და ადვილად აგონდებოდა, თითქოს ნაცნობ წიგნსა ფურცლავდა. იგი თვითონვე იშლებოდა სასურველ გვერდზე... მაყვლის ბუჩქებსა და თელიანს თავს დაატეწვდა, რუხყვითელ ქვიან და დახეთქილ მიწაზე ფეხი უცდებოდა, უღელტეხილამდე მიაღწევდა, ზღვას ერთხელ კიდევ მოხედავდა და ტყის ნახევრად ბნელ სიგრილეში შევიდოდა... მძლავრ მუხებს სქელი ტოტებით ცისკენ აეზიდათ ნაჩუქურთმევი ფოთლების ზვინები და ირგვლივ ნოტიო სიჩუმე იდგა.

გასული საუკუნის შუა წლებში ზღვისპირა ადგილებში ჩერქეზები დასახლდნენ.

მოხუც ბერძენს, მეზობელ მეთოდეს მამას, ბავშვობაში უნახავს ჩერქეზების ხალხმრავალი აულები, ბაღები.

რუსების მიერ ზღვის სანაპიროს დაპყრობის შემდეგ, ჩერქეზები აიყარნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზღვისპირა მთებში ცხოვრება ჩაქვდა. მუხნარს აქა-იქ დაგრეხილი, ისევ ტყეს მიბრუნებული ქლიავის ხეები, მსხლები, ბლები გამორეოდა. ქერამი და ატამი კი გადაშენებულიყო. მათ ხანმოკლე სიცოცხლეს უკვე მოღებოდა ბოლო.

ტყეში კერიის დახავსებული, ქურუხი და დანგრეული ქვები ეყარა.

მიტოვებულ სასაფლაოზე კი შავად იმზირებოდნენ ნახევრად მიწაში ჩაფლული სამარის ლოდები.

ყოველივე უსულო: ქვები, რკინა წლების განმავლობაში მიწას შეეწოვა, მასში განზავებულიყო. მწვანე სიცოცხლე კი, პირიქით, მიწიდან ზემოთ მოისწრაფოდა. გულის მომწყვლელი ეჩვენებოდა ბიჭს გაციებული კერიების ირგვლივ გამეფებული სიჩუმე. სახლში დაბრუნებისას, განსაკუთრებით სიამოვნებდა სამზარეულოს კვამლის სუნი, ძაღლების ყეფა და ქათმების კრიახი. ერთხელ იგი დედას მიუახლოვდა, მაგიდას რომ მიჯდომოდა წიგნით, მოეხვია და მუხლებზე თავი დაადო.

— შეუძლოდ ხარ? — ჰკითხა მან.

— არა, კარგად ვარ, მე ისე მიხარია.

— ლუღლუღებდა ბიჭი, დედას კაბას და ხელებს უკოცნიდა, მერე კი ატირდა.

დედას ვერაფრით აუხსნიდა ამ გრძნობას. ეჩვენებოდა, თითქოს ტყის ბინდბუნდში ვიღაც ჩიოდა, დაკარგულ ხალხს ეძებდა, ხეებიდან იჭყიტებოდა და ჩერქეზი მწყემსების ხმას, ბავშვების ტირილს აყურადებდა. ჰაერს ყნოსავდა, კვამლისა და ხმიადის სუნი ხომ არ ტრიალებსო...

და ტყიდან მობრუნებულს, რატომღაც არა მარტო უხაროდა, რცხვენოდა კიდეც მშობლიური სახლის ხიბლის შეგრძნება...

დედამ მისი ახსნა-განმარტებისა, როგორც ბიჭმა შეატყო, ვერაფერი გაიგო და ჩაილაპარაკა:

— ჩემი სულელი ბიჭი! როგორ გაგიჭირდება ცხოვრება ასეთ მგრძნობიარეს.

ვახშამზე მამამ დედას გადახედა და თქვა:

— ვანია, შენ, ალბათ, იცი, რომ ადრე სოჭს პოსტ დახოვსკი ერქვა. დაბებს კი მთაში „პირველ ასეულს“, „მეორე ასეულს“ ეძახდნენ.

— ვიცი. — თქვა ბიჭმა და ჭირვეულად ასრუტუნდა.

— ეს რუსი ჯარების სადგომებია. ისინი მხოლოდ თოფებით როდი მოდიოდნენ. ნაჯახებითა და ნიჩბებით ეკალბარდს ჩეხდნენ და გზას ისე იკაფავდნენ. მთებში ხომ ველური, სასტიკი მთიელები ცხოვრობდნენ.

მამამ წვერი ჩამოიხუთთითა და დაუმატა:

— მაპატიე, ეს მაღალფარდოვნება. გზას რუსეთისათვის კაფავდნენ. აი, ჩვენ აქ ვართ დასახლებული... მე, მაგალითად, სკოლების აშენებას ვუწყობდი ხელს. ვთქვათ, იაკოვ იაკოვლევიჩი კი ვენახს ყრიდა, ხეებს რგავდა. სხვები აქ საავადმყოფოებს აშენებდნენ. გზა გაჰყავდათ. პროგრესი მსხვერპლს თხოულობს. გარდუვალზე ტირილი კი სისულელეა. გაიგე, რას ვამბობ?

— გავიგე. — უპასუხა ვანიამ. — მაგრამ ჩვენამდეც იყო აქ ბაღები. ახლა კი სულ გავერანებულან.

— დიახ, დიახ, ჩემო მეგობარო, — უთხრა მამამ. — ტყეს რომ კაფავენ, ნაფოტები აქეთ-იქით ცვივა. თან, ჩერქეზები აქედან არავის გაუყრია. თვითონ წავიდნენ თურქეთში. შეეძლოთ აქ დარჩენა და რუსულ კულტურასაც ეზიარებოდნენ. თურქეთში კი სილატაკეში ჩაცვივდნენ და ბევრი დაიღუპა კიდეც...

განვლილი ცხოვრება აგონდებოდა ივანს. ესიზმრებოდა მშობლიური მიწა, ესმოდა ნაცნობი ხმები, აგერ, სიბერისაგან თვალებდაწითლებული ეზოს ძაღლიც მის შესახვედრად წამოდგა...

გაეღვიძებოდა ტაიგის ოკეანის გუგუნში. გარეთ ზამთრის ქარბუქი დაჰქროდა.

და ახლა, როცა თავისუფალი ცხოვრების დღეები მიედინებოდნენ, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ელოდა რაღაც კარგის, ახალგაზრდულის დაბრუნებას.

ამ დილით, როცა ივანმა მატარებელში გაიღვიძა, გულისმომწყვდელი მარტოობა იგრძნო. ბიძაშვილთან გუშინდელმა შეხვედრამ მეტად გაამწარა. მოსკოვმა კი გააოგნა და დათრგუნა. უზარმაზარი მაღლივი შენობები, მანქანების ნაკადი, შუქნიშნები და ტროტუარებზე ტალღად მიმავალი ხალხი უცხო და უცნაური ეჩვენებოდა. ქალაქი ვეებერთელა, გაწვრთნილ მექანიზმს ჰგავდა: ხან წითელ ნიშანზე გაქვავდებოდა, ხან კი მწვანე შუქზე ამოძრავდებოდა... რუსეთს თავისი ისტორიის ათასი წლის განმავლობაში ბევრი რამ ენახა. საბჭოთა პერიოდში კი ქვეყანამ მსოფლიო სამხედრო გამარჯვებები, უდიდესი მშენებლობები, ახალი ქალაქები, დნეპრისა და ვოლგის დინების გადამღობი კაშხალები, ზღვათა შემაერთებელი არხები, ტრაქტორთა სიძლიერე და ცათამბჯენებიც ნახა... მხოლოდ ერთი რამ არ უხილავს რუსეთს ათასი წლის განმავლობაში — თავისუფლება.

ივანი მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით ტროლეიბუსით წავიდა. აქ, სოფლურ ლაფსა და დაუმშრალ საგუბრებს შორის ვეებერთელა რვა და ათსართულიანი კორპუსები წამოჭიმულიყო. სოფლური ქოხები, ბოსტნები და ხუხულები ქვისა და ასფალტის ძლიერი შემოტევისაგან შევიწროებულნი, სულს ლაფავდნენ.

ქაოსში, ხუთტონიანთა ღმუილში, ახალი მოსკოვის მომავალი ქუჩები იკვეთებოდა. დაეხეტებოდა ივან გრიგორიევიჩი ახლად ამოყრილ ქალაქში, სადაც ჯერ არც ქვაფენილები იყო და არც ტროტუარები. ხალხი სახლამდე ბილიკებით მიდიოდა, ნაგვის გროვებს შუა რომ მიიკლაკნებოდნენ წვრილად. სახლებზე ყველგან ერთსა და იმავე შინაარსის აბრებს ნახავდით: „ხორცი“ და „საპარიკმახერო“. ბინდბუნდში „ხორცის“ ვერტიკალური აბრები წითელი შუქით ღვიოდა. „საპარიკმახეროს“ კი ხასხასა მწვანით ანათებდა.

პირველ მცხოვრებლებთან ერთად ქვეყნად, მოვლენილი ეს აბრები თითქოს ადამიანის მიწიერ არსზე მიუთითებდნენ.

ხორცი, ხორცი, ხორცი... ადამიანი ხორცს ნთქავდა. უხორცოდ ადამიანს არ შეეძლო. აქ ჯერ კიდევ არ იყო ბიბლიოთეკები, თეატრები, კინოები და სამკერვალოები. საავადმყოფოებიც, აფთიაქებიც და სკოლებიც კი არ აეშენებინათ. მაგრამ, თვალისდახამხამებაში აზიდულ ქვებს შორის წითელი შუქით აელადლადებინათ: ხორცი, ხორცი, ხორცი...

და იქვე, საპარიკმახეროების ზურმუხტოვანი აბრები. ადამიანი ხორცს ჭამდა და ბალანიც ამოსდიოდა.

ღამით სადგურში მივიდა და გაიგო: ღამის 2 საათზე ლენინგრადის მიმართულებით ბოლო მატარებელი გავიდოდა. ბილეთი იყიდა და შესანახი საკნიდან ნივთები წამოიღო.

როდესაც ცივ, ცარიელ ვაგონში აღმოჩნდა, საკუთარმა სიმშვიდემ გააოცა.

მატარებელი მოსკოვის გარეუბანში მიჰქროდა. ფანჯარაში შემოდგომის ჩამუქებული ჰალები და მინდვრები ელავდნენ და ივან გრიგორიევიჩმა თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან მოსკოვის ელექტრონს, ქვისა და ავტომობილების სიმრავლეს თავი დააღწია და აღარც ბიძაშვილის მონაყოლს ისმენდა ისტორიის გონივრულ სვლაზე, რომელსაც ნიკოლაი ანდრეევიჩისათვის გზა დაეწმინდა. გალაქულ სკამძელზე, როგორც წყლის ზედაპირზე, ვაგონის გამცილებელი ქალის ფარნის შუქმა გაიკრიალა.

— მამილო, ბილეთი გაქვს?

— მაქვს, წარმოვადგინე კიდეც.

წლების განმავლობაში ფიქრობდა იმ საათზე, როცა გათავისუფლებული, ბიძაშვილს შეხვდებოდა, ერთადერთ კაცს ქვეყანაზე, ვინც მის ბავშვობას, დედასა და მამას იცნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით ისეთი გულისმომწყვლელი მაარტოობა იგრძნო, რომლის გაძლება ყველა სულდგმულს გაუჭირდებოდა.

იგი მიემგზავრებოდა ქალაქში, სადაც სტუდენტური წლები გაეტარებინა, ქალაქში, სადაც მისი სიყვარული ცხოვრობდა.

როცა, დიდი ხნის წინათ, ანამ წერილების წერა შეწყვიტა, ივანმა გამოიტირა ქალი. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მხოლოდ სიკვდილს შეეძლო გაეწყვიტა მათი მიმოწერა. მაგრამ ანა ცოცხალი იყო, ის ცხოვრობდა...

6

ივან გრიგორიევიჩი ლენინგრადში სამი დღე დარჩა. ორჯერ მიაკითხა უნივერსიტეტს. ოხტაზეც მივიდა, პოლიტექნიკურთან. ეძებდა ქუჩებს, სადაც ძველი ნაცნობები ცხოვრობდნენ და ვერ პოულობდა ქუჩებს, სახლებს, რომლებიც ბლოკადის დროს დაენგრიათ. ზოგჯერ იპოვიდა კიდეც, მაგრამ ჭიშკრის მიღმა გამოკრულ შავ დაფებზე ნაცნობი გვარები აღარ ჩანდა.

ნაცნობ ადგილებს მიუყვებოდა, — ხან მშვიდი და დაბნეული იყო. სმენას ბანაკისეული საუბრები ჰყვდებოდა, ირგვლივ ნაპატიმრალთა სახეები ერტყა. ხან კი სიჭაბუკის მოგონებებით გათანგული, ნაცნობი სახლის წინ, ნაცნობ გზაჯვარედინზე იდგა. ერმიტაჟსაც ეწვია და იქედან ნაღვლიანი და გულგრილი წამოვიდა. ნუთუ ამდენი ხნის განმავლობაში, სანამ იგი ბანაკში ბერდებოდა, სურათები ისევ და ისევ ასე მშვენიერნი იყვნენ? რატომ არ შეცვლილიყვნენ, რად არ დაბერებულიყო მშვენიერი მადონების სახე, არც ცრემლებს დაუვსიათ მათთვის თვალები? იქნებ მარადიულობასა და უცვლელობაში მათი ძალა კი არა, სისუსტე იყო? იქნებ სწორედ აქ ღალატობს ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნება თავად ადამიანს?

ერთი, უეცარი მოგონება კი განსაკუთრებით მწარე გამოდგა, თითქოს კი შემთხვევითი და უმნიშვნელო ჩანდა; როგორღაც ერთ ხანშიშესულ, კოჭლ ქალს მეოთხე სართულზე კალათის ატანაში წააშველა ხელი და როცა ჩაბნელებული კიბით ქვევით დაეშვა, ბედნიერებისაგან გახევდა: გაზაფხული, გუბეები და მარტის მზე დაინახა. იგი იმ სახლთან მივიდა, სადაც ანია ზამკოვსკაია ცხოვრობდა. ახლა მისთვის წარმოუდგენელი იყო ისევ დაენახა მაღალი ფანჯრები და კედლების გრანიტოვანი მოპირკეთება, თეთრად მოელვარე მარმარილოს საფეხურები დაბინდულ სადარბაზოში, რკინის ბადე ლიფტის გარშემო. რამდენჯერ მოგონებია ეს სახლი. როცა ანიას გააცილებდა ღამეული სეირნობის შემდეგ, იდგა და ელოდა, სანამ ქალის ოთახში სინათლე აინთებოდა. ეტყოდა ხოლმე ანია: „ომიდან ბრმა, სახიჩარიც რომ დაბრუნდე, მაინც ბედნიერი ვიქნები შენთანო“.

ივან გრიგორიევიჩმა გამოღებულ ფანჯარაში ყვავილები შენიშნა. სადარბაზოსთან გაჩერდა და ისევ გზას გაუდგა. გული თანაბრად უცემდა: იქ, მავთულხლართის მიღმა, ქალი, რომელიც გარდაცვლილი ეგონა, უფრო ახლო იყო მის სულთან, ვიდრე დღეს, როცა მის ფანჯრებთან იდგა.

ცნობდა და ვერც ცნობდა ქალაქს. ბევრ რამეს ძველებური იერი შერჩენოდა, თითქოს ეს-ესაა გაევლოს ამ ქუჩებში ივან გრიგორიევიჩს. ბევრი რამ ახალი გახლდათ: სახლები, ქუჩები. გამქრალი შენობების ადგილას კი აღარაფერი ჩანდა.

მაგრამ ივან გრიგორიევიჩი ვერ მიმხვდარიყო, რომ მხოლოდ ქალაქი არ შეცვლილა; თვით ივან გრიგორიევიჩიც სხვა იყო ახლა. უწინდელი ცნობისმოყვარე მზერა, ინტერესიც შეცვლოდა.

ახლა ქალაქში იმასაც ხედავდა, რასაც ადრე ვერ ამჩნევდა; თითქოს ცხოვრების ერთი სართულიდან მეორეზე გადაენაცვლოს. ახლაღა შეამჩნია ძველმანების ბაზარი და მილიციის განყოფილებები, საპასპორტო მაგიდები, სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფები, დაქირავების ბიუროები, მუშახელის დასაჯავშნი განცხადებები, საავადმყოფოები და სატრანზიტო მგზავრების ოთახები... თეატრალური აფიშების, ფილარმონიის, ბუკინისტური მაღაზიების, სტადიონების, უნივერსიტეტის აუდიტორიების, სამკითხველოებისა და საგამოფენო დარბაზების სამყარო კი სამუდამოდ გამქრალიყო მისთვის, მეოთხე განზომილებას შერთვოდა.

ქრონიკული ავადმყოფისათვის ხომ მხოლოდ აფთიაქები, საავადმყოფოები, დისპანსერები და საექიმო შრომითი კომისიები არსებობენ ქალაქში. მსმელისათვის კი ქალაქი „სამზე განაწილებული“ ნახევარლიტრიანით შედგება. შეყვარებულთათვის ქალაქი საათის ისრებად ქცეულა. ისინი აღნუსხავენ პაემანის დროს, ძელსკამებს ბულვარში და ორკაპიკიანებს ტელეფონ-ავტომატებისათვის.

ოდესღაც ამ ქუჩებში, ყველგან, ნაცნობი ხალხი ირეოდა. საღამოობით ერთთავად ენთო შუქი მეგობართა ფანჯრებში. ახლა კი ციხის ნარიდან ნაცნობი თვალები ულიმოდნენ და გაფითრებული ტუჩები ჩურჩულებდნენ!

— ივან გრიგორიევიჩს გაუმარჯოს!

ოდესღაც, აქ, ამ ქალაქში, წიგნისა და სასურსათო მაღაზიების ნოქრებს, გაზეთის კიოსკისა და პაპიროსის ყველა გამყიდველს იცნობდა.

ვორკუტაში ერთი ზედამხედველი მიუახლოვდა და უთხრა:

— მე შენ გიცნობ, ომსკში იყავი ხომ გამოგზავნილი?

დღეს ლენინგრადის მრავალათასიან ხალხის ნაკადში ნაცნობებს ველარ ხედავდა და არც უცნობებს ეცნობოდა. სახეთა საერთო იერი ერთიანად შეცვლილიყო.

ხილვადი და უხილავი კავშირები გამქრალიყვნენ, გაწყვეტილიყვნენ. მათ დრო, კიროვის მკვლელობას მოყოლებულ, მასიური გადასახლებები წყვეტდა, მათ ქარიშხლები გლეჯდნენ, თოვლი ამქრავდა და ყაზახეთის მტვერი თალხავდა. ბლოკადის შიმშილი სპობდა და აღარ იყვნენ ისინი. იგი მარტოკა, უცხო მიაბიჯებდა...

მილიონთა მოძრაობამ ლენინგრადის ქუჩები ცისფერთვალება და კუნთმაგარი სოფლელი ხალხით აავსო. ბანაკის ბარაკებში კი ივან გრიგორიევიჩს სევდიანი, ანაჩლიქი პეტერბურგელები ხვდებოდნენ.

ნევისა და სოფლის ცხოვრება ერთმანეთს მიეგება. მხოლოდ ავტობუსებსა და ბინებში როდი აირივნენ, წიგნისა და ჟურნალის ფურცლებშიც, სამეცნიერო ინსტიტუტების საკონფერენციო დარბაზებშიც. ივან გრიგორიევიჩმა ბანაკის ყაზარმული სული დაინახა ლენინგრადის მილიციის ფანჯრებში, მდიდრულ სუფრას მიმჯდარი ბიძაშვილის ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებში, საპასპორტო განყოფილების აბრებში... მოეჩვენა, რომ ეკლიანი მავთული ახლა საჭირო აღარ იყო და მავთულსმიღმა ცხოვრება თავისი იდუმალი არსით ბანაკის ბარაკს გატოლებოდა.

ქაოტურად ქოთქოთებდა, ბუყბუყებდა და კრიახებდა ცეცხლოვან კვამლსა და ორთქლში გახვეული ვეებერთელა ქვაბი. ყველას ეჩვენებოდა, რომ სწორედ მან იცოდა დიდი ქვაბის დუღილის კანონი, იცოდა, ვინ მოხარშა ფაფა და ვის უნდა ეჭამა იგი.

კვლავ იდგა თავისი მოუხეშავი ჯარისკაცური წაღებით ივან გრიგორიევიჩი ღვთიურად ფეხშიშველ, გვირგვინით თავდამშვენებულ მხედრის წინაშე. ოცდაათი წლის წინათ, ჭაბუკს ჩაუვლია აქ და მაშინაც ძლევამოსილი იყო ბრინჯაოს პეტრე I. აი, ბოლოს და ბოლოს, შეხვდა კიდეც ნაცნობი ივან გრიგორიევიჩს.

თითქოს, არც ოცდაათი და არც ასოცდაათი წლის წინ, როდესაც პუშკინმა ამ მოედანზე თავისი გმირი მოიყვანა, არ ყოფილა პეტრე I ასე დიდებული, როგორც დღეს ჩანდა. არ არსებობდა ქვეყნად ძალა უდიდესი, ვიდრე ის, მასში რომ ჩქეფდა და გასაოცარი სახელმწიფოს უდიდეს ძალად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოყალიბდა. იგი იზრდებოდა, ზევდებოდა, მინდვრებსა და ფაბრიკებზე, პოეტებისა და მეცნიერების საწერ მაგიდებზე, არხებისა და კაშხალების მშენებლობებზე, ქვისსამტეხლოებზე, ხე-ტყის დამმუშავებელ ქარხნებსა და ტყესაკაფებზე, ბატონდებოდა. ძალუძდა სივრცესა და ადამიანის მოჯადოებული გულის ფარულ სიღრმეებს დაუფლებოდა და დაპატრონებოდა, მისთვის საჩუქრად თავისუფლება, თავისუფლების თვით სურვილი რომ მოჰქონდა.

— სანქტპეტერბურგი, სანქტ-წამებული*, სანქტ-პეტერბურგი, სანქტ-წამებული... — იმეორებდა ივან გრიგორიევიჩი.

უაზროდ შეერთდნენ ეს სიტყვები და დიდებულ მხედარსა და ბანაკის ყოფილ პატიმარს შორის კავშირს გამოხატავდნენ.

ღამეს ივან გრიგორიევიჩი სადგურში, სატრანზიტო მგზავრების ოთახში ათევდა. დღეში მანეთნახევარ, ორ მანეთზე მეტს არ ხარჯავდა და ლენინგრადიდან გამგზავრებას არ ჩქარობდა.

მესამე დღეს ნაცნობს შეეჩეხა, რომელსაც ხშირად იხსენებდა იქ, ბანაკში.

ერთმანეთი ხელად იცნეს, თუმცა, ახლანდელი ივან გრიგორიევიჩი არაფრით არ ჰგავდა უნივერსიტეტელ მესამეკურსელს. ვიტალი ანტონოვიჩ პინეგინი კი, უწინ გაქექილი, სტუდენტურკიტელიანი ახალგაზრდა, ახლა რუხ ლაბადასა და ფეტრის შლიაპაში გამოწყობილი დარბაისელი კაცი გახლდათ.

გაქვავებული პინეგინის დანახვაზე ივან გრიგორიევიჩმა ჩაილაპარაკა:

— ვატყობ, ცოცხლებში აღარ მთვლიდი...

პინეგინმა ხელები გაშალა.

— ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ ამბობდნენ, თითქოს შენ, რა ჰქვია... — პინეგინი ცოხცალი და ჭკვიანი თვალებით ივან გრიგორიევიჩის მზერის დაჭერას ცდილობდა.

— შენ ნუ სწუხარ, — უთხრა ივან გრიგორიევიჩმა. — არც იმქვეყნიდან მოვსულვარ და არც გამოვქცეულვარ, რაც კიდევ უფრო საშინელებაა. მეც შენსავით პასპორტიანი ვარ.

ამ სიტყვებმა პინეგინი შეაშფოთა.

— ძველ ამხანაგთან შეხვედრისას, მე მისი პასპორტი არ მაინტერესებს.

ცხოვრებაში წინ წაწეულიყო, მაგრამ ძველებურად კარგი კაცი ჩანდა. რაც უნდა ელაპარაკა მას: შვილებზე, იმაზე თუ „როგორ შეცვლილა ივანი, მაგრამ მე მაინც მაშინვე ვიცანიო“, მონუსხული და ხარბი თვალებით ივან გრიგორიევიჩს უთვალთვალებდა.

— დიახ, აი, ზოგადად... — ჩაილაპარაკა პინეგინმა. — კიდევ რა გიამბო?

„უმჯობესი იქნებოდა მოგეყოლა...“ და წუთით პინეგინი გახევდა, მაგრამ ივან გრიგორიევიჩს მსგავსი არაფერი უთქვამს.

— მე ხომ შენზე არაფერი ვიცი, — ჩაილაპარაკა პინეგინმა.

და კვლავ ლოდინი, ხომ არ უპასუხებს ივან გრიგორიევიჩი:

„შენ ხომ თვითონ, თუკი საჭირო იყო, შეგეძლო ჩემზე ლაპარაკი, მე რაღა უნდა გიამბო“.

მაგრამ ივან გრიგორიევიჩი დადუმდა და ხელი ჩაიქნია.

და, უეცრად, პინეგინი მიხვდა: ვანკამ არაფერი იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. ნერვები, ნერვები... რაღა დღეს გაგზავნა მანქანა შესაკეთებლად. ცოტა ხნის წინ, როგორღაც ივანი გაახსენდა და გაიფიქრა: იქნებ, მის ნათესავთაგანს ვინმეს, ივანის სიკვდილისშემდგომი რეაბილიტაცია მოეხერხებინა. მკვდარი სულის ცოცხლებში გადმოყვანა უნდოდა, და აი, დღისით, მზისით — ვანია, ვანეჩკა! ოცდაათი წელი მოიხადა, ჯიბეშიც ალბათ, ქაღალდი უდევს: „დანაშაულის არარსებობის გამო“.

ისევ გაუყარა თვალი თვალში ივან გრიგორიევიჩს პინეგინმა და საბოლოოდ მიხვდა, რომ ივანმა არაფერი იცოდა. შერცხვა, როცა გაახსენდა, როგორ ამოუვარდა გული და ცივმა ოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმა დაასხა ივანის დანახვისას, აგერაგერ წირპლვას, გოდებას მოჰყვებოდა.

და რაკი დარწმუნდა, ივანი სახეში აღარ შემაფურთხებს და პასუხს არ მომთხოვსო, პინეგინს სახე გაუნათდა. რაღაც ბუნდოვანი, თავისთვისაც გაუგებარი მადლიერებით უთხრა მას:

— გამიგონე, ივან, უბრალოდ, მეგობრულად გეუბნები. მამაჩემი ხომ მჭედელი იყო: იქნებ ფული გჭირდება? ხომ გჯერა, ამხანაგურად, მთელი გულით.

ივან გრიგორიევიჩი უსაყვედუროდ, ნაღვლიანი და ცნობისმოყვარე თვალით შეაცქერდა პინეგინს და ვიტალი ანტონოვიჩს წამით, მხოლოდ ერთი წამით, მოეჩვენა: ორდენებსაც, აგარაკებს, ძალაუფლებას, ულამაზეს ცოლს, იღბლიან ვაჟიშვილებს, რომლებიც ატომზე მუშაობდნენ, ყველაფერს, ყველაფერს დათმობდა, ოღონდაც ეს მზერა აეცილებინა.

— რას იზამ, კარგად იყავი, პინეგინ, — უთხრა ივან გრიგორიევიჩმა და სადგურისკენ წავიდა.

7

ვინაა დამნაშავე, ვინ აგებს პასუხს...

დაფიქრებაა საჭირო, პასუხისათვის აჩქარება არ ღირს.

აი, ისინიც, ყალბი საინჟინრო და ლიტერატურული ექსპერტიზები, ხალხის მტრების მამხილებელი სიტყვები. აი, გულითადი საუბრებიც და მეგობრული აღსარებანიც, მერე საიდუმლო აგენტების, ჩამშვებებისა და ინფორმატორების დასმენებსა და რაპორტებში რომ მოქცეულა.

დაპატიმრების ორდერს წინ დასმენა უძღოდა, გამოძიებაზე მოქმედებდა, განაჩენშიც გამოიხატებოდა. თითქოს ამ დასმენათა მეგატონები განსაზღვრავდნენ განკულაკებული, ხმა და პასპორტწართმეული, გადასახლებული და დახვრეტილი ხალხის სიებს.

ჯაჭვის ერთ ბოლოს ორი კაცი მაგიდას მიჯდომოდა, ჩაის სვამდნენ და მერე აბაჟურიანი ლამპის შუქზე იწერებოდა ინტელიგენტური აღსარება; ან კოლმეურნეობის შეკრებაზე აქტივისტი იტყოდა უბრალო სიტყვას. ჯაჭვის მეორე ბოლოში კი უკვე შეშლილი თვალები, დათეთქვილი თირკმლები, ტყვიით გახვრეტილი თავის ქალა, ბანაკის ძელურა, მიწურ საცხედრეში ტაიგაში მოყინული, დაჩირქებული და ფეხისთითებდაწყლულებული სურავანდიანი მიცვალებულები მოჩანდნენ.

პირველად იყო სიტყვა... ჭეშმარიტად ასეა.

რა ვუყოთ დამსმენებს, დამღუპველებს?

აი, დაბრუნდა კაცი ოცწლიანი გადასახლებიდან, ხელებაკანკალებული, წამებულის ჩავარდნილი თვალები აქვს: იუდა — პირველია. მის მეგობრებში ატყდა მითქმა-მოთქმა, ამბობენ, თავის დროზე დაკითხვებზე ცუდად იქცეოდაო. ზოგიერთი სალამზე აღარ პასუხობდა. ის, ვინც ოდნავ ჭკვიანია, შეხვედრისას თავაზიანად ექცევა, მაგრამ შინ კი არ ეპატიჟება. უფრო ჭკვიანები გულღიად, ხელგაშლით ეგებებიან, შინაც იწვევენ, მაგრამ სულში კი არ ახედებენ.

ყველა ისინი აგარაკებიანები, შემნახველი სალაროს წიგნაკებიანი, ორდენებიანი და მანქანიანი ხალხია. რა თქმა უნდა, ივანი გამხდარია, ისინი კი მსუქნები, მაგრამ იგი მართლაც არ მოქცეულა ცუდად დაკითხვებზე, არსებითად, არც შეეძლო რაიმე სისაძაგლე ჩაედინა. ასეთები ხომ არც დაუკითხავთ, აი, მსუქნებს კი გაუმართლათ: ისინი არ დაუპატიმრებიათ. მართლაც რაშია ამ მსუქნების ჭეშმარიტი სულიერი უპირატესობა გამხდართან? შემთხვევამ თუ კანონმა განსაზღვრა მათი ბედი?

იგი ჩვეულებრივი კაცი გახლდათ. ჩაის სვამდა, ერბო-კვერცხს შეექცეოდა, მეგობრებთან წაკითხულ წიგნებზე მასლაათი უყვარდა, სამხატვრო თეატრის ხშირი სტუმარი იყო, ზოგჯერ კეთილიც ჩანდა. მართალია მეტად შთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდილებიანი, ნერვული იყო, მაგრამ არც თვითდაჯერებული ეთქმოდა.

მაგრად კი მოჰკიდეს ხელი. უყვიროდნენ, სცემდნენ კიდეც, ძილის საშუალებას არ აძლევდნენ. ქაშაყს აჭმევდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ.. მაგრამ რაც გინდა თქვი, მაინც საშინელება ჩაიდინა: უდანაშაულოს დასწამა ცილი. თუმცა თვითონ კი არ დაუპატიმრებიათ, არამედ ის, ვინც აიძულეს ცილი დაეწამა. უდანაშაულოდ მოიხადა კატორღული ოცი წელი. ცოცხალმკვდარი, გატეხილი, ღატაკი და დაცემული დაბრუნდა. მაგრამ ხომ დასწამა ცილი...

ნუ ვიჩქარებთ, კარგად ვიფიქროთ ამ დამსმენზე.

მაგრამ აი, იუდა-მეორე. მას ერთი დღეც არ გაუტარებია საპატიმროში. ჭკუისკოლოფისა და ოქროპირის სახელი ჰქონდა. მაგრამ დაბრუნდნენ ბანაკიდან ნახევრად ცოცხალი ადამიანები და თქვეს, საიდუმლო აგენტი ბრძანდებოდაო. იგი გახდა ბევრი ადამიანის დაღუპვის მიზეზი. წლების განმავლობაში უმართავდა მეგობრებს გულითად საუბრებს, მერე კი წერილობით შენიშვნებს ადგენდა და უფროსობას აბარებდა. მისთვის წამებით არ ამოუგლეჯიათ ჩვენებები, თვითონ იჩენდა საზრიანობას და შეუმჩნევლად ალაპარაკებდა. თანამოსაუბრეს სახიფათო თემებზე. ორი კაცი მისგან ცილდაწამებული, აღარ დაბრუნებულა ბანაკიდან. ერთი სამხედრო კოლეგიის განაჩენით დახვრიტეს. დანარჩენებმა თან სნეულებათა მთელი სია ჩამოიტანეს, სასტიკი საექიმო შრომითი კომისიაც კი პირველი ჯგუფის ინვალიდობას რომ აძლევს.

მან კი მუცელზე ქონი მოიკიდა, დიდი გურმანისა და ქართული ღვინოების მცოდნის სახელი ჰქონდა. მუშაობითაც მეტად დახვეწილ სფეროში მუშაობდა. სხვათა შორის, უძველესი პოეზიის უნიკალურ გამოცემათა შემგროვებელიც გახლდათ.

მაგრამ ნუ ავჩქარდებით, ვიფიქროთ, სანამ განაჩენს გამოვუტანდეთ.

იგი ხომ ბავშვობაში უგონოდ შეშინდა. მამამისი, მდიდარი კაცი 1919 წელს გარდაიცვალა საკონცენტრაციო ბანაკში პარტახტიანი ტიფით. დეიდა თავის გენერლ ქმართან ერთად, პარიზში გაიქცა, უფროსი ძმა კი მოხალისეთა მხარეს იბრძოდა. ბავშვობიდანვე დაებუდებინა მასში შიში. დედას საოცრად ეშინოდა მილიციის, სახლმმართველის, ბინის მამასახლისის და ქალაქის საბჭოს საქმეთა მმართველების. ყოველ დღესა და საათს გრძნობდა თვითონ და მისი ნათესაობა კლასობრივ შეზღუდვასა და თავიანთ კლასობრივ მანკიერებას.. .სკოლაში ხომ უჯრედის მდივნის წინაშე თრთოდა: სანდომიანი პიონერხელმძღვანელი გალია. თითქოს, ერთგვარი ზიზღით უცქერდა, როგორც რაღაც მატლს. შიშით აცახცახებდა. გალიას მისი შეყვარებული მზერა არ შეემჩნია.

თითქოს რაღაც გასაგები ხდება. იგი ახალი სამყაროს ძალამ მონუსხა, პატარა ჩიტუნიასავით ჩასჩერებოდა თავისი სანდომიანი თვალებით გაცისკროვნებული ყამირის მბრწყინავ თვალებს. აი, ყამირმაც შეიტკბო, დაიახლოვა იგი. ბეღურას არც დაუწრიპინია, ფრთები არ შეუფრთხიალებია, როდესაც მრისხანე სამყაროს მისი ჭკუა და მისთვის დამახასიათებელი ხიბლი დასჭირდა. მან ყველაფერი სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანა.

ეს ყველაფერი მართალია, რა თქმა უნდა, მაგრამ რა თახსირი, როგორი თახსირი აღმოჩნდა! ჩამშვები არც თავს ივიწყებდა: კარგად სვამდა და ჭამდა, ნებივრობდა. და მაინც ძალიან უმწეო იყო. ასეთს ძიძა ან ცოლი უნდა დაჰგურგურებდეს. სად ჰქონდა თავი, იმ ძალას გამკლავებოდა, რომელმაც სამყაროს ნახევარი მოდრიკა, მთელი იმპერია თავდაღმა ამოატრიალა. ის კი თავისი მთრთოლავი სიფაქიზით, მაქმანსა ჰგავდა ერთი უხეში მიკარე-

ბა და, ერთიანად დაიბნეოდა, თვალები საცოდავად გიცქეროდნენ.

ზარის ხმასავით ხალასი მიდიოდა ადამიანებთან და აღმოჩნდა, რომ მომაკვდინებელი ასპიტი ყოფილა. ხალხს ბევრი წამება ხვდა წილად მისგან.

იგი ხომ თავისნაირებს ღუპავდა, დიდი ხნის მეგობრებს, ძვირფას, ჩუმ, ჭკვიანსა და მორცხვ ადამიანებს. მხოლოდ თავად იცნობდა მათ. მას ხომ ყველაფერი ესმოდა. ჩეხოვის „არქიელზე" ტიროდა კიდეც.

და მაინც მოვიცადოთ, ვიფიქროთ. დაუფიქრებლად ნუ დავსჯით.

 აი, ახალი ამხანაგი — იუდა მესამე. მას ხრინწიანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტა, ბოცმანივით ხმა აქვს. მზერა — გამომცდელი, მშვიდი. ცხოვრების ბატონ-პატრონი ჰგონია თავი. ხან იდეოლოგიურ სამუშაოზე გადაისვრიან, ხან კი „ხილ-ბოსტნეულში". საანკეტო მონაცემები თოვლივით ქათქათებენ. ნათესაობაში დაზგის მუშები და ძირძველი გლეხობა ჰყავს.

1937 წელს ამ კაცმა ერთი ამოსუნთქვით, ხელის ერთი დაკვრით ორასზე მეტი დასმენა დაწერა; მრავალფეროვანია მისი სისხლიანი სია: სამოქალაქო ომისდროინდელი კომისრები, პოეტი-მომღერალი, თუჯჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი, რაიკომის ორი მდივანი, მოხუცი, უპარტიო ინჟინერი, სამი რედაქტორი — ერთი გაზეთის და ორი გამომცემლობისა, დახურული სასადილოს გამგე, ფილოსოფიის ლექტორი, პარტკაბინეტის გამგე, ბოტანიკის პროფესორი, ზეინკალი სახლმმართველობიდან, მიწათმოქმედების საოლქო განყოფილების ორი თანამშრომელი... ყველას ვერ ჩამოთვლი.

ყველა დასმენა საბჭოთა ხალხზეა, სხვებზე კი არა, მათი მსხვერპლი პარტიის წევრები, სამოქალაქო ომის მონაწილენი, აქტივისტები არიან. განსაკუთრებით გაიწაფა მოფანატიკო ტიპის პარტიულებზე.

ცოტანი თუ დაბრუნდნენ ორასი კაციდან. ერთნი დახვრიტეს, ზოგს ხის ბუშლატი წაეფარა, დისტროფიით დაიღუპნენ ან საბანაკო წმენდაში მოყვნენ; დანარჩენები კი სულიერად და ფიზიკურად დამახინჯებულები, როგორღაც მიათრევენ თავიანთ თავისუფალ არსებობას.

აი, მისთვის კი 1937 წელი გამარჯვებათა ხანა შეიქნა. ის ხომ არც ისე განათლებული, ერთი თვალმარდი ბიჭი გახლდათ. თითქოს ყველაფერი გარშემო მასზე ძლიერი ჩანდა გინდ ცოდნითა და გინდ გმირული წარსულით, ერთი ქულაც არ ერგებოდა მათგან, ვისაც რევოლუცია წამოუწყია და მოუხდენია კიდეც. მაგრამ მისი ხელის ერთი შეხებით რაღაც ფანტასტიკური სიმსუბუქით იცელებოდა რევოლუციური დიდებით სახელგანთქმული ათეულობით ადამიანი.

სწორედ ოცდაჩვიდმეტი წლიდან აღზევდა უცებ. სწორედ მასში განცხადდა ყამირის ბარაქიანობა, მისი უძვირფასესი არსი.

აი, ამასთან დაკავშირებით კი, მგონი, ყველაფერი ნათელია. ადამიანთა ძვლებზე, საშინელ ტანჯვა-წამებაზე არსობდა ეს დეპუტატი და ბიუროს წევრი.

მაგრამ არა, არა, აჩქარება არ ღირს. უნდა გავარკვიოთ, ვიფიქროთ, სანამ განაჩენს წარმოვთქვამთ. რამეთუ არ უწყოდა, რას იქმოდა.

უფროსმა დამრიგებლებმა პარტიის სახელით უთხრეს:

„უბედურებაა! ჩვენ მტრებით ვართ გარშემორტყმულნი! მათ გამოცდილ პარტიულებად, იატაკქვეშელებად, სამოქალაქო ომის მონაწილეებად მოაქვთ თავი, მაგრამ ისინ ხალხის მტრები, დაზვერვის აგენტები და პროვოკატორები არიან..." პარტია ეუბნებოდა მას: „შენ ახალგაზრდა და სპეტაკი ხარ. მე მჯერა შენი, ბიჭუნი. დამეხმარე, თორემ დავიღუპები. დამეხმარე ამ ართვალს, უწმინდურს გავუსწორდე..."

პარტია უყვიროდა, სტალინურ ჩექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს უბაკუნებდა: „შეყოყმანდები და მაშინ იმ გადაგვარებულების ჯგუფში ყოფილხარ. გაგანადგურებ! გახსოვდეს. ძაღლიშვილო. ის გარუჯული ჯარგვალი. სადაც დაიბადე. მე კი შენ სინათლისკენ მიმყავხარ: პატივი ეცი მორჩილებას. დიადი სტალინი. მამა შენი. გიბრძანებს: ჰკა მაგათ!“

არა, არა. პირადი ანგარიშები კი არ გაუსწორებია... მას, სოფლელ კომკავშირელს, ღმერთი არ სწამდა. მასში სხვა რწმენა ბუდობდა. დიადი სტალინის მსახვრალი ხელის შეუბრალებლობის რწმენა. მასში მორწმუნის უსიტყვო მორჩილება ცხოვრობდა. მასში იყო ყოვლისშემძლე ძალის, მისი გენიალური ბელადების: მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის წინაშე მადლიერი მოწიწება. იგი. დიდადი სტალინის ჯარისკაცუნა, მისი ბრძანებისამებრ მოქმედებდა.

თუმცა მას, რა თქმა უნდა, ინტელიგენტი, ფანატიკური, რევოლუციური თაობისადმი, რომლებზეც აქეზებდნენ კიდეც, ბიოლოგიური, ინსტინქტური, ფარული ზიზღიც ჰქონდა.

იგი თავის ვალს ასრულებდა, ანგარიშს უსწორებდა ვისმეს. მაგრამ საჩივრებს თვითგადარჩენის გამოც წერდა. იგი კაპიტალს აგროვებდა, უფრო ძვირფასს, ვიდრე ოქრო და მიწის ნაკვეთებია — ეს პარტიის ნდობა გახლავთ. იცოდა, საბჭოურ ცხოვრებაში პარტიის ნდობა ყველაფერია: ძალა, პატივი, ძალაუფლება. . და სჯეროდა, რომ მისი სიცრუე უმაღლეს სიმართლეს მსახურებდა, დასმენაში ჭეშმარიტებას ხედავდა.

თუმცა არც ის იყო დიდი დამნაშავე. მასზე ჭკვიანებს ვერ გაერჩიათ, სად იყო სიცრუე, სად კი სიმართლე. თვით სპეტაკი გულის ადამიანიც უძლური შეიქნა ერთმანეთისაგან გაერჩია სიკეთე და ბოროტება.

მას ხომ სჯეროდა, უფრო ზუსტად, უნდოდა დაეჯერებინა, უფრო სწორად, არ შეეძლო არ დაეჯერებინა.

ეს ბნელი საქმე სადღაც არც სიამოვნებდა, მაგრამ ვალდებული გახლდათ: თუმცა რაღაცით კიდეც მოსწონდა. ათრობდა და ითრევდა ეს საშინელი საქმე. „დაიხსომე, — ეუბნებოდნენ დამრიგებლები. — არც დედ-მამა გყავს, არც და-ძმა. მხოლოდ და მხოლოდ პარტიაა შენი სისხლ-ხორცი“.

და ძლიერდებოდა უცნაური. მტანჯველი გრძნობა: თავის გახუსჯელობასა და მორჩილებაში იგი უძლურებას კი, არა, მრისხანე ძალას იძენდა.

მის უკეთურ გენერლურ თვალებში, მბრძანებლურ, ხლიჩინა ხმაში აგერაგერ მაინც გაიელვებდა მალულად მიყუჩებული, გაბეცებული, გამოთაყვანებული, რუსული მონობის საუკუნეებით და აზიური უსამართლობით ნასაზრდოები სულ სხვა კაცის ბუნება...

დიახ, დიახ, აქაც დაფიქრებაა საჭირო. საშინელი კაცის დასჯაც ხომ საშინელებაა.

მაგრამ აი, ახალი ამხანაგი — იუდა მეოთხე.

იგი კომუნალური ბინების მცხოვრები, წვრილფეხა მოსამსახურე და საკოლმეურნეო აქტივისტია. მაგრამ ვინც უნდა იყოს: ახალგაზრდა. მოხუცი თუ შეუხედავი, წარმოსადეგი და ლაქლაქა რუსი გოლიათი. სახე ყოველთვის ერთნაირი აქვს. მაშინვე შეიძლება იცნო. მეშჩანია, . ხარბად აგროვებს ნივთებს, მატერიალურის ფანატიკური მოთაყვანეა. საწოლ-დივანის, წიწიბურას ბურღულის, პოლონური ავეჯის, დეფიციტური სამშენებლო მასალის. იმპორტული მანუფაქტურის მოპოვების მისეული ფანატიზმი თავისი ძალით ჯორდანო ბრუნოს და ანდრეი ჟელიაბოვის ფანატიზმს უტოლდება.

იგი კანტის საწინააღმდეგო კატეგორიული იმპერატივის შემქმნელია: კაცი. კაცობრიობა მისთვის ნივთებზე ნადირობის ერთ-ერთი საშუალებაა. მის ღია თუ მუქ თვალებს ერთთავად დაძაბული, გაბრაზებული და გალიზიანებული გამომეტყველება აქვს მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ ვინმეზე გაპრაზებული, ერთთავად ვილაცას უსწორებს ანგარიშს.

ხალხის მტრების მხილებისათვის სახელმწიფოს ვნებიანი სწრაფვა მისთვის ღვთის წყალობაა. იგი თითქოს ოკეანეზე მქროლავი ფართო პასატია. მის პატარა, ყვითელ აფრას ზურგის ქარი უბერავს. დალუპულთა ტანჯვის ფასად დამსმენი თავისთვის ყოველივე საჭიროს მოიპოვებს. დამატებით ბინის ფართობს, ხელფასს, მეზობლის ბინას, პოლონურ გარნიტურს, საკუთარი „მოსკვიჩისათვის" დათბილულ გარაჟს, ბაღს...

მას სძულს წიგნები, მუსიკა, ბუნების მშვენება, სიყვარული და დედობრივი სინაზე. მხოლოდ საგნები, მხოლოდ და მხოლოდ საგნები.

იგი თანამშრომელს ასმენს, რომელიც მის ცოლთან ცეკვავდა და მას ეჭვი გაუღვიძა, არც იმ სიტყვამახვილ სტუმარს ინდობს სუფრაზე რომ იგი მასხრად აიგდო. მათ გზას გაუყენა მეზობელიც, რომელმაც სამზარეულოში შემთხვევით მხარი გაჰკრა.

ეს დამსმენი ორი თვისებით გამოირჩევა: მოხალისეა, ვოლონტიორი, არავის შეუშინებია, არც ძალა დაუტანებია. იგი თავად ასმენს, რად უნდა დაშინება. მეორეც, დასმენაში პირდაპირ, აშკარა სარგებლობას ხედავს.

და მაინც დასარტყმელად შემართული მუშტი შეაკავა.

ნივთებისადმი მისი სიყვარული ხომ სილატაკემ გამოიწვია. მას შეუძლია გიამბოთ რვა კვადრატულმეტრიან ოთახზე, სადაც თერთმეტ კაცს სძინავს, სადაც დამბლიანი ხვრინავს, გვერდით კი ახლად დაქორწინებულები შრიალებენ და კვნესიან, ბებერი ლოცვას ბურტყუნებს და ტირილით იჭაჭება ჩასველებული ბალღი.

იგი გიამბობთ სოფლურ მოყავისფრო-წმვანე პურზე და საერთო, სამჯერად მოსკოვურ სუპზე, ჩამოფასებული, მოყინული კარტოფილით რომ აზავებდნენ.

მას შეუძლია მოგიყვეთ სახლზე, სადაც ერთი ლამაზი ნივთიც კი არა დგას, სკამებზე, დასაჯდომის ნაცვლად, ფანერი რომ დაუკრავთ, დაბინდული, სქელი მინის ჭიქებზე, კალის კოვზებსა და ორკბილა ჩანგლებზე, დაკემსილ და გადაკემსილ თეთრეულზე, ჭუჭყიან რეზინის ლაბადაზე, რომლის ქვემოთაც ზამთრობით დაგლეჯილ დაბამბულს იცვამენ.

იგი მოგითხრობთ ზამთრის დილის ბინდბუნდში ავტობუსის გულისგამაწვრილებელ ლოდინზე, სახლის საშინელი სივიწროვის მერე ტრამვაიში სასტიკ ჭყლეტაზე...

პირუტყვულმა ცხოვრებამ ხომ არ გააღვიძა მასში ნივთებისადმი, ფართო ბუნაგისადმი ცხოველური სწრაფვა? პირუტყვულმა ცხოვრებამ ხომ არ გაამხეცა?

ჰო, ჰო, ეს ასეა, რა თქმა უნდა: მაგრამ სხვებზე ცუდად ხომ არ იყო, თუმცა კი ძლიერ უჭირდა, მაინც ბევრზე და ბევრზე უკეთესად ცხოვრობდა.

აი, იმ ბევრს და ბევრს კი ის არ ჩაუდენია, რაც მან მოიმოქმედა.

არ ავჩქარდეთ, ვიფიქროთ, მერე კი — განაჩენი.

ბრალმდებელი. თქვენ ადასტურებთ, რომ საბჭოთა მოქალაქეებზე დასმენებს წერდით?

საიდუმლო აგენტები და დამსმენები. დიახ, ნაწილობრივ.

მბრალმდებელი. აღიარებთ თავს დამნაშავედ უდანაშაულო საბჭოთა ხალხის დაღუპვისათვის?

საიდუმლო აგენტები და დამსმენები. არა, კატეგორიულად უარვყოფთ. სახელმწიფომ წინასწარ გაწირა ისინი დასაღუპავად. ჩვენ ვმუშაობდით, ასე ვთქვათ გარეგნული გაფორმებისათვის. არსებითად, რაც უნდა დაგვეწერა, როგორც უნდა დაგვეწერა, ბრალს დავდებდით თუ გავამართლებდით, ეს ხალხი სახელმწიფოს განწირული ჰყავდა.

ბრალმდებელი. მაგრამ, თქვენ ხომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ, საკუთარი არჩევანითაც წერდით. ასეთ შემთხვევაში თავად ირჩევდით მსხვერპლს.

დამსმენები და საიდუმლო აგენტები. ჩვენი თავისუფალი არჩევანი მოჩვენებითია. ადამიანები სტატისტიკური მეთოდით ნადგურდებოდნენ, დასახოცად ის ხალხი იწირებოდა, რომლებიც განსაზღვრულ სოციალურსა და იდეურ ფენებს ეკუთვნოდნენ. ჩვენთვის ცნობილი იყო ეს პარამეტრები, თქვენც ხომ იცოდით. ჯანსაღი ფენის ხალხი, არასოდეს ჩაგვიშვია.

ბრალმდებელი. ასე ვთქვათ, სატანისებურად: „დაცემულს ხელი ჰკარი“, მაგრამ იმ სასტიკ დროში ისეთი შემთხვევაც იყო, როდესაც სახელმწიფო ტყუილუბრალოდ დადანაშაულებულ პირს ამართლებდა.

დამცველი. დიახ, ასეთი შემთხვევები მართლაც იყო. ეს გამოძიების შეცდომად მიგვაჩნია. შეუმცდარი მხოლოდ ღმერთია. თანაც გაიხსენეთ, გამართლების შემთხვევა ცოტა იყო. ესე იგი, შეცდომაც იშვიათი გახლდათ.

ბრალმდებელი. დიახ, დამსმენებმა და საიდუმლო აგენტებმა იცოდნენ თავიანთი საქმე. მაგრამ მაინც მითხარით, რატომ ასმენდით?

დამსმენები და საიდუმლო აგენტები (ერთხმად). მე მაიძულეს... მცემდნენ... მე კი შიშმა, უსაზღვრო ძალადობის შიშმა მომნუსხა... რაც შემეხება მე, ჩემს პარტიულ ვალს ისე ვასრულებდი, როგორც მაშინ მესმოდა.

ბრალმდებელი. თქვენ კი, მეოთხე ამხანაგო, რად გაჩუმებულხართ?

იუდა მეოთხე. მე რა, რას ჩამციებიხართ. ერთი ბნელი კაცი ვარ. ჩემი დაჩაგვრა უფრო ადვილია, ვიდრე განათლებულების, შეგნებულებისა.

დამცველი (აწყვეტინებს): ნება მომეცით, განვმარტო. ჩემი კლიენტი მართლაც ასმენდა პირადი მიზნით. თან გაითვალისწინეთ, ამ შემთხვევაში პირადი ინტერესი სახელმწიფოსას არ ეწინააღმდეგებოდა. სახელმწიფო ჩემი დასაცავი პირის დასმენებს არ უარყოფდა. აქედან გამომდინარე, იგი სახელმწიფოებრივად სასარგებლო საქმეს ასრულებდა. თუმცა, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იგი მართლაც ეგოისტური, პირადი მოსაზრებებით ასმენდა. ახლა კი აი, რა. სტალინის დროში, თქვენ ბრალმდებელო, თვითონ დაგადანაშაულებდნენ სახელმწიფოს როლის სათანადოდ შეუფასებლობისათვის. იცით თუ არა, რომ ჩვენი სახელმწიფოს მიერ შექმნილი ძალური ველი, მისი უმძიმესი მასა, ზეშიში და ზემორჩილება, რომელსაც ისინი ადამიანებში რომ იწვევენ, ისეთია, რომ სუსტი, უმწეო კაცისადმი მიმართული ნებისმიერი ბრალდება უაზრო ხდება. სასაცილოა ბუმბული დაადანაშაულო იმაში, რომ იგი მიწაზე vარდება.

ბრალმდებელი. თქვენი შეხედულება ნათელია ჩემთვის: თქვენ არ გსურთ ბრალდებულებმა დანაშაულის მცირე ნაწილი მაინც აღიარონ. მხოლოდ სახელმწიფოს სდებთ ბრალს. მაგრამ, დამსმენები და საიდუმლო აგენტები, ნუთუ ოდნავადაც არ გრძნობთ თავს დამნაშავედ?

საიდუმლო აგენტები და დამსმენები (ერთმანეთს უყურებენ, ჩურჩულებენ, შემდეგ სტყვას სწავლული საიდუმლო აგენტი იღებს): ნება მომეცით, გიპასუხოთ, თქვენი შეკითხვა, მიუხედავად მისი გარეგნული უბრალოებისა, არც ისე მარტივია. უპირველეს ყოვლისა, იგი უაზროა, თუმცა სწორედ ამას არ აქვს მნიშვნელობა. მართლაც, რა საჭიროა, ახლა სტალინის ეპოქაში ჩადენილი დანაშაულებისათვის დამნაშავის ძებნა? ეს იგივეა, დედამიწიდან მთვარეზე გადასახლდე და იქ საკარმიდამო ნაკვეთებისათვის დავა გააჩაღო. მეორე მხრივ, თუ ჩავთვლით, რომ ეპოქები არც ისე დაშორებულნი არიან ურთიერთისაგან, და როგორც პოეტმა თქვა, თითქმის გვერდიგვერდ დგანან, ცოტაოდენი სირთულე როდი წამოიჭრება. მაინცდამაინც ჩვენი უმწეობის მხილება რატომ გინდათ? სახელმწიფოდან

96
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიწყეთ. იგი განსაჯეთ. ჩვენი ცოდვა ხომ მისი ცოდვაა; მაშ. განსაჯეთ იგი. უშიშრად. ყველას გასაგონად. სხვანაირად არ გამოვა. თქვენ ხომ სიმართლის სახელით გამოდიხართ. აბა. მიდით, იმოქმედეთ! მერე მითხარით, გეთაყვა. სწორედ ახლა რატომ გაგახსენდით? სტალინის სიცოცხლეში ყველა ჩვენთაგანს იცნობდით. მშვენივრად გვხვდებოდით. ჩვენს კაბინეტებთან მილებას ელოდით. ხანდისხან. ჩუმად, რაღაცას ბელურებივით ქღურტულებდით ჩვენზე. ჩვენც ხომ ასე ვქღურტულებდით ბელურებივით, უფრო სწორად, ვჩურჩულებდით. თქვენც ჩვენსავით სტალინური ეპოქის თანამონაწილენი ხართ. მაშ თვითონ თანამონაწილეებმა რატომ უნდა გაგვსაჯონ. თანამონაწილეთა დანაშაული რად უნდა გაარკვიონ?.. გესმით. რაშია სიძნელე? იქნებ დამნაშავენიც ვართ, მაგრამ არ არსებობს სამართალი. რომელსაც მორალური უფლება ჰქონდეს წამოჭრას საკითხი ჩვენი დანაშაულის შესახებ! გახსოვთ ლევ ტოლსტოი: არ არსებობენ ქვეყნად დამნაშავენი! ჩვენ სახელმწიფოში კი ახალი ფორმულა მოქმედებს: მთელი ქვეყანა დამნაშავეა და არ მოიძევება ერთი უდანაშაულოც კი. საქმე ეხება დანაშაულის ზომასა და ხარისხს. შეგშვენით კი თქვენ, ამხანაგო პროკურორო, ბრალი დაგვდოთ ჩვენ? მხოლოდ და მხოლოდ მკვდრებს. მათ, ვინც ვერ გადარჩა უფლება აქვთ გაგვსაჯონ. მაგრამ მკვდრები არაფერს კითხულობენ, მკვდრები დუმან. და აი, ნება მომეცით, თქვენს კითხვას კითხვითვე ვუპასუხო. ადამიანურად. უბრალოდ, მთელი გულით, რუსულად. რა არის მიზეზი ამ საძაგელი. ჩვენი და თქვენი საყოველთაო სისუსტისა. დამყოლობისა?

ბრალმდებელი. თქვენ კითხვას არ უპასუხეთ?

(შემოდის მიდვანი, სწავლულ საიდუმლო აგენტს პაკეტს გადასცემს და ამბობს: „მთავრობისაა“).

სწავლული საიდუმლო აგენტი (ქაღალდს წაიკითხავს და ბრალმდებელს გაუწვდის). ინებეთ. დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით დაფასებულია საიდუმლო მეცნიერებაში ჩემი არცთუ ისე მოკრძალებული ღვაწლი.

ბრალმდებელი. (წაიკითხავს ქაღალდს). ჩემდა უნებურად. მაგრამ მოხარული ვარ თქვენი წარმატებებისა. ჩვენ ხომ ყველანი საბჭოთა ადამიანები ვართ.

სწავლული აგენტი. დიახ. დიახ. ბუნებრივია, გმადლობთ (ბურტყუნებს თავისთვის). ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო... დაწესებულებებს. ორგანიზაციებსა და ასევე ამხანაგ-მეგობრებს...

დამცველი (პოზას იღებს და სიტყვას წარმოთქვამს). ამხანაგო ბრალმდებელო და ბატონო ნაფიცო მსაჯულნო! ამხანაგმა პროკურორმა ჩემს დასაცავ პირს უთხრა. რომ მან თავი აარიდა კითხვაზე: თვლის თუ არა იგი გარკვეულწილად თავს დამნაშავედ? მაგრამ აკი არც თქვენ გიპასუხიათ: რა არის მიზეზი ჩვენი საერთო. საყოველთაო დამყოლობისა? იქნებ თავად ადამიანის ბუნებამ შექმნა დამსმენები. საიდუმლო აგენტები, ინფორმატორები და ჩამშვებები? იქნებ მათ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები. ნაწლავებში მობუყბუყე ფაფა, მუცლის გაზების გრუხუნი, ლორწოვანი გარსები. თირკმლის მუშაობა ბადებს, იქნებ ისინი თვითგადარჩენის, გამრავლებისა და კვების უსახო ინსტინქტებისაგან იბადებიან?

აჰ, განა სულ ერთი არაა დამნაშავენი არიან ჩამშვებები თუ არა. დამნაშავენი იყვნენ. თუნდაც უდანაშაულონი. საზიზღრობა ის გახლავთ. რომ ისინი არსებობენ. საძაგელია ადამიანის ცხოველური. მცენარეული. მინერალური. ფიზიკო-ქიმიური მხარე. აი. სწორედ ადამიანური არსის ამ ლორწოვანი, ჯაგარმოდებული. მდაბალი თვისებებიდან იბადებიან ჩამშვებნი. ჩამშვებნი. თავად ადამიანიდან ამოიზარდა. სახელმწიფოებრივმა შიშმა ორთქლში გამოატარა ადამიანთა მოდგმა და მთვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარე მარცვლები დაიბერნენ, გაცოცხლდნენ. სახელმწიფო მიწაა. თუ მასში მარცვალი არ ჩაგდებულა, არც ხორბალი ამოიზრდება და არც შამბნარი. ადამიანი კაცთა სიბილწეს საკუთარ თავს უნდა უმადლოდეს.

მაგრამ იცით კი, რა არის ყველაზე საზიზღარი ჩამშვებსა და დამსმენში? გგონიათ, ის მანკიერებანი, რაც მათ გააჩნიათ?

არა! ყველაზე საშინელი ის კარგი გახლავთ, რაც მათ ახასიათებთ. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ისინი ღირსეული, სათნო ადამიანები ბრძანდებიან.

ისინი მოყვარული, ალერსიანი შვილები, მამები და ქმრები არიან... შრომისა და სიკეთის სახელით გმირობის ჩადენაც ძალუძთ.

მათ მეცნიერება, დიდი რუსული ლიტერატურა და შესანიშნავი მუსიკა უყვართ. ზოგი მათგანი თამამად და გონივრულად მსჯელობს თანამედროვე ფილოსოფიისა და ხელოვნების ყველაზე რთულ მოვლენებზე...

ახლა რა ერთგულ, კეთილ მეგობრებს შეხვდებით მათ შორის. რა გულისხმიერებით მოინახულებენ საავადმყოფოში მოხვედრილ ამხანაგს.

რა მომთმენი, მამაცი ჯარისკაცები არიან მათ რიგებში: ისინი ამხანაგებს უკანასკნელ ორცხობილას, წყლის მწიკვსაც კი უნაწილებენ. მათ გამოჰყავდათ ბრძოლის ველიდან სისხლისგან დაწრეტილი თანამებრძოლი.

რა ნიჭიერი პოეტები, მუსიკოსები, ფიზიკოსები, ექიმები გახლავან. რა ხელმარჯვე ზეინკლები, დურგლები არიან. ამისთანებზე ამბობს ხოლმე ხალხი, ოქროს ხელები აქვთო.

აი, ესაა საშინელება: ბევრი, ბევრი კარგი თვისება აქვთ.

ვიღა განვსაჯოთ? ადამიანის ბუნება! იგი, იგი ბადებს სიცრუეს, სიბილწეს, ლაჩრობასა და უსუსურობას. მაგრამ კარგს, წმინდასა და კეთილსაც ხომ ქმნის, ჩამშვებებსა და დამსმენებს მრავალი ღირსება აქვთ, გაუშვით ისინი სახლებში, მაგრამ რა საზიზღრები არიან ისინი თავიანთი ღირსებებით.... ნეტავ ვინ იხუმრა ასე ცუდად: „ადამიანი, ეს სიტყვა რა ამაყად ჟღერსო!“

დიახ, დიახ, ისინი უდანაშაულონი ბრძანდებიან. მათ პირქუში, ტყვიისებური ძალები უბიძგებდნენ, მათ ტრილიონობით ფუთი სიმძიმე თრგუნავდა და არ არსებობს ცოცხალთა შორის უდანაშაულო. ყველა დამნაშავეა, შენც, ბრალმდებელო, შენც, პროკურორო და მეც, ბრალდებულის, პროკურორისა თუ მოსამართლის განმსჯელი.

მაგრამ რადაა ასე მტკივნეული, ასე სამარცხვინო ჩვენი ადამიანური სიბილწე?

8

„რა ფეხით სიარული ამიტყდა“, — იმეორებდა პინეგინი. მას არ სურდა ათწლეულების წინ მიძინებული და ახლა უცებ გაღვიძებული წარსულის მოგონება. საქმე ცუდ საქციელში როდი გახლდათ, ის სულელური შემთხვევითობა აღიზიანებდა, თავისი ხელით დაღუპული კაცი რომ შეახვედრა. ქუჩაში რომ არ შეჩეხებოდა, ყველაფერი უწინდებურად იქნებოდა, — მძინარე არ გაიღვიძებდა.

თუმცა აკი გაიღვიძა და პინეგინი, თავად ვერ ამჩნევდა, მაგრამ ახლა იმ სულელურ შემთხვევითობაზე ნაკლებად ფიქრობდა, სულ უფრო მეტად შფოთავდა და წუხდა: „რას იზამ, ფაქტია, სწორედ მე ჩავუშვი ვანეჩკა. ხომ შემეძლო არ ჩამეშვა და აი, კაცი გავტეხე, ეშმაკსაც წაუღია შევხვდებოდით ახლა და ყველაფერიც რიგზე იქნებოდა. ეჰ, დასწყევლოს, ეს რა სიძაგლობა ამეშალა სულში. თითქოს ვიღაც ქალბატონის ჩანთაში ხელი ჩამეცოცებინოს, მან კი ვითომ ჩამავლო და გარშემოც თითქოს სულ ჩემი რეფერენტები, მდივნები და შოფერი დგას; ოჰ, ოჰ, უბედურებაა, ამ სისაძაგლის შემდეგ სიცოცხლე აღარც მოგინდება კაცს. იქნებ ჩემი მთელი ცხოვრებაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანი სისაძაგლეა, სხვანაირად უნდა მეცხოვრა".

და საკმაოდ შეშფოთებული პინეგინი ინტურისტის რესტორანში შევიდა, სადაც მას დიდი ხანია იცნობდა მეტრი, ოფიციანტი და შვეიცარიც...

მის დანახვაზე ორი მოსამსახურე გამოვარდა ჩურჩულით: „მობრძანდით, მობრძანდითო" და ულაყებივით ახვიხვინებულები, მოუთმენლად წაეპოტინნენ პინეგინის მდიდრულ ალჭურვილობას. „ინტურისტის" გასახდელში მომუშავეთ მახვილი თვალი ჰქონდათ: კარგი თვალები, ჯიშიანი, გონიერი რუსი ჯეელებისა. ზუსტად რომ შეეძლოთ დაეხსომათ, ვინ იყო, რა ეცვა და რა თქვა კიდეც. აი, პინეგინს ხომ მისი დეპუტატობის სანიშნის გამო მთელი გულით, თითქოს უშუალოდ მათი უფროსი იყო, ისე მოექცნენ.

აუჩქარებლად, ნება-ნება გაუყვარბილ ხალიჩას პინეგინი და რესტორნის დარბაზში გავიდა. საზეიმო მწუხრი იდგა მაღალჭერიან და ფართო დარბაზში. პინეგინმა შეისუნთქა მშვიდი, ერთდროულად თბილი და გრილი ჰაერი, გახამებული გადასაფარებლებით დამშვენებული მაგიდები მოათვალიერა; მკრთალი შუქით ბრწყინავდნენ ყვავილებიანი თლილი ვაზები, ბოკალები და სირჩები. პინეგინმა მისთვის ნაცნობ მყუდრო ალაგს მიაშურა, როდოდენდრონის ფოთლებქვეშ.

იგი სხვადასხვა სახელმწიფოს ალმებით გაწყობილ მაგიდებს შორის მიაბიჯებდა და გეჩვენებოდათ, თითქოს მაგიდები სახაზო გემები და კრეისერები იყვნენ, თავად კი ფლაგმან-ადმირალი, რომელიც პარადს იღებდა.

ამ ამაღლებული გუნება-განწყობილებით, რაც ცხოვრებას უადვილებდა, მაგიდას მიუჯდა, აუჩქარებლად დასწვდა ზეთისხილისფერ-მოლურჯო, ლაურეატის დიპლომივით გაკრიალებულ მენიუს და „ცივი საუზმეულის" განყოფილება ყურადღებით გადაათვალიერა.

მშობლიურ ენასა და სხვა, უცხოურ ენებზე ჩამოწერილი საუზმეულის დასახელებანი რომ ჩაიკითხა, მუყაოს ჭრაჭუნა გვერდი გადაფურცლა და „სუპების" განყოფილებას გადაჰკრა თვალი, ტუჩები ააცმაცუნა და ახლა მზერა „ხორციანი კერძებისაკენ" გაექცა.

და სწორედ იმ წუთს, როცა ხორცისა და ფრინველის კერძებზე შეყოვნდა, ოფიციანტმა ყოყმანი შეატყო და წარმოთქვა:

— დღეს სუკი დიდებულია.

პინეგინი დიდხანს დუმდა.

— რას იზამ, სუკია და სუკი იყოს, — თქვა მან.

იგი ბინდიან სიჩუმეში თვალმილულული იჯდა. მისი ცხოვრების სრულწლოვანი სიმართლე შეშფოთებასა და შიშს ეკამათებოდა, უცებ დაცემულ შიშის ზარს, სინანულის ცეცხლსა და ყინულს ეპაექრებოდა.

მაგრამ აი, მძიმე ხავერდით მოფარდაგებული კარი ამოძრავდა, პინეგინმა მიმტანის მელოტ თავს მოჰკრა თვალი და გაიფიქრა: „ჩემია".

ბინდბუნდიდან პინეგინისაკენ ლანგარი მირონინებდა და იგი ხედავდა ლიმონის პატარ-პატარა მზეებში ჩაწყობილ რუხ-ვარდისფერ ორაგულს, მრუმე ხიზილალას, სათბურისებურ სიმწვანეს კიტრისას, არყის გრაფინის ამობურცულ გვერდებსა და ბორჯომის ბოთლს.

არც ისე თავგადაკლული გურმანი გახლდათ და არც ჭამა უნდოდა ძალიან, მაგრამ სწორედ ამ წუთებიდან აღარ აშფოთებდა პინეგინის სიმართლეს ქურთუკდაბამბული მოხუცი კაცი.

9

სადგურზე რომ მივიდა, ივან გრიგორიევიჩმა იგრძნო, ლენინგრადის ქუჩებში ხეტიალს აზრი არ ჰქონდა. იდგა მაღალ, ცივ შენობაში და ფიქრობდა. და იქნებ ვინმე გამვლელთაგანი, რომელიც გვერდით ჩაუვლიდა კუშტ მოხუცს, მატარებლების მიმოსვლის განრიგის შავ დაფას რომ უცქერდა, გაიფიქრებდა: აი, დგას ბანაკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან დაბრუნებული რუსი კაცი გზაჯვარედინზე. მარჩიელობს. გზას უცქერს. არა, იგი გზას არ ირჩევდა.

ათეულობით გამომძიებელი წლების განმავლობაში დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ ივანი არც მონარქისტი იყო და არც ესერი. ტროცკისტულ და ბუხარინის ოპოზიციაში მონაწილეობას არ იღებდა, არც ახალსა და ძველ ეკლესიას, არც მეშვიდე დღის ადვენტისტებს ეკუთვნოდა.

სადგურში, მოსკოვსა და ლენინგრადში გატარებულ მძიმე დღეებზე რომ ფიქრობდა, ივანს გაახსენდა ბანაკში მის გვერდით, ნარზე მწოლარე მეფის არტილერიის გენერალთან საუბარი. მოხუცი ამბობდა: „არსადაც არ წავალ ბანაკიდან. აქ თბილა, ხალხიც ნაცნობია, ვინ შაქრის ნატეხს მაძლევს, ვინ კი ლვეზელს მომიკითხავს ამანათიდან“.

ასეთი მოხუცი ბევრჯერ შეხვედრია ივანს. ასეთებს უკვე ბანაკიდან წასვლა აღარ უნდოდათ. აქ იყო მათი სახლი, საჭმელი დაწესებულ დროს, კეთილი მეზობლების ნასუფრალი, ღუმელის სითბო.

მართლაც, რად უნდა წასულიყვნენ. ზოგს ჩაკირული გულის სიღრმეში ჯერ კიდევ ახსოვდა ცარსკოე სელოს ჭალების კაშკაში, ნიცას ზამთრული მზე; სხვებს მენდელეევი, რომელიც მათთან შინაურულად მოდიოდა ჩაის სასმელად. იხსენებდნენ ჭაბუკ ბლოკს, სკრიაბინსა და რეპინს; დანარჩენების მეხსიერებაში ჯერ კიდევ ბჟუტავდა დიდი ქელიაბოვის მეგობრების — პლეხანოვის, გორშუნის, ტრიგონის ხსოვნა. იყო შემთხვევები, როცა გათავისუფლებული მოხუცები ბანაკში დაბრუნებას ითხოვდნენ, მათი მოკანკალე, სუსტი ფეხები ცხოვრებისეულ გრიგალს ვერ უძლებდა, უზარმაზარი ქალაქების უკაცურობა და სიცივე აშინებდათ.

ივან გრიგორიევიჩს სურდა კვლავ გადასულიყო მავთულხლართის მიღმა, მოეძებნა ისინი, ვინც თბილ ჩვრებს, ერთ ჯამ სალაფავსა და ბანაკის ღუმელს მიჯაჭვულიყო. მას სურდა ეთქვა: მართლაც საშინელებაა გარეთ!

## 10

როცა ბინა და სამსახური მოიძია, სიმშვიდე და სევდა დაეუფლა ივან გრიგორიევიჩს. ახლა მას, ინვალიდთა ლითონის ნაკეთობათა არტელის ზეინკალს, პასპორტში ნანატრი ჩაწერის ტამპიც გაუჩნდა და ძველი ფულით ორმოც მანეთად ერთ, ფრონტზე დაღუპულ სერჟანტ მიხალევის ქვრივთან, კუთხეც იქირავა.

ანა სერგეევნასთან, გამხდარ, ჭაღარაგარეულ, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალთან, მისი გარდაცვლილი დის ვაჟი, თორმეტი წლის უფერული ბიჭი ცხოვრობდა. ტანთ ერთთავად დაკემსილი ქურთუკი ეცვა. საოცრად მორცხვი, წყნარი და ცნობისმოყვარე ბიჭი იყო. ასეთები მხოლოდ ღარიბ-ღატაკ ოჯახებში იბადებიან. კედელზე მიხალევის, პირქუში კაცის ფოტო ეკიდა. თითქოს ჯერ კიდევ მაშინ, როცა სურათს იღებდა, გამოუცვნიაო თავისი მომავალი. ანა სერგეევნას ვაჟი სავალდებულო სამსახურს იხდიდა საბადრაგო ნაწილში. პირმსუქანი, მოკლედ თავგაკრეჭილი შვილის ფოტო მამის სურათის გვერდით ეკიდა.

მიხალევა უგზო-უკვლოდ დაიკარგა ომის პირველსავე დღეებში. ის ნაწილი კი, სადაც იგი მსახურობდა, გერმანელთა ტანკებმა გასრისეს საზღვართან ახლოს და არავინ იყო მოამბე დაემოწმებინა: მიხალევი გარმანელთა ავტომატით დაცხრილული ეგდო ველზე თუ ტყვედ ჩავარდა. ამიტომაც სამხედრო კომისარიატი ქვრივს პენსიას არ უფორმებდა.

მიხალევა მზარეულად მუშაობდა სასადილოში. მაგრამ მაინც უჭირდა. მოხუცმა დამ, კოლმეურნემ, ობოლ დისშვილს სოფლიდან ქატოიანი შავი ფქვილის კვერები და ცვილიანი ამღვრეული თაფლი გამოუგზავნა ერთხელ.

მიხალევაც, შეძლებისდაგვარად უგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავნიდა დას სოფლად სურსათს: ფქვილს, მზესუმზირას ზეთს და, ზოგჯერ, თეთრ პურსა და შაქარს.

ივან . გრიგორიევიჩს უკვირდა, ანნა სერგეევნა მზარეულად მუშაობდა და ისეთი გამხდარი და უფერული კი იყო. ბანაკში ხელად გამოარჩევდი პირმსუქან მზარეულს პატიმრებს შორის.

მიხალევა ივან გრიგორიევიჩს ბანაკი ცხოვრებაზე არაფერს ეკითხებოდა. აი, არტელის კადრების განყოფილების გამგემ კი დაწვრილებით ამბობინა ყველაფერი. ანა სერგეევნა ცხოვრების მცოდნე, ნაცადი თვალით, უთქმელადაც ყველაფერს ხვდებოდა, როცა ივან გრიგორიევიჩს აკვირდებოდა.

მას ფიცრებზე ეძინა, შაქრისა და ჩაის ნაყენის გარეშე სვამდა ცხელ წყალს, ხმელა პურს ჭამდა, ფეხზე წინდის ნაცვლად, ფეხსახვევებს ხმარობდა. ლოგინის თეთრეული არ ჰქონდა, მაგრამ ქალი ამჩნევდა: ხალათი თუმცა რეცხვისაგან გაყვითლებოდა, მაგრამ საყელო ყოველთვის სუფთა ჰქონდა. დილდილობით სალებავაქერცლილ და დაჭეჭყილ მონპასის კოლოფს ამოიღებდა და კბილებს ჯაგრისით იხეხავდა; სახეს და კისერს, ხელებს იდაყვებამდე გულდაგულ გაისაპნავდა.

ღამის სიჩუმე უცნაური ეჩვენებოდა ივანს. ათეული წლების განმავლობაში მიჩვეოდა ბანაკის მკვიდრთა მრავალხმიან ხვრინვას, ქშენას, ბურტყუნსა და კვნესას, სარაკუნოების კაკუნსა და ბორბლების ჭრიალს. მარტო მხოლოდ კარცერში რჩებოდა, ერთხელ კიდევ, გამოძიებისას, სამთვენახევარი ამყოფეს ცალკე საკანში.

არტელში ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოხვდა. ქალაქის ბაღში ერთ, მარხილის თავკაკვივით წელში მოხრილ, ავადმყოფური გადეგნობის კაცს გამოელაპარაკა, რომელმაც უთხრა: ინვალიდთა არტელში მოანგარიშედ მუშაობას თავს ვანებებ და მივემგზავრები: მივემგზავრები იმიტომ, რომ არ მსურს იმ ქალაქში დავიმარხო, სადაც სასაფლაო ჭყანტობზეა და კუბოები საფლავებში წყალში ცურავენო. მოანგარიშეს კი სიკვდილის შემდგომ კეთილმოწყობილი განსვენება სურდა. მუხის კუბოსათვის ფული შეეგროვებინა; ეყიდა კარგი წითელი გადასაკრავი და სპილენძის ლურსმნები, რომელთაც სადგურებში ტყავის დივნებს აკრავდნენ. ამ ავლადიდებით ხომ არ ამოლპებოდა საფლავში.

ყოველივე ამაზე კაცის ხმით საუბრობდა, რომელსაც ახალ, უფრო მოხერხებულ ბინაში გადაეწყვიტა გადასვლა.

ამ „ახალმოსახლის“, ასე დაარქვა ივან გრიგორიევიჩმა მას, რეკომენდაციით შეძლო არტელში ზეინკლად მოწყობა. იქ ბოქლომებს, გასაღებებს აკეთებდნენ, ჭურჭელს კალავდნენ და იქვე შეადუღებდნენ კიდეც. გამოადგა ივან გრიგორიევიჩს ხელობის ცოდნა: ერთ დროს ბანაკის სარემონტო სახელოსნოში მუშაობდა ზეინკლად.

მუშებს შორის სამამულო ომის ინვალიდები, საწარმოში ან ტრანსპორტით დახეიბრებულები იყვნენ; სამი მოხუცი კი ჯერ კიდევ 1914 წლის ომში დასახიჩრებულიყო. არტელში ერთი ბანაკის ყოფილი უხუცესიც მუშაობდა: პუტილოვის ქარხნის მუშა მორდანი. იგი 1936 წელს 58-ე მუხლით გაასამართლეს და მხოლოდ ომის შემდეგ გათავისუფლდა. მორდანმა ლენინგრადში დაბრუნება აღარ ისურვა. იქ, ბლოკადაში, ცოლი და ქალიშვილი დაღუპვოდა და ამიტომ დასთან დასახლდა სამხრეთულ ქალაქში და არტელში დაიწყო მუშაობა.

ინვალიდები უმეტესად მხიარული, ცხოვრებისადმი იუმორისტულად განწყობილი ხალხი იყო; მაგრამ ზოგჯერ რომელიმეს ბნედა მოუვლიდა და ჩაქუჩების გრუხუნსა და ქლიბების ღრიალს იატაკზე მოფართხალე ბნედიანის ყვირილიც უერთდებოდა.

1914 წლის სამხედრო ტყვეს, ჰალარაქილვაშიან პატაშკოვსკის (ამბობდნენ, ავსტრიელია, მაგრამ პოლონელად ასაღებს თავსო), უცებ ხელები გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშლებოდა და თავის ტაბურეტზე შემართული ჩაქუჩით გაქვავდებოდა. სახე უძრავი და მედიდური უხდებოდა. მხარზე ხელი უნდა წაგევლო. შეგენჯღრია და ისე გამოგეყვანა მდგომარეობიდან. ერთხელ კი, ერთდროულად რამდენიმეს მოუარა ბნედამ და სახელოსნოს სხვადასხვა კუთხეებში აფართხალდნენ. აყვირდნენ ახალგაზრდები და მოხუცები.

საოცრად კარგი, მაგრამ უჩვეულო გრძნობა იყო ივან გრიგორიევიჩისათვის, როცა იგი ბადრაგისა და კოშკურაზე წამომართული ზედამხედველების გარეშე, თავისუფლად მუშაობდა. რა უცნაურად ეჩვენებოდა: სამუშაო თითქოს იგივე იყო, ინსტრუმენტიც ნაცნობი გახლდათ, მაგრამ თახსირს არავინ ეძახდა. ქურდი არ გაეჭიმებოდა და არც „ძაღლი" მოუღერებდა ხელკეტს.

მალე ივან გრიგორიევიჩმა დაინახა, რა გზით შოულობდა ხალხი დამატებით სახსარს. ვილაც, თავისი, კერძოდ ნაყიდი მასალით აკეთებდა ჩაიდნებსა და ქვაბებს. მათ არტელშივე, სახელმწიფო ფასად იყიდდნენ, არც მეტად და არც ნაკლებად. სხვები კლიენტებს რამერუმეს შეკეთებისას ქვითარს არ გამოუწერდნენ და ფულს თვითონ იღებდნენ. გასამრჯელოდ იმასვე ითხოვდნენ, რაც სახელმწიფოს მიერ იყო დაწესებული, არც მეტსა და არც ნაკლებს.

მორდანი, რომელსაც ნიჩაბივით ხელისგულები ჰქონდა და გეგონებოდა, ზამთარში ტროტუარებიდან თოვლის გადმოხვეტაც შეუძლიაო, სადილობისას, წინადღით მის სახლში მომხდარ შემთხვევას მოჰყვა. მეზობელ ბინაში ხუთი კაცი ცხოვრობს: ხარატი, მკერავი, მექანიკური ქარხნის მონტიორი და ორი ქვრივიო: ერთი ქალი სამკერვალო ფაბრიკაში, მეორე კი ქალაქის საბჭოში დამლაგებლად მუშაობს. და აი, უქმე დღეს ორივე ქვრივი მილიციის განყოფილებაში შეხვდა თურმე ერთმანეთს. ისინი წესრიგის დამცველი ორგანოს მუშაკებს დაეკავებინათ ბადურების გაყიდვისათვის, რომლებსაც ქალები ერთმანეთისაგან მალულად ქსოვდნენ ღამღამობით. მილიციამ ბინაში ჩხრეკა ჩაატარა და გამოირკვა, რომ მკერავი ღამღამობით ბიჭებისა და ქალების პალტოს კერავდა, მონტიორს კი იატაკქვეშ ელექტროქურა დაედგა, ვაფლებს აცხობდა. და ცოლს ბაზარში გასაყიდად ატანდა. ქარხანა „წითელი ჩირაღდნის" ხარატი თურმე ხარაზობდა: ქალის მოდურ ტუფლებს კერავდა. ქვრივები კი ბადურებს გარდა, ქალის კოფთებსაც ქსოვდნენ.

მორდანი მსმენელებს სიცილით ხოცავდა, როცა მონტიორს წარმოადგენდა: ვაფლებს ოჯახისთვის ვაცხობო. აყვირებულა. ინსპექტორი კი ეკითხება: ორი ფუთი ცომი სულ ოჯახისათვის მოამზადეო? ყოველი დამრღვევი სამასი მანეთით დააჯარიმეს. ყველა მათგანის შესახებ სამსახურებს შეატყობინეს და საბჭოური ცხოვრების უსაქმურებისა და მუქთახორებისაგან გაწმენდის მიზნით. გასახლებითაც დაემუქრნენ.

მორდანს ლაპარაკში მეცნიერული სიტყვების ჩართვა უყვარდა, როდესაც გაფუჭებულ ბოქლომს ათვალიერებდა. მედიდურად იტყოდა: „ჰო, გასაღები სრულიად არ რეაგირებსო". ერთხელ, სამსახურის შემდეგ, ივან გრიგორიევიჩთან ერთად მიმავალმა უცებ თქვა":

— მე ლენინგრადიდან მხოლოდ იმისათვის კი არ დავბრუნდი, რომ ცოლშვილი დამეხოცა. არ შემიძლია ჩემი მუშური თვალებით პუტილოველი პროლეტარიატის მდგომარეობას ვუცქირო. გაფიცვა რაა და, ამის უფლებაც არ გვაქვს. მუშა კი რაღა მუშაა. გაფიცვის უფლების გარეშე.

საღამოობით დიასახლისი მოდიოდა შინ. მას თან დისშვილისათვის საჭმელი მოჰქონდა: სუპი პატარა ბიდონით და მეორე კერძი, თიხის ქოთნით.

იქნებ გეჭამათ? — წყნარად შეეკითხებოდა ივან გრიგორიევიჩს — ჩვენ გვეყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვხედავ, თვითონაც არაფერს ჭამთ, — ეუბნებოდა ივან გრიგორიევიჩი.

— მთელი დღე ვჭამ, ასეთი სამუშაო მაქვს, — უპასუხებდა ქალი და, მის მზერას რომ მოჰკრავდა თვალს, დაამატებდა: ძალიან ვიღლები სამუშაოზე.

პირველ დღეებში დიასახლისის გაფითრებული სახე ივან გრიგორიევიჩს მეტად უკეთური ეჩვენებოდა. მერე კი დაინახა: ქალი კეთილი იყო. ზოგჯერ ანა სერგეევნა სოფელზე მოჰყვებოდა. კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა თურმე, ერთ დროს კი კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც აურჩევიათ. კოლმეურნეობები გეგმას ვერ ასრულებდნენ. ხან თესვა გვიანდებოდა, ხან გვალვა იდგა, ხან მიწას სამპირ ტყავს გააძრობდნენ. ქანცგაწყვეტილი. ძალას კარგავდა და მოსავალს აღარ იძლეოდა, გლეხობაც ქალაქისკენ იწევდა... გადასახადებს ველარ იხდიდნენ, შრომადღეზე ექვს-შვიდ კაპიკს და ას გრამ ხორბალს იღებდნენ. ისეთი წელიც გამოერეოდა, გრამსაც არავინ აძლევდათ. მუქთად მუშაობა კი ხალხს არ უყვარს. გალატაკდნენ კოლმეურნეები: უკარტოფილოდ, ცარიელ შავ პურსა და რკოზე გადადიოდნენ, ისიც დღესასწაულებზე. როგორღაც ანა სერგეევნამ უფროს დას, სოფელში, თეთრი პური მიუტანა და ბავშვები შიშით პურს არ ეკარებოდნენ: მათ ხომ პირველად ნახეს თეთრი პური. ქოხები ინგრეოდა, მშენებლობისათვის კი ხეტყეს აღარ იძლეოდნენ.

უსმენდა ივან გრიგორიევიჩი ანა სერგეევნას და თან აკვირდებოდა. იგი ქალურობისა და სიკეთის შუქს აფრქვევდა. წლების მანძილზე ქალისთვის თვალი არ მოუკრავს, მაგრამ ბევრჯერ სმენია მათზე ბარაკში გაუთავებელი, სისხლიანი, სევდიანი და ბინძური ამბები. ამ ამბებში ქალი ხან მდაბალი, ცხოველზე უარესი გახლდათ, ხან კი სუფთა, წმინდანივით ამაღლებული. პატიმრისათვის ქალზე ფიქრი პურის ულუფასავით საჭირო იყო. ქალი თან სდევდათ საუბარში, სუფთა თუ ბინძურ ფიქრებსა და სიზმრებში.

უცნაურია. გათავისუფლების შემდეგ ბევრი ლამაზი ქალი ნახა მოსკოვისა და ლენინგრადის ქუჩებში. მაგიდას უჯდა ჰალარა. ლამაზ ქალბატონთან, მარია პავლოვნასთან ერთად; მაგრამ არც მწუხარებას, რომელიც იმის გაგებისას შემოენთო სიჭაბუკის სიყვარულს რომ ეღალატა მისთვის, არც ქალის სილამაზეს, არც კმაყოფილებისა და მყუდროების ატმოსფეროს. მარია პავლოვნას სახლში რომ ტრიალებდა. არ აღუძვრია მასში ისეთი გრძნობა. ანა სერგეევნას ნაღვლიანი თვალების ნატანჯი. მაგრამ ამავე დროს ახალგაზრდა. საყვარელი სახის ცქერისას რომ განიცდიდა.

თუმცა ამაში არაფერი იყო უცნაური. არ შეიძლებოდა უცნაური ყოფილიყო ის. რაც მუდამ, ათასწლეულების განმავლობაში ხდება ქალსა და მამაკაცს შორის.

ქალი კი ივან გრიგორიევიჩს უხსნიდა:

— მშივრების სამუშაოზე გარეკა საცოდაობაა. სახელმწიფო მზარეულმა უნდა მართოსო, ჩემზე არ ყოფილა ნათქვამი. კალოზე გასვლის წინ ქალები რაღაცნაირ წინდას კერავენ. კაბის კალთაზე მიიმაგრებენ და მერე შიგ ხორბალს აგროვებენ, ამიტომ უნდა გაჩხრიკო და პასუხისგებაშიც მისცე! საკოლმეურნეო საკუთრების დატაცებისათვის შვიდ წელზე ნაკლებს არ აძლევენ, დედაკაცებს კი ბალღები ჰყავთ. ვწევარ ღამით და ვფიქრობ: სახელმწიფო კოლმეურნეობისაგან კილო ხორბალს ექვს კაპიკად ყიდულობს, გამომცხვარ პურს კი მანეთად ყიდის. ჩვენს კოლმეურნეობაში ოთხი წლის მანძილზე გრამიც არ დაურიგებიათ. რაღა გამოდის? გლეხმა ერთი მუჭა ხორბალი, მანვე რომ დათესა, აწაპნა და ამისთვის შვიდ წელს აძლევენ. არა, არა ვარ თანახმა. ჰოდა, მომაწყვეს კიდეც ჩვენებურებმა ქალაქში მზარეულად. ასე ვთქვათ, ხალხის გ მოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვებად. მუშები ამბობენ, მაინც ქალაქში სჯობიაო. მშენებელ მუშებს, კარს დაკიდებენ თუ გასალებს ჩასვამენ, ფასდადებით ორმანეთ-ნახევარს უხდიან. ასეთივე საქმისათვის, კერძო შემკვეთი ორმოცდაათს აძლევს. ოცდახუთჯერ იაფად უხდის სახელმწიფო და მაინც სოფლელებისაგან უფრო მეტი მიაქვთ. მე რომ მკითხო, ქალაქელსაც და სოფლელსაც კარგა გვარიანად ართმევს სახელმწიფო. ეს დასასვენებელი სახლიო, სკოლებიო, ეს ტრაქტორები და თავდაცვაო, ყველაფერი მესმის, მაგრამ მაინც ნამეტანია, ნაკლები უნდა აიღოს.

ქალმა ივან გრიგორიევიჩს შეხედა.

— იქნებ ამიტომაცაა მთელი ცხოვრება არეულ-დარეული? მერე მზერა დისშვილზე გადაიტანა და თქვა:

— ვიცი, ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ ვხედავ, როგორი კაცი ხართ. აი, გკითხეთ კიდეც. თქვენ კი სრულებით არ მიცნობთ და ამიტომაც არაფერს მპასუხობთ.

— რატომაც არა, მე გიპასუხებთ, — უთხრა ივან გრიგორიევიჩმა. — ადრე მეგონა, თავისუფლება, სიტყვის, ბეჭდვისა და სინდისის თავისუფლება იყო. მაგრამ თავისუფლება თვით ხალხის ცხოვრებაა: რაც გინდა, ის დათესე, წაღები, პალტოები კერე, პური აცხვე, თვითონვე რომ დათესე, გინდა გაყიდე ან ნუ გაყიდი; ზეინკალო, მეფოლადევ და მხატვარო, იცხოვრე და იმუშავე, როგორც გსურს და არა ისე, როგორც გიბრძანებენ. თავისუფლება კი არც მათ აქვთ, ვინც წიგნებს წერს და არც მათ, ვინც ჩექმებს კერავს.

ღამით ივან გრიგორიევიჩი იწვა. სიბნელეში ვიღაცის მსუბუქი სუნთქვა ესმოდა და ვერ გაეგო, ბავშვისა იყო თუ ქალისა.

ეჩვენებოდა, თითქოს მთელი ცხოვრება გზაში გაეტარებინოს, დღედაღამ ჭრიჭინა ვაგონით ემგზავროს და ათეულობით წელი ბორბლების რაკუნისათვის ესმინოს და აი, ბოლოს და ბოლოს, ჩამოვიდა, ეშელონი გაჩერდა.

და ამ ოცდაათწლიანი გზისაგან, ოცდაათწლიანი საგზაო გრუხუნისაგან თავი უგუგუნებდა, ყურები უწიოდა და ეჩვენებოდა, რომ ეშელონი მიდიოდა, მიდიოდა...

თარგმნა ეთერ ბალიაშვილმა და ლია ჭარვაშიძემ.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უილიამ შექსპირი

## ვნებააშლილი პილიგრიმი

(ნაწყვეტები)

ლორდს ჰყავდა სამი ასული, მათგან ტურფას და
ლამაზმანს
თურმე უყვარდა მოძღვარი, წვერით რომ ჰგავდა მამასა,
მაგრამ გამოჩნდა რაინდი, ჯერეთ ყმაწვილი, ანაზდად
და აურია გონება.
დიდხანს ებრძოდა ერთმანეთს გრძნობა ყრმისა და ბერისა,
ბოლოს იზრახა ასულმა ორივე სატრფოს შერისხვა,
თუმცა ეჰ, სიყვარულისა დათმობაც ვერ გაერისკა
საბრალოსა და სულელსა.
მაგრამ რაკილა ერთ-ერთი ზედმეტი გახლდათ ნამდვილად,
არ ვიცი, გასჭრა ვედრებამ, სიბრალულმა თუ ქადილმა,
ასულმა ბერი ირჩია და ყრმას ცრემლები ადინა,
რაღა უშველის საწყალსა?!
და ასე გულფიცხელობა ცივმა გონებამ დაჩაგრა —
ხმალს ხელოვნება სჯობია ასეთის საქმის საჩარხად —
და ქალს მკლავები მოჰხვია ბერმა, ვით არალაჩარმა
და აქ ამბავიც მთავრდება...

●

ყველა დროის მწუხრს და აისს
სატრფო მაისს აწერს მაინც.
მაისის თვე იდგა, კოკრად
გასკვნილ ვარდს რომ თვალი მოვკარ,
მხოლოდ სიო მონანავე
ეხებოდა ვარდის ხავერდს.
შევევედრე გამჩენს — სიოდ,
რა იქნება, მეც მაქციო!?
დამმარხავდა ალბათ ცოცხლად
ყოველ დილით შენი კოცნა.
ჩაგიკრავდი მკერდში ოდენ,
არ მოგწყვეტდი არასოდეს.
ყრმათ სჩვევიათ ვარდთა კრეფა,
ოდენ კრეფით ჰპოვონ შვება,
ზევსს წამითაც რომ ეხილე,
განაცვლებდა ცოლს და შვილებს,
დასტოვებდა იგი ცასაც
და მოგხვევდა მკლავებს ნაზად.

●

გაძვალტყავდა ჩემი ფარა,
ნაგაზს მგლების შიში ზარავს,
ყოჩს ფარეხის სძინავს კარად —
თავს დაგვატყდა ცათა რისხვა.
მიმატოვა ჩემმა სატრფომ,
დღედაღამე სიკვდილს ვნატრობ
და ყოველი, როგორც ვატყობ,
მომიტანა წასვლამ მისმა.
აღარ მინდა აღარც ცეკვა, ვეღარ ვუცქერ სხვათა თამაშს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც გაჰქრა სიყვარული, გადამეპო გული სამად,
ხოლო მე რომ მისი ფიცი მედო, კლდეზე უმაგრესი,
იქ ღალატი ბუდობს ახლა და სიცრუის მშხამავს გესლი.
ერთმა გოგომ ქარაფშუტამ,
დამღუპა და დამაკუტა.
ჰოი, ჩემო უბედობავ, უცებ როგორ მშრალზე დავრჩი,
ვხვდები, მაგრამ ვით ვიუბნო,
რომ ბოროტის ფესვი უფრო
ქალში ხარობს სამწუხაროდ, ვიდრე ბრიყვ და
საწყალ კაცში!

შეერია შხამი შარბათს,
თითქოს ვარ და კიდეც არ ვარ,
მიმატოვა, არ ვუყვარვარ,
მაგრამ მე კი მაინც ვერ ვთმობ.
ჩემი კვნესა ადის ცამდის,
ვეხეტები როგორც ლანდი
და გულიდან სისხლი დამდის,
მოგიკვდები მალე, ღმერთო!
დამიმუნჯდა სალამური და ხალისის ჩაკვდა თესლი,
შიშაქების ეჟვნებიდან ნაღვლიანი ჰანგი მესმის.
ჩემს საყვარელ მურას ნაგაზს, გარშემო რომ უვლის ბაგას,
შიში ზარავს — ამ ძაღლს მაინც რაღა ჭირი დაეტაკა?!
ყურს რომ მოჰკრავს ის ჩემს კვნესას,
კბილებს კრიჭავს და ილესავს,
მერე ყმუის საწყალობლად, თითქოს ზეცით
შველას ითხოვს,
მეც ხმას უფრო ავიმაღლებ,
ავაყეფებ სხვათა ძაღლებს
და ისეთი გრიალია, უცებ ომი ატყდა თითქოს,

ერთად დაშრა წყარო ყველა,
ჯეჯილიც კი აღარ ღელავს,
თუ დასტვინავს ჩიტი ძნელად,
ჩაჭკნობია ბალახს ფესვი.
აღარ დახტის კრავი ველად,
ნიმფებს ჩვენთვის აღარ სცხელათ,
ყველა წუხს და ტირის ყველა,
შეიცვალა სოფლის წესი,
რაც არგუნა ღმერთმა მწყემსებს — ლერწმის ტკბილი
სალამური,
მწუხრის პირზე წყვილთა ცეკვა, სიმღერა და ჟრიამული,
თამაში და ზვინში წოლა, ძებნა ტყეში მიმალულის —
ყველაფერი ამაოა, თუ არ არის სიყვარული!
მაშ, მშვიდობით, ჩემო ერთავ,
მართალი ვარ მაღალ ღმერთთან,
გულს ის მიკლავს, ჩემი ტრფობის რომ არ შეგრჩა
მისხის მისხიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწუხს საბრალო კორიდონი,
შენი სატრფო, შენი ტოლი
და ან, შენგან მიტოვებულს, ვერაფერი ველარ იხსნის!

თუკი შორიდან ეტრფი ლამაზმანს,
უმისოდ თუკი ვერ გეცხოვრება,
არ გძლიოს ვნებათ ფუჭმა თამაშმა,
ენდე ცივსა და ჯიუტ გონებას.
რჩევა — კი იმათ ჰკითხე
მარტოდენ,
მაღალ გრძნობებზე რომ არ
დარდობენ.

უთხარ: მიყვარხარ, ვწვალობ
საშინლად! —
და არ გატლიკო ენა მთლიანად,
რომ არ მიგიხვდეს ნამდვილ
ხვაშიადს —
სნეული მუდამ იცავს იარას —
აზრი არ აქვს-თქო ჩემს
არსებობას
და უშენოდ-თქო გული მეპობა,

ნუ დაგაღონებს თუკი ლამაზმანს
გული მოუვა და აფეთქდება —
ასეთ საქციელს ღამით ანაზდად
დაჰგმობს, დაუწყებს თავსაც
ყვედრებას
და შენთან თამაშს კვლავ
უცოდველად
მეორე დღესვე დაელოდება.

და, კვლავ იანჩხლოს, დე, საკაპასო
ჩხრიკოს საბაბი, ნახოს შემთხვევა,
მან არ იქნება არ დაგაფასოს,
შენს წინ მორჩილად როს
განერთხმება:
„კაცს დიდი ძალა მისცა
გამჩენმა,
ქალს თავის დაცვაც არ
ემარჯვება"..

იყავ გულუხვი და ხელგაშლილი,
დე, ნურაფერი დაგენანება
გადიზომება გრძელი არშინით
ქალის სიხარბე და ანგარება —
ციხედ აზიდულ იმის სამყოფელს
მარტოდენ ოქროს ჭურვით
ამხობენ.

თავი აჩვენე მხოლოდ რაინდად,
ეჭვი და შიში უნდა დაძლიო,
მაგრამ ბოლომდე სვრელს ვერ
გაიტან,
თუ ვერ იპოვე რამ სამარცხვინო —
ან ნაკლი ანდა ძველი ცთუნება:
თამაშის ვადა აქ იწურება.

და გადადიხარ მყის თავდასხმაზე,
დამარცხებაა უკან დახევა,
შორს მისი პრანჭვა თუ სიკასკასე,
წივილ-კივილიც ნუ გენაღვლება —
ჰო-დ მიიქცევა ქალის უარი,
მოთმინება და ჭკუა თუ არის.

მათ ყველას მხოლოდ ცოდვა
იზიდავთ,
კაცებს თან სდევენ მიწყივ ამბოხად.
(ცოდვის გრძნებიდან და თილისმიდან
ისინი მხოლოდ ასაკს გამოჰყავს).
კდემით ჯერ მხოლოდ კოცნას
გპარავენ,
მაგრამ ადარდებთ მათ სულ
სხვა რამე.

კმარა, მეყოფა! — ჩემმა კნეინამ,
ღმერთმა ნუ ქნას და, ეს რომ
გამიგოს,
აქვე ხომ სულიც გამაცხებინა,
შენც მოგაყოლებს ერთ-ორს,
ძამიკო!
გულს ის მოუკლავს ალბათ
უფრორე,
აჰე რომ ვაფრქვევ
საიდუმლოებს...

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

# ვისთვის ეძებს ვისზერ სიტყვებს

რა არის პოეზია? უამრავი განმარტების, განსაზღვრის შიღმა იქნებ ასეთი ხატი — ადამიანური ძვლებიდან, ან იქნებ სულაც მისი რენტგენული ჩონჩხიდან ამოსული, ამოშუქებული ბევრი სული, თუ უსაზღვრო სულიერება. თან ეს ძვლები ისეთ დახვეწილ ხაზს შემოწერენ, როგორიც, მხოლოდ, მხატვარს, ან სიზმარს შეუძლია:

ო, ნეტავი, არ შეირხეოდეს
გადაზნექილი სიზმრების წელი.

ან:

და მტანჯავს მწუხარების ყელით
გადაქანება.

რაღაც არ აქცევს ამ მწუხარებას გამოუსავლობად, უნუგეშო ტრაგედიად იქნებ, გედის უნაკლოდ გათლილი ყელი — მარმარილო, ხელშეხები ქვა, ბუმბულით გამჩატებული და სანთელივით ამონათებული ჩახუთულ, უჩინო, მძიმე ყოფაში.

მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი,
ჩვენ თუ არ დავიწვით, ბნელს რა
განათებს?

ეს უკვე, სხვა პოეტია, მაგრამ ასეთივე მართალი ღმერთისა და მშვენიერების წინაშე.

პოეტი, უსათუოდ, მართალია ღვთის წინაშე და მას ბევრი საერთოც აქვს მიწაზე ჩამოსულ განკაცებულ ღმერთთან. ცივი, გონიერი აბსოლუტური სული ხორცით რომ შეიმოსება, ემოციებით დაიტვირთება და ხალხში ჩამდგარი შეეცდება სასუფეველისკენ მის წაყვანას, რამდენი სასწაულიც არ უნდა ჩაიდინოს, რამდენი მიმდევარიც არ უნდა გაიჩინოს, წამება და ჯვარცმა არ ასცდება, ასეა პოეტიც.

განა ნამდვილი ღვთისშვილი არ არის მინდია, რომელიც ღმერთის მცნებას „არა კაც კლა" ყველა სულიერზე და, ერთის შეხედვით, უსულო არსებაზეც განავრცობს. იგი ღვთისშვილიც არის და იმ პოეტის მოდგმისაც, რომელიც ამბობს, რომ: „არის ენა რამ საიდუმლო უასაკოთ და უსულოთ შორის და უცხოველეს ხხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის".

მისი აზრით ბალახს ტკივა, ქვა ფიქრობს, ხოლო ცხოველები უენო ადამიანები არიან. ამ გასულიერებული ბუნების კეთილი კარნახით იგი ადამიანებს მკურნალობს, ნათელხილვის უნარით გამორჩეული, მოძღვრავს მათ, ე. ი. ქრისტესმიერ სასწაულებს ჩადის. ამიტომ მას კლავენ.

ასევე, არ შეიძლება თავისი სიკვდილით თბილლოგინში მოკვდეს პოეტი, რომელიც ასე ხედავს:

მზეო, თიბათვის, ყოფნა უმზეო,
მზე მიიცვალა ღია თვალებით,
ის მიიცვალა რაღაც უმწეო
და საოცარი გარდაცვალებით.
მას გახელილი დარჩა თვალები,
ო, გახელილი დარჩა თვალები,
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები.

ხომ ცხადია, რომ ამ წუთში კაცში განსხეულებული ღმერთის მთელი შემოქმედებითი ენერგია თვალისჩინებშია თავმოყრილი, მისი მზერა ავსებულია ღმერთით, მისი სიტყვა წინადადების უსახო და მორჩილი წევრი კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი და თავისთავადი პიროვნება — საკუთარი ხმის, სულისა და ფერხორცის მქონე, იგი ჯერ ესთეტია, დახვეწილი და უშეღავათო და, შემდეგ, მოაზროვნე, რადგან პოეტი ის კაცია, „რომელიც კანტს ორივე ბეჭზე დასდებს". იგი მშვენიერიდან გამომდინარე აზროვნებს და არსებობს:

დღეს ყველგან მზეა და სილამაზე,
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი.

ეს სილამაზე, უსათუოდ, გულისხმობს ფერს და მუსიკას. ფერი, უფრო სწორედ, ფერწერული ხატი, პოეტის ხედვის, მისი განცდის, სამყაროსთან მისი შეხების გრძნობიერი სარჩულია. თანაც ყოველი მოვლენა თუ საგანი ნაირფერად შეღებილი კი არ არის, არამედ დაწერილია ღრმა, ნაჯერი მონასმით, როცა ერთი მცხრალი ფერიდან ათასი ელფერი ჰვივის.

ძნელი წარმოსადგენი იყო, ალბათ, მკითხველისთვის, რომ ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას შემდეგ ვინმე გაბედავდა ქართული მთების ლექსად ქცევას და დასაკუთრებას („ნისლი ფიქრია მთებისა, მათის კაცობის გვირგვინი", „სამშობლოს მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა, მაგრამ თქვენს ხსოვნას მე ვერ მივცემ დავიწყებასა თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული, თქვენთან, ჰე, მთებო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებითა შეუღლებული"). არანაკლებ ხელშესახები და დაუვიწყარი გახდა გალაკტიონის მთები:

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლოს მთებია.

რეალური ფერი ისეთივე ცვალებადია ბუნებაში, როგორც თვით ბუნება, იგი დამოკიდებულია განათებაზე, ამინდზე, ხედვის კუთხეზე, მზერის სევდიანობა-სიხარულზე. მთას ლურჯადაც ხედავს ადამიანი, მწვანედაც, მკვეთრადაც, ბუნდოვან-ნისლიანადაც. მაგრამ მთა, რომელიც ნისლით ფიქრობს, ან დაბინდულ-ქლიავისფრად გამოიყურება, უკვე მაღალი პოეზიის კუთვნილებაა, იგი მარადიულ ღირებულებას იძენს, როგორც გოლგოთა, რომელსაც ამძაფრებს ტანჯვის ხელოვნება.

პოეტი ადამიანია, რომლის ხუთივე გრძნობა ხელის ხუთი თითის წვეროებში იყრის თავს, როცა ის მშვენიერებას ეხება და ნივთიერიდან წარმოშობს უსხეულო მეექვსე გრძნობას.

ქვეყნად კვლავ მოდის დაფარულთა ფერთა
ხსენება,
მტრედისფერ გზებზე უთეთრესი გედით
რხეული.
იქ, სადაც მეფობს მისი ძილი და
განსვენება,
სიმაღლეების სიზმრებია ზამბახეული.

კაცი მიწაზე დგას შიშველი ფეხებით, რომ უფრო მკაფიოდ იგრძნოს მისი დედა-სხეული („ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული"), ხოლო შუბლით სიზმრის ზამბახეულ სიმაღლეებს ეხება. ამიტომაა, რომ სიზმარსაც, რომელიც ერთადერთი შველაა უმძიმეს ყოფაში, ისევ ადამიანად ახორციელებს, ოღონდ, ძალიან პირობითად: ბევრი სული, თუ უსაზღვრო სულიერობა, დაყრდნობილი უმჩატეს და უწვრილეს, ადამიანურ წელზე („ო, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი").

გ. ტაბიძის პოეზია უკავშირდება ესთეტური რევოლუციების ეპოქას მხატვრობაში, მწერლობაში, მუსიკაში. მხატვრებმა (იმპრესიონისტებმა) აღადგინეს ხაზით და სილუეტით დათრგუნული ფერის ძალმოსილება, პოეტებმა (სიმბოლისტებმა) პირდაპირ შუბლში ქვასავით დამიზნებული სიტყვა უმაღლეს ესთეტურ ფასეულობად აქციეს და ფერი და მუსიკა შეუშხაპუნეს სისხლში.

„მუსიკა უპირველეს ყოვლისა, ფერი და მისი ნატიფი ნიუანსები" — წერდა პოლ ვერლენი ლექსში „პოეტური ხელოვნების შესახებ" და ამ ფრაზას დეკლარაციულ, საყოველთაო ხასიათს აძლევდა.

მაგრამ ესთეტურ რევოლუციაში საყოველთაობის პრინციპს ერთეულთა ნიჭიერება უპირისპირდება, ტალანტის აღგზნებულ ნერვს — ფერითი ხედვისა და მუსიკალური სმენის არმქონე პოეტების ჯარი, რომელთა მოდასაყოლილ ლექსებში ფერი უხალისოდ ღებავს სიტყვებს, ხოლო მუსიკა ერთმანეთზე ახორბლილ ალიტერაციებში იკარგება. ამიტომ საყოველთაობა სოციალურ-პოლიტიკური რევოლუციების კუთვნილება უფროა, ვიდრე ესთეტურის, რომელიც მიმდინარეობს არა რეალურ გარემოში, არამედ პოეტის თავისთავად და განუმეორებელ სამყაროში, სადაც ის ყველას ვერ შეუშვებს.

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს", მაგრამ განა ბევრი გვეგულება ქართული ჩუქურთმის გამგები, ან, თუნდაც მისი მნახველი? ასევე ცოტაა პოეზიის გამგები, იისფერი თოვლის ქვეშ დგომის მოსურნე, მტრის შემბრალებელი და მწუხარების მალენიავში მოსიარულე. სხვაგვარ მკითხველს კი ანგარიშს ვერ გაუწევს პოეტი, ვერ მოერიდება მის უსმენო ყურს და ლიბრგადაკრულ თვალს, როცა თვითონ მისთვის ფერი და მუსიკა მშობლიური სტიქიებია:

სადღაც შორს მუსიკა ქარივით
კითხულობდა:
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი,
ასეთი ცისფერი?

საინტერესოა, როგორ ჟღერდა ეს სტრიქონები გარითმული ლოზუნგებისა და პოლიტიკური პროგრამების ფონზე, ალბათ, როგორც მშვენიერი სიგიჟე, მაგრამ სპილოს ძვლის კოშკში ჩაკეტილი დახვეწილი პოეზიის ფონზეც სიგიჟეს გავდა ეს „სილაჟვარდეები" და „სილაში ვარდები", „ლურჯა ცხენები" და „გარდაცვლილი თვალღია მზე".

გ. ტაბიძეზე და მისი თაობის პოეტებზე პ. იაშვილზე, ტ. ტაბიძეზე, ვ. გაფრინდაშვილზე აშკარა ზეგავლენა მოახდინა ფრანგულმა სიმბოლიზმმა, მაგრამ ეს გავლენა უფრო ესთეტური ხასიათის იყო, ვიდრე ლიტერატურულის. ქართველი პოეტების სულიერ მოთხოვნილებას — ესთეტურ თავისუფლებას, საფუძველი გაუმყარა ფრანგი სიმბოლისტების პოეზიამ, მათმა თეორიულმა მანიფესტმა. „მომავალ დიდ ქართველ პოეტში უნდა შეერთდეს რუსთაველი და მალარმე" წერდა ტიციან ტაბიძე და ლექსით ამტკიცებდა ამ აზრს:

ჰაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე
ვაზაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ
ყვავილებს.

ქართული სიმბოლიზმი ჩამოყალიბდა, როგორც რეაქცია პროლეტარული მწერლობის წინაალმდეგ. მუსიკით, ფერით, სიტყვით ღარიბ, უმწეოდ გარითმულ პოეზიას ქართველი პოეტების ახალმა თაობამ დაუპირისპირა სისხლხორცით გატენილი, ფერადი, მუსიკალური ლექსი. მათ აღადგინეს სიტყვის ესთეტური ფასეულობა აზრის თანაბარი მნიშვნელობა მიეცა სიტყვის იდუმალ თვისებას, მის წმინდა ჟღერადობას, ფერს, ხოლო ყოფით დათრგუნულ შემოქმედს, რევოლუციებსა და სიმშვიდეს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერწამივით მერხევს. სპილოსძვლის კოშკი შესთავაზეს, რომელსაც მან სიამოვნებით შეაფარა თავი. კიდევ ერთი საქმე წამოიწყეს ამ პოეტებმა, ხალხის ესთეტური გათავისუფლება მოინდომეს. როგორც პაოლო იაშვილი ამბობდა, ოცნებადაკარგული ადამიანების პოეზიის ცისფერ ტაძარში შეყვანა და პოეზიის რწმენა ხომ ყველაზე ახლოს დგას ღვთის რწმენასთან, რადგან პირველი იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი.. არ დასცალდათ მათ ამ წმინდა მისიის შესრულება, რადგან ორივე ტაძარს, ღვთის სახლსაც და პოეზიასაც გუმბათი ააგლიჯეს და სამრეკლო უმტვრიეს.

გ. ტაბიძე ახლოს იდგა ამ პოეტებთან, იზიარებდა მათს დამოკიდებულებას სიტყვასთან, რწმენასთან, სპილოსძვლის კოშკთან და რეალურ სამყაროსთან, მაგრამ მისი ბუნება ვერც ლიტერატურული მიმდინარეობის ვიწრო ჩარჩოებში ჩაიწნეხებოდა და ვერც იმ თავისუფლებას შეეგუებოდა, რომელიც ისეთ უკიდეგანობას ეპოტინებოდა, რომ, შეიძლება, კვლავ დოგმად ქცეულიყო. უჩვეულობა, სიმახინჯის კულტი, უკიდურესი ექსტრავაგანტურობა, ნიჰილიზმი ისევ გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს თავისუფლების მაძიებელ პოეტებს და ახლა ამ ჩარჩოების გარღვევისკენ უბიძგებს. ტ. ტაბიძე, სონეტის სრულყოფილებით გულმოყირჭებული, წერს კოჭლ სონეტს. ვ. გაფრინდაშვილი, სარკეებში არეკლილ სამყაროში ჩაზუთული, ვაჟა-ფშაველას და ფიროსმანის მიწიერობისკენ ილტვის...

გ. ტაბიძის თავისუფლება ისეთი თანდაყოლილი და კალაპოტში მოუქცეველია, რომ მას არც არასოდეს დასჭირვებია ამ კალაპოტის გარღვევა: „სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“.

სიმბოლისტების აზრს იმის შესახებ, რომ სიტყვა არის რთული ესთეტური ფენომენი, რომელიც აერთიანებს მუსიკალურ ელემენტს და ფერს, გალაკტიონი ითავისებს და „იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს“, ამასთანავე, მას გააჩნია თანდაყოლილი პოეტური ხედვა, რომელიც ფერწერულ ხატებში ალიქვამს სამყაროს, ამიტომ მისი სიტყვიერი ნახატი უფრო ფრანგი იმპრესიონისტი მხატვრების მკვრივ, ნათელ, მჟახე ფერწერას გავს, ვიდრე ბოდლერის მდინარეებს, მიწას, ზეებს, რომლებსაც იგი გამოგონილი, გონებიდან წამოსული ფერებით ღებავს, რადგან ბუნებაში არსებული ფერების ჩვეულებრიობა არ აკმაყოფილებს. სიმბოლიზმი ხომ უჩვეულოს გაპოეტურებას ნიშნავს.

გ. ტაბიძესთან არასოდეს არ შეგვხვდება ისეთი ფერწერული ხატი, როგორიცაა, მაგალითად: „ლალის მანდილში დაგრეხილი თეთრი ტენორი“, ან: „თეთრი სიგიჟე თეთრ მათრახით ათრთოლებს რაშებს“, ამ სახეებშიც, რა თქმა უნდა, არის გარკვეული ხიბლი, ოღონდ, უფრო, ასოციაციურ-მწიგნობრული. გალაკტიონის არანაკლებ უჩვეულო სტროფის:

მასში ქვითინი იყო ქალური
და სონატების ნაზი ფერები,
ტიროდნენ მისი მუსიკალური
და გადარევის ეფემერები.

ხიბლი ენით აუწერელია, ეს ის „დუენდეა“, რომელიც ესპანელ პოეტს ფედერიკო გარსია ლორკას ათქმევინებს: „უეცარი მოსახვევი, როგორც ყელში დანა“. ასეთი უეცარი ელდაა პოეზია, ყველაფერი დანარჩენი ლიტერატურაა.

როდესაც გ. ტაბიძის პოეზიის ფერწერაზე ვლაპარაკობთ, უსათუოდ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იშვიათია პოეტი და მწერალი მსოფლიო ლიტერატურაში, რომლის შემოქმედებაში არ მოიძებნებოდეს გარკვეული ფერითი ასოციაციები.

თუმცა განსაკუთრებულად ფერის საკითხზე ყურადღება გაამახვილეს რომანტიკოსებმა, ხოლო შემდეგ სიმბოლისტმა პოეტებმა, ლამის, ყველა საგანს და მოვლენას შესაბამისი ფერითი შესატყვისი მოუძებნეს.

ფერის სიმბოლიკა მოდის ყოველდღიური ადამიანური ყოფიდან, რელიგიების ისტორიიდან, შემდეგ მკვიდრდება ესთეტიკაში, ლიტერატურაში.

ძირითადად, ფერების მნიშვნელობა სტაბილური რჩება საუკუნეების მანძილზე. ზოგიერთი ფერის აზრობრივი შესატყვისი ცვალებადობას განიცდის და დროთა განმავლობაში ან თავის პირვანდელ სახეს უბრუნდება, ან ამ სახის სრულ წინააღმდეგობად იქცევა. ამ მოვლენას განაპირობებენ სოციალური, ეკონომიკური,. პოლიტიკური, ლიტერატურული, მსოფლმხედველობრივი, ესთეტური ფაქტორები.

რელიგიაში ფერის სიმბოლიკა, როგორც ჩანს, ყოფიდან მოდის, ამიტომ სხვადასხვა ხალხის რელიგიაში სხვადასხვა ფერები შეადგენდნენ რჩეულ ფერებს და ფერთა მნიშვნელობაშიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ბუდიზმის ოთხი რიტუალი: (მანტიკა, პაუშტიკა, აბჰიკარიკა და ვაშიკარანა) შესაბამისად ოთხ ფერს შეესატყვისება: თეთრი, ყვითელი, წითელი, შავი.

ეგვიპტის ტაძრებში იხმარებოდა ოთხი ფერი: თეთრი, მწვანე, ღია წითელი, ღია ლურჯი. ისინი ითვლებოდნენ რელიგიურ ფერებად).

ებრაელთა რელიგიური ფერი იყო თეთრი, ლურჯი, წითელი, მკვეთრი წითელი. ხოლო ქრისტიანულ რელიგიაში ფერთა შემდეგი სიმბოლიკა დამკვიდრდა:

თეთრი — სიხარულის, სინათლის, სიწმინდის, უმანკოების, ამაღლების ფერი.

წითელი — (სისხლისფერი) — მგზნებარე, ძლიერი, შთამნთქმელი სიყვარულის.

მწვანე — იმედის ნიშანი.

იისფერი — ნაცრისფერის თანაბარი — მონანიების ნიშანი.

შავი — გარდაცვლილი სიცოცხლის, ღრმა გლოვისა და მოთქმის ფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაჟვარდი — იმედი და სიყვარული ღვთისა.

ეს პირობითი სქემა ფერთა სიმბოლიკისა ძირითადად მყარი და შეუცვლელი რჩება სიმბოლისტი პოეტებისთვისაც კი. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოფაში მომხდარი ცვლილებები ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ესთეტური ხასიათისა, ყოველთვის გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ფერების მნიშვნელობაზეც.

მაგალითად, ყვითელი ფერი შუა საუკუნეებში ყველაზე არისტოკრატიულ და კეთილშობილ ფერად ითვლებოდა, რადგან ჯვაროსნული ომების დროს მეომრებს შემოჰქონდათ დიდძალი აბრეშუმი, უმთავრესად ყვითელი ფერისა, აღმოსავლეთიდან, როცა შეწყდა ჯვაროსნული ომები, აბრეშუმის ყიდვა და მისი შეღებვა (საღებავიც ევროპაში აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ) ძალზედ ძვირი გახდა და მთავრობამ აკრძალა აბრეშუმის შემოტანა და შეღებვა.

1215 წ. პაპა ინოკენტიუს III-ის დროს საფრანგეთში ლუთერანული საბჭოს დადგენილებით ყვითელი ფერის ნიშნის ტარება სავალდებულო გაუხადეს ებრაელებსა და მაჰმადიანებს. ყვითელი თავსაბურავი — როსკიპებს უკვე XIII ს-ში. ფერმა განასხვავა ერთმანეთისაგან სოციალური ფენები. ყვითელი ფერი იქცა დაბალი კასტის სიმბოლურ გამოხატულებად, ამდენად, არისტოკრატიამ, რომლის კუთვნილებასაც ადრე წარმოადგენდა ეს ფერი, მასზე უარი განაცხადა. ეკონომიკურმა ფაქტორმა (აბრეშუმისა და საღებავის სიძვირე), პოლიტიკურმა (ჯვაროსნული ომების შეწყვეტა) და სოციალურმა (დაბალი სოციალური ფენის ყოფაში ყვითელი ფერის ელემენტის აუცილებლობა) ფაქტორებმა გამოიწვიეს ყვითელი ფერის პირვანდელი დადებითი მნიშვნელობის გადასვლა უარყოფითში, ნეგატიურში.

გარკვეულ პერიოდში შეიცვალა დამოკიდებულება წითელი ფერის მიმართაც. წითელი გახდა სიყალბისა და ცბიერების ნიშანი ყოფაში. ქრისტიანულ რელიგიაში მანამდე ის სიმბოლოა აღგზნებული, ძლიერი სიყვარულისა. 1800 წ. მხატვარმა რამენსდორფმა დახატა იუდა წითელი თმითა და წითელი წვერ-ულვაშით, ამით მან გადმოიტანა მხატვრობაში ხალხური წარმოდგენა წითელზე.

შუა საუკუნეებში წითელს ისევ უბრუნდება პოზიტიური მნიშვნელობა. რაინდულ პოეზიაში ის კვლავ აღგზნებული სიყვარულის სიმბოლოა. ყოფაში ფერის მნიშვნელობას საფუძვლად უდევს იდეათა მარტივ, პირდაპირ ასოციაციებზე დამყარებული სიმბოლიკა. მწვანე — იმედის ფერია, რადგან მკვდრეთით აღმდგარი მცენარეული სამყარო გაზაფხულზე მწვანე ფერით იმოსება. თეთრი ფერი, რომელიც დაკავშირებულია სინათლესთან, დღესთან, დადებითი ფერია — სიწმინდის, სიმაღლისა და უმანკოების; შავი დაკავშირებულია ღამესთან, ჯოჯოხეთის კუპრთან, სიკვდილთან, ადამიანები შედიან კონტაქტში ფერთან, უახლოვდებიან მას უკვე ნაცნობი, ჩვეული აზრობრივი და ზოგჯერ კონკრეტული საგნობრივი ასოციაციების მეშვეობით. თავის მხრივ, ფერი ახდენს ადამიანზე დიდ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზემოქმედებას, იწვევს მის დადებით და უარყოფით ემოციებს.

გოეთე წერს მეცნიერულ გამოკვლევას ფერზე. მისი აზრით: „ფერები ძირითადად იწვევენ დიდ სიხარულს კაცში. ისინი გვასწავლიან, რომ ცალკეული ფერები ქმნიან განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობას. ერთ გონებამახვილ ფრანგზე ამბობდნენ: მან შეიცვალა დამოკიდებულება და ლაპარაკის ტონი ქალთან მას მერე, რაც ამ ქალმა შეცვალა თავისი კაბინეტის ლურჯი ფერი კარმაზინის ფერით".

გოეთე, განიხილავს რა ფერების ადამიანზე ზემოქმედებას ფსიქოლოგიურ ასპექტში, განასხვავებს დადებით და უარყოფით ფერებს. დადებითი ფერები გულისხმობენ თბილ ფერებს მხატვრობაში, ხოლო უარყოფითნი — ცივს. ერთი ფერის სხვადასხვა ნიუანსიც კი იწვევს სხვადასხვა ფსიქიკურ ზემოქმედებას. გოეთე გამოდის ფერის წმინდა ფერწერული, ვიზუალური თვისებიდან. როცა ერთი ფერის მნიშვნელობა გაორებულია, მაგ., ყვითელი ფერისა, ეს გამოწვეულია ამ ფერის სხვადასხვა ელფერების ზემოქმედების უნარით. მაგ., სუფთა, წმინდა ყვითელი — მხიარული, ნათელი ფერია. ასეთი ყვითელი ფერის აბრეშუმი ქმნის დიდებულ და კეთილშობილურ შთაბეჭდილებას, ხოლო თუ ყვითელი გაჭუჭყიანებულია და იხრება ცივი ტონებისაკენ, ის ახდენს უსიამოვნო გავლენას. მაგ. გოგირდისფერი ყვითელი, რომელსაც მწვანე ელფერი გადაკრავს.

მაგრამ გოეთეც აღნიშნავს, რომ ერთი ფერის მოქმედება სხვადასხვა სოციალურ ფენომენზე სხვადასხვაა.

„ყვითელ-წითელი აღწევს აუტანელ სიძლიერეს. მისი აქტიური მხარე შეიცავს უმაღლეს ენერგიას. ენერგიულ, ჯანსაღ, მკაცრ ადამიანებს უხარიათ ეს ფერი. ბავშვებს უყვართ კინოვარი და სურიკი. ხოლო განათლებული ადამიანისთვის აუტანელია მოღრუბლულ ამინდში დანახვა კაცისა, რომელსაც ფიცხი წითელი ლაბადა აცვია".

ყოფისა და რელიგიის გარდა ფერი ესთეტურ ფენომენად იქცევა მუსიკაში. ამ მოვლენის ე. წ. „ფერადი სმენის" მეცნიერულ და პრაქტიკულ დასაბუთებას ცდილობდა კომპოზიტორი სკრიაბინი, რომელმაც შექმნა მისტიური ფერადი სიმფონია „პრომეთეოსი" და მოგვცა ტაბულა სხვადასხვა ტონალობათა ფერითი მნიშვნელობებისა.

გოეთე ზემოხსენებულ ნაშრომში წერს: „უსაფუძვლო არ იქნებოდა შედარება მძლავრი ეფექტის მომხდენი სურათისა მუსიკალურ პიესასთან, რომელიც მაჟორშია დაწერილი. ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ნაზი ეფექტის ტილოსი მინორულ პიესასთან".

გ. ტაბიძისთვის მუსიკას, ხმოვანებას, ხმას ფერი აქვს:

სადღაც ქვითინი იყო კალური
და სონატების ნაზი ფერები.

პოეზიაში, ისევე, როგორც რელიგიაში, მუსიკაში, ფერი ყოფიდან მოდის. ხელოვნებაში უფრო იკვეთება მისი ესთეტური, ფილოსოფიური და სოციალური არსი. პოეტის სუბიექტური ხედვისა და ორიგინალური პოეტური აზროვნების გამო ფერი სცილდება თავის ყოფისეულ შინაარსს და ზოგჯერ ეწინააღმდეგება კიდეც მას.

მაგ. იმ პერიოდში, როცა იუდა დახატეს წითელი წვერ-ულვაშით და თვით ხალხში ბატონობდა წითელი ფერის ნეგატიური გაგება (1300 წ.), ხოლო დანტეს „სულთა განსაწმენდელში" (1265-1321 წწ.) სიყვარული ატარებს ცეცხლოვანი წითელი ფერის სამოსელს.

რუსთველისთვის უმაღლესი ფიზიკური მშვენიერების გამომხატველია წითელი და თეთრი ფერი ერთად.

უფრო ხშირად, ფერთან დამოკიდებულება ერთი პოეტისა ემთხვევა სხვა ეროვნებისა და ხასიათის პოეტის დამოკიდებულებას იმავე ფერთან და აგრეთვე მის ყოფისეულ, პოპულარულ მნიშვნელობას.

ჰომეროსის „ილიადაში" ქალის სილამაზე ასეა შექებული: სპილოს ძვალი სისხლისფრად არის შეღებილი. ხალხში უარყოფითი დამოკიდებულება წითელ ფერთან არასტაბილური, ცვალებადი მოვლენა იყო, რაც, შესაძლებელია, ასოციაციის სუბიექტური ხასიათითაც იყო გამოწვეული. წითელი ფერი შეიძლება დაუკავშირდეს წითელ ვარდსაც, რომელიც აღგზნებული სიყვარულის ფერია შუა საუკუნეებში, და სისხლსაც. რუსთაველთან თეთრ-წითელი ადამიანის უმაღლესი მშვენიერების გამომხატველია და ამავე დროს მისი გმირები სისხლის ცრემლებით ტირიან, როცა უჭირთ. სისხლისფერი წითელი მწუხარების ფერია. მაშასადამე, ერთი ფერის სხვადასხვაგვარი ზემოქმედება ადამიანზე გამოწვეულია არა მარტო ფერის წმინდა ვიზუალური თვისებებით და მისი ნიუანსებით, არამედ მისი ასოცირების უნარით სხვადასხვა რიგის მოვლენებთან. (წითელი — სიყვარულის ფერი, წითელი — სისხლისფერი, ლურჯი — ტრაურის ფერი გერმანულ ქვეყნებში და ლურჯი — იდეალის ფერი რომანტიკოსებთან და სიმბოლისტებთან). ქართულ ლიტერატურაში ფერთა სიმბოლიკის დიდი ტრადიცია არსებობს რუსთაველის სახით.

როგორც ცნობილია, ქართველმა ცისფერყანწელებმა რუსთაველი თავის წინაპრად აღიარეს, მაშინ, როცა უარყვეს თითქმის მთელი კლასიკური მემკვიდრეობა ქართული ლიტერატურისა. ამდენად, ფერწერას მათს პოეზიაში ეროვნული საფუძველი და ტრადიციაც გააჩნდა და ამავე დროს ისინი ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის გავლენასაც განიცდიდნენ.

ფერზე ყურადღების გამახვილება და ლექსის მთავარ კომპონენტად მისი გადაქცევა მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში ქართველი სიმბოლისტი პოეტების დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს. დემოკრატიულმა მწერლობამ, რომელიც კეთილშობილურ მიზნებს ისახავდა, ყურადღება გაამახვილა ლექსის იდეაზე, შინაარსზე და მეორე პლანზე დააყენა ფორმა. სიტყვამ დაკარგა ესთეტური ღირებულება.

სიმბოლისტები მოითხოვდნენ სიტყვის ესთეტური ფასეულობის აღდგენას, იუველირულ მუშაობას სიტყვაზე, რითმაზე, ლექსის ფორმაზე. ბუნებრივია, ვერც ერთი პოეტი ვერ დარჩებოდა გულგრილი სიტყვის ესთეტურ ფენომენად გადაქცევის პროცესის მიმართ.

მეორე, სოციალ-პოლიტიკური ხასიათის მიზეზი, მდგომარეობდა 1905 წლის რევოლუციის დამარცხებაში და სტოლიპინის რეაქციის გამწვავებაში. ამ დროს ისეთი ორთოდოქსი რევოლუციონერი პოეტიც კი, როგორიც იყო ი. ევდოშვილი, პესიმიზმისაკენ იხრება. მისტიკა ხდება მისი ლექსების მამოძრავებელი ძალა.

გ. ტაბიძე თავს აფარებს სიმბოლიზმის სპილოს ძვლის კოშკს. რეალური ცხოვრება სულ უფრო ულიმღამო და მძიმე ხდება, რევოლუცია დამარცხებულია, ხოლო სიმბოლიზმი პოეტს აძლევს ძალზედ ხელსაყრელ „სპილოს ძვლის კოშკის" ფილოსოფიას. რეალური სამყაროსგან იზოლირება, საკუთარი გენიალობისა და მარტოსულობის რწმენა, სიმკრთალე, სიზმარი...

რაც შეეხება ფერის საკითხს სიმბოლისტურ ლიტერატურაში ჟან მორეასი, ფრანგი სიმბოლისტების პირველი მანიფესტის ავტორი წერს, რომ სიმბოლისტებს ახასიათებს: „მიდრეკილება განუსაზღვრელი, განსაკუთრებული, უჩვეული მეტაფორებისკენ, ახალი ლექსიკონი, რომელიც შეესაბამება მუსიკალურ ჰარმონიას, ფერებს და ხაზებს".

პ. იაშვილი ქართველი სიმბოლისტების პირველ მანიფესტში აცხადებს: „ჩვენს სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალფერებს, რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიჟებს თქვენს მიძინებულ თვალთა ცქერას".

ფერთა სიმბოლიკა ემყარება იდეათა ასოციაციას. აქ გათვალისწინებულია ორი მომენტი:

1). იდეათა ასოციაცია შეიძლება იყოს პირდაპირი მარტივი, ე. ი. ფერით გამოხატულ ზედსართავსა და იმ არსებით სახელს შორის, რომელსაც ის განსაზღვრავს კავშირი იმდენად აშკარაა, რომ მხატვრული სახე ადვილად გასაგები ხდება. ის არ წარმოადგენს გამოცანას, როგორც სიმბოლისტებთან. მაგ., ცისფერი ან ლურჯი იდეალი, თეთრი ზამთარი, შავი სიკვდილი, ყვითელი სევდა და ა. შ. (იდეათა ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტივ ასოციაციებზე დამყარებული ფერთა სიმბოლიკა ახასიათებს რეალისტურ ლიტერატურას, რომანტიკულ პოეზიას, შუა საუკუნეების რაინდულ პოეზიას და სხვ.)

2). იდეათა თავისუფალი, ნებისმიერი ასოციაციის საფუძველზე მიიღება რთული მხატვრული სახე, რომლის ობიექტური ახსნა ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც, რადგან სიმბოლიზმის პრინციპი არის არა ობიექტურის გასუბიექტურება, არამედ სუბიექტურის გაობიექტურება. სიმბოლისტებთან, ძირითადად, ვხვდებით სწორედ იდეათა თავისუფალ ასოციაციაზე დამყარებულ ფერთა სიმბოლიკას, რომელსაც ეს პოეტები უკიდურეს ექსტრავაგანტიზმამდე მიყავს (თეთრი საშინელება, თეთრი სიგიჟე, ლალის სიგიჟე, ყვითელი დანტე, რუხი გაბრაზება, ლურჯი სიკვდილი, შავი ბლავილი და ა. შ.).

თითქმის ყველა მოვლენისა და საგნის ფერებში აღქმა იქცევა სიმბოლისტური ესთეტიკის აუცილებელ პირობად.

არტურ რემბო წერს სონეტს ხმოვნების შესახებ, სადაც ყველა ხმოვანს დაძებნილი აქვს შესაბამისი ფერი: A — შავი, E — თეთრი, I — წითელი, U — მწვანე, O — ცისფერი.

სიმბოლიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობის „ინსტრუმენტისტების" ბელადი რენე ჰილი თავის „მსჯელობაში სიტყვის შესახებ" აყალიბებს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის ფერითი მნიშვნელობებს: „არფები თეთრია და ამით თითქოს ადასტურებენ თავის გაბატონებულ მდგომარეობას, ვიოლინოები — ცისფერი, ფლეიტები — ყვითელი, რადგან ისინი ემსახურებიან ბავშვური გრძნობების გამოხატვას, ხოლო სრულიად შავი ორღანი უკრავს გულისგამგმირავ მელოდიას".

მიუხედავად ერთი ძირითადი სქემისა, რომელიც ყოფიდან მოდის, სიმბოლისტებთან ფერითი ასოციაციები ძალზედ სუბიექტურია: თუ რენე ჰილისთვის ფლეიტა ყვითელია, ჰოფმანისთვის იგი მეწამულია, რენე ჰილთან ყვითელი ფერი ბავშვური გრძნობების გამომხატველია, ხოლო პაოლო იაშვილთან ვხვდებით ყვითელ საშინელებას.

მართალია, ზოგიერთი მოვლენის ფერითი მნიშვნელობა სიმბოლისტებთანაც სტაბილურია, მაგ. ლურჯი ან ცისფერი იდეალი, რომელიც მოდის რომანტიკოსებისგან, შავი ფერის ნეგატიური გაგება და თეთრის დაკავშირება სიწმინდესთან, ამაღლებულ გრძნობებთან, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გვხვდება იდეათა თავისუფალ, უჩვეულო ასოციაციაზე დამყარებული სიმბოლიკის მაგალითები. (ბოდლერის წითელი იდეალი — ლედი მაკბეტი, ვერჰარნის თეთრი საშინელება, გაფრინდაშვლის ლალის სიგიჟე, საფირონის ლურჯი ხველება და სხვ.)

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ფერთა სიმბოლიკა ყოველთვის თვითმიზანია სიმბოლისტებისათვის და ერთ-ერთი პირობა ნაწარმოების გაბუნდოვნებისა (როგორც ცნობილია, სიმბოლისტებს მიაჩნდათ, რომ მხატვრული ნაწარმოების ღირსება უკუპროპორციულია მისი გაგების, პოპულარობის).

ფერთა სიმბოლიკა ძირითადად ემსახურება ფერწერული ელემენტის შემოტანას ლიტერატურაში, ფერწერასა და პოეზიას შორის საზღვრების მაქსიმალურ წაშლას, უაღრესად ფერწერულია პ. იაშვილის ასეთი სტროფი:

მწვანე და წითელი ქოლგების ტრიალი,
სადღესასწაულო დროშების ფრიალი,
ლურჯხავერდიანი ხეების ლანდები,
ოქროს და ძვირფასი ქვის შუშაბანდები.

ა. ბლოკი წერილში „სიტყვები და ფერები" წერს: „ამბობენ, რომ სიტყვები გაცილებით მეტია, ვიდრე ფერები, მაგრამ, იქნებ, დახვეწილი მწერლისთვის, პოეტისთვის, საკმარისი იყოს მხოლოდ იმ სიტყვების გამოყენება, რომლებიც შეესაბამებიან ფერებს".

ის მოითხოვს მაქსიმალურად წაიშალოს ზღვარი ფერწერასა და პოეზიას შორის, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ლიტერატურის სპეციფიკა, მხატვრები ფერს ხმარობენ ქვემდებარის, ხაზს — შემასმენლის მნიშვნელობით და ამის მეოხებით უშუალო, ახალი და მშვენიერი ენით გადმოსცემენ იმას, რის გადმოცემასაც ამაოდ ცდილობენ მწერლები თავისი მრავალსიტყვაობით.

ფერთა სიმბოლიკას აქვს ფსიქოლოგიური, ესთეტური და ფილოსოფიური საფუძველი.

ფერის აკუსტიკური და, შესაბამისად, ბგერის ვიზუალური აღქმა შეპირობებულია წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტორით, რომელსაც სინესთეზია ეწოდება. ფრანგი სიმბოლისტების თანამედროვეების აზრით, სინესთეზია ახასიათებდა მხოლოდ სულით დაავადებულებს, ხოლო სიმბოლისტები არასერიოზულ პოეტებად, ავადმყოფ ადამიანებად მიაჩნდათ ხშირად. ამ შეხედულებას საბაბს აძლევდა სიმბოლისტების მისტიური ფილოსოფია, უჩვეულო, ბუნდოვანი ლექსები და ასეთივე უჩვეულო მათი პირადი ცხოვრება.

1832 წ. თვალის ექიმი სუარე დე მენდოზა წერდა: „ეს არის უნარი ფერების და ბგერების (ხმების) შეერთებისა, რომლის მეშვეობითაც ყველა ძლიერი სმენითი აღქმა, ან მოგონება ამ აღქმაზე იწვევს ზოგიერთი სუბიექტის წარმოდგენაში რაიმე ნათელ ან ფერად ხატს, რომელსაც აქვს მუდმივი ძალა და ტონის სიმაღლე ერთი და იმავე ასოსთვის, ხმის ერთი და იმავე ელფერისთვის, ერთი და იმავე ინსტრუმენტისთვის".

მაქს ნორდაუს აზრით, ფერების აკუსტიკური აღქმა ყოველთვის იდეათა ასოციაციის შედეგია. ის ლაპარაკობს სინესთეზიის ფაქტზე. (თუმცა მაშინ ეს ტერმინი არ არსებობდა).

ნორდაუს მიაჩნია, რომ ფერების აკუსტიკური აღქმა არის ნაბიჯი უკან ორგანული განვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარების მიმდინარეობაში, რადგან იგი წარმოადგენს დიფერენციული აღქმის იგნორირებას. ეს ფსიქოლოგიური პროცესი ნორდაუს მიაჩნია ისტერიით დაავადებულთა და სულით ავადმყოფთა დამახასიათებელ თვისებად. მას მოაქვს ფაქტობრივი მასალა რამდენიმე ექიმის დაკვირვებებიდან. ეს ფაქტები ნორდაუს სჭირდება იმისათვის, რომ დაამტკიცოს თავისი მოსაზრება სიმბოლიზმის უბადრუკობის შესახებ. წერილი სიმბოლისტებზე მოთავსებულია წიგნის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „გადაგვარება".

სინესთეზიის ფაქტი აღწერილი აქვს დიმიტრი უზნაძეს „ზოგად ფსიქოლოგიაში". მისი აზრით, ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა, თუმცა ძალზედ სუბიექტური.

„უფრო ხშირად გვხვდება ბგერისა და ფერის სინესთეზიის შემთხვევები, ე. წ. ფოტიზმები. ვთქვათ, სუბიექტი რომელსამე მუსიკალურ ნაწარმოებს ისმენს. იგი ორგვარად განიცდის მუსიკას — აკუსტიკურადაც და ოპტიკურადაც. მის წინაშე ფერების, სინათლის და ფორმების მთელი კალეიდოსკოპი ისახება".

მაგრამ ამ თანაშეგრძნებათა კავშირი მყარი არ არის. თუ სხვადასხვა სუბიექტის ფოტიზმებს შევადარებთ ერთმანეთს. მათ შორის საერთო არაფერია. ერთსადაიმავე ტონს, აკორდს, ბგერას, სიტყვას ერთისთვის რომ ერთი გარკვეული ფერი აქვს, მეორისთვის ის სულ სხვა ფერისაა.. ეს დასტურდება ლიტერატურულ პრაქტიკაშიც. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, რენე ჰილისთვის და ჰოფმანისთვის ფლეიტა სხვადასხვა ფერისაა, რემბოსთან ხმოვან ა-ს შეესაბამება შავი ფერი, ხოლო სუარე დე მენდოზას ავადმყოფებისთვის (ნ. ნორდაუს მასალებიდან) იგივე ხმოვანი არის ცისფერი.

კოროლენკოს მოთხრობაში „ბრმა მუსიკოსი", ბრმა ბავშვისთვის, რომელსაც აბსოლუტური სმენა აქვს, ლურჯი ფერი გარკვეული მუსიკალური ბგერის შეგრძნებას იწვევს. უფრო სწორედ, ლურჯი ფერი მისთვის აბსტრაქციაა, ცარიელი სიტყვაა, სანამ დედა არ მიიყვანს ინსტრუმენტთან და რომელიღაც კონკრეტული ბგერით არ გამოხატავს მისთვის ცის ფერს. ამის შემდეგ ბიჭისთვის გასაგები და ხელშესახები ხდება ლურჯი ფერის ცნება. ბგერის ჟღერადობამ მიიღო თვალსაჩინო ფორმა.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, რუსმა კომპოზიტორმა სკრიაბინმა ემპირიული გზით შეადგინა პარალელური ტაბულა მუსიკალური და ფერითი ტონებისა.

ამგვარად, ფერთა სიმბოლიკა, დამყარებული არამარტო იდეათა მარტივ, პირდაპირ ასოციაციაზე, არამედ თავისუფალ ასოციაციაზეც, შეპირობებულია უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური ფაქტორით.

ფერთა სიმბოლიკას აქვს ესთეტური საფუძველიც.

ფრანგი სიმბოლისტი პოეტებისა და იმპრესიონისტი მხატვრების მოღვაწეობის პერიოდი ერთმანეთს დაემთხვა. ამან გარკვეული როლი ითამაშა პოეზიასა და ფერწერას შორის საზღვრების მაქსიმალურად წაშლაში.

ჯერ კიდევ ო. უაილდი წერდა: „საიდან, თუ არა იმპრესიონისტებისაგან, ვისესხეთ ჩვენ ეს საოცარი ყავისფერი ნისლები, რომლებიც ეფინებიან ჩვენს ქუჩებს და სახლებს აქცევენ საშინელ აჩრდილებად".

შ. ბოდლერს არ აკმაყოფილებს ის ფერები, რომლებიც ბუნებაში არსებობს და ურჩევნია, რომ მდინარეები იყოს ოქროსფერი, მინდვრები წითელი, ხეები ლურჯი და ა. შ.

სიმბოლისტებისთვის მშვენიერი არა მარტო უჩვეულოა, არამედ ფერწერულიც. ფერი ესთეტურის ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა.

ფერებს აქვთ ფიზიკური თვისება: სითბო და სიცივე და ისინი ახდენენ ადამიანზე, როგორც აღნიშნავს გოეთე, ზნეობრივ-გრძნობად გავლენას. დადებითი ფერები (ე. ი. თბილი) ყვითელი, წითელ-ყვითელი (ნარინჯისფერი), ყვითელ-წითელი (სურიკი, კინოვარი) იწვევენ ცოცხალ მოქმედ, მხიარულ განწყობილებას. ცივი ფერები კი — ლურჯი, წითელ-ლურჯი, ლურჯ-წითელი, უარყოფითი ემოციის მატარებელნი არიან.

თუმცა დადებითი ფერების ზოგი ნიუანსი უარყოფით ემოციებსაც იწვევს (მაგ. სუფთა ყვითელი — დადებითს, მაგრამ მისი მწვანისკენ გადახრა, გოგირდისფერი — უარყოფითს) და პირიქით, ცივი ფერები, ზოგჯერ, დადებით ემოციებს იწვევენ. მაგ. მწვანე — საოცრად ამშვიდებს, ლურჯი თავის თავში აერთიანებს აღგზნებას და სიმშვიდესაც ერთსადაიმავე დროს.

მხატვარ კანდინსკის აზრით, ფერის მოქმედება ადამიანზე ასოციაციურია, მაგალითად, წითელი ფერი იწვევს სულის რხევას, რომელიც ჰგავს ცეცხლით გამოწვეულ ვიბრაციას. თბილი წითელის მოქმედება აღმგზნებია, შეიძლება გაძლიერდეს ავადმყოფურ შეგრძნებამდე, რადგან ის ჰგავს სისხლს, რომელიც დის.

ხოლო იმპრესიონისტი მხატვრის სიორას აზრით: მხიარულ ფერში დომინირებს სითბო, მშვიდი ფერი გადმოიცემა თბილის და ცივის ექვივალენტურობით.

სევდიან ფერში სიცივე ჭარბობს. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს იმპრესიონიზმის გავლენა სიმბოლისტურ პოეზიაზე, პოეტებს აქვთ წარმოსახვის თავისი, სპეციფიური ასოციაციური სამყარო და ერთი ფერის „გრძნობად-ზნეობრივი "გავლენა ადამიანზე სხვადასხვაგვარია პოეზიასა და მხატვრობაში.

ლურჯი ფერი (ცივი ფერი) მხატვრებისთვის სევდიანი ფერია, რომელსაც შეესაბამება სევდიანი მუქი ტონი და სევდიანი ხაზი, რომელიც ეშვება ჰორიზონტიდან დაბლა (სიორა).

სიმბოლისტი პოეტისთვის, ისევე რომანტიკოსისთვის, ლურჯი (ცისფერი) არის იდეალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცნების, ბედნიერების სიმბოლო (მართალია, მას ხშირად სევდიანი ელფერი დაკრავს, რაც სიმბოლისტების მსოფლშეგრძნებით არის გამოწვეული, მაგრამ შედარებით სხვა ფერებთან, ლურჯი მათთვის ყველაზე უფრო პოზიტიური შინაარსის მატარებელია).

ყვითელი თბილი ფერია და, ამდენად, მხიარული ფერწერაში. სიმბოლისტი პოეტისთვის ყვითელი უფრო ხშირად მწუხარების, სიკვდილის, საშინელების ფერია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მხატვარი კანდინსკისთვისაც, როცა ის ლაპარაკობს ფერის არა წმინდა ფერწერულ, არამედ ემოციურ მხარეზე, ყვითელი, ასევე, უარყოფითი ფერია. ყვითელ იადონს გამჭოლავი ხმა აქვს და ყვითელი ლიმონი მწვავე მჟავაა.

პოეტისთვის პირველადია ფერის სიმბოლური მნიშვნელობა, რაც ძალზედ პირობითი, სუბიექტური მოვლენაა.

ფერმწერისთვის — ფერის ფიზიკა (სითბოსიცივე), აქედან გამომდინარეობს სევდიანი ან მხიარული განწყობილება, ფერის სიმბოლური მნიშვნელობა.

როცა გოგენი ხატავს წითელ ან ვარდისფერ მიწას, ყვითელ ხეს და ყველა ფერის საგანს უკეთებს ლურჯ, ულტრამარინის ან იისფერ ჩრდილებს, ეს რა თქმა უნდა, ნატურის სუბიექტური ხატია, მხატვრის პიროვნული ხედვით გაპირობებული. ჩრდილი იწვევს სიცივის ასოციაციას, განსაკუთრებით ასეთ ცხელ და მკვეთრ ფერებთან კონტრასტში და გადმოცემულია ცივი ფერით.

სიმბოლისტებს სავსებით აკმაყოფილებს ამ პრობლემის ზედაპირული მხარე: უჩვეულო წითელი მიწა და ხე, იისფერი ქალი, წითელი ვეშაპი და თეთრი მზე, ბუნებაში არსებული, მომაბეზრებლად ჩვეულებრივი ფერების ნაცვლად.

მშვენიერი შეიძლება იყოს მხოლოდ უჩვეულო, ახალი ფერი, რომელსაც აძლევს ამა თუ იმ საგანს მხატვარი და რომელიც არ შეესაბამება მის (საგნის) რეალურ ხატს, აცლის ამ საგანს ჩვეულებრივობას, ყოფითობას, და ესთეტურ ფენომენად აქცევს მას. საკითხის ასეთი გადაწყვეტა იქცევა სიმბოლისტების ახალი ესთეტიკის ერთ-ერთ პირობად.

## სიმახინჯის კულტი

სიმბოლისტების ესთეტიკის ერთ-ერთი თავისებურებაა სიმახინჯის ესთეტიკა. პარადოქსულია, მაგრამ სიმახინჯის კულტთან ისინი მიჰყავს მშვენიერების ძიებას. მათთვის მშვენიერი ერთდროულად აბსოლუტური უჩვეულობაა. ის არამც თუ არ გულისხმობს, არამედ გამორიცხავს ეთიკურ კატეგორიას. მშვენიერის ძიებას ყველგან და ყველაფერში, სიმახინჯეშიც კი, სიმბოლისტები მიჰყავს იმ აზრამდე, რომ სილამაზის ეტალონი მოძველდა და მშვენიერი შეიძლება იყოს მხოლოდ უჩვეულო.

„სიმახინჯე ქმნის ახალ სილამაზეს. შექსპირის „მაკბეტში" საშინელი მშვენიერია და მშვენიერი საშინელია. მახინჯი საშინელია. საშინელი კულტია თანამედროვე ხელოვნების".

ვ. გაფრინდაშვილი ცდილობს სიმახინჯის კულტის გამართლებას ბერძნული ქანდაკებიდან და ტრაგედიიდან გამომდინარე, მას მოჰყავს ლაოკოონის, ოიდიპოსისა და სხვ. მაგალითები.

სიმბოლისტებთან სიმახინჯე, უფრო ხშირად, თვითმიზანია, პოზაა, კოკეტობაა ახალი ესთეტიკით. ბოდლერი ლექსში „ჰიმნი მშვენიერებას" წერს:

ჩემთვის ერთია, ციდან მოხვალ,
თუ ჯოჯოხეთიდან,
მშვენიერებავ, მუნჯო,
უმანკო, სასტიკო მხეცო.

კოლაუ ნადირაძის ლექსში „ავზნიანი ქალაქი" ვკითხულობთ:

მე ხშირად მიყვარს ეს ქალაქი, მრუში და
მყრალი,
ატალახებულ ქუჩებს მივყვები, ვუცქერ
უკბილოდ დალრეჯილ სახლებს,
ხარბად დავეძებ მახინჯ სახეებს
და მეც ქალაქში დავსეირნობ გიჟთა
მხედარი.

ამგვარად, ესთეტიკური კატეგორია სიმბოლისტებთან გამორიცხავს ეთიკურს.

პლატონი, რომელსაც ხშირად იმოწმებენ სიმბოლისტები, მიუთითებს მშვენიერის, კეთილისა და სინათლის ანალოგიაზე, თუმცა ერთიან სილამაზეს, სილამაზის იდეას ჭვრეტენ გონებრივი და არა ფიზიკური თვალით (ხედვით). სიკეთის იდეა — მშვენიერი, არის არსი, რომელიც ანიჭებს ჭეშმარიტებას შესამეცნებელ საგნებს. რასაკვირველია, პლატონისთვის სილამაზე არ არის გრძნობადი ფენომენი, ის ზეგრძნობადია, ისევე, როგორც სიბრძნე, მაგრამ მისი რეალურობის იმიტაციას ახდენს თვალის უნარი დაინახოს ფერი და სინათლე.

პლატონის იდეალურ სამყაროსთან მიახლოვების ერთ-ერთი პირობა სიმახინჯის კულტიც არის სიმბოლისტებისთვის, თვით პლატონისთვის კი მშვენიერის ხილული გრძნობადი ფორმა დაკავშირებულია სინათლესთან, ხოლო მისი უმაღლესი, ზეგრძნობადი ფორმა ისევ მშვენიერია, ოღონდ ტრანსცენდენტური.

სულხან-საბას ლექსიკონში ლამაზი, მშვენიერი, სიკეთის სინონიმია. სიტყვა მშვენება ახსნილია — ყოვლის კეთილით შეფერებული.

სიმახინჯის ესთეტიკა გარკვეულ გავლენას ახდენს ფერთა სიმბოლიკაზე და იწვევს ხშირად უკიდურეს ექსტრავაგანტიზმს ფერით ასოციაციებში.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

ლურჯი (ცისფერი) იდეალის ფერია, პოზიტიური შინაარსის მატარებელია არამარტო სიმბოლიზმამდელ, არამედ სიმბოლისტურ ლიტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურაშიც. მეტერლინკის იდეალი არის ლურჯი ფრინველი:

ლურჯი ფრინველი სიზმარში ვნახე
და ის გამიხდა მე სანატრელად.

ბოდლერის ლექსში „სულიერი ცისკარი" ვკითხულობთ:

და ლურჯი იდეალი დაარღვევს მათ
მყუდროებას.

„ცისფერი ყვავილი" — იდეალის ნოვალისისეული სახესხვაობა ცნობილია ქართველი სიმბოლისტებისთვის:

იყო ირგვლივ ზიანება
და ყორნების ჩხავილი.
თოვლმა სილას მიანება
ნოვალისის ყვავილი.
ეს წამება გაივლის
თუ აისმა ინათა,
და ცისფერი ყვავილი
დაეცემა მინასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ იდეალის მიუღწევლობა ყველაზე უფრო ტრაგიკულ ფორმას სიმბოლისტებთან ღებულობს. ლურჯი იდეალის ფერია და, ამდენად, პოზიტიური, მაგრამ იდეალთან მიახლოების შეუძლებლობა აცლის მას დადებით შინაარსს და პესიმისტურ ელფერს აძლევს:

ლურჯი, ლურჯი დღე არის,
განშორების დღე არის,
მე არ ველი უარესს.

ან:

აქ მრავალია ცისფერი ფერი,
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორც ქალწულის სახელი მერი
არის ცისფერი და მწუხარება. (გ. ტაბიძე)

სიმბოლისტების ფილოსოფია, ძირითადად, ემყარება სუბიექტურ იდეალიზმს. მაგრამ, ამავე დროს, უარს არ ამბობს არც ობიექტურ იდეალიზმზე. იზიარებს შოპენჰაუერის ვოლუნისტურ ფილოსოფიას, ბერგსონის ინტუიტურ ფილოსოფიას, ნიცშეს, ამგვარად, აშკარაა მისი ეკლექტიკური ხასიათი.

როდესაც ვლაპარაკობთ იდეათა თავისუფალ, ნებისმიერ ასოციაციაზე დამყარებულ ფერთა სიმბოლიკაზე და მის უკიდურესობაზე სიმბოლისტებთან, უნდა გავითვალისწინოთ არამარტო სინესთეზიის ფაქტორი, ან ესთეტიკური მომენტი, არამედ სიმბოლისტების მსოფლმხედველობაც.

სიმბოლისტები იზიარებენ კანტის დუალიზმს, მაგრამ თავისთავადი საგნების (an sich) არსებობა ჩვენი შემეცნების გარეშე და ის ფაქტი, რომ ადამიანი ვერასოდეს ვერ შეიცნობს ამ საგნების არსს (ნოუმენს), რომ მას შეუძლია ჩასწვდეს მხოლოდ მოვლენების არსს (ფენომენს), ეწინააღმდეგება სიმბოლიზმის თეზას სიმბოლისტი პოეტის გენიალობისა და ზეადამიანური ბუნების შესახებ. ამიტომ ისინი მიდიან კომპრომისზე და ამ მოსაზრების გამყარებისთვის მოიშველიებენ შოპენჰაუერს, რომლის მიხედვითაც საგნების არსი შეიმეცნება არა ინტელექტის, არამედ გენიალური ინტუიციის საშუალებით. ხოლო მათი აზრით გენიალური ინტუიცია გააჩნია მხოლოდ სიმბოლისტ პოეტს.

ვ. გაფრინდაშვილის აზრით: „სიმბოლისტი პოეტი არის გენიალური ადამიანი, რომლისთვისაც ტიპიურია კანტის ნოუმენის ქვეყანა, რადგან დღევანდელი ქართული პოეზია არ არის ფენომენალური".

ამგვარად, სიმბოლისტების აზრით, სიმბოლისტ პოეტს, რომელსაც შესწევს უნარი შეიცნოს ნოუმენი, აქვს სრული უფლება სუბიექტური, ყველასთვის გაუგებარი ფერთა სიმბოლიკისა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაუგებრობა და ბუნდოვანება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ამ პოეზიისა.

პ. იაშვილი ლექსში მალარმეზე წერს:

ის იყო ბრძენი, მაგრამ ჩვილად გაუგებარი.

ხოლო თვით მალარმეს აზრით:

„დაასახელო საგანი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსპო სამი მეოთხედი იმ სიამოვნებისა, რომელსაც ჩვენ ლექსის წაკითხვისას ვღებულობთ. მთელი სიამოვნება მდგომარეობს თანდათან ამოცნობაში, ჩააგონო საგანი — აი ოცნება".

გარდა ამისა, სიმბოლისტებს, ისევე როგორც მაგ. პლატონს ან შოპენჰაუერს, მიაჩნიათ, რომ სიკვდილი განთავისუფლებაა, იდეალურ სამყაროში დაბრუნებაა ფიზიკური სხეულის არტახებიდან განთავისუფლებული სულისა. ამიტომ სიკვდილი ესთეტიკურ კატეგორიად იქცევა და ხშირად ტრადიციული შავი ფერის ნაცვლად ილებება თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი ფერებით, რომლებიც სიმბოლიზმამდელ ლიტერატურაში, ყოფაში და ზოგჯერ თვით სიმბოლისტებთანაც დადებითი შინაარსის მატარებელნი არიან:

სიკვდილის გზა არ რა არის ვარდისფერ გზის
გარდა.
(გ. ტაბიძე).

მოგასვენებენ თეთრი დები სიჩუმის ნავზე
(პ. იაშვილი, „ვერჰარნ").

როგორც ზემოთ ითქვა, გ. ტაბიძე ორთოდოქსი სიმბოლისტი არასდროს ყოფილა. მაგრამ თავის მეორე კრებულში „არტისტული ყვავილები" გარკვეული ხარკი გადაუხადა სიმბოლიზმს, ხოლო სიმბოლისტურ ჟურნალში „ცისფერი ყანწები" დაიბეჭდა მისი ორი ლექსი „მთაწმინდის მთვარე" და „ლურჯა ცხენები". ეს ორი ლექსი, მიუხედავად მათი ფორმალური და იდეური სიახლოვისა სიმბოლიზმთან, გარკვეული მიზეზების გამო მაინც ვერ ჩაითვლება წმინდა სიმბოლისტურ ლექსებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორივე ლექსში ლაპარაკია სიკვდილზე, ოღონდ განწყობილება სხვადასხვაა. სიკვდილთან დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია.

„მთაწმინდის მთვარეში" ლექსის ლირიკული გმირი იმყოფება მთაწმინდაზე, სადაც მეფობს სასაფლაოსათვის დამახასიათებელი სიმშვიდე. ამ სიმშვიდეში აღიქვამს პოეტი მის გარემომცველ საგნებსა და მოვლენებს. მაგრამ ეს არ არის სასაფლაოსთვის ჩვეული შემზარავი სიჩუმე, რომელიც ქმნის მწუხარების, ფატალურობის, ადამიანის უბადრუკობის განწყობილებას. სიკვდილს ამ ლექსში გამოცლილი აქვს რეალური შინაარსი. ის თითქოს იქცევა ფანტომად. გაურკვეველი, სიზმარეული განწყობილება, რომელიც მოიცავს მთელ სამყაროს. „ციდან ცამდე". იწვევს სიკვდილის ასოციაციას. მთვარის მკრთალი შუქი, ჩუმი ცა, ცისფერი ლანდები ამზადებენ ნიადაგს ე. წ. „სიზმრისთვის ცხდაში".

და მეც მოვკვდი სიმღერებში ტბის
სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ლამემ სულში როგორ
ჩაიხედა.
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე
ფრთები
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები.

სიმბოლისტი პოეტი, რომლისთვისაც ობიექტური სამყარო მხოლოდ ანარეკლია იდეალური სამყაროსი, ცხოვრების საუკეთესო ნაწილს ატარებს სიმთვრალეში, სომნამბულურ მდგომარეობაში, სიზმარში. ეს მდგომარეობა მას აახლოვებს თავის ირაციონალ იდეალთან. მალარმემ შექმნა სარკის პოეზია, „რადგან სარკე ყველაზე კარგად გამოხატავს ადამიანის არსებობის ლანდურობას, მის ორობას".

მაგიური სამყარო, რომელსაც პოეტი ქმნის და ათავსებს თავის სულში, იქცევა მისი მოქმედების ასპარეზად.

გ. ტაბიძის სიზმარი, როგორც მდგომარეობა იდეალთან მიახლოებისა, როგორც ლურჯი ოცნების საფუძველი, თვითონაც ლურჯ ფერს იღებს.

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ,
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

სიზმრის დასასრული ნიშნავს რეალურ ცხოვრებაში დაბრუნებას და ამიტომ პოეტი ოცნებობს:

ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს
გადახნექილი სიზმრების წყლი.

ეს თემა ვითარდება გ. ტაბიძის მრავალ ლექსში:

მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან,
მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ —
სიზმარი,
თოვს, ასეთი დღით ხარებამ ლურჯი
და დალალული სიზმრით დამთოვა.

და მეძახიან მშვიდ სამეფოში
მდევნი, სიზმრები და წინაპრები.
უჩინრად ჩნდება ვნებათ ქარბუქი,
ეს მართლა ხდება, თუ მესიზმრება.

„მთაწმინდის მთვარეში" მთელ ლექსს გასდევს ამ სიზმრის განწყობილება, რომელსაც ამძაფრებენ სასაფლაოს ცისფერი ლანდები. რეალურ საგნებსაც კი პოეტი აღიქვამს, როგორც სიზმარს:

და მის შუქში გახვეული მსუბუქ
სიზმარივით
მოჩანს მტკვარი და მეტეხი, თეთრად
მოელვარე.

ეს სიზმარეული განწყობილება არის სიკვდილის სიახლოვე, ოღონდ ვარდისფერი სიკვდილისა. ტრადიციულად, როგორც ცნობილია, სიკვდილის ფერითი სიმბოლო არის შავი. გ. ტაბიძის ლექსში „ათოვდა ზამთრის ბაღებს" სიკვდილი შავია, ხოლო ლექსში „ალაზანთან" შავი ფერის სიმბოლიკა უმწვერვალესი ხდება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სიკვდილის განწყობილებას ამ ლექსში ქმნის არამარტო შავი ფერი, არამედ სიტყვა „შავი"-ს წმინდა ბგერითი ჟღერადობა. სიტყვა არის საგნის სახელწოდება, ამდენად ის დატვირთულია აზრით, მაგრამ მას აქვს აზრისგან დამოუკიდებელი თავისი ჟღერადი ცხოვრება, რომელიც ამავე დროს, უსათუოდ ფერადიც არის.

ლექსში „ალაზანთან"" არამარტო სიტყვა „შავი", არამედ ბგერა „შ" ქმნის უიმედობის, სიშავის, სიკვდილის განწყობილებას.

მთვარეში შავი შრიალებს ჩალა,
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს,
დამშვიდდი, სძინავს ალაზნის კარებს,
მთვარეში შავი შრიალებს ჩალა,
შენ მოგონებას, როგორც ეს ქალა,
მთების დუმილი ამინანქარებს,
მთვარეში შავი შრიალებს ჩალა,
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს....

ლექსი თავდება ასეთი სტრიქონებით:

დამშვიდდი, ტალღებს მიანდე ნავი,
ის — დაიღუპა, ის აღარ მოვა.

ამ ლექსში სიტყვა რთული ესთეტური ფენომენია, რომელიც აერთიანებს ფერსა და მუსიკალურ ელემენტს. აზრობრივი მნიშვნელობა მეორე პლანზე დგას. უფრო მეტიც, სიტყვას მანუგეშებელი აზრი ეცლება მისი ჩმოვანების გამო, რადგან ბგერა „შ" შავი ფერის, სიკვდილის და განწირულების გამომხატველია. სიტყვას „დამშვიდდი"-ის განტვირთავს დადებითი შინაარსისგან და მასაც აძლევს განწირულების და სიშავის განწყობილებას. ამგვარად, ბგერა „შ" ყველა სიტყვაში შავია. სიტყვებში, სადაც „შ" არ გვხვდება, არის მისი ნახევარტონები „ჟ" და „ჩ". ისინი არ არიან ისე მკვეთრად შავი, მაგრამ აგრძელებენ იგივე განწყობილებას.

ხოლო „მთაწმინდის მთვარეში" — „სიკვდილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა არ რა არის ვარდისფერ გზის გარდა" — ლექსის განწყობილება სრულიად საწინააღმდეგოა. პოეტი სიკვდილის ასეთ გაგებას არ უპირისპირებს არსებობის ნეგატიურ შინაარსს (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიმბოლისტების ფილოსოფიას რეალური სამყაროს სიმახინჯის შესახებ, მიყავს ისინი სიკვდილის ესთეტურ ფენომენად აღიარებამდე).

გ. ტაბიძისთვის სიმახინჯის ესთეტიკა უცხოა, თუ ოსკარ უაილდმა ბუნებას ხელოვნების მსახურის როლი დააკისრა, გალაკტიონისთვის ბუნება სავსეა ღმერთით. სხვა რას შეუძლია, თუ არა ღვთაებრივ და მშვენიერ საწყისს, ადამიანის სიკვდილთან შერიგება? („დღეს ყველგან მზეა და სილამაზე, სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი").

გ. ტაბიძის პოეტური სამყარო აერთიანებს ორ საწყისს: კეთილს (მზის ნათელი") და ბოროტს („ღამის ჩრდილი"). კეთილ საწყისს ასახიერებს მზე, გაზაფხული, ზაფხული, მშვენიერება, სიცოცხლე, ადამიანის უკვდავება, ყვავილები — ცოცხალი და სტილიზებული, მათ უპირისპირდება — ღამე, შემოდგომა, სიკვდილი, მზის ჩასვლა. მზის ჩასვლა იწვევს სიკვდილის ასოციაციას:

სალამოვდება და მზის ჩასვლასთან
თანდათან მწუხრი მიახლოვდება,
მეფობს სიკვდილი — ქკნობის მსურველი,
გაქრა სურნელი, დაჭკნა ყვავილი.

ლექსი „მას გახელილი დარჩა თვალები", არის რექვიემი მზის მიმართ. ამ ლექსში იგრძნობა ქართული ფოლკლორის და მწერლობის მიდრეკილება წარმოიდგინოს ბუნების მოვლენები არა აბსტრაჰირებულად, არამედ უშუალო კავშირში ადამიანთან და ამ ასპექტში უფრო ღრმად გააცნობიეროს მათი (ბუნების მოვლენათა) არსი.

გალაკტიონი მზის ჩასვლას აღიქვამს, როგორც ადამიანის სიკვდილს. თუ ხალხურ ლექსში ხოგაის მინდის შესახებ მზე, ცა, მიწა თავისი მოქმედებით გამოხატავენ დამოკიდებულებას გმირის სიკვდილთან („ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ცა ქუხდა, მიწა გრგვინავდა...") და ხაზს უსვამენ, ძირითად მომენტს — ხოგაის მინდის ქვეშეცნეულ კავშირს ბუნებასთან, გალაკტიონთან მზე თვითონ კვდება, როგორც კაცი, ტანჯვით, მოკრძალებით, უშფოთველად და, როგორც ეს ადამიანებს ემართებათ, სიკვდილის შემდეგ, თვალები გახელილი რჩება. რეფრენი „მას გახელილი დარჩა თვალები", ლექსის ლაიტმოტივია და შეიცავს აზრს: მზე, რომელსაც ადამიანები ყოველდღე ხედავენ, ილუზიაა. ეს მკვდარი მზის თვალებია, რომლებიც მას გახელილი დარჩა სიკვდილის შემდეგ და თუ მზე, სიკეთის და სიცოცხლის საწყისი, არსებობს მხოლოდ, როგორც ილუზია, პოეტი მიდის დასკვნამდე:

ლირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი,
მე გზა არ ვიცი უახლოესი,
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

ყოველდღიური არსებობის ტვირთს ადამიანი დაღუპვამდე მიყავს. ტვირთი იმდენად მძიმეა, რომ კაცი იმის ნაცვლად, რომ ზიდოს იგი, მიდის უცნობ ხიდზე, თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს და ხდება წყნარი და მშვიდი.

ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში", პოეტი ამბობს:

დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქროლებენ სწრაფი ცხენები,
ლამენათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები.

თუ სიკვდილი ერთადერთი გზაა, თუ არ არის საშველი, მაშინ სიკვდილი განთავისუფლება ყოფილა და ამიტომ „სიკვდილის გზა არ რა არის ვარდისფერ გზის გარდა".

სიმბოლისტ პოეტებთან სიკვდილი ხშირად იღებება თეთრი, ვარდისფერი ფერებით:

მიგასვენებენ თეთრი დები სიჩუმის ნავზე-
პ. იაშვილი.

თეთრ სიკვდილს დაარხევს გედის ყელი —
მალარმე.

უსათაურო ლექსში ბლოკი ბავშვის სიკვდილს ხატავს ლურჯ ფერში.

ბოდლერის ლექსში „შეყვარებულთა სიკვდილი" სიკვდილი ცისფერ და ვარდისფერებშია წარმოდგენილი.

ერთ ზღაპრულ საღამოს, რომელიც იქნება
შეღებილი ცისფრად და ვარდისფრად,
ერთი ელვა დაგვკრავს და ამოგვართმევს
განშორების კვნესას გრძელსა და ყრუს.

სიკვდილის ესთეტურ ფენომენად აღიარებას საფუძვლად მარტო სიმახინჯის კულტი არ უდევს. სიმბოლისტებს სწამთ, რომ რეალური სამყაროში ადამიანის სული, რომელიც განსხვისებული და ჩაკეტილია ფიზიკურ სხეულში, დროებით იტანჯება, ხოლო სიკვდილის მერე ის უბრუნდება თავის პირველყოფილ სამშობლოს, იდეალურ სამყაროს.

ამის შესახებ წერს ვ. გაფრინდაშვილი ერთერთ თავის ლექსში:

ჩააქრე ცეცხლი, სამშობლოში ისევ
დაბრუნდი.

ასე ხედავს პოეტი თავის სათაყვანებელ ლანდებს:

ავახელ თვალსა და გაქრეშა ლანდთა
ლრუბელი,
ჩემს წინ ბოდლერი, გადაშლილი ვით
სახარება,
გიჟურ თვალებით შემომხედავს ჩემი
ვრუბელი,
სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება.

შოპენჰაუერი, რომლის ფილოსოფია საფუძვლად უდევს სიმბოლიზმს, წერს: „სიცოცხლე არის სუსტი მისწრაფება და ტანჯვა, სიზმარი-

ული (ძილისმიერი) ხეტიალი ცხოვრების ოთხი ასაკის მანძილზე სიკვდილამდე.

თავისი პედონისტური პესიმიზმიდან გამომდინარე, კერძოდ, იმ თეზიდან, რომ ყოველგვარი დაკმაყოფილება, ან რასაც, ჩვეულებრივ, უწოდებენ ბედნიერებას, არსებითად, უარყოფითია და არავითარ შემთხვევაში დადებითი, შოპენჰაუერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ბედნიერება არ არის პირველყოფილი და თავისთავიდან ჩვენზე გადმოსული. ის მხოლოდ სურვილის დაკმაყოფილებაა. რადგან სურვილი, ე. ი. უკმარობა არის წანამძღვარი ყოველგვარი ტკბობის, დაკმაყოფილებისთანავე ქრება სურვილი და მაშასადამე, ტკბობაც. ამიტომ დაკმაყოფილება ან ბედნიერება სხვა არაფერია, თუ არა განთავისუფლება ტანჯვისგან... მაგრამ სასურველის მიღწევა ძალზედ ძნელია. არსებობს უამრავი დაბრკოლება ამ გზაზე. ხოლო როცა ყველა დაბრკოლება გადალახულია და სურვილი განხორციელებული, ადამიანი აღწევს მხოლოდ რომელიმე სახის ტანჯვისგან ან სურვილისგან განთავისუფლებას, ე. ი. ის უბრუნდება იმ პირვანდელ მდგომარეობას, ხანამ დაიწყებოდა ტანჯვა.

ამიტომ შეგნებული და გულწრფელი ადამიანი თავისი სიცოცხლის დასასრულს არ მოინდომებს თავიდან დაიწყოს სიცოცხლე. ცხოვრების ხანმოკლეობა, შესაძლოა, ყველაზე კარგი თვისებაა მისი".

მალარმეს თეთრი ნირვანა, ბლოკის ცისფერი სიკვდილი, გალაკტიონის ვარდისფერი სიკვდილი და სხვ. არის იდეის — „სიკვდილი — თავისუფლება და ბედნიერებაა" გრძნობად ფორმაში გამოვლენა.

ვ. გაფრინდაშვილის ლექსში „ძონძებში" ხდება უტრირება იმ სიმახინჯისა, რომელიც ახასიათებს სიკვდილს, მისი ჰიპერბოლიზაცია.

ჩემი სალამი შავ ნაფლეთებს, სულის სასწორებს,
მე მინდა მოვკვდე ამ ძონძებში, რომ სამარეზე
ძაღლების ხროვა მგალობელი ძიძგნიდეს მძორებს,
რომ ჩემს საფლავში ვიოცნებო დამპალ მთვარეზე.

შ. ბოდლერი ლექსში „გვამი" დეტალურად აღწერს გვამის ხრწნას, და ლექსის ბოლოს პირდება საყვარელ ქალს, რომ ისიც ოდესმე ასეთ დამპალ გვამად გადაიქცევა. ასეთ ლექსებში სიმბოლისტები, რომლებიც ერთადერთ აბსოლუტურ ღირებულებად მიიჩნევენ ესთეტიკას, მშვენიერებას, მეორე უკიდურესობაში ვარდებიან; ახალი ესთეტიკა — სიმახინჯე იქცევა თვითმიზნად, ხდება მათი დეკადენტური ლოზუნგის „ხელოვნება ხელოვნებისათვის" პერიფრაზირება და ჩნდება ახალი ლოზუნგი „სიმახინჯე სიმახინჯისათვის". როცა არტურ რემბო წერს ლექსებს „თმებში მაძიებელნი" ან „მსხდომარენი". ის აპოეტურებს არაესთეტურ თემას. პირველ ლექსში ლამაზი დები პატარა ძმის ოქროსფერ თმებში ეძებენ ტილებს. მეორე ლექსი დაწერილია მოხუც მამაკაცებზე, რომლებსაც აწუხებთ ბუასილი და ისინი სხედან სკამებზე, რადგან უკვე აღარ შეუძლიათ ადგომა და სიარული. ამ ლექსებში არაპოეტური, მახინჯი იქცევა ესთეტურ კატეგორიად.

გ. ტაბიძე ასეთ უკიდურესობაში არასოდეს არ ვარდება, თუმცა სიკვდილთან დამოკიდებულებაში საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ლექსში „მე დავიბადე განთიადისას" სიკვდილი ისეთივე განთავისუფლებაა, როგორც „მთაწმინდის მთვარეში". ოღონდ შედეგია ბრძოლაში დამარცხების, კვნესა-ქვითინის. ამიტომ ის ტრადიციულად შავი ფერისაა:

ბნელი ღამეა, მალე ინათებს,
ჩქარა, სიკვდილო, ოჰ, გევედრები.
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,
გადამაფარე შავბნელი ფრთები.

ხოლო „ლურჯა ცხენებში" (ეს მეორე ლექსია გ. ტაბიძის, რომელიც დაიბეჭდა „ცისფერ ყანწებში"), გ. ტაბიძე სიკვდილის საკითხში სიმბოლისტების სრულიად საწინააღმდეგო პოზიციებზე დგას.

იდეალურ ქვეყანაში, „სამუდამო მხარეში," ის ვერ პოულობს „შენაპირს" — აბსოლუტს, რომლისკენაც ისწრაფის მთელი სიცოცხლე. პოეტისთვის სიკვდილი არის რეალური საფლავი „ცივი სამარე", სადაც „ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია", სიზმარი, რომელიც ესთეტური კატეგორიაა და იდეალურ სამყაროსთან მიახლოების საშუალება მთელს მის შემოქმედებაში და რომელიც „მთაწმინდის მთვარეში" ლოგიკურად გადადის თავის უფრო მაღალ სახეობაში „ვარდისფერ სიკვდილში". „ლურჯა ცხენებში" ეთიშება სიკვდილს და დამოუკიდებელ სუბსტანციად იქცევა.

მაგრამ, რაც ყველაზე უფრო მთავარია, სიკვდილი არის სიმბოლისტებისთვის პირველ რიგში სულის განთავისუფლება ფიზიკური სხეულის ჩენჩოსგან.

სული გაფრინდა თეთრი მტრედივით
სული დარჩა ცოდვილ მიწაზე.
(ტერენტი გრანელი).

გ. ტაბიძე ამბობს „და არც სულს უზარია", ე. ი. მიდის ისეთ სასოწარკვეთამდე, რომ ეჭვი შეაქვს საკუთარ რწმენაში და სიკვდილს რეალურ საფლავად აქცევს. კიდევ უფრო მკრეხელური სტრიქონები დაუწერია მას და არანაკლებ გენიალური თავისი ხატოვანებით, თავისი შემზარავი ურწმუნობით, რომელიც უფრო ყოვლისმომცველი და უსათნოესი რწმენისკენ მიდის, ისევე როგორც, რაც უფრო მეტ ტანჯვას გამოივლის ადამიანი, მით უფრო მჭვირვალე და ნეტარია მისი კათარზისი. ჩვეულებრივი, თუნდაც, ორთოდოქსი მორწმუნე, ალბათ, ძნელად თუ ეღირსება ასეთ ნეტარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორხიდეების მწყობრად იდგა მუქი შლეიფი
განაზებული ჩემი ფერმკრთალ სულის
სიკვდილით.

ხომ შავი და ბლანტე უნდა იყოს ამ აზრის გამომთქმელი კაცის დარდი, მაგრამ მისი სიტყვა, ბიბლიური პირველსიტყვისა არ იყოს, ისეთი ღვთისმიერია, რომ ფერმკრთალ სევდას ახსივებს მხოლოდ, და სულ მალე შეიძლება, მზე გამოაშუქოს, რადგან პოეტს წუთიერად ავიწყდება, რომ „მის სულში გენით ატეხილი რეკავს ლერწამი" და უკვე ამიტომ ეს სული არ შეიძლება მოკვდავი იყოს. პოეტი თითქოს გაეთამაშა, გაეშაირა საკუთარ უკვდავებას, ისევე, როგორც მზეს, დაიახლოვა იგი, გააადამიანურა, სიკვდილის შესაძლებლობა მისცა, სევდის თბილი ხელი შეახო, მაგრამ საბოლოო ანგარიშში არც ღვთის რწმენა დაუკარგავს და არც უკვდავებისა, პირიქით;

ლექსში „მარმარილო" (მარმარილო — უკვდავების სიმბოლოა გალაკტიონთან) შემოდის ვარდისფერის თემა, ოღონდ უკვე არ სიკვდილის, არამედ უკვდავების სახით:

აჰყევ ვარდისფერ საფეხეურებს და აჰყევ
ისე,
რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს
ყრმა დიონისე,
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი
მსგავსება —
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის
მოთავსება.

და შემდეგ:

და ყოფნა ასე, მოლანდება ასი ათასი,
რომ შენს გვირგვინზე წაშლილია შავი
ნაპრალი.

ამგვარად, სიკვდილის უსახო და უპირქუშო გზა, თუ ის მიდის უკვდავებისკენ, იცვლება ვარდისფერი საფეხურებით, ხოლო სიკვდილის ატრიბუტები — შავი ყორანი და შავი კუბო ადგილს უთმობენ მარმარილოს სფინქსს და დიონისეს. ვარდისფერი შლის შავ ნაპრალს და სიკვდილის გზას, უკვდავებასთან სიახლოვის გამო, ვარდისფერს აძლევს.

ესპანელი ფილოსოფოსის მიგელ დე უნამუნოს აზრით: „ძრწოლა არარას წინაშე განაპირობებს ადამიანებს შორის ბრძოლას უკვდავყოფისათვის და იგი უფრო საშინელია, ვიდრე ბრძოლა არსებობისათვის. თავზარდამცემია აზრი, რომ შენი ხსოვნა წაიშალა სხვის ცნობიერებაში"

მეორე მომენტი უკვდავების ფაქტორში არის ადამიანის უნარი იგრძნოს თავი ბუნების, კოსმოსის შემადგენელ ნაწილად და სიკვდილი დიალექტიკური განვითარების აუცილებელ საფეხურად ჩათვალოს. არამარტო სულის, არამედ სხეულის უკვდავების გამო, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბუნებაში არაფერი არ კვდება და არაფერი არ ჩნდება, არამედ ერთი მდგომარეობიდან გადადის მეორეში.

ის სიმახინჯე სიკვდილისა, რომელიც ზარავს მკითხველს ბოდლერის ლექსებში, უიტმენთან არამარტო ესთეტური, არამედ ეთიკური კატეგორიაც არის, რადგან მძორი, დამპალი ხორცი, ჩირქი და სხვა, იქცევა მშვენიერ მინდვრებად, ხეებად, ბალახად საოცარი ქიმიის მეშვეობით. აქ ისევ ჩნდება მშვენიერის ცნება, რომელსაც უკვე არაფერი საერთო არა აქვს სიმახინჯის ესთეტიკასთან.

იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე გ. ტაბიძის ლექსში „შერიგება:"

ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე,
მშვენიერების ლექსით მქებელი,
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე,
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი.

ამიტომ ურბანისტები არიან გალაკტიონი და მისი თანამედროვე პოეტები:

მე ხშირად მიყვარს ეს ქალაქი, მრუში და
მყრალი,
ატალახებულ ქუჩებს მივყვები, ვუცქერ
უკბილოდ დალრეჯილ სახლებს,
ხარბად დავეძებ მახინჯ სახეებს
და მეც ქალაქში დავსეირნობ გიჟთა
მხედარი.

მაგრამ, როცა პოზას ცვლის უშუალო ემოცია, ჩნდება სწრაფვა მიწისკენ, მიწასთან სიახლოვე არის ერთადერთი გამოსავალი, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს ქალაქის კოშმარებისგან და აზიარებს მას პირველყოფილ ჰარმონიას.

ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი,
მზის განიავება, კალო და კევრი
და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი,
როცა მე ქალაქში მაღელვებს, მახელებს
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი.

გ. ტაბიძის ლექსში „გზაში" იგივე პრობლემა დგას:

მოკლული ვიყავ უცხო ზმანებით,
დაჭრილი ვიყავ ქალაქის ქაფით,
ხელები არ თრთის ხელთათმანებით,
სული არ ტირის შავი ნიღაბით.

ბუნებასთან არა მარტო სულიერი, არამედ ფიზიკური სიახლოვე კონკრეტულს და ხელშესახებს ხდის ისეთ ზოგადადამიანურ იდეას, როგორიცაა პატრიოტიზმი:

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი არ
გაუვლია,
რაა მამული.

გ. ტაბიძის დამოკიდებულება ბუნებასთან ერთ-ერთი მიზეზია მისი პოეზიის ფერწერულობის, მისი ფერითი ასოციაციები არამარტო წიგნობრულია, არამარტო სიმბოლისტების თეორიიდან და იმპრესიონისტული მხატვრობიდან მოდის, არამედ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, გალაკტიონს მხატვრის თვალი აქვს ის ფერწერული, პლასტიკური სახეებით აზროვნებს, ამ ფაქტის ახსნა კი უნდა ვეძიოთ მის დამოკიდებულებაში ბუნების ფენომენთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბუნება გ. ტაბიძის პოეზიაში

გ. ტაბიძესთან, ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველასთან, ბუნება დამოუკიდებელი ფენომენია, რომელიც არასდროს არ ქმნის მხოლოდ ფონს ადამიანის სულიერი განწყობილების გადმოსაცემად. აქ შეიძლება ლაპარაკი არამარტო მათ (ბუნებისა და ადამიანის) ურთიერთობაზე, არამედ ურთიერთგავლენაზეც.

გ. ტაბიძის მთელი პოეზია აერთიანებს ორ საწყისს: კეთილს („მზის ნათელი") და ბოროტს („ღამის ჩრდილი").

კეთილისა და ბოროტის ერთიანობისა და ბრძოლის იდეა განსხვავებულია ბუნების ფენომენში.

მზე აბსოლუტურად მშვენიერი და კეთილი საწყისია. ის აუცილებელი პირობაა ადამიანის არსებობის, სიცოცხლის, ხოლო სიკვდილის შემდეგ მისი უკვდავებისა.

დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი.

ან:

აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს და აჰყვე
ისე,
რომ შენს წინ სივრცე ლანდად იდგეს
ყრმა დიონისე,
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი
მსგავსება:
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის
მოთავსება.

მაგრამ „სპილოს ძვლის კოშკის" ფილოსოფია, პესიმიზმი, იდეალის მიუღწევლობა, ალთქმული მხარის სიშორე, სიზმარეული მდგომარეობა, როგორც საფეხური იდეალთან მიახლოებისა, ქმნის გარდამავალ სახეს მზის ნათელისგან ღამის ჩრდილისკენ. ეს არის „მზიანი ჩრდილი", რადგან აბსოლუტური მზე — იდეალია, რომლის მიღწევაც შეუძლებელია. მზეს თან ახლავს ჩრდილი, სევდიანი ელფერი, ისევე, როგორც ლურჯ ფერს, რომელიც, ასევე, იდეალის სიმბოლოა, ისევე როგორც მერის — მარადქალური იდეას. ეს არის „სიშორის სიახლოვე", „სული უმზეო, მაგრამ მზიანი".

გ. ტაბიძის დამოკიდებულება ბუნებასთან ყველა მის თანამედროვე პოეტზე უფრო უახლოვდება ბუნების ვაჟა-ფშაველასეულ გაგებას.

ჯერ ერთი, ბუნება გალაკტიონთან მშვენიერია. მიუხედავად კონტრასტებისა და მშვენიერისა და მახინჯის წინააღმდეგობისა, მთლიანობაში ბუნება იმდენად მშვენიერია, რომ სიმბოლისტების ესთეტიკის ერთ-ერთ მთავარ თეზას — სიმახინჯის კულტს — გ. ტაბიძეზე არასოდეს არავითარი გავლენა არ მოუხდენია. მზის აღიარება აბსოლუტური სიკეთისა და მშვენიერის იდეალად უკვე გამორიცხავს ამ შესაძლებლობას, რადგან სიმბოლისტებისთვის ესთეტური რიგის მოვლენა არასოდეს არ გულისხმობს ეთიურს.

პლატონი, რომლის ფილოსოფია საფუძვლად უდევს სიმბოლიზმის თეორიას და რომელსაც იმოწმებს ვ. გაფრინდაშვილი თავის წერილში სიმახინჯის კულტის შესახებ, აშკარად მიუთითებს სილამაზესა და სინათლეს შორის არსებულ ანალოგიაზე. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სილამაზის ხილული, გრძნობადი ფორმა ასოცირებულია სინათლესთან, ხოლო მისი ზეგრძნობადი, ტრანსცენდენტური სახე ისევ მშვენიერია.

გ. ტაბიძის პოეზიაში მზესთან, სინათლესთან ყოველთვის დაკავშირებულია სიკეთე და სილამაზე.

ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში" ეპითეტი „მზე" მიეწერება ღვთისმშობელს, რომლის სახე სულიერობის გარდა მარადქალურის სიმბოლოდაც იქცევა. ღვთისმშობელის ტრადიციული ეპითეტი „წმინდა" იცვლება „მზით", რადგან ღვთისმშობელი და მზე მისთვის ერთიდაიმავე იდეების მატარებელია (სიკეთე და მშვენიერი). პოეტი ასე მიმართავს მფარველ ქალწულს:

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!

ლექსში „ლურჯა ცხენები", სადაც, თითქოს სრული პესიმიზმი და უიმედობაა, ყველა იდეალი იმსხვრევა და რეალურია მხოლოდ საფლავი — ცივი, ბნელი, ყოველგვარ მისტიურ ილუზიას მოკლებული, ბოლოს მაინც ჩნდება იმედის ნაპერწკალი, რომელიც ისევ სინათლეს უკავშირდება.

მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა.

ან უკვე სხვა ლექსში:

მაგრამ შენი მზე სიბნელეს გაჰხევს
და დაადგება შუბლს ნათელივით.

მაგრამ მზეს, როგორც ყველა მოვლენას ბუნებაში, აქვს თავისი ჩრდილიც. მზის ჩასვლა დაკავშირებულია მწუხარებასთან, სიკვდილთან. ამ შემთხვევაში სიკვდილი აღარ არის გადაწყვეტილი ლურჯ და ვარდისფერებში. ასეთი სიკვდილისა პოეტს ეშინია, რადგან ამ ფიზიკურ სიკვდილს წინ უსწრებს სულიერი კრიზისი, იდეალების მსხვრევა:

საღამოვდება და მზის ჩასვლასთან
თანდათან მწუხრი მიახლოვდება.
სხვაგვარ ტიბათვის დღეებს იგონებს
ჩამავალ მზეთა მგლოვიარება.

და ბოლოს ლექსი „მას გახელილი დარჩა თვალები", სადაც კულმინაციას აღწევს მზის სიკვდილით გამოწვეული ტრაგედია ადამიანური არსებობისა.

პოეტი მიდის დასკვნამდე: მზის სიკვდილი ზნეობრივ და ფსიქოლოგიურ ასპექტში ადამიანის სიკვდილის ტოლფასია და ამავე დროს იგი განაპირობებს ადამიანის ფიზიკური სიკვდილის აუცილებლობას.

გ. ტაბიძე ტრაგიკულად აღიქვამს მზის სიკვდილს არა იმიტომ, რომ ადამიანურ თვისებებს ანიჭებს მას (განპიროვნება) ბუნება, ამ შემთხვევაში მზე, მისთვის არა სტიქიურად, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგნებულად კეთილი საწყისია, ადამიანისგან სრულიად დამოუკიდებელი არსება და ადამიანურ სიკეთესთან მიმსგავსებით გ. ტაბიძე კი არ ართმევს მას ამ დამოუკიდებლობას, არამედ აახლოვებს, ამეგობრებს მათ: გონიერ სტიქიას და გონიერ ადამიანს.

ლექსში „შერიგება“ პოეტი მიმართავს მყინვარს:

ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლამაზი ცეცხლთა მარადი ნთებით.
მე — მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,
მყინვარს — უმძიმეს იაგუნდებით.

უკვდავების ფაქტორი (საკუთარი უკვდავების რწმენა) აახლოვებს ადამიანს სიმაღლის, სიდიადის სიმბოლოსთან — მყინვართან, ხოლო მყინვარს, მიუწვდომელს და სასტიკს — ადამიანთან.

მყინვარი მოაზროვნე, სულიერი ფენომენია: ის და ლექსის ლირიკული გმირი (ავტორი) გვანან ერთმანეთს, თუმცა ერთი მეორეს არ ექვემდებარება:

და მყინვარს, მაღალ ლაჟვარდთა მეფეს,
ჩემი თვალები გააზამბახებს,
ვით შეყვარებულს და მოეცნებს.

(ლექსის I ვარიანტი)

ასე გრძნობს მთებს ვაჟა-ფშაველაც. მან იცის, რომ ბუნებას არ შეიძლება ჰქონდეს ჭკუა, მაგრამ აკვირვებს ბუნების საოცარი გონიერება და ჰარმონია.

ადამიანის ბუნებასთან მაქსიმალურად დაახლოვების პროცესში ხდება ჩვეულებრიობის საზღვრის გარღვევა: ადამიანის პიროვნული ეთიკა წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების დოგმატურ ეთიკურ ნორმებთან და ჩნდება მინდიას ტრაგედია. ამის საფუძველია ადამიანური ძიების სული და სიკეთე, რომელიც გამორიცხავს ეგოიზმის სულ მცირე გამოვლინებასაც კი:

1. სიკეთე იმ საზოგადოების წევრების მიმართ, რომელშიც ცხოვრობს კაცი (მინდიას „ცოდნა“ შველის თემს ყოფაში. მისი უნარი გამოიცნოს ყვავილების სამკურნალო თვისებები და ამინდის მოულოდნელი ცვლილება, ადამიანებს აძლევს საზრდოს და უხანგრძლივებს სიცოცხლეს, მაგრამ ეს სიკეთე იქცევა თავისივე წინააღმდეგობად, რადგან ადამიანებს მისი ახსნა და გაგება არ შეუძლიათ, ამიტომ ის ხდება კონფლიქტის მიზეზი არამარტო საზოგადოებასთან, არამედ ოჯახთანაც).

2. სიკეთე ბუნების „უსულო“ საგნების მიმართ, რადგან მათი უსულობა მოჩვენებითია, ზედაპირული. ისინი, თავის მხრივ, კეთილ საწყისს ატარებენ თავისთავში და მათი დამოკიდებულება ადამიანთან არის არა სტიქიური, არამედ შეგნებული სიკეთის აქტი.

ადამიანის სიკეთე ბუნების მიმართ, როცა ის ვლინდება ერთეულ შემთხვევებში. პასიურია. მონადირეს, შეიძლება, ერთხელ შეეცოდოს ნუ[illegible] და არ მოჰკლას იგი, ან არ მოკლას ჯიხვი, მაგრამ ეს აღარ განმეორდება, რადგან ჯიხვიც და ხეც, მისთვის, უპირველეს ყოვლისა, მატერიალური, ფიზიკური არსებობის საშუალებაა. ის ერთეული შემთხვევა, როცა ადამიანი ვერ იკმაყოფილებს თავის მატერიალურ მოთხოვნილებას, ესთეტური და ეთიკური მომენტის გამო, პასიური, გაუცნობიერებელი სიკეთის მაგალითია.

ხოლო ბუნების სიკეთე სავსებით გაცნობიერებული და აქტიური სიკეთეა. „გველისმჭამელში“ თავთავები ეხვეწებიან მინდიას, რომ მოცელოს ისინი, სანამ სეტყვა მოუსწრებს. ისინი ორივე შემთხვევაში უნდა დაიღუპონ, მაგრამ სეტყვისგან სიკვდილი უაზროა, მაშინ, როცა მოცელილი თავთავები ადამიანის არსებობის საშუალებაა. თავთავები შეგნებულად სწირავენ თავს ადამიანს. ყვავილები უხსნიან მინდიას, როდის რა სენს წამლობენ და სთხოვენ მოწყვიტოს ისინი, ოღონდ არა უსარგებლოდ, არამედ ადამიანური საჭიროებისთვის;

გ. ტაბიძის კრებულში „არტისტული ყვავილები“, ყვავილები, ისევე როგორც მზე, აბსოლუტურად კეთილ და მშვენიერ საწყისს ატარებენ თავის თავში.

ეს ყვავილები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ცოცხალი, ბუნებრივი ყვავილები: ზამბახები, ვარდები, ორქიდეები, იები, იასამანი, გვირილები და ხელოვნური, სტილიზებული ყვავილები: ცისფერი ვარდები, ლურჯი ყვავილი, უცნობი ყვავილი და სხვ.

ყვავილებთან დაკავშირებულია სიმაღლე, მაგრამ არა ფიზიკური, არამედ სულიერი — ამაღლებულობა, მაგ. ზამბახის მაღალი ღერო არამარტო ვიზუალური ფაქტია, არამედ ქმნის სულიერი ამაღლების განწყობილებას.

პოეტის მეორე, ხელოვნური სამყაროს კუთვნილება — სტილიზებული ყვავილებიც, ასევე კეთილი და მშვენიერი იდეის განსხეულებაა: ლურჯი ყვავილი, ცისფერი ვარდები, უცნობი ყვავილი, შიშველი თეთრი ყვავილი — იდეალის ნაირსახეობას წარმოადგენენ. ზამბახი, როგორც აღვნიშნეთ, ამაღლებულის სიმბოლოა. ის ცას და ვარსკვლავებს უტოლდება:

სიმაღლე ლაჟვარდთა,
ვარსკვლავთა სიმაღლე,
სიმაღლე ზამბახის...

ან:

მაღალ ღეროზე გაიშალა გრძელი ზამბახი,
მაგრამ მის გაშლას სიხარულით არ
ვეგებები.

ზამბახი ხშირად დაკავშირებულია მთვარესთან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მშვენიერის და სინათლის ანალოგიას.

ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი
მანდილი,
ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეფარებული.

და „მთაწმინდის მთვარეში":

მთვარე თითქოს ჩამბარია შუქთა მკრთალი
მძივით....

გალაკტიონისთვის ვარდის გარეგნული ფორმა (მშვენიერი) შეესაბამება მის არსს (კეთილი და მშვენიერი), მაგრამ ვარდი ამ თვისებების პოტენციური მატარებელია, რადგან უფრო ხშირად, განსაკუთრებით „არტისტული ყვავილებში", გვხვდება დამჭკნარი, მოწყვეტილი, მოკლული ვარდი, რომელიც შეესატყვისება პოეტის მძიმე სულიერ განწყობილებას. რაც უფრო მშვენიერია საგანი, მით უფრო ტრაგიკულია მისი გადასვლა კვდომის, ქრობის მდგომარეობაში. ეს ერთ-ერთი გამოვლენაა იმ „მზიანი ჩრდილის" და „უმზეო, მაგრამ მზიანი სულის" თემისა.

საღამო ნელდება და კვდება ვარდები,
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით.

დაწყვეტილ ვარდებს ძალამოკლულ თვალით დავცქერი. ვარდი დაკავშირებულია სიყვარულთან. აქაც იგივე მეორდება, რადგან სიყვარული პოეტისთვის აბსოლუტის, იდეალის ძიებაა, რომელსაც არ შეიძლება რეალურად ბედნიერი დასასრული ჰქონდეს:

გამოჩნდებოდა შემოდგომა, ჩემი მფარველი,
როდესაც სულში დაჭკნებოდა ათასი
ვარდი.
მე გავალ ამ ქარში, გავიტან ამ ვარდებს
და შენზე ლოლინის სიმღერას გავატან.
...მკრთალი ვარდები დაცვივა ხელებს

გ. ტაბიძის სტილიზებული ყვავილები (ლურჯი ყვავილი, ცისფერი ვარდები და სხვ.) იმეორებენ ნოვალისის ლურჯ ყვავილს, ბლოკის ცისფერ ყვავილს, რომელიც სიმბოლისტი პოეტის, ანუ თეურგის კუთვნილებაა და, აგრეთვე, იდეალის ნაირსახეობას წარმოადგენენ.

და ბოლოს, ყვავილების ცნება, უკვე ზოგადშემკრებლობით, ეთიკურ და ესთეტურ ასპექტში მზის ცნებას უტოლდება. იგი სალბუნივით აქარწყლებს ყოველგვარ ტკივილს, დარდს;

იდუმალი ხმა მოესმის პოეტს, რომელსაც „ბედი კლავს" და „თვალებში ყორნების ქენჯნიან კლანჭები" და ეს ხმა უდიდესი ნუგეშია მისთვის:

მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან,
მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ —
სიზმარი.

ყვავილები უკავშირდებიან სიზმარს, რომელიც ყველაზე ნეტარი და ბედნიერი მდგომარეობაა ადამიანის ყოფაში და ქმნის იდეალთან მიახლოების ილუზიას.

ლექსში „ვერხვები", მარტოობით და დარდით დაღლილი პოეტი იგონებს ბედნიერ წარსულს, რომელიც სრული წინააღმდეგობაა აწმყოსი, ამიტომაც:

ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს
ძველი ლეჟის სმით უგონოდ, მძაფრად,
სადაც დაკარგულ ვარდს და გვირილას
მოგონებებში ვიჭერ თანაბრად

ლექსი ასე თავდება:

ეს იყო წინათ, დიდ ხნის წინათ,
ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა,
დრომ ყვავილებით დაგვაგვირგვინა,
მე პაჟი ვიყავ, ის კი — პრინცესა.

ყვავილების არარსებობას, ქრობას მოაქვს სიკვდილისა და უბედურების განწყობილება:

მეფობს სიკვდილი, ქრობის მსურველი,
გაქრა სურნელი, დაჭკნა ყვავილი.

გ. ტაბიძესთან, მახინჯი და ბოროტი აუცილებელი კონტრასტი და პირობაა მშვენიერისა და კეთილის, მის პოეტურ სამყაროშიც მზეს გაზაფხულს, ხეების ყვავილობას, სიცოცხლეს უპირისპირდება ღამე, შემოდგომა, ქრობა, სიკვდილი.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბუნების ამა თუ იმ მოვლენის სიმბოლური მნიშვნელობა გ. ტაბიძის ლექსებში მყარი არ არის; აი, როგორ ერთმანეთის საპირისპიროდ და ერთის შეხედვით, პარადოქსულად აღიქმება მის პოეტურ ხედვაში ერთი და იგივე სტიქია:

**თოვლი**

იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი
აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს,
რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია,
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო.
მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა.

**ღამე**

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს
სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის
თეთრმა ღამემ,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და ღამე,
მე და ღამე.
მთელი ღამეს და შენ, სულამით,
ჩემს მკვლელ — მიუკვდავ ღამეს მთელი.

**ქარი**

დაქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი, გახსოვარ...
და შლიდა ბაირაღებს თმაგაწეწილი ქარი,
და გავალ ქარში, როგორც მოცარტი,
მიყვარს მინდორში ქარის ზვირთები.

და ა. შ.

გ. ტაბიძისთვის, ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველასთვის, ბუნება კონტრასტებზეა დამყარებული. კონტრასტი ჰარმონიის პირობაა. ბუნების მიერ ჩადენილ ბოროტებას მაშინვე მოყვება სიკეთე, უფრო უანგარო და დიდი.

ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა,
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა,
მაინც კი ლამაზი არი,
მაინც სიტურფით ჰყვავისა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო სიგუა

# ფიქრი და მუსიკა

„აქვეა, დახლზე, თომას ელიოტის „უნაყოფო მიწა“, დახლქვეშ X-ის წიგნებს მალავენ“, — წერდა კარგა ხნის წინათ გივი ალხაზიშვილი, „იახსარისა“ და „ბზარის“ ავტორი. ვინ არის ეს X, არ ვიცით, მაგრამ მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იაფფასიანი ერზაცლიტერატურის ერთი წევრია, ვინც აკმაყოფილებს მასის გემოვნებას და ყოველდღიურ მოთხოვნილებას. ხოლო თომას ელიოტს თითქმის არავინ კითხულობს. როცა ასეთი ალტერნატივა ჩნდება საზოგადოებაში, ის საზოგადოება დაღუპვისაკენ მიექანება, რადგან სულიერი ღირებულებანი არევია. თითქოს პოეტი იმიტომ მოავლინა განგებამ ამქვეყნად, რომ ხალხის გულისტკივილი გამოავლინოს. მაგრამ დრომ შეცვალა ეს თვალსაზრისი — უგმირო და უიდეალო ქვეყანას არ სჭირდება ნამდვილი პოეზია, ვერ გაიგებს და ვერ დააფასებს. ალბათ, კიდევ იმიტომ, რომ ვულკანზე ვცხოვრობთ, მაგრამ ვის ესმის“. ეტყობა, მასა ინსტინქტურად კიდევაც გრძნობდა ამას, ამიტომ ელტვოდა გართობასა და მსუბუქ ცხოვრებას, ვიდრე სულიერ მარტვილობას.

„მე კი ჯიუტად, უფრო ვფიქრობ მამულზე, მტერზე, აკვანზე“, — წერს პოეტი. ეს ცნებებიც დრომ დაახურდავა და მათზე ფიქრით გულმოკლული პიროვნება დონ კიხოტის თუ ჰამლეტის მიმდევარი ხდება, მათ ნიღბებს ირგებს, დრომ ეს ნიღბებიც დაახურდავა. ცინიზმმა და ირონიამ, ფულის კულტმა და მოხვეჭის ჟინმა ჰეროიკისათვის ადგილი აღარ დატოვა. ძველი, მარადიული იდეალები დავიწყებას მიეცა. ამ დროს ისევ კლოუნის ნიღაბი თუ უშველის პოეტს, რათა ასე მაინც მოიპოვოს შვება და შეინარჩუნოს ფხიზელი თვალსაზრისი — „ერთი ლამის თავისუფლება“, იმედად რჩება განდგომა, რათა ნათლად გამოჩნდეს რა ხდება გარშემო.

ასე შენდება „ფიქრის სახლი“.

სულიერობისაგან დაცლილ გარემოში კედლები კი შორდება მიწას, მაგრამ ცას ვერ უახლოვდება. მხოლოდ კალამი — „წინაპრის შუბის შთამომავალი“ ყველაფერს იწერს და აღნუსხავს მათთვის, ვინც ჯერ არ დაბადებულა, რადგან მკითხველს, კონკრეტულ ადრესატს არ გულისხმობს. „რას გვპირდება დღე ხვალინდელი“, „რას გვპირდება ეს გაზაფხული“, — ეჭვი ღრღნის პოეტის გულს და ეს ეჭვი აძლევს ძალას, გაძლების უნარს, შემოქმედების სტიმულს.

ასე ცხოვრობდა იგი წლების მანძილზე.

„მოუცლელობის ბორკილი გვადევს“, „გაურკვეველი ბურუსის ტყვე ვარ“, „შიშია ახლა ჩვენი ბატონი“, „შიშის შიშით ჩვენ ფიქრში ვცხოვრობთ, ფიქრია ჩვენი დიდი ქვეყანა, რადგან ფიქრს შიშის არ ეშინია“, გვეუბნება პოეტი. ეს სიტყვა-სიგნალები იწვევენ ასოციაციებს, აღგვიდგენენ ახლო წარსულს, ყველასათვის ნაცნობ ყრუ ატმოსფეროს, რომელსაც კარგად მოერგება პოეტის მეტაფორა — „ახალი მითის მშენებლობის ჩვენ ვართ მოწმენი“. „ახალი მითის მშენებლობა“ ეს იგივე კომუნიზმის მშენებლობაა, რომლის მოწმენი კი არა მონაწილენიც მეტნაკლებად ვიყავით. მაგრამ ახლა ჩვენს თვალწინ ინგრევა ბაბილონის გოდოლი და იფანტება კომუნიზმის შხამიანი ნისლი, მთელი თაობები და სახელმწიფოები რომ შეიწირა. გამართლდა ფარული „მოულოდნელის მოლოდინი“. და როგორც „სასაფლაოთ, იზრდება ხსოვნა, ხსოვნა ჩავლილი, არსებული წარსული წლების“.

ეს სტრიქონები იწერებოდა ე. წ. უძრაობის წლებში და პოეტის ფხიზელი ალღოს დასტურია.

და მაინც — გივი ალხაზიშვილი არ არის სოციალური ტონალობის პოეტი. ალბათ იმიტომაც, რომ ათწლეულების მანძილზე სოციალური მოტივები და ე. წ. აქტუალური თემატიკა სპეკულიაციის საგნად იქცა. პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თუ ვინ უფრო მარჯვედ იცრუებდა. ეს იყო ორმაგი მორალის ბატონობის პერიოდი. ბევრს მშვენივრად ესმოდა, რომ სიყალბის აპოლოგეტი იყო, ზოგი — ნიჭიერი, ბევრი — უნიჭო. მაგრამ სხვა შემოსავალს ხელოვანი ვერ ხედავდა, რათა პარტიისა და ხელისუფლებისადმი აღვლენილი დითირამბების გვერდით ეთქვა მწვავე და საჭირო სიტყვაც — პატრიოტული და ნაციონალური. ახლა როცა თვალს ვავლებთ კომუნისტური მითოსის მძვინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარების წლებს, ცხადი ხდება, რომ ორმაგ მორალს გამართლება ჰქონდა. მაგრამ იყვნენ პოეტებიც, რომლებიც ნეიტრალიტეტს არჩევდნენ, ცხოვრობდნენ თავიანთი შინასამყაროთი, სულიერი ტკივილების პოეტიზებით, ჭვრეტით, განყენებული თემატიკის აჟღერებით და თითქოს კონკრეტული სივრცე-დროის მიღმა იდგნენ. მაგრამ როგორც გივი ალხაზიშვილის ლირიკაც გვიჩვენებს, მძაფრად საგრძნობი ყოფილა ყალბი სინამდვილის უარყოფის პათოსი, პოლემიკა ფსევდო იდეალებთან, ჭეშმარიტი სილამაზის, სიკეთისა და მშვენიერების დაცვის სულისკვეთება. ოღონდ არ სიტყვიერად, დეკლარაციულად, არამედ — პოზიციით, ხელოვნებისადმი დამოკიდებულებით, ესთეტიკით, სალექსო ფორმებით. და ეს არის არსებითი, თუმცა ცალკეული პაროლებიც როგორც ვნახეთ, თავს არაერთხელ შეგვახსენებენ, რათა მკითხველის აზრს სწორი გეზი მისცენ.

გივი ალხაზიშვილი მიუბრუნდა სიმბოლიზმის ესთეტიკასა და პოეტიკას. ეს იყო არა ტრადიციის რესტავრირება, არამედ ათვისება ახალ დროსა და სივრცეში. ისტორიაში ყოველივე მეორდება, იღუპება და კვლავ აღდგება, ოღონდ ახალი ფერითა და სამოსელით. სიტყვის განახლების მისტერია ყველა შემოქმედს ინდივიდუალურად წარმოუდგება. განახლება, პირველ ყოვლისა, შინაგანი მოთხოვნილებაა, თვითდადგენის პროცესი. მაგრამ სხვა მიზანიც გააჩნია, რადგან პოეზია პოლივალენტური ცნებაა და მრავალუცნობიან განტოლებას ჰგავს. გივი ალხაზიშვილი სიმბოლისტური ესთეტიკით დაუპირისპირდა ე. წ. სოციალისტური რეალიზმის სქემებით გამოფიტულ პოეზიას. შეიძლება ეს არაცნობიერადაც მოხდა, რადგან პოეტი სტიქიურად ეძებს იმპულსს, შთაგონებას და ის ყოველთვის კონკრეტული საგანი ან მოვლენა როდია. ზოგჯერ ლექსის საწყისი გატანილია ლექსიდან, იქსელება ასოციაციები და სიტყვას ეხვევა ბუნდოვანების სამოსელი. მკითხველს გადაეცემა სრულიად ახალი განწყობილება — თხზვის პროცესში წარმოქმნილი.

გივი ალხაზიშვილის ლირიკის სპეციფიკური თვისებაა ფიქრი და მუსიკა და ამ მხრივაც ენათესავება სიმბოლისტებს. ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ „რვა ელეგიის“ ავტორი ფეტის, სოლოვიოვის, ბლოკის მთარგმნელია. ალბათ აქ სულიერი სიახლოვეც იგულისხმება. პოეტი გვაცნობს თავის შინასამყაროს, შინაგან ცხოვრებას, ფიქრობს და ფიქრის ენით გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს. ეს ხერხი გავრცელებულია ჩვენს პოეზიაში. მაგრამ პოეტი აქაც პოულობს ახალ რაკურსს — მან თავისი ინტელექტუალური აღქმისა და განწყობილებებისათვის მიმართა მუსიკას. ეს მაშინ, როცა ლექსის მელოდიურობა ლამის ანაქრონიზმად იქცეს და პოეზია ყრუ მუსიკოსს დაემსგავსოს, ჭარბმა ინტელექტუალიზმმა, განსჯამ და ანალიზმა პოეტები მუსიკის ჰარმონიას ჩამოაცილა. გივი ალხაზიშვილმა ეს აღიქვა როგორც ნაკლი. ამიტომ აღადგინა ლექსში მუსიკის პრიმატი, როცა მელოდიად ქცეული განწყობილება, ბგერების ევფონიური და ესთეტური გადანაწილება აწესრიგებენ აზრის მდინარებას. ეგებ არც ლექსების სათაურების გახსენება იყოს ზედმეტი — „ვიოლინო — ზღაპრის დასაწყისი“, „ჰობოის სოლო“, „დიდი ოქტავა“, „პატარა ოქტავა“, „პირველი ოქტავა“, „ისევ ოქტავა“, „ბზარი“ (უკანასკნელი სამი დღე მევიოლინე სიმონის ცხოვრებიდან)“, „სამი ელეგია“, „რვა ელეგია“...

ბგერათა ქაოსი მოწესრიგების შემდეგ თავადვე იქცევა აზრად ან კიდევ — არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმიდან ასოციაციურად ამოზიდავს ბავშვობის შთაბეჭდილებებს, გადავიწყებულ ფაქტებს, გადამქრალ საგნებს:

„კენწეროებმა საღამო იგრძნეს,
ჩამავალი მზის დასრულდა რკალი
და ჭილყვავებით ამღვრეულ სივრცეს
თანდათანობით ეჩვევა თვალი...
გასული წელი მოვა თავიდან
იგივე ფიქრით, სულ სხვა სახელით,
ჟამი, რომელიც შენთვის გავიდა,
შეეყინება თვალებს გახელილს“.

გივი ალხაზიშვილისათვის მუსიკა არის ფიქრის გაშლის საშუალება. საერთოდ ინტელექტუალიზმი ვერ ჰგუობს მელოდიისა და კეთილხმოვანებისადმი მიდრეკილებას. მაგრამ პოეტი ცდილობს ტრადიციის შენარჩუნებას და მასთან სიახლეთა შეთავსებას, რათა რთული აღქმა მკითხველისათვის იოლი აღსაქმელი აღმოჩნდეს. ამიტომ ასოციაციები, ფიქრების მდინარება იცილებს ბუნდოვანებას, იძენს სინათლეს, სიტყვა ხდება გამჭვირვალე და მაშინაც ავლენს მუსიკალურ ნაკადს, როცა მიმართავს ვერლიბრს. ეს ვერლიბრისათვის მომგებიანიც არის, ასე შეიძლება რიტმულობის შენარჩუნება, რასაც, ჩვეულებრივ, ქმნიან კლასიკური ლექსის ატრიბუტები — რითმა, ტაეპი, სტროფი:

„ღამის ქვეყანა,
ღამის ცაზე ანგელოზები
ვარსკვლავებს რომ ამოქარგავენ,
ბავშვის ტირილი, მდუმარებაში რომ
დაიღვრება.
როგორც სევდიან ფლეიტს სოლო —
ის ჩვენი ხმაა, ყველას ხმაა შეერთებული,
გადარჩენილი უმანკოების წიაღიდან
ამომდინარე“.

ფიქრისა და მუსიკის შეერთების საფუძველია ესთეტიზმი, უფრო სწორად — სიტყვის გრძნობა საგნობრივ სახეს ჰპოვებს ასოციაციების მუსიკალურ მდინარებაში. პოეტი საგანგებოდ ირჩევს სიტყვებს, მათ კეთილხმოვანებას, შეხამების წესს, ცდილობს ამაღლებულ განწყობილებათა ფიქსირებას, რომელიც სცილდება ყოველდღიურობას, ყოველდღიურობის ფუსფუსსა და მტვერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენსკენ მახედებს ვიოლინოს შორეული
ხმა,
შენსკენ, ვინც თავად მიგატოვე და
უარვყავი...
ხელისგულები ავიფარე დაღლილ თვალებზე
და სიბნელიდან შენი სახე კვლავ
ამოცურდა,
ხელისგულებზე შენი ღიმილი ამოიქარგა“.

ხოლო ეს ყოველდღიურობა საბჭოთა სინამდვილეა, უსულო და ულმერთო, ყალბი და ბოროტი, რომლისადმი ყრუ პროტესტი, რომლისადმი განდგომა არის გივი ალხაზიშვილის პოეზია და ეს პათოსი ნათლად გამოვლინდა ცხრა აპრილს დახოცილებისადმი მიძღვნილი ლექსით. ყოველდღიურობით დაფლეთილი სული ვერ იცლის ფიქრისა და მუსიკისათვის, არადა სწორედ ესენია „თავისუფლებისაკენ მიმავალი გზები“. როგორც ვხედავთ, პოეტისათვის ფიქრი და მუსიკა არა მხოლოდ აზროვნების მოდუსია, შემოქმედების განმსაზღვრელი სპეციფიკაა, არამედ — თავისუფლების სინონიმიც. იქნებ ამიტომაც ენატრება „ღრუბლის უსაზღვრო თავისუფლება“, ზეცისაკენ სწრაფვა („დარდი: ცაში გსურდა წასვლა, ჯერჯერობით ვერ წახვედი“).

გვი ალხაზიშვილის ლირიკას წლების მანძილზე მკვეთრი ხანცვლილება არ განუცდია. პოეტმა ადრევე მიაგნო მისთვის მახლობელ და ფასეულ სალექსო ფორმებს, ადრევე გამოიმუშავა სინამდვილის ესთეტური და ოდნავ აბსტრაქტული, განყენებული ხედვა. ალბათ ამიტომ, რომ აბსტრაქცია ესთეტიზმის ნაწილია, ხოლო ყოველდღიური მოვლენები — უხეში და ინტერესმოკლებული. პოეტი არ აკონკრეტებს სახელებსა და მისამართებს, არც ისტორიაში გადადის. იგი შეგნებულად ცდილობს მინიმუმამდე შეამციროს გეოგრაფიული, ისტორიული თუ ლიტერატურული სახელები. სამაგიეროდ — გაამძაფროს შინაგანი ხილვა, გადმოგვცეს შინაგანი ცხოვრება, ილუზიებით, ნახევრტონებით, ასოციაციებით წარმოგვიდგინოს თანამედროვე მოქალაქის ფიქრები, აწეწილი ფსიქიკა, მდგომარეობა და იდეალები. პოეტის განწყობილებას მელანქოლიაც სდევს, ჩუმი და ფარული სევდა. მიზეზი ამოხსნილია. იგი არაცნობიერად არსებობს, ლამის გენეტურადაც გადმოეცეს პოეტს, როგორც ქართველობის არსის თანამდევი ცნება, მისი არსებობის ხვედრი. და ეს სევდა იმდენად ბუნებრივია, სულერთია რა დაერქმევა მას — ბუნდოვანი სიზმარი თუ დაკარგული ბავშვობა:

„ჩემი ბავშვობა — ჰერბარიუმი,
ხმელი ფოთოლი, ყვითელი ხმელი,
შენახულია წიგნში სათუთად —
ფერგადასული ყოველი წელი,
შენ, მხოლოდ შენ თუ შეაფერადებ,
მტრედის ფრთასავით ფაქიზი ხელით“.

საერთოდ, ქართული პოეზიის თვისებაა აბსტრაგირება, მოვლენების ამაღლებული წარმოსახვა. მას უფრო ზეცა აინტერესებს, ვიდრე მიწა, უფრო ზოგადია, ვიდრე კონკრეტული, პათეტიკას ელტვის და ქუჩის ხმაურს გაურბის. იქნება ეს აღმოსავლური წარმომავლობით აიხსნას. მაგრამ სწორედ ეს თვისება შეერწყა სიმბოლიზმის ესთეტიკას და გივი ალხაზიშვილმაც მიიღო ამგვარი ტრადიცია, როგორც ესტაფეტა. შეიძლება დღევანდელობისათვის ჰარბი ესთეტიზმი, სიტყვის კულტი და გემოვნების დემონსტრირება მაღალფარდოვნებად ჩანდეს. მაგრამ პოეტი არ ცდილობს მასის თვალსაზრისის მიყოლას. იგი ქმნის და ელის მკითხველს, რომელიც მივა მასთან. ხოლო ის ბარიერი, რასაც წარმოშობს სალექსო კულტურა, დაძლიოს პროფესიონალის გემოვნებამ. ეს ანტაგონიზმი არაახალია, ძველია, რასაც მოსდევს მასისაგან გაუცხოება. გივი ალხაზიშვილის ლირიკის სათავე წმინდა ხელოვნებაა, რომელიც უარყოფს პატრიოტიკის, სოციალური და პარტიული თემების ექსპლოატაციას. ეს ავტორის პოზიციაა და, შესაძლოა, ბევრი არც დაეთანხმოს. მაგრამ ისიც ნათელია, რომ გზა, რომელიც პოეტმა აირჩია, მეტისმეტად რთულია და ძნელი. აქ მასობრივ პოპულარობაზე ფიქრი ზედმეტია. სამაგიეროდ იგი გათვლილია ინტელექტუალური ელიტის იმ ნაწილზე, ვისთვისაც ფასობს სიტყვის კულტურა, ესთეტიზმი, ადამიანის სულიერი მიმოქცევის ნიუანსები:

„შენს ფანჯარაში,
როგორც ჩარჩოში ჩასმული ხატი,
წმინდა გიორგის ეკლესია ისე მოჩანდა
და როცა ზარებს რეკდა მნათე
და როცა სივრცე იტბორებოდა
ვერცხლისფერ ხმებით —
მესამე ფანჯრის თვალსაწიერს შეანათებდა
საუკუნეთა გაქვავებული ცრემლების მუქი—
ტაძრის ნანგრევი“.

დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ადამიანებს ნიველირებით ემუქრება. პოეზიაშიც ვრცელდება საერთო სტილი. მაგრამ შემოქმედი, როგორც ყოველი ადამიანი, ცდილობს თავისი ინდივიდუალობის გადარჩენას, მასისაგან გამოყოფას, რათა ასე აღიბეჭდოს მკითხველის მეხსიერებაში. გივი ალხაზიშვილი სარგებლობს ზოგადი, თუ შეიძლება ითქვას, ინტერნაციონალური სქემებით, მაგრამ მათ ავსებს პიროვნული ხედვით, ტკივილით, ფიქრითა და აღმაფრენით. ამიტომ მისი ლირიკა თვითმყოფადია და ორიგინალური, ოღონდ არა გამომწვევი, ერთი შეხედვით ერთი წაკითხვით რომ ყურადღება მიიზიდოს. იგი თხოულობს ჩაკვირვებას, გაცნობასა და გააზრებას. ექსტრავაგანტური ან მჩატე ლირიკა სხვადასხვა ფენებში სწრაფად ჰპოვებს აღიარებას, მითუმეტეს თუ ავტორი ნიჭიერია. ხოლო გარეგნული ეფექტებისაგან, სამკაულებისაგან განძარცული ლექსი, რომელსაც ამავე დროს სიახლის პათოსი ახლავს, საჭიროებს დროსა და მკითხველის მოთმინებას. სტი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლური კოლიფლონიის აღიარებას, რაც ჩვენ, ერთი აზრის დიქტატურის ქვეყანაში აღზრდილთ, მეტისმეტად გვიჭირს.

გივი ალხაზიშვილი ურბანისტული ლანდშაფტების მხატვარია. „მე შევიჩვიე მტვერსა და ხმაურს და ქალაქის შავ-ყვითელ ჰაერს", წერს პოეტი. მაგრამ ეს სიტყვა უფრო ეკუთვნის იმ კაცს, ვინც კი არ დაიბადა პოსტინდუსტრიულ სამყაროში, არამედ — მივიდა მასთან. ხოლო გივი ალხაზიშვილი თავისი ხედვითა და მსოფლგანცდით არის ურბანისტი. ეს ვლინდება, აგრეთვე, ლექსიკით, მახვილით, ტროპული აზროვნებით, რაც უფრო იოლი აღსაქმელია კონტრასტულ ფონზე.

ამ მხრივ გვმართებს გავიხსენოთ „იახსარი" — ლირიკული პოემა. წარმართული, დევებთან და ქაჯებთან მებრძოლი ღვთაება შემოდის დაკლაკნილ შუქში. პოეტს იგი ახსენდება, როცა ფანჯარას აღებს და ქალაქის ხმაური ოთახში შემოიჭრება. პოეტის ფიქრი ტრიალებს იახსარის ირგვლივ და ეს თემა აერთიანებს ფიქრების ნაკადს, რომელიც გადმოიცემა სხვადასხვა სალექსო საზომებითა და განწყობილებებით. ქალაქში მცხოვრები პოეტის ოცნება გადადის შორეულ დროში და ლეგენდარულ პატრიარქალობის ნაკრძალში. ურბანიზმი და არქაიკა, მანქანა და ცხენი, ხელოვნური შუქი და სისხლის ტბა, აი, ასეთი ანტინომიები ქმნიან ამ უფაბულო პოემის თავისუფალ სტრუქტურას. პოეტის მიზანია ძველი რომანტიკა შეუფარდოს ახალ დროს, ხელოვნურ და ტექნიკურ ურთიერთობათა ჯაჭვით ქცეული გარემო შეავსოს უშუალობითა და სიცოცხლის სხივით. ამიტომ თუ ჩვეულებრივ ურბანიზმი ბადებს რაციონალურ, განსჯისა და შეცნობის პოეზიას, გივი ალხაზიშვილი რომანტიკოსია, ოღონდ მისი რომანტიკა ზომიერია და შეგუებული სულისკვეთებასთან.

ეს ჩანს ცალკეულ სტრიქონებშიც:

„შორიდან, ძლიერ შორიდან ისმის,
როგორ ქვითინებს ჩემი ბერდედა".
„დაგუბდა ზეცა მომაკვდავი ცხენის
თვალებში".

„უცნაურია შენი ტკივილი.
ის ჰგავს კედელზე ამოსულ ბალახს...
შენ უნდა გქონდეს ბალახის სიჯიუტე, —
აგე, რამდენი საუკუნეა,
თიბავენ და მაინც ამოდის".

ახალმა დრომ რომანტიზმის წილ მოიტანა ავანგარდული რაციონალიზმი, რომლის ორიენტირია არა ფსიქიკა, არამედ — ცნობიერება, არა გული, არამედ — გონება. მაგრამ გივი ალხაზიშვილი უარყოფს ინტელექტის პრიმატს, პოეზიის ქცევას რებუსად ან თამაშად. იგი ტრადიციად ქცეული სილამაზის, დახვეწილი ფორმისა და რთული ასოციაციური ხედვის ერთგულია. საერთოდ ასოციაცია, საგანთა სიმრავლე და სიმჭიდროვე მუსიკალურ სტრიქონებს ძნელად აღსაქმელს ხდის მასისათვის. მაგრამ პოეზიის მოყვარული სწორედ სიღრმესა და სირთულეს ეძებს სიტყვათა ტევრში, რადგან მჩატე და მსუბუქი ლექსი იოლად გვახსომდება, მაგრამ სწრაფადვე გვავიწყდება და გვბეზრდება. რთული პოეზია ყოველთვის ავლენს უხილავ ნიუანსებს, რომელთა აღრიცხვა და ამოწურვა შეუძლებელია. ამიტომ იტაცებს გივი ალხაზიშვილს რთულად გააზრებული სინამდვილის მოდელი, ოღონდ, როგორც ითქვა, მას შემდეგ, რაც ოცნებით მოწესრიგდა და მიეცა ესთეტიკური სახე:

„გაყოფილია ჩვენი არსებობა
ცხოვრებად და სიცოცხლედ,
დღედ და ღამედ, ცხადად თუ სიზმრად
და მივაბიჯებთ ძილღვიძილის იისფერ
ზღვასთან,
დღისით იმავე ადგილზე ვდგავართ,
როცა სიზმარში გადავივლით ცხრა მთას
და თუ სიზმარში მოვადენთ ზღართანს,
გაგვეღვიძება და გვიხარია,
რომ სიზმარში მივიცვალეთ
და არა ცხადში".

მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს. მას უფრო ფხიზელი რეალისტები სჭირდება. თუნდაც იმიტომ, რომ გადარჩეს რომანტიზმის ცისფერი ყვავილი. ამიტომ საკუთარი თავის გაფრთხილებად ჟღერს პოეტის ლოზუნგი — „რომანტიკოსო, დაბედე მიწას". თუმცა ამ მიწაზე დგას „ნეიტრონის საუკუნე", იყიდება „დიეტური ლექსების წიგნი", „სიყვარულის ანტიკვარი — ჩაწყვეტილი რკინის საწოლი", ციმციმებს ცრემლი — „ჭეშმარიტების ანარეკლი", ბატონობს ნაცრისფერი და ნაცარი. მაგრამ აქვე ანთია იმედის სანთლებიც და ეს იმედი არის ხვალინდელი დღე საქართველოსი:

„ჩვენ ჩავიშლებით, მაგრამ ხომ მოვლენ,
ხომ დაიწყებენ მერე თავიდან...
ახალშობილთა თვალების ხომლი
ამოგვასხივებს მიწის ღამიდან".

ცხრა აპრილის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში. ის, რასაც ადრე ვმალავდით და არ ვამჟღავნებდით, ახლა იქცა წამყვან მოტივად. პოეზიისათვის აქ საფრთხეც იმალება. არ წარმოიშვას ახალი პროპაგანდისტული ბუმი, შიშველი აგიტაცია, ქადაგება ლიტერატურული უმწეობის ხარჯზე. გივი ალხაზიშვილი აქაც არჩევს ზომიერებას. ლექსების ციკლი, რომელიც მან „ცისკარში" გამოაქვეყნა, მრავალმხრივ საყურადღებოა. პოეტის სათქმელს ისევ ახლავს ღრმა და გაუნელებელი სევდა („ვერ ვეგუები დღესასწაულებს, მღლის ლხინი ანდა ძლიერ მანაღვლიანებს"), გარდასული ყალბი დღეების მწვავე განცდა („მე მრცხვენია უზრუნველი დღეების გამო") და თავგანწირვის პათოსი („მე ვერ მოვიცლი სიხარულისთვის, მე არ მიყვარს ბედნიერება, მე მრცხვენია ბედნიერების"). მაგრამ ეს ყოველივე პოეზიის ენით არის ამეტყველებული. მთავარი იდეა — ქვეტექსტად ქცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული. ამიტომ მხოლოდ წამიერად გაიელვებენ კონკრეტული რეალიები:

„ის, ვისაც ახსოვს ალესილი ნიჩბების
ბრწყინვა,
ის, ვისაც ახსოვს ტანკები და წყეული
შხამი,
ვერ მალავს გულში ჩაგუბებულ ცრემლების
წვიმას,
ვერ მალავს თვალებს ამოქოლილს
აპრილის ღამით".

კონკრეტული რეალიები პოეტს აძლევენ იმპულსს, განწყობილებას, შთაგონებას, რომელთა განსჯა იქცევა ლექსად („რვა ელეგია"). ხოლო პირველსაწყისი ღამის თვალს მიეფაროს, რადგან პოეზიისათვის მთავარია არა ფაქტი, არამედ — ფაქტის გააზრება და განცდის ხარისხი. დანარჩენი პუბლიცისტიკაა, რომელსაც უცხოობს გივი ალხაზიშვილის პოეზიის სტილი. „რვა ელეგია" ნაღვლიანი პოემაა, მიძღვნილი ცხრა აპრილის ტრაგედიისადმი, თუმცა არსებითად მასში მთელი გასული წლის ფერისცვალება აირეკლა („გადავიღალე გზების ძიებით, გუნდრუკის კმევით, სიმართლის მალვით", „თითქოს ჰაერიც აღსავსეა გესლით, სიავით", „შენც, მგლოვიარე ხალხის ცრემლი შენც მოგერევა", „სველი ფესვები შეგვხვდებიან სამარის კართან").

ჩანს, რომ პოემა მოგვიანებით დაიწერა, ისე ხშირად იხსენიება შემოდგომა — დაღლილობისა და მწუხარების მაცნე. იგი შეესაბამება პოეტის განწყობილებას, ვისთვისაც სევდა ის უძირო ჭაა, რომელიც გამუდმებით აწვდის ლექსის მასალას. ქართველი პოეტისათვის სევდა არსებობის ბუნებრივი მდგომარეობაა, ასევე — მისი ანალიზი, განსჯა და შეფასება. როგორც ითქვა, იგი შეესაბამება ჩვენს ისტორიულ ხვედრსაც და მელანქოლიად შემოდის ლექსში. ხოლო მელანქოლია — ეს დაკარგულზე ფიქრისა და ჩუმი გლოვის ახმიანებაა ან კიდევ — არსებულის შეცნობა:

„მწამს თვალებიდან გამომზირალ მდუმარე
კვნესის,
შემკრთალი ვუმზერ უცოდველთა უმანკო
სწრაფვას,
რადგან ამ ქვეყნად კვლავ მძვინვარებს
ღვარძლი და გესლი
და ყველა ჩვენგანს სასწაულით უმზადებს
საფლავს".

...„აქვეა დახლზე, თომას ელიოტის „უნაყოფო მიწა", დახლქვეშ X-ის წიგნებს მალავენ", წერდა კარგა ხნის წინათ გივი ალხაზიშვილი. მას შემდეგ დაიმსხვრა ძველი სტერეოტიპები, ამოძრავდა მიძინებული სისხლი. მაგრამ ბინდი ისევ ფარავს მთასა და ბარს და ელეგიებით დაღლილი პოეტის ოცნებაა — „გაიხსენ, ცაო, განბანილო უცოდველთ სისხლით, გამოგვიჩინე გზა, რომელიც არ მოჩანს დღესაც".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარგიზა ფხაკაძე

# ივანე ჯავახიშვილი — საუნივერსიტეტო განათლების სულისჩამდგმელი

თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ქართველ მეცნიერ-პატრიოტთა ერთობლივმა ძალისხმევამ, მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერამ განაპირობა, მაგრამ ამ საქმეში სრულიად განსაკუთრებულია ივ. ჯავახიშვილის როლი.

ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი შეხედულებები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიადაგზე ჩამოყალიბდა და ეროვნული უნივერსიტეტის შექმნის იდეა მისი მრწამსის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილს, ამ უნივერსიტეტში ქართველოლოგიური კვლევის ერთ-ერთ ბურჯს, მტკიცედ სწამდა, რომ თბილისში უნდა ყოფილიყო ქართველთმცოდნეობის ცენტრი.

ივ. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ „მარტო მხურვალე გულით არ კეთდება საქმე. ცოდნაა საჭირო მეცნიერებისა", ამიტომ ვიდრე უნივერსიტეტის დაარსებაზე პრაქტიკულად ზრუნვას შეუდგებოდა, იგი, პეტერბურგში ყოფნისას, საგანგებოდ სწავლობდა უმაღლესი განათლების საკითხებს, ეცნობოდა ამ სფეროში არსებულ სახელმწიფოებრივ დოკუმენტებს, რუსეთისა და ევროპის უმაღლესი სასწავლებლების, კერძოდ, უნივერსიტეტების ორგანიზაციისა და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის სპეციფიკას. ამ გზით მოპოვებული ცოდნა შემდგომში მას, როგორც უმაღლესი განათლების მუშაკს და უნივერსიტეტის რექტორს, საშუალებას აძლევდა ყოველგვარ სიტუაციაში სწორი არჩევანი გაეკეთებინა. უმაღლესი განათლების დარგში ივ. ჯავახიშვილის კომპეტენტურობის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა მის მიერ 1917 წელს შედგენილი თბილისის უნივერსიტეტის პირველი წესდება, რომლის ოც მუხლში ჩამოყალიბებული დებულებები ეხება უნივერსიტეტის ავტონომიას, მის თავდაპირველ სტრუქტურას, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აუცილებლობას, პროფესორ-მასწავლებელთა განათლების ცენზს და კვალიფიკაციას, უნივერსიტეტში მიღების წესებს და სხვ.

ისმება კითხვა: რატომ მაინცდამაინც უნივერსიტეტის შექმნის იდეას იცავდა ივ. ჯავახიშვილი და არა სხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლისა? რაში ხედავდა იგი საუნივერსიტეტო განათლების თავისებურებას და მნიშვნელობას? ამის პასუხი მკაფიოდ იკვეთება ივ. ჯავახიშვილის მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმულ მოსაზრებებში, მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

უნივერსიტეტის დაარსება იძლეოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაფანტული სხვადასხვა დარგის ეროვნული მეცნიერული ძალების თავმოყრის შესაძლებლობას. უამისოდ „განათლებული ინტელიგენცია ჩამოშორებული იყო თავის ქვეყანას, მას რომ სურვებოდა კიდეც ემოღვაწევა იმ სფეროში, რომელიც მას დასახული ჰქონდა მიზნად, ამის შესაძლებლობა არ იყო", — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების მე-20 წლისთავზე წარმოთქმულ სიტყვაში. მისი ღრმა რწმენით, ინტელიგენცია მჭიდრო კონტაქტში უნდა იმყოფებოდეს თავის ხალხთან და ამ თვალსაზრისს იცავს მეცნიერი მაშინაც, როცა იგივე მოხსენებაში ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს. ისეთ პირობებში, როდესაც „განათლებული ხალხი ხმარობს ერთ სამეცნიერო ტერმინოლოგიას, ხალხისათვის გაუგებარს, ხოლო ხალხი კიდევ თავისას, რომელიც გაუგებარია განათლებული ხალხისათვის". უნივერსიტეტი ვერ შეძლებდა თავისი მისიის შესრულებას, უფრო მეტიც — ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის გარეშე ვერ იარსებებდა საშუალო სასწავლებელიც.

ივ. ჯავახიშვილი ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე იყო იმ საქმიანობისა, რომელიც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის გაჩაღდა 20-იანი წლების დასაწყისში. იგი მეცნიერთა ყურადღებას მიაპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრობდა ქართული ლექსიკის იმ დიდ მარაგზე, რაც ხალხში იყო შემონახული. „ერთიანი, მთლიანი, ძველ მარაგზე დამყარებული ტერმინოლოგიის" შემუშავებაში ხედავდა მეცნიერი-ქართველოლოგი იმ გზას, რომლითაც ქართული მეცნიერული აზრი ხალხში უნდა გავრცელებულიყო და მისი საკუთრება გამხდარიყო.

ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნაში, მისი სიტყვით, „როგორც საშუალო სკოლას, ისე უნივერსიტეტს მისცა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულების შესაძლებლობა".

სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების მომზადებით უნივერსიტეტი სკოლის გაეროვნულებასაც შეუწყობდა ხელს. ივ. ჯავახიშვილი ჰვრეტდა, რომ ცარიზმის დამხობა რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკის დამხობასაც მოასწავებდა და საამისოდ მზადყოფნა იყო საჭირო. მას სწამდა, რომ „დაბალ და საშუალო ეროვნულ სკოლას ბუნებრივი და სალი განვითარება არ შეუძლია, თუ რომ ეროვნულ განათლებას უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი არ აგვირგვინებს". არანაირ სამეცნიერო დაწესებულებას არ შეუძლია შეცვალოს უნივერსიტეტის როლი ერის კულტურულ ცხოვრებაში, თვით სამეცნიერო აკადემიასაც კი. „სამეცნიერო აკადემია მარტო თავისი აკადემიკოსებით არსებობს, საზოგადოებასთან მას მცირედი დამოკიდებულება აქვს, მოზარდ თაობასთან ხომ არავითარი კავშირი არა აქვს და ამის გამო მისი მოქმედებისა და გავლენის სფეროც შედარებით ვიწროდ არის შემოსაზღვრული", — ვკითხულობთ ივ. ჯავახიშვილის მოხსენებაში, რომლის სახელწოდებაა „ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ".

„სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელი თავისი მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით სუფევს, ყველა თავისი მიმართულებით... იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლითა, ნიჭითა და გამბედაობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერნიც და სიბრძნის ბრძმედად გაკაჟებული განთქმულნი მეცნიერნიც... აქ მჭიდრო ხულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობას შორის, აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ, ცოცხალ ძალად არის ქცეული. სწორედ ასეთი დაწესებულებაა ჩვენ ქართველებისათვის საჭირო", — ასე ასაბუთებს მეცნიერი თავის მოხსენებაში საუნივერსიტეტო განათლების უპირატესობას.

მეცნიერების ზოგად ამოცანებთან ერთად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, თბილისის უნივერსიტეტს უმთავრესი ყურადღება უნდა მიეპყრო ეროვნული მნიშვნელობის პრობლემათა კვლევაზე. „საქართველოს წარსული და აწმყო, მისი ბუნებრივი რესურსების შესწავლა უნდა იყოს თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერული კვლევა-ძიების ძირითადი მიზანი"-ო, — ამბობდა იგი. ამავე დროს, საქართველოს კულტურის მეცნიერული შესწავლა წარმოდგენილი ჰქონდა არა იზოლირებულად, ვიწრო ნაციონალისტურ ჩარჩოში, არამედ მსოფლიო კულტურასთან მჭიდრო კავშირში. მეცნიერი თვლიდა, რომ „ასურელთა, სპარსელების, ბერძნების, არაბების, სომხების და სხვათა ისტორიის, მწერლობისა და კულტურის შესწავლა თვით ჩვენივე წარსულისა და აწმყოსათვის არის საჭირო".

მოხსენებაში ივ. ჯავახიშვილი მაღალ მოთხოვნებს უყენებდა მომავალი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. ისინი, უპირველესად, მეცნიერ-მკვლევარნი უნდა ყოფილიყვნენ და არა მხოლოდ ლექციების წამკითხველნი. ახალგაზრდობას მათგან მეცნიერების სიყვარული და კვლევა-ძიების სურვილი უნდა შეეთვისებინა. ამით ივ. ჯავახიშვილი ერთხელ კიდევ ხაზგასმით აცხადებდა, რომ უნივერსიტეტი მარტო სასწავლო დაწესებულება კი არ არის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია.

სადღეისოდ წამოჭრილ ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებით საგანგებოდ გამოვყოფთ ერთ საკითხს.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების სიხარული გულწრფელად გაიზიარეს და მილოცვებით გამოხატეს რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, პოლონურ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭოს მიერ გამოგზავნილ წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭოს თვალსაზრისით ოსებისათვის უმაღლესი განათლების მიღება საქართველოს უნივერსიტეტში უაღრესად სასურველია, რამდენადაც საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის და ყოფის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ვილაპარაკოთ ოსეთის ისტორიის, ლიტერატურისა და ყოფის სრულად შესწავლაზე". მასწავლებელთა საბჭოს შეკითხვაზე, თუ როგორი იქნება მიღების წესები უნივერსიტეტში, პროფესორთა საბჭო პასუხობს: „ლექციები იკითხება ქართულ ენაზე. მიიღებიან ორივე სქესის პირები საშუალო განათლებით, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა". მაგრამ ამ კონკრეტული მითითებით არ ამოიწურება პასუხის შინაარსი; მასში მკაფიოდ არის გამოხატული ის ჰუმანისტური იდეალი „ხალხთა ძმობისა და ერთიანობისა", რომლისკენაც თავიდანვე გეზი აიღო უნივერსიტეტმა. „ის უძველესი კეთილმეზობლური დამოკიდებულება ოსებსა და ქართველებს შორის და ერთმანეთზე კულტურული ზეგავლენა, რომლის აღნიშვნა თქვენ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, ჩვენთვის ესოდენ ძვირფას თქვენს მილოცვაში, მომავალში კიდევ მეტად ავალდებულებს ორივე ხალხს მჭიდრო ერთიანობისა და კულტურუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თანამშრომლობისათვის" — ნათქვამია საპასუხო წერილში.

1918 წლის 2 მაისს, პროფესორთა საბჭოს სხდომაზე, ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება, რომელშიც ერთხელ კიდევ დაასაბუთა კავკასიის ერების ენებისა და ფოლკლორის, აგრეთვე, ზნე-ჩვეულებათა მეცნიერული დამუშავების მნიშვნელობა ქართული ენის, მწერლობისა და კულტურის შესწავლაში, ურთიერთპატივისცემაზე აღმოცენებული კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებაში. „ერთა შორის მჭიდრო დაახლოება შეუძლებელია, თუ რამ ენის უცოდინარობა ორთავ მხრივ ზოლვაწეებს საშუალებას არ აძლევს ერის გულის ნადები შეიგნოს და გაიზიაროს და თავისი გულის ტკივილიც სიღრმემდე აგრძნობინოს",—ამბობდა მეცნიერი. სხდომამ ერთსულოვნად გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ უმოკლეს დროში განხორციელებულიყო ოსური და აფხაზური ენების სწავლება, ხოლო „შემდგომ თანდათანობით სამეცნიერო ძალთა და საშუალებათა მიხედვით... დაღესტნისა და საჩეჩნოს ენების შესწავლაც"; ვიდრე კავკასიის ავტონომიურ დანაყოფებში უმაღლესი სასწავლებლები შეიქმნებოდა, თბილისის უნივერსიტეტი ერთადერთი იყო მთელ კავშირში, სადაც კავკასიური ენები შეისწავლებოდა.

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებები ერთაშორის დამოკიდებულების საკითხზე განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ხშირ შემთხვევაში უგულვებელყოფილია არათუ მეზობელი ერის, არამედ იმ ერის ენისა და კულტურის ცოდნაც კი, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს და მოღვაწეობს სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

ივ. ჯავახიშვილი თავიდანვე მაღალ ამოცანებს უსახავდა უნივერსიტეტს; „ქართულ უნივერსიტეტს და ქართულ მეცნიერებას შეუძლია საჭირო თავისებურებაც გამოიჩინოს და მსოფლიო შემოქმედებაში საკუთარი წვლილიც შეიტანოს"-ო — აცხადებდა მეცნიერი და თვლიდა, რომ ამ მიზნის მისაღწევად არ კმარა მარტო სხვა ქვეყნების მეცნიერების კვალდაკვალ დევნა, პასიური განმანათლებლობა, საჭიროა, უნივერსიტეტი თვითონვე იყოს მეცნიერების დაწინაურებისა და შემოქმედების აქტიური მონაწილე. ამიტომ იგი საუნივერსიტეტო განათლების მთავარ დანიშნულებას ფუნდამენტურ მეცნიერებათა შესწავლასა და განვითარებაში ხედავდა.

„არცერთ ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეციერება არ აბადია, — წერდა ივ. ჯავახიშვილი. — ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის ხფეროშიც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული. რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეცნიერება საფუძვლად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარ ცოდნას... მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უექველად უნდა ჩამოქვეითდეს". მეცნიერი ზედმიწევნით განსაზღვრავს საუნივერსიტეტო განათლების ძირითად ფუნქციას და ერთგვარად თითქოს აფრთხილებს კიდეც მომავალ თაობებს, არ შეასუსტონ უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის ზრდაზე ზრუნვა, არ დაივიწყონ, რომ უნივერსიტეტი „უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე დროს უმაღლესი მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თაობა, მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოაზრედ ხდება".

როგორც ცნობილია, 1921 წლის ივლისში საქართველოს განსახკომის გადაწყვეტილებით უნივერსიტეტში სიბრძნის მეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა საპედაგოგო (პედაგოგიური) ფაკულტეტი. 1925 წელს საქართველოს განათლების კომისარიატის გადაწყვეტილებით ამ ფაკულტეტზე პედაგოგიური კადრების მომზადების დაჩქარების მიზნით ჩატარდა რეორგანიზაცია, რასაც თან მოჰყვა ძირეული ცვლილებები უნივერსიტეტის სასწავლო გეგმებში (ფუნდამენტურ სამეცნიერო დისციპლინათა მთელი რიგი ამოღებულ იქნა გეგმებიდან), რაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მტკივნეულად განიცადა. მოხსენებით ბარათში, რომლითაც რექტორი ივ. ჯავახიშვილი მიმართავდა განათლების კომისარიატს, ნაჩვენებია ამ ნაბიჯის უარყოფითი შედეგები. „მოსპობილია მთლიანად ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ისტორიის დარგები. არსად მოიპოვება ბერძნული, ლათინური და ახალი აღმოსავლეთის იმ ენებისა და მწერლობის ისტორია, რომელთა სწავლება უნივერსიტეტის დაარსებიდანვე სწარმოებდა. თვით ქართული მწერლობის ისტორიაც კი მარტო ახალი და უახლესი ხანით არის განსაზღვრული, მაშასადამე ქართული მწერლობის ცამეტი საუკუნის ისტორია მთლიანად გაუქმებულია". — გულისტკივილით აღნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

დღეს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში საგანგებო ღონისძიებები ხორციელდება ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლების გაძლიერებისათვის, როცა თბილისის უნივერსიტეტში დაისვა საკითხი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ძველი აღმოსავლეთის კულტურის შესწავლის განახლებისა და ამ მიზნით ასირიოლოგიის კათედრის დაფუძნების თაობაზე, წინასწარმეტყველურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟღერს ივ. ჯავახიშვილის ზემოთმოყვანილი სიტყვები და მისი დასკვნა, რომ საუნივერსიტეტო განათლების გამარტივება „განსაცდელში ჩააგდებს ჩვენს უნივერსიტეტს და მეცნიერებას".

ამ დასკვნის საფუძვიანობა დღეს განსაკუთრებით ნათელია. თუ გადავხედავთ ბოლო პერიოდის საკავშირო პედაგოგიურ პრესას, დავრწმუნდებით, რომ საუნივერსიტეტო განათლების პრობლემა ამჟამად ერთ-ერთი აქტუალურ პრობლემათაგანია ჩვენს ქვეყანაში. უნივერსიტეტების მეცნიერული პროდუქციის ნაკლებობა, საუნივერსიტეტო განათლების მიუტევებელი გამარტივება და ნიველირება, იდეურ-პოლიტიკურ „აღმზრდელობით ღონისძიებათა" სიჭარბე სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ფონზე — ასეთია ზოგადი სურათი, რაზეც ამჟამად ცხარედ მსჯელობენ ქვეყნის ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები. საკითხი ეხება არა მეცნიერების განვითარების საერთო დონეს ჩვენს ქვეყანაში, არამედ იმას, რომ ამ საქმეში შედარებით მცირეა უნივერსიტეტების წილი, არ ხდება უნივერსიტეტების სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება. აქ დამამუხრუჭებელ ფაქტორებად მიჩნეულია უნივერსიტეტების (საერთოდ სასწავლო დაწესებულებების) ზედმეტი პოლიტიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონე, მმართველობის მკაცრი ცენტრალიზაცია და სხვ.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ ივ. ჯავახიშვილის შეხედულებებს უნივერსიტეტის სტატუსთან დაკავშირებით. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის თავდაპირველი ჩანაფიქრით თბილისში ეროვნული სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა დაარსებულიყო, მაგრამ, რადგანაც ამ იდეას მთავრობის მხარდაჭერა არ ელირსა, გადაწყდა, უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებლის სახით შექმნილიყო, რაც შედარებით ადვილად განხორციელდებოდა. მომავალი უნივერსიტეტის მონახაზს რომ ქმნიდა, ივ. ჯავახიშვილი ე. წ. „თავისუფალი უნივერსიტეტების" მოდელს იყენებდა (თუმცა თვით სიტყვა „თავისუფალი" მისი წინადადებით არ შესულა უნივერსიტეტის სახელწოდებაში იმ მოსაზრებით, რომ იგი კერძოობით ხასიათს მისცემდა განზრახულ დაწესებულებას). „თავისუფალი უნივერსიტეტის სტატუსით უნივერსიტეტის რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს გარდა არავის (მათ შორის მთავრობის აპარატიდანაც) არ ჰქონდა საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩარევის უფლება. ამ უფლებას მოკლებული იყო „საქართველოს საუნივერსიტეტო საზოგადოებაც", რომელიც მოვალე იყო მზრუნველობა გაეწია უნივერსიტეტისათვის თავისუფალ შემოწირულებათა შეგროვების გზით".

ავტონომიის პრინციპი, მეცნიერული შემოქმედების თავისუფლება — უპირველესი პირობა იყო, რაც ივ. ჯავახიშვილმა საფუძვლად დაუდო მის მიერ შედგენილ პირველ საუნივერსიტეტო წესდებას. წესდების პირველ მუხლში ნათქვამია:

„1. ქართული უნივერსიტეტი თბილისში უმაღლესი სამეცნიერო-სამოსწავლო ავტონომიური დაწესებულებაა: სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროშიაც და საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივ იგი სრულებით დამოუკიდებელია და ყველა ამ საქმეებს თვითონვე განაგებს". 1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს დადგენილებით თბილისის უნივერსიტეტის სტატუსი შეიცვალა და მას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი მიენიჭა. ამ ცვლილებას არ გამოუწვევია რაიმე დავა უნივერსიტეტის ავტონომიასთან დაკავშირებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტი ერთხანს ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული წესდების მიხედვით განაგრძობდა ფუნქციონირებას. თუმცა, ამავე დროს, თავის მუშაობას განათლების სახალხო კომისარიატს უთანხმებდა. 1923 წელს დაისვა საკითხი უმაღლესი სკოლის ახალი წესდების შემუშავების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალში «Вестник высшей школы» — ერთ-ერთი სტატიის ავტორი წერდა:

«Одной из крупных задач борьбы на культурном фронте является в условиях Советской действительности Грузии, вопрос о введении нового положения ВУЗов. Почти двухлетнее существование Советской власти в Грузии внесло мало изменений в жизнь наших высших учебных заведений. До сих пор в них господствуют «Традиции добрых старых времен», подкрепляемые продолжающим иметь действие старым уставом... Новое положение раз и навсегда порывает с принципом «автономии» высшей школы, за которой так усердно хватаются все реакционные и антисоветские элементы... из рядов буржуазной профессуры и обслуживающих ее буржуазных студентов, укрывающихся от надзора Советской власти в стенах наших ВУЗов».

სტატიის ავტორი უმაღლესი სკოლის ავტონომიაში ხედავს საბჭოთა ხელისუფლებისაგან, მშრომელი მასებისაგან მისი განდგომის ცდას და მოუწოდებს კომუნისტურ სტუდენტობას, უმაღლესი სასწავლებლის კედლებიდან განდევნონ „კონტრრევოლუციური სული".

უნივერსიტეტის მესვეურთა და, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის მიმართ ასეთი ბრალდებების უსაფუძვლობა სავსებით ნათელია.

განათლების კომისარიატში გაგზავნილ წერილში (1922 წლის 11 დეკემბერი) ივ. ჯავახიშვილი არ მალავს უკმაყოფილებას უნივერსიტეტის უზენაესი ორგანოს — უნივერსიტეტის საბჭოს უფლებათა შეზღუდვის გამო. მისი აზრით, უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები და მოვალეობები ოპტიმალურად უნდა იყოს შეხამებული. ცუდი იქნება თუ მათ, ვინც ყველაზე უკეთ იციან უნივერსიტეტის საქმე და ამ საქმეზე გული შესტკივათ, ვისაც სამეცნიერო-სასწავლო ტვირთი და ზნეობრივი პასუხისმგებლობა აწევთ — სამეცნიერო საბჭოში იმდენივე უფლება მიენიჭებათ, რამდენიც გარეშე დაწესებულებათა წარმომადგენლებს და სტუდენტ ყმაწვილკაცობას. ივ. ჯავახიშვილი, საერთოდ, მომხრეა იმისა, რომ უნივერსიტეტის მართვა-გამგეობაში სტუდენტი ახალგაზრდობაც მონაწილეობდეს, მაგრამ აქაც ზომიერებისაკენ მოუწოდებს, რადგან მიაჩნია, რომ 16-21 წლის გამოუცდელ ახალგაზრდებს უნივერსიტეტის რთული საქმე ბოლომდე არ ესმით და ამიტომ უნივერსიტეტის მართვა-გამგეობაში მათ არ უნდა მიეცეთ იმდენივე უფლება, რამდენიც იმათ, ვინც მუდმივად მონაწილეობს უმაღლესი სკოლის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში.

„თუ ყოველი დაწესებულების მართვა-გამგებლობა მცოდნე პირთ და ამ საქმის სპეციალისტთ უნდა ეკისროთ, მით უმეტეს ეს დებულება დაცული და განხორციელებული უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ცოდნა მეცნიერების უმწვერვალესი სათავეა, სადაც უზენაესი კულტურის ძვირფასი მცენარე უაღრეს მზრუნველობას და მოვლას მოითხოვს". — ამბობს მეცნიერი და განათლების კომისარიატს თხოვს ნებართვას, რომ უნივერსიტეტმა ჯერჯერობით ძველი წესდებით განაგრძოს მუშაობა, ხოლო თუ ეს მთავრობას არ დააკმაყოფილებს, მერე იზრუნონ მის შეცვლაზე.

ზემოთ თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ივ. ჯავახიშვილი რამდენადმე უნდობლობას უცხადებდა სტუდენტ ახალგაზრდობას; პირიქით, მას უსაზღვროდ სწამდა ახალგაზრდობის შემოქმედებითი პოტენციალის, მისი ენთუზიაზმის, სიახლისაკენ ლტოლვის, — მაგრამ, ამავე დროს, იგი სათანადოდ აფასებდა უფროსი თაობის გამოცდილებას, „სიბრძნის ბრძმედად გაკაჟებულ" მეცნიერთა წვლილს. ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და ინიციატივა უნდა შეერწყას ძველი თაობის საუკეთესო ტრადიციებს, უნდა განხორციელდეს „მჭიდრო სულიერი კავშირი" თაობათა შორის — ამაში ხედავს ივ. ჯავახიშვილი წინსვლის პირობას, მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობის გარანტიას.

1918 წელს განათლების სამინისტრომ თბილისის უნივერსიტეტს პედაგოგიური კადრების მომზადება შესთავაზა. ამ პერიოდის შესახებ აკად. ალ. ჯანელიძე თავის „მოგონებებში" წერს: „მიმდინარეობდა სკოლის გაქართულება და ეს მასწავლებლებში დიდ ენთუზიაზმს იწვევდა. დიდი იყო სიძნელეებიც. მასწავლებლები ამისათვის მზად არ ვიყავით. უზარმაზარი მნიშვნელობა მიეცა ქართული ტერმინოლოგიისა და სახელმძღვანელოების საკითხს. ამუშავდა ყველა, ვისაც კი რაიმე შესაძლებლობა ჰქონდა" (თვით ალ. ჯანელიძის კალამს ეკუთვნის პირველი ქართული ორიგინალური საშუალო სახელმძღვანელო ფიზიკაში). ცხადია, ასეთ ვითარებაში ერთადერთი ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი განზე ვერ დარჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის პირდაპირ დანიშნულებად არ მიაჩნდა პედაგოგიური კადრების მომზადება. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ კომპრომისული გზა აირჩია, რასაც მთავრობამაც დაუჭირა მხარი: 1919 წლის ივლისში უნივერსიტეტთან გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი ყოფილი ალექსანდრეს სახელობის საოსტატო სემინარიის ბაზაზე. ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს პროფ. დიმ. უზნაძე, რომელიც სემინარიაში მისი გაქართულების შემდეგ მუშაობდა.

შემონახულია ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი ანგარიში 1918-20 წლებში თბილისის უნივერსიტეტში ჩატარებული მუშაობის შესახებ, რომელშიც პედაგოგიური ინსტიტუტის მიზნები ასეთნაირად არის განსაზღვრული: „1. საპედაგოგო მეთოდებისა და ბავშვების სულიერ-გონებრივ აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა-ძიება. 2. საქართველოს გაეროვნებული საყოველთაო სწავლა-განათლებისათვის მასწავლებელთა საჭირო მზადება და 3. პედაგოგიური ლიტერატურისა და ცნობისმოყვარეობის გაღვიძება და აღორძინება".

ივ. ჯავახიშვილი წინა პლანზე აყენებდა სწავლებისა და აღზრდის მეთოდთა კვლევა-ძიებას, რადგანაც, მისი აზრით, ჩვენს სკოლებში იყენებდნენ სხვა ხალხებისა და სხვა პირობებისათვის შემუშავებულ მეთოდებს, რომლებიც არ ითვალისწინებდა „ჩვენი ბავშვების სულიერ თავისებურებებს, ჩვენი ენისა და ჩვენი ბუნების მრავალფეროვნებას". ამიტომ ინსტიტუტმა „ამ მეთოდებისა და გზების ძებნას უნდა მიჰყოს ხელი, რომელიც ზემოაღნიშნული სამი მთავარი პირობის მიხედვით ჩვენს სკოლებში საუკეთესოდ უნდა იყოს ცნობილი"-ო, წერდა იგი.

განსახკომის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელობის პერიოდში (1921-24 წწ.) ივ. ჯავახიშვილმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რესპუბლიკაში პედაგოგიკის პრაქტიკული და თეორიული ამოცანების სწორად გადაჭრას. საბჭოს სამეცნიერო-პედაგოგიურ სექციაზე სისტემატურად განიხილავდნენ პედაგოგიურ მიმდინარეობათა, სახელმძღვანელოების, პედაგოგიური ლიტერატურისა და სხვა საკითხებს და ხშირ შემთხვევაში ივ. ჯავახიშვილის აზრი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა. იგი უმნიშვნელოვანეს საქმედ მიიჩნევდა სკოლების უზრუნველყოფას ორიგინალური, „ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული" სახელმძღვანელოებით, მაგრამ იმაზეც მიუთითებდა, რომ ეს მოთხოვნა ფორმალობამდე არ უნდა დავიყვანოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, ოციანი წლების დასაწყისში ჩვენს პედაგოგიკაში ფეხი მოიკიდა ე. წ. „კომპლექსური სწავლების" თეორიამ, რაც ბურჟუაზიული პედაგოგიური მიმდინარეობის, „დალტონ-გეგმის" ერთგვარ სახეცვლილებას წარმოადგენდა. ამ თეორიას ჩვენში ჰყავდა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა ივ. ჯავახიშვილი. მისი აზრით, კომპლექსური მეთოდის ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფდა სასწავლო დისციპლინის და აქედან გამომდინარე, თვით ცხოვრების მოვლენათა ერთიან ლოგიკურ ურთიერთკავშირში წარმოდგენას. მასში მოცემული იყო „ხელოვნური შეკოწიწება მოვლენათაც და საგანთაც", მეცნიერის აზრით, „სხვადასხვა საგნების დაკავშირება შეიძლება და სასურველიცაა, მაგრამ თვით საგანს თავისი სახე არ უნდა დაეკარგოს", კომპლექსური მეთოდი არღვევს სწავლების უმნიშვნელოვანეს პრინციპს — სისტემატურობის პრინციპს, ასეთი სწავლებით აღზრდილები ვერ მიიღებენ სისტემატურ, ჩამოყალიბებულ ცოდნას ამა თუ იმ დისციპლინაში. „კომპლექსური მეთოდი მოგვაგონებს ძველ ენციკლოპედიურ მეთოდს. ყველა საგნის დაკავშირებას შეიძლება მეტად ხელოვნური და უსიცოცხლო ხასიათი მიეცეს. საგნის სწავლებამ დაკარგოს თავისი სახე და მნიშვნელობა. ბავშვები, ჩაბმული ამ კომპლექსური მეთოდით სწავლებაში, ბევრ საგანში უვიცად დარჩებიან", — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი და ერთგვარი კომპრომისით დასძენდა: „ყოველშემთხვევაში კომპლექსური მეთოდი საზარალო იქნება საბავშვო ბაღში, რომლისთვისაც სისტემატური ცოდნის მიღება არ არის დამახასიათებელი".

როგორც ცხოვრებამ აჩვენა, კომპლექსური მეთოდი მართლაც მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა სკოლისათვის.

საუნივერსიტეტო განათლების პრესტიჟს რომ იცავდა, ივ. ჯავახიშვილი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა პედაგოგიური განათლების როლს და პედაგოგის მაღალ დანიშნულებას.

მასწავლებლის „მოწოდება და წოდება იმდენად მაღალი და დიდია, რომ ის, ვითარცა მომავალი თაობის აღმზრდელი, საკუთრესოდ და ფართედ უნდა იყოს განათლებული. თავისი სპეციალობის მეცნიერების უკანასკნელ მიღწეულობათა მცოდნე და მისი წარმატების თვალყურისმდევნებელი. მხოლოდ ასეთი პირი ასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას, ამიტომ მას შესაფერისი მომზადება უნდა ჰქონდეს და პედაგოგიურ ფაკულტეტს პროგრამის გამარტივება კი არა, გაფართოება სჭირდება", — წერდა მეცნიერი.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი უბანი იყო სასწავლო-სალექციო მუშაობა, რასაც იგი 1918-26 წლებში ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობასთან შეთავსებით. ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: საქართველოს ისტორია, საისტორიო სემინარი, ქართული სამართლის ისტორია. მისი ყოფილი სტუდენტის და ასპირანტის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, შ. მესხიას გადმოცემით, ივ. ჯავახიშვილის ლექციებს ახასიათებდა მაღალი მეცნიერულობა, სიღრმე, აზრის სიცხადე დახვეწილობა, გამართულობა და სიცხადე. ივ. ჯავახიშვილის ლექციები და სემინარები იზიდავდა არა მხოლოდ მის უშუალო სტუდენტებს და ასპირანტებს, არამედ სხვა სპეციალობის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირებსაც.

„იგი ლექციაზე ყოველთვის მოდიოდა სხვადასხვა სახის წყაროებიდან გაკეთებული ამონაწერებისა და საკუთარი დაკვირვებების, ანალიზის შედეგებით. სტუდენტები მუდამჟამს ვგრძნობდით, რომ ეს დიდი მეცნიერი ჩვენთან წასაკითხი ლექციისათვის საგანგებოდ ემზადებოდა. ყოველივე ეს კი კიდევ უფრო ზრდიდა იმ დიდ პატივისცემას, რომლითაც იგი სარგებლობდა სტუდენტ ახალგაზრდობაში", — იგონებს პროფ. შ. მესხია და საგანგებოდ აღნიშნავს იმ დიდ გულისხმიერებას და ყურადღებას, რასაც მრავალი მნიშვნელოვანი საქმით დატვირთული მეცნიერი იჩენდა სტუდენტი ახალგაზრდობის მიმართ:

„ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის პოულობდა დროს ჩვენთან სამუშაოდ. არა მარტო საგალდებულო სახემინარო საათებში (რომლებსაც საერთოდ არასოდეს არ გვიცდენდა), არამედ სხვა საათებშიც და საკუთარ ბინაზეც. გულისყურით კითხულობდა და ასწორებდა ჩვენს ნაშრომებს, გვესაუბრებოდა როგორც თითქმის თანატოლებს და გვაძლევდა შენიშვნებს... რაც მთავარია, შენიშვნები, როგორი მწვავე კრიტიკაც არ უნდა ყოფილიყო ისინი, არასოდეს თქმულა ჩვენი, დამწყები მკვლევარების შეურაცხმყოფელად. პირიქით, მისი ყოველი შენიშვნა კიდევ უფრო გვამხნევებდა და ამაშიც იყო ივ. ჯავახიშვილის, როგორც მასწავლებლის და აღმზრდელის ძალა".

თბილისის უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართველ მკვლევართა მთელი პლეადა. მეცნიერს სწამდა, რომ ყოველი ადამიანი ვალდებულია, მთელი თავისი ნიჭი და უნარი მოახმაროს თავისი ქვეყნის კეთილდღეობას. „უნდა უყვარდეს თავისი ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ ზეალოს თავისი ძალა მეცნიერებასაც და ხალხსაც" — ამაში ხედავდა ივ. ჯავახიშვილი განათლების ზნეობრივ არსს და აქეთკენ მოუწოდებდა ახალგაზრდობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიძინა ნანობაშვილი

# ქიზიყის საფლავის ძეგლთა საკითხისათვის

ისტორიულად სოფელი ქვეყნის მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეული როდია. იგი, აგრეთვე თანასოფლელ-მეზობელთა ეკონომიკურ-ურთიერთდამოკიდებულებათა ტერიტორიული ფარგალი და ერთობაა თავისი ატრიბუტებით — სალოცავით (ხატი, ეკლესია), მმართველობის აპარატით, წეს-ჩვეულებებით, ეთნოგრაფიული თუ სახელმწიფო სამართლის ნორმებით... ის განსაკუთრებული წესი და საშუალებები, რომლებითაც ხორციელდება ეს ერთობა — „სოფლობა", განასხვავებს ერთი სოციალ-ეკონომიკური ეპოქის სოფელს მეორისაგან. ასეთი მდგომარეობა ვლინდება სოფლის შიგნით მოქმედ შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, რომელიც, თავის მხრივ, აპირობებს შრომის განაწილებას არა მხოლოდ ოჯახებს-კომლებს შორის, არამედ ოჯახების-კომლების შინამოსაქმეობაში. ასე გაგრძელდება, მანამ სოფელი არ შეწყვეტს სოფლობას — ან გაქალაქდება, ან არ გაქრება ქალაქსა და სოფელს შორის არსებული არსებითი განსხვავებები და დარჩება მხოლოდ სამეურნეო ხასიათის თავისებურებანი. ასე რომ არ იყოს, მაშინ სოფლის შენება ყოველ ეპოქაში თავიდან უნდა დაწყებულიყო. ყველაზე რელიეფურად ეს პროცესი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში ვლინდება. „სოფლის ხალხში" სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება შრომის დანაწილების ბუნებრივი კატეგორიის მოვლენაა, რაც ყოველი ეპოქის სოფელს ახასიათებს, მიუხედავად მოსაქმეობის რიგის ზრდისა თუ მიმატება-მოკლებისა. ამდენად, იგი, არსებითად, გადმონაშთი ვერ იქნება.

პირველ ყოვლისა, შრომის დანაწილებას სოფელში განვიხილავთ იმ აზრით, რომ ერთდროულად მოქმედებს სხვადასხვა სახის შრომა, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა პროდუქტებში, სხვადასხვა ხაქონელში.

ქიზიყში საფლავის ქვებზე გამოხატულია ამ კუთხის მცხოვრებთა საქმიანობა. „საფლავის ქვის ოსტატებს მიცვალებულის პატრონი ეუბნებოდა — ის ამა და ამ ხელობისა იყო, ესა და ეს საქმე ეჭირა — ცხვრის პატრონი იყო, გუთნისდედა იყო, დურგალი იქნებოდა. დაწერასაც ხანდისხან პატრონი ეუბნებოდა უფრო ლექსად ან თვითონ მკეთებელი შეხაფერ რამეს მაიგონებდა და დაიწერამდა" (სოფ. ვაქირი, სარდიონ ისაკის ძე დარჩიაშვილი, დაბ. 1903 წ.). მსგავსი ვითარება საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება, რამაც ასახვა ჰპოვა მრავალ ნაშრომში.

საფლავებში ასახულია ყოფის ეთნოგრაფიული რეალიები, რომლის შესწავლა უსაფლავისქვებოდ გაძნელდებოდა. საფლავის ქვები შრომის დანაწილების კვლევისათვის საგანგებოდ არ ყოფილა გამოყენებული.

ქიზიყში სოფელში მოქმედი შრომის დანაწილების საინტერესო საკითხის შესწავლაში გვეხმარებოდნენ მიცვალებულთა მეზობლები, ჭირისუფლები, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობდნენ, ჩვენი მეგზურები იყვნენ სასაფლაოზე და გვაწვდიდნენ ცოცხალ ეთნოგრაფიულ მასალას.

შრომის დანაწილების თვალსაზრისით უნდა გამოვყოთ საფლავის ქვის მთლელები. მათ ეს საქმე „მამა-პაპით მოდგამდათ", ვანო ალექოს ძე კვირიკაშვილის (დაბ. 1888 წელს) ცნობით „ვაქირში იყო ბეიტრიაანთ კაცი და ის აკეთებდა საფლავის ქვებს. იმის შვილი მარტო წარწერებს აკეთებდა და თლიდა, ვერა ხატამდა ზედა. ეგეთები ძველადაც ყოფილან. თლიდა და აწერამდა ერთი, ხატამდა მეორე". ასეთ შემთხვევაში საჭიროებისას ერთი, უმთავრესად ის, ვინც „ხატავდა", დაუძახებდა „დამწერელს", რადგან დასაწერი ადგილი დახატვის შემდეგ უნდა დარჩენილიყო. ისეც ყოფილა, რომ ერთი გვერდი, როცა საფლავის ქვად ლოდი იყო გამოყენებული, „დასაწერი" იყო, მეორე — დასახატავი. ასეთი ვითარება ხშირად არ გვხვდება, მაგრამ მაინც არსებულა და ამ საქმეშიც ჩანს შრომის დანაწილება საფლავის ქვის მთლელისა, დამწერელისა და დამხატავისა. ხელობის შემსრულებელი სხვადასხვა პირიც ყოფილა რაც შრომის დანაწილებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების მაღალი საფეხურის მაჩვენებელია; ამასთან ასეთი დანაწილება ხდებოდა მაშინაც, როცა საფლავის ქვაზე არაქართველი-ბერძენი ან სომეხი მუშაობდა. შრომის დანაწილების თვალსაზრისით ისიც საინტერესოა, რომ ქიზიყში ქვის ოსტატები ქართველებთან ერთად არიან სომხებიც და ოროოდე ბერძენიც. ბოლო ხის ოსტატი ყველა ქართველი იყო.

აქ მოტანილ ეთნოგრაფიულ ცნობებს ისტორიული მასალაც ეთანხმება. ეთნოგრაფიული მასალები ისტორიული ძნელბედობის ისეთ კონკრეტულ ფაქტებს გვაწვდიან, რომლებიც წერილობით წყაროებს აკლია, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და პირდაპირ მასალებს მოვიშველიებთ.

„თუ გუთნისდედა იყო, გუთან დაახატამდნენო“. „სურათი საცნაური იყო — დახედავდი და იტყოდი — მავანი კაცი გუთნისდედა ყოფილაო“ — ახლა გასარკვევია, რატომ არის, რომ საფლავის ქვაზე არ არის გამოხატული გუთნეულისმოდგამის სხვა მონაწილე — ვთქვათ, დღისა თუ ღამის მეხრე? ამ შეკითხვის პასუხად მთხრობლები გვეუბნებოდნენ: „მეხრეობა რა დასახატია, დღე მეხრეობა ბავშვსაც შეუძლიაო“, ეს ჩვეულებაც მიგვანიშნებს გუთნისდედის „სახელოვნებაზე“. გარდა ამისა, აქ მოტანილი ეთნოგრაფიული მონაცემები იმაზეც მიუთითებენ, რომ გუთნისდედობა ხელობაა, რომელიც დაოსტატებას მოითხოვს. აღნიშნული მომენტი მემინდვრეობაში შორს წასული სპეციალიზაციის შედეგია, რომელიც უკავშირდება და განსაზღვრულია ისეთი რთული შრომის იარაღით, როგორიცაა ბარული დიდი გუთანი. იყვნენ გუთნისდედები, რომლებიც გუთანს უძღოდნენ, მაგრამ გუთნის კეთება არ შეეძლოთ. ი. ჭყონიას მიხედვით, გუთნისდედას უნდა შესძლებოდა, თანამედროვე გამოთქმით თუ გამოვხატავთ, „გუთნის მიმდინარე რემონტი“, გუთნის მინდორზე გატანამდე თუ მუშაობის დროს. გარდა ხვნისა, გუთნისდედას გუთნის გამართვაც უნდა შესძლებოდა. ასეთ პირობებში გუთნისდედა გვევლინება არა „ვიწრო სპეციალისტად“ — მხვნელად, სამუშაოს მექანიკურ შემსრულებლად, არამედ იარაღის მცოდნედ და მეტ-ნაკლებად მის შემოქმედად. ამის გვერდით გვხვდება „გუთნის აშენებელიც“, რომელსაც გუთანიც ეჭირა ვაქირის სასაფლაოზე, კვირაცხოვლის ძირში არის „მჭედელ გიორგის ქვა“, რომლის შესახებაც მთხრობლებმა გვაცნობეს: „იმითანა გუთანს ვერავინ აკეთებდა. გუთანიც ეჭირა და აშენებდა კიდეც. იგეთს გააკეთებდა, რო ხელი რო გაგეშვა, თავიდან ბოლომდე იგრე გაიტანდა, მიწიდან არ ეეგლიჯებოდა“.

პირველ შემთხვევაში, გუთნისდედა იყო მხოლოდ მხვნელი, რაც თავის მხრივ სამუშაოს შესრულებაში დახელოვნებას მოითხოვდა და რაც განპირობებული იყო რთული სამეურნეო იარაღით და თანაბრად და ღრმა ხვნით; იგი, აგრეთვე, გუთნის შემკეთებელიც უნდა ყოფილიყო, რაც მას გამოჰყოფდა დანარჩენთაგან, როგორც „დედას“ — უფროსს; მეორე შემთხვევაში გუთნისდედა მხვნელი იყო, მაგრამ, პირველყოვლისა, იგი „გუთნის მშენებელი“ გახლდათ და ამას უსვამენ ხაზს მთხრობლები; აქ „მშენებელი“ და „მხვნელი“ ერთმანეთს შორდებიან და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ-დანაწილებულ საქმიანობად ისახება. გუთნისდედების საფლავის ქვების უმრავლესობა „უნაჯახონი“ არიან. საყურადღებოა, რომ სოფელ ოჯალარში „ეკლესიის გადაკეთებისას საშენ მასალადვე გამოუყენებიათ აგრეთვე საფლავის ქვებიც. ორი მათგანი ფრიად საინტერესო საყოფაცხოვრებო ბარელიეფით დაცულია სამხრეთის კედელში; ერთი მათგანი წარმოადგენს გამართულ გუთნეულს ოთხუღელა ხარით. გუთანი აღჭურვილია თვლებით (დიდი და მცირე) და საკვეთლით“. (ნ. ბერძენიშვილი) როცა საფლავის ქვაზე ასეთი კომპლექსია წარმოდგენილი, საეჭვო არაა, რომ ეს იმ გუთნისდედის საფლავის ქვაა, რომელიც მხოლოდ მხვნელია და არა გუთნის მშენებელი.

როგორც ცნობილია, დიდი ბარული გუთანი XI-XIII საუკუნეებიდან გვხვდება; (ი. ჭყონია). იმ დროს საზოგადოებრივ-ეკონომიური ვითარებისთვის არც ერთი ზემოდდასახელებული ფაქტი უცხო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ „მხვნელისა“ და „მშენებლის“ დაცალკევების მოხშირება, როგორც წესი, სხვა — უახლესი ეპოქის კანონზომიერება შეიძლება იყოს. ზემოთქმულის კონკრეტულ ფაქტად გამოდგება ზემო მაჩხაანში ჩაწერილი მასალა. „ჩემი მამა-ბიძა ოთხნი იყვნენ, ერთად დაბერდნენ, მე სულ კარგად მახსოვს, ვაჟკაცი ვიყავი ჯარში გავლილი. მაშინ გავიყარენით ოთხი ძმიდან მიყოლებით — მოსე, ლევანა, მიტო, ნიკა. მოსეს ორი ქალი და ოთხი ვაჟი ვყვანდით: მიხო, ილო, ვანო და მე — უმცროსი... მამა-ბიძის ერთობის დროს მოსე იყო გუთნისდედა, უფროსი იყო ოჯახისა, მეზობლებსაც უხნამდა; იმისაგან ჩაიბარა ჩემმა ძმამ — მიხომ (ძმებს შორის უფროსმა, ბ. ნ.). მერე ჩვენს ერთობაში ის იყო გუთნისდედა. ჩვენების მოხნული რომ გენახა, თვალი დაგრჩებოდა, ისე ღრმად და თანაბრად იყო მოხნული. ლევანა ხარს უგდებდა ყურსა! ცხენები გვყავდა 7-8, ორი ულაყი; კამეჩები გვყავდა; გუთანი, ურემი გვქონდა იმად კარგად დაზეთავდა შეშას მოიტანდა. მიტო განთქმული მეცხვარე იყო, ცხვარს ინახავდა, მთაში-ბარში აძოვებდა ზამთარ-ზაფხულ. ნიკაც კაი ჭკვიანი კაცი იყო, ოსტატიც იყო კარგი, იმედიანი ლაპარაკი იცოდა. პატარა ძმა იყო, მაგრამ შნოიანი. ერთმანეთი უყვარდათ. ერთს რომ დაძინებოდა, მეორე არ გააღვიძებდა. წინანდელ იარაღს აკეთებდნენ — თვლებს, ურემს, ფერხოებს, გუთანს აკეთებდნენ. მამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი გუთანს დადევდა (ხაზი ჩვენია ბ. ნ.). ნიჩაბს, არნადს, ვარცლს აკეთებდა, ვარცლში რძეს ჩაასხამდა, ერბოს მოხდიდა. ყველაფერი ეხერხებოდა, მარჯვე კაცი იყო... მაყრად დადიოდა ნიკა, პასუხი ჰქონდა კაი. ქორწილი რო არეულიყო, ჩხუბი ჩავარდნილიყო, იმისთანა სიტყვა-პასუხი ჰქონდა, რო ყველას დააწყნარებდა. ცხენების ჰენება იცოდა კარგი, ცხენიც კარგი ჰყავდა".

მთხრობელი განსაკუთრებულად გამოყოფს უმცროს ბიძას: იგი „კაი ჭკვიანი კაცი იყო", „კაი ოსტატი იყო", „იმედიანი ლაპარაკი იცოდა", „მაყრად დადიოდა" (ე. ი. ყველა არ იყო სამაყრო კაცი, ბ. ნ.). არა მხოლოდ ბუნებით მინიჭებული მადლის გამო ხდებოდა ასე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი ოსტატი იყო, შეძლებული ოჯახიშვილი, „ყველასათვის საჭირო კაცი" და, ამდენად „გავლენიანი", რომლის „სიტყვას ძალა" ჰქონდა. როგორც ცნობილია, კონების მიხედვით „საჭირო კაცების" „კაიკაცობით" მოხსენიება ყველაზე გავრცელებული იყო კაპიტალისტური ურთიერთობის ადრეულ საფეხურებზე. სიმდიდრის შეძენის ერთ-ერთ საფუძველს კი დაწინაურებული ხელოსნობა წარმოადგენდა;

ხშირად ერთსა და იმავე ოჯახში, ერთსა და იმავე დროს გამოყოფილია გუთნისდედა და გუთნის მშენებელი. ამის ერთერთ მიზეზად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ გუთანი ისეთი რთული და განვითარებული კონსტრუქციისა და ფუნქციის იარაღია, რომლის გამოგონება და გამოყენება შრომის პირველი დიდი დანაწილების მომდევნო ხანის მოვლენაა, კერძოდ იმ საფეხურისა, როცა მიწათმოქმედებას თანდათანობით გამოეყოფა ხელოსნობა. თავის მხრივ ბარული დიდი გუთანი ქმნის შრომის ახალ დანაწილებას მემინდვრეობაში და აპირობებს ასევე რთულ კოოპერაციულ გაერთიანებას — მოდგამს. ცნობილია, რომ ყოველი ახალი დიდი გამოგონება თავის მხრივ, შედეგიცაა და, ამავე დროს, აძლიერებს შრომის დანაწილებას (მარქსი, ენგელსი). ბარული გუთანი ამგვარი კატეგორიის გამოგონებად უნდა იქნეს მიჩნეული.

საფლავის ქვები კარგად გამოხატავენ გუთნისდედის საქმიანობას. როცა საფლავის ქვაზე გუთნისდედასთან ერთად გამოხატულია გუთანი და რკინის იარაღები, რომლებიც გუთნის აშენებისათვის არის საჭირო, მაშინ „ამა ლოდსა მდებარე" პირი არის გუთნისდედა, რომელსაც გუთნის კეთებაც შეუძლია. ასეა „დახატული" „მჭედელ გიორგის ქვა", რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, უბადლო გუთნის მშენებელი ყოფილა. ასეთი ქვის შესწავლისას, მთხრობლის დახმარების გარეშე, დამკვირვებელს შეიძლება შეცდომა მოუვიდეს, ვერ განასხვაოს, საფლავი გუთნისდედისაა თუ გუთნის მშენებლისა, რადგან საფლავზე გუთანთან ერთად მისი შენებისათვის საჭირო იარაღიც არის გამოხატული. უეჭველია, განსვენებული გუთნის მშენებელიც ყოფილა. ხოლო თუ საფლავის ქვაზე მხოლოდ გუთანია და გამოყვანილი არ არის გუთნის შენებისათვის საჭირო იარაღები — საფლავი მხვნელი გუთნისდედისა, უპირველეს ყოვლისა. ასეთია, მაგალითად, სოფ. მაშნაარში დაყუდებული ძეგლის ქვა, რომელზეც მიცვალებულის „სურათის" ქვემოთ გამოხატულია მხოლოდ გუთანი, ხოლო ქვემოთ წარწერაა: „ამ პამეტნიკის ქვეშ განისვენებს მოსე ასლანის ძე ხიფრაშვილი, დაიბადა 1850 წელსა". გუთნისდედის და არა გუთნისმშენებლისა უნდა იყოს ის საფლავის ქვაც, რომელიც აღწერილი აქვს გ. ჩიტაიას: ...სოფ. ბარმაქსიზში, ერთს, დაახლოებით მეჩვიდმეტე საუკუნის საფლავის ქვაზე ჩვენ ვპოულობთ იმ დროის გუთნის გამოხატულებას თავისი კბილა ჭანჭიქით, ფრთით, მხარით და ათი უღლით. ამგვარივე შემთხვევა ჩვენ გვაქვს ბუშთაშენიდან 4 კილომეტრის მანძილზე დასავლეთით, ეგრეთ წოდებულ „ხარაბაში". ლ. ბოჭორიშვილის მიხედვით, დაღეთის სოფლის სასაფლაოზე მდებარე ქვის პატრონი თუ მხოლოდ გუთნის მშენებელი არა, გუთნის შენების მცოდნე და მოხელე გუთნისდედა უნდა ყოფილიყო. დამკვირვებელი წერს: დაღეთის სასაფლაოზე „ალბად გუთნისდედის საფლავზე დადებული ქვაა წარმოდგენილი. ქვაზე მხოლოდ ცალუღლახარშებმული დიდი გუთანია გამოსახული. გუთნის ნაწილები თითქმის მთელი სისრულით არის მოცემული". ვარძიის საფლავის ქვაზე მიცვალებულის „სურათის" ორივე მხარეს არის ერთი პატარა და მეორე დიდი რკინის იარაღი („ნაჯახი" და „ცული"), რაც გვაფიქრებინებს, რომ საფლავი გუთნის მშენებლისაა. შეიძლება აქვე იყოს საჭირო იმის მოგონება, რომ უცხოური გუთნის (მოვარდის № 2) სახინჯი მუშაობის დროს, თბილისთან ახლოს, ერთ-ერთი მემამულის მინდორზე თავი მოიყარა გლეხობამ. გუთანი უვარგისი იყო ადგილობრივი ნიადაგისათვის და საჭირო გახდა მისი გადაბალისება, რაც შეძლეს გუთნისდედებმა, თუმცა ქართულ დიდ გუთანთან მაინც ვერ მოვიდა ახლო (ი. ჭყონია) გუთნის შემფასებელსა და შემკეთებელს უდაოდ უნდა ცოდნოდა ქართული გუთნის არა მხოლოდ მუშაობა, არამედ აშენება.

სოფელ ბარმაქსიზში გუთნისდედის საფლავის ქვა, როგორც აღნიშნული იყო, დაახლოებით მეჩვიდმეტე საუკუნით თარიღდება. ეს გარემოება მოწმობს, რომ იმ დროსაც გუთნისდედობა არ ყოფილა ყველას ხელობა. იგი გამოყოფილი ყოფილა სოფლად არსებულ შრომის დანაწილებაში და თვალსაჩინო ადგილი ეკავა მეზობლობაში. ამის ფაქტები არაერთია და გამოქვეყნებულია ქართველ ეთნოგრაფთა შრომებში. მართალია, ეს ფაქტები XIX საუკუნეს ეკუთვნის, მაგრამ კიდევ უფრო სრულად უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყო იგი გამოხატული წინარე საუკუნეებისათვის, რადგან შრომის ისე მრავალმხრივი დანაწილება, როგორიც მე-19 საუკუნეში, კერძოდ, მის მეორე ნახევარში გვქონდა, ძველად არ იყო.

ქიზიყის სასაფლაოზე აქა-იქ გამოსახულია გულხელდაკრეფილი მხედარი, რომლის ზედა ჩასაცმელის მარჯვნივ და მარცხნივ გამოყვანილია საბრძოლო იარაღები თავისი მოწყობილობით. ხანგასულობის მიუხედავად აშკარად ეტყობა „ცხენის" აკაზმულობა: უნაგირი, უზანგები, სამკერდე, ლაგამ-ალვირი, საძუე; საფლავის ქვაზე ცხენის ქანდაკება თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორც ყველგან, აღმოსავლეთ საქართველოს არაერთ კუთხესა და სოფელში. ცხენის ქანდაკება გვხვდება სამშვილდის ღვთისმშობლის ეკლესიის სასაფლაოს ერთ-ერთ სამარხზე, რომლის გვერდებზე ამოკვეთილია ადამიანის გამოსახულება და სხვადასხვა საგნები — როგორც საომარი იარაღები, ასევე საოჯახო: სურა, კულა, ყანწი, სატევარი თუ შუბისწვერი, თოფი, საპირისწამლე „ხაზ რი", ხმალი, ორი ცული თუ რაღაც ამის მსგავსი, მწყემსის ჯოხი და სხვ. (ს. მაყნიკოვი). იგივე ცხენი აღწერილი აქვს ლ. ბოჭორიშვილს, ხოლო სურათი დაბეჭდილია გ. ჩიტაიას ნაშრომში. ამგვარივე ქანდაკება არაერთი და ორი აქვს აღრიცხული ნ. ბერძენიშვილს ჯავახეთში, ცხენის ტანის ქანდაკება ალვირითა და უნაგირით დამოწმებული აქვს ს. მაკალათიას.

აშკარაა, რომ არა მხოლოდ ცხენის ქანდაკება, არამედ ყველა სხვა საფლავის ქვა — ბრტყელი ლოდი იქნება ის თუ ქანდაკება ან მატური, ერთი, მესხეთ-ჯავახეთის სკოლიდან მომდინარე ნახელავი უნდა იყოს, რასაც მხოლოდ საფლავის ქვის გამოყვანისა და მასზე გამოხატული საყოფაცხოვრებო დეტალების მსგავსება კი არ გვაფიქრებს, არამედ ისიც, რომ ქიზიყში მცხოვრები ჯავახიშვილების, კორინთლიშვილების, კავთლიშვილების და სხვათა წინაპრები ჯავახეთიდან და ქართლიდან გადმოსახლებულები ჩანან.

ერთი ფაქტია — საფლავის ქვების ხელოვნება და მასზე გამოხატულ დეტალთა მოტივების სისტემა ამ ხელობის ხანგრძლივი განვითარების ნაყოფი შეიძლება იყოს მხოლოდ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ხელოსნობას ერთი საერთო საწყისი უნდა ჰქონდეს, ხოლო დეტალ-მოტივების დამუშავებას — ადგილობრივი.

საფლავის ქვების გამოსახულებანი შეესაბამება და წარმოსახავს სოფელში არსებული შრომის დანაწილებას. ლ. ბოჭორიშვილი წერს: „ქვემო ქართლის სკულპტურული ვერძები მეცხვარეთა საფლავებზე დგანან, ცხენები კი იქნებ ბრძოლაში დაცემული მხედრების სამარეებს სდარაჯობენ. გამოთქმულ მოსაზრების სასარგებლოდ ეგებ ის სამგლოვიარო გარემოცვა ლაპარაკობდეს, რომელსაც თითქოს ერთდროულად დადგმული ცხენების ჯგუფი ჰქმნის; ამ მხრივ გარკვეული ანგარიში უნდა გაეწიოს ხალხში დარჩენილ იმ გადმოცემასაც, რომელიც ვერძს მეცხვარის საფლავს უკავშირებს".

ლ. ბოჭორიშვილის ეს მოსაზრება „ვერძის" შესახებ, მართებულად გვეჩვენება, მაგრამ საფლავზე დადგმულ ცხენის ყოველ ქანდაკებაზე მისი გავრცელება ძნელდება იმის გამო, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეს ქანდაკებანი ცალკე არც ხელობას და არც სხვა მისთანა რამე მანიშნებელს არ უნდა გამოხატავდეს. ის დეტალები, რომლებიც გამოსახულია „სამშვილდის ცხენის" გვერდებზე, ასევე გვხვდება ბრტყელ საფლავის ქვაზე — ლოდზე, რომელზეც ცხენი საერთოდ არ არის გამოსახული. აბელიაში ფიქსირებულ საფლავის ქვაზე გამოსახულია ულვაშებიანი მამაკაცი, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ გვერდებზე ამოკვეთილია ხმალი, ხანჯალი, აგრეთვე, თოფი, საპირისწამლე, სამასრე — „ხაზირი", ჩიბუხი და კიდევ სამი ჭურჭელი — სურა, დოქი და კულა (გ. ჩიტაია). რასაკვირველია, ეს არ უშლის ხელს იმას, რომ „სამშვილდის ცხენის" ქანდაკების ქვეშ მართლაცდა შეიძლება იყოს „ბრძოლაში დაცემული მხედრის სამარის დარაჯი", ისევე როგორც „აბელიას საფლავის ქვა" — ბრძოლაში დაცემული ქვეითი მოლაშქრის ლოდი. ამის გადაჭრით თქმა შეუძლებელია. ერთადერთი, რაც ასეთ შემთხვევაში უყოყმანოდ შეიძლება ითქვას ის არის, რომ კაცი „ცხენიანი" იყო, ჰყავდა „საჯდომი" ცხენი და არა ჯოგი და გამორჩეული ცხენოსანიც იყო. თუ გავიხსენებთ იმდროინდელ ჩაცმულობა-აღჭურვილობას ურომლისოდაც „ვაჟკაცი ცხენზე არ შეჯდებოდა გზად მიმავალი", რითაც იგი სხვებისაგან გამოირჩეოდა მაშინ „სამშვილდის ცხენი" შეიძლება იყოს მხოლოდ მხედრის ცხოვრების სხვისაგან განსხვავებული მდგომარეობის მანიშნებელი. ეს მსჯელობაც რამდენადმე სადავოა. ვფიქრობ, იმიტომ კი არ უნდა იყოს სასაფლაოზე მცირერიცხოვანი „ცხენის ქანდაკებები", რომ საფლავები უპატრონოდ არის დარჩენილი, არამედ, ალბათ, იმიტომაც, რომ „საჯდომი ცხენის" პატრონები ბევრი არ იყვნენ.

როგორც ცნობილია, „ცხენებზე" წარწერები არ გვხვდება; ვაქირის სასაფლაოზე დაყუდებული ცხენის „პატრონის" ვინაობა მოსახლეობას დავიწყებული აქვს და შეუძლებელი გახდა მისი დადგენა. მთხრობლები „ცხენების პატრონებზე" ასეთ აზრს გამოთქვამდნენ — ან „აბეშიკი" იქნებოდა, ან კაი ცხენოსანიო.

გ. ჩიტაია აღნიშნავს: „ფეოდალურ საქართველოში ყოველი კუთხის ძლიერი მებატონე-ფეოდალი ცდილობდა ისეთი ძეგლი-ნაშენები აეგო, რომლის მსგავსი მეზობელ მებატონეს არ ჰქონდა ან არ შეეძლო აეშენებინა. გაჯიბრების ნაყოფია ფეოდალური ხანის მრავალი საინტერესო ძეგლი". ამ მხრივ „გაჯიბრება" ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის სოფელში დიდ უმრავლესობას არ შეეძლო — „ამის წელი არ ჰქონდა". შეჯიბრება ახალ ეკონომიკურ საფუძველზე კარგად ჩანს ქიზიყელთა შორის გამორჩეული ოჯახიშვილების საფლავებით. სასაფლაოს ქვებით გამოხატულია განსვენებულთა და მათი პატრონების ეკონომიური შეძლება, რაც უფლების საწინდარიც იყო. „საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური აღნაგობაც საინტერესო თვალსაჩინოებით არის ხოლმე წარმოდგენილი ამ სხვადასხვა სახისა და ხარისხის ძეგლებით". საფლავის ქვები იმ შეძლების ნაუწყებელი კი არ არის, რომელიც მიცვალებულს გააჩნდა სიცოცხლეში, არამედ იმისა, რომელიც მემკვიდრეებს აქვთ. ამის მოწმობაა ქიზიყის საფლავის ქვები. მასალები ქიზიყიდან იმის დადგენის შესაძლებლობასაც იძლევა, თუ რა ღირდა სხვადასხვა სახის საფლავის ქვის გაკეთება. „ვერძში" ძროხას ან 4-5 ცხვარს აძლევდნენო — გადმოგვცემენ უხუცესი მთხრობელები. არანაკლები ღირდა დიდი ზომისა და კარგად გათლილი „ლოდი", რომლის ზედაპირზე სრულად იყო გამოხატული მიცვალებული, მისი ძირითად სამეურნეო საქმიანობის გამომხატველი არსებითი დეტალით და იარაღებით, ქვის ერთ მხარეს წარწერით, მეორეზე — მრავალფეროვანი „ეთნოგრაფიული დეტალებით". იგივე სასაფლაო მოფენილია საფლავის უბრალო ლოდებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად მდარე ხელობის ნიმუშებია. ეს ლოდები ღარიბია „დეტალებით", უსწორმასწოროა და დაბალგვერდებიანი. მათზე წარწერები არც ისე იშვიათია, თუკი მიცვალებული „ბალღი არ იყო"; „საგნები" ან სულ აღარ გვხვდება, ან ერთი-ორი. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა, რომელიც გვამცნობს მიცვალებულის ვინაობასა და დაბადება-გარდაცვალების თარიღებს, ამასთან მასზე არის გამოხატული კაცი თუ ქალი. აღნიშნული მონაცემები იძლევა როგორც ეკონომიკური, ასევე მეურნეობრივი მდგომარეობის სურათს და, ამასთან ერთად და კავშირში, სოფლად მოქმედი შრომის დანაწილების ახალ საფეხურს წარმოგვიდგენს და ძველი მდგომარეობის გათვალისწინების შესაძლებლობასაც გვაძლევს.

აღწერილი გარემოება არსებითად ერთგვაროვანია ქიზიყის ყველა საფლავზე.

ყველა სხვა, ჩვენთვის ცნობილ საფლავის ქვებზე ასახული მიცვალებულთა საქმიანობის მანიშნებელი ატრიბუტებისაგან განსხვავებით, ვაქირის სასაფლაოზე საფლავის ერთადერთ ქვაზე გვხვდება ნატურალისტურად გამოსახული რძით სავსე ჯიქნიანი ძროხა. ჯიქანთან ჩამუხლულია მამაკაცი, რომელსაც ცალ ხელში საწველი ჭურჭელი უჭირავს, ხოლო მეორეთი წველის. ეს ქვა ზალიკო ნანობაშვილის საფლავის ქვაა. მთხრობლები ერთხმად აღნიშნავენ, „ზალიკო ნანობაშვილს ძროხები ჰყავდა ბევრი და იმაზე ამოკვეთეს ასე" ო. მთხრობლების გადმოცემით, „ზალიკოს კაი საქონელი ჰყავდა. იგეთი რო ხელზე კვება ნაკლებად უნდოდა. დაუდიოდა ხრამებში. ღამეც თავი კბილებით იკვებებოდნენ. ბინაც იქ ჰქონდა მარკოზაანთ კაკლებთან. 10-12 ძროხა ჰყავდა მეწველი. ჰყავდა აგრეთე დეკეულები და მოზვრები. მოზვრებს ყიდდა. ძროხები ზალიკოს კოლმეურნეობის წინა ჰყავდა. კოლმეურნეობა რო არსდებოდა, შეამცირა. ცოტაღა ჰყავდა. ეს ერთი კაცი იყო". (სიკო წყალობას ძე ბალნაშვილი, დაბ. 1887 წ., ს. ვაქირი, 18. 11. 1979).

მისი ძმა, რომელიც აგრეთვე ძროხასთან ერთად საწველით არის გამოხატული საფლავის ქვაზე, „ხემ დაიტანაო. გეგენა იყო იმი სახელი; მოურავად ყოფილა საგინაშვილებთან. დაქირავებული იყო — ტყეს ყარაულობდა. ამათ მამას დუთხას ეძახდნენ. ისიც ტყეს ყარაულობდა, როგორც აბეშიკი იგრე იყო. სახელი შეუცვალეს. ადრე მოურავს ვეტყოდით. მამა რო დაბერდა, გეგენა დადიოდა იმი საქმეზე. თან იქ ხრამში საქონელიც ჰყავდა და თან ყარაულიც იყო. ვედრა იმაზე აქვს, რომ ის წველიდა საქონელს" (სიკო წყალობას ძე ბალნაშვილი).

მოტანილი მასალიდან საყურადღებოა, რომ ძმებს — ზალიკოს და გეგენას მემკვიდრეობით ტყესთან ჰქონდათ საქმე. მათი მამა „სამსახურში ყოფილა" ტყის მცველად. ამ გარემოებამ უბიძგა ძმებს, მესაქონლეობისათვის მოეკიდათ ხელი. მაგრამ განმსაზღვრელი ფაქტორი მათ არჩევანში მაინც ის იყო, რომ ქვეყნად და სოფლად მიმდინარეობდა შრომის ისეთი დანაწილება, რომ ჩვეულებრივი კომლი მემინდვრეობასთან ერთად ყველა სხვა საქმეს, რომელსაც ფული უნდა შემოეტანა, ვერ გაწვდებოდა. ამ მდგომარეობას მათი მამა — დუთხა ნაკლებ უნდა შეეწუხებინა, რადგან „იმი დრო სხვა იყო".

ქიზიყში და, ცხადია, არა მარტო ქიზიყში, სოფლის მეურნეობის პროფილს ხშირად განსაზღვრავდა ტყის არსებობა. მესაქონლეობის, როგორც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების პირობებში, სამეურნეო წლის განმავლობაში მესაქონლე იძულებულია სახლს მეტ-ნაკლებად დაშორდეს. ამის გამო ფუძეზე სამუშაოები ასევე მეტ-ნაკლებად ფერხდებოდა მაშინ, როდესაც კომლი მრავალმუშახელიანი არ იყო. საოჯახო კოოპერაციის პირობებში მეურნეობის სპეციალიზაცია შედარებით „უმტკივნეულოდ" მიმდინარეობდა.

მიწათმოქმედება, შერწყმული მესაქონლეობასთან, გაბატონებული იყო ბარის სოფლებში. საოჯახო კოოპერაციის პირობებში ეს მოვლენა ძალაში რჩებოდა ისე, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურამდე იგი არ ირღვეოდა (ჯ. რუხაძე, ან. ლეკიშვილი, ი. ჭყონია). შემდგომში იქმნება ფაქტიური მდგომარეობა, როდესაც დიდ ოჯახშიც, სადაც მესაქონლეობას მისდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნენ (კახეთსა თუ ქართლში). მემინდვრეობისათვის საჭირო მუშახელის ნაკლებობა იჩენდა თავს — გუთნეულის პატრონს მეზრეები აჰყავდა მოდგამად. ზოგჯერ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, გუთნისდედაც კი უნდა აეყვანათ მოდგამად თუ „დაექირავებინათ". აღარას ვამბობ „მუშის ქირავნობის" შესახებ. მოსულ მუშას ფულით ისტუმრებდნენ, ხოლო თანასოფლელს „ყველს უანგარიშებდნენ", რადგან სოფელში არაერთი იყო „უყველო" — უძროხო.

საფლავის ქვაზე მიცვალებულის საქმიანობის ნიშნად „ძროხის" გამოსახვა ქართული სოფლისათვის შრომის დანაწილების გაღრმავების მაჩვენებელია. იგივე პროცესს მიესადაგება შემდგომში ქალის საფლავის ქვაზე მაკრატლის ან საკერავი მანქანის გამოსახვა.

მესაქონლეობის, როგორც სოფლის მეურნეობის დარგის, მკვეთრი გამოყოფა მემინდვრეობისაგან კიდევ უფრო შესამჩნევია სამეგრელოში. ჩნდებიან მესაქონლე-მეჯოგეები, რომლებსაც მყავდათ რამდენიმე ათეული ან ასეული მსხვილფეხა საქონელი. ზარანდიები, შანავები, კვარაცხელიები, კაკაჩიები მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში განთქმული მეჯოგეები ყოფილან. მათ საქონელი ედგათ და ბინები ჰქონდათ მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე „ტყეებში". სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალით, გეგეჭკორის რაიონში ერთმანეთისაგან გამოყოფილია მიწის მუშა — „მეთოხე" და მეჯოგე-მესაქონლე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდისა და სენაკის მაზრების სახელმწიფო გლეხების XIX საუკუნის 80-იან წლების ეკონომიკური ყოფის შესახებ აღწერის მასალებში „მესაქონლეობაზე" არ არის ლაპარაკი (Д. П. Носович, экономический быт государственных крестьян в Сенакском и Зугдидском уездах Кутаисской губернии. МЭБГКЗК. №2, часть 2. 1886).

ჩამოთვლილი მონაცემები გვავარაუდებინებს, რომ ჯოგური მესაქონლეობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან მიწის მუშისა, მეჯოგე-მესაქონლისაგან გვიანდელი მოვლენაა. შრომის ზემოთ აღნიშნული დანაწილება, ცხადია, დამახასიათებელია ფეოდალური ეპოქისთვისაც, მაგრამ ფეოდალურ მეურნეობაში ეს დანაწილება შედარებით სუსტად არის გამოკვეთილი. შრომის უფრო ღრმა დანაწილება კაპიტალისტური განვითარების ნაყოფია.

მესაქონლე ხალხიაო, რომ იტყოდა კახელი თუ ქართლელი, ამ თქმაში იმას კი არ გულისხმობდა, რომ მესაქონლეობა მათ მხარეში ცალკე დარგად იყო გამოყოფილი, არამედ იმას, რომ „მესაქონლე კომლს" მყავდა გუთნეულისა და კალოზე მუშაობისათვის საჭირო რაოდენობის საქონელი-გამწევი ძალა. იმ დროიდან მოკიდებული, როცა დიდი გუთანი გაგვიჩნდა. ამგვარი მესაქონლეობა და მიწისმოქმედება, რასაკვირველია, სიმბიოზური უნდა ყოფილიყო. (რ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჰუონია).

1978 წელს ჩვენი ქიზიყში მივლინებისას ტიბაანის სასაფლაოზე ვნახეთ ცხვრის-ვერძის ქანდაკება. ცხადია, „ვერძი" მეცხვარის საფლავზე უნდა იდგეს (ლ. ბოქორიშვილი). მთხრობელები გადმოგვცემენ: „რამდენიმე მყავს მეცხვარეს ყოჩი გათამაშებული, კარგა მოვლილი და უყვარს როცა სარქალია, იმას აღგამენ თავის საყვარელ ყოჩსა. კისერზე გარშემო უტოვებენ ხოლმე მატყლსა მძივებად და ბეჭებზე ქოჩორს სილამაზისათვის, შნოსათვის, როგორც კარგი მოვლილი და შენახული". განსხვავებით ცხენის ქანდაკებებისაგან (სამშვილდე), ვერძზე არავითარი ნიშანი არ არის.

სოფელ ოზაანის სასაფლაოზე არის მეცხვარის ლოდი, არც ისე კარგი ნახელავი, თუმცა მასზე ისეთი დეტალების კომპლექსია გამოსახული, რომ მთხრობლის გარეშეც კი იოლი დასადგენია: იგი მეცხვარეს ეკუთვნის. ლოდზე გამოსახულია ახალგაზრდა კაცი, უწვერულვაშო, აქვს მეცხვარის კომბალი და სალამური, ლოდისავე ზედაპირზე ბოლოში წინა ფეხებზე თავდადებული ცხვარია დაწოლილი.

ვაქირის სასაფლაოზე გვხვდება ლოდის პირობაზე კარგად დამუშავებული „დიდი ლოდი". განიერი და მაღალია, ზედაპირზე გამოსახულია წვერულვაშიანი მამაკაცი, თავზე „კრაველის" ქუდით, მასრებიანი ჩოხით, მოჩანს ახალუხი. მარცხენა ხელში ჩიბუხი უჭირავს, მარჯვენა სატევარზე აქვს დადებული, გვერდით — მარცხნივ დამბაჩაა, მარცხენა მხარეს ზევით „ხელადა", ფეხებთან ცხვარი უწევს, დუქარდიც იქვეა. ლოდის ერთ გვერდზე ცხენია გამოსახული, მეორეზე წარწერა ყოფილა, რომელიც ისე გადაშლილი, რომ ძლივს იკითხება: „წუთისოფელში რა მექნა, გინდ მეცოცხლა წელი ასი, გინდა ვყოფილიყავ მწყემსი, გინდა მაგარი კნიაზი. ძრიან მიყვარდა ლექსის თქმა, როგორც გარბენა გზისათ. საბრანჩა რო ამამიზრა, ენა აღარა ხვრისათ". „ეგ კაი მეცხვარე, სარქალი და მოლექსე ნანობაანთ კაცი იყოო", — გადმოგვცეს მთხრობლებმა კვირაცხოვლის ეკლესიის ძირში დამარხულ ვაჟკაცზე.

წინამდებარე წერილში ეთნოგრაფიული მასალებით ჩვენ მიმოვიხილეთ სოფლად შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ერთი ასპექტი, კერძოდ, თუ როგორ აისახა იგი მიცვალებულთა საფლავის ქვებზე. პრობლემა კი იმის ღირსია, რომ ხანგრძლივად გამოწვლილვით იქნას იგი შესწავლილი.

ანდრო გოგოლაძე

# დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობაზე მკვლევართა შორის თანხმობა არ არსებობს.

როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის 1123-24 წ. წ. ანდერძში შიო-მღვიმისადმი მოხსენიებულია არსენ ბერი, რომელიც ზოგიერთ მკვლევარს დავითის ისტორიკოსად მიაჩნია.

თ. ჟორდანიას აზრით, დავითის ისტორიკოსი უნდა ყოფილიყო მისი ერთ-ერთი გამოჩენილი თანამედროვე: ან იოვანე კათალიკოსი, ან სვიმონ ჭყონდიდელი, ან არსენ იყალთოელი. არსენ ბერი კი, მისი აზრით, დავით აღმაშენებლის მოძღვარი საერთოდ არ ყოფილა, რადგანაც არსად იგი არც ერთ საისტორიო წყაროში არ იხსენიება. ისტორიული წყაროების მიხედვით იგი მეფის ანდერძის აღმასრულებელია და არა მოძღვარი. არსენ ბერი მას დავითის ისტორიკოსად არ მიაჩნია.

ს. კაკაბაძის შეხედულებით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არის მისივე მოძღვარი არსენ ბერი. მისი აზრით: 1) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მეფის თანამედროვე, დავითთან მეტად დაახლოებული სამღვდელო პირია და თავისი თხზულება დაწერილი აქვს დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგომ. 2) დავითის ისტორია დაწერილია მეფის მოძღვრის მიერ, რომელიც მოძღვრად იყო დავითის სიცოცხლის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ს. კაკაბაძე ეყრდნობა შემდეგ ცნობას: „ნუ ნეტუ მისთა ქადაგისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიხსენნა! უწყი ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ წმიდათა პირითა და გაწმენდილითა გონებითა მიიღებდა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა თანამოზიარებითა სულიერისათა და არა მხილებითა გონებისათა. რომლისა მოწამე არს სარწმუნო იგი ცათა შინა."

3) დავითის ისტორიკოსად არ შეიძლება მივიჩნიოთ მეფის მოძღვარი იოანე, რადგან დავითის ისტორიაში იგი მესამე პირშია დასახელებული.

4) დავითის მეორე მოძღვარი იოანეს შემდეგ 1118 წლიდან მეფის სიკვდილამდე ყოფილა არსენი.

ამრიგად, ს. კაკაბაძის აზრით, დავითის ისტორიკოსია დავით აღმაშენებლის მოძღვარი არსენ ბერი.

კ. კეკელიძე იზიარებს ს. კაკაბაძის თვალსაზრისს, ივ. ჯავახიშვილი კი დავითის ისტორიკოსის ვინაობას გაურკვევლად მიიჩნევდა.

ჯ. ოდიშელი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, უარყოფს თ. ჟორდანიას მოსაზრებას და ფიქრობს, რომ დავითის ისტორიკოსი ვერ იქნებოდა ვერც იოანე კათალიკოსი, ვერც სვიმონ ჭყონდიდელი და ვერც არსენ იყალთოელი, რადგან მათ შესახებ თხრობა დავითის ისტორიაში მესამე პირშია მოცემული. რაც შეეხება ს. კაკაბაძის შეხედულებას, ჯ. ოდიშელი ეთანხმება მას. მაგრამ მისი აზრით, ს. კაკაბაძის მსჯელობა არაა საკმარისი იმისათვის, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად მეფის მოძღვარი მივიჩნიოთ, ხოლო მეფის მოძღვრად არსენი. მისი აზრით ათი წლის განმავლობაში მეფის მოძღვრად ნამყოფი პირისაგან გაუმართლებელია ეთქვა „უწყი ჭეშმარიტებით", თუ როგორ იღებდა მეფე საიდუმლო ზიარებას.

ჯ. ოდიშელის აზრით, ის ამბავი, რომ დავითის 1123 წლის ანდერძში არსენი მოიხსენიება ეპითეტით: „სახო და განმანათლებელი" მეფისა, არ იძლევა საკმარის საფუძველს, მივიჩნიოთ არსენი იოანეს შემცვლელად მეფის მოძღვრის პოსტზე 1118 წლიდან, ვინაიდან 1123 წ. ანდერძში იოანე მოძღვრადაა მოხსენებული, ხოლო არსენი ანდერძის აღმსრულებლად.

დავითის ისტორიკოსის ვინაობის დასადგენად მეტად მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომ ისტორიკოსი მეფესთან მეტად დაახლოებული პირი, მისი თანამოაზრე და ბევრი აღწერილი

ამბის თვითმხილველი ჩანს. ამ საკითხზე მკვლე-ვართა შორის სრული თანხმობაა.

ჯ. ოდიშელს, ასევე, დიდი მნიშვნელობის არგუმენტად მიაჩნია ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებლის ცხოვრების ისტორია სასულიერო პირის მიერ არის დაწერილი. ეს საკმაოდ დამაჯერებელი აზრი ეკუთვნის თ. ჟორდანიას. ნ. ბერძენიშვილი იზიარებს თ. ჟორდანიას ამ მოსაზრებას, ხოლო ივ. ჯავახიშვილი ეკამათება თ. ჟორდანიას ამ საკითხზე, თვლის, რომ ისტორიკოსს არავითარი მიდრეკილება არ ემჩნევა სასულიერო აზროვნებისადმი და დავითის ისტორიკოსი „საღმრთოთა და სულიერ სათნოებად" თვლის არა საეკლესიო, არამედ მეფის ყოველგვარ დადებით ზნეობრივ პოლიტიკურ საქმიანობას.

ჯ. ოდიშელის აზრით კი, დავითის ისტორიკოსი რომ ერისკაცი არაა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ისტორიკოსი წერს დავითის მიერ „საეშმაკონი სიმღერანი საზიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულველი და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ერთა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის". მისი აზრით ასეთი რელიგიური შეუწყნარებლობით გაჟღენთილი სიტყვები არ შეიძლება ერისკაცს ეკუთვნოდეს.

მისი აზრით, დავით აღმაშენებელთან დაახლოებული სასულიერო პირთაგან დავითის ისტორიკოსის თხზულებაში არსად მოხსენიებული არ არის არსენ ბერი, ხოლო დავითის 1123 და 1125 წლების ანდერძებიდან კი ვიცით, რომ იგი მეფესთან მეტად დაახლოებული პირი ყოფილა. არსენ ბერს მეფე ავალებს მისი ანდერძების შესრულებისათვის მეთვალყურეობას. ასევე, საინტერესოა, რომ დავით აღმაშენებლის 1125 წ. ანდერძში არსენ ბერი მოხსენიებულია კათალიკოსის წინ. დავითი უპირველესად არსენს უანდერძებს გამოარჩიოს გელათის მონასტრისათვის მეფის მიერ ნაშოვნი „იდუმალნი უმკვიდრონი და უმამულონი". ამავე ანდერძიდან ჩანს, რომ არსენ ბერი დავითის მოძღვარიც ყოფილა: „ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, პანკრატიოს დავითისა, რომელი წამოუთხრა მოძღვარსა თჳსსა, არსენის ჟამსა გარდაცვალებისა თჳსისა ყოველთათჳს დიდებულთა თჳსთა".

ჯ. ოდიშელს მიაჩნია, რომ არსენი დავითის სიცოცხლის უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო მოძღვრად. [illegible] არსენი 1123 წლის იოანეს გარდაცვალების შემდეგ უნდა გამხდარიყო მეფის მოძღვარი. დავითი ანდერძში ამბობს თავისი პირმშოს დემეტრეს შესახებ: „[illegible] დაფარულთა გულისა ჩემისათა და მენებაც მოცემა საჭურჭლისაგან მეფე ყოფითა მაგისისა, რომელ ესე ღმრთმან და მე და ორის წლით-გან მოძღვარმან ჩემმან უწყით".

ჯ. ოდიშელის მოსაზრებით, არსენ ბერისათვის, დავით აღმაშენებელთან ესოდენ დაახლოებული პირისათვის, დავითის ისტორიაში გვერდის ავლა შეეძლო მხოლოდ თვით არსენ ბერს, რომელსაც, როგორც ჩანს, უხერხულად მიაჩნდა თავის თავზე ეწერა.

მისივე აზრით, დავით აღმაშენებლის 1123-24 წლის შიო-მღვიმისადმი მიცემული ანდერძის ინიციატორი არსენ ბერი იყო: „განმანათლებელმან და სასომან ჩემმან ბერმან არსენ მიბრძანა ამის ანდერძის დაწერა" — ამბობს დავითი ამ ანდერძში. ანდერძი, როგორც ცნობილია, იწყებოდა და მთავრდებოდა დავით აღმაშენებლის უნიკალური ავტოგრაფით მხედრულად, ხოლო საბუთის ძირითადი ნაწილი ნუსხა-ხუცურით არის დაწერილი. კონკრეტულად კი ეს ფაქტი მოწმობს, რომ ავტორი სიგელისა სასულიერო პირი იყო.

აქ ჯ. ოდიშელს მოაქვს კ. კეკელიძის აზრი, რომაც დავით აღმაშენებლის 1123 და 1125 წლების ანდერძებს შორის დიდი სტილისტურ-აზრობრივი სიახლოვე შეიმჩნევა, ხოლო 1125 წლის ანდერძის ავტორი არსენ ბერია. 1125 წლის ანდერძში ვკითხულობთ: „გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთ-მეფე დავით ჩემ მიერ უნდოისა და უღირსისა მლოცველისა მათისა ბერისა პირითა".

მკვლევართა საერთო აზრით (თ. ჟორდანია, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე) არსენ ბერი ავტორია რუის-ურბნისის კრების სახელით დავით აღმაშენებლისათვის მირთმეული შესხმისა — „მეფესა დავით მონაზონი არსენი". კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ არსენი იყო ამ კრების მდივანი და ასევე წმ. ნინოს მეტაფრასული ცხოვრების ავტორი. იგი ამ ძეგლსა და რუის-ურბნისის ძეგლისწერას შორის ხედავს შინაარსობრივ-სტილისტურ მსგავსებას.

ჯ. ოდიშელი ეთანხმება კეკელიძის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ არსენ ბერის დაწერილია: დავით აღმაშენებლის 2 ანდერძი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა, ამ კრების სახელით დავითისათვის მირთმეული შესხმა და წმ. ნინოს მეტაფრასული ცხოვრება. ხედავს ერთგვარ მსგავსებას დავითის უცნობი ისტორიკოსის თხზულებასა და არსენ ბერის მიერ 1123-24 და 1125 წლების ანდერძებს შორის, დავითის ორივე ანდერძში, განსაკუთრებით 1123 წლისა, შეიმჩნევა ერთგვარი გატაცება ისტორიზმით. ეს უკანასკნელი ისტორიული ცნობებით ავსებს დავითის ისტორიას.

1123 წ. ანდერძიდან ვიცით, რომ „წინა-უკმო" ეპისკოპოსმა [illegible] ძალით მღვდელმთავრობა. როგორც ჩანს, ეს ზოგადი მოვლენა ყოფილა, ყველა შემთხვევაში, საშუალო ცენტრალისტური პოზიციებიდან გამომდინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე. ბევრი მღვდელმთავარი ულირსად იყო მიჩნეული. ასეთი ანალოგიური ეპითეტებით არიან შემკულნი 1123 წ. ანდერძში, დავითის ისტორიკოსთან და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერაში („წინ-უკმო მღვდელთ-მოძღვარი“ და „მწყემსი უკარო“ — ანდერძში, „კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები“ — დავითის ისტორიკოსთან: „ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელმთავრობისასა“ — ძეგლისწერაში).

ამასთან ჯ. ოდიშელის აზრით, რუის-ურბნისის ძეგლისწერასა და დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ერთნაირად გამოსჭვივის რელიგიური შეუწყნარებლობა სომეხთა სარწმუნოების მიმართ.

მისივე აზრით, დავითის ისტორიკოსის თხზულებაში მრავლადაა რემინისცენციები ბიბლიიდან: „და არაოდეს მიუშუა ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა“. ს. ყაუხჩიშვილი „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელი გამოცემის შენიშვნაში აღნიშნავს: „ამავე ციტატას იმეორებს ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. „არცა მიუშუა კუერთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალთასა“.

ურთიერთსიახლოვე დავითის ისტორიკოსის თხზულებასა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით დავითისადმი მირთმეული ხოტბისა აღნიშნული აქვს კ. კეკელიძეს. ორივე ძეგლში ერთი და იგივე პარალელიზმია დავითისა და ალექსანდრე მაკედონელის, დავითისა და აქილევს ელინელს შორის.

აკად. ნ. ბერძენიშვილს აღნიშნული აქვს დავითის ისტორიკოსის თხზულებებში მეფის ღვთისწორობის იდეა. დავითი „მესიის მახვილია“ მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს დედამიწაზე და ამდენადვე მეფის წინააღმდეგ ნიშნავს, ნ. ბერძენიშვილის აზრით, აქ ბრძოლამ მოქმედება, ღმერთის წინააღმდეგ გამოსვლას თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. არსად აქამდე ქართულ საისტორიო მწერლობაში მეფის მოქმედება და მისი პიროვნება არ ყოფილა ღვთაებამდე აყვანილი.

1123 წლის ანდერძში, ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში პირველად მეფე ღვთისწორადაა გამოცხადებული, სადაც ჩანს, რომ მეფის მოწინააღმდეგე ღვთის მოწინააღმდეგეა, დავითის მეფობა ღვთისმიერი მეფობაა. ასეთივე იდეის გამოვლინებაა შემდეგი სიტყვებით 1123 წლის ანდერძში: „მე წარვედ წინაშე მსაჯულის მისისაებრ განმგებელი მეფობისა“.

უმაღლეს ფაზაშია აყვანილი დავით აღმაშენებლის პიროვნების ღვთისსწორობის იდეა არსენ ბერის თხზულებაში — შესხმაში: „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“ დავითი დახასიათებულია, როგორც კაცთმოყვარე ვითარცა იესო ღმერთთა შორის ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთქმნულთა შორის.

თავის მხრივ, ეს სიტყვები ზუსტ ანალოგიას პოვებს დავითის ისტორიკოსთან, როცა ლაპარაკია დავითის გარდაცვალებაზე, რომ ღმერთმა მოუწოდა დავითს: „სადა თვთ იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთ-ქმნილთა ზედა“. საერთოს კაცის ბუნებით ღმერთად გამოცხადება მკრეხელობაა ისიც სასულიერო პირის არსენის მიერ. მაგრამ აქ ჩანს თუ სადამდე იყო იმ დროს მიღწეული თაყვანისცემა დავით აღმაშენებლის მიმართ.

ჯ. ოდიშელი ასკვნის, რომ ერთი მხრივ დავითის ისტორიკოსის თხზულების, ხოლო მეორე მხრივ, დავითის ანდერძებისა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით დავითისათვის მირთმეული შესხმის თანადამთხვევა იზოთეიზმის (ადამიანის ღვთისწორობის იდეა) გამოვლინებაში მნიშვნელოვან არგუმენტად მიგვაჩნია ამ ძეგლების ერთი საერთო ავტორის — არსენ ბერისათვის მისაკუთვნებლად.

როგორც ვხედავთ, ს. კაკაბაძის, კ. კეკელიძის და განსაკუთრებით ოდიშელის მოსაზრებები და არგუმენტები, დავით აღმაშენებლის უცნობი ისტორიკოსის ვინაობის დასადგენად, საყურადღებოა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჯ. ოდიშელის ის დაკვირვება, რომ თვით არსენ ბერი მეფესთან ესოდენ დაახლოებული პირი მოხსენიებული არ არის დავითის ისტორიკოსის თხზულებაში, ასევე, საყურადღებოა მისი ზემოაღნიშნული სხვა მოსაზრებანი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ მკვლევართა ეს მოსაზრება დამაჯერებელია და დავითის ისტორიკოსი, შესაძლოა, არსენ ბერი ყოფილიყო.

მაგრამ, ჩვენი აზრით, არსენის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად მიჩნევას ხელს უშლის ერთი გარემოება: საზელდობრ, შინაკლასობრივი ბრძოლის უაღრესად მნიშვნელოვანი დიდი ეპიზოდური ფაქტი — დავით აღმაშენებლის ბრძოლა ურჩ ფეოდალებთან ძაგანთან და მოდისტოსთან, რომელიც დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძშია აღწერილი, სრულიად ნახსენები არ არის დავითის ისტორიკოსთან როგორც ცნობილია, არსენ ბერი აღნიშნული ანდერძების დამწერია და ამავე დროს რიგი ისტორიკოსები მას მიიჩნევენ დავითის ისტორიკოსად.

ისმის კითხვა, თუ არსენი დავითის ისტორიკოსია, მაშინ 1123 წლის ანდერძში მის მიერ აღწერილი დავით აღმაშენებლის ბრძოლა მსხვილ ფეოდალებთან ძაგანთან და მოდისტოსთან, რატომ არ აღნიშნა თავის საისტორიო ნაშრომში, რომელიც დავით აღმაშენებელს მიუძღვნა.

ჩვენი აზრით, ეს არის საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტი იმისა, რომ არსენ ბერი, შესაძლოა, არ ყოფილიყო დავით აღმაშენებლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიკოსი. აღნიშნული არგუმენტი, ჩვენი აზრით, ხელს უშლის ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას.

ბოლო დროს ამ საკითხზე გამოითქვა ახალი მოსაზრება. მისი ავტორია ილია ანთელავა. მისი აზრით, დავით II აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობაზე მსჯელობისას მკვლევართა დიდი ნაწილი ამოდიოდა იმ თეზისიდან, რომ გარდა არსენ იყალთოელისა, მეფის გარემოცვაში იყო კიდევ ერთი არსენ ბერი, რომელიც მიჩნეული იყო დავითის ისტორიის ავტორად. ჩვენი აზრით, წერს ი. ანთელავა, თვალსაჩინოდ დასაბუთდა, რომ არსენ იყალთოელი და არსენ ბერი ერთი და იგივე პირია, რომ არსენ ბერი, „ასეთი პიროვნება, თუკი მასში არსენ იყალთოელს არ ვიგულისხმებთ, საერთოდ არ არსებულა". აქ იგი იმოწმებს ე. გაბიძაშვილისა და ი. ლოლაშვილის აზრს, რომ არსენ იყალთოელი თუ ის იყო დავითის „ცხოვრების" ავტორი, თავის თავს ვერ მოიხსენიებდა „განმანათლებლად ყოველთა ეკლესიათა". ვერ იქნებოდა იგი დავითის შიომღვიმისადმი ბოძებული 1123-24 წ. წ.ანდერძის შემდგენიც, ვინაიდან იქ არსენი იყალთოელი იხსენიება, როგორც „სასომან ჩემმან" „და სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა", „ვითა ბერსა, განმანათლებელსა ჩემსა არსენის გაუწესებია". „აქ დგება საკითხი არა მხოლოდ დავითის „ცხოვრების" არამედ 1123-24 წ. წ. ანდერძის დამწერისაც, ვინაიდან კარგა ხანია შემჩნეულია თვალსაჩინო დამთხვევები ამ ორ ძეგლს შორის. ეს კი იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისა" და ანდერძი შიო-მღვიმისადმი ერთი ავტორის ხელიდანაა გამოსული. ვინაიდან ეს საერთო ავტორი არ შეიძლება იყოს არსენ იყალთოელი, ხოლო ვინმე არსენ ბერის არსებობა საერთოდ არ დასტურდება, კვლავ მწვავედ დგება დავითის ისტორიის ავტორის ვინაობის პრობლემა".

აქ უნდა შევნიშნოთ, ზემოაღნიშნულ ავტორთა ამ გამოთქმებში უზუსტობაა დაშვებული, რადგან არსენ ბერი ისტორიული პიროვნება იყო და დავით აღმაშენებლის ანდერძში იხსენიება (ეს აღნიშნულმა ავტორებმაც კარგად იციან). სულერთია იგი არსენ იყალთოელი იყო თუ სხვა ვინმე, მაგრამ ისინი მაინც ერთი და იგივე პირი არ ჩანს, რადგან რუის-ურბნისის 1103 წლის კრების „ძეგლის წერის" მოხსენებელში არსენ იყალთოელი გარდაცვლილად მოიხსენიება, ხოლო არსენ ბერი ამ დროს ცოცხალია და „ძეგლის წერის" ერთ-ერთი შემდგენელი ჩანს.

ი. ანთელავას აზრით, არსენ იყალთოელი ანუ იგივე არსენ ბერი, იყო შიო-მღვიმის სოხასტერის დამაარსებელი და წინამძღვარი, არსენ ბერი დაყუდებული ბერი იყო შიო-მღვიმეში, სოხასტერი ანუ სადაყუდებულო სწორედ ამას გულისხმობს. დავითის ისტორიის ავტორი კი, როგორც თხზულებიდან ჩანს, მეფეს თან ახლდა ომში, ნადირობისას, მგზავრობაში. ცხადია, ეს გარემოება სრულებით ვერ ეგუება დაყუდებული ბერის სტატუსს. მისივე აზრით, თხზულებიდან ჩანს, რომ დავითის ისტორიკოსი დიდი თანამდებობის პირი, სახელმწიფო მოღვაწე იყო, ხოლო ი. ანთელავას ორი ასეთი თანამდებობის პირი ეგულება. ესენი არიან მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და მისი უახლოესი თანაშემწე საწოლის მწიგნობარი. აქედან დავითის ისტორიის შექმნა მწიგნობართუხუცესის მიერ იმთავითვე უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან გიორგი ჭყონდიდელი 1118 წელს გარდაიცვალა, ხოლო სვიმონი კი დავითის ისტორიაში ისეთი ალმატებითი ეპითეტებითაა მოხსენებული, რომ არასგზით არ შეიძლება ავტორად ჩაითვალოს.

ი. ანთელავას აზრით, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი" უნდა დაეწერა საწოლის მწიგნობარს. იგი იყო არსებითად ის ერთადერთი თანამდებობის პირი, რომელსაც შეეძლო კარგად სცოდნოდა დავითის ისტორიის ტექსტში დადასტურებული რეალიები და ფაქტები — იგი იყო სასულიერო პირი, სახელმწიფო მოღვაწე, მუდმივად თან ახლად მეფეს, ხელი მიუწვდებოდა და ჩახედული იყო მიმდინარე პოლიტიკურ და სამხედრო-ადმინისტრაციულ საქმიანობაში.

ი. ანთელავას აზრით, ანდერძი შედგენილი იყო მეფის მდივნის, საწოლის მწიგნობრის, მიერ. არსენ იყალთოელი იყო არა ანდერძის დამწერი, არამედ მისი დაწერის ინიციატორი. მეფის სახელით გაცემულ დოკუმენტებს, სიგელი იქნებოდა ეს თუ ანდერძი, ცხადია, ადგენდნენ არა შიო-მღვიმელი ბერები, არამედ შესაბამისი ფუნქციისა და თანამდებობის პირები — მწიგნობრები, უპირველესად კი საწოლის მწიგნობარი. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ დავით IV აღმაშენებლის საწოლის მწიგნობარის შემდგენელი იყოს არა მარტო „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი" და 1123-24 წ.წ. ანდერძი, არამედ რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაც".

დავითის ისტორიკოსად ა. ანთელავას მიაჩნია ანტონი გოდობრელი.

ანტონი გოდობრელი მოხსენიებულია მოგვიანო ხანის იერუსალიმური ხელნაწერის ანდერძში, რომელიც „ადრინდელი ხელნაწერის პირს უნდა წარმოადგენდეს, გადმოღებულს თავისი „ანდერძიანად". ანდერძში აღნიშნულია „ქ̃ე ღ̃ო. მფლ̃ბლო ყ̃თა შეუნდევ ყ̃ნი ცოდვანი დიდისა მ̃ხსტრისა ბერსა მოძ̃ღრთ მოძ̃ღრსა ანტონი გოდობრელსა. ესე წიგნი მარგალიტი საწოლის მწიგნობრობასა მისსა შინა დავწერინა". ი. ანთელავას აზრით, ანტონი გოდობრელი ჯერ საწოლის მწიგნობარი იყო, ხოლო შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდისა მონასტრისა" მოძღვართმოძღვარი. რაც, ცხადია, გელათის მოძღვართმოძღვრობას ნიშნავს.

გოლიათის ძე ანტონი გოდობრელი თავის ძმებთან ერთად იხსენიება დარკვეთის წარწერაში. იგი შვილიშვილია 1000 წლის ქორეთისა და 1046 წლის სავანის წარწერებში მოხსენიებული გიორგი ერისთავთერისთავისა. ჩანს, რომ ანტონი გოდობრელი იყო დავით IV-ის საწოლის მწიგნობარი და შემდეგ გელათის მოძღვართმოძღვარი. საფიქრებელია, რომ იგი პირველი მოძღვართმოძღვარი იყო გელათისა.

ი. ანთელავას დასკვნით, ანტონი გოდობრელი იყო ავტორი დავით IV აღმაშენებლის „ცხოვრებისა", შემდგენი 1123-24 წლების ანდერძისა და, შესაძლოა, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერისა". „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა" დაწერილი უნდა იყოს გელათში, ანტონი გოდობრელის მეფის „მოსაფლავედ" და „მეორე იერუსალიმის" მოძღვრადმოძღვრად ყოფნისას.

როგორც ვხედავთ, ილ. ანთელავს ეს მოსაზრება დავითის ისტორიკოსის ვინაობის შესახებ საყურადღებოა.

ჩვენი აზრით, შესაძლოა, არსენ გოდობრელი ყოფილიყო დავით IV აღმაშენებლის „ცხოვრების" ავტორი, მაგრამ იერუსალიმური ხელნაწერის ანდერძში მოხსენიებული „ესე წიგნი მარგალიტი" საეკლესიოა, ამიტომ, ბუნებრივია, ძნელია გადაჭრით დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად უეჭველად ანტონ გოდობრელი მივიღოთ, თუნდაც დავუშვათ, რომ იგი იყო საწოლის მწიგნობარი დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, ხოლო შემდეგ დიდი მონასტრის მოძღვართმოძღვარი. ისევე როგორც არსენ ბერისა თუ არსენ იყალთოელის, ასევე ანტონ გოდობრელის მიჩნევა დავითის ისტორიკოსად, ჩვენი აზრით საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

ჩვენი აზრით, დავითის ისტორიკოსის ვინაობის კიდევ ერთი ვარიანტი არსებობს. სახელდობრ, ამ საკითხზე ჩვენი ყურადღება მიიპყრო თამარის ისტორიკოსის თხზულებამ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". ისტორიკოსი ეხება რა გიორგი III-ეს, მეფე დემეტრე I-ის ძეს, წერს: „მამა იქმნა გიორგი, მეფე მეფეთა ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითცა ესუა ძედ, ძესა დავითიანისასა და აღმოსავლეთისა და კერძო — ჩრდილოეთის მეცისხოვნისა და ზღვართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელისა, რომლისა დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრებას აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა ჰიმჰიმელისა შესხმა-მითხრობა".

აქ საფიქრებელია „დავითიანისასაში" იგულისხმება დავით აღმაშენებელი, აქედან დაწყებული მოტანილი ტექსტის ბოლომდე თხრობა, ჩვენი აზრით, უნდა ეხებოდეს არა დემეტრე I-ს, როგორც ეს მიაჩნია ნ. მარს, ი. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, კ. გრიგოლიას, ს. ყაუხჩიშვილს, არამედ დავით აღმაშენებელს — „ზღუათა ზღუამდინ მპყრობელს", რომლის „დიდებასა" და „ცხოვრებას" გვაუწყებს ფილოსოფოსი იოანე ჰიმჰიმელი. ანალოგიური მოსაზრება ადრე გამოთქვა ი. ლოლაშვილმა, მაგრამ მისი დადასტურება სცადა სულ სხვა კუთხით და ჩვენი აზრით, არადამაჯერებლად.

სარწმუნო ჩანს, რომ თამარის ისტორიკოსის თხზულებაში ნათქვამი სიტყვები: „აღმოსავლეთსა და კერძო-ჩრდილოეთის მეცისხოვნისა და ზღვართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდის მპყრობელისა" ეკუთვნის არა დემეტრე I, არამედ დავით აღმაშენებელს რომლის „დიდებასა" და „ცხოვრებას" თამარის ისტორიკოსის თქმით გვაუწყებს მოგვითხრობს ფილოსოფოსი იოანე ჰიმჰიმელი.

იოანე ჰიმჰიმელის ეს შესხმა, კი დავით აღმაშენებლისადმი „ისტორიანი და აზმანის" ავტორს ბოლო მოაქვს: „დავით — ვთქუა ზესთა განდიდნეს, მით კრმალი კორცსა ჰამს მისი, და აქილევსებრ ძალითა მპყრობ ელადეთსა ჟამს ისი".

დავით ისტორიკოსი თავის თხზულებაში დავით აღმაშენებელს, მართლაც, ადარებს ბერძენთა გმირს აქილევსს. ეს შემთხვევით არ უნდა იყოს. ამიტომ ვფიქრობთ, არ უნდა გამოირიცხოს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შესაძლო ვარიანტებში ფილოსოფოსი იოანე ჰიმჰიმელიც.

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის დადგენა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ავტორის ვინაობის ვარიანტები რამდენიმეა, გამორიცხული არაა სხვა უცნობიც. ამიტომ, მიუხედავად, საყურადღებო მოსაზრებებისა, ეს საკითხი კვლავ სადავოა და ღიად რჩება, ვიდრე ქართული ისტორიოგრაფია თუ პირდაპირ საბუთს არა, უფრო დამაჯერებელ და ხელშესახებ არგუმენტს არ წარმოაჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიო სარჯველაძე

# „სულისა“ და „სამშვინველის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ძველი აღთქმის წიგნთა ქართულ თარგმანებში

**ეძღვნება დათო კვიტაიშვილის ხსოვნას**

**წინამდებარე** სტატია მიზნად ისახავს ძველი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმანების მიხედვით განისაზღვროს ბერძნული psyxe-სა და pnewma-ს შესატყვისი ლექსიკა და გამოკვეთოს ძველი ქართული „სამშვინველისა“ და „მშვნვიერის“ სემანტიკა ამ წიგნთა ფარგლებში.

ორთოდოქსალურ ქრისტიანულ რელიგიაში ადამიანი შედგება სამი ნაწილისაგან: სულის, სამშვნველისა და სხეულისაგან. ტერმინი „სამშვნველი“ ან „მშვნვიერი“ დასტურდება ძველი ქართული ენის მრავალ ძეგლში.

ახალი აღთქმის ქართულ თარგმანებში ეს ტერმინები გვხვდება პავლეს ეპისტოლეებში. პავლე მოციქულის I ეპისტოლეს კორინთელთა მიმართ, თ-15, 44-ში გვხვდება „მშვნვიერი“ და „სულიერი“ გვერდიგვერდ. მუხლს მოვიყვანთ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 9 ხელნაწერის მიხედვით, რადგანაც ეს ხელნაწერი შეიცავს მეტად საინტერესო კომენტარებს ეფრემ მცირისა, რომელიც ნათელს ჰფენს ამ ტერმინთა შინაარსს: „დაეთესვის ჴორცი **მშჳნვიერი** და აღდგების ჴორცი **სულიერი**. არს ჴორცი და **მშჳნვიერი** და არს ჴორცი **სულიერი**.

თარგმანი: **მშჳნვიერად** ჴორცად იტყჳს აწინდელთა ამათ ჴორცთა ჩუენთა, არა თუ ვითარმცა ყოვლად უნაწილო იყვნეს **სულისაგან** წმიდისა, რამეთუ მრავალთა შორის აწცა მოქმედებს მადლი მისი, არამედ არა სამარადისოდ, არამედ რაჟამს ცოდვად მიდრკეს კაცი, მაშინ იოტებს თავსა თჳსსაგან მოქმედებასა სულისა წმიდისასა, ხოლო მერმესა მას არა ეგრეთ, არამედ სამარადისოდ მკჳდრ-იყოს იგი გუამთა ყოველთა წმიდათა და მართალთასა, ვითარცა საუკუნოდ განთავისუფლებულთა აქაჲსა ამის ნივთთა სიზრქისა და შემამრღუეველობისაგან, გინა თუ ესრეთცა ვთქვათ, ვითარმედ: ჴორცად **მშჳნვიერად** უწოდს აწინდელსა ამას გუამთა ჩუენთა სიზრქესა და სიმძიმესა. ხოლო ჴორცად **სულიერად** მერმე აღდგომადსა მას გუამსა, ვითარცა უწულილესსა და უსუბუქესსა, რამეთუ დაღაცათუ ამითვე ჴორცითა აღვდგებით, არამედ არა ესევითნივე ზრქელნი და მოკუდავნი და განხრწნადნი ყოფად არიან ასონი ჩუენნი.

მოციქულისაჲ: არს ჴორცი **მშჳნვიერი** და
არს ჴორცი **სულიერი**.

თარგმანი: რაჲთა არა ურწმუნო იქმნე საქმესა ამას, ამისთჳს სახედ შემოგართუამს პირველისა მის გუამისა **მშჳნვიერობასა** და მეორესა ამად: [უფლი]სა ჩუენისასა **სულიერთა** ჴორცთა ქონებასა, რომელი ცხად-ყო სახითა ტრედისაჲთა გარდამოსრულმან მის ზედა. რამეთუ თჳსივე იგი მისი სული ბუნებითი ღმრთეებისაჲთა მის თანა განცხადებულად მოქმედებდა ბუნებასა შინა კაცებისასა“.

Ier. № 9, 35r

ვგონებთ, მოყვანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ პავლეს ამ ეპისტოლეში **სულსა** და **სამშვნველს**, შესაბამისად ბერძნულ psyxe-სა და pnewma-ს შორის მკვეთრი სხვაობაა. პირველი აღნიშნავს უხრწნადს, მარადიულს, ღვთიურს, ხოლო მეორე კი ხორცთან ერთად დალუპვად რაიმეს, რაც ადამიანს მხოლოდ სიცოცხლის პროცესში გააჩნია.

I კორინთელთა მიმართ, თ. 15-ის განხილულ და შემდგომ მუხლებში ნახმარი „სულ-“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „სამშვინველი" სწორედ ორთოდოქსალური ქრისტიანობის მიერ ჩამოყალიბებულ „სულსა" და „სამშვინველს" აღნიშნავს:

I კორინთელთა მიმართ. თ-15. 45.

„ეგრეცა წერილ არს: იყო პირველი იგი კაცი ადამ **სამშჳნველად** ცხოველად, ხოლო უკუანაჲსკნელი ადამ — **სულად** განმაცხოველებლად.

46. არამედ არა პირველად **სულიერი** იგი, არამედ **მშჳნვიერი**, მაშინღა სულიერი".[1]

ახალი აღთქმა პავლეს ეპისტოლეებში არსებულ გამონაკლისთა გარდა არ განარჩევს **სულსა** და **სამშჳნველს** და ბერძნული psyxe-სა და pnewma-სათვის ქართულ თარგმანში მხოლოდ **სული** იხმარება.[2]

ცნობილი ფილოსოფოსისა და საეკლესიო მოღვაწის იოანე პეტრიწის მიერ ჩამოყალიბებული მთარგმნელობითი მეთოდით შესრულებულია ძველი აღთქმის ქართული თარგმანი, ე. წ. „გელათის ბიბლია".[3] ამ თარგმანში უმნიშვნელო გამონაკლისთა მიუხედავად დომინირებს ორივე ბერძნული ტერმინისათვის ქართული „სული". ამავე სკოლაში ითარგმნა მრავალი ბიზანტიელი ავტორის თხზულება, მათ შორის ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებნი და კომენტარები ახალი აღთქმის წიგნებზე.

ქართული ენისათვის გვიანდელ საუკუნეებში ტერმინ სამშვნველის" დაკარგვა ძნელი ასახსნელია ქართული ქრისტიანობის ორთოდოქსალური მიმდინარეობის გამო. შესაძლო მიზეზთა შორის საფიქრებელია ახალი აღთქმის წიგნებში პეტრიწონულ სკოლაში XI—XIII საუკუნეებში ბერძნული pnewma-სა და psyxe-სათვის მცირე გამონაკლისთა გარდა ქართული „სულის" ხმარება. იოანე პეტრიწის მთარგმნელობითი მეთოდის ძირითადი მახასიათებელია ორიგინალის ენისათვის თარგმნილი ტექსტის ზედმიწევნითი დაახლოება. „სულისა" და „სამშვნველ" ტერმინთა შორის დიფერენციაციის იგნორირება კი ძნელად ასახსნელი ხდება ამ მეთოდიდან გამომდინარე. შესაძლოა დავუშვათ, რომ თვით იოანე პეტრიწი არ აღიარებდა ადამიანის სამსახოვნებას და ამასთან სპობდა ბერძნულ pnewma-სა და psyxe-ს შორის განსხვავებას ორივე ტერმინის **სულით** გადმოცემისას.

XI—XII საუკუნეთა „წმიდათა ცხოვრების" კრებულში (ხელნაწერი A 217) დასტურდება შესანიშნავი ქართველი მთარგმნელის ეფრემ მცირის მეტად საინტერესო გამონათქვამი ბერძნული pnewma-სა და psyxe-ს მნიშვნელობათა და ამ ტერმინთა ქართული ეკვივალენტის შესახებ: „შეისწავე, რამეთუ ორსახე არს ბერძულად სახელი **სულისაჲ-ფსიქი**, რომელი უმეტესსა ადგილსა **სამშჳნველისა** წილ დადებულ არს პავლესსა შინა. და კუალად — **პნევმა**. რომელი-ესე თჳთ თავადის **სულისა** არსებასა უწოდიან და წმიდისათჳს იგივე ითქუმის. ხოლო ქართველთა ულონობისაგან ერთი სახელი აქუს სულისაჲ. ამისთჳს აწ მასვე და ორგზის იტყჳს". (322 წ. აშიაზე)[4].

როგორც ვხედავთ, ბერძნული psyxe-სა და pnewma ტერმინთა ეკვივალენტად „სულის" ხმარებას ეფრემ მცირე ქართული ენის ნაკლად („ქართველთა ულონოებისაგან") მიიჩნევს.

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 22 ხელნაწერში, რომელიც XII—XIII საუკუნეებს განეკუთვნება, დაცულია უცნობი ქართველი მთარგმნელის მიერ ბერძნულიდან გადმოღებული XI საუკუნის ბიზანტიელ თეოლოგის, თეოფილაქტე ბულგარელის „მარკოზისა და ლუკას სახარების თარგმანებანი". თარგმანი შესრულებულია პეტრიწული სკოლის მიმდევრის მიერ. ლუკას სახარების კომენტარის ერთ ადგილას თეოფილაქტე ბულგარელი მსჯელობს **სულისა** და **სამშჳნველის** შესახებ. მოვიყვანთ შესაბამის ქართულ თარგმანს:

„მისივე და ერთისა არსებისა ზედამომლებლად საგონებელ არს ორთა მათ სახელთა **სულისათა**, ხოლო საკუთრად (წერილი) განაყოფს მათ, რამეთუ **მშჳნვიერად** კაცად უწესს ბუნებითისა წესისაებრ, ხოლო ცხოველსა და კაცობრივითა გულისსიტყვთა განმგებელსა, ვითარიგი რაჲამს შიოდის მჭამელსა, მტერისა მომძულებელსა და მარტივად ითქუმოდენ: ვერარაჲს მიერ კერძო ბუნებისა მომგონებელსა, ხოლო **სულიერად** ზესთა ალსრულსა ბუნებისა სჯულთასა და არარაჲს კაცობრივისა მოგმონებელსა და ესე არს განყოფილებაჲ **სამშჳნველისა** და **სულისაჲ** წერილთა შინა". (Ier. 22, 42V, ლუკა, 1, 46—50 მუხლთა კომენტარი).

საინტერესოა, რომ ქართველი მთარგმნელი თხზულების თარგმნის დროს ამ ორ ბერძნულ ტერმინს არ განარჩევს და „სულით" თარგმნის.

Sin—59 ხელნაწერში, 101r, 2—3 სიტყვა „სამშმინველი" იკითხება:

„წმიდა-ყვენ **სულნი** და კორცნი და **სამშმინველნი** ჩუენნი"[5]. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ეს ტერმინი ადამიანის სამსახოვნების ერთ-ერთი კომპონენტისათვის იხმარება.

ჩვენ მიერ ძველი აღთქმის წიგნთა ქართულ თარგმანებიდან ამოკრებილი მასალა (სულისა და სამშვინველის, ასევე ბერძნული psyxe-სა და pnewma-ს შესაბამისი ლექსიკა) ვფიქრობთ, შესაძლებლობას იძლევა ქართული ტერმინი „სამშვინველის" სემანტიკის დასადგენად.

მასალის ამოწერისას ძირითადად ვეყრდნობოდით ძველი აღთქმის კონკორდანსს[6] და ძველი და ახალი აღთქმის სიმფონიას.[7]

ძველი აღთქმის ქართული კრიტიკული გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა სრულად არ მოგვეპოვება, ამიტომ მასალა ამოღებულია მცხეთური ბიბლიის წიგნებიდან:[8] (წინასწარმეტყველთა წიგნების გარდა) დაბადებიდან, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯულის, ისო ნავესი, მსაჯულთა, მეფეთა წიგნების, I ნეშტთა, II ნეშტთა, ეზრას წიგნების, იობისა და ფსალმუნთა მიხედვით. ბიბლიის, პირველი ორი წიგნის მასალა შეჯერებულია აკადემიურ გამოცემასთან,[9] ხოლო მეორე სჯულთა კი ნარგიზა გოგუაძის მიერ აკადემიურად დადგენილ ტექსტთან.[10]

ბერძნული ძველი აღთქმის წიგნთა მასალა „Septuaginta“[11]-დან არის ამოწერილი.

სულხან-საბა ორბელიანმა რედაქტირება გაუკეთა მცხეთურ ბიბლიას, შეავსო ძველი აღთქმის წიგნები. მცხეთური ბიბლიის შემადგენელი წიგნები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მთარგმნელთა მიერ არის გადმოღებული ბერძნულიდან, ამიტომ ტერმინები არა ერთგვაროვნად ნაწილდება ამა თუ იმ წიგნთა მიხედვით.

ამოწერილი მასალის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ძველ ბერძნულ psyxe-სა და pnewma-ს სხვადასხვა ტერმინები შეესატყვისება ქართულში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი არ ითარგმნება. მოვიყვანთ ბერძნული psyxe-ს შესატყვის ქართულ ტერმინებს რიცხობრივი მონაცემებით: სული—132; სამშვნველი—6; მშვნვიერი—2; თავი თჳსი—14; გული—9; გონება—7; კაცი—3; ძალა—2; აღმომფშვნელი—1; რამდენიმე შემთხვევაში არ ითარგმნება.

ბერძნული pnewma-ს შესატყვისად იხმარება ქართული „სული“, ხოლო გამონაკლისის სახით: სამშვნველი—1, რამდენიმე შემთხვევაში არ ითარგმნება. საინტერესოა — ქართული სამშვნველისათვის რამდენიმე ადგილას სხვადასხვა ბერძნულ სიტყვათა წაკითხვა: სამშვნველი 2 შემთხვევაში ბერძნულ empneos-ს შეესატყვისება, ხოლო ერთხელ კი pnoe-ს აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ერთ ადგილას ქართული სამშვნველი ნახმარია შესაბამისი ბერძნული სიტყვის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი რიცხობრივი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ბერძნული pnewma და psyxe ქართულად ძირითადად „სულით“ ითარგმნება, ხოლო სხვა ტერმინები კი მასთან შედარებით გამონაკლისის სახით გვევლინება.

ძველი აღთქმის წიგნთა მიხედვით ეს მონაცემები სხვადასხვაგვარად ნაწილდება. განვიხილოთ ბერძნულ psyxe-ს შესატყვისად ხმარებული არაერთგვაროვანი ლექსიკა.

1.1. დაბადება 1,20.

H 1207 XVII ს-ის ხელნაწერი, მცხეთური ბიბლია: „და თქუა ღმერთმან: გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები **სამშვნელთა** ცხოველთა და მფრინველნი მფრთოვანენი ქუეყანასა ზედა სამყაროსაებრ ცისა“.

A 179 1669 წ-ის ხელნაწერი, A 455 ბაქარის გამოცემა: „და თქუა ღმერთმან: გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები **სამშვნველთა** ცხოველთა და მფრინველნი მფრინვალენი“.

შესატყვის ბერძნულ ადგილას ვკითხულობთ psyxon dʒoson, რაც ცოცხალ სამშვნველთა“-თი ითარგმნება.

იგივე ბერძნული შესატყვისი იკითხება შემდეგ მაგალითშიც:

დაბადება 1,24.

H 1207, XVII ს-ის ხელნაწერი, მცხეთური ბიბლია, A 179 1669 წ-ის ხელნაწერი, ბაქარის ბიბლია: „და თქუა ღმერთმან: გამოიღედ ქუეყანამან **სამშვნველი ცხოველი** ნათესაობისაებრ ოთხფერჴთა“.

განხილულ მაგალითთაგან ჩანს, რომ „სამშვნველი“ ნახმარია დღევანდელი ქართული „საფშვნველის“ (ცოცხალი, ვინც სუნთქავს) მნიშვნელობით.

ბერძნული psyxe-ს შესატყვისად იხმარება „სამშვნველი“ შემდეგ მაგალითშიც:

II სჯულთა, 12, 23.

მცხეთური ბიბლია, ბაქარის ბიბლია: „ეკრძალე მტკიცედ არა ჭამად სისხლისა, რამეთუ სისხლი საცხოვარისა **სამშვნელ** მისა არს, არა შჭამო შენ **სამშვნველი*** იგი ჴორცისა მას თანა“.

Q 1152, XII—XIII-ის ხელნაწერი:

„ეკრძალე თავსა შენსა, ძლიერად ჭამისათვის სისხლისა, რამეთუ სისხლი მისი **სულ** არს, არს, არა, იჭამოს **სული** ჴორცსა თანა“.

მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ ბაქარისა და მცხეთურ ბიბლიებში psyxe-ს შესატყვისი „სამშვნველი“. ადამიანის არამატერიალური კომპონენტის აღმნიშვნელია, რასთან განშორებაც სიკვდილს იწვევს, ხოლო Q 1152-ში კი ორსავე შემთხვევაში „სული“ გვხვდება.

იმავე, „ცოცხლის“ მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი „მშვნვიერი“ და „სამშვნველი“ შემდეგ მაგალითში:

II სჯულთა, 20; 16. მცხეთური ბიბლია, ბაქარის ბიბლია, H 885 XVII ს-ის ხელნაწერი A 243 1672 წლის ხელნაწერი:

„მოსრვით მოსრნე იგინი და არა დაუტეო მას შინა ცოცხალი ერთიცა **მშვნვიერი,**** რომლისა თანა იყო **სამშვნელი***** ცხოველი“.

საინტერესოა, რომ Q 1152, XII—XIII ს-ის ხელნაწერი გვაძლევს შემდეგ წაკითხვას: „აღმომფშვნველი“, მაშინ, როდესაც სხვა ყველა შემთხვევაში ბერძნული psyxe ამ ძეგლში „სულით“ ითარგმნება:

---

* ბაქარის ბიბლია: არა შეჭამო შენ **სამშვნელი.**

** ბაქარის ბიბლია: მშვნვარი; მცხეთური ბიბლია: მშუმინვიერი.

*** ბაქარის ბიბლია: სამშვნელი A 243. მშვნვიერი H 885 მშვნვიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II სჯულთა, 20.16 „ხოლო აჰა, ქალაქებისაგან ამათ ნათესავთაჲსა, რომელთასა უფალი ღმერთი შენი გიცემს შენ დამკჳდრებად, ქუეყანისა მათისა არა წარმოტყუენოთ მათგან ყოველი **აღმომფშჳნველი**".

მეფეთა წიგნებში ტერმინი „სამშჳნველი" 3-ჯერ გვხვდება მცხეთურ ბიბლიაში:

III მეფეთა, 17.21: „დაჰბერა სამგზის ყრმასა მას და ხადოდა უფალსა და თქუა: უფალო, ღმერთო ჩემო, მოიქცინ **სამშჳნელი** ყრმისა ამის ამისავე? და იყო ეგრე".

განხილულ მაგალითში ბერძნული psyxe-ს შესატყვისი „სამშჳნელი" ნახმარია ადამიანის შემადგენელი არამატერიალური კომპონენტის აღმნიშვნელად, რისთან განშორებაც სიკვდილს იწვევს.

შემდეგი მუხლი, რომელშიც ასევე გვხვდება ტერმინი „სამშჳნველი" ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობით, ბერძნულში არ არის წარმოდგენილი:

III მეფეთა, 17, 22.

„ისმინა უფალმან ღაღადებაჲ ელიასი და მოიქცა **სამშჳნველი** ყრმისა მის გვამადვე მისა და განცოცხლდა".

1.2. III მეფეთა 17. 17 მუხლში ძლიერ საგულისხმოა ბერძნული pnewma-სათვის ქართული „სამშჳნველის" ხმარება, რადგანაც ქართველი მთარგმნელები ამ ბერძნულ ტერმინს უმნიშვნელო გამონაკლისითა გარდა „სულით" თარგმნიან, საყურადღებოა აგრეთვე მეორე გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიც „სამშჳნველი" ადამიანის შემადგენელი არამატერიალური კომპონენტის აღსანიშნავად გვხვდება, რომელთან განშორებაც სიკვდილს იწვევს, ხოლო სხეულთან მისი თანაარსებობა კი სიცოცხლის განმაპირობებელია:

III მეფეთა, 17, 17 მცხეთური ბიბლია:

„შემდგომად სიტყუათა ამათ დასნეულდა ძე დედოფლისა მის სახლისა, იყო სენი ძნელ ფრიად, ვიდრე არა დაშთა სამშჳნველიცა მის თანა".

1.3. აღსანიშნავია, რომ იმავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი „სამშჳნველი" მცხეთურ ბიბლიაში იობის წიგნში, მხოლოდ მისი ბერძნული შესატყვისია pnoe:

იობი, 27, 2—3, მცხეთური ბიბლია:

„ცხოველ არს უფალი, რომელმან დამსაჯა ესრეთ და ყოვლისა მპყრობელი, რომელმან განამწარა **სული** ჩემი, ვიდრემე **საშუმინველი** ესე ჩემი თანა იყოს **სული** სალმრთოჲ, რომელ არს ცხვრთა შინა ჩემთა".

1.4. „სიცოცხლის" მნიშვნელობით იხმარება „ტერმინი" „მშჳნვიერი" ორსავე შემთხვევაში „ისო ნავეს" წიგნში მცხეთური ბიბლიისა. ბერძნულ ბიბლიაში ამ ადგილებზე empneos-ს ვკითხულობთ

ისო ნავე 11.11 მცხეთური ბიბლია:

„მოსრეს ყოველი **მშჳნვიერი** მას შინა პირითა მახჳლისათა და აღჴოცეს ყოველი და არა დაშთა მას შინა **მშჳნვიერი**".

ამრიგად, ძველი აღთქმის ჩვენ მიერ განხილულ წიგნებში დადასტურებული „სამშჳნველი" და „მშჳნვიერი" ბერძნული psyxe-ს, pnewma-ს, pnoe-სა და empneos-ს შეესატყვისება, ხოლო ამ ტერმინის მნიშვნელობა კი ყველგან ერთია და ქართველ მთარგმნელთათვის უკავშირდება „სიცოცხლეს", სუნთქავს, იმას, რისთან განშორებაც სიკვდილს იწვევს.

ბერძნულ psyxe-ს რომელიც ზმნა psyxo-დან არის ნაწარმოები, რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ქარი, სუნთქვა, სიცივე, სული, სამშვინველი, გონება.[12]

როგორც ზემოთ ჩანს, ბერძნული psyxe-ს შესატყვისად ძველი აღთქმის განხილულ წიგნებში „სულისა" და „სამშჳნველის" გარდა შეესატყვისება სხვა ტერმინებიც, რომელთაგან ყველაზე ხშირად „თავი თჳსი" გვხვდება, განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა:

2.1. რიცხვთა, 30,6.

„რომელსა ესმეს ყოველი აღთქუმაჲ იგი მისი და დროებანი, რომელ დრო-ყუნა **თავისა თჳსისათჳს**, არა დადგენ და განწმიდოს იგი რამეთუ არა თავს — იდვა მამამან მისმან..."

რიცხვთა, 30,8.

„ესრეთ დაემტკიცნენ ყოველნი აღთქუმანი მისნი დროებანი მისნი, რომელ დრო-ყუნა **თავსა თჳსისათჳს** დადგენ იგი..."

I მეფეთა, 19.5.

„**თავი თჳსი** მისცა ჴელთა მამისა თჳსისა ქეთილის თხოვად დავითისათჳს".

II სჯულთა, 13.6.

„რომელი სწორი იყო **თავისა შენისაჲ** ფარულად..."

Q1152. „ანუ მოყუარე შენი, სწორი **სულისა** შენისაჲ..."

მცხეთური ბიბლიის განხილულ წიგნთა 14-სავე შემთხვევაში „თავი თჳსი" ბერძნულ psyxe-ს შეესატყვისება და ადამიანის ინდივიდუალურ მეს, მხოლოდ მის პიროვნებას აღნიშნავს.

2.2. ბერძნულ ძველ აღთქმაში ხმარებული გამოთქმა ex holes tes kardyas kay ex holes tes psyxes ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში სხვადასხვა ტერმინებით არის გადმოღებული:

II სჯულთა: 11.13.

„შეიყუაროთ უფალი ღმერთი თქუენი და ჰმსახურებდით მათ ყოვლითვე გულითა თქუენითა და ყოვლითა **ძალითა** თქუენითა"

III მეფეთა 8,48.

„მოიქცეს ყოვლითა გულითა და ყოვლითა **ძალითა** თჳსითა".

II სჯული 13.3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გეყუარდეს თუ თქუენ უფალი ღმერთი თქუენი ყოვლითა გულითა თქუენითა და ყოვლითა გონებითა თქუენითა“.

2.8. „ლევიტელთა“ წიგნში მცხეთური ბიბლიისა ბერძნულ psyxe შესატყვისად 3 შემთხვევაში „კაცი“ არის ნახმარი: ლევიტელთა 4.2.

„კაცმან თუ ცოდოს წინაშე ღმრთისა არა ნებსით ყოვლითა მათგან ბრძანებათა ღმრთისათა“.

ლევიტელთა 17.10.

დავამტკიცოთ პირი ჩემი კაცსა მას ზედა, რომელმან ჭამოს სისხლი და წარვწყმიდო იგი ერისაგან თჳსითა“.

განხილულ შემთხვევებში „კაცი“ ნიშნავს ადამიანს, ნებისმიერს ერისაგან.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, ძველი აღთქმის განხილულ წიგნთა ქართულ თარგმანებში ბერძნულ psyxe-სა და pnewma-ს რამდენიმე ქართული ტერმინი შეესატყვისება, რომელთა მნიშვნელობანი არ ეწინააღმდეგება სათარგმნ ბერძნული სიტყვის შინაარსს.

ქართული „სამშვენველი“ მშვინვა (II ფშვინვა) ზმნის სარბიექტო მიმღეობაა სა-ელ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები. „მშვენიერი“ კი სასუბიექტო მიმღეობა მ-იერ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები, მის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს მშუმინვიერი, ასევე საშუმინველი-სამშვენველისათვის.

საფიქრებელია, რომ ძველ ქართულ ენაში ზმნა მშვინვა ხმაბაძვითია სუნთქვის, ამოფშვინვის დროს წარმოქმნილ ბგერათა ასახვა. ქართველთა ცნობიერებაში მტკიცედ იყო გადაჯაჭვული სუნთქვა და სიცოცხლე, რომლის შეწყვეტასთან ერთად ადამიანს უქრება მშვინვა (II ფშვინვა) სუნთქვა.

ძველი ბერძნულისა და ძველი ებრაული შესატყვისი ტერმინებიც შესაბამისი ზმნებისაგან არის ნაწარმოები: pepeš — სუნთქვა, nepeš haja — ცოცხლის მიერ სუნთქვა, სული, მე თვითონ, გონება;[13] ruha — სული, სუნთქვა, გონება, ქარი,[14] რომელიც ნაწარმოებია ზმნისაგან ruha — სუნთქვა, დაბერვა, ნესტოებით ამოსუნთქვა.[15]

როგორც აღმოჩნდა, არც ძველ ებრაულში იყო მკვეთრად დიფერენცირებული ruha-სა და napeš-ის მნიშვნელობა, ორივე სუნთქვის სიცოცხლის, ცოცხლის ღმერთის სულის (ruha elohim) მნიშვნელობით იხმარებოდა. Gesenius-ის ძველი აღთქმის ებრაულ-ქალდეურ ლექსიკონში დამოწმებულ მაგალითთაგან napeš უფრო ხშირად „სულის“ მნიშვნელობით იხმარება, როგორც ძველი ბერძნული pnewma, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ მოხდა მკვეთრი დიფერენცირება ბერძნული pnewma-სა და psyxe-ს მნიშვნელობათა შორის. პირველმა მიიღო ღვთიური სულის, ან ადამიანის სულის შინაარსი, ხოლო მეორემ კი საფშვინველის, სხეულის სიცოცხლის განმაპირობებლის მნიშვნელობა.

შენიშვნები:

[1] „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები“ გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ, აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1974, გვ. 159.

[2] პავლეს ეპისტოლეებში ტერმინ „სამნშვველის ხმარების შესახებ იხ. აგრეთვე კ. დანელია, „ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“, თბ., 1983, გვ. 205; 217.

[3] Q1152 XII—XIII საუკუნის ხელნაწერი.

[4] სარჯველაძე „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი“ თბ., 1984, გვ. 215.

[5] სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 340.

[6] A Concordance to the Septuagint and the other Greak versions of the Old Testament (Including the Apocryphal books) by the late Edwin Hatch, M. A. D. D. and Henry A. Redpath, M. A. Graz—Austria, 1975.

[7] Симфония, или Алфавитный указатель к Священному Писанию, 1925.

[8] „მცხეთური ხელნაწერი“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, ტბ. I, 1981, II, 1982 წ. III 1983 წ.

[9] „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“ ნაკვეთი I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა „მეცნიერება“ თბ., 1989 წ.

[10] ქალბატონ ნარგიზა გოგუაძეს დიდ მადლობას მოვახსენებთ მის მიერ გადმოწერილ და კრიტიკულად დადგენილ II სჯულთას ტექსტით სარგებლობისათვის.

[11] Septuaginta, Id est Vetus Testamentum aece iuxta LXX interpretes, edidit Alfred Rahlfs, Stuttgart, 1935, volum I—II.

[12] Greak—English Lexicon, compiled by Henry Georg Liddell and Robert Scott, Oxford, 1968, p. 2028—9.

[13] Gesenius Hebrew—Chaldee Lexicon to the Old Testament, Michigan, 1982, გვ. 558.

[14] იქვე, გვ. 760.

[15] იქვე, გვ. 759.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმან ნაზაროვი

# იაკობ სვერდლოვი—სამოქალაქო ომისა და მასობრივი რეპრესიების ორგანიზატორი

**1989 წლის** 16 მარტს 70-ე წელი შესრულდა იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვის გარდაცვალებიდან. მაგრამ არც ერთი ბეჭდვითი ორგანო არ გამოხმაურებია ამ, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვან თარიღს და „მგზნებარე" რევოლუციონერისათვის არ მიუძღვნია სტრიქონიც კი. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ 1989 წლის დასაწყისში, თითქოსდა სვერდლოვის დაბადების დღესთან დაკავშირებით, პრესაში იმისგან სრულიად განსხვავებული ცნობები გამოჩნდა, რასაც საერთოდ შეჩვეული ვართ. საკმარისია, გავიხსენოთ თუნდაც ა. ზნამენსკის რომანი „წითელი დღეები" (გამოაქვეყნა „რომან-გაზეთმა" 1989 წლის დასაწყისში), ე. ლოსევის ნარკვევი „სამგზის მსჯავრდებული" (ჟურნალი „მოსკვა", № 2, 1989 წ.) და 1989 წლის მარტის „ლიტერატურნაია გაზეტას" ფურცლებზე დასტამბული ვ. კოჟინოვისა და ბ. სარნოვის საუბარი. ა. ზნამენსკი, ე. ლოსევი და ვ. კოჟინოვი მრავალ ისეთ დაზუსტებულ ფაქტსა და საბუთს გვაწვდიან, რომელთაც წლების განმავლობაში გვიმალავდნენ.

კიდევ თუ მოგვეპოვება რაიმე ლიტერატურა იაკობ სვერდლოვზე? როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ეს გახლავთ მხოლოდ მისი მეუღლის კ. ტ. ნოვგოროდცევას მოგონებები.

ახლა ოფიციალურ ცნობებს გადავხედოთ, კერძოდ, გადავფურცლოთ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 23-ე ტომი (ბოლო, მესამე გამოცემა). სტატიაში, რომელიც სვერდლოვს ეძღვნება, აღნიშნულია, რომ ის „არის სკკპ წევრი 1901 წლიდან", „დაიბადა ხელოსან-გრავიორის ოჯახში", „პროფესიონალი რევოლუციონერია", „მოღვაწეობდა ნიჟნი ნოვგოროდში, კოსტრომაში, იაროსლავლში, ყაზანსა და სხვ..."

აქვე აღნიშნულია, რომ „1902-1903 წლებში რამდენჯერმე დააპატიმრეს, იყო ციხეში, გადასახლებაში", „1905 წლის დეკემბერში ხელმძღვანელობდა ეკატერინობურგის რსდმპ კომიტეტს", „1905 წლის დეკემბერში მისი ინიციატივით შეიქმნა ნარიმის მხარეში გადასახლებულთა პარტიული მართვის ცენტრალური ბიურო", „ეკატერინობურგში ხელმძღვანელობდა ურალის საოლქო პარტიულ კონფერენციას", „აპრილის სრულიად რუსეთის საოლქო პარტკონფერენციის შემდეგ არჩეულია ცკ-ის მდივნად. შეჰყავთ საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის წევრად". „ხელმძღვანელობს რსდმპ(ბ) VI ყრილობის საორგანიზაციო ბიუროს, რომელზეც ირჩევენ ცკ-ის წევრად". „1917 წლის 8(21) ნოემბერს ლენინის წინადადებით ირჩევენ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ..."

ეცნობი ამ მონაცემებს და „ახლებურად აზროვნების შუქზე" ბევრ რამეში ეჭვი გეპარება. რატომ? დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 50-ე ტომში (პირველი გამოცემა) საქმე ცოტა სხვანაირადაა: „სვერდლოვი... 1901 წლიდან მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატების მოძრაობაში". იმაზე, რომ სვერდლოვი კომუნისტური პარტიის წევრია 1901 წლიდან, არაფერს გვეუბნება თვით ვ. ი. ლენინიც... „მოღვაწეობის პირველ ხანაში, სრულიად ჭაბუკი, ჯერ კიდევ ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური მრწამსით, მთლიანად მიემხრო რევოლუციას" (1919 წლის 18 მარტს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელდახელო თათბირზე ი. მ. სვერდლოვისადმი მიძღვნილი სიტყვიდან, იხ. წიგნი „იაკობ სვერდლოვის შესახებ", 1985 წ. გვ. 8).

პარტიაში მისი 1901 წლიდან მოღვაწეობის შესახებ არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი არც ნეკროლოგში (იხ. 1919 წლის 18 მარტის „პრავდა").

როგორ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, სვერდლოვის 1901 წელს პარტიაში შესვლის თაობაზე არაფერს წერს არც მისი ძმა გერმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვერდლოვი (ენციკლოპედიის ცნობარი, ტომი „საბჭოთა კავშირის და ოქტომბრის რევოლუციის მოღვაწენი“, 1924 წ. გვ. 14-18) და არც კ. ტ. ნოვგოროდცევა — ქმრისადმი მიძღვნილ მოგონებების წიგნში (იხ. „იაკობ სვერდლოვის შესახებ“, გვ. 187-211).

მსგავსი არაფერი ჩანს არც სვერდლოვის ქალიშვილის — ვერას მოგონებებში (იქვე, გვ. 211-216): აი, დები: სოფია და სარა და ძმა ვენიამინი კი იაკობის სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ იხსენებენ, რომ „თხუთმეტი წლისა ის უკვე რევოლუციონერი იყო, ხოლო თექვსმეტისა პარტიაში შევიდა“... რომელში? აკი ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა (ლენინის ცნობილი გამოთქმის თანახმად), აღმოცენდა რსდმპ II ყრილობაზე, ლონდონში, 1903 წელს.

ომამდელ პარტიულ ბეჭდვით ორგანოებში პარტიის წევრებზე ასე წერდნენ: რსდმპ წევრია ამა და ამ წლიდან, ხოლო ამა და ამ წელს (აუცილებელი იყო მიეთითებინათ თვეც კი — ამას დაჟინებით მოითხოვდა ლენინი) მიემხრო ბოლშევიკებს. სვერდლოვის ბიოგრაფიაში არც ერთი თარიღი არ არის მინიშნებული და, ალბათ, ამის გამოც ხდება, რომ დღემდე ვერავინ გაბედა მისი პოლიტიკური ბიოგრაფიის გამოცემა. როგორც ჩანს, იგი არც არსებულა. გავბედავ და გაგიზიარებთ ჩემს ეჭვებს, რომ ბოლშევიკების პარტიაში იგი შემთხვევითი კაცია, როგორც ბევრი სხვაც, ბოლშევიკებს 1917 წლის მარტიდან, პარტიის იატაკქვეშეთიდან გამოსვლის შემდეგ რომ მიეკედლნენ.

ი. მ. სვერდლოვი დაიბადა 1885 წლის 22 მაისს (ძველი სტილით), ნიჟნი ნოვგოროდში (ახლანდელი ქალაქი გორკი), პოკროვკაზე (ახლანდელი სვერდლოვის ქუჩა). მამა — მირაიმ (სხვა მონაცემებით — მოვშა, რამდენადაც სვერდლოვის პირად საბუთებში ხშირად ვხვდებით: მამის სახელი მოვშას-ძე) იზრაილის ძე — „ხელოსანი-გრავიორი“ კი არ იყო, როგორც დიდი საბჭოთა ენციკლოპედია ამტკიცებს, არამედ საგრავიორო სახელოსნოს მეპატრონე. მამის გვარს თვითონ იაკობი, რატომღაც, არსად არ ახსენებს. იაკობის მამას პირველი ცოლისგან 3 ვაჟი ჰყავდა: ზინოვი, ვენიამინი, ლევი და ორი ქალიშვილი: სარა და სოფია. მეორე ცოლთან კიდევ ორი ვაჟი — ალექსანდრე და იაკობი შეეძინა. სვერდლოვის დედაზე თითქმის არაფერი ვიცით, იმის გარდა, რომ ელიზავეტა სოლომონის ასული დიასახლისი იყო, ხოლო პაპა — მამის მამა — სარატოველი ვაჭარი.

სვერდლოვის და სოფიაც იუველირის, საგრავიორო სახელოსნოს მეპატრონის ცოლი გახლდათ. დების — სარას და სოფიას და ძმის ვენიამინის გადმოცემით, იაკობი ბავშვობაში ცოცხალი და მკვირცხლი იყო, თუმცა გარეგნულად თავის ხნოვანებაზე მეტის ჩანდა. პირობას თუ მოგცემდათ, არავითარ შემთხვევაში არ გატეხდა, ხოლო თუ რაიმეს გადაწყვეტდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, მიზანს ნებისმიერი მსხვერპლის ფასად მიაღწევდა.

სვერდლოვის დაკითხვის ოქმში (1910 წლის 12 იანვარი, ოქმი № 16), რომელსაც ხელს თვითონ აწერს, ვხვდებით მისი ბიოგრაფიის ასეთ დეტალებს: გრაფაში „სარწმუნოება“ — „იუდაიზმი“, გრაფაში „სოციალური წარმოშობა და მდგომარეობა“ — „მეშჩანი, ებრაელი“, „გრაფაში „განათლება“ — „1900 წელს 15 წლისამ დაამთავრა 4 კლასი“, გრაფაში „იყო თუ არა ადრე ნასამართლევი, რის გამო და როგორ დასრულდა“ — „მოკვლევაში იმყოფებოდა 1902 და 1903 წლებში ნიჟნი ნოვგოროდის საიდუმლო ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის. მოკვლევა ძიებით შეწყდა...“

აი, რამდენიმე მომენტი ნიჟნი ნოვგოროდში სვერდლოვის რევოლუციური ბიოგრაფიიდან:

1901 წლის 3 დეკემბერს, 16 წლის იაკობს იჭერენ (აპატიმრებენ) ორი დღით ა. მ. გორკის გაცილებისადმი მიძღვნილ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის (1901 წლის 7 ნოემბერი).

1902 წლის 5 მაისს 14 დღით აპატიმრებენ სტუდენტ ბ. ი. რიურიკოვის დაკრძალვისას გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის.

1903 წლის 14 აპრილი — დაპატიმრებულია. ჩხრეკისას ამოღებულია რსდმპ ნიჟგოროდის კომიტეტის პროკლამაციები. 11 აგვისტოს ათავისუფლებენ. 12 ნოემბრიდან მშობლების საცხოვრებელ ადგილზე ორი წლით პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

1903 წლის 24 ნოემბერს მონაწილეობს სტუდენტ ა. ვ. იაროვიცკის დაკრძალვაში, 7 დეკემბერს კი ნიჟნი ნოვგოროდის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ა. ვ. პანოვის დაკრძალვაზეა.

1905 წლის 21 მარტს იაროსლავლში ესწრება სიკვდილით დასჯილი გიმნაზისტის დაკრძალვაზე. 3 აპრილს კი ისევ ნიჟნი ნოვგოროდში ჩადის და ასევე სიკვდილით დასჯილი ნ. ი. დევიატკოვის დასაფლავებაში მონაწილეობს.

1905 წლის 17 ივნისს ნიჟნი ნოვგოროდელთა წინაშე გამოდის მოწოდებით, მიაღწიონ მოთხოვნების შესრულებას „ძალითა და იარაღით“.

ბევრ თავსატეხს გვიჩენს მისი „რევოლუციური მოღვაწეობა“ კოსტრომაში, ყაზანში, იაროსლავლში, პერმში, ეკატერინობურგსა და სხვა ქალაქებში. 1905 წლის 28 სექტემბერს სვერდლოვი პერმში ეცნობა კლავდია ტიმოთეს ასულ ნოვგოროდცევას — ეკატერინობურგელი ვაჭრის ქალიშვილს (ამ ქალის პატივსაცემად სვერდლოვის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდება). კლავდია ტიმოთეს ასული ქმარზე 9 წლით უფროსი იყო. მათი ქორწინება ოფიციალურად არ გაფორმებულა.

1906 წლის 10 ივნისს პერმის ქუჩებში „მებრ-

ბიბლიოთეკა

ძოლი ორგანიზაციის დარბევის შემდეგ" სვერდლოვს აპატიმრებენ ლ. ს. გერცის პასპორტით. 1907 წლის 22-23 სექტემბერს ყაზანის სასამართლო უსჯის 2 წლით პატიმრობას. იმაზე, თუ ვისგან შედგებოდა ეს „მებრძოლი ორგანიზაცია", პერმის გუბერნიის ჟანდარმერიის მიერ პეტერბურგში გაგზავნილ მიმართვაში სიტყვა არ არის ნათქვამი.

სვერდლოვი ორ წელს ატარებს ციხეში (მისი ერთადერთი პატიმრობა) და შემდგომ მოსკოვში ბრუნდება. 1909 წლის 13 დეკემბერს რსდმპ მოსკოვის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიაში მონაწილეობისას აპატიმრებენ ი. ი. სმირნოვის გვარით. მაგრამ აკი მოსკოვის რსდმპ კომიტეტი ჯერ კიდევ 1905 წელს დაარბიეს (შექმნიდან 4 თვის შემდეგ), ხოლო მისი პირველი მდივანი ზემლიაჩკა (როზალია სამოილის ასული ზალკინდი) დააპატიმრეს. მისი შემცვლელი ვ. მ. ლიხაჩოვი 1908 წლის დეკემბერში აიყვანეს, თვით მოსკოვის ბოლშევიკური ორგანიზაცია კი 1917 წლის მარტიდან იწყებს არსებობას (იხ. „სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაცია 1917-1988 წლებში". „მოსკოვსკი რაბოჩი", 1989 წ.). სვერდლოვისადმი მიძღვნილი სტატია ენციკლოპედიაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია" (გამომცემლობა „სოვეტსკაია ენციკლოპედია", 1977 წ.) არაფერს გვეუბნება სვერდლოვის ბიოგრაფიის ამ მნიშვნელოვან მომენტზე.

1910 წლის 11 მარტის შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილებით სვერდლოვს სამი წლით ნარიმის მხარეში გასახლება მიესაჯა.

17 მარტს იგი პოლიციის დეპარტამენტს წარუდგენს თხოვნას, რათა გადაასახლონ ციმბირში საზღვარგარეთ გასვლის უფლებით. მისი თხოვნა არ შეიწყნარეს და 1910 წლის 31 მარტს მოსკოვიდან ეტაპით გააგზავნეს ტომსკის გუბერნიაში. აქ იგი ეცნობა ფილიპ (პარტიული მეტსახელია) ისაის ძე გოლოშჩეკინს (იგივე შაია ისააკის ძე გოლოშჩეკინი) და სხვა რევოლუციონერებს, რომლებსაც შემდგომ, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნის ჟამს, გვარიან პროტექციას უწევს.

სვერდლოვის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ გამოქვეყნებულ ვ. მ. კოსარევის მოგონებებს თუ დავუჯერებთ, „როგორც კი ნარიმში ჩამოვიდა, იაკობ მიხეილის ძე მაშინვე შეუდგა ლექციების კითხვას პოლიტიკურ ეკონომიაში". აქ, ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი: მაინც სად აითვისა ასე ზედმიწევნით პოლიტიკური ეკონომიის კურსი ოთხკლასდამთავრებულმა სვერდლოვმა?

ლექციების კითხვა მალე შეუწყვეტია. 27 ივლისს სვერდლოვი გადასახლებიდან გარბის. 1910 წლის სექტემბერში პეტერბურგს მოევლინა, 10 ნოემბერს კი „სოციალ-დემოკრატების ჯგუფის" ხელმოწერით გამოაქვეყნა სამგლოვიარო ფურცელი ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1910 წლის 14 ნოემბერს იჭერენ პეტერბურგში, როგორც „ბოლშევიკური ცკ-ის აგენტს" (ჟურნალი „კრასნი არხივ", 1934 წ.). და მაინც, როდის მიემხრო სვერდლოვი კომუნისტებს? დოკუმენტები ამ კითხვაზე ჯიუტად არ იძლევიან პასუხს.

1911 წლის 30 აპრილის საგანგებო თათბირის დადგენილებით სვერდლოვს კვლავ ნარიმის მხარეში აგზავნიან, ამჯერად უკვე ოთხი წლით; 18 ივნისს გაქცევის მცდელობისას ხელმეორედ აპატიმრებენ, მაგრამ 1912 წლის 7 დეკემბერს კვლავ ახერხებს გაქცევას. 1913 წლის 10 თებერვალს პეტერბურგში აპატიმრებენ გ. ი. პეტროვსკის ბინაზე, ხოლო 4 აპრილს საგანგებო თათბირის გადაწყვეტილებით ტურუხანის მხარეში 5 წლით გადასახლებას უსჯიან.

ტურუხანის მხარეში სვერდლოვის მოღვაწეობაზე მოგვითხრობს მასთან ერთად გადასახლებაში მყოფი ბ. ი. ივანოვი სვერდლოვის გარდაცვალებიდან 37 წლის შემდეგ. სვერდლოვის ინიციატივით დაისვა საკითხი სოფ. მონასტირსკში სამომხმარებლო კოოპერაციის შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა მოეცვა ტურუხანის მხარის ყველა ბანაკი. კოოპერატივის წინაშე დგებოდა ამოცანა: მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა, აგრეთვე, მათგან ბეწვეულის, თევზის და ტყავის შეძენა. აჰა, ბოლოს და ბოლოს, ეს უკვე კონკრეტული, სასარგებლო საქმიანობაა! სწორედ აქ, ტურუხანის მხარეში მოუსწრო სვერდლოვს თებერვლის რევოლუციამ.

1917 წლის მარტში იგი მიემგზავრება გადასახლების ადგილიდან, გზად კრასნოიარსკში ჩერდება და (21 მარტს) „გამოდის პარტიულ და საბჭოთა შეკრებებზე, ამხელს მენშევიკურ-ესერულ შემთანხმებლებს" (წიგნიდან „სვერდლოვის რჩეული სტატიები და სიტყვები", 1944 წ.)

მაინც რომელი კრასნოიარსკელი ბოლშევიკი იცნობდა სვერდლოვს მას შემდეგ, რაც მან მთელი შვიდი წელი, ხანმოკლე შესვენებებით, გადასახლებაში გაატარა? ცნობილია, რომ რსდმპ ბოლშევიკური ფრაქცია თებერვლის რევოლუციის დღეებში აერთიანებდა 14 ათას მუშას, 6200-მდე მოსამსახურეს, 1800-ზე მეტ გლეხს და სხვადასხვა ფენის 1500 წარმომადგენელს. ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში, განსაკუთრებით, არასამრეწველო ცენტრებში, ბოლშევიკები გაერთიანებული იყვნენ მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციებში, კრასნოიარსკში კი ისინი, ფაქტობრივად, არც იყვნენ.

ვ. ი. ლენინმა, 1917 წლის 2 მარტს რუსეთის რევოლუციის შესახებ პირველი ცნობები რომ მიიღო, უპირველეს ამოცანად წამოაყენა პარტიის რიგების ორგანიზაციული და იდეური ერთიანობის განმტკიცება. იგი გადაჭრით გმობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკებთან ორგანიზაციულ ერთიანობა. მი-აჩნდა, რომ [illegible] იყო „უდიდესი უბედურება" [illegible] „უდიდესი უბედურება" კი მაინც მოხდა: გუ-შინდელმა მენშევიკებმა. მათ, ვინც სულ ცოტა ხნის წინ ლენინს [illegible], სასწრაფოდ დაიწყეს ბოლშევიკური სამოსის მორგება.

1917 წლის 6 მარტს რუსეთში დაბრუნებული ბოლშევიკებისადმი გაგზავნილ დეპეშაში ლენი-ნი გადაჭრით მოითხოვდა, არ დაეშვათ არავი-თარი შეთანხმება სხვა პარტიებთან. სვერდ-ლოვმა, რასაკვირველია, არაფერი უწყოდა ლე-ნინის ამ ტელეგრამის შესახებ, მაგრამ მისი ბი-ოგრაფიის ეს ფაქტი მეტისმეტად გააზვიადეს კრასნოიარსკში მის მიერ მენშევიკების და ესე-რების „მხილების" საქმესთან დაკავშირებით.

დროის სულ მცირე მონაკვეთში (კრასნოიარს-კიდან 23 მარტს გამომგზავრებიდან ჯერ პეტერ-ბურგში, შემდეგ ეკატერინობურგში ჩამოსვ-ლამდე) სვერდლოვი უეცრად იქცევა „ურალე-ლი მუშების საყვარელ პიროვნებად", რომლებ-მაც 1917 წლის 15 აპრილს ურალის პრესკონ-ფერენციაზე „სვერდლოვი აირჩიეს სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციის დელეგატად". 1 აპრილს კი იგი უკვე კითხულობს პირველ სა-ჯარო მოხსენებას.

იმაზე, თუ როდის შევიდა სვერდლოვი ბოლ-შევიკთა პარტიაში, კვლავ — არსად არც ერთი სიტყვა! რომელ ფრაქციას წარმოადგენდა სვერდლოვი აპრილის კონფერენციაზე: ბოლშე-ვიკებს, მენშევიკებს თუ ბუნდელებს? არსად არ ჩანს არავითარი ცნობა იმის შესახებ, თუ რო-დის გაიცნო ლენინმა სვერდლოვი — აპრილის კონფერენციაზე თუ 1917 წლის ოქტომბერში? ყოველ შემთხვევაში, სვერდლოვის სახელი პირ-ველად ლენინის თხზულებათა სრული კრებუ-ლის 34-ე ტომში (1917 წლის ივლის-ოქტომბე-რი) 434-ე გვერდზე იხსენიება, სადაც მოყვა-ნილია ლენინის პირველი (რევოლუციამდელი) წერილი სვერდლოვისადმი. დაწერილია იგი 1917 წლის 22-23 ოქტომბერს (ანუ გადატრიალებამ-დე სულ ორი დღით ადრე):

„ამხ. სვერდლოვს. მხოლოდ გუშინ საღამოს შევიტყვე, რომ ზინოვიევი წერილებით ადას-ტურებს, „ნოვაია ჟიზნ"-ში კამენევის გამოსვ-ლისას არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო. რაშია საქმე, რატომ არაფერს მიგზავნით? ყვე-ლა წერილი კამენევსა და ზინოვიევზე მე და-ვუგზავნე მხოლოდ ცკ-ის წევრებს — თქვენ იცით ეს. განა ამის შემდეგ უცნაური არ არის, რომ თქვენ რაღაც ეჭვისმაგვარი გაგჩენიათ?. თუ ზინოვიევისა და კამენევის საქმეში (ისინი გამოვიდნენ შეიარაღებული აჯანყების წინააღ-მდეგ, — გ. ნ.) კომპრომისს მოითხოვთ, წამო-აყენეთ მოსაზრება (ჩემი მოსაზრების გასაბათი-ლებლად) საქმის პარტიულ სასამართლოზე გან-ხილვის შესახებ. ეს გამოიწვევს საქმის გადავა-დებას. „კამენევის გადადგომა მიღებულია?" ცკ-დან? გამომიგზავნეთ ამ განცხადების ტექსტი [illegible]". ლენინის ეს წერილი, ისევე როგორც რსდმპ(ბ) VI ყრილობაზე ჩამოყალიბებული ცკ-ის სხვა წევრების, სვერდლოვის მიმართ [illegible] უპასუხოდ დარჩა.

დავუშვათ, რომ რამდენადაც ლენინი და სვერ-დლოვი ორივენი გამოდიოდნენ აპრილის კონ-ფერენციაზე, ერთმანეთიც სწორედ აქ, 1917 წლის აპრილში გაიცნეს. მაშინ რატომ არსად, არც ერთ თავის რეპლიკაში არ ახსენებს ლე-ნინი სვერდლოვის სახელს?

1917 წლის 27 ივლისს სვერდლოვი აკეთებს „ცკ-ის ორგანიზაციულ ანგარიშს პარტიის VI ყრილობისადმი". ამ ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მან სრულებით არაფერი იცის ძა-ლების განლაგებაზე, არ არის პარტიის პრაქტი-კული საქმიანობის კურსში. მოხსენება როგორ-ღაც უთავბოლოა — არც ერთი სიტყვა ფრაქ-ციებზე, თვით ბოლშევიკების არსებობაზეც კი. არსად არ ახსენებს სიტყვა „ბოლშევიკს". სვერ-დლოვის ანგარიშში საუბარია ოთხი ათას „მეჟ-რაიონელზე", რომლებიც შეუერთდნენ პარტი-ას. ისინი შედგებოდნენ მენშევიკ-ინტერნაციო-ნალისტებისა და ბოლშევიკ-შემრიგებელთაგან, რომლებიც, შესაბამისად, გამოსულნი იყვნენ მენშევიკთა და ბოლშევიკთა ფრაქციებიდან. მათ არ სურდათ, რომ რუსეთს შეეწყვიტა ომი და ეკავათ მოლოდინის პოზიცია (აქედან სახელ-წოდებაც — „მეჟრაიონცი"). საკუთარ პოლიტი-კას ისინი იმის მიხედვით აგებდნენ, თუ ვის დარჩებოდა საბოლოო გამარჯვება — ბოლშევი-კებს თუ მენშევიკებს. სწორედ მათ, ბოლშევი-კური პარტიის რიგებში გაერთიანების შემდეგ, ითამაშეს საბედისწერო როლი რევოლუციის შემდგომ ბედ-იღბალში.

სვერდლოვი მათ ყრილობაზე გაეცნო. რსდმპ(ბ) VI ყრილობის დელეგატი ი. ნ. ფლაკ-სერმანი იხსენებს: „იგი თითქოს განათებული იყო, სიმხნევესა და ენერგიას გამოასხივებდა. ხელი გამომიწოდა, მაგრად ჩამომართვა და მით-ხრა: „მეჟრაიონელები" შემოგვიერთდნენ! წინ კიდევ დიდი მუშაობა გველოდა. პარტია ამტ-კიცებდა თავის რიგებს, „მეჟრაიონკაში" კი ლუ-ნაჩარსკი, ვოლოდარსკი და სხვები..." „ფლაკსერ-მანს „დაავიწყდა" ამ „სხვების": ტროცკის, ურ-იცკის, იოფეს, მანუილსკის დასახელება.

ბევრი წყარო, მათ შორის „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია" ამტკიცებს, რომ 1917 წლის 29 აპრილს რსდმპ(ბ) VI ყრილობაზე სვერდლოვს „ირჩევენ პარტიის ცკ-ის წევრად და ცკ-ის მდივ-ნად". ოღონდ ი. პლოტნიკოვის სტატიაში „რე-ვოლუციური ბრძოლის გმირი" („ვეჩერნი სვერ-დლოვსკ", 1987 წ. 3 აგვისტო) ეს მტკიცებები მთლიანად უარყოფილია: „არსებითად იგი მდი-ვანი გახდა, ცკ-ის პირველი მდივანი თანამედ-როვე გაგებით, ოფიციალურად კი არ აურ-ჩევიათ, თუმცა აპრილის კონფერენციის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ცკ-ის მდივნად არჩევაზე ლიტერატურასა და ცნობარებში საკმაოდ ბევრს წერენ".

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ 1917 წლის 27 ოქტომბერს (9 ნოემბერს), გადატრიალებიდან ორი დღის შემდეგ, საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაზე აირჩიეს ლ. ბ. კამენევი (როზენფელდი), მაგრამ პოლიტიკური დეზორგანიზაციისა და ცკ-ის დაუმორჩილებლობისათვის 11 დღის შემდეგ კამენევი გაათავისუფლეს თავმჯდომარის მოვალეობიდან. 1917 წლის 8 (21) ნოემბრიდან იგი ამ პოსტზე შეცვალა სვერდლოვმა. მისი კანდიდატურა ვ. ი. ლენინმა წამოაყენა (ამ საკითხთან დაკავშირებით დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში არავითარ გაუგებრობას არა აქვს ადგილი). როგორც ნ. კ. კრუპსკაია იხსენებს, „არჩევანი ზედმიწევნით ზუსტი გამოდგა". მეტისმეტად წარმატებული იყო ლენინის მიერ შერჩეული ტროცკის კანდიდატურაც რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

იმაზე კი, რამდენად „წარმატებული იყო არჩევანი", მოგვითხრობენ სვერდლოვის ხელისუფლების სათავეში ყოფნის პერიოდში (1 წელი და 4 თვე) მომხდარი ამბები. დამფუძნებელი კრების გახსნაზე, 1918 წლის 5 იანვარს წარმოთქმულ სიტყვაში (რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ) სვერდლოვს მთელი დატვირთა გადააქვს „ექსპლუატატორთა დაუნდობელ განადგურებაზე, საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების" აუცილებლობაზე. აქვე „ხელისუფლების მთელი სისავსით განმტკიცების მიზნით... დეკრეტით მტკიცდება მშრომელთა შეიარაღება". თავისი გამოსვლა სვერდლოვმა დაასრულა უცნაური, შორს გამიზნული სიტყვებით: „ნება მომეცით, იმედი ვიქონიო, რომ ახალი საზოგადოების საფუძვლები, აღნიშნულ დეკლარაციაში რომ ჰპოვეს ასახვა, დარჩება მყარი და, განმტკიცდება რა რუსეთში, თანდათან დაიპყრობს მთელ მსოფლიოს".

როდესაც სვერდლოვმა თქვა, რომ მუშათა და გლეხთა აღმასრულებელმა კომიტეტმა მას მიანდო დამფუძნებელი კრების გახსნა, დარბაზის ცენტრიდან და მარჯვენა მხრიდან გაისმა შეძახილები: „არა! თქვენ სისხლიანი ხელები გაქვთ, კმარა სისხლი..." ცნობილია, რომ დამფუძნებელმა კრებამ სულ 12 საათსა და 40 წუთს იარსება. ბოლშევიკებმა ხმების მხოლოდ 25 პროცენტი მოაგროვეს, რის გამოც არჩევნები ბათილად ცნეს და კრება კონტრრევოლუციურად გამოაცხადეს.

საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე მოწვევის კრებაზე 1918 წლის 20 მაისს სვერდლოვი თავის გამოსვლაში პირდაპირ აცხადებს, რომ „თუ ქალაქებში ჩვენ უკვე შევძელით პრაქტიკულად გაგვენადგურებინა მსხვილი ბურჟუაზია, სოფელზე ჯერ ამის თქმა კიდევ არ შეგვიძლია". თავის სიტყვაში იგი არაერთხელ უსვამს ხაზს: „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ გავხლიჩოთ სოფელი ორ მტრულ ბანაკად, თუ შევძლებთ იქ ისეთივე სამოქალაქო ომი გავაჩაღოთ, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ მძვინვარებდა ქალაქებში, თუ შევძლებთ ავაჯანყოთ სოფლის ღარიბი ფენები ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ სოფელშიც გავაკეთებთ იგივეს, რისი გაკეთებაც უკვე მოვახერხეთ ქალაქად".

სვერდლოვი თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ სამოქალაქო ომის გამჩაღებლად. იგი ამას თვითონვე არ მალავს: „თუ ვერ შევძლებთ ორ მტრულ ბანაკად გავხლიჩოთ სოფელი... მაშინ ჩვენ მძიმეზე მძიმე დღეების გადატანა მოგვიწევს".

მასობრივი ტერორის შესახებ დიდი ტკივილით ლაპარაკობს ლუნაჩარსკისადმი მიწერილ წერილებში ამ ამბების მომსწრე და თვითმხილველი, ცნობილი მწერალი ვ. გ. კოროლენკო (წერილები გამოქვეყნდა „ნოვი მირი"-ს 1988 წლის მეათე ნომერში). 1989 წელს კი ჟურნალ „როდინა"-ში (№3) გამოქვეყნდა მისი ოთხი წერილი გორკისადმი. ერთ-ერთ მათგანში კოროლენკო წერს: „ისტორია ძალიან მზაკვრულად ეხუმრა რუსეთს... პოლიტიკურ აზროვნებას მოკლებული ხალხი უყოყმანოდ დამორჩილდა პირველივეს, ვინც ჯოხი აიღო... აი, სადამდე მიგვიყვანა მტრობის გაჩაღებამ — მოსახლეობის ყველაზე შრომისმოყვარე ნაწილი მოისპო".

როგორც უკვე დავრწმუნდით, მტრობის გაღვივების საქმეში სვერდლოვი სულაც არ იყო მაჩანჩალათა შორის.

მის სახელს უშუალოდ უკავშირდება, აგრეთვე, მეფის ოჯახის ამოწყვეტა. საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 9 მაისის სხდომაზე სვერდლოვმა განაცხადა, რომ მეფის ოჯახის შვიდი წევრი და ოთხი მოსამსახურე ტობოლსკის გუბერნიის სახლიდან გადაიყვანეს ეკატერინობურგის იპატიევის სახლში და ეს ღონისძიება იმით ახსნა, რომ აუცილებელია მეფის ოჯახის უფრო საიმედო ადგილზე გადამალვა და რომ ურალის საბჭოს დაევალა ყოფილი მეფის ფხიზლად დარაჯობა, მეფისა, რომელიც „საბჭოთა ხელისუფლების პატიმარი" გახდა.

6 ივლისს სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობაზე გამოსვლისას (ე. ი. რომანოვების დასჯამდე ათი დღით ადრე) სვერდლოვი აღნიშნავდა, რომ „მემარცხენე" ესერები გამოდიან „სასამართლოზე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, მაგრამ სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯას შესაძლებლად მიიჩნევენ". „ჩვენთვის, ამხანაგებო, ასეთი მდგომარეობა სრულიად გაუგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარია, იგი სრულიად ალოგიკურად მიგვაჩნია". სიტყვით იგი ჯიუტად იცავდა რევოლუციური კანონიერებისა და პროლეტარული რევოლუციის მართლმსაჯულების პრინციპს მემარცხენე ესერებისა და ანარქისტთა „ემოციური" თვითნებობისაგან და აცხადებდა: „ჩვენ ამჟამად უნდა მოვუწოდოთ არა საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ტერორის შესუსტებისაკენ, არამედ, პირიქით, მასობრივი ტერორის უფრო გაძლიერებისაკენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა მოწინააღმდეგისადმი".

1918 წლის 12 ივლისს მოსკოვიდან ეკატერინბურგს დაბრუნდა ურალის საბჭოს წევრი ფ. ი. გოლოშჩეკინი. მოსკოვში გოლოშჩეკინმა მეფის ოჯახთან დაკავშირებით შესაბამისი მითითებები მიიღო სვერდლოვისაგან. ამავე დღეს ვოლჟსკო-კამის ბანკის შენობაში სხდომამ მართავს ურალის საბჭო (თავმჯდომარე ა. გ. ბელობოროდოვი). საბოლოოდ გადაწყდა მეფის, მისი ცოლის, ხუთი მცირეწლოვანი ბავშვის და ოთხი მოსამსახურის ბედი. საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, სვერდლოვის მითითება შესრულდა — ყველას მიესაჯა დახვრეტა! განაჩენის სისრულეში მოყვანას ავალებენ სვერდლოვის ერთ-ერთ თანამებრძოლს, მის სეხნიას — იაკობ მოვშას ძე იუროვსკის და მის მოადგილეს გ. პ. ნიკულინს. მეფის ოჯახი სიკვდილით დასაჯეს 1918 წლის 16 ივლისის ღამეს.

18 ივლისს სვერდლოვმა მიიღო ცნობა განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ. საღამოს კრემლში შეიკრიბა სახალხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით. სიტყვა ეძლევა სვერდლოვს. „უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ეკატერინბურგიდან მივიღეთ ცნობა, რომ ურალის საბჭოს გადაწყვეტილებით დახვრეტილია ყოფილი მეფე — ნიკოლოზ რომანოვი... დღეს შემდგარმა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ დაადგინა: ურალის საბჭოს გადაწყვეტილება ჩაითვალოს გამართლებულად".

„ოგონიოკში" (1989 წ. 21) ე. რაძინსკის სტატიაში „დახვრეტა ეკატერინბურგში" მოყვანილია საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 18 აგვისტოს სხდომის № 1 ოქმის ამონაწერი. მაგრამ წიგნში „მიმოწერა ისტორიულ თემაზე" („პოლიტიზდატი", 1989 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში „ინტერვიუ მკითხველთა წერილების მიხედვით", ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გ. იოფე სხვა ფაქტებს გვაცნობს. კერძოდ. საუბარია არა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, არამედ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე. ამასთან, იგი შემდგარა არა 18 აგვისტოს. არამედ 1918 წლის 18 ივლისს. რაც არათუ ეწინააღმდეგება ჩვენს მონაცემებს, არამედ ადასტურებს კიდეც მათ. საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი კი იმ დღეს საერთოდ არ შეკრებილა. ყველაფერი ერთპიროვნულად გადაწყვიტა სვერდლოვმა რამდენიმე დახლოებულ (3-4 ადამიანი) პირთან ერთად.

1918 წლის ივლისში ვოლოდარსკის (მოისეი მარკის ძე გოლდშტეინის) მკვლელობის საპასუხოდ სვერდლოვი ქმნის უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს, როგორც თვითონ აღნიშნავს, შემდგარს მისი „საკუთარი წრიდან", მის გარშემომყოფთაგან. 6 ივლისის გამოსვლაში სვერდლოვი აღნიშნავდა, რომ რევოლუციურმა ტრიბუნალმა სიკვდილით დასჯის შესახებ თავისი პირველი დადგენილებით, მისი ღრმა რწმენით, დაამტკიცა, რომ ის „სწორად განსაზღვრავს სიტუაციას". სვერდლოვი ზუსტად ახორციელებს თავის პოლიტიკას: „სიკვდილი მივუსაჯეთ ათობით ადამიანს ყველა ქალაქში (პეტროგრადშიც, მოსკოვშიც, პროვინციებშიც) და ამ განაჩენის გამოტანაში აბსოლუტურად თანაბრად, ზუსტად ერთნაირად ვმონაწილეობდით როგორც ჩვენ, „სისხლისმსმელი" კომუნისტები, ისე „მემარცხენე" ესერები. მინდა, შევახსენო ამხანაგებს, რომ კონტრრევოლუციასთან მებრძოლ რუსეთის საგანგებო კომისიას გამოტანილი აქვს უამრავი განაჩენი, რომელიც სრულდებოდა ამ კომისიის მიერ. მათ შესახებ ვრცელდება საყოველთაო ცნობები, მათ შესახებ იბეჭდება პრესაშიც. ამ კომისიის ყოველგვარ საქმიანობაში, მათ შორის, დახვრეტაში, რომელიც კომისიის პრაქტიკაშია. თანაბრად მონაწილეობენ „მემარცხენე" ესერებიც და ბოლშევი-კებიც და ამ დახვრეტებთან დაკავშირებით ჩვენს შორის არავითარ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია".

მასობრივ ტერორს „წითელი ტერორი" ეწოდა მოისეი სოლომონის ძე ურიცკის მოკვლის შემდეგ, რაც სულაც არ მომხდარა სვერდლოვის ხელდასხმის გარეშე. 1918 წლის 2 სექტემბერს, საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მტრების თეთრ ტერორს მუშები და გლეხები უპასუხებენ მასობრივი, წითელი ტერორით ბურჟუაზიისა და მისი აგენტების წინააღმდეგ". ხოლო სექტემბრის შუა რიცხვებში შემდგარ პეტროგრადის ჩეკას კოლეგიის სხდომაზე გამოვიდა ზინოვიევი (აპფელბაუმი), რომელმაც მოითხოვა, დაუყოვნებლივ შეეიარაღებინათ ყველა მუშა და, ამასთან, მიეცათ მათთვის თვითგასამართლების უფლება. ჯიუტად გადაჰქონდა რა მთელი დატვირთვა კლასობრივ ალღოზე, იგი მოუწოდებდა, გასწორებოდნენ პირდაპირ ქუჩებში, ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე. ზინოვიევის „კონტრას" მოქმედებას მხარს უჭერდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვერდლოვი. ყველაფერი ეს კი პასუხი იყო მენშევიკების ცკ-ის ყოფილი წევრის, ბოლშევიკებთან რევოლუციის წინახანებში გადმობარგებული „ემიგრანტ-ინტერნაციონალისტის, არა ბოლშევიკის" (როგორც აღნიშნული იყო „კრასნაი გაზეტას" 1918 წლის 31 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ ნეკროლოგში) ურიცკის მკვლელობასთან (გამორიცხული არ არის, რომ ეს მკვლელობაც პროვოცირებული იყო, რადგან მკვლელი ლ. ა. კანეგისერი იმავე დღეს დახვრიტეს ყოველგვარი გასამართლების გარეშე) დაკავშირებით.

სვერდლოვი, როგორც ცნობილია, კაზაკობის განადგურების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია.

გაზეთ „ბირჟევიე ვედომოსტი"-ს 1917 წლის 6 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენტის ინტერვიუ დონის კაზაკთა ლეგიონის რწმუნებულ ოფიცერთან: „ძნელი იყო კაზაკებისა და „პრეობრაჟენცთა" შეჩერება, რომელთაც ბოლშევიკი კამენევი დააპატიმრეს. მაგრამ ისინი დათანხმდნენ, გადაეცათ ბოლშევიკი შტაბის განკარგულებაში, ოღონდ იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ კამენევიც და ყველა სხვა დაპატიმრებული შესაფერ სასჯელს მიიღებდნენ, როგორც წამქეზებლები, რომლებიც რევოლუციისთვის სრულიად მიუღებელ პროგრამას ქადაგებდნენ. ძნელია, სიტყვით გადმოსცე კაზაკთა უკმაყოფილება, როცა შეიტყვეს, რომ კამენევი თავისუფალია და ქუჩაში დასეირნობს". კაზაკები, რომლებიც დროებითმა მთავრობამ დემონსტრაციის დასაშლელად მიიწვია, ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ოციოდე დღის წინ კამენევი შეიყვანეს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში სხვა მის მეგობრებთან ერთად (რსდმპ-დან: გ. ე. ზინოვიევი, ე. ს. კოგანი. ი. დ. ლენცმანი. მ. მ. ლაშევიჩი, ი. ზ. ერმანი, ვ. ი. ლენინი — ბოლშევიკებიდან სულ 35 კაცი; ესერებიდან — მ. ი. გენდელმანი, ა. რ. გოცი — სულ 101 კაცი და სხვა ფრაქციების წარმომადგენლები)... ცნობილია, რომ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის რამდენიმე წევრი დროებითი მთავრობის შემადგენლობაშიც შევიდა, — ფაქტობრივად ხომ ორხელისუფლებიანობა იყო. კაზაკები ველარ გაერკვნენ, ვის ბრძანებებს დამორჩილებოდნენ. გადატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე (1917 წლის 25 ოქტომბერი) მათ დაიკავეს შეიარაღებული ნეიტრალიტეტის პოზიცია.

საბჭოთა ხელისუფლების მხარეს კაზაკობის გადასვლა ნელა და მძიმედ მიმდინარეობდა, რაც „აიხსნება იმ დროის არა მარტო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პირობებით, არამედ, გარკვეულწილად, კაზაკობის მიმართ ცენტრისა და ადგილებზე დაშვებული შეცდომებითაც" (ენციკლოპედია „სამოქალაქო ომი და საომარი ინტერვენცია სსრკ-ში," 1983 წ. გვ. 248). ერთ-ერთი ასეთი მიუტევებელი შეცდომა გამოდგა სვერდლოვის მიერ ხელმოწერილი რკპ(ბ)ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს 1919 წლის 24 იანვრის დირექტივა კაზაკობის უკლებლივ განადგურების შესახებ. აი, რამდენიმე ფრაგმენტი ამ დაწყევლილი დირექტივიდან: „ჩატარდეს მასობრივი ტერორი მდიდარი კაზაკების წინააღმდეგ. მოსპობილ იქნას ყოველი მათგანი. გატარდეს შეუბრალებელი მასობრივი ტერორი ყველა იმ კაზაკის წინააღმდეგ, რომლებიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მონაწილეობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში... ჩამოერთვათ პური და აიძულონ კაზაკები, პუნქტებს ჩააბარონ ყველა სახის ნამეტი პროდუქტი — ეს ეხება როგორც პურს, ისე სოფლის მეურნეობის ყველა სახის პროდუქტს... კაზაკთა ამა თუ იმ დასახლების ყველა კომისარს მიეთითოს, გამოიჩინოს მაქსიმალური სიმტკიცე და წინამდებარე მიმართვა განახორციელოს განუხრელად. ცენტრალური კომიტეტი ადგენს...."

აი, ასე აეწყო საქმე სვერდლოვის ხელში: „ცენტრალური კომიტეტი ადგენს..." — ერთი ადამიანის ხელმოწერა და მილიონები მიდიოდნენ ეშაფოტზე. სიკვდილის შიშით კი ყველა მითითება განუხრელად სრულდებოდა.

სინამდვილეში არავითარი დადგენილება ცენტრალურ კომიტეტს არ მიუღია. 1919 წლის 16 მარტის (სვერდლოვის გარდაცვალების დღე) რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გააუქმა სვერდლოვის იანვრის დირექტივა. მაგრამ გვიანღა იყო — ჯოჯოხეთის მანქანა უკვე მუშაობდა. ან რაღა შეაჩერებდა, თუ დირექტივა თვით საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისგან მოდიოდა, თუმცა ეს თავმჯდომარე სულაც არ იყო ხალხის არჩეული.

ძალაუფლების სათავეში მოქცეული სვერდლოვი არ ინდობს არც მოხუცებს, არც ქალებს და ბავშვებს!

კაზაკებს არნახული სისასტიკით ანადგურებდნენ და ისინი, თავი რომ დაეცვათ ამ გაუგონარი სისასტიკისაგან, აღსდგნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სვერდლოვის დაკრძალვის დღეს გაიხსნა რკპ(ბ) VIII ყრილობა. ლენინმა თავის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნა სვერდლოვის დიდი დამსახურება: „მე ვერ შევძლებდი თუნდაც იმის მეასედის გაკეთებას, რასაც ის აკეთებდა, რადგან ამ საქმეში (ორგანიზაციული მუშაობა, — გ. ნ.) ჩვენ იძულებულნი ვიყავით მთლიანად დავნდობოდით (გვქონდა კიდეც საფუძველი ამ ნდობისათვის) ამხ. სვერდლოვს, რომელსაც ერთმანეთის მიყოლებით გამოჰქონდა გადაწყვეტილებები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამათში გამოსულმა რკპ(ბ) მოსკოვის გუბერნიის ორგანიზაციის დელეგატმა ნ. ოსინსკიმ ყურადღება გაამახვილა ილიჩის გამოსვლის იმ ნაწილზე, რომელშიც იგი სვერდლოვის მოღვაწეობას ეხებოდა და, ნაწილობრივ, აღნიშნა: „პირდაპირ უნდა ითქვას, ჩვენთან საკითხის კოლეგიალური გადაწყვეტა კი არ ხდებოდა, არამედ ერთპიროვნული. ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობა დაყვანილი იყო ერთი ამხანაგის — სვერდლოვის მოღვაწეობაზე. ერთ კაცს ეკავა ყველა ძაფი. ეს იყო პირდაპირ არანორმალური მდგომარეობა. იგივე შეიძლება ითქვას ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მუშაობაზეც. ყრილობებს შორის გამვლილ პერიოდში ჩვენ არც ერთხელ არ შევკრებილვართ კოლეგიალური გადაწყვეტილებების მისაღებად და განსახილველად. ვალდებულნი ვართ, აღვნიშნოთ ეს ფაქტი — ცენტრალური კომიტეტი, როგორც კოლეგია, ფაქტობრივად, არ არსებობდა".

სხვა გამოსვლაში ოსინსკი ხაზს უსვამდა შემდეგ გარემოებას: „არაერთხელ აღინიშნა, რომ მთელი ორგანიზაციული მუშაობა მინდობილი ჰქონდა ამხ. სვერდლოვს. ამხ. სვერდლოვის დიდ დამსახურებად ითვლებოდა, რომ მას ძალუძს შეუძლებელის გაკეთება. მაგრამ რაც შეეხება პარტიას, მისთვის ეს დიდი ვერაფერი კომპლიმენტია... ხელმძღვანელობა საერთოდ არ არსებობდა ფაქტობრივად, არ არსებობდა ცენტრალური კომიტეტის სამდივნო..."

VIII ყრილობის ბევრი გამომსვლელი გაცხარებით მიუთითებდა იმაზე, რომ „ჩვენში ფრონტებს შორის [illegible] დაწინაურება, პროტექციონიზმი, პარალელურად კი თანამდებობების ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა, პარტიულ მუშაკებს მიეწერებათ აშკარა უზნეობანი" (ოსინსკი), რომ „თემებსა და მაზრებში მმართველობის სადავეებს ხელთ უპყრიათ პარტიულ მუშაკებს, რომელნიც თვალის დასანახად სძულთ ადგილობრივ მოსახლეობას" (ბ. მ. კოსიორი), რომ „სოფელში ღარიბთა კომიტეტების მიერ გამოცხადებულმა კლასობრივმა ბრძოლამ მიგვიყვანა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და აჯანყებებამდე" ([illegible]). სვერდლოვის [illegible] ღარიბთა კომიტეტების თაობაზე.

დელეგატმა ვ. ა. [illegible]ოსტელოვსკაიამ პირდაპირ განაცხადა: „მუშაობის ამგვარმა სტილმა (სვერდლოვის. — გ. ნ.) გვაჩვენა, რომ ასეთი მეთოდებით ჩვენ ვიწვევთ არა კლასობრივ განხეთქილებას და სოფლად სამოქალაქო ომს, არამედ, პირიქით, ჩვენს წინააღმდეგ ვამხედრებთ გლეხობის ყველა — ძლიერ, საშუალო და ღარიბ — ფენას, ვაღრმავებთ წინააღმდეგობას არა იქ, სადაც საჭიროა, არამედ ქალაქსა და სოფელს შორის".

გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტი" (1988 წ. № 34) გვაცნობებს, რომ „პირველ საბჭოთა მთავრობაში ლ. ტროცკიმ, სვერდლოვის წინადადებით, დაიკავა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი" და მას, ტროცკის, ეკუთვნის „ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის ბიუროკრატიზაციის იდეა". თვით სვერდლოვმა კი სათავე დაუდო პარტიული აპარატის ბიუროკრატიზაციას. ამის შესახებ გულისტკივილით ლაპარაკობდა რკპ(ბ) VIII ყრილობის ბევრი დელეგატი.

და ბოლოს, როგორ დასრულდა ამ „მგზნებარე რევოლუციონერის" ცხოვრება? აქ კვლავ ჩნდება შეკითხვათა მთელი წყება...

1919 წლის 6 მარტს სვერდლოვი მოკლე სიტყვით გამოვიდა ხარკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელ დეპუტატთა სრულიად უკრაინის საბჭოების მესამე ყრილობაზე. ამავე დღეს იგი ტელეგრამებს აგზავნის სერპუხოვში, ტულაში, კურსკში, ბელგოროდსა და ორიოლში, რომელშიც „მიზანშეწონილად მიაჩნია ამხანაგებთან შეხვედრა (როგორც ჩანს, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან. — გ. ნ.). საღამოს კი, 21 საათზე მიემგზავრება ხარკოვიდან.

მატარებელი ორიოლში ჩავა 7 მარტს, დილის 10 საათზე. ტელეგრამიდან ჩანს, რომ სვერდლოვი არ აპირებდა ორიოლში შეჩერებას, მაგრამ მატარებლიდან ჩამოსვლამ მაინც მოუწია — სადგურში ამ დროს რკინიგზელთა გაფიცვა მიმდინარეობდა. კ. ვინოგრადსკაიას მოგონებების თანახმად, რომელიც სვერდლოვის გარდაცვალებიდან 53 წლის შემდეგ გამოქვეყნდა, „ჩვენი მოწინააღმდეგე საზღვარგარეთული პრესა მაშინ აქვეყნებდა ყალბ ინფორმაციებს, თითქოს გზად მიმავალი იაკობ მიხეილის ძე გლეხებმა მოკლეს. მე კი ვფიქრობ, იგი სწორედ ამ *საუბრისას* (გლეხებთან საუბრისას, როგორც აღნიშნავს ვინოგრადსკაია. — გ. ნ.) *გაცივდა* (ხაზი ჩემია. — გ. ნ.).

ამის შემდეგ ვინოგრადსკაია უკვე დაწვრილებით გვიამბობს, რომ „იაკობ მიხეილის ძეს მიტინგზე გამოსვლამაც მოუწია... ეს მოხდა ორიოლში, როდესაც მატარებელი ბაქანს მიუახლოვდა. სადგურის წინ გაიმართა რკინიგზელთა მიტინგი. ამხ. ბ. მ. ვოლინი (იგივე ფრადკინი), რომელიც მაშინ ორიოლის გუბერნიის აღმასკომის თავმჯდომარე იყო, სვერდლოვთან მივიდა და თხოვა, გამოსულიყო მიტინგზე... მუშათა სახელით მოსულმა დელეგაციამაც განაცხადა, რომ რკინიგზელებს მხოლოდ სვერდლოვის მოსმენა სურთ... მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ... იაკობ მიხეილის ძემ მათ გააცნო სასიამოვნო განზრახვა III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის შესახებ. შინ დაბრუნებულ იაკობ მიხეილის ძეს ხმა თითქმის სულ აღარ ჰქონდა..."

ვინოგრადსკაიას მოეჩვენა, რომ ის „გაცივ-

და“, მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? რაღა მაინცდამაინც ამ ადგილას „უმტყუნა მეხსიერებამ“ მემუარების ავტორს? მაინც როგორ წარიმართა მუშებთან შეხვედრა? რით აიხსნება, რომ მატარებელი, რომელშიც სვერდლოვი იჯდა, მოსკოვს მხოლოდ 11 მარტს ჩავიდა? ანდა შეხვდნენ კი გაფიცული მუშები მართლაც ასეთი აღფრთოვანებით III კომინტერნის შექმნის იდეას?

კითხვები, კითხვები. კითხვები... ერთი კი უდავოა: მოსკოვში ჩამოსვლის მეხუთე დღეს სვერდლოვი გარდაიცვალა „გრიპით, რომელმაც გამოიწვია გართულება ფილტვებში“.

სვერდლოვის ნათესავი ნ. ი. პოდვოისკი (სვერდლოვის ვაჟი ანდრეი პოდვოისკის ქალიშვილზე დაქორწინდა) იგონებს: „სვერდლოვმა პარტიას დაუტოვა შესანიშნავი კადრები, ოსტატურად შერჩეულნი, განსწავლულნი და საბრძოლო ადგილებზე გადანაწილებულნი... განსაკუთრებით უფრთხილდებოდა იგი ამ კადრებს, რათა მათ არ გადასდებოდათ ტროცკისტული პოზიორობა, ზინოვიევ-კამენევ-რიკოვისეული დამთმობლობა ბურჟუაზიის წინაშე, ბუხარინისეული პუტჩიზმი, ფრაზიორობა, უთავბოლობა...“ (პირველად გამოქვეყნდა წიგნში „იაკობ სვერდლოვის შესახებ“, „პოლიტიზდატი“, 1985 წ. გვ. 278).

ნუთუ მხოლოდ ამ დამსახურებისათვის უწოდეს 1924 წლის ნოემბერში ძველისძველ ქალაქ ეკატერინობურგს სვერდლოვსკი?!

თარგმნა ე. მეტრეველმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია ულოცავს ჩვენს სახელოვან მწერალს **ოთარ ჩხეიძეს** დაბადების 70 წლისთავს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ტკბილ სიბერესა და შემოქმედებით სიჭაბუკეს.

# ოთარ ჩხეიძე

**ბედმა** ოთარ ჩხეიძესთან მწერლობაში მისი ფეხისადგმის დღიდან დამაკავშირა.

1943 წელი იყო. „მნათობის" რედაქციის მდივნად ვმუშაობდი.

ერთ დღეს გამხდარმა, მხრებში ოდნავ აწურულმა ახალგაზრდამ შემოაღო რედაქციის კარი. იქაურობას თვალი მოავლო, ჩემსკენ წამოვიდა და ხელნაწერი მორიდებულად გადმომცა. არც თავისი თავი წარმოუდგენია, არც ჩემს მიერ შეთავაზებულ სკამზე ჩამომჯდარა. წაიკითხეთო, თავჩაღუნულმა თქვა და წავიდა. ხელნაწერს დავხედე. სათაურის ქვეშ „ისტორიული მოთხრობა" ამოვიკითხე.

იმ დროს რედაქციას უფრო ახალგაზრდა პოეტები აწყდებოდნენ და დამწყები პროზაიკოსები იშვიათობა იყო. როგორც კი სიტყვაძვირი ავტორი გავისტუმრე, ბედის ანაბარად დატოვებული ხელნაწერი გადავფურცლე.

პირველივე გვერდის ჩაკითხვამ დამაინტერესა. ახალგაზრდა ავტორის თხრობის მანერა უჩვეულოდ მეჩვენა: საგანგებოდ გაგრძელებული ფრაზები, ჩვენი ენის დედა დიალექტის თავისებურებათა სიუხვე, სალიტერატურო ნორმებიდან გადახრის გაბედული ცდა გამორჩეულად გამოიყურებოდა იმ დროს გაბატონებული სტანდარტული თხრობის ფონზე.

მოთხრობა შინ წავიღე, იმ დღესვე წავიკითხე და მეორე დილას ჟურნალის მთავარ რედაქტორს ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარე.

— რაკი ეგრე მოგწონს, გაგზავნე სტამბაში და მე გვერდებად შეკრულ ანაბეჭდებს წავიკითხავო, — მითხრა რედაქტორმა.

ასე შედგა დღეს ესოდენ პოპულარული მწერლის, ოთარ ჩხეიძის დებიუტი „მნათობის" ფურცლებზე.

1944 წელს „ნიანგის" რედაქტორად გადამიყვანეს. სხვებთან ერთად ო. ჩხეიძესაც ვთხოვე ეთანამშრომლა ჟურნალში. ოთარმა ჩემი წინადადება მიიღო და იმჯერადაც გამიმართლა: მას თითქმის ყოველი ნომრისათვის მზად ჰქონდა მსუბუქი ჰუმორით შეფერილი პატარა მოთხრობები, რომელთაც აერთიანებდა საერთო სათაური „ჩემი სოფლის ეტიუდები".

ოთარმა მალე, ერთიმეორის მიყოლებით შექმნა შესანიშნავი რომანების ციკლი, რომელთა გამოქვეყნებამ ავტორს სახელი და პოპულარობა მოუტანა, ხოლო მათ გამომქვეყნებელ რედაქტორს — ვახტანგ ჭელიძეს სიამოვნებასთან ერთად უსიამოვნებაც.

ოფიციალური კრიტიკა თავს დაესხა ავტორსაც და რედაქტორსაც.

ო. ჩხეიძემ თავის ამ გახმაურებულ რომანებში ჩვენი ერის ბევრი ისეთი სატკივარი გააშიშვლა, რომელთაც დიდხანს ჰქონდა დადებული ტაბუ.

ცხოვრებისაგან გაუკუღმართებული ხასიათები, მძაფრი ვნებებით დაპირისპირებული ადამიანები არიან ოთარ ჩხეიძის რომანების გმირები.

უშეღავათო პირდაპირობითა და მხატვრული დამაჯერებლობით წარმოაჩინდა ოთარი ჩვენი ყოფის იმ მანკიერებებს, რომელთაც ცოტა ზიანი როდი მოუტანეს ჩვენს ხალხს.

ო. ჩხეიძისათვის არ არსებობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკრძალული თემა. იგი ერთნაირი სითამამით წერდა უმეცართაგან ჩვენი სახელოვანი მეცნიერების რბევასა და დევნაზე თუ 1924 წლის ტრაგედიაზე.

ამ წიგნების ავტორს ყოველნაირად ხელს უშლიდნენ შეექმნა ცოცხალი, ცხოვრებისეული სახეები, დაეხატა ჩვენი ყოფის მართალი სურათები, მაგრამ მწერალი ერთხელ არჩეულ გზას არ ღალატობდა, სიმართლის ერთგულებაში არაჩვეულებრივ შეუპოვრობას იჩენდა. იგი თავისას განაგრძობდა, კამათში არ ებმებოდა, თავჩაღუნულ წერას არ ეხსნებოდა და ყოველ წელიწადს ახალი წიგნებით ახარებდა თავის მრავალრიცხოვან მკითხველს.

ერთი სიტყვით, ძაღლი ყეფდა და ქარავანი მიდიოდა.

ოთარ ჩხეიძის წიგნები, როგორც თავიანთი აქტუალური პრობლემატიკით, ისე მხატვრული ღირსებით ჩვენი დროის ქართული ბელეტრისტიკის საუკეთესო მოღვაწეთა რიგს განეკუთვნება.

მას თავისი სტილი აქვს და მწერლისათვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. მისი ენის თავისებურებების გამო რა არ ითქვა. საგანგებოდ, იშვიათად ხმარებული ტერმინიც კი მოიხმეს — „ენობრივი ეთნოგრაფიზმი".

ცოდვა გატეხილი სჯობს, თავის დროზე მეც ხელოვნურად მეჩვენებოდა მისი განზრახ გაჭიანურებული ფრაზები, ტავტოლოგიები. ვფიქრობდი, რომ ავტორის ეს „ახირება" ხელს შეუშლიდა მისი პოპულარობის ზრდას. მაგრამ მეც მოვტყუვდი, ო. ჩხეიძის წიგნებზე მუდამ მოთხოვნილებაა. წიგნის მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებში. ავტორმა მკითხველი მიიზიდა ნაწარმოებების შინაარსის სიღრმით, ვნებებისა და ხასიათების სიმძაფრითა და ცოცხლად ხატვით. პრობლემების სიმწვავით. მან ყოველივე ამის გადმოცემა შესძლო იმ მანერით, რომელსაც, ბოლოსდაბოლოს, მკითხველი შეეჩვია და შეურიგდა, რადგან ო. ჩხეიძის ენაში არაფერია ქართული ენის სინტაქსის საწინააღმდეგო. იგი ორგანიულია და ხალხური მეტყველებიდან ამოდის.

ო. ჩხეიძე მთლიანი პიროვნებაა. იგი ცხოვრებაშიაც და მწერლობაშიაც უკომპრომისოა.

მისი პატიოსნება სანიმუშოა ჩვენს დროში. მას არც მწერლობაში გამოუჩენია მერყეობა და არც ადამიანებთან ურთიერთობაში. მას წერის დროს ალბათ ჰამლეტსავით ეცხადებოდა 1924 წელს დახვრეტილი მამა, რომელიც ნებისყოფის სიმტკიცესა და ჭეშმარიტების ერთგულებას შთააგონებდა.

პატიოსნება მისთვის მეექვსე გრძნობაა, რომელიც დედის რძესთან ერთად აქვს ჩაღვრილი და გამჯდარი სხეულში, იმ დედის, რომელსაც ქმარი ადრე დაუკარგეს და, რომელმაც ოთარაანთ ქვრივივით კერა არ გააცივა, მამის ნერგი ახარა და ქვეყანას სასახელო შვილები გაუზარდა.

თავად ოთარი ახლა ბედნიერი ოჯახის მეთაურია, ვაჟი ძმასავით მოესწრო და ისიც მწერლის უღელს შეება. შემოქმედებაში ოთარს ჯერ დაღლა და ასაკი არ ეტყობა. მკითხველი დღესაც ინტერესით მოელის მის ახალ რომანებსა და მოთხრობებს, პიესებსა და ესსეებს.

ისიც უშურველად გამცემია და ღმერთმა კიდევ დიდხანს გააცემინოს ის, რაც მშობელი ქვეყნის სულიერ საუნჯეს ამშვენებს და ჭეშმარიტი ლიტერატურის ერთგულ მოყვარულებს ახარებს.

**გრიგოლ აბაშიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვასილი გროსმანი

დაიბადა 1905 წლის (29 XI). 12 XII. გარდაიცვალა 1964 წლის 14 სექტემბერს ქ. მოსკოვში. მისი პირველი მოთხრობა „გლიუკაუფი" დაიბეჭდა 1934 წელს.

ვ. გროსმანი ავტორია მოთხრობებისა: „ქალაქ ბერდიჩევში" (1934), „ოთხი დღე", „ამხანაგი თედორე", „ხალხი უკვდავია", (1942), „გზა" და სხვა. 1952 წელს გამოაქვეყნა რომანი „სამართლიანი საქმისათვის" რომლის დამთავრებაც ვერ მოასწრო.

„ცისკარი" მკითხველს სთავაზობს ვ. გროსმანის ვრცელ მოთხრობას „ყველაფერი იცვლება...", რომლის დაბეჭდვაც დღემდე ვერ მოხერხდა.

## შოთა ჭავთარაძე

დაიბადა 1941 წელს. დაამთავრა ფასანაურის საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. გამოცემული აქვს ლექსებისა და თარგმანების რამდენიმე კრებული.

## ნინო მამფორია

დაიბადა 1966 წელს, დაამთავრა თბილისის რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი. ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1990 წელს. მუშაობს გაზეთ „მოძღვარის" რედაქციაში.

Ежемесячный литературно-художественный
и общественно-политический журнал
«ЦИСКАРИ»
Издательство ЦК КП Грузии

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, მარჯსის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილის — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38; განყოფილებების — 98-36-43; საკორექტორო — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 10.10.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.12.90 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. ააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 2176. ტირაჟი 47 000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ფასი 60 კაპ.

6 78/7.

ინდექსი 76286

ეროვნული ბიბლიოთეკა